

მიხეილ უნგვლია
(მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი)

**ევიულები
ქართული მედიცინის
ისჯორიანი**

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საბარათველო“
თბილისი
1963

ანოტაცია

წიგნში განხილულია ქართული მედიცინის ისტორიის ცალკეული საკითხები უძველესი დროიდან ვიდრე მე-19 საუკუნემდე. ეტიუდები შეიცავს ბევრ ახალ ცნობას ქართული მედიცინის განვითარების შესახებ. ავტორი იყენებს როგორც ისტორიულ, ისე ~~ფოლკლორულ~~ ლიტერატურულ მასალებს, რომლებიც მეცნიერულადან გაანალიზებული.

საზოგადოებრივი რედაქტორი — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა
აკადემიის წიგნ-ცოდნისპონდერი პროფ. ბ. მარუაშვილი

ქართული სამედიცინო ფოლკლორი და სუმერულ ხეთა-სუბარული სამყარო

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სუმერი (შუმერი) ცივილიზაციის ერთი უპირველესი აკვანია დედამიწაზე. მესოპოტამიური (შუამდინარეთის) კულტურა სუმერიდან იწყება.

სუმერები (მესამე ათასწლეული) შემდგომში ბაბილონელებმა შესცვალეს (მეორე ათასწლეული) და ეს უკანასკნელნი კი ასურელებმა (პირველი ათასწლეული). ბაბილონისა და ასურეთის კულტურა სუმერადან ღებულობს დასაბამს. სუმერებიდან, თუ სხვა ხალხებთან მათი ასიმილაციით, ახლო აღმოსავლეთის უძველეს ქვეყნებში იქმნებოდა ცალკეული სამეფოები, მონათესავე ერები, გარკვეული დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ეკონომიური სიძლიერისა და კულტურის მატარებელი ნიშნებით, რომელთა კულტურა, აზროვნება, ენა, ანტროპოლოგიური თავისებურება მაინც ერთგვარ გენეტიკურ კავშირში იყო უძველეს სუმერულ სამყაროსთან. ასეთ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა ხეთა-სუბარული სამეფოები. სუმერული და ხეთა-სუბარული სამყაროს კავკასურ და კერძოდ ქართველურ ტომებთან გენეტიკური დამოკიდებულების შესახებ გარკვეული მოსაზრებები არსებობს მეცნიერებაში. ყოველშემთხვევაში უძველესი ქართული გაერთიანებების ტერიტორიული სიახლოვე, პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთის ამ კულტურულ სამყაროსთან უდავოა და ძველი სუმერული და ხეთა-სუბარული კულტურის არსებობის ნიშნები თანამედროვე ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში, ენასა და აზროვნებაში არა ერთხელ დამოწმებულა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ. სუმერებსა და ხეთა-სუბარებს ჰქონდათ პოლიტიკურ-ეკონომიური სიძლიერისა და კულტურის საერთო განვითარების შესაფერისად განვითარებული მედიცინა, ექიმის, სამკურნალო დაწესებულებების არსებობისა და სამედიცინო აზროვნების ერთი უპირველესი კერათაგანია სუმერი. ძველი ქართული მედიცი-

ნის სუმერულ მედიცინასთან კავშირზე საკითხი დავსვით ჩვენს ადრინდელ შრომაში „ძველი ქართული მედიცინის ისტორიული ფესვები,* სადაც ნაჩვენებია გვაქვს მთელი რიგი დამთხვევები და პარალელები ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ტერმინებისა, რიტუალებისა და სხვ.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ პარალელები ქვემოთ მოყვანილი სქემის სახით, რომელიც სხვადასხვა მკვლევართა (ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, გ. მელიქიშვილი და სხვ.) შრომებიდან არის ძირითადად თავმოყრილი, და რომლებიც უმთავრესად ფოლკლორული წყაროებიდანაა მიღებული:

სუმერულ ხეთა-სუბარული სამყარო	ქართული სამყარო		
1. სუმერული	ბაბარი, ლაბარტუ და მასთან დაკავშირებული რიტუალი	წმ. ბარბარე და მასთან დაკავშირებული რიტუალი	ქართული
2. სუმერული	ბაბარი, მზის ღვთაება	ბარბალი, ბორბალი (მზის დისკოს სიმრგვალის გაახრებით)	მეგრულ — ქართული
3. ძვ. აღმოსავლური	გილგამეში (სიუჟეტურ-შინაარსობლივი მსგავსება)	ამირანი	ქართული
4. სუმერული	სუკკალმახი (მეფე ლუგალხაგისის წოდება)	{ სულკალმახი — ამირანის მამა ბოროტი ძალე-ბისაგან თავისი ქეყნის მცველი ვაჟაკი	ქართული
5. ელამური	სუკკალმახი — უმაღლესი მფლობელის ტიტული		
6. ელამური	ქალღმერთი la-gamar	ღმერთის ასული კამარი, ყამარი („ამირანის“ პერსონაჟი)	ქართული
7. ელამური	turna (მცოდნე, სწავლული)	მკურნალი	ქართული
8. სუმერული	sakild-თავის ტკივილი	შაკიკი-თავის ტკივილი	ქართული
9. სუმერული	kasu სამკურნალო ბალახი	კასია — სამკურნალო ბალახი	ქართული
10. სუმერულ აქადური	birbirrum მოციმციმე, სხივი, ბრწყინვა	ბირბილი, ბრიალი	ქართული
11. სუმერულ ბაბილონური	ნერგალი-სიკვილისა და სნეულების (კირის) ღმერთი	ნერგალი — ღმერთი	სუბარული

* მიხეილ შენგელია, ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში, სამედიც. გამოც. 1956 წ. გვ. 5—20.

სუმერულ ხეთა-სუბარული სამყარო		ქართული სამყარო	
12. ხეთური	ტელეფინუსი. შვილიერებისა და ნაყოფიერების ღვთაება	შვილიერებისა და ნაყოფიერების ღვთაება: „მელიაჲ ტულეფია“ ტულეფსი (იარალით დაკრილის განკურნებას შესთხოვდნენ) კოლხეთის ცნობილი ქალაქი ტელეფისი—	სვანური, ჩერქეზული
13. ხეთური	ტარკუნ, ტარხონ-ომიანობის ღვთაება	ტიკინა, ერკინა, ტერკინ (ტიკინაჩხა, ერკინაჩხა, —სამსუბათს აღნიშნავს, ომიანობის ღვთაების დღეს)	კანური
14. პროტო-ხეთური	taro ელვა-ქექის ღმერთი	ამინდის აღმნიშვნელი სიტყვა: ტაროსი— ტაროხი— ტარესკ—	ქართლ-კახური მეგრული სვანური
15. ხეთური ქალღმერთი	ღვთაება, თეშები, ტეიშება-ტეიშება		ქართული აფხაზურ-ჩერქეზული.
16. სუმერულ ბაბილონური	იშთარი, იშტარი ნაყოფიერების ღვთაება (ბრმად იყო წარმოდგენილი)	უშტარა (ბრმა)	ხეცურული ფშური
17. სუმერული	Ugarra—* უგარუ-მინდორი, ველი სტეპი	გარემო ა-გარ-აკი	ქართული
18. აქადური	etlu ეტლუ— მამაკაცი, გმირი	ტლუ-ტლუ-ბიკი ვაჟაკი	ქართული
19. „—“	Adäru ადარუ მწუხარება, მწუხარებით დაბნელებული, გულმოსული	დარ-დი-დარდი, მწუხარება,	ქართული
20. „—“	Usnu უზნუ-გონება, აზრი	ზნე,—ზნეობა	ქართული
21. „—“	ekimur—ეკიმუ სული, მიცვალებულის სული	საქე-ო, ეკიმ-ი,	ქართული
22. „—“	asakur—ასაკუ, სისუსტე, უღონობა, ავადმყოფობა უძლურება, დავადებათა დემონი (ღვთაება ანუს შვილები)	ასაკი (შდრ. ასაკში შესვლას, ასაკობრივ უძლურებას და ა. შ.)	ქართული

* ესა და ქვემო დასახელებული სიტყვები ჩვენი თხოვნით მოგვანოდა ისტორიკოსმა კ. კოლუამ სათანადო ლექსიკონებიდან (Лингвистический (Вавилоно-Ассирийский) язык вып. II, 1957 г. ჩვენ გამოთქვამთ მოსაზრებას მხოლოდ სიტყვის ფონეტიკური და სემეტიკურ-შინაარსობრივი მსგავსებიდან. ვფიქრობთ მათ დასპირდებით კიდევ ენათმეცნიერული გაანალიზება სპეციალისტების მხრივ.

სუმერულ ხეთა-სუბარული სამყარო		ქართული სამყარო	
23. აქადუ-რი	banu — ბანუ, სუფთად, ბრწყინვალედ, ნათლად ყოფნა	ბანუა, ბან-ვა, და-ბან-ვა, ა-ბან-ო	ქართული
24. „—“	birku—birki მუხლი, ენერგია, სქესობრივი ალტკინება	ბირკული-მუხლი ბირკება, გაბირკება—სქესობრივ. ორგ. ალტკინება	მეგრული
25. „—“	dunnamu—დუნნამუ, უღონო, ავადმყოფური	დუნე მღ-დუნ-ებული	ქართული
26. „—“	libbu—ლიბბუ, მკერდი	ლუბა-მკერდი უბე-	მეგრული ქართული
27. „—“	zāru—ზარუ, სიძულვილი	შე-ზარ-ება შესა-ზარ-ი	ქართული
28. „—“	tēn—ტენ. ტვინი, კვა	ტვინი-ტვინ-ი.	მეგრული ქართული
29. „—“	kisādu—კისადუ კისერი, ყელი.	კისერი კისერ-ი	მეგრული ქართული
30. „—“	inīqu—ინაქუ, ძუძუს წოვება	ნაქი	ქართული
31. „—“	lamassu—ლამაზუ, კეთილი სული, კეთილი დემონი.	ლამაზი	ქართული
32. „—“	mutu—მუტუ,—ქმარი, მუშა	. . . დედაკაცის სასქესო ორგ. სახელი (გადატ. მნიშვნელობით)	ქართული
33. „—“	su—სუ, განავალი, შარდი, ექსკრემენტი,	სუ-მა, შარდვა ცუ-ილი	მეგრული ქართული
34. „—“	qullu—ქულლუ, თავის ქალა	ქალა-თავის ქალა	ქართული
35. „—“	Šerta—,შერტუ, სიშმაგე, ბრაზი.	შერი, შეთე,-გიეი,	მეგრული
36. „—“	sisūtu—სისიტუ, ხმაური, გვგარვინვა	შიში	ქართული
37. „—“	Šapāku—შაპაკუ, ჩამოსხმა, გადასხმა. და სხვა მრავალი	შიბაქი-აკენის კომპონენტი შარდის „ჩამოსასხმელი“	ქართული*)

გარკვეული ნაწილი ამ სიტყვებისა უშუალოდ მედიცინასთან დაკავშირებული ცნებების აღმნიშვნელია (ბაბარი, turna) sakiki kassu, ნერგალი, ტელეფინუსი, იშთარი და ა. შ.), რომელთაც ხშირად ქართულ პარალელურ სიტყვებთან არა მარტო ფონეტიკური მსგავსება აკავშირებს, არამედ შინაარსობლივი, სიუჟეტური. ვიმე-

* ქართველური სიტყვების ურარტულთან ლექსიკური შეხვედრების შესახებ იხილეთ აგრეთვე, გ. მელიქიშვილის „ურარტუ“, 1951, გვ. 144 — 145.

ორებით ხსენებული პარალელები და ზოგიერთი სიტყვები, საკითხის საბოლოო გადაწყვეტის პრეტენზიით არ მოგვიყვანია, ისინი მხოლოდ საკითხის დასმის დონეზე გვინდა მივაწოდოთ მკითხველებსა თუ მკვლევარებს, ყურადღების გამახვილებისა და ამ მიმართებით შემკრებლობითი თუ კვლევითი მუშაობის შემდგომი წარმართვის მიზნით.

სუმერული ბაბბარი ანუ ქართულ-ქრისტიანული წმ. ბარბაღე, რომელსაც ვ. ბარდაველიძემ მეტად საინტერესო მონოგრაფიული შრომა მიუძღვნა, გავრცელებული ღვთაებაა თითქმის ყველა ქართველურ ტომში. ბარბარეს კულტის და სუმერული ლაბარტუ-ბაბარის ურთიერთობის საკითხს ჩვენ შევეხეთ ჯერ კიდევ 1951 წ. ამჟამად გვინდა მას კვლავ მივუბრუნდეთ ზოგიერთი ახალი ეთნოგრაფიული მასალის ასპექტში: 1. 1962 წ. ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების მიერ იგრის ხეობაში მოწყობილი ექსპედიციისას ჩვენ მიერ ჩაწერილ იქნა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტა, რომელიც გვინდა განვიხილოთ სხვა ფოლკლორულ მასალასთან შეჯერებითა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ასპექტში. იგრის ფშავლების ხალხურ მედიცინაში მტკიცეა და დამკვიდრებული, რომ: 1. სამკურნალო მცენარეების შეგროვება მინდვრად ხდება 7-მაისს, და 2. სისხლის გაღების დღედ დანიშნული იყო 7 მაისი. რასაკვირველია, ეს თარიღი შემთხვევითი არაა. ეს დაკავშირებული უნდა იყოს რაღაც უძველეს წარმოდგენებთან. ხალხური მკურნალო, რომელსაც, მთქმელი სანიკიძის თქმით, „მოაწყდებოდა“ ხოლმე ავადმყოფები სისხლის გასაღებად და მოუცლელი იყო, სხვა დღეს დანიშნავდა სამკურნალო მცენარეების მოსაგროვებლად, რომ ეს დღე დაკავშირებული არ ყოფილიყო გარკვეულ რელიგიურ წარმოდგენებთან: წ-ა ბარბარეზე გავრცელებული რიტუალი და ლექსები (ბატონების საგალობელი ლოცვა) მკვლევართა მიერ, როგორც ვთქვით, დაკავშირებულია სუმერულ ბაბბართან,* სუმერულ-ბაბილონური ლაბარტუ-ბაბარტუ ბაბარ — როგორც ფონეტიკურად, ისე სემენტიკურად ემთხვევა ქართულ ბარბარე-ბარბოლს. ბარბარეზე გავრცელებული საგალობელი ლოცვის ლექსებში აღსანიშნავია, შეძლევი სიტყვები:

„შვიდი და-ძმანი ბატონი,

შვიდ სოფელს შევეფინებთ“..

(ეჭვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი)*

* იხ. ჩვენი — ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში, 1956 წ. თბილისი, „მედგამი“, გვ. 8—12.

შვილნი დანი, შვილნი ძმანი...
შვიდ სოფელს მოვეფინებით...
შვიდ სოფელს დავსცემთ კარავსა*

(ვ. ბარდაველიძე)

„იავ ნანა, ვარლო ნანა,
ვარლო ნანინაო
აქ ბატონები მობრძანდნენ
იავ ნანინაო
შვიდი ჯამი მარგალიტი,
ვარლო ნანინაო,
შვიდ სოფელ გადავაფინეთ,
იავ ნანინაო“.

(ვ. ბარდაველიძე)**

ზემოხსენებული ლექსები ჩაწერილია: ერთი ქართლში, მეორე იმერეთში, სვანეთში და ფშავში. აღსანიშნავია, რომ თუ სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ ამ ლექსებში ტექსტის სხვა სტრიქონები იცვლება, ყველგან დაჟინებით შემონახულია ის, რომ „ბატონები შვილია“, შვიდი და-ძმანი, „შვიდი ჯამი მარგალიტი“, „შვიდ სოფელს მოვეფინებით“, „შვიდ სოფელს დავსცემთ კარავსა“ და ა. შ. მაშასადამე „შვიდი რაღაც „მოუცილებელი“ ციფრია, რომელიც აუცილებელი კომპონენტი ყოფილა „ბატონებისადმი“ მიმართულ საგალობელ-ლოცვაში. ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს, ბაბილონელებს სწამდათ სუმერებისაგან შეთვისებული მოძღვრების თანახმად, რომ დაავადებათა გამომწვევია ავი სულები, „ასეთ ავსულთა რიცხვიც — შვიდნი იყვნენ“.

ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ლექსში — ბარბარეზე ვკითხულობთ:

„ზედ ეცვა მოის პერანგი (ბარბარეს შვილს, ბატონიშვილს — მ. შ.)
გაზნაპოლის ახალოხი,
მთვარე გრეხილად მოველო
ვარსკვლავი ღილად ეკერა.“*

აქ „მოის პერანგი — უსათუოდ დამახინჯებულია, უნდა იყოს „მოვის პერანგი“. „მოვის პერანგზე“ კი, რომელიც ბარბარეს „შვიდ შვილთაგან“ ერთს ეცვა ზემოხსენებული ლექსის მიხედვით.

* ხალხური სიტყვიერება, თბილისი, წიგნი, I, გვ. 36.

** ბარდაველიძე, ქართვ. უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გვ. 196.

*** ენიმკის მოამბე XI—1941 წ. გვ. 135.

შემდეგი ლექსი გვხვდება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში: „წითელი მოვის პერანგო, შვიდგან შეკრულო ღილითა“.*

ფფიქრობთ, ქართული ფოლკლორის ეს ფრაგმენტები ურთიერთთან დაკავშირებული უნდა იყოს და ბარბარეს „შვიდი ბატონის“ (შვილების) — „მოვის პერანგი“ ღვთაებრივი „შვიდი ღილით“ იყო ხალხის წარმოდგენაში შეკრული.

აღსანიშნავია, რომ უძველეს დროს თაყვანს სცემდნენ შვიდ მნათობს (პლანეტებს, მზეს, მთვარეს და სხვ.), რომელთაც თავთავისი დღე ჰქონდათ მიკუთვნებული. რადგან რიცხვი შვიდი ღვთაებრივ და ბედნიერ რიცხვად იყო მიჩნეული, ქრისტიანულმა რელიგიამაც ისარგებლა ამით და შეთხზა მითი, თითქოს ღმერთმა სამყარო შექმნა 6 დღეს თანმიმდევრულად (მიწა, მცენარეები, ცხოველები და ა. შ.) და მეშვიდე დღეს კი ადამიანი, ამასთან არის დაკავშირებული 7-დღიანი კვირის გავრცელებაც ქრისტიანულ სამყაროში, რომელიც თავის მხრივ ძველ ბაბილონურ 7-დღიან კვირას უკავშირდება, მაგრამ ბაბილონური შვიდდღიანი კვირა — 7 მნათობთან არის დაკავშირებული, რისი ანარეკლიც მეგრულ-სვანურ ღვთაების სახელწოდებებშია შემონახული. შვიდის ღვთაებრივობა „იშთარის მოგზაურობის ჰიმნშიც“ გვხვდება*. როდესაც იშთარმა ქვესკნელის სამფლობელოში იმოგზაურა, ქვესკნელის მეუფემ ერეშტიქალმა მცველს უბრძანა, რომ იშთარისათვის გაეღო კარები ქვესკნელისა, მხოლოდ მიეღოთ ისე, როგორც „ძველი კანონია“, ეს ძველი კანონი კი, როგორც ვნახავთ, თურმე შვიდი კარის გამოვლას ნიშნავს: მცველი მიმართავს იშთარს: „მობრძანდი, ქალბატონო ქუთუ, შენზე ზეიმობს სასახლე ქვესკნელისა გამოუვალი, შენს წინაშე მხიარულობს; ერთ კარში როდესაც შეიყვანა, აცლის, იღებს დიდ გვირგვინს თავიდან, რატომ მაცილებ თავიდან დიდ გვირგვინს, მცველო? მობრძანდი, ქალბატონო, ასეთია კანონი ქვესკნელის ქალბატონის. მეორე კარში როდესაც შეიყვანა, აცლის იღებს მის ყურიდან საყურეებს რატომ მაცილებ ჩემი ყურებიდან საყურეებს, მცველო?“ მობრძანდი, ქალბატონო, ასეთია კანონი ქვესკნელისა ქალბატონის“. ასე გაატარა მცველმა შვიდი კარი ქვესკნელისა იშთარს და მეშ-

* ივ. ჭავჭავაძის, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, წიგნი 1, გვ. 193.

** (ივ. ჭავჭავაძის, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, 1962 წ. გვ. 89.

ვიდე კარში — სრულად განძარცული გაიყვანა, სადაც „სირცხვილის სამოსიც“ კი შემოაცალა. იშთარი ქვესკნელის ტყვე შეიქმნა. მას 60 ავადმყოფობა შეჰყარეს, ქვეყნად კი დამკვიდრდა უნაყოფობა: „მას შემდეგ (რაც) ქალბატონი იშთარი გამოუვალ ქვეყანაში ჩავიდა, ხარი ძროხას არ უახლოვდება, სახედარი სახედარს, ქალი განცალკევდა მამაკაცისაგან, სძინავს კაცს თავის სარეცელში, სძინავს თავისთვის ქალს“.

მაგრამ „ემ საკუთარ არსში ჩაისახა მამაკაცი, შექმნა აცუშუნამირი საქურასი... წადი, აცუშუნამირ! კარებს გამოუვალ სახლისას მიაპყარ მხერა შენი, გამოუვალ სახლის შვიდი კარი გაიღება შენს წინაშე“.

იშთარს გამოიხსნიან ქვესკნელის ტყვეობიდან და მას კვლავ შვიდ კარს გამოატარებენ:

„ერთ კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა სირცხვილის სამოსი, მეორე კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა მოსართავეები ფეხებისა და ხელებისა,

მესამე კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა დაბადების სარტყელი თეძოებისათვის,

მეოთხე კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა საფარები მკერდისა,

მეხუთე კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა მძივები კისრისა, მეექვსე კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა საყურეები ყურისა,

მეშვიდე კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა გვირგვინი თავისა“.

აღსანიშნავია, რომ მთელ ტექსტში „შვიდი“ კარი ხაზგასმულია როგორც მნიშვნელოვანი ციფრი, რაც მიუთითებს ამ ციფრის ღვთაებრივ ხასიათზე. ცხადია, ბარბარეს კულტთან დაკავშირებული ტექსტებში შემორჩენილი „შვიდი“ უსათუოდ კავშირში იმყოფება ძველ აღმოსავლურ „შვიდთან“. ვფიქრობთ, ივრის ხეობის ფშაველების სამედიცინო ფოლკლორში ფიქსირებული „შვიდი მაისი“ — როგორც „სისხლის გაღებისა“ და სამკურნალო მცენარეების შეგროვების დღე დაკავშირებული უნდა იყოს სუმერულ სამყაროში გავრცელებულ ღვთაებრივ „შვიდთან“.

2. ივ. ჭავჭავაძის, ადარებს რა ბარბარეს კულტთან დაკავში-

* იხ. ვაჟა გვახარია, იშთარის მოგზაურობის ჰიმნი“ ეურნ. „მნათობი“ №7. 1962 გვ. 180.

რებულ ქართულ ფოლკლორულ მასალას ბაბილონურ წყაროსთან, ამბობს:

„სუმერებისაგან შეთვისებული მოძღვრების თანახმად, ბაბილონელებსაც სწამდათ, რომ ყოველგვარი სნეულება ადამიანს ერთერთი ავი ღვთაებისაგან ემართებოდა, ასეთ ავსულთა რიცხვიც განსაზღვრული ჰქონდათ, დარწმუნებულ იყვნენ, რომ ისინი შვიდნი იყვნენ, მათ ისეთი ძალა ჰქონდათ, რომ ერთხელ მთვარის ღვთაებასაც კი თავს დასხმიან და მისი სინათლე დაუბნელებიან (მთვარის დაბნელება იგულისხმება). ვერც ერთმა ძლიერმა მეფემ ვერა გააწყო რა და ისინი იძულებული იყვნენ მთვარის დასახსნელად ეასთვის უფსკრულში მიემართათ და დახმარება ეთხოვათ, მან ამ შვიდეულის წინააღმდეგ მარდუკი წარგზავნა. ამ შვიდი ბოროტი გენიის ყველაზე ავად და მავნედ მდებარობითი სქესის არსებად მიჩნეული ლაბარტყუ იყო ცნობილი, რომელიც ვითომც მთიანეთში ანდა ლელნარში ბინადრობდა. ბაბილონელთა წარმოდგენით, ლაბარტყუს თავი ძუ ლომისა, სხეული კი ვირისა ჰქონდა. მაგრამ ტურასავით გაჰკიოდა და პირიდან გოგირდს აფრქვევდა. ჩვენამდე ერთმა რელიეფურმა გამოსახულებამ მოაღწია, რომელზედაც სნეულებასთან დაკავშირებული მაშინდელი მთელი მსოფლმხედველობაა წარმოდგენილი და აღბეჭდილი. გამოსახულება ოთხ პარალელურ დასწვრივ ზოლად არის დაყოფილი, პირველ ზოლში ღვთაებათა სიმბოლოებია გამოსახული, მათ ქვემოთ შვიდნი ავსულნი დგანან, იმათ ქვემოთ კიდევ ავადმყოფის საწოლის ორივე მხრიდან აქეთიქით თევზის სახით წარმოდგენილი ორი შემლოცველი ქურუმია, რომელთა გვერდით განწმენდილი საცეცხლურია, სულ ქვევით გამოსახულია უკვე თვით გამოდევნილი ლაბარტყუ, რომელიც მხედრივ და ნავით ამ ადგილიდან მიილტვის.“

ლაბარტყუ-ბაბარზე არსებული ზემომოყვანილი ბაბილონური წყაროებით და წმ. ბარბარეზე არსებული საგალობელი ლექსების ურთაერთ შედარებით შემდეგი პარალელების დადგენა ხერხდება: სუმერულ-ბაბილონური წყაროებით: 1. ყოველგვარი სნეულება ადამიანს ავი ღვთაებისაგან ბაბბაროდან-ლაბარტყუდან ემართება, 2. ბაბბარ-ლაბარტყუ მდებარობითი სქესისაა და მთავარ ღვთაებად ითვლება, 3. ავსულთა რიცხვი შვიდია, 4. ლაბარტყუ გამოსახულია ნავით ზღვაზე მიმავალი.

ქართული წყაროებით: 1. მძიმე ავადმყოფთა, გადამდებ სნეულებათა, თვალის დაავადებათა ღვთაებად მიჩნეულია ბარბარე, 2. წ-ა ბარბარე მდებარობითი, სქესისაა და დედა (მთავარ) ღვთაებად ითვლება, 3. ღვთაებათა რიცხვი შვიდია, 4. ღვთაებები ზღვით მობრძან-

დებიან („თეთრი ზღვიდან გიახელით, იავ-ნანინაო, შვიდი და-ძმანი და სხვ.“).

სვანურ ფოლკლორში შემონახულ ერთ თქმულებაში („ყვავილი და წითელა“) მსგავსებას ვპოულობთ აგრეთვე ზემოხსენებულ სუმერულ-ბაბილონურ წარმოდგენებთან. მოვიყვანოთ ამ თქმულების მთელ ტექსტს:

„ყვავილი და წითელა. ყვავილი და წითელა ძმები არიან. დედა ცოცხალი ჰყავთ და სცხოვრობს ერთ მიუღგომელის დამაღლის კლდის თავზე, ზღვისპირად დედა დრო გამოშვებით ჰგზავნის თავის შვილებს ხალხში. ყვავილ-წითელას ადგილსამყოფელი ძველის ძველად უნახავს ერთს კაცს. ძველად ერთი ოჯახი ზღვაში მოგზაურობდა თურმე ხომალდით. ზღვა აღელდა და ხომალდი დაიღუპა. დაიღუპნენ ისინიც, ვინც ხომალდში იყო, ერთის კაცის გარდა, რომელიც ზღვის ტალღამ კლდის ძირას მიაგდო და სიკვდილს გადაარჩინა. კაცი აპყვა ამ კლდეს და როგორც იყო დიდის გაჭირვებით ავიდა კლდეზედ. კლდის თავზე გაშლილი მიწოდორი დახვდა; იქვე გამოდიოდა მოზრდილი და ანკარა წყარო. წყაროზე ტიტველი ქალი იდგა და სარეცხსა რეცხავდა, ეს ქალი თოვლივით თეთრა იყო: ძუძუები უკან ბეჭებზედა ჰქონდა გადაგდებული. მიეპარა ეს კაცი ქალს და ძუძუებზე კბილი დაადგა (იდედა), ქალი შეკრთა, გაპკვირდა: უთხრა კაცს, აქ რამ მოგიყვანაო; შენსას ჩემი შვილები გამოვგზავნეო, — ხომ იყვნენო. კაცმა თავის აქ მოსვლის ამბავი უთხრა და სთხოვა: შენი სახლი მაჩვენეო. ქალმა ეს კაცი სახლში მიიყვანა. სახლის შუა გულს სვეტი იდგა, ეს სვეტი ირგვლივ კაცის თვალებით იყო მოქედილი. კაცმა ამ სვეტის ამბავი ჰკითხა ქალს. ქალმა მიუგო, რომ რამდენ კაცსაც ჩემი შვილი ყვავილით თვალს გაუფუჭებს, ყველა აქ მოაქვს და ამ სვეტზე ვაჭდევთო. კაცს მაშინ უფუჭებს ჩემი შვილი თვალს, როდესაც ყვავილით ავადმყოფობის დროს სახლს ამტვერებენ და ცეცხლზე წყალს ასხამენ (ხალხი ძალიან უფრთხილდება ამბებს). ამ ლაპარაკში, რომ იყვნენ, ყვავილი და წითელაც დაბრუნდნენ. დედამ ყვავილს შეახვეწა ეს კაცი და სთხოვა, შინ უვნებლად მიიყვანეო. ყვავილმა უპასუხა: ეს-ეს არის ეხლა ღმერთთან ვიყავი, ხვალ ამ კაცის მეზობლისას ეამსა ჰგზავნის და ამ კაცსაც იმას გავატანო. ამ კლდის თავზე ყვავილისა და წითელას გარდა სხვა სხეულებათაც ჰქონდათ ბინა. მიწიდან რამდენ-

* ბეს. ნიჟარაძე, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“ 1962 წ. გვ. 147.

სამე ადგილს ალი და კვამლი ამოდიოდა. ყვავილისა და წითელას დედამ თვითთულად დაუსახელა სტუმარ კაცს სწეულებათა ბინა, სხვათა შორის, ა ჩ ვ ე ნ ა ჟ ა მ ი ს ბ ი ნ ა ც, სახელდობრ, ის ადგილი, საიდანაც შავი კვამლი ამოდიოდა. აქ მარტო „სურდოს“* არა აქვს სამულდამოდ მიჩნეული ადგილი, უთქვამს ქალს. დამე ეს კაცი ჟამს ჩააბარეს და ჟამმაც მეორე დღეს მშვიდობით მიიყვანა შინა“.

შევადაროთ ტექსტში ხაზგასმული ადგილები (ხაზგასმა ჩვენია— მ. შ.) სუმერულ-ბაბილონურ გადმოცემას:

სუმერულ ბაბილონური გადმოცემითა და ზემოხსენებული ქართული ფოლკლორული მასალით:	სვანური თქმულებით:
1. ბატონების გამომწვევი ღვთაებები და-ძმები არიან	1. ყვავილი და წითელა ძმები არიან
2. მათ დედა ჰყავთ, რომელიც მთავარ ღვთაებად ითვლება. მთავარი ღვთაება მდებარეობითი სქესისაა.	2. ყვავილსა და წითელას დედა ჰყავთ, რომელიც მთავარი ღვთაებაა, ისინი დედის ბრძანებით დადიან „უპიდემიის“ გასაჯრცლებლად („შენსას ჩემი შვილები გამოვგზავნე ხომ იყვნენ“).
3. ღვთაებები შვიდია.	3. ყვავილისა და წითელას-გარდა „ამ კლდის თავზე სხვა სწეულებათაც ჰქონდათ ბინა“.
4. მთავარი ღვთაება თავისი შვილებით „მთიანეთში“ ცხოვრობდა.	4. ძმები, ყვავილი და წითელა თავისი დედითა და სხვა სწეულებათა ღვთაებებით „კლდის თავზე გაშლილ მინდორზე“ ცხოვრობდნენ.
5. ლაბარტყუ-ბაბბარ და წ-ა ბარბარე თავიანთი 7 ღვთაებით სადღაც ზღვის გაღმა ცხოვრობდნენ სადაც აუცილებელი იყო ნავით მგზავრობა.	5. წითელა და ყვავილი დედით „ცხოვრობს ერთ მიუდგომელის და მაღალი კლდის თავზე. ზღვის პირად „ამ ადგილამდე ერთმა მოგზაურმა „ხომალდით“ მიაღწია.
6. წ—ა ბარბარე უმთავრესად თვალის სწეულებათა ღვთაებაა.	6. დედა-ღვთაების სახლში სვეტი იყო, რომელიც ირგვლივ „კაცის თვალებით იყო მოჭედილი“ რამდენ კაცსაც „ჩემი შვილი, ყვავილით თვალს გაუფუჭებს ყველა აქ მოაქვს და ამ სვეტზე ვაჭდევთ“.

ზედმეტი კომენტარების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პატარა ტექსტში ამდენი შინაარსობლივ-სიუჟეტური მსგავსება იმას მიუთითებს, რომ ზემოხსენებულ თქმულებაში „ყვავილი და წითელა“, რომელიც ჯერ კიდევ 1887 წ. იქნა ჩაწერილი ცნობილი ეთნოგრაფის ბეს. ნიჟარაძის მიერ და გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნ-

* სურდო სვანურად „მეხი“ ნიშნავს: მიმავალი მგზავრი. (ბ. ნიჟარაძე).

ნებული, შემონახულია ძველი სუმერულ-ბაბილონური წარმოდგენა, მსოფლმხედველობა, შეხედულებანი დაავადებათა არსისა, მათ გამომწვევ მიზეზთა და გავრცელებათა შესახებ. ამ წარმოდგენებით, ბავშვთა ზემოხსენებულ ინფექციურ დაავადებათა გამომწვევი, როგორც ვნახეთ, „ბატონიშვილებია“, ე. ი. „პატარა ღვთაებები“, ამიტომაც არის ალბათ, რომ ამ დაავადებებს საალერსო სახელები ჰქვია: წითელა, ყვავილი, ჩუტყვავილა, ქუნთრუშა ანუ ვარდცოხა და ა. შ.

ამგვარად, ყვავილი და წითელა წარმოადგენს ფრაგმენტს, ან უფრო სწორად, ერთ-ერთ ვარიანტს ქართულ ფოლკლორში წ-ა ბარბარეზე გავრცელებული წარმოდგენებისა*, რომელიც თავის მხრივ სუმერულ-ბაბილონურ ბაბბარ-ლაბარტყუს უკავშირდება.

3. კიდევ ერთ საკითხს გვინდა შევეხოთ: სოფ. სიმონიანთხევში ბაბულა გაბიტაშვილმა, ხალხური მკურნალის „ზაქარია ექიმის“ რძალმა, საუბარში ახსენა უშტარა. ჩვენს შეკითხვაზე რა არის უშტარა? გვიპასუხა: უშტარი თვალებით ბრმასა ჰქვია. იგივე შეკითხვა გაუშეორეთ არჩილ სანიკიძეს (ზაქარიას შვილს), მანაც გვიპასუხა, რომ უშტარი ბრმა არისო. იგივე დაამოწმა თიანეთში მცხოვრებმა ნინო აფციანურმა და მისმა რძალმა თოლენჯელმა პელა კბილცეცხლაშვილმა. თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ილო ბეჟანიშვილმა თქვა, რომ ფშავში უშტარი ბრმის სინონიმად მეტად გავრცელებული სიტყვა არისო. ჩვენ ამ სიტყვით დავინტერესდით იმიტომ, რომ ეს სიტყვაც უსათუოდ დასაბამს პოულობს კვლავ სუმერულ სამყაროში. შვილიერებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი იშთარი, სუმერულ-ბაბილონური წარმოდგენით ბრმა იყო.

ამბ. გაჩეჩილაძეს ჩაწერილი აქვს ერთი ხევესურული ლექსის ფრაგმენტი, სადაც ქადაგი-დამტირებელი სახელად „მუშტარა“ მოთქვამს:

„ხევესურ ქალი ვარ ბებერი, სახელად მქვია მუშტარა,
ხელებით დასუსტებული თვალებითა ვარ უშტარა“,

ამ ფრაგმენტს ზემოხსენებულ ივეტორი შემდგომ კომენტარს უკეთებს: „ამ სტრიქონებში შემონახულია ბაბილონელთა მიწის ნაყოფიერების ღვთაების იშტარის სახელი. ამას მოწმობს ჭერ ამ დამტირებელი ქალის სახელი მუშტარა, რომელიც იშტარიდან უნდა იყოს წარმოქმნილი, შემდეგ ფრაზა — „თვალებითა ვარ უშტა-

* აღსანიშნავია აგრეთვე რომ „წითელა და ყვავილი“ რამდენადმე „ხოჯაის მინდიასთანაც“ პოულობს, ცალკეულ სურათებში სიუჟეტურ მსგავსებას.

რა“ ე. ი. ბრმა. ცნობილია, რომ ნაყოფიერების ღვთაებას იშტარს ბრმად წარმოდგენდნენ ხოლმე, ისე როგორც ჩვენში წვიმა-სეტყვის ღვთაებას ელიას. ამას გარდა, იშტარი ქალის სახელია ამ ლექსშიც ის ქალს ჰქვია“.*

მაშასადამე:

ლექსის ამ ფრაგმენტში შემონახული უშტარა, როგორც ბრმის სინონიმი, ივრის ფშაველებში საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვაა იმავე გაგებით. საბოლოოდ შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: 1962 წ. ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების მიერ ჩატარებული ექსპედიცია საკმაოდ ნაყოფიერი იყო, რადგან გარდა იმისა, რომ ფიქსირებულ იქნა ხალხური რაციონალური მედიცინის მრავალი მეთოდი, ჩაწერილ იქნა აგრეთვე ისეთი მასალები, ისეთი წარმოდგენები, რომელთა საშუალებით ხერხდება ძველი ქართული მედიცინის და კერძოდ, ქართული სამედიცინო ფოლკლორის ძველი ახლო აღმოსავლეთის კულტურასთან და კერძოდ სუმერულ ხეთა-სუბარულ მედიცინასთან გენეტიკური დაკავშირება. ვფიქრობთ, ამ საკითხებმა შესაძლოა გარკვეული უუქი შეიტანოს აღმოსავლეთმცოდნეობის და კერძოდ, ქართველოლოგიის მეტაფსაინტერესო პრობლემებში.



* ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე“ და პოემა „გველის მკამელი“, 1959. გვ. 8.

ხალხური მედიცინის ისტორიიდან

ხალხური მედიცინა როგორც საერთოდ ხალხური შემოქმედება ერის სულიერი კულტურის დონის ერთ-ერთი მაჩვენებელი და განმსაზღვრელია. საეკლესიო და ძველი პროფესიონალური მედიცინის (შემდეგში მეცნიერული მედიცინის) საფუძველს ხალხური მედიცინა წარმოადგენს, ის მძლავრ სტიმულს აძლევდა ბიოლოგიისა და მედიცინის განვითარებას, თავის მხრივ პროფესიონალური და მეცნიერული მედიცინაც თავისებურ გავლენას და გავრცელებას პოულობდა ხალხურ მედიცინაში.

ქვეყნის, ერის, განსაზღვრული ეპოქის ხალხური შემოქმედების შესწავლას გარკვეული ისტორიული ღირებულება ენიჭება. ცნობილია, რომ ხალხურ შემოქმედებას როგორც საისტორიო მასალას ხშირად იყენებდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

ვ. ი. ლენინი კი ხალხურ შემოქმედებას მშვენიერ მასალად თვლიდა ისტორიული გამოკვლევებისათვის და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას ხალხის ფსიქოლოგიის შესასწავლად.

«Ведь на этом материале можно было бы написать прекрасное исследование о чаяниях и ожиданиях народных... это — доподлинное народное творчество, такое нужное и важное для изучения народной психологии»¹.

ეროვნული წარსულისა და ქვეყნის ისტორიის შესწავლაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხურ შემოქმედებას აგრეთვე დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი: «От глубокой древности фольклор неотступно и своеобразно сопутствует истории»^{*} — „თავისებურად“ — ამბობს დიდი მწერალი იმიტომ, რომ ძველ ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში ხშირად მართლაც თავისებურად,

¹ В. л. Б о н ч, Б р у е в и ч — Ленин о «поэзии, набросок из воспоминаний — на лит. посту», 1931, № 4, 4.

^{*} М. Г о р ь к и й, О литературе, изд. 3-е, 1937, 456.

გაუქულმართებლად ან ცალმხრივადაა აღწერილი ქვეყნის თუ ერის ყოფისა და კულტურის ცალკეული საკითხები, ხალხური შემოქმედების შესწავლა კი ავსებს ზოგიერთ ხარვეზს, ქეშმარიტად ასახავს მთელ რიგ ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც ხშირად ტენდენციურად ან გაუქულმართებულადაა აღწერილი.

ამ საკითხს ჩვეული სიღრმითა და გონებამახვილობით იხილავს ილია ჭავჭავაძე:

„ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ძნელია და შეუძულებელი, ჩვენი ერის ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ და თუ არის კანტიკუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მართო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენს შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული, თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მართო მეფეთა ისტორია, თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა*“. დიდი მწერალი „ხალხის ცხოვრების“ ნამდვილ ამსახველად იმისთანა ფაქტებს თვლის, რომლებშიც „ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში“.

სწორედ ასეთ ფაქტებს, ასეთ მასალას წარმოადგენს ხალხური შემოქმედების ნიმუშები.

ილიას შემდეგ, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არ შეიძლება ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრებითა“ და მეფეთა ისტორიით ამოიწურებოდეს ქართული ისტორიოგრაფია. საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, კულტურის ცალკეულ დარგთა ისტორია საკმაოდ დამუშავებულია კლასობრივი ბრძოლისა და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური განვითარების

* ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1927, 201.

თვით ხალხურ მედიცინაზეც საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ილიასა და ი. გოგებაშვილს. იხ. ამ საკითხზე ნ. შალაშვირიძე და ს. კლანდარიშვილი — „სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხები იაკობ გოგებაშვილის ნაწერებში“ ჟურ. „საბჭოთა მედიცინა“ № 5, 1960, და ნ. შალაშვირიძის — ილ. ჭავჭავაძის შეხედულებანი ხალხურ მედიცინასა და ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებზე“.

გათვალსწინებით, სადაც ისტორიის შემოქმედ ძალად ხალხია აღიარებული.

საკმაოდ დამუშავებულია ძველი ხალხური ზეპირსიტყვიერება, ქართული ხალხური მუსიკა და ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის სხვა დარგები. მაგრამ ქართული ხალხური მედიცინა, რომელსაც ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, ქართულ ეთნოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ჯერ თათქმის სრულიად ხელუხლებელი დარგია. ქართული ხალხური მედიცინის შესწავლა ხელს შეუწყობს ჩვენი კულტურის ისტორიის შესწავლის სრულყოფას.

ცნობილია, რომ ხალხური მედიცინის ცალკეულმა საკითხებმა გარკვეული შუქი შეიტანა ჩვენი ერის ისტორიის ზოგიერთ პრობლემურ საკითხში.

ქართული მედიცინის ისტორიის შესწავლა და დადგენა წარმოუდგენელია ხალხური მედიცინის შესწავლის გარეშე, რომელშიც დღემდე შემორჩენილია უძველესი საექიმო კულტურის გადმონათობები.

უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული ხალხური მედიცინა. ამას აღიარებენ ის რუსი და ქართველი მკვლევარები (იაშვილი, პანტიუხოვი, შაბლოვსკი და სხვ.), რომელთაც XIX საუკუნეში სცადეს ხალხური მედიცინის ნიმუშების შეგროვება-შესწავლა.

არსებული მასალების შესწავლითა და ქართულ ხალხურ მედიცინაზე დაკვირვებათა საფუძველზე, ჩვენი აზრით, ქართულ ხალხურ მედიცინაში მკურნალობის ხერხებსა და მეთოდებში ორი ძირითადი სახე შეინიშნება: მკურნალობის მაგიურ-რელიგიური და რაციონალური მეთოდები, მაგრამ წამყვანი უსათუოდ რაციონალური მეთოდებია, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეტად განვითარებული ქირურგიული მანიპულაციები. გარდა ჭრილობათა და მოტეხილობათა მკურნალობის ეფექტური მეთოდებისა, გავრცელებული იყო ისეთი რთული მანიპულაციები, როგორცაა ემბრიოტომია, ტრაქეოტომია, ბროლის რეკლინაცია, თავის ქალას ტრეპანაცია, საშარდე სისტემიდან ქვის ამოღება (lithotomia).

ამ წერალში გვინდა შევეხოთ უკანასკნელს (ლითოტომიას), რომელიც, როგორც იჩვენება, ძალიან გავრცელებული ყოფილა ქართულ ხალხურ მედიცინაში. ამ ოპერაციის გავრცელებაზე მიუთითებს ექ. ა. ო. იაშვილი თავის ნაშრომში «Народная медицина в Закавказском крае», მაგრამ, სამწუხაროდ, არ ასახელებს არც ერთ კონკრეტულ მაგალითს და არც ამ ოპერაციის გამ-

კეთებელ ხალხურ დასტაქრებს. გაცილებით უფრო ადრე, 1834 წ. ექიმმა რეინგარდტმა გამოაქვეყნა წერილი „ვონო-მედიცინსკი ჟურნალში“ (№№ 1,2 ნაწ. XXIV; 1834), სადაც წერს, რომ მას თვითონ უნახავს ზემოაღნიშნული ოპერაცია, რომელსაც დიდი ხელოვნებით აკეთებდნენ ძმები იაშვილები. ამგვარად, ამ მეტად სეროზული ოპერაციის მკეთებელი ხალხური დასტაქრებიდან მხოლოდ ძმები იაშვილებია გამოვლინებული.

საქართველოს სსრ ცენტრალურ ისტორიულ არქივში აღმოჩნდა საკმაოდ საინტერესო მასალები, რომლებიც უსათუოდ ყურადღებას იმსახურებს ქართული ხალხური მედიცინის და საერთოდ ქართული მედიცინის ისტორიის შესწავლის საქმეში. 1819 წ. 29 ივნისს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი ხოვენი რაპორტს უდგენს კავკასიის მთავარმართებელს ველიამინოვს, რომ საქართველოს საექიმო მმართველობის ცნობით, თელავის მაზრის სოფ. ურიათუბნის მცხოვრები სახელმწიფო გლეხები გიორგი და სიმონ იაგულოვები (იაგულაშვილები) დიდი ხანია აკეთებენ მეტად სასარგებლო ოპერაციას კენჭოვანი დაავადების დროს. ისინი გამოძახებული იქნენ თბილისში და სამედიცინო მოხელეთა თანდასწრებით მათ გაუკეთეს ოპერაცია ერთს 6 წლისა და მეორეს 11 წლის ბავშვს. ხოვენი თხოულობს, რომ იაგულაშვილები დაჯილდოვებულ იქნან ვერცხლის მედლით. ველიამინოვმა შეიწყნარა ხოვენის წარდგენა საქართველოს საექიმო მმართველობის მოთხოვნის საფუძველზე და ორივე ძმა დაჯილდოვებულ იქნა ვერცხლის მედლებით (თითოეულმა ცალკე მიიღო). ორი ვერცხლის მედალი წარწერით წითელ ლენტზე „За усердие“. თან თითოეულ მათგანზე 1819 წლის 1-ლი აგვისტოს თარიღით გაცემულ იქნა ატესტატი № 603 სიმონ იაგულაშვილის და № 604 გიორგი იაგულაშვილის სახელზე. ატესტატის ტექსტი ასეთია:

„ატესტატი. თბილისის საექიმო მმართველობის შემოწმებით კენჭოვანი დაავადების ოპერაციის წარმოების ხელოვნებაზე, თელავის მაზრის სოფელ ურიათუბნის მცხოვრებს სახელმწიფო ყმას სიმონ იაგულაშვილს, ვერცხლის მედალი წარწერით წითელ ლენტზე „За усердие“ წახალისებისათვის, რათა მომავალშიც მიმართოს საზოგადოებისათვის ეგზომ სასარგებლო მოქმედებას, რის დასტურადაც ეძლევა მას ეს ატესტატი, ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით“. ხელს აწერს გენერალი ველიამინოვი. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენას „ქართული გაზეთიც“ გამოხმაურებია. იმავე 1819 წლის 19/IX გაზეთი ასეთ ინფორმაციას ათავსებს თავის ფურცლებზე:

„ავვისტოს კ(20) რიცხვსა თელავის უეზდის სოფლის ურიათ-უბნის მცხოვრებთა სახელმწიფო ყმათა ორთავე ძმათა იაგულოვთა ებოძათ ორდენის ლენტეხით ვერცხლის მედლები იმ წარმატები-სათვის, რომელიც აღმოუჩინათ მათ ქვის გამოღებისა და შირიმიანის კაცების მორჩენაში“.* ქართული ეროვნული მედიცინის მიმართ მაშინდელი მეფის ბიუროკრატიული მთავრობა კოლონიური ჩაგვრის საერთო პოლიტიკის პოზიციიდან მოქმედებდა. სრულიად გასაგებია და მოსაწონი «ემპირიკებისა» და შარლატანების წინააღმდეგ ბრძოლა, ამ მხრივ 1837 წელს** მიღებული ზომები და ჩატარებული ღონისძიებანი, მაგრამ განსწავლულ ქართველ ექიმებსაც, რომელთაც უმაღლესი სამედიცინო განათლება უმთავრესად იტალიაში ჰქონდათ მიღებული და ერეკლე მეფის კარზე დიდი პოპულარობითა და პატივით სარგებლობდნენ, აუკრძალეს საექიმო მოღვაწეობა მაშინ, როდესაც მთავრობა ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფდა საექიმო კადრებით ქვეყანას.*** მთელი 30 წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ დაისვა საკითხი თავადაზნაურთა წარმომადგენლებისა და მოსახლეობის მრავალგზის მოთხოვნით, რომ მათთვის მიეცათ საექიმო მოღვაწეობას ნებართვა, ზოგ მათგანს (ივანე ყარაშვილს) უფლებათა ზოგაერთი შეზღუდვით აძლევდნენ ნებას ხანგრძლივი ბიუროკრატიული მიმოწერისა და მრავალა ინსტანციის გავლის შემდეგ. ასეთ გარემოებაში ადგილობრივი საექიმო კადრებს აშკარა დისკრიმინაციის დროს გაკვირვებას იწვევს საექიმო მმართველობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ის ნაბიჯი, რომელიც მათ გადადგეს ძმები იაგულაშვილების მიმართ, მაგრამ, ჩანს, ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მოსახლეობაში და მათს ოპერაციებს დიდა ეფექტი მიუხდენია საექიმო მმართველობის ხელმძღვანელობაზე და ოპერაციაზე დამსწრე სამედიცინო მოხელეებზე.

საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის ფონდებში მივაკვლიეთ ერთ ანალოგიურ საქმეს, რომელიც აგრეთვე მეტად საინტერესო მასალას იძლევა. 1830 წ. 20/VI საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი მიმართავს საქართველოს საექიმო მმართველობას იმის შესახებ, რომ აზნაურმა ზაქარია ლომიძემ წარმოუდგინა მას განცხადება და შუამდგომლობანი ყარაბაღის კომენდანტის, ელიზავეტო-

* გაზ. ქართული გაზეთი, 1819, 19/IX № 29.

** ცენტრ. არქივი, ფ. 16, საქ. 5404.

*** ცენტრ. არქივი, ფ. 16, საქ. 334, 521.

პოლის პოლკის უფროსის და.მის მიერ ნაოპერაციებ ავადმყოფთაგან, რათა ის დაჯილდოვებულ იქნას კენჭოვანი დაავადების ოპერაციული მკურნალობის წარმოებისათვის. გუბერნატორი თხოვს საექიმო მმართველობას, რომ სათანადო მოსაზრება წარმოადგინოს ამის გარშემო. იმავე წლის 29/VI (მომართვა № 1130) საექიმო მმართველობა აძლევს შემდეგ პასუხს: „თქვენი აღმატებულების № 4417 განკარგულების შედეგად საექიმო მმართველობას პატივი აქვს მოგახსენოთ, რომ მან დაუშვა აზნაური ლომიძე, რათა გაეკეთებინა ოპერაცია ე. წ. ქვის ამოღება (lyhtotomia) 5 წლის ბავშვზე, რომელიც გააკეთა მან საკმაოდ კარგად, მაგრამ უხეში ინსტრუმენტებით, საექიმო მმართველობა ფიქრობს, დაუშვას ის მომავალშიც ამ ოპერაციის გაკეთებაზე. ამასთან ერთად მოგახსენებთ თქვენს აღმატებულებას, რომ ლომიძე არ იმსახურებს არავითარ ჯილდოს, რადგან ის ამ ოპერაციის გაკეთებისათვის ალბათ ღებულობს საკმაო გასამრჩელოს იმ ბავშვების მშობლებისაგან, რომელთაც უკეთდებათ ასეთი ოპერაცია“.

ხელს აწერს ინსპექტორი დეპნერა და ოპერატორი. როგორც ჩანს, საექიმო მმართველობის ხელმძღვანელობა ამჯერად ვერ შეხვდა ლომიძეს ისეთი გულუხვობით, როგორც იაგულაშვილებს, მისთვის ჯილდო ვერ გაიმეტეს ყოვლად გაუმართლებელი მოტივებით; ის თათქოს ვერ იმსახურებს ვერავითარ ჯილდოს, რადგან „ალბათ“ გასამრჩელოს ღებულობს გაკეთებული ოპერაციების სანაცვლოდ. რასაკვირველია, ჯილდოს დაკავება ამ მოტივით გაუმართლებელია. ლომიძისათვის ჯილდოს გაცემის საკითხი იმიტომ კი არ დასმულა, რომ ის გასამრჩელოს არ ღებულობდა ავადმყოფთაგან, არამედ იმიტომ, რომ, როგორც თვით ლომიძე ამბობს: ის ეძიებდა „განსაკუთრებულ ხერხებს (ხელოვნებას)“, რათა ეხსნა სასოწარკვეთილებისაგან მომაკვდავი ადამიანები, მაგრამ, როგორც შემდგომი საბუთებიდან ირკვევა, ცნობა „ოპერაციის... თავისუფალ წარმოებაზე“ მაინც გაცემულ იქნა.

საინტერესოა თვით ზაქარია ლომიძის თხოვნა, საიდანაც ირკვევა ზოგიერთი დეტალი მისი ამ დარგში მოღვაწეობის შესახებ. როგორც ჩანს, იგი თელავის მაზრის სოფ. ვაჭირის მცხოვრებია. უმთავრესად მუშაობდა თელავისა და გორის მაზრებში. იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ ორი წლით ყარაბახის ბეგს მიუწვევია, სადაც აკეთებდა ოპერაციებს. შემდეგში ქ. ელიზავეტოპოლის (კიროვობადი) მცხოვრებლების მიწვევით იქ, 10 ოპერაცია გაუკეთებია ისეთი ავადმყოფებისათვის, რომლებიც, მისივე თქმით, „სიკვდილის სარეცელზე იწვნენ“. ყველაფერ ამას ოფიციალურად ადას-

ტურებენ, როგორც თვით სამოქალაქო გუბერნატორის მომართვი-
დანაც (1830 20/VI, № 4417) ჩანს, ყარაბაღის კომენდანტი, ელიზავე-
ტოპოლის ოლქის უფროსი, ელიზავეტოპოლის ოლქის ექიმი შტაბ-
ლეკარი პეტრე კლაპიტანოვი, მაგრამ მათ მიერ გაცემული შუა-
მდგომლობები, სამწუხაროდ. საქმეში არ შემონახულა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილი
უკადრისობდა ექიმის პროფესიას, რის გამოც საექიმო განათლების
მისაღებად გასაგზავნი პირები, მთავარმართებელის პ. ციციანოვის
მიმართვით თუ ვიცხვლებთ (1803, 19/II № 11), შესაძლებელი იყო
შეერჩიათ მხოლოდ სომხებიდან და ძნელად — დარიბ ქართველ აზნა-
ურებშიც. 1828 წ. 31/I კი პასკევიჩი წერს ზაკრევესკის მიმართვაში,
(№ 72), რომ მან ვერ შეარჩია მედიკოქირურგიულ აკადემიაში გასა-
გზავნი კანდიდატები, რადგან აქაური ახალგაზრდები უმთავრესად
მიისწრაფიან სამხედრო სამსახურისკენო, „შეიძლება გადაჭრით
ვამტკიცოთ, რომ მათ არა აქვთ მიდრეკილება მეცნიერებისა-
დმი“, მტკიცედ დასკვნის პასკევიჩი. ქართველ თავადაზნაურთა
ზოგიერთი წარმომადგენლის ასეთი მოსაზრებისა და მათზე პასკე-
ვიჩის ასეთი წარმოდგენის ფონზე აზნაური ზაქარია ლომიძე მეტად
შთაგონებულ და საკუთარი პროფესიისადმი პასუხისმგებლობის
გრძნობით აღჭურვილ დასტაქრად გვევლინება, ამას ადასტურებს
მისივე სიტყვები თხოვნიდან: „დიდის კმაყოფილებით შევწირე თავი
შარდის ბუშტიდან ქვის ამოღების საქმეს“.

„ვიძიებდი მე განსაკუთრებულ ხერხებს გადამერჩინა ასეთი
ავადმყოფი“ და სხვ.

ამ ოპერაციას იგი მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან მანი-
პულაციად თვლის: „მე გავაკეთე ეს მნიშვნელოვანი ოპერაცია“.
„ჩემს ეგზომ მნიშვნელოვან უნარსა და შრომას“... და სხვ. იგი
აგროვებდა, შარდის ბუშტიდან ამოღებული ქვების კოლექციას,
რომელიც განცხადებასა და სხვა დოკუმენტებთან ერთად, როგორც
მისივე განცხადებიდან ირკვევა, მთავარმართებლისათვის წარუღ-
გენია.

საქართველოში შარდის ქვის ოპერაციებს, როგორც ძველი
სამედიცინო ძეგლებიდან ირკვევა, უძველესი დროიდან მისდევდ-
ნენ. თვით ქვას (კენქს) შირიმს უწოდებდნენ და ამ ოპერაციის გა-
მკეთებელ ექიმს — მეშირიმეს. ამგვარად, „მეშირიმოზა“ ხალ-
ხურ მკურნალთა შორის ერთგვარ ცალკე სპეციალიზებულ პროფე-
სიას წარმოადგენდა, რადგან თვით „აქიმნი“ ავადმყოფებს ურჩევ-
დნენ მეშირიმისათვის მიემართა. შირიმს სულხან-საბა ორბელიანი
განმარტავს როგორც ბუშტისა და თირკმლის ქვას. თვით „ქართუ-

ლი გაზეთის“ ზემოხსენებულ ინფორმაციაშიც (იაგულაშვილების შესახებ) კენჭოვანი დაავადება გაიგივებულია „შირიმიანთა“ დაავადებასთან.

XI საუკუნის ძეგლიდან „უსწორო კარაბადინიდან“ ირკვევა, რომ თირკმლისა და შარდის ბუშტის კენჭოვან დაავადებას საკმაოდ კარგად იცნობდნენ; როდესაც ის „ქვად შეიქმნების და მის მეტა ღონე არ არის, რომ მე შირი მე ე ბ მ ა გ ა რ ე ლ დ მ ა გ ა მ ო ა რ თ ვ ა ს“.

XV საუკუნის ძეგლში ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნში“ იმ დროისათვის საკმაო სიზუსტით აღწერილია კენჭოვანი დაავადების კლინიკა, კონსერვატულ-მედიკამენტურა მკურნალობის სხვადასხვა მეთოდები, მაგრამ „თუ არა წამალმან ვერ უშველოს და ეს ქვა ქუემო ბუშტეშიგან იყოს და ვერ უშველოს, მე შირი მე მ ა ნ ა მ ო ა რ თ ვ ა ს“. მაშასადამე, XIX საუკუნის 1-ლ ნახევარში ქართულ ხალხურ მედიცინაში ასე გავრცელებული ოპერაცია, ჩანს, უძველესი ქართული წარმოშობისაა.

ყველა ზემოხსენებულის შემდეგ სრულებით არ იწვევს გაკვირვებას XIX საუკუნის მე-2 ნახევარში ექიმ პანტუხოვის სიტყვები, რომ კავკასიაში ხალხური ექიმები-ქირურგები აკეთებდნენ მეტად რთულ მანიპულაციებს — თავის ქალას ტრეპანაციებს, საშარდე სისტემიდან ქვის ამოღებას, დიდი წარმატებით მკურნალობდნენ დამწვრობას, კრილობებს, მოტეხილობებს; კავკასიურ ხალხურ კონსერვატულ ქირურგიას „ჰქონდა ბევრი და უეჭველი უპირატესობა ე. წ. მეცნიერულის წინაშე და დახმარებისათვის ადგილობრივ ხალხურ ქირურგებს ხშირად ევროპელებიც მიმართავდნენო“.

ზემოხსენებულ დოკუმენტთაგან ვაქვეყნებთ მხოლოდ ზაქარია ლომიძის თხოვნის ტექსტს (ცენტრ. არქივი, ფ. 16, საქმე 4276).

მის აღმატებულებას საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს სტატსკი სოვეტნიკს და კავალერს პეტრე დამიანის ძე ზაველესის

თელავის მაზრის აზანაურის ზაქარია ლომიძის
თ ხ ო ე ნ ა

დიდი კმაყოფილებით შევწირე თავი საშარდე ბუშტიდან ქვების ამოღების საქმეს. მე ვეძიებდი განსაკუთრებულ (ხელოვნებას) ხერხებს გადამერჩინა ასეთი ავადმყოფობისაგან თვით სასოწარკვეთილი სნეულნი, რომელთაც ჰქონდათ არაჩვეულებრივი სიდიდის ქვები. გასული ორი წელიწადი ვიყავი მიწვეული ყარაბახის

ბეგისა და ელიზავეტოპოლის ქალაქის მცხოვრებთა მიერ, მე გავუკეთე ეს მნიშვნელოვანი ოპერაცია ათ კაცს ორივე სქესისას, ისეთი ხელოვნებით, რომ ზოგიერთი მათგანი, რომელნიც სიკვდილის სარეცელზე იწვნენ, აღსდგნენ. ყველანი ამჟამად კეთილსასურველად იმყოფებიან და არა აქვთ მცირეოდენი მიზეზიც კი უჩიოდნენ ამ დაავადებას.

ამგვარად, მე გადავარჩინე ათი კაცი ელიზავეტოპოლის ოლქში. სხვა მრავალი გორისა და თელავის მაზრებში. ამის შესახებ მომეცა მე მოწმობა ყარაბახის კამენდანტის მაიორ კალაგაევსკისაგან, ელიზავეტოპოლის ოლქის უფროსი მაიორი რეიტერისაგან შტაბ-ლეკარ კოლეგის ასესორ, კლაპიტანოვთან ერთად და მცხოვრებლებისაგან. ვურდგენ რა მათ თქვენს აღმატებულებას კეთილგანხილვისათვის, აგრეთვე წარმოგიდგენთ თვით ქვეებს.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენ როგორც გუბერნიის პატრონსა და მფარველს, მიაქციოთ ყურადღება ჩემს ეგზომ მნიშვნელოვან უნარსა და შრომას, გაწეულს ორი წლის განმავლობაში კენჭოვანი დაავადებით სასოწარკვეთილ ავადმყოფთა გადარჩენისათვის. რომელნიც გახანგრძლივებული მტანჯველი სიკვდილით უნდა მოკვდარიყვნენ.

გთხოვთ თქვენს ყურადღებასა და შუამდგომლობას მომეცეს ჯილდო ან წარჩინების ნიშანი, რათა ვისარგებლო კეთილმოქმედი მთავრობის წყალობით, რომ გულმოდგინედ გავაგრძელო ასეთი საზოგადოებრივი სამსახური.

ახნაური ლ ო მ ი ძ ე.

9 ივნისი,
1820 წელი.

თქმულება „ხოგაის მინდია“ ძველი ქართული მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით და ვაჟა-ფშაველას „გველის მჯამელი“*

„ხოგაის მინდია“ ერთი უძველესი თქმულებათაგანია ქართულ ფოლკლორში, მისი შექმნა წარმართულ ეპოქას ~~მეფეუფენება~~. ე. ი. მისი დათარიღება შეიძლება IV საუკუნეზე ადრინდელი ეპოქით, რადგან „ხოგაის მინდია“ თავისი შინაარსით, წარმართული პერსონაჟებით, ღვთაებებით ქართული წარმართული ეპოქის გარკვეულ სურათს ქმნის. უკანასკნელი გამოკვლევებით, ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებებით, „ხოგაის მინდია“ თითქოს ამ ეპოქის ლიტერატურული ძეგლია, ლიტერატურული ნაწარმოების გადმონაშთი. ფრაგმენტი და არა ფოლკლორი—ხალხური თქმულება. ჩვენი საკითხისათვის, ჩვენი ინტერესებისათვის მას ერთნაირი მნიშვნელობა აქვს; მხატვრული ნაწარმოებია ის თუ ხალხური თქმულება, ქართული მედიცინის თვალსაზრისით სულერთია. ამიტომ ჩვენ ამ საკითხის განხილვაზე არ შევჩერდებით.

თქმულების ერთი ძირითადი პირობაა თვით გველის. ამბობენ. განსაკუთრებით მკურნალობის კოდნის მხრივ, რის გამოთაც გახდა შემდეგში გველი მედიცინის საყოველთაო ემბლემად. გარდა ამისა. გველს საქართველოში, უძველესი დროიდანვე უკავშირებდნენ დოვლათიანობასა და ნაყოფიერებას, ის ქართველურ ტომებში ხან ოჯახის მფარველად და დამცველად გვევლინება, ხან უშვილო ქალათვის შვილიერების მომნიჭებელ არსებად.

ამიტომაც არის, რომ უძველეს კოლხურ, საკულტო დანიშნულების ბრინჯაოს ცულებზე ხშირად ვხვდებით გველის გამოსახულებას, ურბნისის არქეოლოგიურ მასალაში (ძვ. წ. აღ. XIV საუკ.) აღმოჩენილია ირმის შტო ცხვრის თავისა და 7 გველის გამოსახულებით. სა-

* წაკითხულ იქნა 1961 წ. 29/IX მედიცინის ისტორიკოსთა თბილისის სამეცნიერო საზოგადოების სხდომაზე.

კულტო დანიშნულების საგნები: ბრინჯაოს ცული (ცაგერის მუზეუმ-მიდან) ყელსაკიდი (ეშერის არქეოლოგიური მასალიდან) გველების გამოსახულებით სტილიზებული თავებით, თიხის ჭურჭლები (თრიალეთიდან. საფიქრებელია სამკურნალწამლო საშუალებათა შესანახად) გველების სტილიზებული ორნამენტებით, მიუთითებს, რომ გველი ქართულ აზროვნებაში, უძველესი, მითოლოგიური ეპოქიდან დაკავშირებული იყო ნაყოფიერებისა და მკურნალობის საკითხებთან, საექიმო-ბიოლოგიურ წარმოდგენებთან. ქართულ ხალხურ მედიცინაშიც გველს სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ. ზოგან გველის ტყავი წამლად მიაჩნდათ: ხევსურეთში სამკურნალოდ ხმარობენ ყვითელ ყვავილიან მინდვრის ბალახს, რომელსაც გველის წამალს ეძახიან. მათი აზრით. ეს წამალი ერთ ხევსურს გველმა ასწავლა*. ძველ ქართულ სამკურნალო ძეგლებში, კარაბადინებში ძალიან ხშირადაა გამოყენებული გველის ხორცი, აღწერილია მისი დამზადებისა და გამოყენების მეთოდები. ის ითვლებოდა ძვირფას წამლად: „იადიგარ დაუდში“ გველის ხორცი საუკეთესო წამლადაა მიჩნეული. „უსწორო კარაბადინში“ გამოყენებულია წამლად: გველის ერბო, გველის ტყავი, გველის ქერქი (ყანი ქერტლით), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს მოწოდებული აქვს კვერი, რომელიც „გუელის კორცითა“ მზადდება. მაგალითად: „აიღე: გუელი ძუელი და ოთხი თითი გაზომე თავით კერძო და გარდაკუეთო და აგრეთვე ბოლო და გაუპე მუცელი და ცმელი გამოიღე და სხვა შიგანური მისი გაყარე და მერმე დაქერ თუითო მტკაველიდა მერმე გარეცხე წყლითა სამჯერ. მერმე შეაგბოლე ბურმისა ქონითა კარგად და კამა და მარილი ჩააგდე და მცირედ მუხუნდო და ურევედი, ვირემდის კარგად შეგბეს და დარჩულეს ჰორცი მისი და დარჩეს ძუალი მისი. მერმე აიღე ცეცხლისგან და ძუალი კიდე გაყარე და ჰორცი მისი დაგალე კარგად და ცმელი აგრეთვე თანა შეგბოლე. მერმე აიღე ნაწილი ერთი საფუვრის პური და ოთხად ნაწილად გაყავ. ესე ჰორცი და ერთი ნაწილი ისე საფუარის პური და მერმე შეურეე ერთგან და დაგალე კარგად. ცმელი იგი კულა ურეე და რა კარგად გაერიოს, მოიღე ბალასნის ზეთი და ჰელი მით დაისოვლე და შექენ კუერები თუითო მუტყალი გააქმე ჩრდილსა და ოდეს გაქმეს იმარე“.

აღნიშნული კვერი დიდი „თერიაყის“ შემადგენლობაში შედიოდა და ითვლებოდა მოწამლულის, გველისა და მორიელის ნაკბენის, ცოფის, მანკანაცის, ღორთელის, ლაყუას და სხვა მრავალ დაავადებათა სამკურნალოდ.

* გ. თ ე ლ ო რ ა ძ ე, ხუთი წელი ფშავ ხევსურეთში, გვ. 58.

მაშასადამე, არა მარტო ფოლკლორსა და ხალხურ მედიცინაში, არამედ ქართულ კლასიკურ სამედიცინო ძეგლებშიც კი გველი წამლად ითვლებოდა.

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ გველს მკურნალობის, ცოდნისა და სიბრძნის სიმბოლოდ თვლიდნენ. სწორედ ამაზეა აგებული როგორც უძველესი თქმულების, ისე თვით „გველის მკამელის“ სიუჟეტი. გველი როგორც ბრძენი და მეცნიერი შემდეგში ქრისტიანულმა რელიგიამაც აღიარა, ეს თვით სახარებაშიც აისახა; „იყვენით თქვენ მეცნიერ, ვითარც გუელნი და უმანკო ვითარცა ტრედნი (მათე, 10, 16).

მინდიაზე გავრცელებულ ლეგენდას, როგორც ჩანს, შემდეგში სახელგანთქმულ ექიმებზე ავრცელებდნენ, მინდიას თვისებებით მოსავდნენ საქართველოში სიბრძნითა და მეცნიერებით სახელმწიფე-ქილ უცხოელ ექიმებს. „იადიგარ დაუდის“ ვარიანტში A (XVII საუკ. I ნახ.) ჯალინოზისადმი (გალენისადმი) არის მინდიას სიბრძნე მიწერილი:

„ჯალინოზ აქიმი ასეთი აქიმი და ფილასოფოსი იყო, რომე სადაც გაიარის ან საცა ხე, ბალახი დახუდის, ყველგან ხემან და ბალახმან ენა ამოიდგის და ჯალინოზ აქიმს ხმაი სცეს და უანბის თუ ბრძანებითა და შეწევნითა ღმრთისათა მე ეს და ესე მქვიანო, და მე ესეო. მე ამ სენისა და ჭირის მკურნალი და აქიმი ვარო და ესეო“.*

აღ. ხახანაშვილს თავის წიგნში“. «Очерки по истории грузинской словесности»** მოჰყავს ლეგენდა ჯანაოზის შესახებ. აქაც ჯანაოზს (გალენს) საექიმო სიბრძნე თითქოს გველის ხორცის შეჭმით ჰქონდა მიღებული, რასაც მკაცრი საიდუმლოებით ინახავდა, მაგრამ ერთმა ახალგაზრდამ გაუგო საიდუმლოება, თვითონაც მიიღო ჯანაოზის გველი ხორცის მწვადიდან ჩამონაწვეთი ქონი და ისიც ბრძენი გახდა, რომელმაც თვით ჯანაოზს აჯობა მკურნალობის ხელოვნებასა და სიბრძნეში. ჯანაოზს მინდიასებურად ესმოდა მცენარეებისა და ბალახების საუბარი. ყოველი მცენარე ესაუბრებოდა ჯანაოზს მე ესა და ეს მცენარე ვარ და ამა და ამ დაავადებას ვშველიო და სხვ. ჯანაოზისა და მინდიას ლეგენდა სიუჟეტურად ერთიმეორეს იმეორებს და ძირითად იდენტურია. როგორც ჩანს, აღ. ხახანაშვილს ლეგენდა რომელიღაც ხელნაწერი კარაბადინიდან აქვს აღებული, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მიუთითებს ხელნაწერის ნომერს და ჯერჯერ-

* „იადიგარ დაუდი“. ლ. კოტეტიშვილის პუბლიკაციით გვ. 627.

** Л. С. Х а х а н о в «Очерки по истории грузинской словесности», Москва, 1895, 306.

რობით ჩვენთვის უცნობია ხსენებული ლეგენდის შემცველი სამედიცინო ძეგლი, კარაბადინი, გარდა ზემოხსენებული „იადიგარ დაუდის“, რომელიც ალ. ხახანაშვილის მიერ გამოყენებული წყარო არ უნდა იყოს, რადგან ისინი საკმაოდ განსხვავდება ურთიერთისაგან სიუჟეტურად. მეტად საინტერესოა მინდიას თქმულებისა და ჯანაოზზე არსებული ლეგენდის პირველადობის საკითხი. კარაბადინებში ქართველი ავტორების მიერაა შეტანილი მინდიაზე თქმულება, იმ მიზნით, რომ სახელგანთქმული ექიმის გალენის დიდი სახელი კიდევ უფრო გაეზვიადებიათ თუ ქართულ კარაბადინებში უცხოური წყაროებიდან მოდის ის?

უდავოა მინდიას ქართული ლეგენდა პირველადი და უძველესია. ხალხში ჯანაოზის დიდ მკურნალ ექიმად და ბრძნად დამკვიდრების შემდეგ მინდიაზე არსებული თქმულება ჯანაოზს მიაწერეს. ბრძენა მინდიას ამბავი მიაწერეს ბრძენ ჯანაოზს ისე როგორც ერთი რომელიმე გმირის რაინდულ თავგადასავალს ხალხი მეორე გმირს ან ისტორიულ პიროვნებას მიაწერს ხოლმე. რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ხალხურ ზეპირსიტყვაობაში. აღსანიშნავია, რომ აბ. იაშვილი,* რომელსაც ალ. ხახანაშვილისაგან აქვს აღებული და ციტირებული ჯანაოზზე ლეგენდა დასძენს: „ეს ლეგენდა მე ახალგაზრდობაში მომისმენია სხვაგვარად ნათქვამიო“.

არა მარტო მედიცინის წერილობით ძეგლებში, არამედ ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც ყოფილა გავრცელებული ხსენებული ლეგენდა ჯანაოზის სახელით.

ამბ. გაჩეჩილაძე მიუთითებს „ხოგაის მინდიაზე“ არსებულ სხვადასხვა პოეტურ და პროზაულ ვარიანტებს** კახურ და ქანურ თქმულებებს, სადაც თითქმის იგივე ამბავია მოთხრობილი, რაც ხევსურულ „ხოგაის მინდიაში“, მაგრამ ამ თქმულებების პერსონაჟი უკვე მინდია არაა. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ „ხოგაის მინდია“ ქართული, ეროვნული თქმულებაა, რომელიც ქართველურ ტომებში სხვადასხვა ვარიანტების სახით გავრცელებულა უძველესი დროიდან.

„ხოგაის მინდიაზე“ აღრინდელ, ქართული თქმულება „ამირანში“, როგორც გარკვეულია „საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა კულტურის ურთიერთ ბრძოლასთან“. აქ ასახულია კულტურის დაბალი და მაღალი საფეხურის ურთიერთბრძოლა, „ხოგაის მინდიაში“, ვფიქრობთ, ასეთივე პროცესი აისახა, მხოლოდ, სწორედ ჩვენთვის საინტერესო, მედიცინასთან დაკავშირებული საკითხების ფონზე.

* А. О. Яшвили. Народная медицина в закавказском крае, 1904.

** იხ. დასახ. წიგნი, გვ. 12—24.

მაგრამ ეს პროცესი თქმულებაში მხოლოდ ყრუდაა ასახული ან-
და ამ პროცესზე აშკარად მიმთითებელი ფრაგმენტი დღემდე ვერ
მოძებნულა, ამოვარდნილა. ხოგაის ძის ჩვეულებრივი ადამიანიდან—
ბრძნად, მისნად გახდომა და შემდეგ მისი კვლავ ჩვეულებრივ ადა-
მიანად მოქცევა რამაც მისი ტრალიკული დასასრული გამოიწვია, რა-
ლაც დიდ მოვლენას, დიდ წინააღმდეგობას უნდა გამოეწვია. კერძოდ.
ეს უნდა გამოეწვია სიბრძნის, ახალი აზრის კონფლიქტს ძველი იდეე-
ბის მატარებელ საზოგადოებასთან.

ასევე აქვს გაგებული „ხოგაის მინდიას“ დედააზრი ვაჟა-ფშავე-
ლასაც და ამ ფონზეა გაშლილი პოემის მთელი სიუჟეტი. „ხოგაის
მინდიას“ საფუძველზე პოემა „გველის მკამელის“ შექმნის შესახებ
საინტერესოა თვით ვაჟას სიტყვები:

„ამ პოემისათვის ხალხის თქმულებამ მომცა მხოლოდ შემდეგი
მასალა: მინდია ქაჯეთს იყო ტყვედ; დამტყვევებელთ მოუხარშეს
გველი და აქამეს, რომ მოეწამლათ, მაგრამ საწამლავმა, ქაჯების მიერ
შემზადებულმა, ზიანის მაგივრად. არგო მინდიას—ხევისური შეიქნა
ბრძენი, იმას ესმოდა ყველა მცენარეთა, ყვავილების ენა. ამის წყა-
ლობით შეისწავლა აქიმობა, პირველი ჯანაოზი დადგა, ყველა მცე-
ნარე შესძახოდა: მე ამა და ამ სნეულების წამალი ვარო, ამგვარად
სახმარისი და ისიც ამ ყვავილებს აგროვებდა და ყოველგვარ სნეულს
არჩენდა, ამის მეტს ხალხური თქმულება მინდიაზე არაფერს გვეუბ-
ნებო, — ამბობს ვაჟა. მაგრამ ამჟამად ჩაწერილია და ა. გაჩეჩილა-
ძის მიერ გამოქვეყნებულია* „ხოგაის მინდიას“ მეტად საინტერესო
ვრცელი ხალხური ვარიანტი. ამ ვარიანტის მიხედვით, მინდიას
ბრძნად გახდომა გარკვეულ წინააღმდეგობათა და მასში ფიზიკური
და სულიერი ცვლილებების შედეგად ხდება, როცა „მინდიას გველი
შეუქამია, ველარ დაუსვენია და ცუდად შექმნილა. მაშინ გუგულების
ქალებმა მინდიას სამი ლოგინი გაუშალეს და უთხრეს: „პირველ ლო-
გინზე დაწევი, რო ველარ გაძლო მეორეზე გადადი, მეორეზე თუ
ვერ გაძლო, მესამეზე და მერე დაისვენებო“. მესამე ლოგინზე მინ-
დიამ მართლაც მოისვენა: როცა მინდიას გამოეღვიძა, ნახა ილლიის
ძირები დასიებია, ჯამებსავეით დაკვრია. გუგულებმა უთხრეს: „გაი-
ქერი ძირები და მკბენარები გადმოვო“, დაუჭრია მინდიას ილლიის
ძირები და ბევრი მკბენარები გადმოსულა, მინდიას სიმძიმე დაუ-
კარგავს, ისე დაზუბუქებულა, რომ უბეში ქვა ჩაუდევს, ქარმა არ

* ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე“ და პოემა „გველის
მკამელი“, 1959 წ. გვ. 24—29.

გამიტაცოსო. გველის ზორცის ჭამის შემდეგ მინდიას სმენია საუბარი ხეთა, ფრინველთა, ნადირთა, ყანის ყვავილთა და ბალახთა.“*

როცა მინდია თავის ქვეყანაში, ხევსურეთში ბრუნდება ის აქ ბრძენი ექიმი ხდება: „მინდის თავის ქვეყანაში სმენია მცენარეების, ცხოველების, ფრინველთა და სხვათა საუბარი. მინდიმ ბალახი ვერ მოთიბა, ხე ვერ მოჭრა, ყველანი ეუბნებოდნენ: ნუ მომჭრი მინდიო! — ნადირი ებრალებოდა და ვერ ზოცდა, ღღეში სამ ძნას ვერ მკიდა, თავთავი, მარცვალი, ეძახდა: „მინდი, ნუ მწირავ, ცით ფრთა მეცემისო, ამილეო“. მინდიას ებრალებოდა და ყველას აგროვებდა. ბალახნი, ყვავილნი ეძახდნენ—„მე ამის წამალი ვარ, მე ამისო“. მინდი არჩენდა დაჭრილებს. შუაზე გაკვეთილ ადამიანს გადააბამდა და სიკვდილს გადაარჩენდა... მინდი. ბოლოს რაზედაც დაფიცულ იყვ. იმას გადავიდა, ნადირ უხოცია, ხე მოუჭრია.“**.

ხალხურ ვარიანტში გარემოსთან წინააღმდეგობის მხოლოდ ნიუანსებია მოცემული, რადგან მინდიამ „ბალახი ვერ მოთიბა“, ხე ვერ მოჭრა“ ბოლოს კი იძულებული გამხდარა „რაზედაც დაფიცულ იყვ“, იმას გადასულიყო და ნადირ უხოცია, ხე მოუჭრია“. წინააღმდეგობათა ამ ნიუანსებს, შემდგომი განვითარება მისცა ვაჟამ თავის პოემაში. თქმულება როგორც წარმართული დროიდან შემორჩენილი წყარო, შეიცავს იმდროინდელ მხოფლმხედველობრივ ელემენტებსა და წარმოდგენებს ზოგად სამედიცინო-ბიოლოგიურ საკითხებზე: თქმულების სიუჟეტით, „წარმართული“ ხატები ქაჩეთს მიდიოდნენ „დასალაშქრავად“, ხატებს მინდია და თქმულების მეორე პერსონაჟი გახუა მიჰყავთ თან, ხატები მათ ეუბნებიან „ხორციელ ჩვენთან ვერ ივლით, გვამიდან ამოდით და ჩვენთან წამოდითო“. მინდია და გახუა გვამიდან ამოვლენ, გვამებს ხატები იქვე შეინახავენ. მობრუნებულთ გვამები ჭიამატლებდასეული დახვედრიათ. მათ არ სურდათ დამპალ გვამში ჩასვლა, მაგრამ ხატები აძალებენ თქვენ „ხორციელნი ხართ, ჩვენთან ვერ იცხოვრებთო“. ხატები ძალით ჩაიყვანენ მინდიას და გახუას სულს გვამებში. თქმულებაში ბუნებაც (მცენარეები, ყვავილები, პურის მარცვალი და სხვ.) გასულდგმულეულია, რაც ანიმისტურ მხოფლმხედველობას უკავშირდება, მაგრამ აქ საინტერესოაა გაშუქებული „ადამიანის სხეულისა და სურლის ურთიერთობის საკითხი. სული სხეულის გარეშე ცოცხლობს, არსებობს, როგორც თვითმყოფი, ღვთაებრივი, ცოცხალი ძალა, სხეული კი სულის გარეშე იხრწნება. „ჭიამატლები“, „მკენარები“ ნაწარმოებში სიმბოლიურად გამოხატავენ მიწიერ, ამქვეყნიურ ავად-

* იხ. ამბ. გაჩეჩილაძე, დასახ. წიგნი, გვ. 26.

** იქვე, გვ. 27.

მყოფობებს; რომლიდანაც ღვთაებრივი ადამიანის სხეული გაწმენდილია“*. საინტერესოდ არის აგრეთვე „შავი ჭირის“ „ჟამის“ გავრცელების ამბავი გადმოცემული და კეთილი „ხატების“ და მინდიას დამოკიდებულება შავი ჭირის გამავრცელებელ „მავნე სულებთან“.

„ერთხელ არხოტს მოსულან მავნე სულნი, ესენი ციღამტკაველნი ყოფილან. ყველა კაც ვერ დაუნახავ. უნახიან მინდის და გახუას, ხევსურეთს, რომ ჟამნ გაჩნდებოდეს, არხოტს, ამლას სიმაგრეში ხატები სტვირს ააძრახებდნენ. ჟამთ მოდენას, რომ გაიგებდნენ, ხალხი გაიხიზნებოდა არხოტიდან. ჟამნი მოსულან სამნი იმათ სამი ვ ი რ ი ჰყავდათ: შავი, წითელი და თეთრი. შავს ეკიდა შავთბია, წითელს წითელთბია და თეთრს თეთრთბია ისარი. იმით რიგას უსრევავე ისრები, შავს ვისაც დაჰკრავდეს მაშინვე ჰკვდებოდა, წითელს ვისაც დაჰკრავდეს ნახევრად კვდებოდა, თეთრი სულ არ კლავდა. მავნენი წამოსულან პირიქით ხევსურეთს. არხოტში უხოცავთ ხალხი; ზოგი კი გაღურჩენავ ხატს. მინდ შებრძოლებია მავნეთ. მინდი დაუტყვევებიათ და თან წაუყვანიათ. მთაზე რომ გადმომდგარან სამივეს დაუნახავთ გუღანის ჯვარი—ერთურთს უთხრეს—ბებერი ძაღლი, თეთრწვერა ზის თეთრ ცხენზე, ხელში ლახტი უჭირავს, არ ჩაგვიშობს, თავის ყმით სიგრგვლივ უვლისო.

ჟამნ, რომ პირაქით გადმოსულან, ვირებისად ბეურაებ დაუფარებავ, რომ გუღანის ჯვარმა არ გენახოსო. მინდი დაუყენებიათ ვირების მწყემსათ (ესენი მართლა ვირები კი არ ყოფილან, არამედ პაწაწა ბეწეწიკუები). პირაქეთ ხევსურეთს ერთი მწყემსი მოუკლამთ: გუღანის ჯვარს ხალხში არ მიუშვია, მავნენი დაულახვრავს. მინდი ხევსურეთით ჟამებმა გაიტყუეს ქაჭეთში; უცხო ქვეყანაში რო მიიყვანეს, მავნენი გაქრნენ. ქაჭებმა დაატყვევეს მინდი...“**

ამ პატარა ამონაწერში მეტად მეტყველადაა აღწერილი ეპიდემიის გავრცელებასთან დაკავშირებული წარმოდგენები უძველესი, წარმართული დროისა. ამ სურათში აღსანიშნავია შემდეგი მომენტები: აღსანიშნავია, რომ მაშინდელი წარმოდგენით, შავი ჭირის (და ალბათ საერთოდ ეპიდემიურ დაავადებათა) გამომწვევად თვლიდნენ ციღამტკაველებს—მავნე სულებს, რომელთა მიერ გასროლილი ისრები 3 სახისა იყო (წითელი, შავი, თეთრი). აქ უნდა იგულისხმებო-

* ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა ზოგაის მინდიაზე და პოემა „გველის მკამელი“. გვ. 46.

** ა. გაჩეჩილაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 25.

დეს ეპიდემიურ დაავადებათა სხვადასხვა სახეები მათი სიმძიმისა და სიმსუბუქის მიხედვით (შავი ქირი, ყვავილი, წითელა და სხვ.). უამის განენასთან დაკავშირებით „ხატები“ რომ სტვირს „ააძრახებდნენ“ იმის მანიშნებელია, რომ ეპიდემიის დროს რაღაც სახალხო ღონისძიება ჰქონდათ შემოღებული სტვირის ხმაზე საყოველთაო გაფრთხილების სახით, რომლის დროსაც მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას მიმართავდნენ თურმე: ხალხის გახიზვნას საცხოვრებელი ადგილებიდან. ეპიდემიის გამომწვევ მავნე სულებთან-ბოროტებასთან დაპირისპირებულია ღმერთები (გუდანი, ხანმატი, კოპალა და სხვ.) კეთილი სულების სახით. აღსანიშნავია, რომ ღვთაებებთან ერთად დაავადების წინააღმდეგ შეთანხმებულ ბრძოლაში წარმოდგენილია თვით ხორციელი ადამიანი, მინდიას სახით. მაგრამ თქმულებაში ყველაზე მნიშვნელოვან ამაღლ მიგვაჩნია მინდიას ბრძნად გახდომა, რამაც გამოიწვია ძველი მინდიას — ჩვეულებრივი ადამიანის (მაგრამ მაინც მკურნალის) უარყოფა, ე. ი. მანამდე არსებული ცოდნის, აზრების უარყოფა, რამაც თავის მხრივ განაპირობა საზოგადოებასთან მისი კონფლიქტი. გახდა რა ბრძენი მინდიამ შეიცნო ბუნების მანამდე უცნობი საიდუმლოებანი, ბალახთა და მცენარეთა სამკურნალო თვისებები. დაავადებათა მკურნალობისათვის საჭირო სამკურნალწამლო საშუალებათა ახალი შემადგენლობანი და შეუდგა მათ პრაქტიკულ გამოყენებას, თავის საზოგადოებასთან კონფლიქტში აღმოჩნდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მისი ბრძნად გახდომა გველის ხორცის შექმით ხდება, გველი კი ხომ სიბრძნის და კერძოდ საეჭიშო სიბრძნის სიმბოლო იყო უძველესი დროიდანვე როგორც ზევით ვნახეთ და აი; ეს „გამეცნიერებული“ ადამიანი ბუნებრივად, ძალაუწებურად კონფლიქტში აღმოჩნდა გარემოსთან. მინდია არ არის რაღაც განგებით „გამეცნიერებული“ პირი. აღსანიშნავია, რომ ის მანამდეც კი, სანამ გველის ხორცს, ამ „ცოდნისა და სიბრძნის“ კერძს შესჭამდა, აღწერილია თქმულებაში, როგორც ჰკვიანი, გონიერი, ინტელექტით სხვებზე მალა მდგომი, რადგან, როდესაც შავი ქირის მავნე სულები — ციდამტკაველები მივიდნენ, მათი დანახვა შეეძლო მხოლოდ არხოტელ მინდიას და შატილელ გახუას. „თქმულება მინდიაზე“ უდავოა წარმართული ეპოქის შემოქმედებაა და მონათმფლობელური წყობილების დროინდელი მოვლენა უნდა იყოს მასში ასახული, რადგან ცნობილია, რომ მონათმფლობელური წყობილებისათვისაა დამახასიათებელი პროფესიონალიზაცია, სწორედ ამ დროს მოხდა მკურნალის როგორც დამოუკიდებელი პროფესიის ჩამოყალიბება და ვფიქრობთ ამ პროცესისა და მასთან დაკავშირებული წინააღმდეგობებისა და კონფლიქტის ანარეკლი უნდა იყოს ასა-

ხული ლეგენდაში. „გველის მკამელში“ ვაჟას ხაზგასმული აქვს მინდიას კონფლიქტი (გარემოსთან, საზოგადოებასთან), რადგან ეს კონფლიქტი უფრო მწვავედ იგრძნობა აქ, ვიდრე ლეგენდაში.

ვაჟას მინდიაც უპირველესად ყოვლისა ექიმია, მისივე სიტყვებით, მან „შეისწავლა აქიმობა და პირველი ჯანაოზი დადგა... ყოველგვარ სნეულს არჩენდაო“. სხვათა შორის, აქ აღსანიშნავია, ისიც, რომ ვაჟას (და ალბათ საერთოდ ფშავ-ხევსურელთა წარმოდგენით) ჯანაოზი — დიდი რომელი მედიკოსის გალენის ეს ქართული სახელი—გამოცდილი და ყოვლისმცოდნე ექიმის, ბრძენი მკურნალის საერთო სახელად, სინონიმად აქვს მიჩნეული, და არა ისტორიულ პიროვნებად.

გველის ხორცის შეჭმა ვაჟას გამოყენებული აქვს როგორც სიმბოლო ადამიანის ცოდნის შეძენისა, ახალი „მეცნიერული“ იდეების ჩამოყალიბებისა:

„ახალად სული ჩაედგა,
ახალი ხორცი აისხა;
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუს, გაუხსნა.
ესმის ღღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მეცნარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ წვეალობენ.
რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო.

ვაჟა, მინდიას, როგორც გამეცნიერებულ ადამიანს, უკვე მაღალი გონების პატრონს, უპირისპირებს ჩვეულებრივ საზოგადოებას. ხევსურთ კრება მაიწვიეს მინდიას საქმის გასარჩევად, ჩალხია ამბობს:

„ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა,
ჩენც რად არ გაგვიგონა?...
ჩენც მისებრ კაცნი არა ვართ,
ჩენც ყურები გესხავ, მგონია!...

ჩალხი, საზოგადოება, ჩალხიას უწევს თანაგრძნობას:

—არ სტყუის არა, ჩალხია
მინდია ცრუობს სწორედა,
ათასხაირი ტყუილი
თვალწინ აგვიგო ყორედა.—

მაგრამ ვაჟა, მინდიას სახით „ხატავს“ „გამეცნიერებული“ მაღალი „ცოდნის“ ადამიანს, რომელიც ჩაწვდა ბუნების ზოგიერთ და კერძ. მ. შენგელია

ძოდ სამკურნალო საქმის საიდუმლოებას, „ამოიკითხა იგი და ახლა მას იყენებს თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის... მინდიას ცოდნა შეზღუდული ცოდნაა, მაგრამ იგი ახალი, მეცნიერული ცოდნაა. მინდია ჩასწვდა ბუნების სიღრმეს და მისგან ისწავლა როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ყოველგვარი ჭრილობის განმკურნებელი წამალი. ეს დიდი სახალხო მნიშვნელობის მიღწევა იყო.“*

ამგვარად, თქმულებაში „ხოგაის მინდია“, ისე როგორც „ამირანსა“ და ესქილეს „მიჯაჭვეულ პრომეთეში“, გვაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურის განვითარებაში ახალი მოვლენის ასახვა. ძველი და ახალი მსოფლმხედველობის კონფლიქტი.

ვაჟა ფშაველამაც, თავის გენიალურ პოემაში „გველის მჭამელში“, თავისი დიდი პოეტური ინტუიციით სწორედ ასეთი განვითარება მისცა ამ საკითხებს.

ხოგაის მინდიამ ტრაგიკულად დაასრულა თავისი სიცოცხლე როგორც თქმულებით, ისე პოემით. მაგრამ მისი სიცოცხლის ტრაგიკული ბოლო ახლის, პროგრესულის, ცოდნისა და „მეცნიერების“ მარცხის მაუწყებელი კი არაა, არამედ თვით მინდიას უპრინციპობის, ჭეშმარიტების უარყოფითაა გამოწვეული. პირიქით, აქ ხაზგასმულია, რომ ახლისა და პროგრესულის შექმნა წინააღმდეგობებითა და ბრძოლით ხდება და გამარჯვებისათვის საჭიროა პრინციპულობა.

ამრიგად შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

თქმულება „ხოგაის მინდიაზე“ წარმართული (IV საუკუნეზე ადრინდელი) ეპოქის ძეგლია და ამგვარად ის ამ უძველესი დროის ყოფისა და მოვლენების ამსახველ წყაროს წარმოადგენს.

მინდია ძირითადად მკურნალია, ექიმი, და თქმულების სიუჟეტის საექიმო საქმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების ფონზეა გაშლილი.

თქმულებაში ასახული: ეპიდემიის გავრცელების, მინდიას ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის და მიღებული სახალხო ღონისძიებათა (სიგნალი — „სტვირის აძრახება“, მოსახლეობის გახიზვნა) საკითხები, მნიშვნელოვანი მომენტებია, რომლებიც ამ უძველესი დროის საექიმო საქმიანობის ფრაგმენტებს წარმოადგენენ.

თქმულებაში მსგავსად „ამირანისა“ და ესქილეს „მიჯაჭვეული პრომეთესი“ ასახულია: ძველისა და ახლის, პროგრესული იდეების ურთიერთბრძოლა, ძველის, პრიმიტიულის, უცოდინარობის ბრძოლა ცოდნასთან, სიბრძნესთან, ბუნების საიდუმლოების შეცნობასთან.

* ა. გ ა ჩ ი ლ ა ძ ე, დასახელებული წიგნი, გვ. 59.

ვაჟა ფშაველამაც, თავისი დიდი პოეტური ინტუიციით ასეთი განვითარება მისცა თავის პოემა „გველისმკამელში“ მოვლენებს, სიუჟეტს. ვაჟას მინდიაც თავისი სიბრძნით, ცოდნით, ახალი იდეებით (უმთავრესად საექიმო საქმეში სიახლით) კონფლიქტში, წინააღმდეგობებში აღმოჩნდა თავის საზოგადოებასთან ანუ ძველი კულტურის წარმომადგენლებთან.

მინდია, ძველი საქართველოს თემური თუ მონათმფლობელური წყობილების დროინდელი საექიმო პროფესიონალიზაციის მომენტის ამსახველი პერსონაჟია.

ამგვარად, თქმულება „ხოგაის მინდია“ და ვაჟა-ფშაველას „გველის მკამელი“ უძველესი ქართული მედიცინისა და სამედიცინო აზროვნების ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

კიდევ ერთხელ ათონის ივერთა მონასტრის საეპიმო საქმიანობის შესახებ

რამდენიმე წლის წინ ქართული მედიცინის ისტორიამ არ იყო და საეკლესიო სამონასტრო მედიცინის არსებობა, არ იყო ცნობილი საავადმყოფოებისა და საეპიმო საქმიანობის არსებობა ქართულ საეკლესიო-კულტურულ ცენტრებში: ათონში, პალესტინაში, პეტრიწონში, საბაწმინდის ლავრაში, ხანძთაში, გელათში და სხვ. მხოლოდ უკანასკნელმა გამოკვლევებმა გამოავლინა ათონის ივერთა მონასტრის განსაკუთრებული, ინტენსიური საეპიმო საქმიანობა. ჩვენ მიერ დადგენილ იქნა, რომ ათონის ივერთა მონასტერში XI საუკუნიდან არსებობდა საავადმყოფო, XIV—XV საუკუნისათვის აქ ორი საავადმყოფოს არსებობაა დადასტურებული და ერთი საკმაოდ კარგად მოწყობილი ლუპროზოორიუმისა, XV საუკუნის ათონელი მოღვაწე ექვთიმე მთაწმინდელი თავისი მონასტრით, ათონზე განლაგებულ მთელი მოწინავე ქრისტიანული სამყაროს საეკლესიო-კულტურულ ცენტრებს შორის, საეპიმო საქმიანობის ორგანიზაციის წელმძღვანელად ჩანს წყაროებში. ათონის ივერთა მონასტრის მოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა თარგმნა ბერძნულიდან სამედიცინო — ბიოლოგიური ტრაქტატი „დაბადებისათვის კაცისა“, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა ქართულ სამედიცინო-ბიოლოგიურ აზროვნებაში.

ამგვარად, ათონის ივერთა მონასტერი, დღემდე მოღწეული წყაროების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიის გარეთ მოქმედი კერებიდან საეპიმო საქმიანობის ყველაზე აქტიურ კერად მიგვაჩნია ფეოდალური საქართველოსათვის.

აღსანიშნავია, რომ ათონის ივერთა მონასტერი საეპიმო მოღვაწეობას საუკუნეების განმავლობაში ეწეოდა. ჩვენს მიერ 1961 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ცალკე თავად გვაქვს განხილული ათონ-

ნის მონასტრის საექიმო საქმიანობა სათაურით: „საავადმყოფოება ათონის ივერთა მონასტერში“, სადაც თანმიმდევრულად, საუკუნეების მიხედვით გვაქვს წყაროები ნაჩვენები: XI საუკუნეში საავადმყოფოს აშენება, ექვთიმე მთაწმინდელისა და გიორგი მთაწმინდელის საქმიანობა, (1412—1443 წწ.) მეფე ალექსანდრე პირველის მიერ საავადმყოფოს შენობის შეკეთება. (1502—1503 წწ). სამცხის ათაბაგის ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელის ძის შუგვაბუჯის მიერ ახალი შენობის აგება. 1755 წ. ტიმოთე გაბაშვილი ადასტურებს საავადმყოფოს არსებობას ათონში. 1788 წ. კი რუსის მიტროპოლიტმა იონა გედევანიშვილმა მოინახულა ათონი, და იგიც მიუთითებს საავადმყოფოს არსებობას. 1845 წ. კი რუსი მკვლევარი პორფირი უსპენსკი აღწერს ათონის საავადმყოფოსა და ლეპროზორიუმს. ამგვარად, ათონის ივერთა მონასტერში საექიმო საქმიანობა შეუწყვეტელ ტრადიციულ საქმიანობადაა მიჩნეული მთელი 800 წლის განმავლობაში. ცხადია, მოსალოდნელი იყო, რომ ეს საქმიანობა მეცნიერების განვითარების თანადროულ დონეზე მდგარიყო ყოველთვის. მოსალოდნელი იყო, რომ აქ, მიუხედავად ქართული ქრისტიანული ეკლესიების რეგლამენტაციისა, პრაქტიკული ხასიათის სამედიცინო ლიტერატურა ყოფილიყო გამოყენებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკა ჯერჯერობით მიუკვლეველია.

1962 წლის 10/1 გაზეთ „კომუნისტში“ (№ 8) გამოქვეყნდა პროფესორ იასე ცინცაძის წერილი სათაურით: „დიდი მეგობრობის ისტორიიდან“, საიდანაც ირკვევა შემდეგი: XVII საუკუნის ორმოცდაათიან წლებში რუსეთის პატრიარქმა ნიკონმა გადასწყვიტა ქრისტიანული საეკლესიო ლიტერატურის ბერძნულ დედნებთან შედარება და სტამბური გამოცემა. მაგრამ რუსეთის პატრიარქის ბიბლიოთეკაში მხოლოდ 6 ხელნაწერი აღმოჩნდა, პატრიარქმა ნიკონმა გადასწყვიტა ათონში მიეღლინა რუსი სპეციალისტი და შეეძინა ბერძნული დედნები (ხელნაწერები). ამ მიზნით მან 1654 წელს არსენ სუხანოვი მიაავლინა ქალკედონის ნახევარკუნძულზე. სუხანოვმა გულდასმით მოიძია იქ განლაგებულ მონასტრებში საჭირო წიგნები და ხელნაწერები და 498-მდე დასახელების ხელნაწერი წიგნები შეიძინა კიდევ. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი საჭირო წიგნები მან ათონის ივერთა მონასტრიდან შეიძინა. წამოღებული წიგნების რაოდენობა ასე ნაწილდება სხვადასხვა მონასტრებზე: 156, 61, 52, 34, 33, 26, 18, 14, 9, 8, 6, 3, 2, 1. ამათგან 156 დასახელება ათონის ივერთა მონასტრიდან არის წამოღებული. ცხადია, ეს ფაქტი ამ მონასტრის ბიბლიოთეკის სიმდიდრეზე მიუთითებს უსათუოდ.

ამგვარად, ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკის ნაწილი გადაჩენილად და მიკვლეულად უნდა მივიჩნიოთ. ისინი მოსკოვის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში ინახება, მაგრამ ქართველ მკვლევართათვის ჯერ კიდევ უცნობია და კვლევისა და შესწავლის საგნად არ გამხდარა.

ჩვენ შევეცადეთ პროფ. ი. ცინცაძის მიერ მიკვლეული და მითითებული წყაროები შეგვესწავლა ქართულ მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით, რამაც გარკვეული შედეგი მოგვცა.

ათონიდან წამოღებული ხელნაწერი წიგნების აღწერილობა მოცემული აქვს ს. ბელოკუროვის თავის მონოგრაფიაში.*

ამ აღწერილობიდან ირკვევა: ქართველთა მონასტრიდან წამოღებული წიგნებისა და ხელნაწერების დასახელებანი, მათი შინაარსობლივი ხასიათი, რაც ერთგვარ წარმოდგენას იძლევა თვით იმ ბიბლიოთეკის საქმიანობის შინაარსსა და ხასიათზე.

ირკვევა, რომ ათონის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავის ხელნაწერ წიგნთა ფონდი უაღრესად მრავალფეროვანია, ის მოიცავს თეოლოგიურის გარდა პოეზიას, პროზას, დრამატურგიას, ისტორიას, ფილოსოფიას, ფილოსოფიის ისტორიას, მათემატიკას და უმთავრესად საერო ხასიათის თხზულებებს. აქ ვნახულობთ დიონისე არეოპაგელის თხზულებებს, სტრაბონის გეოგრაფიას (17 წიგნად; XV საუკუნის ხელნაწერი) ფილოსოფიური, რიტორიკული, გრამატიკული, მათემატიკური შინაარსის სტატიების კრებულს (XVII საუკუნის ხელნაწერი), ბერძენი ფილოსოფოსების ბიოგრაფიების კრებულს (XVI საუკუნის ხელნაწერი), საბერძნეთის გეოგრაფიას (XVI საუკუნის ხელნაწერი), ჰომეროსის ოდისეას შენიშვნებითურთ (XIII საუკუნის ხელნაწერი), სოფოკლეს ტრაგედებს: აიაქსი, ელექტრა და მეფე ოიდიპოსი, თვით სოფოკლეს ბიოგრაფიით (XIV საუკუნის ხელნაწერი), ესქილეს ტრაგედიას მიჯაჭვულ პრომეთეზე (XII საუკუნის ხელნაწერი), არისტოტელეს შრომებს ლოდიკასა და ფიზიკაზე შენიშვნებითურთ (XVII საუკუნის ხელნაწერი), ეზოპის იგავებს და სხვა მრავალს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ათონის ქართველი მოღვაწეების დაინტერესების სფერო ყოფილა მეტად მრავალფეროვანი და მათი მეცნიერული დიაპაზონი მეტად ფართო.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა, რომ ქართველთა მონასტრიდან გატანილ ხელნაწერ წიგნებს შორის საკმაო რაოდენობითაა სამედიცინო ხასიათის წიგნები.

1. ალექსანდრე ტრალიანის 12 წიგნი თერაპიაზე და მაჰმადიანი

* С. Белокуров, «Арсений Суханов» — исследование Сергея Белокурова, ч. 1, Москва, 1891.

ექიმის რაზას „Рассуждение о моровой язве“ (XV საუკუნის ხელნაწერი).

2. ექიმი ორიბაზის სამედიცინო შინაარსის 4 წიგნი (XVI საუკუნის ხელნაწერი).

3. სხვადასხვა შინაარსის სტატიების კრებული, რომელიც შეიცავს ექიმ გალენის სამედიცინო თხზულებებს (XVI—XVII საუკუნის ხელნაწერი).

4. ექიმ გალენის სხვადასხვა სამედიცინო თხზულებათა კრებული (XV—XVI საუკუნის ხელნაწერი).

მაგრამ ივერთა მონასტრიდან წაღებული 156 ხელნაწერიდან ს. ბელოკუროვის აღწერილობაში 26 ხელნაწერის (№. №. 13, 16, 26, 44, 51, 62, 70, 72, 79, 85, 87, 99, 101, 104, 106, 115, 124, 129, 132, 134, 138, 143, 145, 149, 156) სათაური და შინაარსი გაურკვეველია და რიგითი ნომრის დასახელების შემდეგ კითხვის ნიშანი უზის, ამიტომ შეუძლებელია ამ 26 ხელნაწერის ხასიათის გარკვევა. შესაძლოა ეს სათურდაუდგენელი ხელნაწერებიც სამედიცინო შინაარსის ხელნაწერი წიგნები იყოს.

1660 წლის 15 თებერვალს რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი ათონის ივერთა მონასტრის მესვეურების მიერ გაგზავნილი „გრამოტიდან“ ირკვევა, რომ მათ არხ. დიონისეს საშუალებით კიდევ გაუგზავნიათ 14 ხელნაწერი გარდა არსენი სუხანოვის მიერ წამოღებული 156 ხელნაწერისა.

«По повелению превысочайшаго Вашего Царствия, Книг многих добрых и надобных по счету, 156 книг, которые сам (ლაპარაკია ა. სუხანოვზე — მ. შ.) выбрал из книгохранительного места нашего монастыря; да мы же послали с архимандритом нашим Дионисием иных книг 14».

ამ 14 ხელნაწერს შორის აღწერილობაში დასახელებულია „ექიმ გალენის სამედიცინო თხზულებები (XVI საუკუნის ხელნაწერები).

მაშასადამე. ათონის ივერთა მონასტერს არსენი სუხანოვის გამოგზავრების შემდეგაც არ შეუწყვეტია წიგნების გაგზავნა რუსეთში. საინტერესოა, რომ ივერთა მონასტრის უშუალოდ რუსეთის მეფესთან მიწერილობის საშუალებით ხერხდება მეტად მნიშვნელოვანი კულტურული ურთიერთობის ფაქტის დადგენა სამეცნიერო წიგნების, კერძოდ სამედიცინო წიგნების, გაგზავნის სახით.

ამგვარად, სამედიცინო ხელნაწერი წიგნების სულ 6 დასახელების ათეულობით ტომებია ათონის ივერთა მონასტრიდან რუსეთში

* С. Белокуров — Арсений Суханов, ч. I, Москва, 1891, С II.

წალებული. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს წიგნები ათონის ივერთა მონასტრის საავადმყოფოებში მომუშავე მკურნალთათვის სახელმძღვანელო იქნებოდა. ათონის წიგნთსაცავის ამ მცირე ნაწილში ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის კლასიკური სამედიცინო წიგნების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ათონის ივერთა მონასტრის საექიმო საქმიანობა და სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნება იმ დროისათვის შესაფერისად მაღალ მეცნიერულ დონეზე იდგა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ათონის ივერთა მონასტერს XVII საუკუნეში ცხოველი ურთიერთობა ჰქონია დასავლეთ ევროპასთანაც. რადგან არ. სუხანოვის მიერ წამოღებულ ხელნაწერებს შორის 10 სტამბურად ნაბეჭდი წიგნი აღმოჩნდა, მათ შორის 4 ივერთა მონასტრიდან. 1499, 1527, 1581 და 1548 წელს ფრანკფურტსა და ფლორენციის სტამბებში ნაბეჭდი წიგნები.

უნდა ვიფიქროთ, რომ არსენ სუხანოვისათვის მიცემული წიგნები ერთგვარი „ზედმეტობა“ იყო ივერთა მონასტრის წიგნთსაცავისათვის, და მათი წიგნადი ფონდი კვლავ მრავალფეროვანი და მდიდარი დაჩნდებოდა, მონასტრის მესვეურთა გულუხვობა წიგნების გაცემაში და გასაცემი წიგნების სიმრავლე უსათუოდ ამ წიგნთსაცავის სიმდიდრეზე მიუთითებს.

როგორც ვიცით საექიმო პრაქტიკული და საკუთრივ სამედიცინო-ლიტერატურული საქმიანობა რეგლამენტირებული იყო ქართული ქრისტიანული ეკლესიის კლერიკალური ძალების მიერ, მაგრამ „მიუხედავად ამისა, ქართულ სამონასტრო სისტემაში „ხორციელი“ მკურნალობის საქმე მაინც სათანადოდ დაფასებული და ორგანიზებული ჩანს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რეაქციულ-კლერიკალურ ძალებთან შედარებით პროგრესული ძალები დომინანტობდნენ.“* ეს აშკარად ჩანს თვით ათონის ივერთა მონასტრის მოღვაწეობიდან, რომელიც მეტად ინტენსიურ პრაქტიკულ-საექიმო საქმიანობას ეწეოდა, როგორც ეს ზევით ვუჩვენეთ, ამ ახალი მასალებით კი მონასტრის წიგნთსაცავის შინაარსობლივი მრავალფეროვნებით. საერო წიგნებისა და მათ შორის კლასიკური პრაქტიკულ-სამედიცინო შინაარსის თხზულებების სიუხვით, ათონის ივერთა მონასტრის საექიმო საქმიანობა უფრო სრულყოფილად გვესაზნება. ათონის ივერთა მონასტერი წარმოადგენდა არა ფანატიკოს ბერთა საკრებულოს, არამედ ფეოდალური ეპოქის უდიდეს სამეცნიერო-კულტურულ ცენტრს, რომლის ერთ-ერთ მთავარ საქმიანობას, როგორც ირკვევა, მედიცინა წარმოადგენდა.

* იხ. მიხ. შენგელია, მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, თბილისი, 1961, 128—131.

იოანე პეტრიწონელი და „პრაქტიკის“ ავტორობის პრობლემა

„შენ ფილოსოფოსო, საქმე მონასმინანი
შენ სტოიკებრნი, სიტყვთ სპეკალმინანი,
შენ პერიპატოს, ცნობანი საღმინანი,
მოაქართულენ, ქართლი ჰქმენ ათინანი,
კირნი წარგჳხადენ, უშეცარ საწყინანი.

ანტონ კათალიკოსი.

საკითხის ისტორია ასეთია: მსოფლიო მედიცინის ისტორიაში ცნობილია მედიცინის პრაქტიკული სახელმძღვანელო „პრაქტიკის“ სახელწოდებით, რომელიც სახელმძღვანელოდ ითვლებოდა X საუკუნის მეორე ნახევარში საყოველთაოდ ცნობილ სალერნოს სკოლაში. „პრაქტიკის“ ავტორობის საკითხი დღემდე დაუდგენელია. მის ავტორად თვლიან პეტრიცელს, პეტრონცელს, პეტროცელს, პეტრონიას, მაგრამ ვინაობა ჯერ კიდევ გაურკვეველია. 1951 წელს ჩვენ მიერ წამოყენებულ იქნა ჰიპოთეზა „პრაქტიკის“ ავტორის, ვინმე „პეტრიცელი, პეტრონცელი, პეტროცელი, პეტრონიას“ იოანე პეტრიწონის იდენტურობის შესახებ, რის შესახებაც 1951 წ. გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (№ 20) გამოვაქვეყნეთ წერილი „იოანე პეტრიწონელის დღემდე უცნობი ნაწარმოების ძიებისათვის“. ამის შემდეგაც არ შეგვიწინებია კვლევა-ძიება ამ მიმართულებით როგორც ქართულ წყაროებში, ისე უცხოურ ლიტერატურაში; დავეუკუშირდით რა საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა მუზეუმებსა და სამეცნიერო ცენტრებს, შევაგროვეთ შემდეგი მასალები ამ საკითხის გარშემო:

1. „პრაქტიკის“ ლათინური თარგმანის XI საუკუნის ხელნაწერისა და 1856 წელს ნეაპოლში სტამბურად გამოცემული ტექსტის ფოტოპირები (1 წიგნის).

2. „პრაქტიკის“ II და III წიგნის სარჩევი და ფრავმენტი.

3. „პრაქტიკის“ გვიანდელი მოკლე ვარიანტის ე. წ. Cura Petroncelli-ს ფოტოპირი.

(სამივე მიღებულია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან).

4. „პრაქტიკის“ ერთ-ერთი მოკლე კარიანტის, ანგლო-საქსური თარგმანის, ხელნაწერისა და მისი 1866 წლის ლონდონის სტამბურა გამოცემის (პარალელურად თანამედროვე ინგლისური ენით თარგმნილი) ფოტოპირები (მიღებული ბრიტანეთის მუზეუმიდან).

მიღებული მასალების ქართულ წყაროებთან შეჯერების შედეგები ჩვენ მოვახსენეთ თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიას 1954 წ. 14/11—და მედიცინის ისტორიკოსთა პირველ საკავშირო კონფერენციას ლენინგრადში 1959 წელს. ეს მოხსენება მოკლედ დაბეჭდილია 1959 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ 7). ხსენებულ შრომაში ჩვენ ჩამოვყალიბეთ მოსაზრებები „პრაქტიკის“ ავტორად იოანე პეტრიწონელის ცნობის შესახებ.

ამ პრობლემის მეცნიერული კვლევის ისტორია, ლოგიკური დასკვნებისა და შემდეგ მიკვლეული მასალების თანადამთხვევები, მოსაზრებებისა და შემდეგ დადგენილი ისტორიული ფაქტების ურთიერთშეჯერების თანმიმდევრობა, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის, ამიტომ უცვლელად მოგვყავს ამ საკითხზე ჩვენ მიერ 1954 წელს შესრულებული შრომა:

ქართული მედიცინის ისტორიული ფესვები შორეულ წარსულში იკარგება. დღემდე შემორჩენილია ისტორიული მასალები, მატერიალური კულტურის ძეგლები, წარმართული სარწმუნოების გადმონაშთები, ფოლკლორული მასალები, რითაც აშკარად მტკიცდება, რომ ქართული კულტურა და კერძოდ, ძველი ქართული მედიცინაც უკავშირდება სუმერელთა და ხეთა-სუბარელთა კულტურას, რომლებიც ქართველი ერის წინაპრებად ითვლებიან. ეს კი საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სუმერული კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის აკვანია. ასევე მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესთაგანია ქართული დამწერლობა. მაგრამ უძველესი დროის ქართული დამწერლობითი ძეგლები არ შემონახულა იმ განსაკუთრებული პირობების გამო, რომელშიც უხდებოდა ქართველ ერს ცხოვრება მთელი ათეული საუკუნეების მანძილზე — ერთი მხრივ, რელიგიურმა ბრძოლებმა, მეორე მხრივ, უცხო სახელმწიფოების დაპყრობითმა გამანადგურებელმა ომებმა გაანადგურეს უძველესი ქართული კულტურის ნაშთები. ასე გრძელდებოდა XVIII საუკ. მიწურულამდე, სანამ ქართველმა ერმა თავისი ბედი საბოლოოდ არ დაუკავშირა დიდ რუს ხალხს. მართალია, IV საუკუნეში ქართველთა მიერ ქრისტიანული სარწმუნოების აღიარება მისი კულტურული და საზოგადოებრივი განვითარების მაჩვენებელი იყო, მაგრამ მეორე მხრივ,

ეს სარწმუნოება ანადგურებდა წარმართული კულტურის ძეგლებს, ზელოვნებას, მწერლობას. სინას მთის ერთ არქაულ ქართულ ხელნაწერში აღწერილია ამ ეპოქის ერთი ბრძანება, იმის შესახებ, რომ დათრგუნვილ იქნას „ყოველთა კერპთმსახოვრთა მედგრობაჲ რა-ა შეკრიბნეს ყ-ნი წიგნნი მათნი და დაწოვნეს ც-ცხლითა“. განკარგულება მთელის გულმოდგინებით იქნა შესრულებული „და... შეკრიბნა ყ-ნი წიგნნი მათნი რ-ლ იყოვნეს ფ-დ მრავალ და დაწოვნა იგი შოვა ქ-ლაქსა“. მირიან მეფემ კი, რომელმაც ქართველ მეფეთა შორის პირველმა მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება და რომელმაც თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო მთლიანად ქრისტიანობის გავრცელება და წარმართული კულტურის განადგურება, თავის შვილს ბაქარს უანდერძა.

„და სადა პოვნე ვნებანი იგი ცხოველისანი, კერპანი, ცეცხლი-თა დაწვენ და ნაცარი შეასუ, რომელი მათ ესვიდენ, და ესე შვილ-თაცა შენთა ამცნე“.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ ეპოქაში სტამბა არ არსებობდა, წიგნები ვრცელდებოდა მხოლოდ ხელთნაწერებად, და ალბათ შედარებით ძლიერ მცირე რაოდენობით, ისიც კონცენტრირებული უმთავრესად სამეფო ქალაქში, ადვილი წარმოსადგენია, რომ ერის მთელი საუკუნეობრივი კულტურა ერთ კოცონს შეეძლო შთაენთქა. აი ამიტომ არ გაგვაჩნია წარმართული ეპოქის დამწერლობითი ძეგლები (და არც სამედიცინო წერილობითი ძეგლი). მიუხედავად ამისა, მაინც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქაში მედიცინა ეპოქის შესაფერ სიმაღლეზე იდგა საქართველოში. ამის საფუძველს გვაძლევს მატერიალური კულტურის ძეგლების, წარსული კულტურის დღემდე შემორჩენილი გადმონაშთების, ფოლკლორული და სხვა ისტორიული მასალების გულდასმით შესწავლა და შეჭერება.

ქრისტიანული ეპოქის შემდგომი საუკუნეების ლიტერატურული და ისტორიული წერილობითი ძეგლები კი დღემდე შემონახულია, თუმცა ძლიერ მცირე რაოდენობით, ისევე ზემოხსენებული განუწყვეტელი ომიანობისა და „უამთა სიავის“ გამო.

მაგრამ XI საუკუნემდე, ქანანელის „უსწორო კარაბადინამდე“ ორიგინალური წმინდა სამედიცინო ძეგლი მაინც არა ჩანს. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ IV საუკუნიდან ვიდრე XI საუკუნემდე საქართველოში სამედიცინო კულტურა მაღალ დონეზე იდგა. ამას ადასტურებს ამ საუკუნეების ისტორიული და მხატვრული ლიტერატურული ძეგლები: „ცხოვრება პეტრე ივერიელისა“, იაკობ ცურტაველის „წ-ბა წმინდისა შუშანიკისა“, მარტ. საბა

წმინდელის „სინანულისათვის სიმდაბლისა“, გიორგი მერჩულის „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ და სხვ., არმაზის არქეოლოგიური გათხრები და სხვა ისტორიული მასალები (რომელთა უფრო დაწვრილებითი განხილვა მოყვანილი გვაქვს აღრინდელ შრომაში — „ძველი ქართული მედიცინის ისტორიული ფესვები“, 1956).

აღსანიშნავია, რომ ამ ძეგლების შესწავლამ დაადასტურა, რომ ქართულ მედიცინას შორეული წარსული აქვს (მაშინ, როდესაც ქართული მედიცინის ისტორიას მხოლოდ IX საუკუნიდან ვიწყებდით); ნათელყო აგრეთვე სატაძრო მედიცინის არსებობა საქართველოში (მაშინ როდესაც ექ. ლ. კოტეტიშვილის მიერ მისი არსებობა საექვოდ და პრობლემურ საკითხად იყო მიჩნეული).

ქართული ქრისტიანული ეკლესიების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა სამკურნალო საქმე. საქართველოში VI საუკუნის ბოლოდან, განსაკუთრებით კი VIII საუკუნიდან, ჩნდება საეკლესიო კულტურული ცენტრები. ამ დროსაა შექმნილი ცნობილი საეკლესიო ცენტრები ხანძთა, ბანა, ოპიზა, შატბერდი, ოშკი და სხვ. გარდა ამისა, ქართული საეკლესიო კულტურული ცენტრები ჩამოყალიბებული იყო უცხოეთში: VI საუკუნიდან — პალესტინის საბაწმინდის ლავრა, X საუკუნიდან — ცნობილი ქართული მონასტერი ათონის მთაზე, სადაც მოღვაწეობდნენ იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, მონასტერი შავ მთაზე (სირიაში), ბალკანეთში — განთქმული პეტრიწონის მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწონელი.

აღნიშნულ მონასტრებში მოღვაწე სწავლულმა ქართველმა ბერებმა ასეულობით წიგნები თარგმნეს ბერძნულიდან, არაბულიდან. დაგვიტოვეს დიდძალი ისტორიული, ლიტერატურული და ფილოსოფიური ორიგინალური ქმნილებები, რომელთაგან ბევრმა ჩვენამდე მოაღწია, უმრავლესობა კი არა ჩანს. მაგრამ არცერთი წმინდა სამედიცინო თხზულება არ მოღწეულა, გარდა ნათარგმნი „კაცისა შესაქმნისათვის“, გრიგოლ ნოსელისა და იოანე პეტრიწონელის მიერ თარგმნილი „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც ზოგად ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ცნობებს შეიცავს მხოლოდ.

პრაქტიკული სამედიცინო ღირებულების მქონე წიგნი, ნათარგმნი თუ ორიგინალური, არა ჩანს. რაც თითქოს არაბუნებრივია. შეუძლებელია სენაკებში გამოკეტილ, განსწავლულ მოღვაწეებს, რომელნიც დღენიდაგ თავიანთი სამშობლოს კეთილდღეობისათვის იღწვოდნენ, არ შეექმნათ, ან არ გადმოეთარგმნათ სამშობლოს დაცვისათვის წარმოებულ მუდმივ ომებში მონაწილე თავისი ხალხისათვის ეგზომ საჭირო და პრაქტიკული სახელმძღვანელო მედიცინა-

ში. მაგრამ ასეთი არა ჩანს. ანდა ვერ მოაღწია ჩვენამდე, ისიც შესაძლოა, რომ ჩვენი კვლევები ამ მიმართულებით არაა დასრულებული.

ჩვენ განსაკუთრებით შევჩერდებით იოანე პეტრიწონელზე.

ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწონელი მრავალმხრივი მოღვაწე იყო, მისი ინტერესების სფერო მოიცავდა ფილოსოფიას, გრამატიკას, ასტრონომიას, მან თარგმნა არისტოტელეს შრომები, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ, პროკლე ღიადოხოსის წიგნი. რომელსაც დაურთო ვრცელი „განმარტებანი“ (კომენტარიები). ნე-მესლოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც უმთავრესად ზოგადი სამედიცინო ხასიათისაა და ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის საკითხებს ეხება. აღსანიშნავია, რომ ფილოსოფია და მედიცინა იმ დროს თითქმის განუყოფელი იყო, ყველა დიდ ფილოსოფოსს თავისი წვლილი შეჰქონდა სამედიცინო აზროვნების ისტორიაში.

იოანე პეტრიწონელი, რომელიც იოანე იტალის მოწაფე იყო კონსტანტინეპოლში, ამ უკანასკნელის გასამართლებსა და განდევნის შემდეგ მოღვაწეობდა გრიგოლ ბაკურიანის მიერ დაარსებულ ზემოდასახელებულ პეტრიწონის* მონასტერში. ეს ის დრო იყო, როდესაც ძველი არაბული და ბერძნული მედიცინა აღორძინების გზას დაადგა და იტალიის ერთ-ერთ ზღვისპირა ქალაქში სალერნოში — ჩამოყალიბდა უდიდესი, სამედიცინო სკოლა (მედიცინის ისტორიაში იგი ცნობილია „სალერნოს სკოლის“ სახელწოდებით). ეს სკოლა ერთ-ერთი ხიდი იყო ძველი არაბული და ბერძნული სამედიცინო აზრის გავრცელებისათვის დასავლეთში. ეს იყო კერა. სადაც ლათინურ ენაზე ითარგმნა იბნ-სინა (ავიცენა), ჰიპოკრატე, ხელახლა აღადგინეს გალენი, და მოჰფინეს დასავლეთის ქვეყნებს. სწორედ ამ დროს თარგმნა ალფანმა** ლათინურად ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“. ამ დროს გადმოიღო ქართულ ენაზე იოანე პეტრიწონელმა ზემოხსენებული წიგნი.

სავსებით ბუნებრივია, რომ იოანე პეტრიწონელი კარგად იცნობდა მედიცინას და საფიქრელია ჰქონოდა წმინდა სამედიცინო ხასიათის შრომებიც. გარდა ნემესიოს ემესელის თარგმანისა, ამას ადასტურებს აგრეთვე მისი იამბიკოები.

„ძვირის ზრახვა არს წვლილი სნეულებანი
იღუმალ შესრული, სიზრქედმი დაფარული,

* ამჟამად ბულგარეთშია. მაშინ საბერძნეთის დასავლეთ იმპერიაში შედიოდა, რომლის დომესტიკი იყო ქართველი გრიგოლ ბაკურიანი.

** ალფანი — ექმი, შემდეგში სალერნოს არქიეპისკოპოსი (1058—1085 წწ).

ან:

„სჯობს სიგლახაკე ცრუსა გამდიდრებასა
და სნეულობა ბოროტსა მრთელობასა“.

ან კიდევ:

„წყლული ახალი ადვილ საკურნებელ არს,
ხოლო ძველ ქმნილი უღებებადა მოსრული
წამალთა დიდთა, ხელოვანთა მკურნალთა
— მოქენე არს, და ესეთ ხედვა ხანგრძლივი
მოკლავს სულსა სიწმინდესა კეთილსა“.*

როგორც ვხედავთ, მისი იამბიკოებში პოეტური, მხატვრული სახის, აზრის შესაქმნელად გამოყენებულია წყლულთა მკურნალობა, სნეულება და მრთელობა. როდესაც უნდა განმარტოს „ხედვა ხანგრძელი“, ის ადარებს ახალსა და ძველქმნილ წყლულს, ახალი ადვილი საკურნებელია, ხოლო ძველი მოითხოვს „წამალთა დიდთა“ და „ხელოვანთა მკურნალთა“ ასევე, სიგლახაკე ჯობიანო ცრუ გამდიდრებასა, ისე როგორც „სნეულობა ბოროტსა მრთელობასა“. მის ორიგინალურ ფილოსოფიურ შრომაში „განმარტებაში“ ვხვდებით ასეთ ადგილებს „უკეთუ პირველად არა ცნოს მკურნალმან სენი, ვითარ დაჰკაზმოს წამალი“ (გვ. 10).

ან კიდევ:

„რამე თუ ყოველი ამქუშელი საშვოთა შობამდი
აწუევეს და ამეცადინებს... „ისმინე რამეთუ ყოველი
შობა ნიშნავს წამოყენებასა ნაშვისასა, ვითარცა
გონება გასაგონსა და სული წასულსა“.

განიხილავს რა მედიცინას როგორც მეცნიერებას, ის „განასხვავებს ერთმანეთისაგან განათლებულსა და გაუნათლებელ ეჭიმებს. მისი აზრით, მედიცინა ეს იგივე ფილოსოფიაა ბუნებისა და ბუნებრივ შენაერთთა, ეს იგივე ფილოსოფიაა ავადმყოფობათა საწყისების გამოკვლევისა“ (მ. სააკაშვილი).

მაშასადამე, აქაც ფილოსოფიურ აზრთა, ცნებათა განმარტებისათვის ის სარგებლობს პრაქტიკული სამედიცინო-საექიმო მაგალითებით, რაც საშუალებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ იოანე პეტრიწონელი — მედიცინაში განსწავლული პიროვნება იყო. მხატვრული

* ქართული ქრესტომატია ან გამოწერილი სტატიები სხვათა და სხვათა „ჩინებულთა მწერალთაგან“, დ ჩუბინოვი, 1863, გვ. 152.

შედარებებისათვის სამედიცინო აზრების გამოყენება იოანე პეტრიწონელის პიროვნებას პროფესიულ, ექიმურ იერს აძლევს.

ჩვენი ვარაუდი გააძლიერა ერთმა გაურკვეველმა და ჭერ კიდევ შეუმოწმებელმა ცნობამ მედიცინის ისტორიაში. გერმანელი ავტორები ტ. მეირშტეინეგი და კ. ზუგდოფი თავიანთ შრომაში „მედიცინის ისტორია“ (1925 წ. რუსული გამოცემა) განიხილავენ რა მედიცინის განვითარებას „სალერნოს სკოლის“ ეპოქაში (XI საუკ. მეორე ნახევარში) აღნიშნავენ შემდეგს: К старой литературе раннего переходного времени от древности к средневековью нужно отнести также «*practica petroncelli, petrocelli или Petronii*» уже самое обилие имен призывают к осторожности, но что это сочинение возникло в эпоху до Константина — следует из этого, что оно уже рано было переведено на ранее средне-английское наречие. Повидимому дело обстоит здесь таким образом, что старое произведение, редакция которого относится к переходному времени, было приписано какому либо действительно существовавшему салернцу середины или конца II века (გვ. 182).

მოყვანილ ამონაწერში იოანე პეტრიწონელის საბერძნეთში მოღვაწეობის დრო ზუსტად ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც სალერნოელები ზარბაღ თარგმნიდნენ ბერძულიდან სამედიცინო ლიტერატურას. ქართულ ისტორიაშიც ხომ პეტრიწონელი ცნობილია გვარის-ფსევდონიმის სხვადასხვანაირი გამოთქმით: იოანე პეტრიწი, პეტრიწონელი, პეტრიწონი, პეტრიწელი. ბუნებრივად იბადება კითხვა: ხსენებული შრომის ავტორი ხომ არ არის იოანე პეტრიწონელი.

მით უმეტეს, რომ გერმანელი მკვლევარებისათვის და ალბათ ბერძნულ და იტალიურ წყაროებშიც Petricelli-ს ვინაობა საბოლოოდ ამოუცნობი დარჩა. მათთვის ძნელი საფიქრებელი იქნებოდა Petricelli-ს ქართველობა, რადგან „ცივილიზებული ევროპის“ ბევრი მეცნიერი მკვლევარისათვის ქართველთა ძველი კულტურული წარსული ან უცნობი იყო ანდა დაუჭერებელი, და ამ მიმართულებით ისინი ვერ წარმართავდნენ კვლევას Petricelli-ს ვინაობის დასადგენად. „პრაქტიკა“ მეტად მწიშნელოვანი ნაწარმოები იყო და როგორც აღნიშნავენ, სალერნოს სკოლაში მას სახელმძღვანელოდ იყენებდნენ. გვიან კი XII საუკ. შუა წლებში ის ხელმეორედ გამოჩნდა Cura Petroncelli-ს სახელით (ალბათ ვინმე ფსევდო — „Petroncelli-ს მიერ), რაც აღნიშნულია ბრესლავის სალერნოს კოდექსში.

XIII საუკუნეში კი პუჩინოტის მიერ ფლორენციაში გამოცემულ როდერის ქირურგიაში სხვა 5 თანაავტორთან ერთად ავტორად დასახელებულია Petroncelli-ც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იოანე პეტრიწონელმა ეს შრომა დაწერა პეტრიწონში ყოფნის დროს ბერძნულ ენაზე, რომელიც მან ზედმიწევნით კარგად იცოდა და შემდეგში ითარგმნა სალერნოელების მიერ. თორემ სალერნოელები ქართულიდან ვერ გადაიღებდნენ მას, რადგან ძნელი საფიქრელია რომელიმე სალერნოელს ქართული ენა სცოდნოდა.

მაგრამ რამდენად ბუნებრივია ქართველ მოღვაწეს ბერძნულ ენაზე დაეწერა ეს სახელმძღვანელო?

ანალოგიური მაგალითები ჩვენ გვაქვს იმავე ეპოქაში და უფრო ადრინდელ ხანაშიც, მაგალითად, აკად. კ. კეკელიძე თავის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში“ (ტომი II, გვ. 111) გრიგოლ ისტორიკოსის შესახებ წერს:

„ს. კაკაბაძის აზრით, გრიგოლ დიაკონი არის IV საუკუნის მეორე ნახევრის მწერალი. 380—400 წლებში მას დაუწერია ჯერ ბერძნულად და მერე ქართულად „მცირე მოქცევაი ქართლისა“. ასევე: XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელის ისტორიოგრაფიულ ნაწარმოებში („ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა“ 1946 წ. აკ. შანიძის პუბლიკაცია, გვ. 15) ვკითხულობთ:

„რამეთუ, ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძი, ამის ღირსისა მოღუაწებითა განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებლად და შემამკობლად და ეკლესიათა ჩვენთა, რომლისა იგი ნამუშავები ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკობება, ვითარცა. ნესტვი ოქროჲსა ხმა მაღალი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისაცა, რამეთუ ბალაჰვარი და აბუჟარა და სხუანიცა რაოდენიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძნულად“.

აკად. ივ. ჯავახიშვილი, აკად. ნ. ბერძენიშვილი და აკად. ს. ჯანაშია თავიანთ „საქართველოს ისტორიაში“ ამის შესახებ სწერენ:

„ქართული „ბალავარის სიბრძნე“ თავისი ღრმა აზრებისა და წარმტაცი თხრობის წყალობით ცნობილი გახდა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. განთქმულმა ქართველმა მოღვაწემ ექვთიმე ათონელმა XI საუკუნეში ეს ნაწარმოები ბერძნულად გადაიღო, ხოლო ბერძნული ენიდან იმავე XI საუკუნის პირველსავე ნახევარში გადათარგმნილ იქნა ლათინურად და მთელს ევროპას მოედო“

(გვ. 147) ბერძნულ ენაზე წერა ქართველ სწავლულთა და მოაზროვნეთათვის ტრადიციული ჩანს. აკად. შ. ნუცუბიძემ ბაკურის (IV საუკ.), იოანე ლაზის (V ს.), პეტრე იბერის (V ს.), იოანე მოსხის (VI—VII ს.), ექვთიმე მთაწმინდელის (X—XI ს.), და იოანე პეტრიწონელს (XI—XII ს.), „ორენოვანი მოღვაწენი“ უწოდა „ქართული აზროვნების ისტორიაში“, რომ „ეს პირები თავისუფლად წერდნენ ბერძნულად და, ზოგ შემთხვევაში, ბერძნულს მწერლობაში საკმაოდ თვალსაჩინო წვლილი შექმნდათ“*.

ქართულ მწიგნობარ-მოაზროვნეებს და ქართულ სამეცნიერო-ფილოსოფიურ აზროვნებას „არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი ბერძნული ენის ცოდნასთან... ეს ენა სამშობლო ქართული ენის გვერდით ისეთივე იარაღი იყო მწერლობისა და აზროვნებისა, როგორც თვით სამშობლო ენა“**.

თვითონ იოანე პეტრიწის შესახებ კი აკად. შ. ნუცუბიძე წერს: „იოანე პეტრიწი მონაწილეობას იღებდა ბერძნულ ფილოსოფიურ საქმიანობაში დასავლეთში, კერძოდ მონაწილე იყო ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსისა“. მამასადამე, ბერძნულ ენაზე წერა ქართველ მოღვაწეთათვის არ ყოფილა უცხო და არც ამ შემთხვევაში, იოანე პეტრიწონელის მიმართ იქნებოდა ის მოულოდნელი. „Petricelli, Petroncelli, Petrocelli, Petronii გვარების ასეთი გადატანა უნდა იყოს პეტრიწონელის, პეტრიწონისა და პეტრიწელის, შეცდომითი ლათინური ტრანსკრიპცია, რაც თითქმის მუდმივი ხვედრია საერთოდ ქართველი ავტორებისა უცხოურ ლიტერატურაში.

მაგრამ Petricelli: გადატანილია სწორად და პირდაპირ მიუთითებს იოანეს ფსევდონიმს.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ აღნიშნულ მკვლევართა მიერ ეს ნაწარმოები არ ყოფილა ძირფესვიანად შესწავლილი.

„ეს ხელნაწერი ჯერ კიდევ მოელის საფუძვლიან კვლევასა და პუბლიკაციას“. (იქვე).

მაგრამ მათთვის გარკვეულია (ალბათ ტექსტიდან), რომ Petricelli ფსევდონიმი და არა ნამდვილი გვარი (იქვე).

ზემომოყვანილ მოსაზრებათა საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გამოუცნობი ავტორი იოანე პეტრიწონელია. საჭირო იყო, რომ ამ მხრივ წარმართულიყო კვლევა-ძიება.

მომავალი კვლევისათვის თვით ავტორები იძლეოდნენ გზას:

„ისინი (ლაპარაკია Cur Petroncelli-ზე მ. შ.) სხვადასხვა ადგილას და არასრული სახით ფერართან, ბართლომესთან და პლატეა-

* შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956 წ., გვ. 211.

** იქვე, გვ. 220, 221.

რისთან ერთად შემონახულია ბრესლავის სალერნოს კოდექსში“ (იქვე) და შემდეგ:

„სრულად კი—„*Cur. Petroncelli*“ სახელწოდებით ისინი მოიპოვება ერთ ამბროზიანულ ხელნაწერში (მილანში)“, თვით პირველი ვარიანტი კი შრომისა, რომელიც ყველაზე უფრო საინტერესოა, როგორც ავტორებიც აღნიშნავენ, ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. „*Pract. Petricelli*“ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული წარმოადგენს ფსევდონიმურ ნაწარმოებს, და იგი უაღრესად ძვირფასი ქმნილებაა შუა საუკუნეების ადრეული სამედიცინო ლიტერატურისა“.

ცნობილია, რომ იოანე პეტრიწონელის შრომები ჯერ კიდევ თავმოყრილი არაა, ჯერ კიდევ მოსალოდნელია მისი შრომების მიკვლევა-აღმოჩენა. უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების საშუალებით ჩვენ გამოვითხოვეთ პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკიდან აღნიშნული წიგნის ფოტოასლები და ამ რამდენიმე ხნის წინათ მივიღეთ კიდევ ამ წიგნის მიკროფილმი, რომელიც ჩვენ მიერ გადაღებული იქნა ცალკეულ გვერდებად ფოტოქადაღზე. ტექსტი პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის მიერ იქნა გადაღებული, 1856 წელს ნეაპოლში გამოცემული, კრებულიდან სახელწოდებით „*collectio Salernitanae*“ ტექსტი დაწერილია ლათინურ ენაზე და შეიცავს 130 გვერდს. როგორც ეტყობა „პრაქტიკა“ ყოფილა 3 წიგნად. აქედან 1 წიგნი — „*Practica Petricelli*“ სახელწოდებით 102 გვერდზე სრული სახითაა წარმოდგენილი.

II და III წიგნი დაბეჭდილია სარჩევითა და ფრაგმენტების სახით.

23-ე გვერდზე კი მოცემულია ფრაგმენტები იმ ხელნაწერიდან, რომელიც ცნობილია *Cur. Petroncelli*-ს სახელწოდებით და რომლის დედანი ინახება მილანში.

მაშასადამე, მიღებული მიკროფილმებიდან სრულყოფილად წარმოდგენილია მხოლოდ I წიგნი, რომელზედაც გვინდა შევჩერდეთ. ტექსტი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ლათინურ ენაზეა დაწერილი.

აღსანიშნავია, რომ საერთოდ ლიტერატურულ კვლევაში, ავტორობის დასადგენად უაღრესად დიდი და ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს ავტორის სტილს, წერის მანერას, შრომის კომპოზიციურ თავისებურებას და სხვ.

ამ მხრივ, საბედნიეროდ, აშკარად დამახასიათებელ თავისებურებასა და იოანე პეტრიწონელისათვის მეტად ორიგინალურ მანერასთან გვაქვს საქმე.

ცნობილია, რომ იოანე პეტრიწონელის ორიგინალური ფილოსოფიური შრომა „განმარტებაჲ“ წარმოდგენს პროკლე დიდაქსონის შრომის კომენტარებსა და ინტერპრეტაციებს, აქაც — „პრაქტიკაშიც“ ავტორი სათაურშივე აცხადებს, რომ შრომა გადმოცემულია „მსგავსად“ ჰიპოკრატესი და გალენისა. როგორც შესავალში, ისე ბოლოსიტყვაობაში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ამას. ჩვენი აზრით, იოანე პეტრიწონელისათვის ნიშანდობლივია მეცნიერული კეთილსინდისიერება და პუნქტუალობა სხვა ავტორთა აზრების გადმოცემასა და ციტირებაში. „პრაქტიკა“, როგორც ჩანს, წარმოდგენს ჰიპოკრატისა და გალენის ნაწარმოებთა „განმარტებას“, მსგავსად მისი უდავო შრომისა, პროკლეს „განმარტებისა“, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს „განმარტების“ და „პრაქტიკის“ ავტორის (სხვა ავტორის შრომათა ინტერპრეტაციების გზით საკუთარი აზრების გადმოცემის) თავისებურ ერთგვარობასთან. „პრაქტიკის“ არქიტექტონიკა კი პირდაპირ იმეორებს „განმარტების“ არქიტექტონიკას, წყობას. იოანე პეტრიწონელის „განმარტებას“ კომპოზიციუა შემდეგნაირია: „წინასიტყვაჲ“, თვით ტექსტი და „ბოლოსიტყვაჲ“ — ტექსტი დაყოფილია თავებად — თანჭიმდევრულად არაბული ციფრებით აღნიშნული და შემდეგ ქვესათაური, მაგალითად, 1-ლი თავი „ერთისა და სიმრავლისათვის“, ან მე-8 თავი „პირველისა კეთილობისათვის“ და ა. შ. შრომის ასეთი წყობა არც ერთ ქართველი ავტორისათვის არაა დამახასიათებელი. იაკობ ცურტაველიდან მოყოლებული თვით XIX—XX საუკუნემდე, გარდა იოანე პეტრიწონელისა, „პრაქტიკაც“ ასეთივე წყობისაა.

მასში ვარჩევთ წინასიტყვაობას, ტექსტს, ბოლოსიტყვას. ტექსტი დაყოფილია თავებად (არაბული ციფრებით). თითოეული თავი დასათაურებულია სათანადოდ. აზრი გადმოცემულია შეკუმშულად, ლაკონურად, როგორც ეს ახასიათებს იოანე პეტრიწონელს.

პეტრიცელი, პეტრონცელი, პეტროცელი ისე ორგანულადაა ტექსტთან დაკავშირებული, რომ ის მისი ლათინურ ენაზე მთარგმნელი არ უნდა იყოს. ტექსტი რომ ბერძნულიდანაა თარგმნილი, ეს ექვს არ იწვევს. ზემოხსენებული გვარის (თუ ფსევდონიმის) სხვადასხვა ვარიანტებიც უსათუოდ ბერძნული ორიგინალიდან მოყოლილი გვარებია, თორემ წარმოუდგენელია ჰიპოკრატესა და გალენის შრომათა საფუძველზე წიგნის შემდგენი ავტორი მივიწყებული იყოს და იმავე ეპოქაში მისი მთარგმნელის გვარი ჩანდეს მხოლოდ. მით უმეტეს, რომ წიგნი თარგმნისთანავე სალერნოს სკოლის სახელმძღვანელო გამსდარა. ამგვარად, ის იმდროინდელი ცნობილი მედიკებისა და სალერნოს საექიმო კორპორაციის ყურადღებისა და შეფასების სა-

განი იყო. ასეთ გარემოებაში შეუძლებელი იყო ლათინურ ენაზე მის გადმომღებს ავტორი დავიწყებისათვის მიეცა და საკუთარი გვარი წამოეწია წინა პლანზე. პეტრიცელი—პეტრონცელი პეტროცელი უსათუოდ ამ ტრაქტატის ბერძნულიდან მოყოლილი ავტორის გვარია. მაგრამ ბერძენია თუ არა ის? ამ კითხვისათვის შესაძლებელია ერთგვარი მნიშვნელობა ძიენიჭოს შემდეგ გარემოებასაც. ტექსტში ძალიან ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები:

„ფურფურს ბერძნები უწოდებენ...“ (მე-6 თავი).

„შარდის ბუშტის ტკივილისათვის, რომელსაც ბერძნები სინ-თომატას უწოდებენ“ (121-ე თავი).

„რასაც ბერძნები ტერუმბრუმს უწოდებენ“ (იქვე).

„ქოშინისათვის, რომელსაც ბერძნები ორტომონს უწოდებენ, ლათინები—დისპნოეს“ (მე-40 თავი).

„ასთმისათვის, რომელსაც ბერძნები ედიოს უწოდებენ, ლათინები — სუსპტიოსოსს“ (42-ე თავი).

ასეთი აღვლეები ძალიან ხშირია ტექსტში. ბერძენი ავტორისათვის, ვფიქრობთ, დამახასიათებელი არ უნდა იყოს ასე დაბეჭიფებით და მრავალგზის განმეორება სიტყვებისა: „ბერძნები უწოდებენ“. მით უმეტეს ისეთი უბრალო და პოპულარული სიტყვებისა და ცნებების განმარტებისას, როგორცაა: შარდის ბუშტის ტკივილი, ქოშინი, ასთმა და სხვ. ეს გარემოება უსათუოდ აფიქრებინებს მკითხველს, რომ ავტორი ბერძენი არ უნდა იყოს. ბერძენი ავტორისათვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა პირველ პირში ეთქვა „ბერძნები ვუწოდებთო“. ისიც უფრო იშვიათად (ვიდრე ტექსტშია) და მხოლოდ განსაკუთრებული და უნიკალური სიტყვისა თუ ცნების განმარტებათა დროს. ასევე არ იქნებოდა ასეთი გამოთქმა დამახასიათებელი და ბუნებრივი ტექსტის ლათინურად მთარგმნელისათვის, რადგან თუ ბერძნულ ორიგინალში არ იყო „ბერძნები უწოდებენ“, მთარგმნელი მას ვერ შეიტანდა, რადგან ამ შემთხვევაში დაირღვეოდა თარგმნის სიზუსტის პრინციპები, რომელიც მაშინ საკმაოდ მტკიცედ იყო ჩამოყალიბებული. მეორე მხრივ, რომელი ექიმისათვის ძირითად დაავადებათა ბერძნული ტერმინოლოგია იმდენად უცხო და ძნელად სათარგმნი არ იყო, რომ ბერძნულიდან თარგმნილი ტექსტისათვის ალაგ-ალაგ კვლავ ხაზი გაესვა და აღენიშნა თუ რას უწოდებდნენ ბერძნები ამა თუ იმ დაავადებას.

ამგვარად, „პრაქტიკის“ ბერძნული ვარიანტიდან მოყოლილი ავტორია პეტრიცელი — პეტრონცელი — პეტროცელი, მაგრამ ზემოხსენებულ გარემოებათა საფუძველზე ის ბერძენი არ უნდა იყოს.

ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია, „პრაქტიკის“ ლათინური თარგმანის XI საუკუნის ხელნაწერისა და სალვატერო დე რენცის მიერ 1856 წ. ნეაპოლში სტამბურად გამოცემული ტექსტის ფოტოპირები, „პრაქტიკის“ გვიანდელი მოკლე ვარიანტის, ე. წ. „Cura Petroncelli“-ს ფოტოპირი. სამივე მიღებულია პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკიდან. „პრაქტიკის“ ერთ-ერთი მოკლე ვარიანტის ანგლოსაქსური თარგმანის (XI საუკუნე) ხელნაწერისა და მისი 1866 წ. ლონდონის სტამბური გამოცემის (თანამედროვე ინგლისური ენით თარგმნილი და დამუშავებული ფოტოპირები, რომლებიც მიღებულია ბრიტანეთის მუზეუმიდან. დაწყებულია ამ ტექსტების ენობრივი შესწავლა. შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ ამ მხრივაც გამამხნეველები მონაცემებია მიღებული.

ამრიგად, ზემოჩამოთვლილ მოსაზრებათა საფუძველზე შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი მოტივები, რითაც სავარაუდებელია, რომ „პრაქტიკის“ ავტორი იოანე პეტრიწონელია.

1. „პრაქტიკის“ ავტორი საბოლოოდ ამოუცნობი დარჩა მისი მკვლევარ-ისტორიკოსებისათვის და ალბათ, ბერძნულ და იტალიურ წყაროებშიც.

2. მკვლევართათვის გარკვეულია, რომ „პრაქტიკის“ ავტორი Petricelli, Petroncelli, Petrocelli ფსევდონიმია და არა ნამდვილი გვარი. ალბათ ასეთი გვარი არაა ცნობილი ბერძნულ და იტალიურ ონომასტიკონში.

3. იოანე პეტრიწონელი მედიცინაში განსწავლული პიროვნება იყო უსათუოდ, მის არასამედიცინო ხასიათის შრომებში არის ამის ნიშნები. მისი ინტერესი მედიცინისადმი არ შეიძლებოდა ამოწურულიყო მხოლოდ თარგმანით (ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“).

4. იოანე პეტრიწონელს „პრაქტიკა“ უნდა დაეწეროს ბერძნულ ენაზე, რომელიც მან მშვენივრად იცოდა, და რაც საერთოდ გამო-ნაკლის იშვიათობას არ წარმოადგენს ქართველი ავტორებისათვის.

5. „პრაქტიკის“ დაწერის თარიღი ზუსტად ემთხვევა იოანე პეტრიწონელის საბერძნეთში მოღვაწეობის პერიოდს, სახელდობრ, „პრაქტიკა“ დაწერილია XI საუკუნის მეორე ნახევარში ან ბოლოს, იოანე პეტრიწონელი კი 1083 წლიდან მოყოლებული მთელი 20 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საბერძნეთში.

6. იოანე პეტრიწონელი ქართულ წყაროებშიც ცნობილია მისი ფსევდონიმის სხვადასხვა ფორმებით და Petricelli, Petroncelli, Petrocelli, Petronia, უნდა იყოს პეტრიწონელის, პეტრიწონის, პეტრიწის, შეცდომითი ტრანსკრიპცია ლათინურ ენაზე. ეს, როგორც

აღვნიშნეთ, თითქმის მუდმივი ხვედრია ქართველი ავტორებისა უცხოურ წყაროებში, მაგრამ Petricelli — კი პირდაპირ მიუთითებს იოანე პეტრიწელის ფსევდონიმის ერთ-ერთ ფორმას.

7. „განმარტებასა“ და „პრაქტიკის“ სტილისტურ და კომპოზიციურ ერთგვარობას სხვა ზემოჩამოთვლილ მოტივებთან ერთად მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს „პრაქტიკის“ ავტორად იოანე პეტრიწონელის აღიარებაში.

8. „პრაქტიკის“ ლათინური ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ მისი ორიგინალი ბერძნულ ენაზე დაიწერა და ის ბერძნულიდან ნათარგმნს წარმოადგენს მხოლოდ (რასაც მნიშვნელობა აქვს საკითხის გარკვევისათვის).

9. პეტრიცელი, პეტრონცელი, პეტროცელი ბერძნული ორიგინალიდან მოყოლილი ავტორის გვარია (თუ ფსევდონიმი) და არა მისი ბერძნულიდან ლათინურ ენაზე მთარგმნელის.

ცნობილია, რომ რუსთველის შემდეგ იოანე პეტრიწონელი ქართველ მოღვაწეთა შორის ყველაზე დიდი ფიგურაა. „ვეფხისტყაოსანსა“ და „განმარტებაჲ“-ს შემდეგ „პრაქტიკა“ დიდი მოვლენა იქნება ქართულ სამედიცინო-სამეცნიერო აზროვნების ისტორიაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ და „განმარტება“ ქართულ ეროვნულ საზღვრებს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გასცილდა. „პრაქტიკა“ და მისი ავტორი კი ადრიდანვე ცნობილია მსოფლიო მედიცინის ისტორიის საგანძურთა შორის.

ამგვარად, ეს საკითხი თუ ახალი მასალებით განმტკიცდება და საყოველთაო აღიარებას მიიღებს, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწონელი, ძველ ქართველ მოღვაწეთა თანავარსკვლავედში უფრო ძლიერ იკაშკაშებს ვიდრე ოდესმე, როგორც მსოფლიოში გამოჩენილი მოაზროვნე და მედიკი.

აი ის მოსაზრებები და დასკვნები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება თავდაპირველად მსჯელობა ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით.

კვლევა-ძიება ამ ხაზით ჯერ კიდევ არ დაგვისრულებია. მაგრამ დღეისათვის კვლავ მოგვეპოვება ახალი მასალა და ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი რამდენიმე ახალი მოტივი:

ვფიქრობთ, ჩვენს ზემოდასახელებულ შრომაში თავმოყრილი მასალებით საკმაოდ დამაჯერებლად იყო ნაჩვენები, რომ იოანე პეტრიწონელი მედიცინაში განსწავლული პიროვნება იყო და სავსებით ბუნებრივია, რომ იგი ამავე დროს საექიმო-პრაქტიკული მოღვაწეც

ყოფილიყოს. მედიცინის გარშემო მსჯელობა მის „განმარტებაში“, მისი იამბიკოების საექიმო-პრაქტიკული საკითხებისადმი მიდრეკილება, მისი ინტერესი ანატომია-ფიზიოლოგიის საკითხებისადმი, რაც „ბუნებისათვის კაცისა“ ქართულად გადმოღებით გამოიხატა, საკმაოდ დამაჯერებელ მასალას იძლეოდა დაგვეშვა მისი საექიმო საქმიანობა. შემდგომში, ჩვენ მიერ უფრო დაზუსტებულ იქნა ეს საკითხები. კერძოდ, დადგენილ იქნა, რომ მანგანის აკადემიაში, სადაც იოანე პეტრიწი სწავლობდა, მედიცინა ისწავლებოდა, მაშასადამე, მედიცინა ნასწავლი ჰქონდა იოანე პეტრიწსაც. მისი „თანაკლასელი“ არსენ იყალთოელიც ხომ ჩვენ მიერ დადგენილია როგორც ანატომიის „მოძღვართ მოძღვარი“. დადგენილია, რომ პეტრიწონის მონასტერში, რომლის წინამძღვარი 20 წლის განმავლობაში იოანე პეტრიწი იყო, არსებობდა საავადმყოფო. ბოლოს, გელათის აკადემიასთან, სადაც იოანე პეტრიწონელის სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა მეტად ინტენსიურად გაიშალა, არსებობდა საავადმყოფო და ისწავლებოდა მედიცინა. ეს საკითხები ჩვენ მიერ საკმაოდ ვრცლად, და ვფიქრობთ დამაჯერებლად, განხილულია ჩვენს ადრინდელ შრომაში „სამედიცინო კულტურული კერები და საავადმყოფოები ძველ საქართველოში და მის გარეთ“*. მათ აქ აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ ახლა უფრო დამაჯერებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე პეტრიწი მედიცინაში განსწავლული პიროვნება იყო და ეწეოდა როგორც საექიმო-პრაქტიკულ, ისე პედაგოგიურსა და სამედიცინო-ლიტერატურულ საქმიანობას, რის გამოც სრულიად ბუნებრივია, რომ იგი პრაქტიკული საექიმო წიგნის ავტორი იყო.

თუ „პრაქტიკის“ ავტორი იოანე პეტრიწია, მაშინ საფიქრებელია, რომ მას ასეთივე სახელმძღვანელო ქართულ ენაზედაც დაეწეროს ანდა ასეთი წიგნის ავტორობაზე რაიმე ცნობა შემოენახა ქართულ წყაროებს. სამწუხაროდ ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ასეთი რამ ჯერ კიდევ მოუკვლეველია. არცაა გასაკვირი, რომ XI საუკუნიდან 900 წლის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით მრავალჯერ იავარქმნილ საქართველოში ხელნაწერ წიგნს ან ამ საკითხის შემცველ რაიმე წყაროს ჩვენამდე ვერ მოედწია. სწორედ ასეთი ვითარების ფონზე დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ანტონ კათალიკოსის ცნობას იოანე პეტრიწონელზე, რომელიც ჩვენ, ამ სა-

* მის. შენგელია — მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში. გამოქვეყნებულია „საბჭოთა საქართველო“ 1961; იხ. „საავადმყოფო პეტრიწონის ქართველთა მონასტერში (გვ. 93—98)“, „საავადმყოფოსა და უმაღლესი სამედიცინო განათლების არსებობის საკითხი გელათში“ (გვ 112—126).

კითხისადმი მიძღვნილ აღრინდელ შრომაში არ გამოგვიქვეყნება, არ გავგიხილავს. ანტონ კათალიკოსი თავის „სპეკალში“ წერს: „ამან საღვთო მან იოანე (პეტრიწი — მ. შ.) გარდმოიღო ქართველთა ხმასა ზედა საღმრთო წერილი და მრავალნი ღვთის მეტყველებითნი და ფილოსოფოსებითნი წერილნი და ვჰგონებ ვითარმედ სამკურნალონიც წერილნი“*.

ანტონ კათალიკოსის ეს ცნობა უთუოდ რაიმე წყაროს ემყარება ან და ძველიდანვე მოდიოდა მწიგნობართა შორის გადმოცემის სახით. მეტად დამაფიქრებელია მისი სიტყვები „ვჰგონებ, ვითარმედ“, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ანტონის დროს არსებობდა ან რაიმე წყარო ამ საკითხზე, რომელზედაც ანტონს ამ სიტყვების დაწერის დროს ხელი არ მიუწვდებოდა, ანდა გარკვეული მოსაზრება იმის შესახებ, რომ იოანეს „სამკურნალო წერილნი“, ე. ი. პრაქტიკული საექიმო წიგნი ჰქონდა დაწერილი. შეუძლებელია „სამკურნალო წერილნის“ ქვეშ ანტონ კათალიკოსი გულისხმობდეს „ბუნებისათვის კაცისას“, რადგან იმ დროისათვის დიდად განათლებული ანტონი უთუოდ განასხვავებდა ურთიერთისაგან ნემესიოს ემესელის ცნობილ ტრაქტატს „სამკურნალო წერილისაგან“ (რაც პრაქტიკულ საექიმო წიგნს აღნიშნავდა მხოლოდ) ანტონი უსათუოდ იცნობდა აგრეთვე იოანეს მიერ ბერძნულიდან გადმოწერილ ამ ტრაქტატს. და შეუძლებელია მასზე ეთქვა სიტყვები „ვჰგონებ ვითარმედ“.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, იოანეს საექიმო პრაქტიკული წიგნი (ანუ „პრაქტიკის“ ქართული, ავტორისეული ვარიანტი) შესაძლოა სრულიად ადვილად დაკარგულიყო საუკუნეების განმავლობაში და უამრავ სხვა ხელნაწერ წიგნებთან ერთად მასაც ვერ მოედო ჩვენამდე, მაგრამ სხვა გარემოებებიც არსებობს, რომელთაც შესაძლოა ხელი შეეშალა პეტრიწის საექიმო თხზულების ან მისი არსებობის შესახებ რაიმე წყაროს ჩვენამდე მოღწევისათვის.

ქართული მედიცინის ისტორიაში აშკარად იგრძნობა ერთი გარემოება. მიუხედავად ქართული მონასტრების ინტენსიური სამედიცინო საქმიანობისა, დღემდე შემორჩენილი ასეულობით სამედიცი-

* ანტონ კათალიკოსი, „სპეკალი“, იხ. კ. კეკელიძის — ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი, სახ. უნივერსიტეტის შრომები, (1 სერია. 1936, 136.) ანტ. კათალიკოსის ამ ცნობას ჩვენამდე ყურადღება მიაქციეს „საქართველოს მედიცინის ისტორიის ავტორებმა, პროფ. მ. სააკაშვილმა და ბ. გელაშვილმა“.

ნო ხელნაწერი ძეგლიდან არც ერთი არ განეკუთვნება საეკლესიო მოღვაწეთ* საქმე ისაა, რომ საეკლესიო მოღვაწეთ ქრისტიანული რელიგიური დოგმებით აკრძალული ჰქონდათ საექიმო-პრაქტიკული წიგნების წერა. ცნობილია, რომ ილარიონ ქართველი, უცხოეთში ცნობილი ექიმი, როგორც კი მოიხვეჭდა დიდი ექიმის სახელს და დიდძალ სნეულთ მოიზიდავდა, გარბოდა იმ ადგილიდან, რადგან „ხორციელი მკურნალობით“ გატაცებულს გაახსენდებოდა თავისი მოვალეობა სარწმუნოების წინაშე. ჩანს, ილარიონს ეშინოდა სარწმუნოების რეაქციული ძალებისა, მათი აზრისა და განსჯისა, ეკლესიის იმ წარმომადგენლებისა, რომლებიც ებრძოდნენ „ხორციელ მკურნალთ“, სწავლულ დახელოვნებულ ექიმებს. მისი „ხორციელი მკურნალობით“ გატაცება ეკლესიის მსახურისათვის „ულირს“ საქმედ ყოფილა აღიარებული და... „შეეშინა“ ილარიონს, რათა ბრალსა არ „შთავარდეს“**. მაშასადამე, ქართველმა საეკლესიო მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ ქრისტიანობის მიერ რეგლამენტირებული იყო მათი საქმიანობა „ხორციელი მკურნალობის“ დარგში. მიუხედავად სამონასტრო ცენტრების საექიმო-პრაქტიკული საქმიანობისა, რაც ცხოვრების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, მათი ოფიციალური დევიზი მაინც იყო „თვნიერ წამლისა... ლოცვითა და შეხებითა ჟუარისათა“.

„უკუთუ დასნეულდე, ნუ იყოფინ მკურნალ შენდა, გარნა ღმერთი მხოლო“.

„კურნება, რომელი კაცთაგან არს, მე არა ვყო“ და სხვ. ყველაზე კარგად ეს, რასაკვირველია, იოანე პეტრიწმა იცოდა, რომელმაც თვითონვე, საკუთარი სიტყვებით, ჩამოაყალიბა ქართულ ენაზე ნემსიოს ემესელიდან შემდეგი აზრი: „ვისაც სურს გაიფოს ადამიანისა და ცხოველთა დაწვრილებითი ანატომია, უნდა წაიკითხოს „ცხოველთა დამსახველი“ არისტოტელისა, რადგან სულიერი წერილის საქმე არ არის ამის დაწვრილებითი განხილვაო“***, იქ სადაც ანატომია-ფიზიოლოგიის საკითხების დაწვრილებითი განხილვა არ იყო საეკლესიო მოღვაწეთა საქმე, რასაკვირველია, რაციონალური მემდიცინაც არ შედიოდა მათ კომპენტენციაში. როგორც ზევითაც ვნახეთ, ამ მხრივ არც იოანე პეტრიწონელი იქნებოდა გამონაკლისი. როგორც საეკლესიო მოღვაწე, მიუხედავად იმისა, რომ რეაქციულ-კლერიკალური ძალების პირისპირ ის პროგრესული, „მეცნიერული“

* იხ. მ. შენგელია — მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961, 128—131.

** იქვე, გვ. 176.

*** იქვე, გვ. 131.

ბანაკის ყველაზე დიდი წარმომადგენელი იყო, მას ანგარიში უნდა გაეწია ამ ქრისტიანული თეოლოგიის დოგმებისადმი. ცნობილია, რომ იოანე დევნას განიცდიდა თავისივე თანამემამულეების მხრივ სწორედ იდეოლოგიური „შეცდომებისათვის“, რომ ეს დევნა არა, მას შეეძლო, როგორც თვითონ ამბობს, თავის ქვეყანაში „ეარისტოტელა“. დავით აღმაშენებლის მფარველობამ იხსნა იგი მხოლოდ კლერიკალური ძალების დევნისაგან. რასაკვირველია, ასეთი პიროვნება მოერიდებოდა საეკლესიო დოგმების პირდაპირ დარღვევას და პრაქტიკული საექიმო წიგნის აშკარა ავტორობას. ამ მიზეზების გამო იოანე პეტრიწონელს მის მიერ უცხოეთში (პეტრიწონში) დაწერილი საექიმო წიგნი არ შეეძლო საქართველოში გაეცრელებინა (ყოველ შემთხვევაში, თავისი სახელით). ამ მხრივ პეტრე იბერის ბედი გვაგონდება. პეტრე იბერზედაც შემონახულია ცნობა, რომ მას სამკურნალო წიგნი დაეწეროს, ისიც დევნილი იყო ეკლესიის რეაქციული ძალების მიერ და, როგორც ამ ბოლო დროს გაირკვა, დიონოსე არეოპაგელის გვარს ამოფარებული წერდა თავის მსოფლიო მნიშვნელობის ფილოსოფიურ თხზულებებს. გარკვეულია პეტრე იბერის საექიმო საქმიანობა*, მაგრამ პრაქტიკული საექიმო წიგნი არც მისი არ ჩანს.

ზევით ჩვენ „პრაქტიკა“ შევადარეთ იოანეს ორიგინალურ შრომას „განმარტებას“ და აღმოჩნდა კომპოზიციური და ნაწილობრივ ლექსიკური მსგავსება, რასაც ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ საკითხის გადაჭრაში. საინტერესოა, რომ თვით ტექსტშიც აღმოჩნდა ისეთი სიტყვები, რომელიც მეტად ქართულად ეღერს: ასეთებია „Prassi“ (პრასი, პრასა), „chora“, (ხორა — თავის თმიან ნაწილზე მუწუეები), რომელიც დღესაც დასავლეთ საქართველოში ამავე გაგებით იხმარება, „Cardali“ (სპილენძის კარდალა) და სხვ.

მართალია, ეს სიტყვები მოგნახეთ ბერძნულ-ლათინურ ძველ ისტორიულ ლექსიკონში, მაგრამ მაინც დასადგენია ამ სიტყვების ეტიმოლოგია როგორც ქართულში, ისე ბერძნულ-ლათინურ ენებში. აგრეთვე შედარებულ უნდა იქნეს „პრაქტიკის“ ტექსტი მისი თანამედროვე ავტორების (ფერარი, ბარტოლომეი, პლატეარია და სხვ.) სამედიცინო ტრაქტატებთან იმ მიზნით, რომ დადგინდეს — ეს სიტყვები საერთო ხმარებაში იყო სალერნოელთა ტერმინოლოგიაში თუ მხოლოდ „პრაქტიკის“ ავტორს მიეკუთვნება და სხვ.

* მ. ი. ხ. შ. ე. ნ. გ. ე. ლ. ი. ა — მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში. გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961, „საავადმყოფო პალესტინაში“ 3. იბერის ხელმძღვანელობით,“ 68—70.

როგორც შემდგომმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, „პრაქტიკის“ ავტორობის საკითხი და მისი ავტორის ვინაობის გარკვევა თურმე დიდი ხანია აინტერესებს მეცნიერებს, 1925 წ. ლაიპციგის უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიის ინსტიტუტში კარლ ბლოდნერმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სათაურით „Petronus, Petronius, Petroncellus ein salernitaner Arzt aus der mitte des 12 Jahrhunderts (+1197) sein klinisches schriftwerk und der Autor der ubergangszeit Petricellus“. („XII საუკუნის შუაწლების სალერნოელი ექიმი პეტრონუს, პეტრონიუს, პეტრონცელუსი (გარდ. 1197 წ.), მისი კლინიკური ნაშრომი და გარდამავალი პერიოდის ავტორი პეტრიცელუსი“*).

ხსენებული შრომა მივიღეთ ლაიპციგის, პროფ. ზუდპოფის სახ. მედიცინის ისტორიის ინსტიტუტიდან. მისი დირექტორის პროფესორ ჰარიგის შეშვებობით, რომელიც ძალიან დიდი ინტერესითა და ენთუზიაზმით მოეკიდა ამ საქმეს**.

შრომის ავტორი კარლ ბლოდნერი ცდილობს დაამტკიცოს ადრინდელი ავტორების (დავემბერგი, დერენცი, ზუდპოფი და შეიერშტეინეგი და სხვ.) მოსაზრებათა წინააღმდეგ, რომ „პრაქტიკის“ სამი წიგნი სხვადასხვა ნაწარმოებია და განეკუთვნება ადრეულ საუკუნეებს და ის ხელნაწერი კი, რომელიც ცნობილია „Curae Petroncelli“-ს სახელწოდებით, სხვაა და განეკუთვნება XII საუკუნის შუაწლებს. ამასთან ერთად პირველის — „პრაქტიკის“ ავტორად მკვლევარი აღიარებს პეტრიცელს, პეტროცელს და მეორის — „Curae“-ს ავტორად კი — პეტრონუსს, პეტრონიუსს, პეტრონცელუსს. ამგვარად შემოხსენებული ადრეული ავტორების მოსაზრება, რომ „Curae“ „პრაქტიკის“ მოგვიანო ხანის, შემოკლებული ვარიანტის ფრაგმენტია და პეტრიცელი—პეტროცელი და პეტრონცელი—პეტრონია ერთი და იგივე ავტორია, კარლ ბლოდნერმა უარჰყო.

პირველად გენშელმა შეისწავლა სალერნოს სკოლის სამედიცინო ხელნაწერები, მათ შორის ის ხელნაწერები აღწერა, რომლებიც ღირსშესანიშნავად მიაჩნდა, დაამუშავა მეცნიერულად და გამოაქვეყნა 1846 წ. 1852—1858 წწ. გენშელის ეს ამონაწერები სალერ-

* Karl Blodner, Petronus, Petronius, Petroncellus ein salernitaner Arzt aus der mitte des 12 jahrhunderts (+1197) sein klinisches schriftwerk und der Autor der ubergangszeit Petricellus“ Leipzig 1925.

** ესარგებლობთ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვასხენებთ ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფ. ზუდპოფის სახ. მედიცინის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ ჰარიგს.

ნოელთა სხვა შრომებთან ერთად საღვატორე დე რენციმ მოიყვანა წესრიგში და გამოსცა 5 ტომად. ამ ხუთტომეულის IV ტომში შესულია „პრაქტიკის“ I წიგნის ტექსტი, II და III წიგნის სარჩევი და რამდენიმე ფრაგმენტი (გვ. 185—286). აქვე შესულია ზემოხსენებული „Curae“-ს ტექსტიც (გვ. 292—314*). კარლ ბლოდნერს არ მოჰყავს არავითარი დამამტკიცებელი მოტივი თავის მოსაზრებათა დასადასტურებლად. არავითარი საფუძველი, მოტივი არ მოჰყავს იმისათვის, რომ საყოველთაოდ აღიარებული თარიღი „პრაქტიკის“ დაწერისა (XI საუკუნის მეორე ნახევარი) გადაიტანოს ადრეულ საუკუნეებში და „Curae“ კი XII საუკუნის მეორე ნახევრის ნაწერად აღიაროს. მართალია, „პრაქტიკის“ ავტორად ტექსტში პეტრიცელი — პეტროცელია (I და II წიგნში) და „Curae“-ს ავტორად—პეტრონცელი, მაგრამ „პრაქტიკის“ III წიგნის (რომელიც I და II-ს უტყუარი გაგრძელებაა) ტექსტში ავტორად აგრეთვე „პეტრონცელია“, ე. ი. ისევე როგორც „Curae“-ს ავტორის გვარი. ამგვარად, „პრაქტიკის“ და „Curae“-ს ავტორების გათიშვა არც ისე ადვილია, როგორც ამას კარლ ბლოდნერი აკეთებს. „პრაქტიკისა“ და „Curae“ ტექსტების გამოყოფა და სხვადასხვა ნაწარმოებებად აღიარება დაუსაბუთებელია.

კარლ ბლოდნერმა თავის კვლევის ობიექტს „Curae“-ს ავტორს, პეტრონცელს, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე თვითნებურად შეუცვალა გვარი, მისცა მას ლათინური დაბოლოება და დაადგინა „პეტრონცელუს“-ად. ასევე „პრაქტიკის“ ავტორსაც (რომელსაც ის სხვა პიროვნებად თვლის) თვითნებურად შეუცვალა გვარი და პეტრიცელი—პეტროცელის ნაცვლად დაწერა პეტრიცელუსი—პეტროცელუსი. ცხადია, კ. ბლოდნერს ეს იმიტომ დასჭირდა, რომ იტალიურ-ლათინურ ონომასტიკონში ვერ მოუწონებოდა ადგილი პეტრიცელი—პეტროცელის და მექანიკურად აქცია ლათინურ გვარად. მაგრამ საკითხავია, რატომ ეძებდა იგი ავტორს მაინცდამაინც ლათინურ გვარებში. „პრაქტიკა“ ხომ ბერძნულიდან თარგმნილია და პეტრიცელი—პეტროცელიც იქიდან მოყოლილი გვარია (ფსევდონიმია), მით უმეტეს, რომ თვით კარლ ბლოდნერს მოჰყავს თავის შრომაში ჩვენთვის მეტად საინტერესო ერთი ცნობა: გარუფს შეუსწავლია შთელი 6 საუკუნის (X—XVI სს.) ხელნაწერთა გვარები (16.000 გვა-

* „Curae“ მთლიანი ხელნაწერის სახით მილანში ინახება, ბრესლავლის კოდექსში კი — ტექსტის ფრაგმენტებია მხოლოდ შეტანილი ანონიმ კომპილატორის მიერ სხვა (პლატეარეა, ფერარიუსის, ბარტოლომეუსი, კოფო და სხვ.) ავტორებთან ერთად.

რამდე) და მათ შორის ვერ უნახავს პეტრიცელის, პეტროცელის, პეტრონცელის გვარი, ვერც ბლოდნერის მიერ „გალათინურებული“ ფორმით (პეტრიცელუსი, პეტროცელუსი, პეტრონცელუსი), ლათინურ გვარებში მან ნახა მხოლოდ „პეტრუს“ და „პეტრონუს“, რომელთა გაიგივება გვარის (ფსევდონიმის) ზემოხსენებულ ფორმასთან, რასაკვირველია, შეუძლებელია. ვფიქრობთ, ამ მაგალითის შემდეგ გაუმართლებელი იყო პეტრიცელი ლათინურ გვარებში გვეძებნა და მისთვის ლათინური დაბოლოება მიგვეცა. მაშასადამე, როგორც ირკვევა, „პრაქტიკის“ ავტორის გარკვევის საკითხი მეტად მწვავედ მდგარა მეცნიერების ისტორიაში და ფაქტიურად ყველა მკვლევარი იმ დასკვნამდე მისულა, რომ ბერძნულ-ლათინურ წყაროებში ასეთი ავტორის, ასეთი გვარის (ფსევდონიმის) არსებობა საეჭვოა, რაც რასაკვირველია, სხვა მოტივებთან ერთად იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ „პრაქტიკის“ ავტორი იოანე პეტრიწია. მაშასადამე, ჩვენს აღრიხედელ დასკვნებს შეგვიძლია შემდეგი მოსაზრებები დავუმატოთ:

1. იოანე პეტრიწონელის მედიცინაში განსწავლულობა და მისი საექიმო-პრაქტიკული და სამედიცინო-ლიტერატურული საქმიანობა დადასტურებულად მიგვაჩნია.

2. ქართულ წყაროებში შემონახულ ცნობას იმის შესახებ, იოანე პეტრიწონელი სამკურნალო წიგნის ავტორია, გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ პრობლემის დადებითად გადაჭრის საქმეში.

3. ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებს შორის ჯერჯერობით არ ჩანს „პრაქტიკის“ ქართული ვარიანტი ან იოანეს სახელთან დაკავშირებული საექიმო წიგნი, რაც შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ საეკლესიო მოღვაწეები საქართველოში შეზღუდული იყვნენ საექიმო-პრაქტიკულ საქმიანობაში და თვით იოანეც დევნას განიცდიდა ეკლესიის კლერიკალური ძალების მხრივ.

4. „პრაქტიკის“ ავტორობის დადგენის საკითხი დიდ ინტერესს იწვევდა და მეტად მწვავედ იდგა მსოფლიოს მეცნიერების ისტორიაში.

5. კარლ ბლოდნერის ცდა დაედგინა „პრაქტიკისა“ და „Curae“-ს ავტორები, დაეთარილებინა ძეგლები, გაერკვია გვარი (ფსევდონიმი) და მისთვის მიეცა ლათინური ფორმა (დაბოლოება) — ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

6. გარუფის მოწადინებული ცდა (600 წლის მასალა — 16000 გვარის შესწავლა), რომ „პეტრიცელი“ ენახა ლათინურ-იტალიურ გვარებში, უშედეგოდ დამთავრდა, რასაც, ვფიქრობთ, სხვა მოტი-

ვებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს იოანე პეტრიწონელის ავტორობის საკითხის გადაწყვეტაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხს დადებითად გამოეხმაურა „ლიტერატურული“ გაზეთისა და ჟურნალ „მნათობი“-ს რედაქციები. თითქმის ყველა ცნობილ ქართველ მკვლევარს, ვინც კი წაიკითხა ის, დამაჯერებლად მიაჩნია ჩვენ მიერ წამოყენებული მოტივები. დადებითად გამოეხმაურა მას ლეიპციგის უნივერსიტეტის პროფ. ზუდჰოფის სახელობის მედიცინის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ჰარიგი, რომელსაც მიაჩნია. რომ ამ გამოკვლევით შუქი მოეფინა ძველი საუკუნეების მეტად ბნელსა და საინტერესო საკითხს. ამ ინსტიტუტმა დაბეჭდა ჩვენი გამოკვლევა თავის ჟურნალში, გერმანულ ენაზე,* ინსტიტუტი გვთხოვს დამატებითი მასალები ამ საკითხის გარშემო დაუყოვნებლივ გავუგზავნოთ მათ.

საბოლოოდ უნდა განვაცხადოთ შემდეგი: ადრინდელი და ახლანდელი დამატებითი მასალები საკვებით საკმარისად მიგვაჩნია იმისათვის, რომ „პრაქტიკის“ ავტორად საბოლოოდ აღიარებული იქნას იოანე პეტრიწი. მაგრამ მუშაობას ამ მხრივ დასრულებულად მაინც არ ვთვლით.

ჩვენ ხელთ არის ახალი მასალები, და საჭიროა ამ საკითხის გარშემო არსებული ჩვენი და სხვა ავტორების გამოკვლევებთან ერთად გამოიცეს თვით ტექსტიც, რომელიც საშუალებას მისცემს სხვა დარგის სპეციალისტებსაც ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, ენათმეცნიერებს, მედიცინის ისტორიკოსებს აწარმოონ შემდგომი კვლევა.

*. Von M. S. Schengelia Johann Petrisone und d: Frage des Urheberschaft der „Practica“

Jonderdruck aus „Zeitschrift für Geschichte der Naturwissenschaften, Technik und Medizin“

J. Jahrgang, Heft. r. 33. 148.

ვეტერინარიისა და მეცხოველეობის ბანკოტარების ისტორიისათვის ძველ საქართველოში

მედიცინა და ვეტერინარია უაღრესად ახლო ურთიერთობის მქონე მეცნიერებებს წარმოადგენენ, ერთის განვითარება გავლენას ახდენს მეორის განვითარებაზე და პირიქით. ამიტომ ვეტერინარიის ისტორია, გარდა იმისა, რომ საინტერესოა თავისთავად, როგორც მეცნიერების გარკვეული დარგი, საინტერესოა აგრეთვე სამედიცინო ბიოლოგიური აზროვნების ისტორიის თვალსაზრისითაც. ამდენად ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ეს საკითხი, რითაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს ვეტერინარიის ისტორიის შესწავლას საქართველოში. თუ ეს შრომა მომავალი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ერთგვარ სტიმულსა და სურვილს გამოიწვევს ქართველ ვეტერინარებში, ჩვენს მიზანს მიღწეულად მივიჩნევთ.

ძველი ქართული კულტურა, გეოგრაფიული სიახლოვისა და პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობის წყალობით, ახლო აღმოსავლეთის უძველეს კულტურას და, კერძოდ, სუმერულს, ხეთა — სუბარულსა და ურარტულ კულტურას უკავშირდება. ქართულ ხალხურ ფოლკლორში შემორჩენილი წეს-ჩვეულებები ხშირად ზემოხსენებულ ხალხთა კულტურაში დღემდე პოულობს პარალელს. თვით მეცხოველეობა — ვეტერინარიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხებშიც კი. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ უძველეს კულტურულ ქვეყნებზე არსებულ ძირითად წყაროებში მეცხოველეობასთან დაკავშირებული მასალების საფუძველზე გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ მეცხოველეობის განვითარების დონის გარშემო, რაც მნიშვნელოვანწილად გააადვილებს უძველეს ქართველურ ტომებში აღნიშნული საკითხის შესწავლას.

მესოპოტამიაში, რომელიც საერთოდ მსოფლიოს ცივილიზაციისა და კულტურის აკვნად ითვლება, პირველი მონათმფლობელური სახელმწიფო დააარსეს სწორედ სუმერებმა და მესოპოტა-

მიურ კულტურას, რომელშიაც მომდევნო ეპოქებში ბაბილონისა და ასურეთის კულტურაც იგულისხმება, სუმერებმა ჩაუყარეს საფუძველი. სუმერებს ჰქონდათ მტკიცე სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ვაჭრობა, სამართალი, კანონთა კოდექსები, სარწყავი არხები, ტაძრები, ბიბლიოთეკები, სკოლები, ჰყავდათ რეგულარული ჯარი და სხვ. ფიქრობენ, რომ ბაბილონის კულტურა საერთოდ, და, კერძოდ, მისი სახელოვანი მეფის ჰამურაბის ცნობილი კოდექსი, რომელიც ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს მესოპოტამიური კულტურის ისტორიისათვის, სუმერთა კულტურის უშუალო გავლენის შედეგია, რადგან უშუალოდ დამარცხებული სუმერული სახელმწიფოს ნანგრევებზე ააშენეს გაძლიერებულმა სემიტურმა ტომებმა ახალი სახელმწიფო — ბაბილონის იმპერია, სადაც სუმერულმა კულტურამ შემდგომი განვითარება პპოვა, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე სემიტური ტომები სუმერებს კულტურულად ბევრად ჩამორჩებოდნენ. სუმერებს ჰქონდათ კოდექსები, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ფიქრობენ, რომ ჰამურაბის კოდექსი იგივე სუმერული კოდექსია და, ამდენად. ბაბილონური ჰამურაბის კოდექსით შეგვიძლია სუმერის ზოგიერთი საკითხებიც გავარკვიოთ.

ქართველი ხალხის ზეპირსიტყვაობაში, მატერიალური კულტურის ძეგლებში დღემდე შემონახულია წარმართული კულტები, რომლებიც პარალელს პოულობს სუმერულ კულტურაში. კერძოდ ქართული ხალხური მაგიური მედიცინა პარალელს პოულობს სუმერულ მაგიურ მედიცინასთან. მოარულ სენთა გამომწვევად ხალხი „ბატონებს“ თვლის, ბატონების დედად აღიარებულია ბარბარე.

აქადემიკოს ივ. ჯავახიშვილისა და ვ. ბარდაველიძის სპეციალური კვლევის შედეგად საბოლოოდ დადასტურებულია, რომ ქართული ბარბარე მიჩნეულია მზის ქალ ღვთაებად და ის პარალელს პოულობს სუმერული მზის ღვთაება ბარბართან*.

ბარბარეს, ისე როგორც სუმერული ბარბარის, მთავარ ფუნქციას მკურნალობის საქმე წარმოადგენს. ის არა მარტო ადამიანის ჯანმრთელობის უზენაესი მფარველია, არამედ პირუტყვის, საქონლის სნეულებისა და სიჯანსაღის უზენაესი გამგებელია, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ჩვენს შორეულ წინაპრებში ჯერ კიდევ 20—30 საუკ. წინათ (ძვ. წ. აღრიცხვით) მესაქონლეობისა და საქონლის მკურნალობის (ვეტერინარიის) ერთ-ერთი სახის — მაგიური ვეტერინარიის არსებობა დავადასტუროთ. სევანეთში, გარდა

* ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხილეთ მ. შენგელიას ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“, საქმედგამი, 1956.

ომისა, რომ ბარბალე („ბარბოლი“) სოფლის დასტაქრების სალო-
ცავი ღვთაება იყო, უმთავრესად ის მესაქონლეობის მფარველ
ღვთაებად არის მიჩნეული, მასში მესაქონლეობის კულტის გადმო-
ნაშთებია დაცული.

სვანეთში სპეციალურად დანიშნული იყო დღეობა, ე. წ. „ბარ-
ბალობა“, რომელიც მსხვილფეხა საქონლის კეთილდღეობისათვის,
ჯანმრთელობისათვის, გამრავლებისათვის იყო განკუთვნილი.

ამ დღეობაზე რიტუალის უშუალო მონაწილეები და შემსრუ-
ლებელნი არიან: სახლის უფროსი (ქორა მახჭში და ხოშა ზურა-
ლი), საქონლის მკვებავი, ძროხის მწველელი და მწყემსი. აქ რიტუა-
ლის შესრულებისას საქონლის მკვებავი ლოცულობს:

„ბარბალე ბატონო, მადლიანი საკვები (საქონლის) მრავლად
მოგვეცი, ჩემგან მიცემული საკვები (საქონელს) სასარგებლო უყავ.
მადლიანო ბარბალე“*.

ძროხის მწველელი კი — ლოცულობს:

„ბარბალე ბატონო, მადლიანო, მეწველი (საქონელი) გაგვიმ-
რავლე, მადლი გექნება“.

„ო—ო მადლიანო ბარბალე, ანგელოზო. ცხიმიან-რძიანად
გამრავლე ჩვენი ოჯახის ძროხები; ბალნის ბეწვისა და ჩლიქის
ნამცეცის გარდა არაფერი დააკლო, დანაკლისი მომატებად შეს-
ცვალე“.

სახლის უფროსი ასე მიმართავს ბარბალეს:

„ა—ა დიდებამც მოგსვლოდეს, მადლიც მოგსვლოდეს ბარბალე
ანგელოზო. ბარბალე ანგელოზო, დიდებამც მოგსვლოდეს! ჩვენი
საქონელი გამრავლე და ზეთი და ერბო ადულე ჩვენს სახლში“.

ამ ლოცვებიდან ირკვევა ბარბალეს ფუნქციები, რომ ის
„მსხვილფეხა საქონლის მფარველი ღვთაებაა, რომელსაც შეუძლია
ძროხისა და ხარის გამრავლება, წველის ბარაქის მიცემა და საზო-
გადოდ მსხვილფეხა საქონლის მეურნეობასთან დაკავშირებული
ყოველგვარი სიკეთის მინიჭება“**.

სიკეთესთან ერთად მას ზიანის მიყენებაც შეუძლია. გაბრაზე-
ბული სვანი ასე სწყევლის ძროხას:

„ბარბოლს აშოლუ ოთბიკუა“ — ბარბალესამც გაეხეთქეო, ან
კიდეე:

* აქაც და ქვემოთ ტექსტი ციტირებულია წიგნიდან: ვ. ბარდაველიძე —
„ქართულთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ)“,
1941 წ., თბილისი.

** ვ. ბარდაველიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 21.

„შენს სალოცავს (ე. ი. ბარბალეს) შინამც არ მოეყვანეო“*.

ბარბალეს ასეთი ფუნქციების გარდა, კიდევ ერთი, ჩვენთვის მეტად საინტერესო ფუნქცია აკისრია, სახელდობრ, მკურნალობის ფუნქცია: ის საქონლის დაავადებისაგან „ცუდი ჭირისაგან“ მფარველი ღვთაებაა. ბარბალეზე ლოცულობენ, „დიდება მოგსვლოდეს ბარბალე... მადლი გექნება უშველე ჩვენი სახლის საქონელს და ადამიანს... ჩვენს სახლში მყოფი ადამიანისა და საქონლის თვალის ტკივილი და სხეულის ჭირი ქვემოთ წყალს მიეც და ზემოთ ქარს“.

ან კიდევ:

„დიდება მოგივიდა ბარბალეს! ბარბალე ტკივილს ნუ მოგვცემ ადამიანს და საქონელს“.**

ბარბალეს კულტი, როგორც მესაქონლეობის მფარველი ღვთაება. საქართველოს სხვა კუთხეებშიც არის შემონახული. გურაში ის შინაური ფრინველის მფარავად ჰყავთ მიჩნეული, სადაც ფრინველს ბარბალობა-დღეს „ჩასვამენ გასასუქებლად სასუქში“. ბარბალობა-დღეს მათ იციან „ქათმის ფერხვა“ „კაი ფეხის“ მეზობლის მეშვეობით. აღნიშნული რიტუალი დამოწმებულია აგრეთვე რაჭაში, იმერეთში, ლეჩხუმში, ქართლში.

მაშასადამე, ქართველ ხალხში ასე მტკიცედ გავრცელებული „ბარბალობა“ — ბარბარის სუმერულ ბარბართან დაკავშირებით საშუალება გვეძლევა მესაქონლეობის წარმოშობისა და ვეტერინარიის საფუძვლების ცოდნის საწყისები მეტად შორეულ წარსულში წარმოვიდგინოთ. ქართულ-სუმერული ურთიერთობის მაჩვენებელია აგრეთვე ზოგიერთი ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის სუმერული ჩამომავლობა.***

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სუმერების კულტურის მემკვიდრეებად აღიარებულია ბაბილონის იმპერია და მისი სახელოვანი მეფე ჰამურაბი, მის საკანონმდებლო კოდექსში, რომელიც 2250 წ. (ძვ. წ. აღ.) არის შექმნილი, სუმერთა კულტურული, სოციალური და ეკონომიური მდგომარეობაა არეკლილი.

კოდექსის განსაზღვრული მუხლები ეხება მესაქონლეობის საკითხებს, საიდანაც გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალება გვეძლევა.

კოდექსში დასახელებულია ცხოველები: ხარი, ცხვარი, ვირი, ღორი, წვრილფეხა საქონელი.

კოდექსის მიხედვით, ბაბილონში ჩანს ძლიერი კლასობრივი

* ვ. ბარდაველიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 21.

** იქვე, გვ. 48.

*** მ. შენგელია — დასახელებული წიგნი, გვ. 12.

უთანასწორობა — მდიდარი და ღარიბი, დაქირავებული შრომა, რომელიც სწორედ მესაქონლეობასთან არის დაკავშირებული. მეპატრონის მიერ დაქირავებული მწყემსის გასამრჯელო სახელმწიფოს მიერ კანონით არის გათვალისწინებული (მუხ. 57—261). რაც მესაქონლეობის, როგორც სამეურნეო დარგის, მეტად ორგანიზებულობაზე მიუთითებს. დამქირავებელი ვალდებულია მწყემსს მისცეს გასამრჯელოდ წლიურად 8 კური პური. თუ დაპყრობა მან საქონელი, მაშინ ვალდებულია მისცეს ხარში — ხარი. ცხვარში — ცხვარი. ის ვალდებულია აგრეთვე ხელშეკრულების თანახმად მისცეს მეპატრონეს შემოსავალი საქონლიდან და პირუტყვის ნამატი. თუ მწყემსი არაკეთილსინდისიერად მოიქცევა და გაპყიდის მოპარვიანი მეპატრონის საქონელს ნიშნის (დალის) შეცვლით, მაშინ ის ვალდებულია გადაიხადოს საქონელი არა სულზე — სული, არამედ ათკეცი რაოდენობით. მესაქონლეობის ორგანიზებულობაზე მიუთითებს აგრეთვე ცხოველებზე გაკეთებული ნიშანი — დალი, მეპატრონის საკუთრების მაჩვენებელი (მუხ. 265). ჩანს აგრეთვე საძოვარი მინდვრების კერძო საკუთრება და მისი კანონით ხელშეუხებლობა მეპატრონის სასარგებლოდ (მუხლ. 57—58). კოდექსში განსაკუთრებით ბევრი ლაპარაკია ხარზე, ალბათ, როგორც მიწათმოქმედების მნიშვნელოვან ძალაზე. როგორც ჩანს, მესაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედება მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა ბაბილონის იმპერიის ეკონომიკაში. ხარი, როგორც სამეშაო ძალა, ქირავდება ფულად დროებით. წლიურად და კანონით გათვალისწინებულია სათანადო გასამრჯელო ხარის მეპატრონისათვის (მუხ. 242—3—4—5—6—7—8—249). კანონით გათვალისწინებულია აგრეთვე ხარზე მიყენებული ზიანის საზღაური და ის ძალიან დიდია არის. '247-ე მუხლის მიხედვით, „თუ ვინმე იქირავებს ხარს და დაუზიანებს მას თვალს, მაშინ მან უნდა გადაუხადოს ხარის პატრონს მისი ღირებულების ნახევარი ფულად“ და სხვ. საინტერესოა აგრეთვე იმ დროისათვის ხარის, ურმისა და მეურმის არსებობა, როგორც სიტრანსპორტო საშუალებისა (მუხ. 271—272) და მისი დღიური გასამრჯელოს გათვალისწინება კანონით.

„თუ ვინმე დაიქირავებს ხარებს, საბარგო ურემსა და მეურმეს, იხდის დღეში ასოთხმოც კა პურს“.

ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს 224-ე მუხლი:

„თუ ხარების ან ცხვრების მკურნავი, გაუკეთებს რა მკიმე განკვეთას ხარს ან ცხვარს, განკურნავს (ცხოველს), მაშინ ხარის ან ცხვრის პატრონი უხდის მას ერთ მეექვსედ სეკელ ვერცხლს“.

როგორც ამ მუხლიდან ირკვევა, ყოფილა სპეციალურად ხარების და ცხვრების „მკურნავი“, ე. ი. ვეტერინარი, რომელიც მძიმე ოპერაციას აკეთებს ცხოველებზე, და რადგან კანონით გათვალისწინებულია მისი ჰონორარი, ის, ე. ი. ექიმი-ვეტერინარი და, საერთოდ, ვეტერინარია, ეტყობა, სახელმწიფოებრივი ზრუნვის ობიექტს წარმოადგენდა და მნიშვნელოვან, კანონით გასათვალისწინებელ დარგს წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში.

მეორე მხრივ, სახელმწიფო მას პასუხისმგებლობას აკისრებს: „თუ იგი (მკურნავი—მ. შ.) ხარზე ან ცხვარზე მძიმე განკვეთის გაკეთებისას მიაყენებს ცხოველს სიკვდილს, მაშინ უნდა მისცეს ხარის თუ ცხვრის პატრონს ღირებულების მეოთხედი“. (მუხ. 225).

მედიცინისა და ვეტერინარიის უდიდესი აკვანია მსოფლიო ისტორიაში ეგვიპტე. მე-3 ათასწლეულს ეკუთვნის ეგვიპტეში აღმოჩენილი ვეტერინარიისა და მედიცინის განვითარების ამსახველი პაპირუსები, რომლებიც ცნობილია ე. წ. გინეკოლოგიური და ვეტერინარული პაპირუსებით.

1550 წ. (ძვ. წ. აღ.) მიეკუთვნება ებერსის პაპირუსები და ახალი იმპერიის დამახასიათებელია ბრუგმას პაპირუსი. როგორც ამ პაპირუსებიდან ირკვევა, მედიცინა და ვეტერინარია აქ მაღალ დონეზე დგას. იყვნენ ექიმი-სპეციალისტები (თავის, თვალის, შინაგანი და სხვ.). ისინი სახელმწიფო მოხელეებად ითვლებოდნენ, ლეზულობდნენ ხელფასსა და სხვ. ამ დროს, როცა ჩვენთვის საინტერესო ზემოხსენებული პაპირუსები იწერებოდა, ჩვენი წინაპრების მეზობელი ტომები — ხეთები და სუბარები — პირველობდნენ აღმოსავლეთში როგორც თავიანთი სამხედრო ძლიერებით, ისე კულტურით: „მე-18 საუკუნეში ხეთას სამეფომ დიდ ძლიერებას მიაღწია, ხოლო იმავე საუკუნის დამლევისათვის პირველი ადგილი სუბარებმა დაიჭირეს, სუბარებმა ამ დროს მთელი გადატრიალება მოახდინეს სამხედრო საქმეში, მათ შემოიღეს მსუბუქი ორთვალა — საბრძოლო ეტლი, რომელშიც ცხენებს უბამდნენ... ცნობილია, რომ მე-2 ათასწლეულის პირველ ნახევარში ეგვიპტე დაიპყრო აზიიდან მოსულმა ხალხმა, რომლებმაც შეიტანეს ეგვიპტეში საომარი ეტლი. თვით ცხენიც ეგვიპტელებმა ამ დროს გაიციეს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამ დიდი მოძრაობის სათავეც სუბარეთში უნდა ვეძიოთ“*. შემდეგში აღმოსავლეთის პოლიტიკურმა ცენტრმა სუბარეთიდან ხეთაში გადაინაცვლა, ხეთებმა დიდად გააფართოვეს თავი-

* საქართველოს ისტორია, თბილისი, 1948, გვ. 21.

ანთი პოლიტიკური და სამხედრო გავლენის საზღვრები. ისინი ეგვიპტეს ეცილებიან მსოფლიოს ბატონობაში და მე-14 საუკუნეში სძლიეს კიდევ ეგვიპტელებს და სირია დაინარჩუნეს. „ხანგრძლივ ბრძოლას ეგვიპტე-ხეთას შორის მსოფლიო პირველობისათვის ბოლო მოუღო ხეთის მეფემ ხატუშილ მესამემ, რომელმაც 1278 წ. ფარაონთან ხელშეკრულება დადო სამუდამო მეგობრობის შესახებ. ეს შესანიშნავი დოკუმენტი მოღწეულია ჩვენამდე და საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელ ძეგლად ითვლება“*. როგორც ვხედავთ, ეგვიპტესა და ხეთას შორის მჭიდრო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა არსებობდა. საბრძოლო ორთვალა და ცხენი უაღრესად კომპენტენტურ მეცნიერთა აზრით სუბარებმა შეიტანეს ეგვიპტეში. გამოდის, რომ ცხენის პირველი მომშინაურებელნი სუბარები არიან. ცხენის უძველეს სამშობლოდ სუმერულ-ბაბილონური და ხეთა-სუბარული ქვეყნების ტერიტორიებს თვლიან რუსი და ევროპელი მეცნიერებიც. კ. კელერი აღნიშნავს:

«Уже очень рано замечаются следы ручных лошадей в Месопотамий. Вавилоняне знали их уже за 2000 л. до р. х.**».

ცხენი იქ მეტად საყვარელ ცხოველად არის მიჩნეული.

«Любимым животным была там лошадь: разводилась сухорылая восточная порода. В произведениях искусства мы ее постоянно встречаем, как верховое животное, так и запряженную в колесницу»***».

ქართველ ხალხში დღემდე შემონახულია წარმართულ, ხეთა-სუბარულ ღვთაებათა სახელები****. ასევე იმ დროიდანვე იქნება გავრცელებული ქართველურ ტომთა შორის საქონლის მოშენებასთან, მოვლასა და მკურნალობასთან დაკავშირებული წესები და რიტუალები. თვით ხეთა-სუბარებს, სუმერების მსგავსად, გააჩნდათ საკანონმდებლო კოდექსები, სადაც ასახულია მესაქონლეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხები.

„ხეთური კანონები“ ამოკითხულ იქნა ლურსმული ტექსტებიდან, რომელიც აღმოჩნდა ხეთის დედაქალაქ ბოლაზ-კუს გათხრებისას, სადაც 5 სასახლის ნანგრევები და 20000-მდე ლურსმული

* საქართველოს ისტორია. თბილისი, 1948, გვ. 22.

** К. Келлер — «Естественная история домашних животных» гв. 225.

*** იევე, გვ. 46.

**** იხ. მ. შენგელიას დასახელებული შრომა, გვ. 16—18.

წარწერები (ტექსტები) იქნა ნაპოვნი. ხეთის სახელმწიფოს ისტორიის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვით რუს მეცლევარებს — აღმოსავლეთმცოდნეებს აკად. ბ. ა. ტურაევს, აკად. ვ. კ. სტრუვეს, პროფ. ვ. კ. შილეიკოს, აკად. ი. ი. სმირნოვს და სხვ.

ხეთის კანონებში უხვადაა მესაქონლეობასთან დაკავშირებული საკითხები, სამოსამართლო ვეტერინარიის საკითხები. კანონებში მოხსენებულია შემდეგი ცხოველები: ცხენი, ხარი, ფური, ვირი, ჭორი, ძაღლი; ფრინველები.....

აღსანიშნავია, რომ ჰამურაბის კანონისაგან განსხვავებით, აქ მოხსენებულია ცხენი, რაც მეცნიერთა ზემოხსენებული მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს. ჩანს, ხეთა-სუბარულ სამყაროში, მის სამშობლოში, განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა სხვა შინაურ ცხოველთა შორის, ის მეტად ფასობდა და უფრო მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული მისთვის რაიმე ზიანის მიყენებისა და მოპარვის დროს (მუხ. 59 შდრ. მუხ. 64-ს).

ჰამურაბის კანონისაგან განსხვავებით, აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ხეთურ კანონებში მოხსენებულია ფრინველები (მუხ. 17 მუხ. 62).

თუ დაეკვირდებით ამ კანონებს, აქაც მესაქონლეობის მეტად განვითარებულ და ორგანიზებულ მეურნეობასთან გვაქვს საქმე. დადგენილია ცალკეული სახის შინაური ცხოველისა და ფრინველის ფასი (მუხ. 63) ასაკის მიხედვითაც კი. გათვალისწინებულია კანონით მუშა-საქონლის ქირა, დაწესებულია ქურდობასა და საქონელზე ზარალის მიყენებისას სათანადო ჯარიმა-ანაზღაურების ნორმები. ჩანს, წარმოებდა მესაქონლეობის პროდუქტების გადამამუშავება. რადგან კანონებში ნახსენებია: კარაქი, რძე, ღორის ქონი, ყველი და ხარის, ცხვრისა და თხის ტყავები მათი ფასების აღნიშვნით (მუხ. 66—71). შინაურ ცხოველთა და მათი პროდუქტების ფასებზე ერთგვარ წარმოდგენას იძლევა ხეთა-სუბარეთის ეკონომიკაზე.

კანონებში ყურადსაღებია აგრეთვე ზოგიერთი საინტერესო დეტალები; აღნიშნულია მატყლის მომცემი ცხვარი (მუხ. 70), რაც მატყლის გამოყენების და მატყლიანი ცხვრის მოშენების ერთ-ერთი უძველესი თარიღის დადგენის საშუალებას იძლევა. ალბათ ამაში პოულობს გამართლებას ცნობილი ბერძნული ლეგენდა არგონავტების შესახებ, სადაც მოცემულია კოლხიდიდან ოქროს მატყლიანი ცხვრის გატაცება. ზემოხსენებული კანონი ერთგვარ ისტორიულ საბუთს წარმოადგენს მატყლის მომცემი ძვირფასი ცხვრის არსებობაზე ახლო აღმოსავლეთის ძველი ქვეყნებისა და

კერძოდ, ჩვენს უძველეს მიწა-წყალზე, რაც შემდეგში უცხოელთათვის (ბერძენთათვის) ლეგენდის შექმნის საგნად გამხდარა.

შინაური ცხოველის რენტაბელური გამოყენების მეთოდების ცოდნაზე მიუთითებს გამოთქმის, ტერმინის „გამოკვებილი ღორის“ ხმარება კანონის ტექსტში (მუხ. 82), რითაც ირკვევა, რომ ღორს ასუქებდნენ, კვებადნენ სპეციალურად ქონის მისაღებად (მუხ. 91).

ხეთური კანონებიდანაც ჩანს მესაქონლეობის მსხვილი მეჯოგური სისტემის არსებობა, რასაც მიუთითებს მწყემსისა და მწყემსის ძაღლის ხსენება ტექსტში, სადაც მწყემსის (მეჯოგის) ძაღლის მოკვლაზე განსაკუთრებული საზღაურია დანიშნული (მუხ. 86—60) უაღრესად საინტერესოა აგრეთვე კანონის ტექსტში ხსენებული «овечий пастух приготовитель помозаний» (მუხ. 60) ან «Испытаний «Птицегодатель» (მუხ. 62), რომელსაც სპეციალურად ქირობენ კანონით განსაზღვრული ჰონორარით (25 სეველი ვერცხლი). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ „საცხების დამამზადებელსა“ და გამოცდილ «Птицегодательს»-ში იგულისხმება უსათუოდ ფრინველის ან ცხოველის მომშენებლისათუ მკურნალის მსგავსი სპეციალობა.

ტექსტში ორგზის ნახსენებია (მუხ. 61—67) აგრეთვე საქონლის (ხარის, ცხენის, ფურის, ვირის, თხისა და ცხვრის) რაღაც გაურკვეველი დაავადება *hali*.

როგორც ირკვევა ამ კანონებიდან, ამ სენით დაავადებული საქონლის არც გაქირავება შეიძლება და არც გაყიდვა. მოტყუებულ მყიდველს შეუძლია ასეთი გამყიდველი სამეფო სასამართლოს გადასცეს. ხომ არ იგულისხმება ამ დაავადებაში საქონლის რაიმე ინფექციური დაავადება და აღნიშნული კანონები ხომ არ წარმოადგენს ერთგვარი ეპიდემიოლოგიური რეჟიმის გამოვლინებას?..

დასასრულ, საინტერესოა ტექსტში მოხსენებული „თეშუბი“ და „შზის ღვთაება“, რომელსაც ლოცვით მიმართავენ შეძენილი მინდვრის საზღვრების „განწმენდის“ დროს (მუხ. 54). ხეთური „თეშუბი“ და ხალღური „ტეიშება“ ანუ „ტეიშბა“, აკად. ივ. ჯავახიშვილის გარკვევით, ქართველთა და აფხაზ-ჩერქეზთა წარმართული პანთეონის მონათესავეა. შზის ღვთაებაში კი, ვფიქრობთ, ბაბარი, ანუ ქართველურ ტომებში დღემდის შემორჩენილი ზემოხსენებული წ-და ბარბაღე იგულისხმება, რადგან ბარბარე საქონლის მთარველი ღვთაებაა, შზის ღვთაებაა და მინდვრის შეძენა ეს მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციაა და სრულიად

ბუნებრივია, რომ ამ ოპერაციისას სწორედ ამ ღვთაებისათვის მიემართა მყიდველს ლოცვით.

თვით დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, მცხეთაში. რაჭაში, საჩხერეში, თრიალეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ ყოველივე ზემოთქმულს. რაჭაში, სოფ. ღების არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა მოწინააღმდეგეული ცხოველების უძველესი ნაშთები. ზემო რაჭაში მოპოვებულია ცხოველთა (ცხვრის) გამოსახულებით შემკული მრავალი ნივთი[•]. თრიალეთსა და საჩხერეში გათხრებზე აღმოჩენილი მასალის ანალიზზე დაყრდნობით არქეოლოგებს გამოაქვთ დასკვნა:

„ძვ. წ. მესამე ათასწლეულიდან საქართველოს ზოგიერთ რაიონებში მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენებას მისდევენ. თრიალეთში და საჩხერეში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ მიწათმოქმედების და მესაქონლეობის შერწყმის ბაზაზე წარმოქმნილი კულტურის შემდგომი დაწინაურება მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გამოყენების შედეგად უნდა ყოფილიყო... გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე... ბარში უკვე ნამდვილი მწყემსური მესაქონლეობა იკიდებს ფეხს, სახელდობრ, მტკვრისა და არაგვის შესართავთან მცხოვრებ მიწათმოქმედ მესაქონლე ტომებსა და მთის ზოლში მოსახლე ტომებს შორის“^{••} მცხეთაში, სამთავროს სამაროვანსა და არმაზის ხევის შესართავთან აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიც აშკარად მიუთითებს, რომ „ძვ. წ. მეორე ათასწლეულის მიწურულში თხა და ცხვარი მკვიდრად იკიდებს ფეხს ბარის მეურნეობაში, ამას მოწმობს სამთავროს და სხვა სამაროვანთა ძველი სამარხები, სადაც გვხვდება ხარის, ძროხის, თხის და ცხვრის ძვლები“^{•••}.

თრიალეთში წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა არა მარტო ცხენის ძვლები, არამედ სხვადასხვა ტიპის ლაგამი და სხვა მოსართავები, რაც სათანადო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

«Такой тесно связанный с конным бытом предмет, как удила, представлен в общих грузинских памятниках одним

[•] გ. გობეჯიშვილი — „სოფ. ღებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში“ — ენიმკის მოამბე, IV—3, 1939 წ.

^{••} ტ. ჩუბინიშვილი — „შიდა ქართლის გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურის ადრეული ეტაპის ისტორიისათვის“ 1953 წ. გვ. 282—283.

^{•••} ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე და გ. ლომთათიძე — „არქეოლოგიური ძეგლები არმაზის ხევის შესართავთან“, მცხეთის არქეოლ. ექსპ. შრომები. ტ. I.

крайне своеобразным типом, до сих пор не встреченным нигде более, кроме территории Восточной Грузии до Сурами... эта новая находка бронзовых удил столь специализированной формы в Триалети в погребении Ахеменидской эпохи, указывает на самостоятельные пути в развитии Коневодства в Грузии, во всяком случае с конца II тысячелетия до нашей эры. Когда бронзовые удила начинают появляться в археологических находках и на культивирование крупных и темпераментных пород лошадей, выращиваемых, видимо, в табунных условиях и требующих поэтому, особой объездки и применения строгих удил вышеописанного характера»*.

თრიალეთშივე აღმოჩენილია ხარის, თხის, ცხვრის და ღორის ძვლები და აგრეთვე ოთხბორბლიანი ეტლი (ურემი), რომლის გამწვევ ძალად ხარია მიჩნეული**. აღნიშნული ძვლები და ეტლი დათარიღებულია ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდით.

შინაური ცხოველების ძვლებისა და მათთან დაკავშირებული იარაღ-მოსართავების (ლაგამი, ეტლი) გარდა, არქეოლოგიური გათხრებისას არაიშვიათად ნახულობენ ცხოველთა გამოსახულებებს ნივთებზე, ფიგურებს (თიხის, ბრინჯაოს და სხვ.) უმთავრესად ავეგაროზებისა და რიტუალურ დანიშნულებათა სახით.

საქართველოს მუზეუმში ინახება ერთი შესანიშნავი ბრინჯაოს მონაპოვარი ყორნისიდან (საქ. მუზეუმი. ინვენტ. 5714) — მთის ცხვრის მონუმენტური ფიგურა ზურგზე მარყუჟით, რომელიც რიტუალური დანიშნულებისა უნდა იყოს და თავის სიმძიმის გამო*** არა უბრალო ჩამოსაკიდი ავეგაროზი. ცხოველთა ფიგურების დამზადება, მათი გამოყენება ავეგაროზებად და რიტუალურ საგნებად მიუთითებს იმაზე, რომ შინაური ცხოველი უკვე დიდი ხანია შეიჭრა ადამიანის არა მარტო ყოფასა და ეკონომიკაში, არამედ ის დამკვიდრდა მის ფსიქიკასა და შეგნებაში, როგორც კეთილის გამოსახულება, როგორც გაღმერთების საგანი. საქართველოში ადამიანის სამარხებში, როგორც ანტიკური დროის სამაროვანში ისე ახალწელთარციცხვის I-ლ ათეულ საუკუნეებში მცხეთასა, კლდეეთსა და ბორის სამაროვანში მრავლადაა ნაპოვნი ცხენის ჩონჩხი თავისი მოსართავებით, ძალის ჩონჩხი. მიცვალებულ პატრონთან ერთად

* К у ф т и н Б. А. «Археологические раскопки в Триалети» — I.

** იქვე.

*** К у ф т и н Б. А. «Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию», 28.

მისი საყვარელი ცხოველების (ცხენის, ძაღლის, მსხვილფეხა საქონლის) დამარხვა იმას მიუთითებს, რომ უკვე ადამიანის ყოფასა და შეგნებაში შინაურმა ცხოველმა ღრმა და მნიშვნელოვანი კვალი გაავლო.

ცხენის კულტის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე დამოწმებულია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ეპოქაში: „მოპოვებულ არქეოლოგიურ ძეგლთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც ცხადად მოწმობს ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს ცხენის არა მარტო მოშინაურება-გახედნას, არამედ მისი, როგორც გამწევი ძაღლის, მეურნეობაში და ლაშქრობაში სულ უფრო და უფრო წარმატებით გამოყენებას ბრინჯაოს ცხენებს და ცხენოსანთა მომცრო ფიგურების, ბრინჯაოს ბალთებზე, აბზინდებზე და ფურცლოვან სარტყლებზე ამოკაწრული ცხენიანი ეტლები და ცხენების გამოსახულებათა სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ ცხენს იმ დროისათვის მტკიცედ დაუშვებდრებია ადგილი არა მარტო ადამიანთა სამეურნეო ცხოვრებაში, არამედ აზროვნებაში“.

გვიანი ბრინჯაოს ხანაზე ადრინდელ პერიოდში ვარაუდობს ხარის, როგორც გამწევი ძაღლის, გამოყენებას ამიერკავკასიის ტერიტორიაზე პროფ. პიოტროვსკი**.

ძვ. წ. II ათასწლეულში ხარის გამოსახულების შემცველი საკულტო ძეგლები შიდა ქართლში მრავლადაა წარმოდგენილი. ვ. ბარდაველიძის აზრით, სვანური რელიგიური გადმონაშთი „ხოშა ღერბეთი“ წარმოდგენილია როგორც კომპლექსური მზისა და ხარის კულტების შემცველი ღვთაება, რომელიც პატრიარქალური დროიდან მკვიდრდება ძვ. ქართულ რელიგიაში.

მცხეთისა და არმაზის ხევის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ცხვრის თავის გამოსახულების მქონე ნივთების განხილვისას არქეოლოგები, აკეთებენ რა ადრინდელი არქეოლოგიური მასალების მიმოხილვასაც, ცხვრის შესახებ ამბობენ:

„ცხვარს რომ უკვე ძვ. წ. მეორე ათასწლეულში მკვიდრად აქვს ფეხი მოკიდებული ქართველ ტომთა მეურნეობაში, ამას მოწმობს საქართველოს სხვადასხვა სამაროვანთა ძველი სამარხები, რომლებშიაც ხარ-ძროხის, ღორისა და თხის ძვლებთან ერთად და მათზე უფრო ხშირადაც, გვხვდება ცხვრის ძვლები, როგორც თავის დროზე მიცვალებულთათვის საიჭიოს გატანებული „საგზლის“ ნაშთი... ამ ნივთიერ ბაზისზე უნდა აღმოცენებულიყო ცხვრის, როგორც საკულტო ცხოველისა და მისი გამოსახულების, როგორც მფარ-

* ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, „მცხეთა“, ტ. I, გვ. 56.

** იქვე, გვ. 108.

ველი ავგაროზის იღეა. ჩვენს ტერიტორიაზე დამოწმებულ ასეთ გამოსახულებათაგან უძველესად უნდა ჩაითვალოს სოფ. ლებთან ბრილის სამაროვანის ძვ. წ. II ათასწლეულის შუასაუკუნეების ფენაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცხვრის გამოსახულებანი, რომლებიც ზოგჯერ დამოუკიდებელ ქანდაკებას წარმოადგენს, ხოლო ზოგჯერ საზეიმო ცულებს ამკობს... ისინი გვხვდება აგრეთვე როგორც ბრილისავე სამაროვნის, უფრო ახალი სამარხებიდან ამოთხრილ ბრინჯაოს ბალთებზე და თიხის ჭურჭლებზე, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში სულ სხვადასხვა ხანაში. ასეთია, მაგ., ბრინჯაოს სამი ცხვრის თავით შემკული კვერთხი და ბრინჯაოს შესაბნევი, აგრეთვე ცხვრის თავით შემკული, აღმოჩენილი მ. ივანენკოს მიერ აფხაზეთის ერთ-ერთი დოლმენის იმ ფენაში, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ეკუთვნის, შემდეგ უნდა მივუთითოთ წალკაში, ბეშთაშენის სამაროვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს აბზინდა, რომლის ნისკარტი რქახვეული ცხვრის თავითაა დაგვირგვინებული. ყაზბეგის განძიც (ძვ. წ. VII—VI—საუკ.) ბლომად შეიცავს ცხვრის თავ-რქის ბრინჯაოს სტილიზებულ გამოსახულებებს. დასასრულ, უნდა აღინიშნოს ერთი წყება სამთავროს თიხის ჭურჭლებისა (ძვ. წ. X—VI—საუკ.), რომელთაც მხრებს ზემოთ დაძერწილი აქვთ ცხვრის თავის ძლიერ სქემატური გამოსახულებანი — ჩანს ჭურჭელში ჩასხმული სითხის მფარველად. ასეთი ჭურჭლები აღმოჩენილია ცხინვალის ნაცარგორაზე. როგორც ვხედავთ, ამ მხრივ არმაზის ხევის მეორე-მესამე საუკუნის ნივთებზე ცხვრის თავთა გამოსახვას შორეულ წარსულში ჰქონია საწყისები. ეს ტრადიცია ადგილობრივი ნოციერი ნიადაგით საზრდოობს.

ამგვარად. ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების ცხოვრება ძველთაგანვე ერთი მხრივ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენებაზე და მიწათმოქმედების განვითარებაზე იყო დამყარებული, მეორე მხრივ კი მწყემსურ მეცხოველეობაზე, რომელიც გვიან ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ხ ა ნ ი ს ა დ რ ე უ ლ ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე უ კ ვ ე მ ტ კ ი ც ე დ ფ ე ხ მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი . * ჩ ა ნ ს * .

როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე დასავლეთშიც ძველი კოლხეთის ტერიტორიებზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა მეცხოველეობის განვითარებასთან დაკავშირებული ნივთების სიუხვე შინაურ ცხოველთა ძვლების, გამოსახულებებისა და პატარა-პატარა ფიგურების სახით.

* ა. აფაქიძე. გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე — „მცხეთა“, I, გვ. 107.

კოლხეთში აღმოჩენილია ცხვრის ბრინჯაოს ფიგურები, რითაც რქისა და კუდის გარკვეული გამოსახულებით შესაძლებელი ხდება ცხვრის თვით ჭიშის შესახებაც ვიქონიოთ მსჯელობა“*.

ერთ-ერთ გამოსახულებაზე კი, რომელიც ბრინჯაოს ბალთაზეა გაკეთებული, ნათლად შეიმჩნევა წვრილფეხა რქოსანი საქონელი და ძალღი. ძალღი ამ შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ უსათუოდ მწყემსის ძალღად, რაც წვრილფეხა რქოსან საქონელთან კომპლექსში მწყემსური მეცხვარეობის განვითარებაზე მიუთითებს.** თუ ზემოხსენებულ ბალთაზე გამოსახული იყო ცხვარი გრძელი კუდითა და სპირალურად დაგრებილი რქით, სხვაზე შეინიშნება დახვეული რქა და ჩამოშვებული მოკლე კუდი***.

ბრინჯაოს ბალთებზე გამოსახულია აგრეთვე ხარი, ძალღი და სხვ. ბრინჯაოს ხარის შესანიშნავი სკულპტურული ფიგურა ინახება აგრეთვე აფხაზეთის მუზეუმში****.

ნაოხვამუში, ოჩამჩირეში, ქვემო გომში და წალკაში აღმოჩენილი მსხვილი რქოსანი საქონლის ძვლების ურთიერთშედარებებით შესაძლებელი ხდება საქონლის ჭიშის გამრკვევი ნიშნების დადგენაც კი*****.

აღსანიშნავია, რომ ნაოხვამუში აღმოჩენილი გვიან ბრინჯაოს ხანის ცხენის თავის გამოსახულებას კუფტინი რიტუალური დანიშნულების რაღაც საგნის ფრაგმენტად თვლის და ადარებს მას ძვ. წ. მესამე ათასწლეულის სუმერულ ფორმებს. «В паразительно низких формах»*****.

ნაოხვამუს ზემო ფენაში, გვიან ბრინჯაოს ეპოქის კულტურაში ნანახია აგრეთვე თიხის ცხენის თავისა და ცხვრის ფიგურები*****.

მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი ეს უამრავი არქეოლოგიური მასალა შინაურ ცხოველთა ძვლებით, გამოსახულებებით და სკულპტურული ფიგურებით ჯერ კიდევ არაა სათანადოდ სისტემატიზირებული, შეჭერებული, შესწავლილი. ბ. ა. კუფტინი რიონის დაბლობის კურგანების განხილვისას ლაპარაკობს კოლხიდის დაბლობის არქეოლოგიური ძეგლების კომპლექსური შესწავლის საჭიროების შესახებ, სადაც აღნიშნავს:

1 К у ф т и н Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. 1, გვ. 236. ტაბ. XIV-10 და XIV-9.

** იქვე, გვ. 237—238 ტაბ. XXII.

*** იქვე, გვ. 140.

**** იქვე, გვ. 149, სურ. 486.

***** იქვე, ტ. II, გვ. 127 და გვ. 148, ტაბ. 44.

***** იქვე, გვ. 261.

***** იქვე, გვ. 218 და ტაბ. 584.

«Костные остатки животных, буквально насыщающие древнейшие слои, будучи научно правильно собранным и датированным сопровождающим их археологическим инвентарем, не только дадут представление о фаунистических переменах и связанных с ними формах охотничьего хозяйства в эпоху раннего металла, но поскольку среди этих костей оказываются и кости домашних животных, свиней, мелкого и крупного рогатого скота, явятся первоклассным материалом для постановки специальных исследований по вопросу о происхождении и процессах одомашнивания, екклиматизации древнейших пород домашних животных в Закавказье»*.

მაგრამ უძველეს შინაურ ცხოველთა ძვლების შესწავლა უსათუოდ უნდა ხდებოდეს თანამედროვე შინაურ ცხოველთა ჯიშების შესწავლისა და შედარებათა ფონზე.

«Костный материал древних домашних животных может получить свое значение только на фоне изучения современных пород домашних животных Грузии и Закавказья и при постановке проблемы об истории их одомашнивания»**.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სუბარელებმა II ათასწლეულში (ძვ. წ. აღ.), მიტანის სახელმწიფო ჩამოაყალიბეს. რომელიც იმ დროისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. შემდეგში სუბარელების (იგივე ხურიტების) ეს ძლიერი გაერთიანება თანდათან დასუსტდა და ბოლოს ასურეთის მეფეს სალმანასარ I (1310—1280) მიერ საბოლოოდ განადგურა და მცირე პოლიტიკურ ერთეულებად დანაწილდა. მიტანის სამეფოს არსებობისას ცალკე ერთეულად ჩამოყალიბებულ „ხურის სამეფოს“ ტერიტორიაზე შემდეგში შეიქმნა ურარტუს სახელმწიფო. ხურიტები და ურარტელი ხალხი მონათესავე ხალხები იყო და ამდენად, ურარტული სახელმწიფოს ძლიერებისა და კულტურის შექმნაში სუბარულ (ხურიტულ) ხალხებსაც განსაზღვრული წვლილი მიუძღვის. ურარტუს დაცემის შემდეგაც ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში (იბერია, კოლხეთი) შევიდნენ ურარტული ტომები, რომელთაც ასიმილაცია განიცადეს თვით იბერია-კოლხეთში მოსახლე ქართველურ ტომებთან. ამგვარად, როგორც ურარტული კულტურის შექმნაში, ისე მისი რღვევის შემდეგ მის მემკვიდრეობაში მიღების თვალსაზრისით ურარტუს კულტურა ქარ-

* Б. А. Куфтия, материалы к археологии Колхиды, т. II, 153.

** იქვე, გვ. 160.

თველთა ძველი კულტურის წინაპრად უნდა მივიჩნიოთ, ამდენად ნაირი-ურარტუს კულტურისა და, კერძოდ, მეცხოველეობის განვითარების შესწავლით უფლება გვაქვს ვიმსჯელოთ ქართველთა ადრეული კულტურის ისტორიაზე ამ საკითხებში.

ნაირ-ურარტუს სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა გ. ა. მელიქიშვილმა¹, სადაც ცალკე თავშია გარჩეული მეცხოველეობა. როგორც აქ მოყვანილი მასალებიდან ირკვევა, ურარტუში ძლიერ განვითარებული ჩანს მესაქონლეობა. ავტორს მრავლად მოჰყავს მაგალითები, რომლებიც მიუთითებს პირუტყვის სიუხვეზე: მეფე იშშუინმა და მისმა შვილმა მენუამ მუსასირში ღმერთს ხალდია შესწირეს ერთჯერ 1112 სული მსხვილფეხა საქონელი და 21600 წვრილფეხა საქონელი და ყოველთვიური შეწირულების სახით, თავიანთ მიერ გაშენებული ტაძრისათვის. მათ დანიშნული ჰქონდათ 6 ფური, 6 თხა, 96 ხარი და 305 ცხვარი. ძლიერ განვითარებული იყო ურარტუში მეცხენეობა. ამაზე მიუთითებს ის. რომ ურარტუს არმიის უმთავრესი ნაწილი ცხენოსანი იყო. მაგალითად, ჩამოთვლილია ერთ-ერთი ბრძოლის მოქმედი ჯარის შემადგენლობა: 106 საბრძოლო ეტლი, 9174 მხედარი და 2704. ფეხოსანი. ცხენოსანთა სიმრავლე მეცხენეობის ძლიერ განვითარებაზე მიუთითებს.

რუსა I, ურარტუს მეფე, სპეციალურად თავისი სამეფო პოლიცისათვის აზრდევინებდა ცხენებს ურარტუს სახელმწიფოში შემავალ ერთ-ერთ ტომს, რომელიც განსაკუთრებით ცნობილი იყო ცხენების აღზრდა-წვრთნით. მეცხენეობის ძლიერ განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე მეფე მენუას ერთი წარწერა, რომელიც ნახულ იქნა სოფ. სიკეიში ქალ. ვანთან ახლოს და რომელიც ამოკითხულ იქნა ი. მ. დიაკონოვის მიერ. წარწერა გაკეთებულია სტელაზე:

„ამ ადგილიდან, ცხენი, სახელად არწიბინი, რომელზედაც იჯდა მენუა, გადახტა 22 ლოკტიაზე“, თანამედროვე ზომის ერთეულით 11 მეტრსა და 22 სმ. ჩანს, ცხენოსანთა შეჯიბრი ყოფილა გამართული, სადაც მეფე მენუას თვისი ცხენით, ალბათ, უჩვეულო რეკორდი დაუმყარებია, რის გამოც სპეციალური „ობელისკი“ აღუმართავთ ამ ამბის აღსანიშნავად:

როგორც დიაკონოვი მიუთითებს, ცხენის გადახტომის თანამედროვე მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის ჩანდლერს და წარმოად-

¹ Г. А. Мелкишвили, «Наири-Урарту», Тбилиси, 1954 г. 323—327.

გენს 11 მეტრსა და 28 სმ-ს, ე. ი. 8 სმ-ით მეტს მენუასთან შედარებით. დიაკონოვს ყურადღება მიუქცევია აგრეთვე ცხენის სახელისთვის „არწიბინი“, რასაც უდავო ეტიმოლოგიური კავშირი აქვს სომხურ სიტყვასთან „არწივ“ და ქართულ სიტყვასთან „არწივი“.

არქეოლოგიური გათხრებით, განსაკუთრებით კარმირ-ბლურში, აღმოჩენილია უამრავი მასალები, რომლებიც ნათელყოფს მეცხენეობის ძლიერ განვითარებას, მაგალითად, აღმოჩენილია გამოხატულებები ცხენებზემშენილი საბრძოლო ეტლისა და ცხენიანი მხედრებისა კაპარჭითა და მუზარადით. ნახულია ცხენის მოსართავები—ლაგამი და სხვ., თვით მენუას საკუთრება, რომელთაც აქვთ წარწერა, რომ ესა და ეს წარმოადგენს მენუას საკუთრებას და სხვ. გათხრებში აღმოჩენილი ცხენის ჩონჩხით ირკვევა, რომ ურარტუს ცხენი წარმოადგენდა განსაკუთრებულად გამოყვანილი ჯიშის ცხენს.

სამხრეთ ამიერ-კავკასიაში მეცხოველეობის განვითარებებზე მიუთითებს ის, რომ თვით ურარტუს მეფეები ამ რაიონში თავდასხმების დროს ნადავლად იღებდნენ დიდძალ საქონელს. მაგალითად, ურარტუს მეფემ სარდურრი II ამ რაიონებიდან წაიყვანა 3500 ცხენი, 40353 სული მსხვილფეხა საქონელი და 214700 წვრილფეხა საქონელი.

დიაოხის სამეფო, რომელიც მე-XII—XIII საუკუნეებში (ძვ. წ. აღ.) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი კოლხეთის მეზობლად მდებარეობდა, წარმოადგენდა ხურიტული ტომების ჰეგემონობით ჩამოყალიბებულ გაერთიანებას, რომელშიც ქართველი ტომებიც შედიოდნენ. თვით ხურიტებიც ქართველ-კავკასიურ ხალხებთან ახლომდგომ ტომს წარმოადგენდა.

ეს ქვეყანა უაღრესად მდიდარი ყოფილა შინაური საქონლით. დიაუხის მეფემ ურარტუს მეფეს არგიშტი I-ს მიუტანა ძღვნად: 1000 ცხენი, 300 სული მსხვილფეხა საქონელი, რამდენიმე ათასი წვრილფეხა საქონელი და ყოველწლიურად კი არგიშტი I ავალდებულიებს დიაუხის მეფეს გადაიხადოს: 100 ხარი, 500 ცხვარი, 300 ცხენი და სხვ.

არგიშტი I დიაოხში გალაშქრების შემდეგ ჩამოთვლის ნადავლის სახით იქიდან წამოყვანილ დიდი რაოდენობის საქონელს: 4426 ცხენს, 10478 სულ მსხვილფეხა საქონელს, 73770 წვრილფეხა საქონელს, გარდა მრავალი ტყვე-აღამიანებისა, ოქრო-ვერცხლისა და სპილენძისა.

ურარტუს ძლიერების დროს დასავლეთ-ქართულ გაერთიანებას წარმოადგენდა აგრეთვე კოლხეთი, რომელიც ურარტულ წარ-

წერებში კულხას ქვეყნად იხსენიება, სარდური II, რომელმაც გაილაშქრა კულხაზე (კოლხეთზე), იმ ნადავლში, რომელიც მან იქ ხელთ იგდო, იხსენიებს მრავალ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსან საქონელს.

აღსანიშნავია, რომ უფრო გვიან, ძვ. წ. აღ. VI—III საუკუნის „კოლხურ თეთრზე“ აღინიშნება ერთ მხარეს ხარის თავის გამოსახულება, მეორე მხარეს — ადამიანის თავი. „ხარის თავის გამოსახულებებში, კერძოდ, ნ. ხოშტარია, არჩევს უღლის გამომსახველ შტრიხებს, რაც უნდა გამოხატავდეს ხარს, როგორც ადამიანისათვის „გუთნის მიმცემი ღვთაების გამწევე ცხოველს“*. პროფ. გ. ჩიტაია, ეხება რა ძველ კოლხეთში ხარის კულტის არსებობის საკითხს, აღნიშნავს, რომ უძველეს ავტორთა ცნობებით, კოლხეთში მიცვალებულ მამაკაცებს ახვევდნენ ხარის ტყავში და კიდებდნენ ხეებზე, რომ სვანეთში და სამეგრელოში შემორჩენილია ბრძოლა ბუღასთან, ის გამოხატავს უსათუოდ ადამიანის მიერ ხარის მოშინაურების რიტუალს, რაც პარალელს პოულობს სუმერული გმირის გილგამეშის ხართან ბრძოლაში:

«Надо иметь в виду, что по крупной роли культа быка древнегрузинская религия входит в обширный религиозный мир древних народов передней Азии и Средиземноморья — Шумеров, Хеттов, Халдов, Критян и Испанских иберов»**.

VI საუკუნის დასაწყისში იწყება ურარტუს სახელმწიფოს რღვევა, რასაც თან მოსდევს აღმოსავლეთ-ქართული გაერთიანებების ჩამოყალიბება სასპერის, ანუ იბერიის სახელწოდებით და დასავლეთ-ქართული გაერთიანების ჩამოყალიბება კოლხეთის სახით. ამ დროიდან იბერიასა და კოლხეთის შესახებ ცნობები შემონახულია ბერძნულსა და რომაულ წყაროებშიც.

პოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ კოლხიდაზე შექმნილი ლეგენდაა, სადაც მაშინდელი კოლხეთის კულტურულ-ეკონომიური სინამდვილეა ასახული ზღაპრულ ფონზე. აპ. როდოსელი III საუკ. (ძვ. წ. აღ.) ბერძენი მწერალია და მის თხზულებაში ადრე არსებული ლეგენდის საფუძველზე უთუოდ III—IV საუკუნეზე (ძვ. წ. აღ.) უფრო ადრინდელი სურათებია აღწერილი.

ლეგენდის მიხედვით, ბერძენი რაინდები ხომალდ „არგოთი“ იაზონის მეთაურობით წამოვიდნენ კოლხიდას ოქროს ვერძის სა-

* ვ. მელიქიშვილი — „საქ. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის“, გვ. 115, 1955 წ.

** პროფ. გ. ჩიტაია — წინასიტყვაობა წიგნისა «К истории овцеводства Грузии», 1953 г. М. Д. Рчеулишвили.

ძებრად და დასაუფლებლად. „არგონავტები მივიდნენ კოლხეთში და მდინარე ფასილით ავიდნენ კოლხეთის დედაქალაქ აიაში. სიმდიდრითა და სილამაზით ბრწყინავდა აია: მაღალი სასახლეები, ფართო კარები და სვეტების მწყობრი რიგი კედლების გარშემო, სპილენძის გამაგრებული ბურჯები, ფოთოლმწვანე, მდიდრულად დაბურული ვაზები, დაუშრობელი წყაროები, რომელთაც რძე, ღვინო, სურნელოვანი ზეთი და წყალი სდიოდა“... კოლხეთის მეფემ მოიყვანა სპილენძის ჩლიქებიანი ხარები, რომელთაც სპილენძისავე პირიდან ცეცხლი ამოსდიოდათ. აიეტმა მარტო დაადგა ხარებს უღელი და შეაბა ისინი ფოლადისაგან გაქვდილ სახვნელში, თავისი სახვნელით სწორი კვლები გაავლო აიეტმა და ერთი მხარის სიღრმეზე მოხნა მიწა. ხარები სპილენძის ჩლიქებით აფშვნევდნენ ბელტებს“.* მეცნიერები ფიქრობენ, რომ „მაღალი სასახლეები, ფართო კარები და სვეტების მწყობრი რიგი კედლების გარშემო, სპილენძის გამაგრებული ბურჯები“ მიუთითებს ხელოვნების, არქიტექტურის განვითარებაზე, უღელში გაბმული „სპილენძის ჩლიქებიანი ხარები“, ფოლადისაგან გაქვდილი სახვნელი და ღრმად მოხნული მიწა კი — იქ განვითარებულ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე. კერძოდ, მუშა-საქონლის (ხარის) მიწათმოქმედებაში გამოყენების ამბავია აქ აღწერილი.

აიეტმა იაზონს საგმირო საქმის შესრულება მოსთხოვა — ოქროს ვერძის სანაცვლოდ მას უღელში უნდა შეეხებოდა ხარები, რომელთაც „პირიდან ცეცხლი ამოსდიოდათ“. ჩანს, ამ ამბავში სამეგრელოში დღემდე შემორჩენილი ბუღასთან ბრძოლის ანარეკლია მოცემული, რომელიც ადამიანის მიერ ხარის მოშინაუროების რიტუალს წარმოადგენს. აღნიშნული რიტუალის არსებობა ხალხში კი მიუთითებს იმაზე, რომ საქონლის მოშინაუროება ამ ხალხისათვის წარმოადგენდა საკუთრად განცდილ პროცესს და არა იმპორტს — სხვა ერისაგან, სხვა ხალხისაგან.

ღრმა ისტორიული ფესვები აქვს ლეგენდის სიუჟეტში ოქროს ვერძის, ზოგ ვარიანტში ოქროს მატყლიანი ვერძის, თუ ოქროს საწმისის ამბავს. საბერძნეთიდან რაინდების წამოსვლა სპეციალურად ოქროს ვერძის დასაუფლებლად უსათუოდ იმაზე მიუთითებს, რომ ლეგენდის შემქმნელ ქვეყანაში (საბერძნეთში) მატყლის მომცემი ცხვრის სამშობლოდ კოლხიდა იყო აღიარებული, რადგან ყოველ ლეგენდას, ყოველ თქმულებას საფუძვლად სინამდვილე უდევს.

* საქართველოს ისტორია, თბილისი, 1948, გვ. 48.

აპოლონიოს როდოსელს იმავე „არგონავტიკაში“ კიდეც სხვა, ჩვენთვის საინტერესო ამბავი აქვს მოყოლილი:

არგონავტებმა შუაში ჩაისვეს ფინევსი, რომელიც მათ უწინასწარმეტყველებს მათი მომავალი მგზავრობის ხიფათებს, ამბებდა და, სხვათა შორის, მათ ეუბნება:

„ხალიბების მახლობლად, სტუმართმოყვარე ზევსისადმი შეწირული მენეციოსის კონცხის გადაღმა ცხოვრობენ ცხვრებით მდიდარი ტიბარენები“. ხალიბები ქართველთა წინაპარი ტომია. ცნობილი მეტალურგები. ამ ტომის სახელთან არის დაკავშირებული ფოლადის ბერძნული სახელწოდება „ხალიფუს“. მათ მახლობლად მცხოვრები ტიბანები კი იბერთა არც ისე შორეული წინაპრებია, რომელნიც, როგორც ჩანს საბერძნეთში ცნობილნი იყვნენ „ცხვრებით მდიდარ“ ხალხად. ზემოთ ციტირებულ ადგილას ავტორს ლეგენდაში აღწერილ ზღაპრულ ამბებთან მაშინ ცნობილი ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობები აქვს გამოყენებული.

საშუალება გვეძლევა ზემოხსენებული ლეგენდის გარდა სხვა მხრივაც დავასაბუთოთ ფინევსის მონაყოლი. სწორედ ამასვე იმეორებს ისტორიული წყაროც, კერძოდ, ევსტაფი, დიონისე პერიეგეტის კომენტარიებში მიუთითებს რომ:

«Тибарены, которых мы теперь называем Тибранами, имеют много овец и скота, страна их, как страна Халдеев, простирается до малой Армении»¹.

საფუძვლიანი შრომა გამოაქვეყნა მ. დ. რჩელიშვილმა** მეცხვარეობის განვითარების ისტორიის შესახებ საქართველოში და იმ დასკვნამდის მივიდა, რომ დასავლეთ საქართველოში ამჟამად გავრცელებული ცხვარი ძველი კოლხური ცხვრისაგან არის განვითარებული, რომ უძველეს კოლხეთში შეიქმნა კოლხური ნაზმატყლიანი ცხვარი.

რომ ცხვრის სამშობლო კავკასიაა და, კერძოდ, საქართველო, ამაზე რუსი და უცხოელი ავტორებიც მიუთითებენ: კ. კელერი***, იხილავს რა ცხოველთა მოშინაურებისათვის ხელის შემწყობ ფაქტორებს (გეოგრაფიულს, ბუნებრივს), აღნიშნავს, რომ რაც კულტუ-

¹ К. Гая — «Известия древних Греческих и Римских писателей о Кавказе, стр. 143.

² М. Д. Рчеулишвили — «К истории овцеводства Грузии», 1953. Тбилиси.

³ К. Келлер — «Естественная история домашних животных», 1910.

რულად მალა იდგა ხალხი, მით უფრო შესწევდა მას უნარი და მოსაზრება ცხოველთა მოშინაურებისა. როცა ეხება კავკასიელებს, ამბობს, რომ ისინი «Выделяются своей способностью воспитывать домашних животных и разводить новые породы и этой своей способностью отчасти обязаны своему раннему культурному развитию»*.

ან კიდევ: «Азия является родиной многочисленных диких овец, поэтому естественно, что там получились и ручные овцы. Азиатские породы постепенно достигли всемирного распространения. Место происхождения их по всей вероятности степи между Черным и Каспийским морями»**.

როგორც ჩანს, ცხვრის მსოფლიოში გავრცელების ერთ-ერთ პირველად კერად გარკვევით ნაჩვენები აქვს კელერს კავკასია, რომელშიც. სხვა მონაცემებთან შეჯერებით, საქართველო და კერძოდ კოლხეთი იგულისხმება უმთავრესად.

ბუნებრივია, რომ იქ, სადაც ცხოველის მოშინაურების, მოვლისა და მოშენების დიდი ხნის ტრადიციებია, დაავადებათა დროს მათი მკურნალობის საკითხებიც განვითარების სათანადო დონეზე იქნებოდა დაყენებული. ჩვენ ზემოთ ვნახავთ, რომ სუმერულ-ბაბილონურსა და ხეთურ კანონებში გარკვევით ლაპარაკია მედიცინასა და ვეტერინარიაზე. უფრო გვიან კი იბერიასა და კოლხეთის შესახებ, რომაულსა და ბერძნულ წყაროებში შემონახული ცნობებით მედიცინა განვითარების მაღალ დონეზე დგას.

ბერძენი ექიმი დიასკორიდი, პორაციუსი (65—8 წ. ძვ. აღ) პლინიუსი (29—79 წ. წ. ახ. წ. აღ.), ფსევდო-პლუტარქო, სტრაბონი (66 ძვ. წ. აღ. 24 წ. ახ. წ. აღ.) და ქსენოფონტე (431—354 წ. წ. ძვ. წ. აღ.) თავიანთ ნაწერებში ხშირად ეხებიან კოლხიდასა და იბერიას და ირკვევა. რომ აქ საკმაოდ განვითარებული იყო სამკურნალო-კულტურული მცენარეები***.

ამ მცენარეთა სათანადო შესწავლით დადგენილი იყო მათი დამუშავების დრო, ტექნიკა, მათი მიზნობრივი გამოყენება სხვადასხვა დაავადებათა მიმართ და სხვ. ზოგიერთი ავტორი (პორაციუსი) კოლხიდასა და იბერიას თვლის შხამებით უხვ ქვეყნად, რომ კოლხიდა ეს არის ლუმელი, სადაც კოლხიდური შხამები მზადდებოდა.

* К. Келлер, დასახელებული წიგნი, გვ. 31.

** იქვე, გვ. 33.

*** მ. შენგელია, „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“ კვ. 27—30. საქმედგამი, 1955 წ.

ქართული მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით ძვირფას ცნობებს გვაწვდის აპოლონიოს როდოსელი ზემოხსენებულ „არგონავტიკაში“ (რომელსაც დაწვრილებით შევვებით ჩვენს ადრინდელ შრომაში)*

ამავე თვალსაზრისით აქ გვინდა შევვხებით დიოდორე სიცილიელს (ცეზარისა და ავგუსტის ეპოქა) ცნობებს, რომლებსაც გვაწვდის *Bibliotheca hystorica*; ის წარმოადგენს არგონავტებზე არსებული ლეგენდების ერთ-ერთი ვარიანტის ფრაგმენტს**³, რომელსაც, როგორც ჩანს, თვით ავტორიც ისტორიული წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს. ლეგენდის ამ ვარიანტით, ჰელიოსს ჰყავდა ორი შვილი: ერთი სახელად—აიეტი, მეორე პერსეი, ორივე ცნობილი იყო სიმკაცრით. აიეტი მეფობდა კოლხეთში. პერსეის ჰყავდა ქალიშვილი, სახელად ჰეკატე. ის უფრო მკაცრი იყო, ვიდრე მამა. მას უყვარდა ნადირობა და, თუ ნადირობიდან ხელმოცარული მობრუნდებოდა, ერთობოდა მხეცების ნაცვლად აღამიანების მოკვლით. ჰეკატემ შეიძინა აღმოსავლური შხამების შედგენაში და თვითონ აღმოსავლური (შეისწავლა — მ. შ.) ბაია — *aconitum*), მან გამოსცა და თვითთელი შხამის მოქმედება, აძლედა რამას საკმელთან ერთად უცხოელებს. როცა დაუგროვდა მას გამოცდილება ამ ხელოვნებაში, მან, პირველ რიგში, მოწამლა თავისი მამა და დაეპატრონა მის სამფლობელოს, შემდეგ ააშენა ტაძარი არტემიდას სახელზე და ბრძანა — ყველა უცხოელი, რომელიც ფეხს შემოსდგამდა მის მიწაზე, მსხვერპლად შეეწირათ მისთვის.

აიეტმა ცოლად შეირთო ის და შეეძინა მისგან ორი ქალიშვილი. ცირცეა და მედეა—და ვაჟიშვილი ეგიალე. „ცირცეამ მთელი სიცოცხლე შეისწირა შხამების შესწავლას, აღმოსავლური სხვადასხვა მცენარეთა ფესვები და მათი საკვირველი თვისებები. მართალია, დედამ ჰეკატემ ასწავლა მას ბევრი საიდუმლოება ამ ნაერთებისა, მაგრამ თვით მან თავისი შრომის მოყვარეობის მეოხებით გააკეთა ბევრი აღმოსავლური იმდენად მნიშვნელოვანი, რომ არავის უთმობდა პირველობას ამ მეცნიერებაში...“

მედეაზე კი ამბობდნენ, რომ დედამ და დამ ასწავლეს მას

* მ. შენგელია. ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“ 33-21 — 25. 1955 წ. საქმედგამი.

** К. Ган «Известия древних греческих и римских писателей о Кавказе», часть I, 1884 г. Тифлис, 83-88.

ყველა შხამების თვისებები. მაგრამ ის არ იყენებდა მათ ადამიანთა საწინააღმდეგო. პირიქით, ყოველთვის ცდილობდა გადაერჩინა სიკვდილისაგან თვით ყველა უცხოელიც კი...

იაზონი, ლაერტი, ატლანტა და ფესპიადი დაიპყრნენ ამ ბრძოლაში, მაგრამ, ამბობენ, რომ მედეამ ძალიან ჩქარა მოაჩინა ისინი იმ ბალახებისა და ფესვების მოქმედებით, რომელთა გამოყენებაც იცოდა მან.

მაშასადამე, კოლხიდაზე და არგონავტებზე არსებული ლეგენდების ყველა ვარიანტში ჰეკატე, ცირცეა და მედეა—კოლხეთის მეფის ასულნი — საექიმო ხელოვნებაში უადრესად განსწავლულები ჩანან: ჰეკატე „ღრმა ცოდნას“ დაეუფლა შხამების შედგენაში.

ცირცეამ „მთელი სიცოცხლე შესწირა შხამების შესწავლას და მრავალი ახალი რამ აღმოაჩინა“.

ასევე მედეა, რომელსაც დედამ და დამ შესწავლა — „ყველა შხამის თვისებები“, იყენებდა მათ სამკურნალოდ, ადამიანთა საკეთილდღეოდ. საინტერესოა, რომ აქ სამკურნალოწამლო ნივთიერებების თუ შხამების მოქმედება თვით ჰეკატეს, ცირცეასა და მედეას სიბრძნე, განმკურნებელი უნარი, „მისტიკურ ძალებთან“ კი არ არის დაკავშირებული, არამედ ის შედეგია იმისა, რომ ჰეკატემ მრავალგზის „გამოსცადა თვითეული შხამის მოქმედება“, რომ ცირცეამ თავისი „შრომისმოყვარეობის მეოხებით გააკეთა ბევრი აღმოჩენა“, მათ საკუთარი ცოდნა ხანგრძლივი ცდებითა და შრომით აქვთ მიღებული ბუნებრივი, მატერიალური სამყაროდან. აღსანიშნავია, აგრეთვე, კიდევ ერთი ისტორიული წყარო ძველი წელთაღრიცხვის მე-IV საუკუნის ავტორის Клавдий Клавдия Н. (395 г. по р. х.), რომელიც პირადად კარგად არის, როგორც ჩანს, გაცნობილი კავკასიის სამკურნალო მცენარეებს. აი რას ამბობს ის:

«Я хорошо знаком с Соками разных деревьев и с действием всех смертельных растений, какая только растет на изобилующем ядовитыми растениями Кавказа и на вершинах Скифских гор»¹.

ცხადია, ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ იმ ქვეყანას (საბერძნეთი), სადაც შეიქმნა ეს ლეგენდები, კოლხეთი მიაჩნდა ძველი სამედიცინო კულტურის ქვეყნად და აქ აღწერილი ამბები მხატვრულ თუ ზღაპრულ ფორმებში წარმოადგენს ძველა კოლხეთის კულტურული ყოფის, სინამდვილის ანარეკლს.

* К. Г а н — Известия древних греческих и римских писателей о Кавказе. 1884 г. Тифлис.

მედიცინა და ვეტერინარია ერთმანეთთან ახლოს მდგომ მეცნიერებებს წარმოადგენს. ერთის განვითარება გავლენას ახდენს მეორეზე და ამდენად, ძველ საქართველოში, სადაც, როგორც ვნახეთ, მეცხოველეობა ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად განვითარებული იყო, ვეტერინარია ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური განვითარებისა და მისი მონათესავე მეცნიერების — მედიცინის განვითარების დონეზე იქნებოდა. ის სამკურნალო მცენარეები, სამკურნალწამლო ნივთიერებები, შხამები, რითაც ასე ცნობილი იყო ძველი საქართველო, ცხადია, უნდა გამოეყენებინათ ცხოველთა სამკურნალოდაც,

ბერძნულ და რომაულ წყაროებში შემდგომ საუკუნეებშიც მრავლად ვხვდებით ცნობებს, რომლებიც ისე თუ ისე წარმოდგენას იძლევა ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ქსენოფონტეს შესახებ (431—354 ძვ. წ. აღ.) „Anabasis“-სში ვკითხულობთ:

«... Они (ბერძნები — მ. შ.) нашли здесь (კავკასიაში — მ. შ.) большой запас свиного сала и помазались им вместо обыкновенного масла, нашли также кунжутное масло и масло приготовленное из горьких миндалей и фисташек нашли душистые мази их тех же составов.

Везде за один раз ему (ქსენოფონტეს — მ. შ.) предлагали в большом количестве баранину, козлятину, свинину, телятину, кур, пшеничный и ячменный хлеб.

Затем Ксенофонт отвел его назад к семейству и подарил ему довольно старую лошадь, взятую раньше в добычу, с тем, чтобы он, хорошо выкормил ее, принес ее в жертву богам, зная что эта лошадь посвящена солнцу и от дороги довольно много пострадала. Ксенофонт опасался, чтобы она не околела, сам же он взял себе из числа молодых лошадей одну и раздал по одной всем предводителям и Лехачам».

მაშასადამე, ქსენოფონტე, რომელიც თვით ღებულობდა მონაწილეობას ბერძენთა ამ ოპერაციაში, აღწერს რა პირადად ნახულსა და განცდილს, მოგვითხრობს სურნელოვან მალამოებზე, ცხვრის თიკნის, ღორის, ფრინველისა და ხბოს ხორცის ნაირსახეობასა და სიუხვეზე, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა უმასპინძლდებოდა მათ. აღწერს თუ როგორ დაურიგეს თავის თანამგზავრებს ახალგაზრდა ცხენები, რითაც, ალბათ, მდიდარი იყო დამხვედრი მოსახლეობა.

ჩვენ შევხვებით მხოლოდ ჩვენი ისტორიის მეტად შორეულ წარსულს, შემდგომ საუკუნეებში — ქრისტიანობის გავრცელებისა და ფეოდალური ფორმაციის ეპოქებში—მეცხოველეობა კიდევ უფრო

ვითარდება, მეურნეობა უფრო ორგანიზებული ხდება, ხელოვნება, ფილოსოფია, ბუნებისმეტყველება, მედიცინა განვითარების შესაფერის სიმაღლეზე დგას, ასევე შინაურ ცხოველთა მკურნალობის საქმე საერთო კულტურის განვითარების შესაფერისად ვითარდება. მაგრამ სათანადო მასალები, რომელიც ნათელ სურათს, მოგვცემდა ადრინდელი ფეოდალურ საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის განვითარების შესახებ, არ მოგვეპოვება იმ განსაკუთრებული პირობების გამო, რომელშიც მოუხდა საქართველოს საუკუნეების მანძილზე ბრძოლითა და სისხლით გამოეტარებინა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა, კულტურა. ჯერ კიდევ ქრისტიანული სარწმუნოება ანადგურებდა უძველესი წარმართული ქართული კულტურის ძეგლებს, მათ შორის, ალბათ, განადგურებულ იქნა მეცხოველეობის კულტთან დაკავშირებული გამოსახულებანი, ძეგლები, წარმართული ეპოქის ხელნაწერები და წიგნები. ერთ-ერთი უძველესი ქართული ხელნაწერიდან ცნობილია, რომ ქრისტიანული ეკლესიის მეთაურთა ბრძანებით კოცონზე იქნა განადგურებული ერის მთელი საუკუნეობრივი კულტურა წიგნებისა და ხელნაწერების სახით, როგორც წარმართული სარწმუნოების „უწმინდურობანი“. მეორე მხრივ, მაჰმადიანური სახელმწიფოების გამუდმებულმა გამანადგურებელმა ომებმა გარკვეულად უკან დასწია ქართული ეკონომიკის განვითარება, რაც თავის მხრივ დაღს ასვამდა მეცხოველეობის განვითარებაზეც. მაგრამ პერიოდულად, როგორც კი პოლიტიკურად მოძლიერდებოდა საქართველო, მისი ეკონომიკა, კულტურა, ხელოვნება, მწერლობა, ბუნებისმეტყველება კვლავ ეპოქისა და დროის საერთო განვითარების დონემდის აღწევდა. ფეოდალური საქართველოს ძველ ხელნაწერებში, რომელიც გადაურჩა ეამთა სიაცეს, ძველ მხატვრულსა და ისტორიოგრაფიულ შრომებში მაინც არის შემონახული ცნობები, რითაც საშუალება გვეძლევა, წარმოდგენა ვიქონიოთ მეცხოველეობისა და ვეტერინარიის განვითარების დონეზე ფეოდალურ საქართველოში. ვეტერინარიის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია და უძველესი სამედიცინო და ვეტერინარული ტრადიციების მემკვიდრეა ჩვენს მუზეუმებში შემონახული საკმარაოდენობის ვეტერინარული ძეგლები, რომელიც მოითხოვს სათანადო შესწავლასა და პუბლიკაციას. საჭიროა მეტად დიდი მუშაობის ჩატარება, ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალების დამუშავება, შეჯერება; ხალხური ვეტერინარიის, ხალხური სამკურნალწამლო ნივთიერებათა ნიმუშების შეგროვება და ჩაწერა, შელოცვებისა და მაგიურ ქმედებათა აღწერა; მესაქონლეობასთან და ვეტერინარიასთან დაკავშირებული დღემდე შემორჩენილი წარმარ-

თული კულტების გადმონაშთების აღწერა, განსაკუთრებით ჩვენს მთიან რაიონებში, სვანეთსა, ხევსურეთში და სხვა ქართველურ ტომებში მესაქონლეობასთან დაკავშირებული ადათ-ჩვეულებების შესწავლა. ამგვარად ჩატარებული კომპლექსური მუშაობა უსათუოდ მეტად საინტერესო სურათს მოგვცემს ჩვენი უძველესი კულტურისა და კერძოდ, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის ისტორიის საკითხების გარკვევაში. ეს ამოცანები გადაუდებელია, რადგან თანამედროვე ყოველდღიური მზარდი კულტურა, მეცნიერება, ვეტერინარული დახმარების ქსელის სიუხვე რესპუბლიკაში ვერ ითმენს უკვე ხალხურსა და მაგიერ ვეტერინარიას და სრულ დავიწყებას ეძლევა. ამიტომ, სანამ ჭერ კიდევ ცოცხლობენ მოხუცთა მესხიერებაში წარსულის ეს გადმონაშთები, საჭიროა მოვასწროთ მათი ჩაწერა და ფიქსირება, რისთვისაც საჭიროა სპეციალური ექსპედიციების მოწყობაც კი, განსაკუთრებით საქართველოს მთიან რაიონებში.

ხალხური რაციონალური ვეტერინარიისა და ცხოველთა მოშენების წესებით საქართველო მეტად მდიდარია, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ჭერ სრულიად შეუსწავლელია და, ვფიქრობთ, ჭერჭერობით არც არავის უცდია ამ მხრივ მუშაობა. ჭერ კიდევ XIX საუკუნეში ქუთაისის გუბერნიის ვეტერინარი გლუშკოვსკი, აღწერს რა ჭიებოთ რნვაზიის საკითხებს ცხოველებში, გადმოგვცემს ზოგიერთი ცხოველის მკურნალობისა და ოპერაციულ მანიპულაციების ხალხურ მეთოდებს, რომელიც გავრცელებული აყო მაშინ ქუთაისის გუბერნიაში. მაგალითად. მას აღწერილი აქვს, რომ ზოგიერთ შინაურ ცხოველთა დაავადებათა დროს მიმართავენ სისხლის გამოშვებას ფეხებიდან, ყურიდან, ენისქვეშიდან და სხვ. აღწერილი აქვს აგრეთვე ცხენების კასტრაცია: „ცხოველის კვერცხებს გადასკენიან მაგრად თასმით და ორ ქვას შორის დაჩეჩქვავენ. ოპერაციის შემდეგ საკვერცხე პარკი ძალიან სივდება, მაგრამ ცხოველი არასოდეს არ კვდება. ერთ თვეში კვერცხები გაისრუტებიან“.

გლუშკოვსკი აღწერს აგრეთვე მამლების კასტრაციას, რომლის დროსაც საკვერცხეებს ამოჭრიან ხოლმე.

ცნობილია ქართულ ხალხურ მედიცინაში ერთი მეტად საინტერესო მანიპულაცია — ემბრიოტომია, რომელსაც, სხვათა შორის, უმთავრესად მეცხვარეები აკეთებდნენ. ე. ი. ქალისათვის, (რომელსაც უნდა გაკეთებოდა ემბრიოტომია), ოპერატორად იწვევდნენ მეცხვარეს, დახელოვნებულს ცხოველთა ემბრიოტომიაში. მსგავსი მეთოდები უამრავია ხალხში, რომელთაც შეიძლება დღესაც არ ჰქონ-

დეთ დაკარგული პრაქტიკული ღირებულება, მაგრამ, ვიმეორებთ, სამწუხაროდ, ისინი ჯერ აუწერელი და დაუშუშავებელია.

ყოველთავე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი.

ცხოველთა მოშინაურების თუ განვითარებული მეცხოველეობის ერთ-ერთი უძველესი კერა არის კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე და მის სამხრეთით მდებარე უძველესი სახელმწიფოები, მათ შორის კავკასია, კერძოდ, საქართველო (კოლხეთი, იბერია) და მათი უძველესი წინაპარი თუ მეზობელი ტომები;

მესაქონლეობის განვითარებისა და ვეტერინარული დახმარების ელემენტების საწყისები საქართველოში უკავშირდება უძველეს სუმერულ, ხეთა-სუბარულ და ურარტულ კულტურას.

სუმერის, ხეთა-სუბარეთის, ურარტუსა, კოლხეთისა და იბერიის ეკონომიკაში მეცხოველეობას ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა უძველესი დროიდან, წარმოადგენდა შედარებით ორგანიზებულ მეურნეობას, გარემოცულს სახელმწიფოებრივი ზრუნვით.

ზემოთ განხილული მასალებით ვრწმუნდებით, რომ აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ქართული ხალხური რაციონალური და მაგიური ვეტერინარიის შესწავლა, ცხოველთა არსებული ქართული ჯიშების დადგენა. მათი ევოლუციის გარკვევა და შედარებითი შესწავლა ცხოველთა უძველეს ჯიშებთან, რაც საინტერესო სურათს მოგვცემს მესაქონლეობისა და ვეტერინარიის განვითარების უძველეს საკითხებზე, მან შეიძლება გარკვეულა შუქი შეიტანოს აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ზოგ პრობლემურ საკითხებში. ქართველი ერის უძველეს ერებთან ურთიერთობისა და გენეზისის საკითხებშიც კი, რითაც ის მესაქონლეობისა და ვეტერინარიის ისტორიის ინტერესების ფარგლებს გასცილდება.

თბილისი—სამედიცინო-საბუნებისმეტყველო აზროვნების ცენტრი ფეოდალურ სამართლებლოში

ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის, სამეცნიერო აზროვნების შესაფერისად ფეოდალურ საქართველოში განვითარებულ იყო მედიცინაც და როგორც საერთოდ ქართული სულიერი კულტურის, ასევე სამედიცინო-საბუნებისმეტყველო აზროვნებას ცენტრიც მუდამ თბილისი იყო.

სირიული ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენელს აბდულ ფარაჯ ბარ ებრეის, რომელიც XIII საუკუნეში ცხოვრობდა, ერთი საინტერესო მინიატურა აქვს ასეთი სათაურით: „რათ შეიძლება იამაყოს ქალაქმა“.

„ხუთი რამ ამშვენებს ყოველ ქალაქს: გამარჯვებული სარდალი, სამართლიანი მსაჯული, მდადარი ბაზარი, სახელგანთქმული ექიმი და წყალუხვი მდინარე“.

დიდი ქალაქის ეს „საამაყო“ ნიშნები ხუთივე გააჩნდა თბილისს: იშვიათად თუ ღირსებია რომელიმე ქალაქს. გამარჯვებული სარდლების საზეიმო მიღებათა ცერემონიალების სიხშირე, როგორც თბილისს. თბილისის ბაზარი ერთ-ერთი უმდიდრესი იყო მთელს აღმოსავლეთში. ქართული სამართლის წერილობითი ძეგლები, რომელაც მართლმსაჯულების ძირითად საფუძველს წარმოადგენდა თბილისელ მსაჯულთათვის, ცნობილია თავისი ჰუმანურობით სამართლის მსოფლიო ძეგლთა შორის. წყალუხვი მდინარე მტკვარი, რომელიც ძველ ისანსა და კალა-სეიდბადს ყოფდა ურთიერთისაგან, გარდა უდიდესი სამეურნეო, ჰაგიენური და სატრანსპორტო მნიშვნელობისა, აღმოსავლურ ეგზოტიკას, შნოსა და ლაზათს აძლევდა ქალაქს ტივზე გაწყობილი ქართული ლხინით. თბილისს დიდი ქალაქის მეხუთე „საამაყო“ ნიშანიც გააჩნდა. ის ცნობილი იყო სახელგანთქმული ექიმებით-

თაც და ქვეყნის საეკიმო დახმარებისათვის ხელმძღვანელობის ტრადიციებით.

თბილისის არსებობისა და მისი ისტორიის დასაწყისიდანვე ხერხდება მედიცინასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გარკვევა და დადგენა:

დღევანდელი თბილისის ცენტრში რუსთაველის პროსპექტსა და ჯორჯაძის ქუჩის კუთხეში, როგორც ცნობილია, მდებარეობს წმ. გიორგის სახელობის „ქაშუეთის ეკლესია“. თვით სიტყვის „ქაშუეთის“ გარკვევა იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს ადგილი ჩავთვალოთ წარმართულ ეპოქაში გარკვეული დაავადების სამკურნალო ადგილად, სადაც დაავადების ღვთაება, კულტი თუ სასწრაფო აყო მოთავსებული. „ქაშუეთი“ ანუ „ქაშოეთი“ სულხან საბა ორბელიანს განმარტებული აქვს, როგორც „ქორცის დარღვევა წყლულითა“. „ქაშოეთი“ ნახსენებია აგრეთვე XII საუკუნის ქართულ სამკურნალო წიგნში „უსწორო კარაბადინში“. „რაც მალახულისა და ჯუზამისა, რომე ქაშოეთელა ჰქვიან“ და სხვ. მკვლევარებს (კოტეტიშვილი, ი. აბულაძე, გ. ლეონიძე) „ქაშუეთი, ქაშოვეთი, ქაშოეთელა, ქაშოეთი“ განმარტებული აქვთ აღწერა ნიშანთა მიხედვით, როგორც „კეთრი, მეტად ავი სნება, ავთვისებიანი ანუ უკუთრნებელა სენი“.

აი ასეთი დაავადების სამკურნალო კერა ყოფილა, როგორც ჩანს დღევანდელი ქაშუეთის ეკლესიის ადგილი, სადაც წარმართულ ეპოქაში სალოცავად აღმართული კერპები თუ სასწრაფოები აქვე გაშენებულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ შეცვალა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შემდეგ. ამგვარად „ქაშუეთის“ სახით შემორჩენილი გვაქვს უძველესი სამკურნალო-სარიტუალო ადგილი, სადაც გარკვეული დაავადებით შეპყრობილნი (კეთრი, კანის დაავადებანი), მოდიოდნენ და მაგიურ-რიტუალურ წესებს ასრულებდნენ მკურნალობის მიზნით, ანდა შესაძლოა მკურნალობის რაციონალურ მეთოდებსაც კი მიმართავდნენ. კეთრისა და საერთოდ კანის დაავადებათა მკურნალობასთან დაკავშირებული ამ კერას აღმოცენება შესაძლებელია იმითაც იყო გაპირობებული, რომ ის ახლოს იყო თბილისის ცნობილ თერმულ-მინერალურ წყლებთან, რომელიც, როგორც ცნობილია, კეთილსასურველად მოქმედებს კანის დაავადებებზე.

უაღრესად საინტერესოა აგრეთვე ის, რომ ვახტანგ გორგასალის მიერ თბილისის დაარსება, ხალხური ლეგენდით, დაკავშირებულია ვახტანგის მიერ ნადირობას დროს თერმული წყლების აღმოჩენასთან, თუ საერთოდ ამ ლეგენდაში არის სინამდვილის მარცვლი და სამეფო ქალაქის აქგადმოტანაში თერმული წყლების აღმოჩენას,

რაიმე მნიშვნელობას დაეკისრებთ, ეს უსათუოდ ამ წყლების სამკურნალო თვისებებისადმი დაინტერესებით მოხდებოდა.

ძნელი წარმოსადგენაა, რომ ისეთ შორსმკვრეტელსა და საქმიან მეფეს, როგორც ვახტანგ გორგასალი იყო, სამეფო რეზიდენციის გადმოტანის საკითხი ნადირობისას ცხელ წყალში ხოხობის ჩავარდნათ მიღებული ექსტაზით გადაეწყვიტა.

თერმული მინერალური წყლების სამკურნალოდ გამოყენების ცოდნა უძველესი დროიდან აღინიშნება საქართველოში. ამირანის ეპოსში რომლის შექმნას ძვ. წ. აღრაცხვის მეორე ათასეულს აკუთვნებენ, არის მინერალური წყლების სამკურნალოდ გამოყენების და ამ წყლებზე სახელმწიფოებრივი ზედამხედველობის დაწესების მოტივები. პალესტინაში მოღვაწე პეტრე იბერიელს (412—488 წწ) ურჩევნ კუჭის დაავადების სამკურნალოდ „წარვიდეს ცხელთა წყალთა და განიკურნეს“.

წმ. ნინოს ცხოვრების აღმწერნი მიუთითებენ, რომ ნინომ „ძირსა მის მთისასა წყალი აღმოაცენა და იქმნეს სასწაულნი და კურნებანი მრავალნი წყლისა მისგან“.

ან კიდევ

„მთასა მას ურწყულსა წყარო გემრიელი გამოადინა ღმერთმან ლოცვითა მისითა, რომლისა სმითა და ცხებითა მდაბიურთაგან მრავალნი სნეულნი განიკურნებოდეს“.*

ასეთივე მაგალითები აღწერილია დავით გარეჯელას ცხოვრებაში.

როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასალზე ადრე ქრისტიანობის გავრცელებელთ (ნინო, დავით გარეჯელი) იცოდნენ მანერალური წყლების გამოყენება სამკურნალოდ და საქართველოში გავრცელებულ ასეთ წყლებს ისინი იყენებდნენ ქრისტიანული სარწმუნოების პოპულარიზაციისა და პრესტიჟისათვის, როგორც ქრისტე ღმერთის მიერ ქმნილსა (რომელიც „გამოადინა ღმერთმა ლოცვითა“).

უძველესი დროიდან არის აგრეთვე ცნობილი ბორჯომის მინერალური წყლები, წყალტუბოს თერმული წყლები და სხვა.**

ამგვარად, შეუძლებელია ვახტანგ გორგასალს თერმულ მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებისა და სარგებლიანობის შესახებ არ სცოდნოდა და თუ ამ წყლებმა რაიმე როლი შეასრულა სამეფო რეზიდენციის გადმოტანის საკითხში მხოლოდ იმიტომ, რომ

* ძვ. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია—„ნინოს ცხოვრება“ 228—229.

** „ქართლის ცხოვრება“ ს. ყაუხჩიშვილი გვ. 209.

*** იხ. მ. შენგელია, „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“, გვ. 31—33.

ის სამკურნალო თვისებებისა იყო და ახალი სატახტო ქალაქის მცხოვრებლებსა და სამეფო კარისათვის უაღრესად სასარგებლო იქნებოდა. ქრისტიანობის გამავრცელებელთა მიერ თერმულ-მინერალური წყლების მოქმედება სასწაულებრივად გაზვიადებული და გაიდეალებულია და ვახტანგ გორგასალს, როგორც ქრისტიან მეფეს მის სამკურნალო თვისებებზე, მართლაც, შესაძლოა გაზვიადებული წარმოდგენაც ჰქონოდა, როგორც ღვთის მიერ „მოკვდავთა“ სამკურნალოდ მოვლენილ საშუალებაზე.

სამეფო რეზიდენციის თბილისში გადმოტანის წინ მცხეთა საკმაოდ დაწინაურებული ქალაქი იყო, ჯერ კიდევ პარველ საუკუნეში მცხეთა განვითარების ისეთ დონეზე მდგარა, რომ მას ჰყოლია საკუთარი ხუროთმოძღვარი და მხატვარი. არმაზის გათხრებისას აღმოჩენილი ბექდის თვალი, რომელშიც მამაკაცის პორტრეტია გამოსახული გველშემოხვეული კვერთხით ხელში, სასახლის კარის ექიმის კუთვნილებად ითვლება, და გვაფიქრებინებს ქალაქის მთავარ ხუროთმოძღვართან ერთად ქალაქის თუ სასახლის ექიმის თანამდებობის არსებობაზეც*.

ალბათ, მცხეთის სამეფო კართან დაკავშირებული იქნებოდა პალესტინაში მოღვაწე ქართველი ექიმი პეტრე იბერიელი, რომელმაც იქ საავადმყოფოები გახსნა და საექიმო მოღვაწეობას ეწეოდა. ცნობილია, რომ პეტრე იბერიელის დედა ბაკურდახტი ქართლის მეფის ვარაზ-ბაქარის მეუღლე (რომელიც მეოთხე მეფე იყო მირიანის შემდეგ), სამკურნალო საქმის მზრუნველად და მფარველად ჩანს, რადგან, როგორც ქართველი მემკვიდრეანი ამბობენ, „პეტრე ქართველის დედას ბაკურდახტს მოგზაურთათვის სასტუმროები და საავადმყოფოები აუშენებიაო“. მაშასადამე, ნათლად ჩანს მცხეთის სამეფო კარის ზრუნვა სამედიცინო საქმისადმი.

სრულიად ბუნებრივია, რომ მცხეთიდან თბილისში სამეფო კარითელი თავისი აპარატით გადმოვიდოდა (და მასთან ერთად ზემოხსენებული სამედიცინო მოხელის თანამდებობაც) მცხეთიდან თბილისში გადმონაცვლებდა აგრეთვე სამედიცინო საქმისადმი ზრუნვის აღრეული ტრადიციები.

მცხეთაში დარჩა ქართული ქრისტიანული ეკლესიის ცენტრი. კათოლიკოსის რეზიდენცია. როგორც ამ ბოლო დროს იქნა გარკვეული, საქართველოში არსებობდა სამედიცინო მომსახურების, როგორც სამოქალაქო (მაგალითად ბაკურდახტის ზემოხსენებული სა-

* იხ. მ. შენგელია, „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“, გვ. 42.

ავადმყოფობები), ისე საეკლესიო-სატაძრო სისტემა, ცნობები უმთავრესად შემორჩენილია საეკლესიო დახმარების საეკლესიო სისტემის შესახებ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრებას აღწერილობებში.

ქართული ქრისტიანული ეკლესიების ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენდა მკურნალობა. როგორც წმ. ნინო, ისე საქართველოში ქრისტიანობას გამავრცელებელი 13 სირიელი მამა, რომლებიც როგორც ახლა ირკვევა ქართველები იყვნენ, თავიანთ მისიონერულ მოღვაწეობასთან ერთად მკურნალობასაც ეწეოდნენ. წ-და ნინომ მირიან მეფე უმთავრესად მისი მეუღლას ნანა დედოფლისა და მისი ძის რევის „ყრმა წულის“ განკურნებით მოხიბლა. ნინოს, როგორც მკურნალის. სახელი ხალხში გავრცელდა და „მიერითგან უფროს მოვადოდეს ყოველნი უძღურნი და სნეულნი და განიკურნებოდეს და სიხარულით აღიდებდეს ჟუარსა წმიდასა ქრისტესსა“. ნინოს ჩვეულებრივი ეპითეტი იყო „ხელოვანი მკურნალი“.

იოანე ზედაზნელი მკურნალი იყო, რომელსაც „მიჰგურიდეს მას ცხედრითა სნეულებსა და ეშმაკეულებსა, და ყოველი განიკურნებოდეს ძალთა ღმერთისაითა და ლოცვითა მამისა ჩუენისა წმიდისა იოანესითა.“

ხოლო იოანეს მოწაფეებზე ავტორი წერს, რომ მათ „მონასტერნი აღაშენნეს, რომელი ვიდრე აქამომდე ჰგიან და კურნებანი იქმნებიან“.

შუშანიკის წამების აღწერილობიდანაც ჩანს, რომ ცურტავში მოქმედი ეკლესია მკურნალობას ეწეოდა. იაკობ ცურტაველი მედიცინაში განსწავლულ პიროვნებად ჩანს და თვით შუშანიკსაც შეასწავლა ეს ხელოვნება, რადგან შემდგომში შუშანიკმა მკურნალის სახელი გაითქვა.

მაშასადამე, IV—V საუკუნეებში აშკარად ჩანს, რომ ქრისტიანული ეკლესიები მკურნალობას საქმეს ეწეოდნენ, ქართულ ქრისტიანულ ეკლესიებს კი საერთო ხელმძღვანელობას მცხეთის ეპარქია უწევდა. VII საუკუნიდან მცხეთის ეპარქიას დაექვემდებარა მთელი დასავლეთ საქართველოს (იმერეთის, გურია-სამეგრელოს, აფხაზეთის და სხვ.) ეკლესიები, რამაც ქართული ენის, ლიტერატურის, ხელოვნების, აზროვნების, საერთო ეროვნული ფსიქიკისა და ერთიანი სულიერი კულტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მცხეთას კი თავის მხრივ თბილისის სამეფო სახლი უწევდა კონტროლსა და ხელმძღვანელობას, მართალია, ეკლესია ხშირად, ფეოდალური რეაქციისა და საეკლესიო-კლერიკალური ძალების გამარჯვებისას შეუვალი ხდებოდა, შესუსტებული სამეფო ხელისუფლებისაგან, თითქოს დამოუკიდებლად მოქმედებდა, მაგრამ მეფის აღმი-

ნისტრაცია ერთგვარ გავლენასა და ეკლესიის მოქმედების გარკვეულ რეგლამენტაციას მაინც ყოველთვის ახერხებდა.

ამგვარად, როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო სამედიცინო სისტემის საერთო ხელმძღვანელობა მაინც თბილისში იყრიდა თავს. ამ მხრივ მისი გავლენა ქართლ-კახეთის საზღვრებს ზღვრებოდა და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სამედიცინო სისტემაზედაც ვრცელდებოდა, რადგან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს ეკლესიები მცხეთის ეპარქიაში შემოდიოდა.

ქართული საბუნებისმეტყველო მსოფლმხედველობისა და აზროვნების საკმაო ნათელ სურათს იძლევა აბიბოს ნეკრესელის პაექრობა სპარსელ კერპთაყვანისმცემლებთან, წამებისა და სიკვდილით დასჯის წინ. მან ცეცხლთაყვანისმცემლების წინაშე ცეცხლს წყალი დაასხა და ჩააქრო. ამით გახელბული სპარსელი მარზაპანი მას ეკითხება: „რამათვის მოჰკალ ღმერთი ჩუენი“. აბიბოს პასუხობს: მე „ღმერთი არა მომიკლავს, ხოლო ცეცხლი დაეშრიტე. არა არს ღმერთი იგი, არამედ სხუათა ბუნებათაგან არს ერთისა ნიეთისაგანი მცირედ ნაწილი, რომელთაგან აღმართა ღმერთმან სოფელი ესე, განსწორებით დაბადებულ არიან ნოტია, ცივი, კმელი და ცეცხლი, რომელი ერთერთისა მპყრობელობა აქუს სიმრგულესა მას შინა. ესრეთ განსწორებითა ნაწილთაგან დგანან ესენი. და უკუე თუმცა ერთი ერთისა აღემატა, გან-მცა-ქარდა მეორე იგი“. აქ ჩამოყალიბებულია სამყაროს 4 ელემენტისაგან შედგენილობის ცნობილი თეორია, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა მედიცინაში აგრეთვე ორგანიზმის 4 ნოეთიერებისაგან (სითხისაგან) შედგენილობისა და დაავადებათა არსის ახსნის ჰუმორალურ-პათოლოგიური თეორია. აქ საინტერესოა ის მომენტი, რომ აბიბოს ნეკრესელი, ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი მღვდელმთავარი ეპისკოპოსი, ქრისტიანული დოგმებით კი არ გაეკამათა კერპთაყვანისმცემლებს, არამედ, იმ დებულებებით, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ ანტიკური ფილოსოფიიდან მიიღო სამყაროს, ბუნების, მატერიალისტური შეცნობის სახით და რომელიც შეათავსა და შეარჩია ქრისტიანულ სარწმუნოებასთან. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესის სათავეებიც ქართულ ნიადაგზე პოულობს საწყისებს, კერძოდ ფსევდო დიონისე აეროპაგელის შრომებთან, რომელიც პროფ. შ. ნუცუბიძის გამოკვლევებით სინამდვილეში ქართველი მოაზროვნის პეტრე იბერიელის შრომებს წარმოადგენს.

VII საუკუნეში არაბების შემოსევებთან დაკავშირებით თბილისი მოწყდა ქართულ გარემოს, აქ არაბეთის ხალიფას მოხელე ამირა დაჯდა და ის განაგებდა ქალაქს. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა

თითქმის XII საუკუნის დასაწყისამდე, სანამ დავით აღმაშენებელმა არ გაანთავისუფლა ის 1126 წელს.

მიუხედავად არაბების ბატონობისა, თბილისი მაინც ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ეროვნული სახე, კულტურა. მშობლიურა გარემოს საუკუნეებით მოწყვეტილი თბილისი მუდამ ქართველთა ყურადღების ცენტრში იყო. თვით თბილისში, დამპყრობთა სიმკაცრის მიუხედავად, როგორც „აბო თბილელის წამებიდან“ ირკვევა, არსებობდა, ეროვნულ კულტურული კერები. აქ ნერსე ერისთავის კარზე საკმაო მძლავრი და გავლენიანი წრე იყო უსათუოდ, რომელიც არა მარტო ცდილობდა ქართული ეროვნული კულტურისა და პრინციპების შენარჩუნებას, არამედ ახერხებდა მის გავრცელებას სხვა ეროვნების და სარწმუნოების ხალხთა შორისაც.

აბო, რომელიც იყო „არაბიელთა თესლი მამულად და დედულად“, ნერსე ერისთავის კარზე იყო მიწვეული, როგორც „კელოვან, კეთილად შემზავებელსულნელთა მათ საცხებელთა, და სწავლულ იყო მწიგნობრებითა სარკინოზთათა“. ნერსეს კარზე ის სწავლობს ქართულ ენას და ხდება „საყუარელ ყოვლასა ერისა“. მან უარპყო მაჰმადის რჯული და ქრისტიანობა მიიღო. ნერსეს ამ ბრძოლას, რომ თბილისში მაჰმადიანთა გარემოცვაში ქართული ეროვნული ტრადიციების ერთგვარი ოაზისი შეექმნა და შეენარჩუნებინა, მკაცრ წინააღმდეგობას უწევდა ამირას ხელისუფლება, რის გამოც იგი იძულებული გახდა გასულიყო თბილისიდან (აბოსთან ერთად). პოლიტიკური სიტუაციის ოდნავი გაუმჯობესების შემდეგ, რაც გამოიჩატა ქართლის ერისმთავრად ნერსეს ძმისწულის სტეფანოზის დანიშვნით, ნერსე და აბო კვლავ უბრუნდებიან თბილისს. ისინი კვლავ შეუპოვარი გულმოდგინებით იღწვიან ქართული კულტურისა და სარწმუნოებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ სარკინოზნი მათ „რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე სდეენიდეს, რომელნიმე მშვიდობისა სიტყვითა შეაჯერებდეს“. როგორც ცნობილია, აბოს აწამებენ და სიკვდილით სჯიან სარკინოზები.

ამგვარად, თბილისში არაბების ბატონობის პერიოდში ქართული კულტურის მძლავრი კერა არსებობდა და ქართული ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეროვნული ტრადიციებისათვის ბრძოლას შესწირა თავი არაბმა სწავლულმა „მენელსაცხებლემ“, რომელიც ახლოს დგას თავის პროფესიით „წამალთმკეთებლობასთან“.

შემთხვევითი არ არის, რომ თბილისში ნერსე ერისთავთერისთავის ოჯახში ყოფილა აღზრდილი გრიგოლ ხანძთელი, რომელიც 'მემდეგში სახელგანთქმულ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო-კულტურულ

საქმიანობას ჩაუდგა სათავეში. მაშასადამე, გრიგოლის სახით მაკ-
მალიანურ გარემოცვასა და რეპრესიებში მყოფმა ნერსე ერისთავის
თბილისურმა ქართულმა კერამ აღზარდა და მისცა ქართულ კულტუ-
რულ სამყაროს დიდებული მოღვაწე, რომლის ხელმძღვანელობაში
მყოფი ხანძთის სავანების საქმიანობის შუქი უხვად ანათებდა შემ-
დგომ საუკუნეებსაც.

400 წლის განმავლობაში ქართულმა კულტურულ-პოლიტი-
კურმა ცენტრმა ტაო-კლარჯეთში გადაინაცვლა. აქ ჩამოყალიბე-
ბულმა 12 სავანემ, რომელსაც ხანძთა ხელმძღვანელობდა, გაშალა
კულტურული მუშაობა, აქ მომუშავე სწავლულები საექიმო მოღვა-
წეობასაც ეწეოდნენ, თვით გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფე
ეპიფანე, სამკურნალო საქმეში განსწავლულები ჩანან. „გრაგოლ
ხანძთელის ცხოვრებაში“ ავადმყოფთა მიღების, დაავადებათა ნიშ-
ნების და მკურნალობასთან დაკავშირებული სხვადასხვა მოქმედე-
ბის არა ერთი შემთხვევაა აღწერილი. ხანძთაში საფიქრებელია
საავადმყოფოც იყო, რადგან გრიგოლ ხანძთელმა ხანძთისა და მის
განმგებლობაში მყოფი მონასტრები მოაწყო საბაწმინდის ქართ-
ველთა ლავრის „წესისა“ და „განგებაჲს“ მსგავსად, საბაწმინდის
ქართველთა ლავრა კი უძველესი სამედიცინო ტრადიციების მატა-
რებელი კერა იყო, სადაც საავადმყოფოც კი ჰქონდათ მოწყობილი.
400 წლიანი ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ თბილისი
კვლავ ხდება ქართული კულტურის ცენტრი, როგორც გაერთიანე-
ბული საქართველოს დედაქალაქი. დავით აღმაშენებელი ძლიერ
მფარველობდა მეცნიერებას, ხელოვნებას, მწერლობას. ცნობილია,
რომ მან თბილისში სპეციალური თავშესაფარი აუგო მუსლიმან
პოეტებს; ნივთიერ დახმარებასაც უწევდა მათ, მეჭლისებს უმარ-
თავდა. ცხადია, მეტ მზრუნველობასა და მფარველობას უწევდა
მშობლიურ კულტურას, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, დავით აღ-
მაშენებელი დიდ მფარველობას უწევდა საზღვარგარეთ მყოფ ქარ-
თულ საეკლესიო-კულტურულ ცენტრებს. იოანე პეტრიწონელის
ფილოსოფიური შრომები და მათ შორის მის მიერ თარგმნილი ანა-
ტომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატი „ბუნებისათჳს კაცისა“ წარ-
მოდგენს საბუნებისმეტყველო საკითხების საერო-მატერიალისტუ-
რი გაგების მშვენიერ მაგალითს, რომელმაც დიდი გავლენა მოახ-
დინა სამედიცინო აზროვნების განვითარებაზე საქართველოში. მარ-
თალია, იოანე პეტრიწონელი თბილისში არ მოღვაწეობდა, მაგრამ,
როგორც „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში ამბობს, „ოპოზიციის“
დევნა-შევიწროებისაგან დავით აღმაშენებელმა იხსნა და მანვე მო-
იწვია პეტრიწონის მონასტრიდან გელათის აკადემიის რექტორად,

სადაც ფილოსოფიურ დისციპლინებთან ერთად, როგორც ირკვევა, მედიცინაც ისწავლებოდა და იქ, ჩვენი აზრით, ანატომიის კურსს არსენ იყალთოელი კითხულობდა. დავით აღმაშენებელმა „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით მრავალი ქსენონები და სასწავლოები დააარსა, თვითონ, პირადად უწევდა მათ მეთვალყურეობასა და კონტროლს, თვითვე ნახულობდა ავადმყოფებს, ეალერსებოდა, პირადად აკონტროლებდა საწოლის სისუფთავესა და საერთო ჰიგიენურ პირობებს. დავით აღმაშენებლის ინიციატივით 1103 წ. მოწვეულ იქნა რუისურბნისის საეკლესიო კრება, სადაც სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხთა შორის დავითისავე კარნახით დადგენილებებში შეტანილ იქნა ორი საკითხი, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ჰიგიენურ ღონისძიებათა ისტორიისათვის. ამ დადგენილების ერთ-ერთი მუხლი კრძალავს სოდომისა და გომორის ცოდვას, რომელიც არაბუნებრივ სქესობრივ კავშირს გულისხმობს. ის აღიარებულია ცოდვად, როგორც „უბილწესი საძაგელებისა სოდომელთასა“, მეორე მუხლით კი:

„კუალად ამასცა განვასაზღვრებთ, რათა ამჟამრიდგან არღარა ეკურთხებოდინან გვრგვნი ჩჩვლთა ქალ-ყრმათა...

რა ეამს ჰასაკად მოვიდნენ, ორნივე მაშინ იქორწინენ“. აქ, როგორც ვხედავთ, კრძალავენ უასაკო ქალ-ვაჟთა ქორწინებას. განსაზღვრულია ქალის საქორწინო ჰასაკი (არა ნაკლები 12 წლისა), და მოითხოვენ ამ დადგენილების სასტიკად დაცვას. ე. ი. ჩანს, ჰიგიენური ნორმების დაცვა უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით. ამგვარად, გაერთიანებული საქართველოს მეფის ღონისძიებანი თბილისიდან მთელ საქართველოში ხორციელდებოდა ეკლესიის საშუალებითაც კი.

მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის განვითარებამ უფრო მაღალ დონეს მიაღწია თამარის მეფობის პერიოდში. ამ პერიოდში შექმნილ მხატვრული და ისტორიული ლიტერატურის შესწავლით აშკარა ხდება მედიცინის განვითარების მაღალი დონე. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზიც კი იძლევა ზოგიერთ საკითხთა დადგენის საშუალებას მედიცინის გარშემო. რუსთაველის ზოგიერთი მოსაზრებანი აქიმისა და დასტაქრის განსხვავებულობისა და ექიმის მოვალეობისა და შესაძლებლობათა შესახებ, ზოგიერთ დაავადებათა ნიშნების მხატვრული გააზრებანი, ადამიანის სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნა იმას მეტყველებს, რომ თბილისში თამარის სამეფო კარზე სამედიცინო და საბუნებისმეტყველო საკითხ-

თა ცოდნის ერთგვარი მინიმუმი არსებობდა, რომლის ცოდნა არა-ეკიმთათვისაც კი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. აქ, თბილისში, შეიქ-ნა ქართული მედიცინის დიდი საგანძური „წიგნი სააქიმოა“, რომელიც რომელიღაც არაბული წყაროების საფუძველზეა შედგენილი „მწიგნობართ უხუცესისა“ და „ვაზირთაუხუცესის“ ჰყონდიდელის ბრძანებით. „წიგნი სააქიმოა“-ს შექმნა XII საუკუნეში, თბილისში, განათლებულ ეკიმთა გარკვეული წრის არსებობისა და მაღალი სა-მედიცინო კულტურისა და აზროვნების უეჭველი ნიშანია. ამ წიგნ-ში აღწერილი სამედიცინო და საბუნებისმეტყველო პრობლემები, ანატომიის, ფიზიოლოგიის, დიაგნოსტიკის, კლინიკის, მკურნალო-ბის, ჰიგიენის უაღრესად პრაქტიკული საკითხები დღესაც მკვლე-ვართა და ისტორიკოსთა განცვიფრებას იწვევენ თავიანთ აზრთა სიღრმით.

XIII საუკუნიდან მონღოლებისა და სხვა დამპყრობელთა შე-მოსევებისა და საქართველოს ფეოდალურ სამთავროებად დაქუც-მაცების შედეგად კულტურა, ეკონომიკა, სამხედრო-პოლიტიკურა ძლიერება დაეცა, ძლიერ შეირყა, მაგრამ XI—XII საუკუნეებში მოზღვავებული კულტურისა და აზროვნების ტალღების დინება შემდგომ საუკუნეებსაც სწვდებოდა. XV—საუკუნეში დიდი ქართ-ველი ეკიმისა და ბრძენმთავრის ზაზა ფანასკერტელი-ციციშვი-ლის მიერ შექმნილი „სამკურნალო წიგნის“ ძირითადი ლიტერა-ტურული წყაროები XI—XIII საუკუნის, თბილისში შექმნილ ქართულ სამკურნალო წიგნებსა და კარაბადინებში პოულობს თავის საწყისებს.

XVI საუკუნეში დავით ბატონიშვილმა (შემდეგში, სამწუხა-როდ, დაუდხანად წოდებულმა), თურქეთში ემიგრაციაში ყოფნისას შექმნა მეტად მნიშვნელოვანი საექიმო წიგნი, რომელიც „იადიგარ დაუდის“ სახელითაა ცნობილი და რომელიც ხელნაწერების სახით მეტად გავრცელებული წიგნი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთ-ხეში. „იადიგარ დაუდის“ შემქმნელს უსათუოდ ღრმა სამედიცინო განათლება უნდა ჰქონოდა, ეს განათლება მას უნდა მიეღო თბი-ლისში, თავისი მამის საქართველოს მეფის ლუარსაბის სამეფო კარზე (იადიგარ დაუდი, გვ. 29), სადაც დაიბადა და გაიზარდა იგი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვახტანგ მეექვსის მეფობის პერიოდი თბილისში და მისი მოღვაწეობა სამეურნეო-ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე; მან დიდი შემოქმედებითი მუშაობა გა-შალა: გახსნა სკოლები, სტამბა, დაწერა სამართლის წიგნი — სა-ხელმწიფოს ძირითადი საკანონმდებლო წიგნი „დასტურლამალი“, რედაქცია გაუკეთა და 1712 წელს გამოსცა შოთა რუსთაველის

„ვეფხისტყაოსანი“, შექმნა „სწავლულ კაცთა კომისია“ ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით და დაწერა საქართველოს ისტორია მე-14 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე.

ვახტანგ მეექვსის კალამს ეკუთვნის ვეტერინარიისა და ქიმიის სახელმძღვანელოები. უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული დამსახურება, რომელიც ვახტანგ მეექვსეს მიუძღვის ქართული მედიცინის ისტორიის წინაშე. ვახტანგ მეექვსის წყალობით შემორჩა ქართულ კულტურას XI საუკუნის სამედიცინო ძეგლი „უსწორო კარაბადინი“ და XVI საუკუნის ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი“. ვახტანგმა თავი მოუყარა მათ, ნაკლული ფურცლები შეავსო, პაგინაცია გაუკეთა, ზოგან საჭირო შენიშვნები და წარწერები დაურთო, აკინძა, მთელი რიგი გულმოდგინე აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა და შემოუნახა შთამომავლობას ქართული სამედიცინო-საბუნებისმეტყველო აზროვნების ეს ძვირფასი ძეგლები.

ამგვარად, თბილისში ვახტანგ მეექვსის მიერ XVII საუკუნის ძველი ქართული სამედიცინო ლიტერატურის მიმართ ჩატარებულმა სარედაქციო-შემკრებლობითმა სამუშაოებმა საშუალება მოგვცა ქართული მედიცინის ისტორიაში უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ფურცლები ჩაგვეწერა. ვახტანგ მეექვსის სკოლის უდიდესი წარმომადგენელია მისი თანამედროვე და თანამოკალმე სულხან-საბა ორბელიანი*. მისი მცირე, მაგრამ მრავალმხრივი შემოქმედება დღესაც დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავეთათვის. ენათმეცნიერები, პედაგოგები, ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები, ბოტანიკოსები, გეოლოგები, ლიტერატორები, მედიკები და ბუნებისმეტყველები თანაბარი სიუხვით სარგებლობენ სიბრძნისა და მალაღონიერების ამ ძვირფასი საგანძურით. მის თანამედროვეთათვისაც სულხან-საბა ორბელიანი აღიარებული იყო დიდი ინტელექტისა და განათლების მქონე პიროვნებად. ვინმე უცნობი პოეტის თქმით:

„სულხან საბა ორბელის ძე
სიბრძნით აღხდა ორბების ზე“.

განუზომელია საბას შემოქმედების გამოყენების დიაპაზონი, განუზომელია მისი შემეცნებითი მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში საერთოდ და კერძოდ ქართული სამედიცინო-საბუნებისმეტყველო აზროვნების ისტორიაში. მის ლექსიკონში და „სიბრძნე სიცრუეში“ მთელი რიგი ფილოსოფი-

* ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანის მედიცინაში მოღვაწეობის შესახებ იხ. აქვე — გვ. 104 და 144.

ური და სამედიცინო-ბიოლოგიური ცნებები ღრმადაა ახსნილი და გადმოცემული. არსაიდან ჩანს, რომ სულხან-საბა ექიმი იყო მაგრამ სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხების ასეთი ღრმა ცოდნა აშკარად ლაპარაკობს, რომ სამედიცინო აზროვნება მეტად მაღალ დონეზე იდგა XVII საუკუნის თბილისში, და მედიცინის ზოგადი და ძირითადი საკითხების ცოდნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო არა ექიმთათვის, მაგრამ განათლებულ პირთათვის. თუ გავითვალისწინებთ სულხან-საბა ორბელიანის შრომების განსაკუთრებულ გავრცელებას ხელნაწერების სახით ქართულ ენაზე მოუბარ და მოაზროვნე მოსახლეობაში, აშკარა გახდება ის როლი, რაც საბას შრომებმა შეასრულა სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების განვითარებასა და გავრცელებაში საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა თავისი მსოფლმხედველობით საბუნებისმეტყველო-ბიოლოგიური საკითხების გაგებასა და განმარტებაში საერო-მატერიალისტური აზროვნების პოზიციებზე იდგა არსებული საეკლესიო-იდეალისტური აზროვნებისაგან განსხვავებით.

თეიმურაზისა და ერეკლე მეორის მეფობის ხანაში საყოველთაოდ ცნობილი იყვნენ თბილისში მომუშავე ექიმები ანტონ, იოსებ, ივანე, ანდრია ყარაშვილები, რომელთაც დიდი პოპულარობა ჰქონდათ მოპოვებული, ალექსანდრე კლაპრონიშვილი, სტეფანე წარმანაშვილი. ერეკლეს მოწვევით ლეიბმედიკად მუშაობდა ევროპელი ექიმი რაინაკსი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ერეკლეს ღრმად კათოლიკ მისიონერთა სამედიცინო მოღვაწეობა. ერეკლეს ღრმად გახსნილი იყო სამედიცინო სასწავლებლები. ყარაშვილების საექიმო-პრაქტიკული მოღვაწეობა რომ მარტო თბილისით არ ამოიწურებოდა, ეს იქიდანაც ჩანს. რომ როდესაც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ყარაშვილებს, აუკრძალეს რა საექიმო პრაქტიკა, კახეთის, სიღნაღისა და თელავის მაზრის მცხოვრებლები თხოულობდნენ მათთვის მიეცათ მკურნალობის უფლება, რომელთაც თითქოს იცოდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა „ანატომია“ და დაავადებათა თავისებურებანი.

თვით ერეკლე მეორის სამეფო ოჯახიდან დავითი და იოანე ბაგრატიონები მედიცინაში განსწავლულები იყვნენ. როგორც ირკვევა დავითსა და იოანეს თვით თბილისში აქვთ მიღებული სამედიცინო განათლება. იოანე ბაგრატიონი საექიმო პრაქტიკასაც ეწეოდა და, როგორც ამჟამად ირკვევა, საკმაო პოპულარობითაც სარგებლობდა მაშინდელ განათლებულ წრეებში. იოანეს სამედიცინო ხასიათის შრომებმა ხელნაწერების სახით დღემდე მოაღწია

ჩვენამდე. მის ცნობილ ენციკლოპედიურ შრომაში „კალმასობაში“ ბევრი სამედიცინო-საბუნებისმეტყველო საკითხია განმარტებული და ისიც სავსებით ახლებურად. იოანე და დავით ბაგრატიონების შრომათა შესწავლიდან აშკარად ჩანს რუსეთთან უკვე დაწყებული სიახლოვის ნიშნები, მათ შრომებში სამედიცინო-საბუნებისმეტყველო საკითხები განიხილება ახალი „ევროპული“ მედიცინის თვალსაზრისით. ორივე მეცნიერი ძმა თავიანთ მეტად ნაყოფიერ სამედიცინო-ლიტერატურულ მოღვაწეობას პეტერბურგში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგაც აგრძელებენ და დიდი წვლილი შეაქვეთ მშობლიურ სამეცნიერო ლიტერატურის გამდიდრების საქმეში.

ერეკლეს კარზე, თვით მეფისა და ბატონიშვილთა დავალებითა და მათივე მონაწილეობით გაცხოველებული მუშაობა იყო გაშლილი აგრეთვე ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერთა გადაწერისა და გავრცელების მხრივ.

თბილისი ცნობილი იყო გამოცდილი ექიმებით მთელს კავკასიაში. ქართველი ექიმი სტეფანე შარიმანაშვილი, რომელმაც პირველდაწყებითი სამედიცინო განათლება თბილისში ყარაშიელების „სკოლაში“ მიიღო და შემდეგში კი ვენასა და ვენეციაში, გიორგი მეცამეტის დავალებით იგზავნება ავადმყოფ შირვანის ხანთან. გვიან ციციანოვიც გზავნის მას ასეთივე მისიით ერევნის ხანთან. სტეფანე შარიმანაშვილს, როგორც ირკვევა, თავისი მცირე წვლილი შეუტანია ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში. მას შეუდგენია ბოტანიკური ლექსიკონი „ბალახთა და მცენარეთათვის სამკურნალოთა“, რომელიც იოანე ბაგრატიონმა დაურთო თავის ლექსიკონს. შემდეგში ის ნ. დ. ჩუბინაშვილსაც შეუტანია მის ცნობილ ლექსიკონში.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ კი 1803 წელს თბილისში ყალიბდება საექიმო მმართველობა „რუსეთის საგუბერნიო საექიმო მმართველობათა“ ტიპისა. 1820 წ. დაარსებულ იქნა 12 საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც XIX საუკუნის 40-იანი წლებისათვის 50 საწოლიანი გახდა. 1808 წლიდან ყალიბდება სამხედრო ჰოსპიტალი, აფთიაქი, კარანტინები და სხვ. რაც არ უნდა მცირე ყოფილიყო მათი მნიშვნელობა მოსახლეობისადმი საექიმო დახმარების მხრივ, თბილისში დაარსებულ სამედიცინო დაწესებულებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ახალი რუსული მედიცინის დანერგვასა და გავრცელების საქმეში. XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე არიან თბილისში ქართველი ექიმები რუსული სამედი-

ცინო განათლებით, და თავს იჩენს ახალი სამედიცინო ლიტერატურა როგორც სტამბურად გამოცემული, ისე ხელნაწერების სახით გავრცელებული. თბილისში ჩამოყალიბებული სამედიცინო დაწესებულებები და შემდეგში დაარსებული კავკასიის სამედიცინო საზოგადოება, გახდა სამედიცინო-საბუნებისმეტყველო აზროვნებისა და საექიმო დახმარების ორგანიზაციის ცენტრი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში.

ვახტანგ VI-ს წვლილი ძველ ქართულ მედიცინაში და მისი „ზამედიცინო პარაბრაზები“

XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისის უაღრესად მძიმე პოლიტიკური სიძნელების ფონზე, გაკვირვებას აწვევს ვახტანგ VI-ს (1675 — 1737) მრავალფეროვანი მოღვაწეობა კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში. თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მან პოლიტიკურ ემიგრაციაში, გადახვეწილობასა და ტყვეობაში, უცხოელ დამპყრობლებთან ან შინაურ მტრებთან ბრძოლაში გაატარა და გიკვირს როდის ახერხებდა ის შეექმნა ის დიდი მემკვიდრეობა, რისთვისაც უსათუოდ მეტად დამაბული ინტელექტუალური მუშაობა იყო საჭირო. ქართული სტამბის ორგანიზაცია და წიგნების ბეჭედა (მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა), პოეზია და ლიტერატურული მასალების თავმოყრა და რედაქტირება, მთარგმნელობითი მუშაობა, არითმეტიკისა, გეომეტრიისა და სხვ. სახელმძღვანელოების შექმნა, ორიგინალური მონოგრაფიების დაწერა ვეტერინარიაში, ქიმიაში, მეტალურგიაში და მრავალი სხვა. არასრული ჩამოთვლაა იმ საქმიანობისა, რომელსაც ის ეწეოდა.

ვახტანგ VI გაკვირვებას იწვევს არა მარტო თავისი მრავალფეროვნებითა და მეცნიერული დიაპაზონით, არამედ თავისი მეცნიერული სიზუსტითა და პიღრპითაც, რაც აშკარად იგრძნობა მისი ნაშრომების შესწავლის დროს... მან შემოიკრიბა თავის გარშემო ისეთი სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები, როგორც არიან ვახუშტი ბატონიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, ისტორიოგრაფი ბერი ეგნატაშვილი და სხვ. მთელი პლეადა მაშინდელი მოღვაწეებისა სამართლიანად „ვახტანგის სკოლის“ წარმომადგენელთა სახელით არიან ცნობილნი.

ვახტანგ VI დიდი წვლილი აქვს შეტანილი ძველ ქართულ მედიცინაშიც. ძველი ქართული მედიცინის უაღრესი ძველი „უსწორო კარაბადანი“ ვახტანგ VI-ს ბრძანებითა და ხელმძღვანელობით. იქნა

გადაწერილი და რედაქტირებული „სეფეთა დარბაზის“ („სწავლულთა კომისია“) მიერ. კარაბადინის ბოლოს ეკითხულობთ: „ქ. ჩვენ საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, დავაწერინეთ კარაბადინი ესე საკითხავად და სამყოფად დარბაზს ეფეთა ჩვენთა. ერთი ფურცელი აკლდა და მისი ვერსად ვიპოვეთ რომ დაგვეწერინა“*.

ვახტანგისა და მისი „სეფეთა დარბაზის“ მიერ ხელნაწერი არმარტო გადაწერილია ძველი ხელნაწერიდან, არამედ რედაქტირებულია, სტილისტურად შესწორებულია, მკურნალობის მეთოდები და სამკურნალო საშუალებები ზოგან შეცვლილია, დამატებული ან გამოტოვებულია და სხვ. ამგვარად, გარკვეული მზრუნველობითა და სერიოზულობით არის ეს საქმე შესრულებული. ამ საქმიანობაში ვახტანგის უშუალო მონაწილეობაზე მიუთითებს მისი ზემოხსენებული მინაწერი.

აღსანიშნავია ის გულისტკივილი ვახტანგის მხრავ, რომელიც ერთი ფურცლის დაკლებას გამოუწვევია. ჩანს ის ერთი ფურცელი ბევრად უძებნია, რადგან ჩივის: „ვერსად ვიპოვეთ“.

ვახტანგის ღვაწლითა და მზრუნველობით შემორჩა აგრეთვე ქართულ კულტურას ძველი ქართული მედიცინის უძვირფასესი ძეგლი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვალის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“. ამ ძეგლის მიმართაც გარკვეული მუშაობა ჩაუტარებია. ვახტანგას.

შემონახულია მისი ხელით ჩანაწერი, ხელნაწერის ერთ ფურცელზე (მისივე კალამთან ერთად): „ქ. ჩვენ საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ თვითეულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყობინე და შევაკრევინე საკმარად და სასარგებლოდ კაცთათვის და საკმარად ყოველთა“. აღნიშნული ჩანაწერი ამ ხელნაწერის შეკრებასთან, განახლებასთან და აკინძვასთან დაკავშირებული ანდერძია, როგორც ხელნაწერის გარეგნული შესწავლით ირკვევა, ვახტანგს ძეგლის მიმართ შემდეგი სამუშაოები ჩაუტარებია:

1. ფურცელ-ფურცელ დაშლილია კარაბადინი აუწყვია. აუკინძავს და ჩაუსვამს ძვირფას ყდაში.

2. გამოურკვევია ფურცელთა დაკლებულობა და საკუთარი ხელით სათანადო ადგილას შემდეგი სიტყვებით აღუნიშნავს ეს: „აქ ფურცელი აკლია ერთი“, „აქაც აკლია“ და ა. შ. (სულ 17 ადგილას).

* „უსწორო კარაბადინი“ ლ. კობეტიშვილის რედაქციით, 1940, 470.

3. შეკრული ხელნაწერისათვის მიუცია ახალი პავინაცია.

4. ამიებზე ზოგან მოუთავსებია შენიშვნები და განმარტებანი. მაშასადამე, როგორც ირკვევა, ვახტანგს დიდი მონდომებით ჩაუტარებია ხელნაწერის აღდგენის სამუშაოები*.

ხსენებული საქმიანობა ვახტანგის მიერვეა დათარიღებული 1709 წლით. „უსწორო კარაბადინის“ გადაწერა და რედაქტირებაც ამავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს, რადგანაც იმ მინაწერშიც ვახტანგი თავის თავს „გამგებლად“, „ბატონიშვილად“ (1703—1714 წწ.) იხსენიებს და არა „მეფედ“.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა სამკურნალო მეცნიერებაში მხოლოდ სარედაქციო-აღდგენითი სამუშაოებით არ ამოიწურება. აღსანიშნავია მისი მუშაობა ვეტერინარიაში; ამავე ხანებში (1703 — 1714 წწ.) მას შეუდგენია ვეტერინარიის სახელმძღვანელო „წიგნი ცხენთა ცნობისა და აქიმობისა“**, რომელიც ვახტანგის ორიგინალური ნაწარმოები ჩანს, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, მან ის „გამოაცხადნა თარგმანებითა და შეკრიბნა ერთად“ ძირითადად სპარსული და არაბული წყაროების მოშველიებით („პირველ თქმული სპარსთა და არაბთა შინა“).

წიგნი შედგება 114 კარისაგან (პარაგრაფისაგან), აქედან 43 პარაგრაფში განხილულია ცხენთა ჯიშის გაუმჯობესების, ცხენის ექსტერიერის, ჯიშთა გამოცნობის, აღზრდისა და მოვლის მეთოდები, რომლებიც ხშირად მეტად გონებამახვილურია იმ დროისათვის. შემდეგ თავებში კი განხილულია ცხენის დაავადებათა პროფილაქტიკა, კლინიკა და მკურნალობა. მრავლადაა მოცემული სამკურნალო წამლონივთიერებები. ავტორი მოკლედ აღნიშნავს პათოლოგიას ზოგადი საკითხების შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ იზიარებს ჰიპოკრატეს ჰუმორალურ-პათოლოგიურ თეორიას და სამყაროს 4 მატერიალური ელემენტისაგან შედგენილობის თვალსაზრისს, რაც იმ დროისათვის მეტად პროგრესული იყო.

ძეგლში მშვენივრადაა აღწერილი დაავადებათა კლინიკური სურათი, მაგალითად, კარი ხველისა, წითელი ქარისა, მუცლის ტკივილისა, შიგნით სიცხისა, სირაჯისა, აღწერილობა ყოლინჯისა და სხვ. რაც იმაში მიუთითებს, რომ ვეტერინარია იმ დროისათვის საკმაოდ, აქე ვთქვათ, სისტემაში მოყვანილი და საფუძვლიანად ჩამოყალიბე-

* ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ შიხ. შენგელიას პუბლიკაცია, 1959, თბილისი, 7.

** იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S—14 და H—3260 და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № 239 (თაყინაშვილისეული ვარიანტი).

ბული საგანი იყო. ვახტანგი ღრმა ცოდნას ამჟღავნებდა კლინიკურ აღწერილობებისა და სამკურნალო საშუალებათა გამოყენებისას საერთოდ.

ცალკეული დაავადებები შესწავლილია დიფერენცირებულად, დიაგნოსტიკის, კლინიკის, მკურნალობისა და სხვ. მხრივ. ძეგლი განსაკუთრებით მდიდარია სამკურნალოწამლო საშუალებათა აღწერით. დაავადებათა სამკურნალოდ ხშირად მეტად რადიკალური საშუალებებია მოწოდებული ქირურგიულ ჩარევათა სახით. ნაჩვენებია სისხლის გამოშვება, თერმული მოწვა, დადაღვა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მანიპულაციები დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაშინ და ფართოდ გამოიყენებოდა პრაქტიკულ მედიცინაში. ავტორი იძლევა დარიგებას ინფექციური სნეულებით დაავადებული პირუტყვის განცალკევებისა და იზოლაციის შესახებ, რაც ეპიდემიასთან ბრძოლის მეტად რაციონალური მეთოდია. საკუთრივ სამედიცინო ხასიათის ძეგლი, თვით ვახტანგის მიერ შედგენილი, არა ჩანს, მაგრამ მისი ერთი მეტად საინტერესო ხელნაწერი, სათაურით: „წ ი გ ნ ი ზ ე თ ე ბ ი ს შ ე ზ ა ვ ე ბ ი ს ა და ქ ი მ ი ი ს ა ქ მ ნ ი ს ა შ ე კ რ ე ბ ი ლ ი მ ე ფ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა გ ა ნ“ საკმაოდ შეიცავს საკუთრივ სამედიცინო ხასიათის პარაგრაფებს, რაც კიდევ მეტად ადასტურებს ვახტანგის ინტერესებს და განსწავლულობას მედიცინაში.

წიგნი დაწერილია „მეფის ვახტანგისაგან“, ე. ი. მისი „მეფის“ ტიტულით მეფობის წლებში (1714 — 1724 წწ.). ხელნაწერი არაა ავტოგრაფიული, მაგრამ გადაწერილია მისი შვილის ცნობილი მეცნიერის ვახუშტის მიერ. შედგება 215 პარაგრაფისაგან. თვით ტექსტით მოთავსებულია 63 ფურცელზე, ტექსტს წინ ერთვის ანბანური საძიებელი (6 ფურცელზე) სათაურით: „ამ წიგნის წერილის ანბანზედ შეკრებულად და ადვილად პოვნისათვის“. საძიებელი წიგნის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით კარგადაა შედგენილი, ანბანზეა ამოკრეფილი ცალკეული რეაქციებისა და ტექნოლოგიური პროცესების აღწერილობათა დასახელებანი სათანადო პარაგრაფების ჩვენებით, მაგალითად ასო დონ-ზე ნაჩვენებია:

დამძიმება ჭიქისა — 227

დარიშხანის გაკეთება — 50, 51, 53

დარიშხანის ზეთი — 52

დართულის ზეთი — 117

დართული არაყი — 96

დაწერა მრავალფერად — 205 და ა. შ.

ტექსტში კარგად შესრულებული ჩანახატებია სხედასხვა სახეობის ამბუხების (კოლბების) ქურის, ქოთნის, რეაქციების დროს

პათი ურთიერთ დაკავშირების მაჩვენებელი ჩანახაზებით, ლინზებში სხივების გარდატეხის სქემატური მაჩვენებლებით (24r 25v 48v 50r 50v 54r 55r) და სხვ.

წიგნი გამოუცემელია და ინახება ხელნაწერის სახით*.

ქამიის ისტორიის თვალსაზრისით იგი შეისწავლა დოც. ა. ჩხენკელმა** უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წიგნით ვახტანგი უნდა მივიჩნიოთ თავისი დროისათვის დიდი დიაპაზონის მეცნიერად. ის ორიგინალური ნაწარმოებია და თვითეული ქიმიური რეაქცია „ქმნა“ თუ „შეზავება“ (მეტად რთული და შრომატევადი რეაქციები) საკუთარი ხელითაა გაკეთებული და გამოცდილი, რაზედაც არაერთხელ მიუთითებს. ჩანს, არც ერთი რეაქცია, არც ერთი ცდა—„გაკეთება“, „გამონდა“, „ შეზავება“ და სხვა არაა ისეთი, რომელიც საკუთარი ხელით არ გაეკეთებინოს, რადგან ისეთი რეაქციებიც აქვს თანმიმდევრულად პროცესებისა და რეაქტივების მიხედვით აღწერილი, რომელიც არ გამოუვიდა, ე. ი. სასურველი რეაქცია, შედეგი, ვერ მიიღო. მაგრამ მაინც საჭიროდ მიუჩნევია მისი წიგნში შეტანა, რომ მკითხველმა თუ წიგნის მომხმარებელმა იცოდეს, რომ ესა თუ ას რეაქცია ამა და ამ გზით არ მიიღება და სხვ.

ტექსტში ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები: „ბევრს ვეცადე, ხაჯა... ვერ ვიშოვე და არ გაკეთდა“. (პარაგრაფი 129) „ბევრა ვეცადე და არ იქნა“ (პარაგრაფი 79) „ესცადე და არ იქნა“ (პარაგრაფი 81) „ქიმიანი*** ბევრად იტყვიან, მაგრამ მე ამის მეტი არ მინახავს“. როგორც ვხედავთ, ვახტანგი ნამდვილი მეცნიერული კეთილსინდისიერებით წერს თავის წარუმატებლობაზე ცალკეული ქიმიური რეაქციების მიმართ, რაც იმის მაჩვენებელიცაა, რომ მას ყველა აღწერილი რეაქცია თვითონვე აქვს გაკეთებული. ცნობილა, რომ ვახტანგ VI რუსული ორიენტაციის პოლიტიკური მოღვაწე იყო ქართველ მეფეთა შორის. ამ ხელნაწერს თუ დავაკვირდებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის არა მარტო პოლიტიკურად მისწრაფოდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპისაკენ, არამედ, როგორც ჩანს, რუსულ-ევროპული სამეცნიერო აზროვნებისკენაც ეჭირა თვალი, ტექსტში აღმოსავლური (სპარსულ-არაბული) ტერმინების გვერდით

* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S უონდის 3721 ხელნაწერი.

** დოც. ა. ჩხენკელი, საქართველოს სსრ სამედიცინო-სამეცნიერო საზოგადოების შრომათა კრებული, № 1, 1961 წ., გვ. 285.

*** აღსანიშნავია, რომ ვახტანგი „ქიმიკოსის“ ნაცვლად ყველგან ხმარობს სპარსულ-არაბულ ფორმას „ქიმიანს“.

ხშირია რუსული სიტყვები, ტერმინები, მაგალითად, ოტკა, ხლება.. ჩეთვერთი, ჩარეკა, მიშიაკ, პოროშოკი, ფეჩი, სტაქანი და სხვ. ლათინური ტერმინოლოგია: ალე ვიტერმუს, კარდიალის ტენპერატო. მოსტიხა და სხვ.

დასავლეთ ევროპასთან იმდროინდელი საქართველოს ფართო კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის მაჩვენებელია ის, რომ წიგნში ხშირად ვხვდებით ასეთ წინადადებებს: „საფრანგეთიდან მოვა“ (პარ. 246) „თავის წამალი... ამის ქანი ხვარასანშიც არის და საფრანგეთსაც არი“ (პარ. 54) „ფრანგული ლადანის მსგავსი სურნელება“ (პარ. 252) „დანამასტაკის ოტკა ფრანგნი მოსტიხას ეძახიან“ (პარ. 267).

ავტორი იმდენად ყურადღებით ეპყრობოდა ახალ ევროპულ აღმოჩენებს, რომ საჭიროდ თვლას ასეთი „განაგონი“ ამბავიც კი ჩაურთოს თავის შრომაში: „ვერცხლის წყალი ქანიდამეც გამოვა. სინგურიდამეც გამოვა. ერთს ქვეყანას, გამიგონია, მიწაც ამოჰყრის. ასეც გამიგონია სისხლისაგან, ბაყლისაგანაც ერთს ფრანგ ექიმს გამოეღოს“ (პარ. 68).

ამჟამად ლიტერატურაში ჩვეულებრივ მიუთითებენ ხოლმე. რომ ცოცხალ ორგანიზმში ვერცხლისწყლის არსებობა პირველად თითქოს გერმანელმა მეცნიერმა ა. შტოკმა აღმოაჩინა 1926 წელს. და მიუთითებენ მცირე რაოდენობით მას არსებობაზე ღვიძლსა და თირკმელში (კერძოდ, ნახულობენ შარდში, ოფლში, ნღველში. ნერწყვში და სხვ.). ამ მხრივ მეტად საინტერესოა ვახტანგ VI-ის ზემოხსენებული ცნობა ფრანგი ექიმის შესახებ, რომელსაც თითქოს გაცილებით უფრო ადრე (1714 — 1794 წწ.) „გამოეღოს“ ვერცხლისწყალი ადაჰიანის ორგანიზმიდან (ჩირქიდან, სისხლიდან). აღსანიშნავია, რომ ვახტანგის ამ წიგნში შეუტანია თავისი საკუთარი ქიმიური ნაერთი, რეაქცია, რომელიც ასე აქვს დასათაურებული: „სხვა აქსირი ჩემი მოგონილი“ (პარ. 126). რეაქცია საკმაოდ რთული შემადგენლობის ნაერთისაგანაა ნაწარმოები და, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მისი შესწავლა, გამოცდა თანამედროვე ქიმიურ ლაბორატორიაში და ქიმიურა და მეტალურგიულ წარმოებაში ამჟამად გავრცელებულ ტექნოლოგიურ პროცესებთან მისი პარალელის მონახვა და შედარება.

ვახტანგი ქიმიური ნივთიერებების მთელ სამყაროს სამ ძირითად ჯგუფად ჰყოფს: მინერალური, ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ნივთიერებებად.

„ცნობა რაც რამ ფერის წამლისა, რაც მიწისაგან ან ბალახისაგან. ან პირუტყვისაგან და ფრინველისაგან გამოვა“ დაწვრალებით განი-

აილავს „მიწისაგან“ (მინერალური სამყარო) მიღებულ „წამლებს“. ის ჰყოფს მათ 6 ძირითად ჯგუფად (არვა, ჯასად, ქვა, შაბა-არჯასპი, მარილი, ბორაკი); თვითეულ მათგანს ჰყოფს ქვესახეებად. არვა — 4 რიგია, ჯასადი — 7, ქვა — 13 სახის, არჯასპი — 7, მარილი — 11, ბორაკი „რამდონი (მე) რიგია“. თვითეული ეს ქვესახე საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული. მცენარეულსა და ცხოველურ სამყაროზე ავტორი შემდეგს წერს: „რაც რომ ბალახებისაგან გამოვა, ამისაგან ამათში მოსახმარი არა არის რა, თუ მოიხმარებ, ოშნანის მეტი, ეს ოშნანი ბალახია, ტანისამოსს გარეცხს, მლაშე ადგილზედ მოვა“. „მაგრამ რაც პირუტყვიდან გამოვა (და) ამ საქმეში მოიხმარება, ათი არის: ერთი ბალანი, მეორე უჰყ, მესამე დაბალი (?) მეოთხე — ნაღველი, სისხლი, რძე, სადაჲ, რქა, ბიზ, შარდი“...

ვახტანგის ამ განმარტებებიდან, გარდა იმისა, რომ აქ ქიმიის ორგანულ და არაორგანულ დარგად დაყოფის საინტერესო მოსაზრებაა გატარებული, ირკვევა თვით მისი წიგნის ხასიათი და ქიმიის ის უბანი, რომლის გადმოცემაც განუზრახავს ვახტანგის ამ წიგნში, კერძოდ, მას მიზნად დაუსახავს ძირითადად არაორგანული ქიმია გადმოეცა იმდროინდელი მოცულობითა და გაგებით და აეწერა მისი გამოყენება მეტალურგიაშია და ზოგიერთ საყოფაცხოვრებო საქმიანობაში. იგი შეგნებულად არ განიხილავს იმ „წამლებს“ (ნივთიერებებს, რეაქტივებს), რომლებიც „ბალახებისაგან (მცენარეული სამყარო) ან პირუტყვიდან (ცხოველური სამყარო) გამოვა. რადგან ისინი „ამ საქმეში“ „მოსახმარი არა არის“. აქედან ირკვევა სამედიცინო ხასიათის პარაგრაფების როგორც რაოდენობრივი ისე თემატური განსაზღვრულობის მიზეზი. ვახტანგის ხელთ ჰქონდა, როგორც ზევით ვნახეთ, მეტად ძვირფასი სამედიცინო წიგნები და ამდენად მას საშუალება ჰქონდა, უფრო ვრცლად აეწერა სამკურნალო ნივთიერებები, მაგრამ ეს მან შეგნებულად არ გააკეთა, რადგან მასი მიზანი იყო მხოლოდ არაორგანული ქიმიისა და მასთან დაკავშირებული ქიმიურ-ტექნოლოგიური პროცესების, ე. ი. გარკვეული, წინააწარ მოთქმებული „საქმის“ გადმოცემა.

ამან განსაზღვრა სამედიცინო შინაარსის პარაგრაფების ხასიათიც. აქ აღწერილ სამკურნალო საშუალებათა ძირითადი ნივთიერებები არაორგანული წარმოშობისაა* და მათი განხილვისას ავტორს ნაერთებიც მოჰყავს, რომლებიც შეიცავს ამ ნივთიერებებს და მედიცინაში გამოიყენება. ამგვარად, ამ ხელნაწერში არ არის მოსალოდნელი სამკურნალოწამლო საშუალებათა რაიმე გეგმაზომიერი და სის-

* თუმცა ამ პრინციპს ავტორი ზოგან არღვევს, ბოლომდე არ იცავს.

ტემატური გადმოცემა, მაგრამ ას მანც გარკვეულ ინტერესს იწვევს, ერთი მხრივ, ძველი ქართული მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით და, მეორე მხრავ, თვით ვახტანგ VI პიროვნებისა და მისი მეცნიერული დიაპაზონის შესწავლის საქმეში. ტექსტში ჩვენთვის (მედიცინის ისტორიისათვის) საინტერესო 35 პარაგრაფია. მათ შორის 2 პარაგრაფი (215 და ნაწილობრივ 216 პარაგრაფი), სადაც აღწერილია სავალეების ყალიბის გაკეთება, თვით სასათვალე მანების დამზადება (თრაშვა და გაპრიალება) გარკვეული დიაპტრიულობის დაცვით აღწერილი და გამოქვეყნებული გვაქვს ჩვენს აღრინდელ შრომაში*. ტექსტიდან ირკვევა, რომ ვახტანგ VI-ის დროს თბილისში უნდა ყოფილიყო ოპტიური სახელოსნო და თვით ვახტანგ VI ღრმა ცოდნა ჰქონია ფიზიოლოგიური და ფიზიკური ოპტიკის მეტად რთულ საკითხებზე**.

დანარჩენი 33 პარაგრაფი, რომელთაც ქვევით ვაქვეყნებთ***, არანაკლებად საინტერესოა, ვიდრე ზემოხსენებული ორი პარაგრაფი, და შეიცავს ზოგიერთ დაავადებათა მიმართ გამოყენებულ სამკურნალო საშუალებათა ნაერთების აღწერას, ორგანიზმზე მათი მოქმედების ჩვენებით („ხასიათით“), მათი დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებს და სხვ.

„სამედიცინო პარაგრაფები“

(ტ ე მ ს ტ ი)

1 (37)**** ქაფურის ამბავი

ქაფური ხის ფისია, თვითან ამისი ხე მეც მქონდა, რომ ზედ ესხა. ინდოეთიდან მოვა. ორი რიგის მეტი არ იქნება. ერთი წამალში რომ ხმარობენ ის არის, ჯოვდანას ეძახიან, უფრო ბევრია, მარილის თვალსავეით გასქვირს წვრილი იქნება.

2 (38) ვაწმენდა ქაფურისა

მოატანე ქაფური წმინდად დაფშვენ. ერთს ქაშანურის ქვაბში

* „ოპტიკისა და მხედველობის კორექციის საკითხები ძველ ქართულ წყაროებში და ვახტანგ VI-ის „ოპტიკური ტრაქტატი“.

** იქვე.

*** წიგნში აღწერილია „ზეთები“. მათი დამზადება მოცემულია 27 პარაგრაფში, ე .ი. 27 სახის ზეთის მიღების მეთოდებია მოცემული. ვფიქრობთ, ეს ზეთებიც სამკურნალოდ ან სამკურნალწამლო საშუალებათა მისარეველ ხმარებოდა, მაგრამ რადგან ავტორი პირდაპირ არ მიუთითებს მათ სამკურნალო გამოყენებაზე, ჩვენც არ შევიტანეთ სამედიცინო ხასიათის პარაგრაფების რიცხვში.

**** ფრჩხილებში ჩასმული ციფრი პარაგრაფის დედნისეული ნუმერაციის მ.ჩვენებელია.

ჩაყარე, ზედ ზარფუში დახურე. ქვეილამ ცეცხლი მიეც. სრულ თავს ზარფუშს მიეკვრის, რაც მიჰკროდეს, მოფხიკე, გინდა ააძრე. კიდეც თუ გინდოდეს მინაში ჩაყარე ყელმალაში, ქვეილამ ცეცხლი მიეც. სულ ყელში მიეკვრის. ის ყელში მიკრული გამოიღე და გაწმენდილი იქნების.

3 (39) გაღნობა ქაფურისა

ქაფური, რომ მინაში ჩაყარო, პირს დაუცო, გაცეცხლებულს ნახშირზე შემოსდგა, და უბერო, გაღნება. ნიგვზის ზეთში რომ ჩაყარო, გაღნება. თუ გინდა ცეცხლით, თუ გინდა უცეცხლოთ. არაყი ღვინისა იყოს თუ სხვისა შიგ რომ ჩაყარო ბევრს ხანს გაუშვა ისე დადგა, თავს დახურო, გაღნება.

4 (40) არაყი ქაფურისა

ქაფური დაფშენილი ამბუხში ჩაყარე. ცეცხლი მიეც და არაყი გამოვა. თუ გინდოდეს თეთრი შაბა ნახევარი წონა ქაფურისა გაურიე წმინდად გალესე ორივე ერთმანეთში, ამბუხში ჩაყარე. წესისა-ებრ ცეცხლი მიეც. ისე გამოვა.

5 (68) ამბავი ვერცხლისწყლისა

ვერცხლისწყალი ქანიდამაც გამოვა, სინგურიდამაც გამოვა, ერთს ქვეყანას გამოგონია, მიწაც ამოჰყრის. ასეც გამოგონია სისხლისაგან, ბაყლისაგანაც ერთს ფრანგს ექიმს გამოელოს.

6 (135) მიხაკის ზეთი ჭავჭისა და ყ(ოვე)ლის თესლეულისა.

მოიტანე 400 მისხალი მიხაკი, დაამსხვრივე წმინდათ, ნუ დანაყ. 7 მისხალი წყაროს წყალი ერთს რამეში ჩაასხი და შიგ მიხაკი ჩაყარე, არაყე. 6—7 დღეს ეს მინა აბანოში ჩადგი, ან ცხელს წყალში. მერმე მოიტანე საარაყეს ქვაბში ჩაასხი, რომ მოკალული იყოს, ან წმინდად 16 მისხალი დართული დანაყე და შიგ ჩაყარე. გამოხადე სხვებსავით. ამისაგან მოხადე 40 მისხალი ზეთი, მოხადე და შეინახე. ამ გვარადვე გამოიხდება ჭავჭის ყვავილის ზეთი, ანისულისა, კამისა, ქინძისა, პილპილისა. ყოვლის თესლისა ზეთი ამგვარად გამოიხდება. ჭავჭისა ასეც იქნება: ჭავჭის ზეთი კვერცხისსავითაც გამოიხდება, დასწვი მერმე ქახრაკი მოუჭირე, სანთელსავით ზეთი გამოვა, მაგრამ ჭავჭი კარგი უნდა იყოს.

... ხ ვ ე ლ ის ა თ ვ ის , თ ა ნ გ ა ფ ა შ ი ს ა თ ვ ის . (?) და გ უ ლ ის კ ი რ ე ბ ის ა თ ვ ის ეს კ ა ი წ ა მ ა ლ ი ა :

მოიტანე არაყი ღვინისა ღუთათაში კარგი უძასალო ან ქალა შ(ა)-ქარი, ან ყინვარი. 2 წილი არაყი ჰქენ, 1 წილი შაქარი. ერთი ვერცხლის ან ჯამში ან ქვაბში ჩაასხი.

ცეცხლი ან ბამბით ან ქაღალდით მოუყიდე, მანამდე, სწვი, სანამ-
დინ კვამლი ჰქონდეს, ცეცხლი რომ გაქრეს, 10 მისხალი ვარდის
წყალი დაასხი, გალესე.

ამის აგან თითოს კოვზს დილა-საღამოს და შუა-
ღლისას სკამე.

7 (138) გაკეთება მარილის ზეთისა

ორი გირანქა მარილი ან მზეში, ან ცეცხლზე ასე გააშრე, რომ
ტენი აღარ ჰქონდეს. დანაყე 6 გირ(ვ)ანქა თიხის მიწა, ისიც გამხმა-
რი. დანაყე და გაურიე და თიხის ქურჭელში ჩაყარე. ის თიხის ქურ-
ჭელი მრუდს ამბუხსავით უნდა იყოს. და ერთი ქურა გააკეთე
ქვეილამ მიეც, ზეით თავი გარდაგლისე, მერე ზეით ამოაშენე, შიგ
ყელმრუდი ამბუხი ჩადგი. ამისი პირი იმ ქურის გარეთ უნდა გაუშვა
მინა შეუდგი და რაც ქურაში ის ამბუხი დარჩეს ის მუცელი სულ
სახლსავით ასე დაჰფარე და შემოგლისე, რომ სიმხურვალით კარგა
გახურდეს, მერმე პირზედ მინა წამოაყვი ასე მოლესე, რომ სული
არ გამოვიდეს, მერმე ექუს საათს ნელი ცეცხლი მათე. მერმე 6
საათს უფროსი ცეცხლი მიეც. მერმე უმატე ცეცხლი. ასე რომ, ამ-
ბუხი ასე გახურდეს, ცეცხლსავით გაწითლდეს და 26 საათს ამგვა-
რად ცეცხლი აძლიე მერმე გაუშვი, რომ გაცივდეს. მერმე მინა ა-
ბუხს მოხსენ და რაც გამოსულა, მართალ ამბუხში ჩაასხი. ქვიშაში
თუ სილაში ჩადგი. ქურაზედ დადგი და ნელი ცეცხლი მათე, 3 წილი
გამოვა, მეოთხედი შიგ დარჩება. ეს მეოთხედი გამოილე, შეინახე,
ოქროს ეს გაადნობს და ის 3 წილი რომ გამოსულა ამისი 1 წილი 2
წილს ოტკაში გაურიე, 2 დღე-ღამეს პირს დაუყე, თბილს სახლში
დადგი, მერმე შეინახე.

20 წვეთი ამისი რომ დაღაოს კაცმან ყუათს
მისცემს, სტომქისა სხვა წამალიც არის.

რა ოქრო იმან შექამოს, მერმე ის ოქრო და თეზაბი ორივე ან
ყელმრუდს მინაში ან მართალს ამბუხში გამოხადე, რაც მინაში ოქრო
გამტვერებული დარჩეს, ამოილე ის ოქროს მტვერი და ერთს ყელ-
გრძელ მინაში ჩადე და ზედ დარიჩინის ზეთი დაასხი. მერმე ის გა-
ცომდება და მერმე გაფუებას დაიწყებს. მაშინ ოქროსავით ფერს
გამოცემს. იმ დროს სამნადული ცხარი დაასხი ამდონი, რომ ორის
თითის დადებაზედ დაადგეს, ნელს ცეცხლზედ დადგი და იმ თეთრს
ოტკას ოქროს ფერად გახდის. რა გაყვითლდების ის ოტკა ფაალაში
გადმოსწურე, კიდევ სხვა ოტკა დაასხი იმ ოქროს, მანამდინ ოქროს
ფერი აძლიოს ოტკას და ეს გარდმონაწური ოტკა შეინახე და ის
მტვერი ოქრო კიდევ იმ თეზაბში ჩაყარე და პირველისებრ გამოხადე

და ოტკა დაასხი. მანამდინ ასე ჰქენ, სანამდინ ის ოქროს მტვერი ოტკაში არ გაერიოს. მერმე მიწით მინა შემოსტალახე და ის ოტკა შიგ ჩაასხი. ამბუხა დადგი ნელი ცეცხლი მიეც. გამოხადე, ნახევარი ის ოტკა გამოვა, ნახევარი ძირში დარჩება. ის ოქროს სული იქნების, წმინდას მინაში ჩაასხი და რათაც განდოდეს მოიხმარე.

ამისი ხასიათი ეს არის ბევრს კაცის, შიგნი-თის ჭირის, გამოუჩენელს ოფლით გამოიყვანს, სისხლს, ყოვლის უხმარებელის და, ავის ბალღამის აგან გასწმენდს და თავის ტკივილს გარდაუ-უგდებს, ტვინს გაამაგრებს, აგებულეებას ყუათს მისცემს, გაამხიარულებს, ყოვლის სენისა და სატკივარისაგან დაიცავს. ეს დილაზედ უნდა დალიოს, უზმოდ, ჯაის დვინით. ან სამი წვეთი, ან ხუთი, ან შვიდი.

8 (139) გაკეთება ამბრის პოროშოკისა თუ მტვრისა

მოიტანე კარგი ამბარი 4 შკრუპულა, რ(ომე)ლ არს 1 შკრუ-პულა 1 მისხალი და მისხლის $\frac{1}{8}$, ნახევარი შკრუპულა კაი მუშკი, 1 შკრუპულა კარგი შაქარი, მარმარილოს აპვანში დანაყე სამივ და კარგად გალესე და ცოტოტას ვარდის წყალს ზედ დაასხემდე. მანამდინ ლეს (ე), სანამდინ ფქვილისავით შეიქნას. რამდონსაც ლესავ, უკეთესს ხასიათს გამოიჩენს და კაცს უფრო არგებს: მერმე თავს დახურე როდინს, რა შეშრეს, მერმე კიდევ ვარდის წყალი დაასხი და ლესე, კიდევ დააცალე. შეშრეს, მერმე ან ყერცხლას კოლოფში ან მინაში შეინახე, რომ პირს მაგრა მოკრული იყოს.

ეს არგებს კაცის აგებულეებას, კაცს გაამხიარულებს, ამისი ჭამა, ერთი თეთრის მუხუდოს ოდენი უნდა ჩაყლაპო. ზედ უნწკათუ ცოტა ღვა-ნო დალიო.

9 (141) გაკეთება ამბრის სულისა.

მოიტანე კარგი ამბარი ნახევარ უნცი, 1 უნცი 7 მისხალი, ერთი დრაქმა კაი მუშკი, დრაქმა მისხლის $\frac{1}{8}$ ნაკლებია, და კარგად გალესე. მინაში ჩაყარე და ზედ 4 უნცი ვარდის ზეთი დაასხი და თავს მოაკარ. ასე რომ სული არ გამოვიდეს. თბილს ადგილს დადგი სამ დღეს და ღამეს. მერმე იქიდან სხვას მინაში ჩამოწურე და იქნების ამბრის სული.

ამისი ხასიათი ეს არის: კაცს თავის ტკივილს გარდაუგდებს, გაამხიარულებს, აგებულეებას ძალს მისცემს. ან 10 წვეთი, ან 12 ერთ ფიალას

ოტკაში ჩააწვეთე და დალევდე, გინა ყავაში,
გინა ჩაიში.

10 (142) თართარის ზეთი

აიღეთ თეთრი და კარგი თართარი, რამკონიც გინდა წმინდად
დანაყე, მასუკან გასცერ და ერთს შუშაში ჩაყარე, მერმე ძველი და
ძალიანი ღვინო ამღონი ჩაასხი 4 თითი თართარზედ ზედ იღგეს. მერ-
მე ოთხი დღე გაუშვი და მერმე ერთს ცოტად მალმრუდს მინაში გა-
მოხადე. მერმე პირი მოუგლისე და ცეცხლი ცოტად თანდათან მოუ-
მატე. უწინ წყ(ა)ლი გამოვია, მერმე ზეთი, რახან რომ ნახო ზეთი გა-
მოდირდეს, გამოსული წყალი გარდაასხი, მერმე ისევ ჭურჭელს შე-
უდგი, ისევ დაუცევ, თიხით შემოგლისე, სული არ გამოვიდეს, მასუ-
კან ცეცხლი მოუმატე სანამდინ ზეთი გამოდირდეს.

და ე ს ზ ე თ ი ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ა თ ვ ი ს თ უ ზ ა ფ რ ი ს ა -
თ ვ ი ს კ ა რ გ ი ა რ ი ს .

11 (143). თრემენთინის ზეთი.

აიღე რამდენიც გინდოდეს თრემენთინი, წმინდად და კარგი,
ისევ ერთს მინაში ჩაასხი, მერმე გამოხადე, უწინ წყალი გამოვია, მერ-
მე თანდათან ცეცხლი მოუმატე ზეთი გამოვია, სქელი და შავი.

ეს ზ ე თ ი ყ ო ვ ლ ი ს გ რ ი ლ ი ს კ ი რ ი ს ა თ ვ ი ს , ყ ო ვ -
ლ ი ს რ ი გ ი ს ს ა ხ ს რ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს , ს უ რ დ ო ს
ა შ ლ ი ს ა გ ა ნ და გ უ ლ ი ს ა და ფ ი ლ ტ ვ ი ს ა თ ვ ი ს
კ ა რ გ ი ა რ ი ს .

12 (144). ფილოსოფიური ზეთი.

ძველი ზეთისხალის ზეთი აიღე რამდენიც გინდოდეს. ერთს ბა-
დიაში ჩაასხი. მერმე ახალი აგურის ნატეხები ცეცხლში გაახურე,
ცეცხლსავით შეიქნას, მერმე ის გახურებული ზეთში ჩაყარე, მალე
პირს დააფარე, რომ ზეთი არ დაიწვას. რახან აგურების ნატეხი გა-
ცივდეს შიგ ზეთში, მერმე ზეთიდან ამოიღე და ორჯერ კიდევ ასე
გაახურე და ზეთში ჩაყარე და ბადიას პირს დააფარე, რომ ზეთს არ
მოეკიდოს. მერმე ის აგურის ნატეხები მსხვილად დანაყე. მერმე კი-
დედ ზეთში ჩაყარე. მერმე გამოსახდელს მინაში ჩაასხი და გამოხადე,
ცეცხლი ცოტა მიეც. თანდათან ცეცხლი მოუმატე, მანამდინ ზეთი
გამოვიდეს, მერმე ეს ზეთი ერთს შუშაში კარგა პირდაცობილი შეი-
ნახე, რომ არ გაქრეს.

ა მ ზ ე თ ი ს ხ ა ს ი ა თ ი ე ს ა რ ი ს : ყ ვ ე ლ ა რ ი გ ი გ რ ი -
ლ ი ს ქ ა რ ი ს ა თ ვ ი ს კ ა რ გ ი ა , ა დ ა მ ი ს ტ ო მ ი ს ტ ა ნ ი -
ს ა თ ვ ი ს უ კ ე თ ე ს ი ა რ ი ქ ნ ე ბ ა .

13 (145) გოგირდის ზეთი.

ერთი წილი დანაყილი გოგირდი, ნახევარწილი გაუნელებელი კირი. მესამე წილი ვერცხლის წყლის მარილი. სამივე ერთად გაურთე ესეები. მინაში გამოხადე.

ეს ზეთი მუწუკისათვის და დაკოდილისათვის უკეთესი არიქნება.

14 (147) ანთიმონის ზეთი.

დაუმწვარი ანთიმონი, ყინვარი შაქარი 4 წილი, დამწვარი შაბი 1 წილი. ყველა ერთად დანაყე, მინაში გამოხადე. მართებული ცეცხლი მიეცე. ამისი ზეთი წითელია.

მუცლის ტკივილისათვის კარგის.

15 (151). ტანის გასათეთრებელი წყალი.

აიღე ნახევარი მინა წვიმის წყალი, მერმე ასრიმის წყლით შეავსე და მერმე მოადღე, მანამდინ ნახევარი დაიშროს. მერმე ცივი ლიმონის წყლით შეავსე. რახან მოდულდეს, მერმე ცეცხლიდამ გარდმოიღე, რომ გაცივდეს, ორი კვერცხის ცილა გათქვიფე, შიგ გაურიე. დაკირებაში მოიხმარე.

16 (152). კეისრის ზეთი წვერისა და ტანის სული.

აიღე სამი მისხალი უბრალო ქარვა, რომ სუნი არ უდიოდეს, წმინდად დაკეპე, 8 ნაპერ კნდრუკი, რომ სომხურად ჰქვიან, ესეც წმინდად დაკეპე, მერმე ეს ორივე ერთს შუშაში ჩაყარე. ხუთი სტილი ვარდის წყლისა, კიდევ 2 ლიტრა ვარდის კუკურის ზეთი ამავე მინაში გაურიე და 8 მიხაკი მსხვილად დანაყული და ერთი მისხალი კარგი დარიჩინი გაურიე. რა რომ ესენი შუშაში ჩაჰყარო, მერმე კარგა სანთლით დაუცვე. მასუკან ერთი მჩვარი შემოახვივე, მერმე ჩონჩორიკს ქვეშ ჩადევ, რომ თბილად იყოს 8 დღეს. შიგ გაუშვი, მერმე ამოიღე და ერთს ქაშანურის ქვაბში ჩაასხი. მერმე ცოტათ თანდათან მოადღე, ორი საათი იდუღოს, მერმე გარდმოიღე და გააცივე. მერმე ერთის ვერცხლის კოვზით ან მინას ნატეხით ზეთი მოხადე და ერთს მინაში ჩაასხი და მასუკან მუშკი მიბეთი, რამთონიც გინდოდეს, გაურიე, მერმე თბილს მზეში დადგი რამდენიც ხანი გინდოდეს: მერმე პირი კარგად დაუცვე სანთლით და ქალაღლით, რომ არ გაქრეს.

ამ ზეთის ხასიათი (ი) ეს არის, რ (ო მ ე) ლ ი ს უ ლ ს * მის ცემსთუ ტანის ამოსს, თუ სახლს, თუ ქვეშაგებსთუ ქალს, თუ პირსთუ ხელს, თუ ტვინისათვის, თუ ჰკუისათვის, თუ ჟამისათვის, მერმე იმისი ნაძირალი ერთს ვაშლსავით გააკეთე და ის

* ტექსტშია „ცხელს“.

ვაშლი ხელში დაიჭირე, უკეთესი არ იქნება. ამისი სახელი: იმპ(ე) რატორის ზეთი ჰქვია. იმპერატორის საკადრისი არის.

17 (153) სურნელი წყალი.

12 ლიტრა დამასხის ვარდის კუკურის წყალი, რომ პატრების საყდარში არის, ყიზილბაშში არის, ლევანდის წყალი, მიხაყ-დარე-ჩინი თითო ღრამი. თხელ კანრუკი სომხური ჰქვია, რ(ომე)ლს საკმელში გაურევენ. ილი, მუშკი, ქარვა ნახევარ მისხალი. 1 ხმელი ნარინჯის ქერქი. სანდალი, რომ სული უდიოდეს, ორი ღრამი. ბენჯივინი მისხალი ერთი. მერმე ერთს შუშაში ჩაასხი და 15 დღე გაუშვი. პირს კარგად დაუცევ, მერმე ერთს მინაში გამოხადე არა თუ ცეცხლით. ერთი ქვაბი წყლით შეავსე. მერმე გამოსახდელი მინა შიგ ჩადევ. თან წყალი იღულოს და თან წყალი გამოვა და რახან კარგად გამოიხადოს, მერმე პირი კარგა დაუცევ და 15 დღეს კიდევ მზეში დადგი, გაშავდება. სურნელსავით შეინახვენ. კვერცხის ყვითელის ზეთი აიღე რამთონიც შენ გინდოდეს, მაგრამ მოხარშული, მერმე ერთს აქანდაზზედ ცეცხლზე ხანდახან აურიოს, თანდათან ცეცხლი მოუმატე, მანამდის გაშავდე და რახან გაშავდება ქაფს მოიგდებს, მერმე ზეთი გამოვა, მაგრამ მანამდინ ზეთი გამოვიდეს, მუდამ ურიე.

ამ ზეთის ხასიათი: ქარისათვის უკეთესი არ იქნება.

18 (157) თარქოს ზეთი.

ერთი ლიტრა წმინდა თარქო აიღე და წმინდად დასჭერ. მერმე ერთს ქვაბში, რომ სქელი და დაუმწვარი კირი იყოს ჩაყარე, ქვაბი შეივსოს. მერმე ზარფუში დაბურე, ისიც თიხისა იყოს. მერმე მავთულით კარგა შეჰყარ, მერმე თიხით პირი შემოუგლისე, რომ არ გასქდეს, მაგრამ თუ გინდა სულ მთლად ქვაბი თიხაში ჩაჰვალ, რომ არ გასქდეს. და რა გაშრეს მერმე ქურ(ა)ში შესდევ. პირზედ დასდევ, ალი ეცეს. მერმე გამოიღე, თარქო ამოიღე და მარმარილოს ქვაზედ დაფქვი. მალე უნდა, ჰავა არ ეცეს. მერმე ერთს ჩანთაში ჩაყარე კუნკულსავით, რომ იყოს. მერმე ერთს ქაშანურის ჭურჭელი ქვეშ შეუდევით ზეთი შიგ იწვეთოს, მაგრამ ჭურჭელი ჩანთაზე შეჰყარ და მერმე ორმოში ჩაჰკიდე, რომ ერთს ადლს წყალს ზეთი იყოს და კედელს ახლოს იყოს. მაგრამ კედელს არ ეცეს. 25 დღეს უკან ამოიღე. მერმე ნახე თუ ზეთი გამოდიოდეს, მაშინ ერთს ნამიანს ადგილს ჩამოჰკიდე, ერთს კუთხეში, რომ ჰავა არ ეცეს და არც ქარა, მანამდინ ზეთი გამოდიოდეს, გაუშვი, მერმე პარკში დარჩომილი აიღე, მინაში გამოხადე, უწინ ცოტა ცეცხლით, მერმე მოუმატე ზეთი გამოვიდეს

და უწინდელს ზეთს და ამ გამოხდილს ზეთს ერთად ნუ გაურევ, და ერთს მინაში კარგად პირდაცობილი შეინახე.

ეს ზეთი ტანისა და კბილებას გასათეთრებლად და რაკაცს დაღმეჭილი პირი ჰქონდეს, ამისათვის კარგია, ვაუკაცის პირსავით გაუხდის. და ამ ზეთსა განსამიწვეთი წვეთი წვეთით დალიოს ან ღვინით პირი და ამ კარგი სუნი ამოედინება და იშტაზე მოიყვანს, წამხდარს სტომაქს გაამთელებს და ვერცხლის წყალს დააყენებ.

19 (162) შაქრის ფერი.

აილე ერთი ფრანგული ლიტრა შაქარი, 2 ლიტრა არაყი, მასუკან 1 ვერცხლის თასში ჩაასხი და არაყს ცეცხლი მოუკიდე, მასუკან შაქარი შიგ ჩაყარე. თანდათან მოურიე, მანამდინ არაყი განელდებოდეს, თან შაქრი ჩაყარე, თან ურიე, მერმე 4 ონჩა, რომ 24 მასხალი არის, ვარდის წყალი გაურიე.

ფილტვის ქირისათვის კარგია რისი.

20 (163) სანთლის ზეთი.

აილე სანთელი რამდონიც გინდოდეს და დაადნევ სანამდის მოდულდეს, მერმე ცეცხლიდამ გადმოილე, მერმე 2 წილი მარილი ჩაყარე, მერმე მინაში გამოხადე, ზეთა გამოვა.

დაკოდისათვის და მოწვისათვის, მარგულიათვის, ქალის ძუძუსათვის და მერმე დამწვარისათვის. კვერცხის ზეთში უნდა გაურიო.

21 (165) ნარინჯის ყვავილის ზეთი.

აილე რამდენიც გინდა ნარინჯის ყვავილა, მერმე 1—2 თიხის ჭურჭელში, რომ ცეცხლი გასძლოს, ჩადევ. მერმე 1 ლიტრა ნუშის ზეთი და ცოტა შაბიცი და 3 ხორბლის წონა ქარვა. 6 ხორბლის მარცვლას წონა მუშკი, 6 წონა ქაფური, უწინ მუშკი ხელით კარგად დაშკულიტე, მერმე ქაფური, 1 მარცვლის ბაკლის ოდენს, შარში დაფშენი, მერმე ესენი ცოტა ვარდის წყლით აურიე, მერმე 20 ღლეს მზეში დადგი. მერმე გასწურე კარგად, მერმე ეს ზეთი ხელახალ მზეში დადევ. მერმე გაშავდება, თუ მანაში ჩაასხამ უკეთესი არის.

ამისთანა სურნელი ზეთი არიქნება. სახელმწიფო ზეთი არის.

22 (203) ამეთვისტოს ხასიათი.

ი(ი)სფერი თვალია ემეთვისტო ჰქვიან. ინდოეთიდან მოვა.

იმისი ხასიათი ეს არის. სიმთვრალეს განიდე.

ნებს, ბოროტს ფიქრს გაშორებს, კეთილს ჰკუთას მოუმატებს და ყოველას საქმის შემწვევლი იქნება. ვინც ამის წყალს დაღვეს, უშვილოს შვილიანს გახდის და ფრინველისა და ნადირის ჰერაშიაც სახმარია..

23 (209) მალამო წყლულისა.

ერთი წალი სელის ზეთი, ერთი წილი თეთრი სანთელი, ერთი წილი თხის კარგი კარაქი, ერთად წმინდას ქვაბში მოაღულე, გააცივე, შეინახე.

რასაც დაჭრილს თუ მუწუქთა განს, წყლულს, რომ დაადვა, კარგაც გასწმენდს და გაათელებს.

24 (210) კბილისა და ღრძილისა წამალი.

ძმარი ცხარი ღვინისა რაც გინდოდეს, საკმელი მისხალი 3, მკვარი მისხალი 5, ნოორი კბილი 2, ქოთანში ჩაყარე, პირი მოუგლისე, ცოტა ხანს ადულე, მესამედამდე დაიდულოს. გააციე.

პირში ჩაიყენე, იღარდარე კარგახანს. კბილებს გაგიმაგრებს, ღრძილს გასწმენდს, ნუზლს გამოიღებს. კბილს გაათეთრებს.

25 (211) შავად თმის საღეშავი.

გუნდა მისხალი თუ რა ერთიც გინდა წილი 5. სპილენძის ფერფლი კვერის ცემაში რომ გაცვივდება მისხალი 2 1/2, მიხაკი მეთედი. ჩაყარე როდინში, ცოტა შაბი მიეც, დანაყე და ასე ლესე ფქვილსავით შეიქნეს. რასაც ბევრს ლესავ, ის სჯობს, მერმე ინასავით დაალბევ.

მწვე გააშავეებს თეთრბალანს.

26 (213) კაის წყლის და ავის გამოცდისათვის.

თეზაბს, რომ ვერცხლი დაადნობს, იმ თეზაბისა 2 წვეთი. 1 ფიალასა თუ უფროს წყალში ჩააწვეთე. თუ ამღვრიოს, იცოდე ავი წყალია, თუ არ ამღვრიოს — კაი წყალაა. რ(ომე)ლსაც ნაკლებად ამღვრევს, ისი სჯობს იმას, რ(ომე)ლიც უფრო ამღვრევს.

27 (215) სათვალის უალიბის გაკეთება*

28 (216) ფერად-ფერადის ჰიქების გაკეთება

29 (252) პოლექტიკოს ბალსამის შემზადება, რ(ომელ) არს ფრანგული ლადანის მზგავსი სურნელება.

* ტექსტი თან ერთვის წერილს, აქვე, „ობტიკისა და მხედველობის კორექციის საკითხები ძველ ქართულ წყაროებში და ვახტანგ VI „ობტიკური პარაგრაფები“ იხ. გვ. 126.

ჯავზის ზეთი მისხალი 2, თეთრი წმინდა სანთელი $\frac{1}{8}$ ან მისხლის ნაკლები: ეს ცეცხლზედ გააღწევ. ქალაღის ნახშირი დანაყილი გაცრილი ჩაყარე და აურივე, ფერი რომ მისცეს და ცოტად გაამაგროს, მერმე ეს ქვემო წერილი ზეთები აურივე. პიტნის ზეთი 3 წვეთა ცერეცოს ზეთს წვეთი 3, ქარვის ზეთი წვეთი 3, ლევენდივის ზეთი წვეთი 5. როზმარინის ზეთი წვეთი 5. ვარდის ზეთი წვეთი 20, მიხაკის ზეთი წვეთი 15, დარიჩინის ზეთი წვეთი 30, მუშკი, კარგი წმინდად დანაყილი, მისხალი 4. ესენი კარგად აურიე და ზილე.

და ს უ რ ნ ე ლ ე ბ ა ი ქ ნ ე ბ ა , ყ უ ა თ ი ა ნ ი და კ ა რ გ ი ს უ რ ნ ე ლ ი . ა ვ ა ტ ყ ო ფ ა შ ი რ ო მ შ ე ვ ი დ ე ს , წ ა ი ს ვ ა ს , ა რ შ ე ე ყ რ ე ბ ა : მ უ ც ე ლ ი ს ი გ რ ი ლ ი თ ს ტ კ ი ო დ ე ს , კ ი პ ზ ე დ * მ ო ი ს ვ ა ს , ა რ გ ე ბ ს .

30 (257) ალექსირი პრაპლიეტატი.

საბრი მისხალი 12, ლუმერა მისხალი 12, ზაფრანა მისხალი 12, და ოტკის ოტკა 1 $\frac{1}{2}$ გირვანქა, გოგირდის სული მისხალი 3.

კიდევე სხვა ალექსირის ოტკა.

ზაფრანა, ყვითელი საბრა, ლუმერა, ამათი თვითო გირანქა, ამაზე პურისა თუ ღვინის ოტკის ოტკა თავისი წონა დაასხით, რომ იქნება 3 გირანქა. თუ გინდა ერთ დღე-ღამეს იყოს, ცოტა მეტ ხანს, თუ ნაკლებს, მერმე ოტკა გარდასწურე. ის ოტკა ალექსირი იქნება. და რაც წამალი დარჩეს, კიდევე ოტკა დაასხი, კიდევე გარდასწურე, მანამდის სიმწარე ჰქონდეს.

31 (264) დარიჩინის ოტკა.

1 ვედრა ღვინის თუ პურის არაყი აყოს, დარიჩინი 2 გირანქა, მსხვილად დანაყე და ერთს მინაში ჩაყარე და ის 1 ვედრა არაყი ზედ დაასხი, მაგრად თავს მოჰკარ და თბილად დადგი ერთს კვირას. მერმე ქვაბში ჩაასხა, ნელად ცეცხლი მიეც და გამოხადე. პ(ირვე)ლად მოწითალო გამოვა და ბოლოსა და ბოლოს თეთრი. და უფრო გემო სუნინანი წამოვა, ტკბილი, მანამდინ აღინე, სანამდინ ან გემო და ან სიტკბო ჰქონდეს, როდესაც ესები აღარ ექნება გარდმოიღე ის ქვაბი და მის მეტს ნულარ ადენ. მერმე ის გამოხდილი ოტკა, ერთს რაშიმე ჰურჰელში ჩაასხი, ერთმანეთში აურიე, მერმე ვარდის წყალა რაერთიც გინდოდეს იმდენს შაქარში ჩაასხი და ახალს მოკალულს ტაფაში წამოადულე და ქაფი მოხადე. ისაც იმ ოტკაში ჩაურივე და მაგრად თავს დაუცევ, რომ სუნი არ ამოქრეს და დააცადე რომ დაწმდეს და თუ გინდა ის ჩაასხი მინებში და თუ გინდ ქალაღში გასწურე.

* ტექსტში: „ კიაზედ“.

ამ დარიჩინის ოტკის ხასიათი ეს არის: კაც (ს) რომ სტომაქი დაუძლურებული და გაგრილებული ჰქონდეს და საჭმელს ვერ იდნობდეს, კაცის სტომაქს გაახურებებს, ძალს მისცემს, საჭმელს მოადნობს და აგებულეებას მხიარულად დაუქერს.

32 (265) აბრის ოტკა, რ(ომე)ლსაც ჰქვიან ალე ვიტერმუს.

2 ვედრა ღვინის არაყი, $\frac{1}{2}$ ვედრა ვარდის წყალი, 3 გირანქა დარიჩინი, 2 გირანქა ლიმონის ქერქი, 4 გირანქა ვარდის ფურცელი ესეები ყველა ქვაბში ჩაასხი და 4 დღეს დაალბევ. მერმე გამოხადე ნელის ცეცხლით და მანამდინ აღინე და ბევრს შამანს ნუ შეატან და როდისაც ეს სულ გამოვიდეს, ერთს დიდს ჭურჭელს რაშიმე ჩაასხი და 2 მისხალი დარიჩინის ზეთი, 4 მისხალი თურანჯის ზეთი; 2 მისხალი ამბარი, ნახევარ მისხალი მუშკი, 6 მისხალი ამბრის სული, ესენი ყველა უყავ, მაგრამ ეს მასალები ასე უნდა უყო, რომ დარიჩინის ზეთი და თურანჯის ზეთი ჯერ მშრალს შექარზედ დაასხი და მერმე ავანში ამოზილე კარგად. მერმე იმ ოტკაში ჩაყარე და ამბრის სულიც შიგ ჩაასხი და ამბრის სული და მუშკი შექრით ავანში დანაყე და 6 გირანქა შექარი, 1 ჩეთვერთი ვარდის წყალი, ერთად მოადუღე, ქაფი მოხადე და ერთი მისხალი და ნახევარი ზაფრანა და $\frac{1}{2}$ მისხალი ჭიისფერი, დანაყილი ამ შექარში ჩაყარე და ის დანაყილი ამბარი და მუშკი ჩაურივე, ცოტა კიდევ წამოადუღე და იმ ოტკაში ჩაასხი, დაწმენდა დააცალე და მერმე გასწურე ქალაღში.

ამ ოტკის ხასიათი ეს არის, რომ ავის ქირის აგან, ბნე დის აგან, წვეთის და ცემის აგან და აცავს. თვით [ო] ფიალას უზმოთ უნდა დალევი.

33 (266) ძალის მომცემი ოტკა. რ(ომე)ლსაც ფრანგულად ჰქვიან კარდიალის ტენპერატო.

დარიჩინი, მიხაკი, ლიმონის ქერქი, კამის თესლი, ილი, კასია, ესენი თვითო თვითო ნახევარ-ნახევარ გირანქა უნდა, ჯავზი და ჯავზის ფოთოლი თვითო გირანქა, ეგირა $\frac{1}{4}$ გირანქისა. ანისი და ქინძის თესლი ნახევარ-ნახევარი გირანქა, ესენი ყველა დანაყე. ორი ვედრა ღვინის არაყი იყოს, თუ პურისა, ზედ დაასხი. თავს მაგრად მოჰკარ და ორს კვირას შიგ ალბევ თბილს სახლში, მერმე გამოხადე, ოღონ შამანს ბევრს ნუ უზამ, რომ არ გათხელდეს. 3 მისხალი ამბრის სული, 2 მისხალი ამბარი უყავ და 2 მისხალი ჭიისფერი დანაყე და ისიც უყავ და 1 ჩეთვერთს ვარდის წყალში 6 გირანქა შექარი ჩაყარე, მოადუღე, ქაფი მოხადე და იმ ოტკაში ჩაურივე და 6 ფურცელი

კარგი ოქროს ვარაყი ჩაყარე და კარგად ამოურვივე, რომ კარგად შიგ გეერიოს და დააცადე, რომ ძირს დაწმდეს და ზეით დაწმენდალი თავი მოართვი და ქალაღში გაწურე და ნაძირ(ა)ლი ჯერ ხელსახოცში გაწურე და მერმე ისიც ქალაღში გასწურე და ისე შეინახე.

ამ ოტკის ხასიათი ეს არის:

თუ კაცს გულს შემოეყაროს, ცოტა ოდენი ჩაანთქმევინე და ცხვირი და თითები დაუზილე ამ ოტკით, მალე მობრუნდება. ყ(ოვ)ლის სენის მარგებელია და ნამეტნავად თავის ტკივილსათვის, რომ, უკანაკეფას ტკიოდეს, იმას არგებს, გულის ტკივილსა და თუ კაცს ქკუისაგან შეიშალა, ან თავს ბრუესხმის, ან დასუსტდეს და უღონოდ გახდეს, ამაებს ყველას არგებს და ძალს მისცემს. ამიტომ ჰქვიაან ძალის მიმცემი ოტკა. დილდილაზე დუზმოთ $\frac{1}{2}$ ჩარექა* უნდა დალიოს და ცხვირის ნესტოს და თითებსაც დაიზელდეს ხოლმე ყოველთვის.

34 (267) დანამასტაკის ოტკა, ფრანგნი მოსტიხას ეძახიან.

2 გირანქა ჯავზი, 1 გირანქა ჯავზის ფოთოლი, 1 გირანქა მიხაკი, 1 გირანქა დარიჩინი, ილი, 1 გირანქა ბუნდრუყი, 3 გირანქა დანამასტაკი, 1 გირანქა ანისი, 1 გირანქა კამის თესლი, $\frac{1}{2}$ გირანქა ბადიანა. ესენი ყველა დანაყე და ერთად აურიე და 2 ვედრა ღვინისა თუ პურის არაყი ზედა დაასხი და თავი მაგრად მოჰკარი, რომ სუნი არ ამოჰქრეს და 12 დღეს თბილად სახლში დასდგი და იმ დღეებში 4 ჯერ ამოურევედე, რომ იმ წამლებმან გემო გამოიცეს, მასუკან ქვაბში ჩაასხი, გამოხადე და როდესაც ის ოტკა გამოიხადოს, მერე 2 მისხალი თხელი ჯავზის ზეთი, 2 მისხალი სქელი მიხაკის ზეთი, 2 მისხალი დარიჩინის ზეთი, ესენი შაქრით აზილე ავანში და იმ ოტკაში უყავ, მერმე $\frac{1}{4}$ გირანქისა რევანდი დანაყე და 1 ჩეთვერთს ვარდის წყალში ჩაყარე და 8 გირანქა შაქარი შიგ უყავ, აღულე, რომ ქაფი არ შერჩეს. მერმე 1 მისხალი მუშკი და 2 მისხალი ამბარი შაქრით დანაყილი შიგ ჩაყარე, ცოტა კიდევ წამოადუდე ის შაქრიანი ვარდის წყალი და ისიც იმ ოტკაში ჩაურიე და დაწმენდა დააცალე და ქალაღში გასწურე.

ამ ოტკის ხასიათი ეს არის: კაცს სიგრილისაგან რამესტომაქი და სისხლი და აგებულე ბაგაუგრაღდეს და სხვისა და სხვის სენისაგან სტო-

* ტექსტშია „ჩარკა“.

მაქიტკივილს დაუწყებს, ან ფილენჯის ქარი დაემართება და ან რწყევა და სლოკინი აუვარდეს, ამ აებს ყველას არგებს. სისხლს და აგებულეებს გაუხურებს, სტომაქს ძალს მისცემს და საკმელს მოადნობს. და იშტას მისცემს, ქალთან წოლის კაცობას მოუმატებს. ეს ასე უნდა: თვითოს ფილას უზმოს და ლევდეს 1 საათს ქამამდის უწინ დალიოს.

35 (279) პირველად რაც ქაჩალს თავზედ ბალანი ან თმა ესხას, სულ კარგად წმინდად დაგლიჯე, რომ აღარა დარჩეს რა. მერმე მოიტანე ხმელი შინდის კერკი და კარგად წმინდად დაფქვი. მერმე ფქვილსა და ქმარში ამოუკიდე ცომსავით და ზედ ქაჩალზე წასცხე. 24 ეამს ზედ ჰქონდეს. მერმე ის აიღე და მეორე წასცხე. მერმე მესამედაც. ეშველება და მოარჩენს.

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

აბრი — აბრის „ოტკა რომელსაც ჰქვიან ალე ვიტერმუს“.

ამბარი, ამბრი — სურნელოვანი ნივთიერება, ვეშაპის (კაშალოტის) ნაწლავებისაგან გამონაყოფი.

აღექსირი — ელექსირი, ელიქსირი, სიცოცხლის ელიქსირი.

ამბრის ხული — ამბრისაგან შემზადებული ნელსურნელება.

ამბუხი — კოლბა.

ამეთვისტო — ძვირფასი ქვა, „თული პატროსანი მოისფრო“ (ნ. ჩ.)^o.

ანთიმონი — სურმა „შოშავო ლითონის ქტა გოგირდიანი“.

ანისი — ანისული, ცერეცო „რომლისა თესლი არს სუნნელი და სამკურნალო“.

(ნ. ჩ.) *Anisum Vulgare gaert.*

ანისული — იხ. ანისი.

აქანდაზი — ფითხი, ცეცხლის ასაღები პატარა ნიჩაბი.

აჰავანი — ავანი, სანაყელი, როდინი.

ბადიანა — ბალახი სამკურნალო. *Jllicium anisoitum.*

ბაკლი — ბაკლა, ბალახია, ხანდური, ცერცი (ნ. ჩ.).

ბაული — შალალი, წათხი, თხრიმლი, ჩირქი წყლულისა (ნ. ჩ.).

ბნედა — გულყრა, ავიზნე.

გირანქა — გირვანქა, 400 გრამი.

გოგირდი — წუნწუბა, ჩეკა, сера (ნ. ჩ.).

გუნდა — კრკოს მსგავსი ხილი, რომლისაზე ხისა, ხმარებული მელნის გამოსახდელად და სხვად საღებავად. Чернильные орешки.

დამახხის ვარდი — დამასკური ვარდი *Rosa damascena Mill.*

^o ნ. ჩ. — ნიკო ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი 1961 წ.

- დანამასტაკი — თეთრი საკმელი, *Pistacia lentiscus* L.
 დარიჩინი — კინამო, *Cinnamomum reylanicum* Breyn.
 დრაქმა — წონის ერთეული - დრაქმა მისხლის $\frac{1}{8}$ ნაკლებია.
 ეგირი — ბალახია, კოთხუჯი *Acorus calamus* L.
 ვერცხლის წყალი — „ვერცხლის წყალი ნახევარმეტალი, მძიმე და ნოტიო, ртуть“ (6. ჩ.).
 ვერცხლის წულის მარილი — კოლომელი (Hg_2Cl_2) და სულემა ($HgCl_2$).
 ზარფუში — თავსახურავი („მერმე ზარფუში დახურე ისიც თიხისა იყოს“).
 ზაფრანა — კროკო *Crocus Sativus* L.
 ზეთის ხილი — *Olea luropaea* L.
 თართარი — უნდა იყოს — tartaricum (მაგ. *Kalium tartaricum*, *Calcium tartaricum* და სხვ.).
 თერმენთინი — ბელეკონი, *Pistacia terebinthus* L.
 თეზაბი, თეზაფი — თეზაფის წყალი *Aqua tortis*, თეზაფის ქტა — შნარ (6. ჩ.).
 თურინჯი — *Cifrus grandis* osb.
 ილი—კაკულა — *Elettaria Cardamomum Malon etwhite*.
 ისრიმი — ნოიკი, უმწიფარი ყურძენი.
 კამა — ცერეცო, *Anethum graveolens* I.
 კასია — „ხე სუნნელი დარიჩინის გუარი“.
 კარდიალის ტენერატო — უნდა იყოს: გულის (*Cardialis*) მარეგულირებელი, მა-
 ზომიერებელი (*temperantia, tempero* — ზომიერება. ზომიერების დაცვა)
 საშუალება.
 კუკური — კოკორი, ვარდის კოკორი.
 ლადანა — ლადანა, თეთრი საკმელი სუნნელი.
 ლევანდი ლევანდივი — უნდა იყოს ელევანდი, აბზინდი *Artemisia absinthium*.
 მარმარილოს აჰვანი — მარმარილოს როდინი, სანაყელი სპეციალური, წამლების
 დასამზადებელი.
 მიხაკი — *Dianthus*.
 მკვარი — ფიქვის სანათი (6. ჩ.) უნდა იგულისხმებოდეს „მკუართავან ნაწყეთი
 სუნნელი“ კევი.
 მოსტიხა — დანამასტაკის ოტკას „ფრანგი მოსტიხას ეძახიან“ იხ. დანამასტაკი.
 მუშკი — აფრიკული ცხოველის მუშკის სათესლე ჭირკვლებიდან მიღებული სურ-
 ნელოენი სითხე *Moschus* — მუსკუსი.
 წარინჯი — *Cifrus aurantium* L.
 წიორი — *Allium sativum* L.
 ნუზლი — ნუზლი, ნაზლა, ნახველი, ხრასტი (6. ჩ.).
 ნუში — *Amygdalus*.
 ონჩა — წონის ერთეული „24 მისხალი არის“,
 პატრი — კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახური.
 პიტნა — *Mentha*.
 რევანდი — *Rheum*.
 როზმარიინი — *Rosmarinus officinalis* L.
 ხაკმელი — ოკლაკუნცხა, თიენიყურა, *Cifrus*.
 ხაბრი — ალოე.
 ხანდალი — „სუნნელი ხე ინდოური“ (6. ჩ.) *Santalum*.

სინგური — „ვერცხლის წყალი და გოგირდი ცეცხლით შეზავებული და გაწითლებული, იხმარება სამხატვრო წამლად“ (ნ. ჩ.) კინოვარი.

ს ტ ი ლ ი — წონის ერთეული, თუხტის წონა ანუ 33 მისხალი (ნ. ჩ.) „კუალად თუხტი არს 1 სტილი“ (ი კ ვ ე).

სტომაქი — კ უ კ ი.

უ ნ ც ი — წონის ერთეული „8 დრამის წონა“ (ნ. ჩ.).

ქალა შაქარი — დაბალი შაქარი „კუტლელი — თეთრი ქალა შაქარი“ (ნ. ჩ.) შაქრის წმინდა ფხვნილის ერთ-ერთი სახე.

ქ ა ნ ი — მიწის ფენა, საბადო „ადგილი, სადაც იპოვებიან მეტალნი და სხვანი მიწასა და კლდეთა შინა მოსათხ(რ)ელნი ნივთნი, ვითარ მარილი, შაბი, გვარ-ჯილა და მისთანანი“ (ნ. ჩ.).

ქ ა რ ვ ა — „ნივთი ყვითელი და გამჟირვალე, პოვებული ბალტიის ზღუსა და ჩრდილოეთის უკიანის კიდეთა ზეთა... яштарь (ნ. ჩ.)

ქაფური — Camphora.

ქაშანური — „თიხის კურკელი, გაელვარებული, დამდნარის ტყვიისაგან შემზადებული წასასმელის წამლით“ (ნ. ჩ.) მოჭიქული თიხის კურკელი.

ქ ი ნ ძ ი — *Coriandrum salivum* L.

ყელმრუდი მინა — ყელმრუდი მინის კოლბა.

ყელგრძელი მინა — ყელგრძელი მინის კოლბა.

ყიწილბაში — „თავწითელი“ ერთ-ერთი თურქმანული ტომის სახელწოდება ერანში, სეფიანთა დინასტიის დროს.

ყ უ ა თ ი — ნოყიერება, სინოყიერე.

შ ა ბ ი — „მარილის გუარი თეთრი ქუა, გემოთი მწლატე, ცეცხლში აღუღდება და არ დაიწეის არამედ გამჟისდება, квасцы (ნ. ჩ.)

შამანა — შამანი, ჭაპის ნაწური.

შ ა რ ი — „კეთილი (კარგი — მ. შ.) ნარმა“ (საბა)

შაქარი ყინვარი — შაქარყინული.

შკრუბულა — „რომელ არს 1 შკრუბულა: 1 მისხალი და მისხლის 1/8“. წონის ერთეული.

ჩარქა-ჩარქი — წონის ერთეული. ლიტრის მეოთხედი.

ჩეთვერთი — მეოთხედი.

ჩონჩორიკი — „განავალი ცხენთა, ვირთა, ჯორთა და მისთანათა“ (ნ. ჩ.).

ცერეცო — კ ა მ ა (იხ.)

წვეთის დაცემა — ტინში სისხლჩაქცევა, აპლოექსია.

ჭიისფერი — ქიაფერა, *Phytolacca americana* L.

ჭ ა ვ ზ ი — *Myristica moschata* thnb

ჯოვდანა — „ქაფური ხის ფისია... წამალში, რომ ხმარობენ ის არის, ჯოვდანას ეძახიან“

ოპტიკისა და მხედველობის კორექციის საკითხები ძველ ქართულ წყაროებში და ვახტანგ VI-ს „ოპტიკური პარაბრაფები“

ოფთალმოლოგიისა და მხედველობის ფიზიოლოგიის მეტად რთული საკითხები უაღრესად საინტერესოდ და იმ დროისათვის მეცნიერების საერთო განვითარების დონეზეა განხილული განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ქართულ წყაროებში. ეს საკითხები საკმაოდ ვრცელადაა გაშუქებული და მოცემული ჩვენს მონოგრაფიულ შრომაში „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“, სადაც ძირითად და ცალკე თავადაა გამოყოფილი „ოფთალმოლოგია ძველ საქართველოში“.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანისა (XI — XVIII საუკ.) და გარდამავალი პერიოდის (1801 — 1860 წწ.) ქართულ მედიცინაში, რომელმაც ჩვენს ზემოხსენებულ შრომაში ვერ ვპოვა ასახვა, ოფთალმოლოგიის საკითხები და კერძოდ ფიზიკური და ფიზიოლოგიური ოპტიკის საკითხები საკმაო სიზუსტითაა ასახული.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის ქართული სამედიცინო აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენლების იოანე და დავით ბაგრატიონების შრომები. იოანე ბაგრატიონს თავის ცნობილ „კალმასობაში“** ცალკე თავები აქვს მიძღვნილი ამ საკითხებისადმი. ცალკე თავი ეძღვნება „მიკროსკოპს“, სადაც იოანე იძლევა მის საკმაოდ ვრცელ აღწერილობას, პრინციპებს, ნაირსახეობებს მოწყობილობათა თავისებურებებისა და გადიდების უნარის მიხედვით და სხვ. აქვე, მიკროსკოპის გამოყენებასთან დაკავშირებით, იოანე ამჟღავნებს რეფრაქციის ანომალიების ცოდნას: „ყოველი კაცთა კვრეტა არა არს ერთგჳარ, ვინაჲდგან რომელ-

* მიხ. შენგელია. ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში, 1956 წ., თბილისი, „საქმედგამი“.

** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის № 2170 ხელნაწერი.

ნიმე არიან შორს მხედველნი და რომელნიმე არიან ახლო მხედველნი და რომელნიმე არიან ბეცნი და ესე არს შეწყობილებისა გამო ორღანოჲსა მათსა“.

იოანე თვალის რეფრაქციის მდგომარეობისდა მიხედვით იძლევა მიკროსკოპის დაყენების წესს. იგი განასხვავებს მიკროსკოპებს, რომლებიც საგანს აღიღებს: ხუთასჯერ, ათასჯერ და ორიათასჯერ. ნამდვილი მეცნიერული სიღრმითაა ცალკე თავად განხილული და განმარტებული ოპტიკის ზოგადი საკითხები სათაურით „ოპტიკისათვის“. იოანეს განმარტებით, ოპტიკა არის მეცნიერება („ჰსწავლა). რომელიც შეისწავლის თუ როგორ „შემძღვებელ არს“ თვალი, რომ დაინახოს საგანი, და განმარტავს იმ ცვლილებებს, რომელსაც განიცდის სხივი (გარდატეხის სახით) სხეულიდან არეკვლის შემდეგ ჰაერსა და თვით თვალში, ვიდრე ის (სხეული) აღიქვებოდეს ჩვენს მიერ ჩვენს შემეცნებაში. ავტორი დაასკვნის, რომ ოპტიკა ნიშნავს „ქელოგენებასა სახედველთათვის“. ოპტიკას იგი 3 ნაწილად ჰყოფს: კატოპტრიკად, დიოპტრიკად და პერესპექტივად: კატოპტრიკა იოანეს განმარტებით სწავლობს სხეულის, ნივთის, განათებისა და მათგან სხივების უკუქცევის საკითხებს, დიოპტრიკა — კი ამ სხივების „სხვათა და სხვათა სიზრქეებში“ გარდატეხის საკითხებს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ სხვადასხვა „სიზრქეებში“ იგულისხმება სარკეები: ბრტყელი, სწორი, შეზნეჟილი, გამოზნეჟილი, ცილინდრული, კონუსისებური. პერესპექტივა კი სწავლობს გვერდითი (პერიფერიულ) მხედველობის საკითხებს — მხედველობის ველს, სივრცით მხედველობას. მხედველობის აქტისათვის აუცილებელი პირობაა შუქგამტარი არეების გამჭირვალობა („სიწმინდე“), მხედველობის ნერვის თავის ტვინთან კავშირი და სხვ.“.

კიდევ უფრო ვრცლად ეხება ამ საკითხებს იოანეს უფროსი ძმა, საქართველოს ტახტის მემკვიდრე, შემდეგში ცნობილი მეცნიერი და მოაზროვნე დავით ბაგრატიონი, თავის ერთ-ერთ ხელნაწერში** რომლის ასლი ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებაში ინახება.

ხელნაწერი „შემოკლებული ფისიკის“ სახელწოდებით ოპტიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური პარაგრაფების გარეშე, 1954 წელს გამოსცა „ტექნიკა და შრომა“ ვ. პარკაძის გამოკვლევებითა და ინტერპრეტაციებით.

* ი. ბაგრატიონის „კალმასობიდან“ ფრაგმენტები ოპტიკის საკითხებზე იხილეთ აქვე გვ. 200 — 207.

** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის H — ფონდის № 2368 ხელნაწერები.

ხელნაწერის სამედიცინო-ბიოლოგიური ხასიათის პარაგრაფებს პირველად ვაქვეყნებთ აქვე (იხ. დავით ბაგრატიონი და გარდამავალი ხანის ქართული მედიცინა“ გვ. ?..) დ. ბაგრატიონი საკმაოდ ვრცლად ეხება ოპტიკის საკითხებს. ოპტიკური ხასიათის პარაგრაფებს ამ წერილში ჩვენ შემდეგ ინტერპრეტაციებს ვუკეთებთ:

„ავტორი ამ ხელნაწერში დიდი გონებამახვილობით იხილავს ოპტიკის მეტად რთულ საკითხებს: „სწავლა ხედვისა იწოდების ოპტიკად“,—ამბობს იგი. მისი აზრით, ყოველს ხილულს საგანს აქვს უამრავი წერტილები და ამ წერტილებიდან უკუფენილი სხივები (რომელნიც სინათლის წყაროდან გამოდიან, ქმნიან მხედველობისათვის პირობებს. რამდენადაც შორს დგას თვალისაგან საგანი, იმდენად პატარად ჩანს ანდა იმდენად გაურკვეველად აისახება ის ჩვენს თვალში, მაგრამ შორს მყოფი მნათი საგანი პირიქით უფრო დიდი სჩანს ვიდრე ახლო მყოფი, რადგან შორს მყოფი საგანი „განანათლებს“ რა გარეშემო ჰაერს „განანათლება ჰაერისა აღგვიჩნდების სამთლისა შარავანდედისა სილიდედ“. თუ შორს მყოფ სხეულს გავხედავთ პატარა ხვრელიდან, მაშინ ეს სხეული პატარად გამოჩნდება, რადგან განფენილობა ჰაერში სინათლისა „ვერღარა შევალს თვალსა ჩვენსა“, XI საუკუნის არაბი მეცნიერის ალგაზენის მიხედვით, ჩვენი თვლებიდან კონუსისებურად გამოსული სხივები ეცემიან სხეულებს და მხოლოდ აქედან უკან დაბრუნების შემდეგ იწვევენ მხედველობით აღქმას, სხვათა შორის, ასეთივე შეხედულებას იზიარებდა ნაწილობრივ დიდი მეცნიერი რენე დეკარტიც, საგანთა ხილვის მრავალრიცხოვან თეორიებს შორის დავით ბაგრატიონი სავსებით სწორ თეორიას იძლევა თავის „შრომაში“ (§ 81). ავტორი აღნიშნავს ბრტყელის, სწორის, შეზნეჭილის, გამოზნეჭილის, ცილინდრულისა და კონუსისებური მინების არსებობასა და მათში სხივების გარდატეხის თავისებურებებს, მიუთითებს, რომ ამ ლინზების თვალისადმი „შეგუების“ („შედგომის“) საკითხებს სწავლობს დეოპტრიკა (პარაგრაფი 82), აღნიშნავს აგრეთვე ჭოვრისა და მიკროსკოპის არსს.

სხივების თვისებაა სწორხაზობრივი გავრცელება, მაგრამ როცა ის შევა „წყალსა ან ჭიქსა“, მაშინ მისი სწორმავლობა „განიხრების“. სხივი შესული „გამოდრეცილსა“ ლინზაში, გადატყდება და „შეკრბების ერთსა მცირესა ადგილსა“, რომელსაც ეწოდება ფოკუსი, სხივები გასული „შედრეცილსა“ ლინზაში, განეფინების (პარაგრაფი 83).

* ვ. პარკაძე, დავ. ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული ფისიკა“, 1954, გვ. 121.

მხედველობის საკითხების განხილვისას დავითი აშკარად ამქ-
ლავნებს თავის მსოფლმხედველობას. იგი ემიჯნება, არ იზიარებს
„ხედვის“ საკითხების „მეტაფიზიკასა შინა“ განხილვას. ხედვის
ფუნქცია, დავითის აზრით, მიეწერება „ორღანოს ხედვისასა და არა
სულსა“ (პარაგრაფი 88). მხედველობის არსის ასეთი მატერიალის-
ტური განსაზღვრა მას, როგორც ვხედავთ, მოცემული აქვს მოკლედ,
ცალკე პარაგრაფში, სადაც სიტყვები, რომლებიც გამოხატავს მის
მატერიალისტურ მოსაზრებებს — ავტორს ხაზგასმული აქვს, რაც
იმას მიუთითებს, რომ იგი მეტად პრინციპული მატერიალისტი იყო
და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მატერიალისტურისა და იდეალის-
ტურის, დიალექტიკურისა და მეტაფიზიკურის გამიჯვნას ურთიერ-
თისაგან.

მომდევნო (89) პარაგრაფში ავტორი აღწერს მხედველობის
ორღანოს — თვალის ანატომიასა და მისი ცალკეული ორგანოების
მოკლე ფუნქციას, ასახელებს ქუთუთოებს, წამწამებს. თვალის მა-
მოდრავებელ 6 კუნთს, რომელთაგან „ოთხი მათგანი არს სწორე. ხო-
ლო ორი აღმაცერ“. ამ კუნთების ფუნქციები ავტორს სწორადაა აქვს
განმარტებული, მხოლოდ „აღმაცერად წოდებულ“ კუნთებს „საამო
ხედვისა“ და „მრისხანე ხედვის“ ფუნქციას ანიჭებს.

საკმაო სიზუსტითაა აღწერილი აგრეთვე თვით თვალის კაკლის
აღნაგობა (პარაგრაფი 90).

„გუგა* თვალსა შედგმულ არს სხვათა და სხვათა სინოტიეთგან
და გარსთაგან“. გარსებს შორის ასახელებს: ზემო გარსს, რომელსაც
„ღრაპისა და ნახტენის“ თვისება აქვს (სკლერა); რქოვანას იგი
თვლის ამ გარსის „გამობერილ“ „გამპირვალე“ ნაწილად; „შიგნითი
გარსი“, ანატომიაში ყურძნის გარსად იწოდებაო, (სისხლძარღვოვანი
გარსი) რომელსაც აქვს ზერელი, ბაიად (გუგა) წოდებული. გარშემო
ამ ზერელისა არის „ფეროვანი“. ანატომიაში ირისედ სახელდებული
გარსი (ფერადი გარსი), ამის უკან „მოთეთრო სიმრგვალე ლიგამენ-
ტად წოდებული“ (კოპარი), როგორც ჩანს, აქ სხივისებურ სხეულ-
ზეა ლაპარაკი. დანარჩენი ნაწილი „ხორიდად“ არისო წოდებული.

გამპვირვალე გარსთა შორის მოთავსებულია წმინდა წყლის
მსგავსი ბროლი. მესამე, ანუ „შინაგნითი“ გარსი „იწოდების ბადედ“,
ლათინურად რეტინად“ (ბადურა გარსი). ეს ნაწილები შედგება
„ნერეთაგან, ანუ საგრძნობელთა ძარღვთაგან“.

* დავ. ბეგრატიონი გუგას არასწორად თვალის კაკლის აღმნიშვნელად
ხმარობს და გუგას კი — ბაიას უწოდებს.

თვალი განიყოფების ორ ღრუდ, ნაწილად (კომარი, კელენი) წინა და უკანა. რომელნიც ავსებულნი არიან „წმინდითა ნოტიობითა.“ წინა ნაწილში ბროლს გულისხმობს თვისი წინა და უკანა კაფსულითა და შიგთავსით (ბროლის მასით) და უკანა ნაწილი კი ამოვსებულა „მინისა მსგავსისა სინოტიითა“ (მინისებრი სხეული), თვალში სხივების შესვლისა და გარდატეხის შემდეგ ხდება საგნის აღქმა („გამოიხატების“) „თვალისა ძირსა რეტინასა ზედა“.

მაშასადამე, დავით ბაგრატიონი საკმაო სიზუსტით აღწერს თვალის ანატომიას და, რაც გასაკვირია, ტერმინოლოგია, რომელსაც დავითი ხმარობს (ბროლი, ბაია, ფეროვანი გარსი, ბადე გარსი, მინის მსგავსი სინოტივე და სხვ.) და რომელიც პირველად მის მიერ არის ნახმარი*. ესიტყვება დღეს მიღებულსა და დადგენილ ტერმინოლოგიას (ბროლი, ბაია, ფერადი გარსი, ბადისებური გარსი, მინისებრი სხეული), მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტერმინოლოგიის დამდგენელთ, არა გვგონია, ხელთ ჰქონოდეთ დავითის ხელნაწერი.

თანამედროვე ტერმინებისა და დავითის მიერ მიღებული ტერმინების ასეთი დამოუკიდებელი თანშეხვედრა მისი მაღალი კულტურისა და გემოვნების მაჩვენებელია.

91-ე პარაგრაფში თვალი განხილულია როგორც ორმხრივი ამოზნექილი მინა (დამანი), როგორც ოპტიკური იარაღი. ავტორი სრული სიზუსტით ხსნის საგნიდან არეკლილი სხივის გავლასა და გარდატეხას თვალის ოპტიკურ სისტემაში: თუ არა „გვქონდეს თვალთა წინა რაოდენნიმე სინოტიენი გარდამტეხელნი შარავანდისანი“, მაშინ თვალის ფსკერამდე სხივები მივლენ გაფანტულად და საგანსაც ვეღარ დავინახავთ. თვალის „გარდამტეხელნი სინოტიენი“ კი იწვევენ სხივების გარდატეხასა და შეკრებას „ერთსა პუნქტსა“ (ყვითელ ხალზე — მ. შ.). ავტორისათვის ცნობილია, რომ საგნიდან წამოსული სხივები „იყირაზედ“ აისახება ბადურაზე „ზემო ქვედალმა და ქვემო შეღმა მარჯვენა — მარცხნივ და მარცხენა — მარჯვნივ“ (ხელნაწერში მოცემულია ნახაზი „ფიგურა № 12“ სხივების გარდატეხის სქემატური ამსახველი). თვითეთლი თვალი ცალ-ცალკე აღიქვამს საგანს, მაგრამ ცნობიერებაში ერთი საგანი „დაეტვიფრების“ და არა ორი, ტვინისაკენ მიმავალი „საგრძნობელ ნერვთა“ და თვით ტვინის მეოხებით. გუგა „ბნელსა ადგილსა განგანიერდების და ნათელსა შეიმჭირშვის“.

ასაკობრივ პრესბიოპიას ასე ხსნის ავტორი: სიყრმისას ბროლი „გამობერილია“ და „უკანა მსკოვანებისასა უწყებენ განბრტყელე-

* აღრიხედელ წყაროებში ეს ტერმინები არ გვხვდება.

ბასა“. სწორედ ამისათვის ხმარობენ მოხუცებულები „სათვალესა მკირედ გამოდრეცილსა“. ბოლოს მოყვანილია სიბეცის მიზეზთა ფიზიკური ახსნა: „ოდეს ბროლებრი თვალთა სინოტიე იქმნების უმეტეს გამობერილი, ესე არს მიზეზი ბეცობისა“, რომლის დროსაც ხმარობენო „სათვალესა შედრეცილსა“.

მომდევნო პარაგრაფებში დავითი იხილავს მიკროსკოპს. იგი განაახვავებს მარტივსა და რთულ მიკროსკოპს. 5 სქემატური ნახაზი არკვევს მათში სხივების გავლისა და გარდატეხის გზებს.

იოანე და დავით ბაგრატიონების ხსენებული ხელნაწერები მათ: პეტერბურგში ცხოვრების წლებს განეკუთვნებიან, სახელდობრ 1801 — 1830 წლებს. მათ ძირითად წყაროებს წარმოადგენენ იმდროინდელი ფრანგული, ლათინური, რუსული და სხვ. სამედიცინო ლიტერატურა. ჩვენ ამ ხელნაწერებიდან არ მოვიყვანეთ ციტატები და უფრო დაწვრილებითი ცნობები, დაეჭვრდით მხოლოდ მათ მოკლე ინტერპრეტაციებს, რადგან ყურადღების ცენტრი გვინდა გადავიტანოთ უფრო აღრინდელ წყაროებზე.

ცნობილია, რომ ადგილი და დრო სათვალეების გამოგონებისა ჯერ კიდევ დაუდგენელია. მხედველობის საკორექციო საშუალებანი. არა ზუსტი ცნობებით, ფიქრობენ პირველად XIII საუკუნის ბოლოს გამოჩნდა ვენეციაში.

თუ ვინ გამოიგონა პირველად სათვალე ზუსტად მისი დადგენა ვერ ხერხდება. საფრანგეთში შემონახულია სასაფლაოს ქვა ნახევრად წაშლილი წარწერით: „აქ განისვენებს საღვინო არმატი ფლორენციიდან, სათვალეების გამოგონებელი. ღმერთი შეუძნობს მას თავის ცოდვებს“. წარწერა დათარიღებულია 1317 წლით. არსებობს აგრეთვე გადმოცემა. სათვალეები გამოეგონოს ოქსფორდელ მღვდელს ბეკონს, რომელმაც ფლორენციაში ყოფნისას (1285 წელს) თითქოს თავისი აღმოჩენის შესახებ აცნობა ფლორენციელ მღვდლებს. ეს აღმოჩენა შემთხვევით ხასიათს ატარებდა, რადგან თვალის ოპტიკური თვისებები იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, ის საკმაოდ დაგვიანებით იქნა შესწავლილი ასტრონომ კეპლერის (1571 — 1630) მიერ.*

პირველად გამოყენებაში იყო ორმხრივი ამოზნექილი მინები (კონვექსები) პრესბიოპიისათვის, კონკავეები კი მხოლოდ ორი საუკუნის შემდეგ (ე. ი. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში) გამოჩნდა ხმარებაში. სათვალეები ძალიან ნელა ვრცელდებოდა და ის უმთავრესად შეძლებული კლასისა და მაღალი არის-

* Л. А. Кацнельсон, Очки, Медгиз, 1961, 3.

ტოკრატის მეთად იშვიათ და ფუფუნების საგნად ითვლებოდა დიდხანს. სიახლენიც მასში ძალიან ნელა იკაფავდა გზას, XVIII საუკუნის დასაწყისამდე სფერული მინების მხოლოდ 3 დიოპტრია იყო გამოყენებული.

რუსეთში მხედველობის საკორექციო საშუალებათა (სათვალეების) ისტორია შეისწავლა ს. ლ. სობოლმა. მისი შრომა «Очки в России в XVII веке» დაიბეჭდა ჟურნალში «Проблемы физиологической оптики (ტომი VII, 1949). რომელიც აკადემიკოსების ლ. ა. ორბელის, ს. ი. ვავილოვის, მ. ი. ავერბახისა და სხვათა რედაქტორობით გამოდიოდა. ამ შრომიდან ირკვევა, რომ პირველად სათვალეები რუსულ წყაროებსა და დოკუმენტებში ჩანს 1636 წლიდან. სათვალეები. რომელიც ეკუთვნოდა თავად ო. ვ. პრიმოკოვ-როსტოვსკის, 1636 წელს მისი სიკვდილის შემდეგ გადადიოდა მეფის განკარგულებაში. „ამით დადგინდა დღემდის ცნობილი ყველაზე უძველესი თარიღი სათვალეების არსებობისა რუსეთში.“*

გარდაცვალებული თავადის ნაქონი სათვალის მეფეზე გადაცემა იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთში ის საკმაოდ იშვიათსა და უნიკალურ ნივთს წარმოადგენდა. ამ დროიდანვე (1639 წ.) შემონახული დოკუმენტით ირკვევა, რომ მოსკოვში ზოგიერთი მესაათე ფლობდა ოპტიკურ ხელსაწყოებს და სათვალეებზე განსაზღვრულ (ჩარჩოში ჩასმა და სხვ.) შეკეთებას აწარმოებდა. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე ევროპიდან შემოაქვთ ვაჭრებს გასაყიდად სათვალეები, მაგალითად, 1671 წელს არხანგელსკში შემოტანილია „491 დუეინი სათვალე (ე. ი. 5892 წყვილი). ხსენებულ შრომაში ს. ლ. სობოლი წერს, რომ „მე-17 საუკუნის I ნახევარში არავითარი თეორიული“ წარმოდგენები სათვალეებზე და მათ მოქმედებაზე არ არსებობდა“, მხოლოდ მე-17 საუკუნის 70-იან წლებში შესაძლოა მცირეოდენი თეორიული წარმოდგენები ჰქონოდათ საკორექციო საშუალებათა შესახებ სამეფო კარის ვიწრო განათლებულ წრეებში; რადგან ამ ხანებში მეფის ალექსი მიხეილის ძის ბრძანებით თარგმნილ იქნა ცნობილი ასტრონომის იოანე ჰეველის ტრაქტატი „Селенография“ ანუ მთვარის აღწერილობა. ამ ტრაქტატის პირველ ორ თავში მოცემულია „სხვადასხვა სახის მინებისა და ოპტიკური იარაღებისა და კერძოდ სათვალეების“ აღწერილობა. ეს არის პირველი ხელნაწერი რუსულ წყაროებში, რომელიც შეიცავს ელემენტარულ ცნობებს ოპტიკის საკითხებზე.

* С. Л. Соболев, Очки в России в XVII веке. Проблемы физиологической оптики. 1949, т. VII, 112.

ამ მხრივ საქართველოში შემდეგი მდგომარეობაა; ყველაზე ადრინდელი წყარო, რომელშიც შემონახულია ცნობა საკორექციო საშუალებათა შესახებ, ჯერჯერობით არის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. სულხან-საბას აქ განმარტებული აქვს ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთგვარ წარმოდგენებს იძლევა ოპტიკის საკითხებზე. მას განმარტებული აქვს სიტყვები: ღურბინი, სათვალე, კონო, შორსათვალე, დამანი, ჭიქა, მინა, შუშა, ჭოგრი, ჭოგრიონი (თელესკოპი). საბა და, რასაკვირველია. იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობაც, იცნობს მთელ რიგ ოპტიკურ ხელსაწყოებს. ღურბინს შემდეგ განმარტებას აძლევს საბა: „ღურბინი — სხვათა ენაა, ქართულად შორსათვალე და ჭოგრი ჰქვიან“. შორსათვალე და ჭოგრი ანბანის მიხედვით აქვს თავ-თავის ადგილას ასეთივე განმარტებით. როგორც ჩანს, ღურბინის შესატყვისი სიტყვები კარგა ხნის დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო ქართულ მეტყველებაში იმ დროისათვის, რადგან ის საკმაოდ გავრცელებული ჩანს ნამდვილი, ეროვნული წარმოშობის სინონიმური სიტყვებით (შორსათვალე, ჭოგრი). საბა იცნობს ისეთი რთული აღნაგობის ოპტიკურ ხელსაწყოს, როგორცაა ტელესკოპი. აღსანიშნავია, რომ ამ ხელსაწყოსაც აქვს ქართული სახელწოდება — ჭოგრიონი: „ჭოგრიონი — დიდი ღურბინდია ვარსკვლავთა და პლანეტათა გასასინჯავი და შორსმხედველი, თელესკოპი“, — წერს სულხან-საბა.

სულხან-საბას დროს საკმაოდ გავრცელებულად ჩანს და ქართული ტერმინით დამკვიდრებული მხედველობის საკორექციო საშუალება — სათვალე. თავის ლექსიკონში საბა წერს: „სათვალე — ბროლის არს თვალთა საფარი. წიგნთა კეთილად წასაკითხავად“. საბას ლექსიკონი, როგორც ზემოთ ითქვა*, დაწერილი უნდა იყოს 1673 — 1688 წწ., ზემოხსენებული ოპტიკური ხელსაწყოებისა და სათვალის განმარტებაც ამ ხანებშია შეტანილი მასში. ამგვარად ირკვევა, რომ XVII საუკუნის 70-იანი წლებისათვის საქართველოში არსებობდა გარკვეული წარმოდგენები ოპტიკის საკითხებზე, იცნობდნენ ოპტიკურ ხელსაწყოებსა და მხედველობის საკორექციო საშუალებას — სათვალეს, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ დროისათვის ისინი ქართული, ეროვნული ტერმინოლოგიითაა ცნობილი და გავრცელებული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს თარიღი გაცილებით ადრეული ხანისაკენ გადაინაცვლებს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ საბას ლექსიკონი უხვად შეიცავს ევროპულ ტერმინოლოგიას: ილაო (ილეუსი), დისპნოა (დის-

* იხ. წინამდებარე წიგნი.

პნოე) არტერია, ფიზიონომია, ემპლასტრო, კატარა (კატარი). კოსპოგენია, ამვლიოპოპობა (ამბლიოპია), იკტერონია (იქტერუს, სიყვითლე) იპოსტონი (იპოსტოტონუსი), აგრეთვე: დრამმატურგი-აფსა, კოსტანცია, კომენტარი და მრავალი სხვ., რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართული სამეცნიერო აზროვნება (და მათ შორის ფიზიკური და ფიზიოლოგიური ოპტიკის საკითხებზე წარმოდგენები) გაცილებით უფრო ადრე იმყოფებოდა უშუალო კონტაქტში თანამედროვე ევროპულ მეცნიერებასთან, ვიდრე ამას ზოგიერთი მკვლევარი თვლის.

ზემოხსენებული მასალები, როგორც ვნახეთ, მეტად მნიშვნელოვანი დასკვნების საშუალებას იძლევა სამეცნიერო აზროვნების ისტორიისათვის საქართველოში. მაგრამ მათთან შედარებით სრულიად მოულოდნელი და იმ დროისათვის გასაკვირი იყო ისეთი ღრმააზროვანი და პრაქტიკული ოპტიკური სახელმძღვანელოს არსებობა, როგორც ვახტანგ VI ერთი ხელნაწერია.* ხელნაწერი ასეა დასათაურებული: „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნისა, შეკრებული მეფის ვახტანგისაგან“. ხელნაწერი გადაწერილია ვახუშტის მიერ, დათარიღებული არაა, მაგრამ ის 1716 — 1724 წლებში უნდა იყოს შესრულებული, რადგან ვახტანგი, „მეფის“ (და არა ჯანიშნის ან გამგებლის) ტიტულით მეფობდა ამ წლებში, და წიგნიც დაწერილია სწორედ „მეფის“ ვახტანგისაგან და არა „ჯანიშნისა“ ან „გამგებლისაგან“, როგორც ვახტანგის აღრინდელ, „ჯანიშნობის“-დროინდელ ხელნაწერებშია ხოლმე აღნიშნული. წიგნი მთლიანად უაღრესად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს, ის ვახტანგის ორიგინალური ნაწარმოებია და მთელი რიგი ქიმიური ანალიზები და ცდები, რომელიც ამ ძეგლშია აღწერილი, როგორც თვით ვახტანგი წერს, მის მიერვე არის შემოწმებული და პრაქტიკულად გამოცდილი. მთელი ტექსტი 279 პარაგრაფისაგან შედგება და მათ შორის 215-ე საქმოდ მოზრდილი პარაგრაფი განკუთვნილია სათვალეებისა და სხვა ოპტიკური ხელსაწყოების დამზადების წესების აღწერისადმი.

ეტყობა, ვახტანგის საგანგებო დაინტერესება გამოუჩენია ამ საკითხებისადმი, შესაძლოა საჭიროების გამო გამოწვეული პრაქტიკული მოსაზრებებით. რადგან ხსენებულ პარაგრაფს, სათვალეებისა და ოპტიკური ხელსაწყოების დამზადების წესებს ნაკლები კავშირი აქვს ტექსტის დანარჩენ ნაწილთან, სადაც ზეთებისა და სხვა ნივთიერებათა ქიმიის აღწერაა.

ტექსტის შინაარსობლივი ამოკითხვა და გაანალიზება პირვე-

— * საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S — ფონდის 3721 ხელნაწერი.

ლად ძალიან გაგვიჭირდა, ის დაწერილია, რასაკვირველია, ძველი ქართულით, შეკუმშული, ლაკონიური სტილით, როგორც ეს მოსალოდნელია სულხან-საბა ორბელიანის სკოლის წარმომადგენელისაგან. დღეისათვის უცნობი ტერმინოლოგია და გამოთქმები, საგანთა უცნობი სახელწოდებანი და თვით ტექნოლოგიური პროცესების სირთულე კიდევ უფრო აძნელებდა ტექსტის ამოკითხვას.

ტექსტის წაკითხვა და ანალიზი შესაძლებელი გახდა მხოლოდ თანამედროვე ოპტიკურ სახელოსნოში არსებული. ტექნოლოგიური პროცესების შესწავლით. გავეცანით რა მას, ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა; ვახტანგის მიერ აღწერილი ტექნოლოგიური პროცესები სათვალეების დამზადებისა, შეიძლება ითქვას, ზუსტად ემთხვევა თანამედროვე ოპტიკურ სახელოსნოში არსებულ პროცესებს, და სწორედ ამან უზრუნველყო ტექსტის გაგებაც.

ტექსტი იწყება სათვალის ყალიბის გაკეთების წესების აღწერით. ავტორი 4 სახის ყალიბს აღწერს: პირველი ყალიბი ორმხრივი ამოზნექილი მინების გასამზადებელია და თვითონ ჩაზნექილი უნდა იყოს. „ერთი კიდევ სხვა ყალიბია თუ ის ა. ბ. გ. დ. რომ აზის, ის ღრმად არ ამოათლევიან და ამავე რიგად მგრგვალად ამოათლევიან. ეს სათვალეს ამოსთლის“, ე. ი. მეორე სახის ყალიბი უნდა იყოს მრგვალად მოთლილი, რომ სათვალე ამოსთალოს, ე. ი. ჩაზნექილი მინები მივიღოთ. ავტორის მიხედვით, „მოთლილი“ ყალიბი ჩაზნექილი (კონკავების) მინების მისაღებად არის და „ამოთლილი“ ყალიბი—ამოზნექილი (კონვექსების) მინების მისაღებად. „თუ ორივე პირი სათვალისა ამოთალა, როგორც ორი პირი სათვალე სქლად გათლილი აჩვენებს, აგრევეს ოთხს იმდონს წვრილად აჩვენებს“, ე. ი. ორმხრივ ამოთლილი სათვალე (ჩაზნექილი) ოთხჯერ უფრო წვრილად აჩვენებს, ვიდრე ორმხრივ სქლად გათლილი (ამოზნექილი) სათვალე. ყოველივე ეს მკითხველისათვის რომ უფრო გასაგები იყოს, ასეთი მაგალითი მოჰყავს ავტორს: „თუ ცალი პირი ამოსთალე, ცალი პირი სათვალესავით მოსთალე, რომ ორისავე ზომა ერთი იყოს — ისე აჩვენებს“, ე. ი. მინის ცალი მხარე თუ ამოზნექილი გაკეთდა და მეორე მხარე იმავე ზომის ჩაზნექილი. ამით, რასაკვირველია, მინის დიოპტრიულობა 0 იქნება და ისევე „ისე აჩვენებს, ე. ი. მხედველობას ვერ შეცვლის.

მესამე სახის ყალიბია „პირი ასეთი სწორე უნდა ჰქონდეს, რომ არაფერი სიმრუდე არ უნდა ჰქონდეს იმაზედ, რომ სათვალეს გასთლი, ვაკე გაითალოს, ამისთანა ყალიბზედ თუ ორივე პირი სათვალისა გასთალე, როგორც არის, ისე გამოაჩენს, არც მოუკლებს, არც მოუმატებს“. შემდეგ უფრო აზუსტებს და ამარტივებს ავტორი თავის

ნათქვამს: „თუ ერთი პირი ვაკეა და ერთი სათვალესავით გათლილ (ამოზნეჭილი — მ. შ.), ის რასაც ზომის სათვალის ყალიბია, ერთს იმდონათ უშორესად აჩვენებს. თუ ორივე პირი ამოსთალე (ჩაზნეჭილი — მ. შ.), რასაც ზომის სიმსხოსია, ორს იმდონს წმინდად აჩვენებს, თუ ცალი პირი სწორე აქვს და ცალი ამოსთალე, რასაც ზომის სიმსხოს აჩვენებს, იმდონს წმინდათ წვრილად აჩვენებს“. მეოთხე ყალიბი სათვალის არშიის „გასათლელად“ არის განკუთვნილი. ყალიბი კეთდებოდა რკინისაგან ან „ზარბაზნის სინისაგან“. ზარბაზანი, საბას განმარტებით, დიდი თოფია, ხოლო სინი ანუ სინა „უშავეს და უდარეს“ არს რვალისა (ფოლადისა), ხოლო „რვალი არს უთეთრესი და კმაკეთილ მქლერალე“. მამასადამე, ყალიბი მზადდებოდა რკინისაგან და ისეთი ფოლადისაგან, რისგანაც ზარბაზანი კეთდებოდა.

ავტორი გაფრთხილებას იძლევა ყალიბის „გათლისა“ და „ამოთლის“ სიზუსტეზე. თორემ თუ „სწორედ ვერ გააკეთებს, ცუდი სასჯელია“. — ამბობს ის.

უკვე გაკეთებული ყალიბი უნდა ჩაისვას ხეში („ყალიბი ხეში ჩასვი“) „ან ასეთს ჩალხზედ დააკარ, წისქვილსავით ბრუნვედეს“. თვით მინის ხეხვის, გათლის, თრაშვის პროცესი შემდეგნაირადაა აღწერილი:

„მოიტანე თუ კაი სათვალე გინდა, კაი წმინდა და თეთრი სარკის ნაჭერი რა რამდონიც სიდიდით გინდოდეს, აღმასით მრგვალად შემოხაზე და შემოამტვრიე, მერმე ის კიქა, წელან რომ ფისი ვთქვით, ერთს ხეზედ იმითი დააკარ“.

სახეხი სასათვალე მინის ფიქსირება ხდება ხეზე, შემდეგი შემადგენლობის ნაერთით: გამდნარი ფისი, ამ ფისის მესამედი კარპიუსი („კარპიუსი — ერთი ფისია ყვითელი, საფრანგეთიდან მოვა“) და კარპიუსის წონა ნახშირი — „სათვალეს ამითი დააკრევიანე“ თრაშვის დაწყების წინ სასურველი ზომის ყალიბში „ზუმფერა ან ქვიშა ჩაყარე“, მაგრამ ზუმფერამ რომ ყალიბი მალე არ გასცვითოს, ზუმფერას წყალი უნდა დაასხა, რომ „კარგა გათხელდეს“. ამის შემდეგ ხდება „ჩალხზე“ დაკრულ ყალიბში მინის 'თრაშვა — „ის კიქა იმ ყალიბში ლესე, ამდენი, რომ პირზედ ელვარობა აღარსად ჰქონდეს, მერმე მეორე პირი კიდევ ისე გალესე“.

ოპტიკური თრაშვის დასრულების შემდეგ მინა გადააქვთ „არშიის ყალიბში“, სადაც იწყებენ ლესვას „ორისავე პირისაკენ გინდოდეს არშია თუ ერთის პირისაკენ“, ან „თუ არშია არ გინდოდეს, ნუ გალესავ“; — იუწყება ტექსტი. ამით დასრულებულია თრაშვის (ხეხვის, გათლის, ლესვის) პროცესი. შემდეგი პროცესია გაპრიალე-

ბა. ამ პროცესის ორი მეთოდია მოწოდებული: მარტივი—სახელდახელო და რთული საგულდაგულო.

მარტივ მეთოდს ტექსტი ასე აღწერს:

„თუ საჩქაროდ გინდოდეს, ერთს მოსქოს ფიცარზედ ლანდრა გარდააკარ. ზედ წყალი შეაფრქვიე, წაუსვი, იმაზედ უსვი კარგად, წყალი მიეცემა და სათვალე იქნება“. რთულ მეთოდს მაშინ უნდა მიმართოთ, „თუ კარგა გინდა გააკეთო“. ამ შემთხვევაში ყალიბს გადააკრავენ „წმინდა ქალაღს“ კარგის „თხელის წებოთი“, გაახმობენ, დააყრიან ამარულს (ამარული — წმინდად დანაყილი ქვიშა არის), — განმარტავს ვახტანგი), და კვლავ ქალაღდადაკრულ ყალიბში ლესენ, სანამ „ჭიქა კარგად გაწმინდეს და დაფხაჭილი აღარ ეტყობოდეს“. ამის შემდეგ ამარულის მიწა უნდა გამოყარო ყალიბიდან, მინა გაწმინდო კარგად, მერე „ტრიფელი დაფხიკე და ყალიბში ჩაყარე, ახლა ამითი ლესე კარგათ ჭიქა... რა კარგა გაწმინდეს, სათვალე იქნება“. ტრიფელი ვახტანგისავე განმარტებით, „ერთი თეთრი მიწა არის, თეთრ მიწას ვავს, მაგრამ უფრო მაგარია“.

ტექსტში არაა აღწერილი სათვალეების ჩარჩოს მომზადება, მაგრამ რადგან სასათვალე მინებზე მისთვის კეთდებოდა სპეციალური არშია, ცხადია, ჩარჩოც საგულდაგულო და საკმაოდ მოხდენილი გაკეთდებოდა.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, საკმაო სიზუსტითა და თანმიმდევრობითაა აღწერილი სათვალეების ყალიბის მომზადების, სასათვალე მინების თრაშვისა და გაპრიალების პროცესები, იმ დროს ამ მიზნისათვის გამოყენებული ნაერთებისა და ნივთიერებების აღნიშვნით. დღევანდელ ოპტიკურ სახელოსნოშიც ზუსტად ასეთივე მანიპულაციები ტარდება: არსებობს ფოლადისაგან გამზადებული ყალიბები როგორც ბრტყელი სფერული, ისე ცილინდრული მინებისათვის სხვადასხვა ზომისა (დიოპტრიებით), ყალიბების ფიქსირება ხდება მბრუნავ „ჩალხზე“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვახტანგის „ჩალხი“ ხელით სატრიალებელია, დღევანდელ სახელოსნოში კი მას ელექტროენერგია ატრიალებს. სათრაშავი მინის ფიქსირება ხდება ლუქით, ვახტანგი კი ფიქსაციას აკეთებს გამდნარი ფისის, კარპიუსისა და ნახშირის ნარევით. თრაშვის, ლესვის დროს ამჟამად ყალიბში ისხმება ე. წ. „ნაქდაკი“ წყალში ფაფასავით გახსნილი, ვახტანგი ხმარობს ე. წ. „ზუმფერას ან ქვიშას“, აგრეთვე წყალში ფაფასავით „გათხელებულს“. პირველადი თრაშვის დამთავრების შემდეგ სწმენდენ როგორც მინას, ისე ყალიბს და ლესავენ „ნაქდაკზე“ უფრო წვრილი ფხენილით. რომელსაც „მელკის“ ანუ „ტრიცატკას“ ეძახიან, თრაშვის დამთავრების მანიშნებლად დღეს თვლიან, რომ მინამ თა-

ნასწორად დაკარგოს ელვარება როგორც პერიფერიებზე, ისე ცენტრშიც. ვახტანგიც ამასვე წერს: „ჭიქა იმ ყალიბში ლესე, ამდენი, რომ პირზე ელვარება აღარსად ჰქონდესო“. თრაშვის დამთავრების შემდეგ ამჟამად ოპტიკურ სახელოსნოში შემდეგნაირად იწყებენ გაპრიალების პროცესს: გაწმენდილ ყალიბზე წებოთი აკრავენ შალის ნაჭერს, მასზე ასხამენ ერთგვარ ქიმიურ ნაერთს, რომელსაც „კროპუსს“ ეძახიან, და კვლავ იწყებენ ყალიბის ტრიალს. მასზე ფიქსირებული მინა რამდენიმე წუთში გაპრიალდება.

ვახტანგის მიერ აღწერილი გაპრიალების პროცესიც თითქმის ასეთივეა, მხოლოდ ვახტანგი შალის ნაცვლად ქაღალდს აკრავს ყალიბზე წებოთი, და გასაპრიალებელ ნივთიერებებად „კროპუსის“ ნაცვლად ხმარობს — ჯერ „ამარულსა“ და შემდეგ „ტრიფელს“, ე. ი. ორგზის გაპრიალებას მიმართავს.

ვახტანგი მინაზე არშიას თრაშვის დამთავრების შემდეგ, გაპრიალებამდე აკეთებდა, სპეციალურ ყალიბში. დღევანდელ სახელოსნოში ის ბოლო მანიპულაციაა და ყალიბებში კი არ კეთდება, არამედ სპეციალურ სალეს ქვებზე. ამგვარად, ვახტანგის მიერ აღწერილი საკორექციო მინების გამზადების ტექნოლოგიური პროცესები პრინციპულად ზუსტად ემთხვევა დღევანდელ ოპტიკურ სახელოსნოში (კერძოდ თბილისის ოპტიკურ სახელოსნოში) არსებულ პროცესებს, განსხვავებებია მხოლოდ დამხმარე მოწყობილობათა და ნივთიერებათა სახელწოდებებში და ზოგიერთი პროცესის თანმიმდევრობის გადანაცვლებაში.

ვახტანგი, რასაკვირველია, არ იცნობდა ცილინდრულ მინებსა და არც მათი დამზადების წესებს. თვით სფერული მინებიც მხედველობის კორექციისათვის XVII საუკუნის ბოლომდე 3-დიოპტრიაზე მეტი არც იყო გამოყენებაში.* აღსანიშნავია, რომ ვახტანგის მიერ აღწერილი ყალიბები ოთხ დიოპტრიაზე უნდა ვიგულისხმოთ, რადგან მის მიერ უკანასკნელად აღწერილი ყალიბი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ოთხს იმდონს წვრილად აჩვენებსო“. ყოველ შემთხვევაში საწყისი ზომიდან რაღაც ოთხი განზომილება არსებობდა სათვალეების სიძლიერეთა სახეობებში.

ტექსტში ნახსენებია აგრეთვე „ცეცხლის მოსაკიდებელი** ჭიქა“ და „ხელის სათვალე“.

მომდევნო პარაგრაფებში (216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 232) აღწერილია ლურ-

* ს. ლ. სობოლის დასახელებული წიგნი, გვ. 120.

** ტექსტშია „მოსავლებელი“

ჯი, მწვანე, ყვითელი, ზურმუხტის ფერი. ფირუზის ფერი და სხვა ფერად-ფერადი მინების („ჭიქების“) მომზადების წესები და მეთოდები.

პარაგრაფის ბოლოს მოცემულია ღურბინის გაკეთების წესი. საღურბინე მინებისათვის („ჭიქებისათვის“) უნდა გაკეთდეს სპეციალური ყალიბები, გარჩეულია ერთვალისანი და ორთვალისანი ღურბინი, სადაც გათვალისწინებულია 4 „მრგვალი“, ე. ი. ორმხრივ ამოზნექილი „ჭიქები“, ურთიერთისაგან გარკვეული საფოკუსო მანძილით დაშორებულნი.

აქვე მოცემულია ღურბინის სქემატური გამოსახულება წარწერებით „ფოკუს“, „კონვექს“ და „ჭიქა აფექტ“.

მთლიან ტექსტს თუ დავაკვირდებით, ირკვევა, რომ წიგნში აღწერილი ყველა ქიმიური რეაქცია, მანიპულაცია ვახტანგის მიერ გაკეთებულია თავისი ხელით. მაგალითად, როდესაც ვახტანგი აღწერს თალხის* (პარაგრაფი 79), იგი ამბობს, რომ „იტყვიან, ვინც ამას (თალხის — მ. შ.) გააწყალებს, რომ გადნებოდეს ოქროს გააზეთებსო... ბევრი ვეცადე და არ იქნა“. ე. ი. ვახტანგის ბევრი უცდია „თალხი“ გაედნო და წყლად ექცია, რომ ოქროს „გაზეთებისათვის“ გამოეყენებინა, მაგრამ ეს რეაქცია, ჩანს, ვერ გააკეთა, რეაქცია ვერ მიიღო. ასევე 81-ე პარაგრაფში წერს: „ვსცადე და არ იქნა“. ერთ ადგილას წერს ერთ-ერთ ქიმიურ რეაქციაზე (პარაგრაფი 119) „წამალი გარდმოიღე და ჩემის ძმის ნუსხის პირით გააკეთეო“. ამ ამონაწერებიდან აშკარად ირკვევა, რომ ვახტანგის ეს წიგნი უშუალოდ პრაქტიკული მოსაზრებებითაა შედგენილი, და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვახტანგის დროს თბილისში ოპტიკური სახელოსნო არსებობდა და ხელნაწერში აღწერილი ოპტიკური ტექნოლოგიური მანიპულაციები პრაქტიკულად სრულდებოდა.

აღსანიშნავია. რომ საქართველოს იმ დროისათვის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონია სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის დასავლეთ ევროპასთანაც, ტექსტში ძალიან ხშირად ვხვდებით ასეთ მითითებებს: ხარის ჩინია „ცოტა იშოება, ჩინეთიდან მოიტანებენ“ (პარაგრაფი 167).

ნიშადური „სამარყანდიდამ, ქაშხარ[ი]დან, ხორასანს მოიტანებენ, იქილამ აქეთ წამოვა“ (პარაგრაფი 167).

თალხი „თეთრი რუსეთიდან მოვა (პარაგრაფი 79) და სხვ.

* თალხის, სულხან-საბა ორბელიანი, ასე განმარტავს „თალხი. ქვა რამე არს კიქასავით, ოხელი, რომელი ქარტის სითხედ (ე. ი. ქალაღის სისქედ — მ. შ.) დაიპება და სარკმლისა სანათურსა ზედა იქმარებენ ადვილად არ შეიმუხვრის და გვიანად დაიწვის“.

ოპტიკური სახელოსნოსათვის საჭირო ნივთიერება „კარპიუსი“ კი საფრანგეთიდან უნდა მიეღოთ „კარპიუსი — ერთი ფისია ყვითელი, საფრანგეთიდან მოვა“ (პარაგრაფი 215).

ვახტანგის ეს „წიგნი“, როგორც ვთქვით, 1703 — 1722 წლებშია დაწერილი და იოანე და დავით ბაგრატიონების ზემოხსენებული შეხედულებანი ფიზიკური და ფიზიოლოგიური ოპტიკის საკითხების გარშემო სრულიად ბუნებრივი და ტრადიციული ჩანს ქართულ სამეცნიერო აზროვნებაში. სრულიად ბუნებრივი იქნებოდა და საუკუნებრივი ტრადიციებით გაპირობებული აგრეთვე ერეკლე II-ს დროს ოპტიკური სახელოსნოს არსებობა, რაც ერთი პატარა, მაგრამ მეტყველი დოკუმენტით კიდევაც დასტურდება: 1788 წლის, „ერეკლე II-ს სალაროს, ოქროს შემოსავალ-გასავლის აღწერის ნუსხაში“ ერთი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჩანაწერია:

„ქ/ორონი[კ]ონ/სა უოვ [1788] ამა წლის ხარჯი ამის ქვემოთ დაიწერება. ... მარტის კ ბატონისათვის სათვალე გაუკეთებია გაბრიელ ოქრომჭედელს ნონია მოლარის ზედამდგეობით...“ ჩანს „მეფის სალაროდან ოქრო გაუციათ მეფის, „ბატონის“, სათვალის, ალბათ, ჩარჩოსათვის, ამ ჩანაწერით ერთის მხრივ, მტკიცდება, რომ თბილისში, 1788 წელს არსებობდა ოპტიკური სახელოსნო და მეორე მხრივ მასში შემონახულია სათვალეების გამკეთებელი — ოსტატის სახელი — გაბრიელ ოქრომჭედელის სახით.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის თ. ენუქიძის მოწმობით, თბილისის სახელმწიფო მუზეუმში ინახებოდა ერეკლეს ნაქონი სათვალე, ხელოვნების მუზეუმის გამოყოფასთან და მასზე მასალების გადაცემასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ დაუმუშავებელ ფონდებშია მიმალული ეს სათვალე და, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა მისი გამოძებნა, ამ სათვალის შესწავლას შეეძლო დაედგინა: მისი დიპტრიულობა, თბილისურია ის თუ შემოტანილი და სხვ.

„ოპტიკური პარაგრაფები“

ბ ე ჯ ს ტ ი

215. სათვალის ყალიბის გაკეთება.

მოიტანე ფარგალი და რამოდონისაც ცერის დადებაზე დასანახავად გინდოდეს, იმთონათ გაშალე. და ერთი კრკალი მოავლე. მერ-

* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 3518.

მე რაერთიც ყალიბი გინდოდეს, იმდონათ ფარგალი გაშალე და იმ მოვლებულს კრკალზედ დანიშნე. როგორც ჩვენ გვიქნია.*

ა-ბ ყალიბის პირის სიგანეა. გ.—დ ყალიბის სიღრმეა. დ. ე. ყალიბის სისქეა. ეს სამი ცერია. რამდონსაც დიდზე გაშლი ფარგალს, შორს დაანახვებს, და რამდონსაც უფრო ახლოსზე გაშლი, ახლოს დაანახვებს და მსხვილად.

ერთი კიდევ სხვა ყალიბია თუ ის ა. ბ. გ. დ. რომ აზის, ის ღრმად არ ამოათლევინე და ამავე რიგად მრგვლად ამოათლევინე ეს სათვალეს ამოსთლის. და თუ ორივე პირი სათვალისა ამოთალა, როგორც ორი პირი სათვალე სქლად გათლილი აჩვენებს. აგრევეს ოთხს იმდონს წვრილად აჩვენებს და თუ ცალი პირი ამოსთალე, ცალი პირი სათვალესავით მოსთალე, რომ ორისავ ზომა ერთი იყოს, ისე აჩვენებს. ერთი ყალიბი კიდევ არის. რომ პირი ასეთი სწორე უნდა ჰქონდეს, რომ არაფერი სიმრუდე არ უნდა ჰქონდეს. იმაზედ რომ სათვალეს გასთლი, ვაკე გაითალოს. ამისთანა ყალიბზედ თუ ორივე პირი სათვალისა გასთალე, როგორც არის, ისე გამოაჩენს, არც მოუკლებს**, არც მოუმატებს თუ ერთი პირი ვაკეა და ერთი სათვალესავით გათლილი, ის რასაც ზომის სათვალის ყალიბია, ერთს იმდონათ უშორესად აჩვენებს. თუ ორივე პირი ამოსთალე, რასაც ზომის სიმსხოსია, ორს იმდონს წმინდად აჩვენებს თუ ცალი პირი სწორე აქუს და ცალი ამოსთალე, რასაც ზომის სიმსხოს აჩვენებს, იმდონს წმინდად წვრილად აჩვენებს.

ერთი ყალიბია კიდევ, არშიისათვის, რაზედაც სათვალეს გასთლი, იმისგან უფრო ღრმა უნდა, რომ როდისაც გასთლი, მერმე ამანი უნდა გასთალო გარეშამო არშია ექნება, ყალიბი, ან შარბაზნის სინი*** უნდა, ან რკინისა, მაგრამ ამოჭრა თუ რამდონ რიგიც ეს ყალიბი გვითქვამს, სწორ (ე)დ არ იცის, და სწორ(ე)დ ვერ გააკეთებს, ცუდი სარჯელია. მერე ეს ყალიბი ხეში ჩასვი ან ასეთს ჩალხზედ დააკარ, წისქვილსავით ბრუნევდეს. ან თუ ჩალხი არა გქონდეს, ყალიბი მიწაზედ დასდევ ხელით ლესე. გათლა**** ასე არის: მოიტანე ფისი. გააღწე. მერმე ამას მესამედი კარპიუს მოიტანე და გაურე. ამ კარპიუსის წონა ნახშირი გაურე, და სათვალეს ამითი დააკრევედ თუ რაც დასაკრავად გინდოდეს.

კ ა რ პ ი უ ს ი ერთი ფისია ყვითელი, საფრანგეთიდან მოვა.

* ტექსტში სათანადო ჩანახაზებია.

** ამ სიტყვის შემდეგ ტექსტშია „ამორ“

*** შარბაზნის სინი — საზარბაზნე ფოლადი, თეთრი ფოლადი, სინი „სინა, რკალი არს უთეთრესი და ხმაკეთილ მელერალე, ხოლო ს ი ნ ა მ უშავეს და უღარეს მისსა“ (ს ა ბ ა).

**** ტექსტშია „გათალი“

მოიტანე თუ კაი სათვალე გინდა, კაი წმინდა და თეთრი სარკის ნაჭერი და რამდონიც სიდიდით გინდოდეს ალმანით მგრველად შემოხაზე და შემომამტერივე. მერმე ის ჭიქა; წელან რომ ფისი ვთქვით, ერთს ხეზედ იმითი დააკარ. მოიტანე როგორიც ყალიბით გინდოდეს, იმ ყალიბში ან ზუმფერა, ან ქვიშა ჩაყარე. მაგრამ ზუმფერა ყალიბს მალე გასცვეთს. ზედ წყალი დაასხი, კარგა გათხელდეს. მერმე ის ჭიქა იმ ყალიბში ლესე. ამდენი რომ პირზედ ეღვარობა აღარსად ჰქონდეს. მერმე მეორე პირი კიდევ ისე გალესე. მერმე წილან რომ არშიის ყალიბი გითხარ, იმაზედ ლესე. ორისავე პირისაკენ გინდოდეს არშია, თუ ერთის პირისაკენ გინდოდეს. თუ არშია არ გინდოდეს ნუ გალესავ. და რა ასე გალესო, თუ საჩქაროდ გინდოდეს, ერთს მისქოს ფიცარზედ ლანდრა* გარდააკარ. ზედ წყალი შეაფრქვივე. წაუსვი, იმაზედ უსვი კარგად, წყალი მიეცემა და სათვალე იქნება.

და თუ კარგა გინდა გააკეთო, რასაც ყალიბში გაგითლია, ან არშია გაგიკეთებია. ან ფოჩთის ქალაღი, ან წმინდა ქალაღი კარგის თხელის წებოთი გამოაკარ. გაასმე. მაგრამ ასე უნდა გამოაკრა ჭუჭყვნილი არ იყოს, და თუ მოხდეს ზღვის ქაფი წაუსვი და იმით გაასწორე. მერმე იმ ქალაღზედ ამარული დააყარე და სათვალეს ორივე პირი და არშიები იმაზედ ამდონი ლესე. ჭიქა კარგად გაწმდეს. და დაფხაპილი აღარ ეტყობოდეს. მერმე ეს ამარული მის მიწა გამოყარე, ყალიბიც კარგა გამოსწმინდე. ჭიქაც კარგა გასწმინდე. მერმე ტრიპელი დაფხიკე და ყალიბში ჩაყარე. ახლა ამითი ლესე კარგად ჭიქა. აგრევე არშია ყალიბით ლესე. რა კარგა გაწმდეს, სათვალე იქნება, რასაც ზომაზედ გაგიკეთებია, იმ სიშორედ, იმ რიგად დაინახავს. როგორც გვითქვამს.

ამარული წმინდად დანაყილი ქვიშა არის, თუ ზუმფერა ფქვილსავით რომ დაფხაპნოს გარდასწმინდს. ტრიფელ ერთი თეთრი მიწა არის. თეთრს მიწას გავს, მაგრამ უფრო მაგარია. თვალსაც წყ (ა) ლს იმითი მისცემენ.

დურბინდის გაკეთება ასე უნდა: ერთის თუ ორის თითის ზომა, მეტი თუ ნაკლები. როგორც სათვალის ყალიბი გაგეკეთებინოს, ისე გააკეთებინე, მერმე რაც სიმსხო დურბინისა გინდოდეს, იმ სიმგრგულე სამი ჭიქა გასთალე. არშია არ უნდა. ესენი იმ დურბინში ასე ჩასხი, რასაც ზომის ჭიქები გაგეთალოს, ორა

* ლანდრა — მსხვილი სკლატი. მაუღი, то.л.стое сукно. (ნ. ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი).

** ტრიფელი, ტრიპელი — „Диатомовая земля“ იმპარება დინამიტისა და აგურის წარმოებაში. აგრეთვე გასაპრიალეზლად.

იმთონი სიშორე ერთმანეთზედ ჰქონდეს. რაერთიც სიგრძე მოვიდეს, იმ სიგრძე. სათვალის ყალიბსავეთ ყალიბი გააკეთებინე. წინა ჰიქა იმაში გასთაღე. მოიტანე და რასაც ზომის ჰიქა გავითლია, იმ სიგრძეთ მესამეს ჰიქილამ და ერთი ზომაც იმ მესამე ჰიქისა დასდევ და ჩასვი, და კარგი იქნება. თუ გინდოდეს ესეც იქნება; წინა ჰიქა რაერთიც ზომისა გინდოდეს გასთაღე, რასაც ზომისა ეს იყოს და ან რასაც ზომისა მესამე ჰიქა იყოს, იმ სიგრძე ჩასვი და ღურბინა იქნება.

თუ ორთვალისანი ღურბინი გინდა, ასე ჰქენ; რამთონისაც თითისა დადება გინდოდეს, თავის ჰიქა იმთონს ყალიბზედ ამოსთაღე. ცალი პირი ვაკეს ყალიბზედ გასთაღე, მერმე წინა ჰიქა რამდონისაც სიგრძის ღურბინი გინდოდეს, იმ სიგრძით გასთაღე. წინა ჰიქა რამ სიგრძეც გავეთალოს, იმდენი წინა ჰიქის სიგრძეს მოაკელ და რაც სიგრძე დარჩეს, იმ სიგრძეთ ჩასხი, ღურბინი იქნება ამ სახიები.*

ცეცხლის მოსაკიდებელი ჰიქა. თუ ხელის სათვალე გინდოდეს, რამ სიგრძესად ცეცხლის მოკიდება გინდა, თუ დანახვა გინდა, ისიც სათვალეებსავეთ გასთაღე. უარშიოთ გინდოდეს თუ არშიოთ.

216. ფერად ფერადის ჰიქების გაკეთება.

ჯერ მოიტანე სალტარტარი 4 მისხალი და ჩაყარე წყალში. გინა სალტარტარი 1 მისხალი და წყალი 2 მისხალი და რა გადნეს ეს წამალი, გაახურე ბროლი ქოთნით კარგად წითლად და მანამდის აწრთე იმ წყალში, ხელი რომ მოუჭირო ბროლს, დაიფშენას და თუ ეს წამალი არა გქონდეს უღონობისათვის ბროლი, გინა კაი ჰიქა იყოს. კარგა წმინდად დანაყე, ხელი რომ წაუსვა, ასე გაღესე ფქვილსავეთ იყოს. ხელში არ მოგხუდეს და შეინახე.

სალტარტარი ჰქვევრს თუ ბოჭკას ღვინისაგან ქვასავეთ მიეკვრის. იმისი მარლია.

წითლის იაგუნდის ფერად რომ ჰიქის გაკეთება გინდოდეს. მოიტანე გაღესილი ჰიქა მისხალი 40, გვარჯილა 20 მ (ი) სხალი, ბორაკი 10 მისხალი, ოქრო თეზაბით დამდნარი მისხლის 1/6, ესეები ყველა ერთად გაღესე, რომ კარგად გაერიოს. მერმე საოქრომჰედლოს ქოთანში ჩაყარე, პირი მაგრად მოუგლისე. ქურაში ჩასდევ. საათნახევიარს ადუღე...“

ამას მოსდევს სხვადასხვა ფერის მინების გაკეთების დეტალური აღწერილობანი; რეცეპტებითა და ტექნოლოგიური პროცესების ჩვენებით.

* ხელნაწერში მოცემულია ორთვალისანი ღურბინის სხივების გარდატეხის სქემატიური გამოსახულება.

სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხები სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში

სულხან-საბა ორბელიანის მცირე, მაგრამ მრავალმხრივი შემოქმედება დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავეთათვის. ენათმეცნიერები, პედაგოგები, ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები, ბოტანიკოსები, გეოლოგები, ლიტერატორები მათემატიკოსები თუ ბუნებისმეტყველნი თანაბარი სიუხვით სარგებლობენ სიბრძნისა და მაღალგონიერების ამ ძვირფასი საგანძურით. მის თანამედროვეთაგან სულხან-საბა ორბელიანი აღიარებული იყო დიდი ინტელექტისა და განათლების მქონე პიროვნებად. ერთი უცნობი პოეტის თქმით:

„სულხან-საბა ორბელის-ძე
სიბრძნით აღხდა ორბების-ზე“

საბას დახვეწილმა დიპლომატიურმა მანერებმა და კულტურამ რომში მხოლოდ რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ათქმევინა პაპი კლიმენტი II-ს შემდეგი სიტყვები:

„მინარია რომში დიდი ხმა დაგივარდაო, კარგა იქცევი და ჭკვინადლო.“

ი. რიშარი კი, რომელიც თან მიჰყვებოდა საბას ევროპაში მოგზაურობისას, მინისტრ ტურსისადმი მიწერილ წერილში წერს, სულხან-საბა ორბელიანს სამეფო კარზე „ისეთს პატივს სცემენ და ისე უყვართ, როგორც საკუთარ მამას, მთელ საქართველოსაც“ მამად მიაჩნიაო“. თუკი თანამედროვეთაგან ასე იყო დაფასებული სულხან-

* სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“; ს. იორდანაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 61.

** იქვე, გვ. 158.

საბა ორბელიანის პიროვნება, ახლა 300 წლის შემდეგ, არამც თუ დაპყარგა მნიშვნელობა მისმა შემოქმედებამ, უფრო ძვირფასია ის ჩვენთვის, ვიდრე იყო მის თანამედროვეთათვის. განუზომელია მისი შემეცნებითი მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

საბას შემოქმედება, როგორც ირკვევა, მშვენიერ წყაროს წარმოადგენს აგრეთვე ქართული მედიცინის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გარკვევისა და დადგენისათვის. მისი ლექსიკონი, „სიბრძნე სიცრუისა“, „მოგზაურობა ევროპაში“ და „სწავლანი“ საშუალებას იძლევა გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ მთელ რიგ საკითხებზე და თვით საბას სამედიცინო-ბიოლოგიურ კონცეფციასზე. საბას ლექსიკონი სცილდება ჩვეულებრივი ლექსიკონის დანიშნულებას. ის ენციკლოპედიური ხასიათის შრომაა, რომელშიც მოცემულია არა მარტო სიტყვების უბრალო განმარტება, არამედ ამავე დროს ღრმად და ახსნილი მთელი რიგი ფილოსოფიური და სამედიცინო-ბიოლოგიური ცნებები. საბას „გარკვეული მსოფლმხედველობა აქვს და ამის მიხედვით არჩევს მასალებსაც. მან კარგად იცის, რომ ქართულ ფილოსოფიურ ძეგლებში აზრთა სხვადასხვაობაა“*. იცის, რომ ქართული ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში იმთავითვე ორი ძირითადი მიმდინარეობა არსებობდა. სა ე რ ო, რომელიც ემყარებოდა ანტიკურ მატერიალისტურ ფილოსოფიას ქრისტიანულ მოძღვრებასთან მორიგებითა და შერწყმით, და ს ა ე კ ლ ე ს ი ო, ქრისტიანული დოგმატიზმის საფუძველზე აღმოცენებული. ეს ორი მიმართულება საუკუნეების მანძილზე ებრძოდა ურთიერთს. საბა გარკვევით მიჯნავს ამ ორ მსოფლმხედველობას და ერთიმეორის მიმართ „დიდათ მტერ“ იდეოლოგიად სახავს.

სიტყვა „წერილის“ განმარტებისას საბა ამბობს: „წერილი ეწოდების ყოველსა კალამთაგან აღწერილსა, რომელთა განჰყოფენ ბრძენნი და იტყვიან: საღუთო წერილთა და წმინდათა წერილთა და გარეშე წერილთა და ზღაპრობათა“.

საღუთო და წმინდაწერილის განმარტების შემდეგ იძლევა „გარეშე წერილთას“ ახსნას: „გარეშე წერილნი არიან მსოფლიონი ჰამბავნი, ლექსნი და იგავნი რამენი და მისთანანი“. „მსოფლიონი ჰამბავნის“ ქვეშ იგულისხმება საერო მწერლობა და აზროვნება, რაც თავისი შინაარსითა და აზრით საბას განსხვავებული აქვს ურთიერთისაგან.

* პროფ. შ. ნ უ ე უ ბ ი ძ ე, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ. მე-2, გვ. 259.

ცნობილია, რომ საერო-მატერიალისტური მსოფლმხედველობის უდიდესი წარმომადგენელი ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში იოანე პეტრიწია, მან თარგმნა და ორიგინალური კომენტარები დაურთო პროკლე დიადოხოსის „კავშირის“, როგორც იდეოლოგიით მასთან ახლო მდგომმა და თანამოაზრემ. სულხან-საბა ორბელიანი პროკლეს, ქრისტიანეთა დიდი მტერის ეპითეტით აძკობს:

„პორფირის შემდგომად მეორე მტერი დიდი ქრისტიანეთა“.

პორფირზე კი, რომელსაც პროკლეს ადარებს ამავე ლექსიკონში ნათქვამია:

„ფილასოფოსი იყო ტირიელი დიდებულის შვილი, ავრილიანოს კეისრისა ჟამსა, ქრისტიანეთა დიდათ მტერი. ათხუთმეტი წიგნი დაწერა ქრისტიანობის წინააღმდეგ“. თუ გავითვალისწინებთ პეტრიწისა და პროკლეს იდეოლოგიურ სიახლოვეს, სულხან-საბას ზემოაღნიშნული შეფასება, თუმცა არაპირდაპირად, იოანე პეტრიწხელაც ვრცელდება და საბას აზრითაც ის ეკლესიის მსახურთა მოპირდაპირე მსოფლმხედველობის“, „მტერთა“ ბანაკის წარმომადგენლად ევლინება. ამგვარად, საბას, მართლაც, არ შეიძლება „გარკვეული მსოფლმხედველობა“ არ ჰქონოდა და სალექსიკონო მასალა სტიქიურად შეერჩია. საბა არამც თუ შენიშნავს და ურთიერთთგან არჩევს ფეოდალური საქართველოს ამ მსოფლმხედველობრივ მიმდინარეობებს, არამედ თვითონ გარკვეული პოზიცია უკავია. პროფ. შ. ნუცუბიძე საბას შემოქმედების გარჩევისას შემდეგ დასკვნამდე მიდის: „იჩვენება, რომ საბა მსოფლმხედველობრივად ქართული ნეოპლატონიზმის მხარისაყენ არის გადახრილი“.*

საბა იოანე დამასკელის ტექსტსაც, ამ თვალსაზრისით შესწორებულს იძლევა ზოგჯერ თავის ლექსიკონში.

შეუძლებელიცაა, რომ ისეთს დიდ მოაზროვნეს. როგორც საბაა, თავისი გარკვეული პოზიცია არ სჭეროდა და ორ მსოფლმხედველობას შორის საუკუნეობრივი ბრძოლისა და პაექრობის მიღმა დარჩენილიყო.

ზოგიერთ ძირითად ფილოსოფიურ ცნებათა განმარტებაში მკლავნდება საბას ტენდენციები. არსების, მყოფისა და ბუნების განმარტებისას იგრძნობა მატერიალისტური აზროვნების ელემენტები,

* პროფ. შ. ნუცუბიძე, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ. მე-2, გვ. 263.

რომელიც აშკარად განსხვავებულია ქრისტიანული დოგმატიზმისაგან.

„არსება — მყოფთან ნახე. (არსება უკუღ) არს საქმე თავით თვისით მყოფი და არ სხვისა მოქენე შემტკიცებისა მიმართ. ესე იგი არს თავსა შორის თვისსა მყოფი და არა სხვისა შორის მქონებელი ყოფისა. გ ა რ ე შ ე თ ა ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს თ ა განყოფილება თქვეს არსებისა და ბუნებისა. რომლისათვის უსაყერძოესსა ვიეთთამე სახელსდევს გუამად, ხოლო უსაყოველთაოესსა და გარეშემცველსა გუამთასა უწოდეს ბუნებად, ხოლო მარტივ ყოფასა უწოდეს არსება“.* ბუნებას კი ასეთს განმარტებას აძლევს:

„ბუნება არს თვითოეულისა მყოფთაგანისა დასაბამი ძრვისა და მყუდროებისა, ვითარ იგი ქვეყანა იძვრის აღმოცენებად ნაყოფთა. ხოლო მყუდროებას ადგილითი — ადგილად დაწყებისა მყოფობისათვის. ბუნება არა რა არს თენიერ არსებისა, რამეთუ არსებისაგან აქუს ესევეთარი ძალი, რომელი არს ძრვა და მყუდროება და არსება არს მიზეზი ძრვისა და მყუდროებისა მისისა და ითქმის ბუნება მყოფობისათვის, რამეთუ ქეშმარიტი მყოფი საქმე არს ბუნება“.**. ხოლო მყოფი კი — „ზოგადი სახელი არს ყოველთა მყოფთა: ხოლო ესე მყოფი განიყოფების არსებისა მიმართ და შემთხვევითისა: ა რ ს ე ბ ა უკუე არს საქმე თავით თვისით (როგორც ზემოთ ამბობს — მ. შ.) მყოფი და არა მოქენე სხვისა შემტკიცებისა მიმართ ესე იგი არს თავსა შორის თვისსა მყოფი. ხოლო შ ე მ თ ხ ვ ე ე თ ი არს არსებისა შინა ხილული, ვერ შემძლებელი თავსა შორის თვისსა ყოფისა, არამედ სხვისა შორის მქონებელი ყოფისა. ორივე ეს მყოფი არს: ააცა მყოფია, მაგრამ უგვარო“***

როგორც ჩანს, საბა, მიუხედავად იმისა, რომ პორფირისა და პროკლეს თანამოაზრეებს — ნეოპლატონიკებს, „ქრისტიანობის“ დიდათ მტერს უწოდებს. თავისი მსოფლშეგრძნებით მათთან ახლოს დგას, მისი ტენდენციები მათკენ იხრება. და ხშირად თვითვე მიუთითებს პროკლესა და იოანე პეტრიწის შრომაზე, როგორც ძირითად წყაროზე, საკითხის განსამარტავად: „თუ ვრცლად ცნობა გენებოს... კავშირში კპოო“. მართალია, ის საკითხებს ორიგინალურსა და საკუთარ ფორმულირებას ნაკლებად უკეთებს და მასალას თავისი ლექსიკონისათვის, რომელიმე ფილოსოფიური თუ საბუნებისმეტყველო

* სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 196.. გვ. ...

** იქვე, გვ. 46.

*** იქვე, გვ. 235.

ცნების განმარტებისათვის, ძველი ქართული ფილოსოფიური ტრაქტატებიდან იღებს, მაგრამ ეს „აღება“ შერჩევითია და ზოგან, როგორც ზევით ითქვა, მისი მსოფლმხედველობის შესაფერისად შესწორებული. ამდენად სულხან-საბა ორბელიანი შეიძლება მივიჩნიოთ ქართული ფილოსოფიური აზროვნების ძველი ტრადიციების მხოლოდ ერთ-ერთ განმაახლებლად და რამდენიმედ, თუმცა მეტად განსაზღვრულად, განმგრძელებლადაც.*

ანტიკური მატერიალისტური ფილოსოფიის ქრისტიანულ დოგმებთან შეგუების მშვენიერი მაგალითია „გონების“ განმარტება, სადაც: „გონებაცა ჩვენი“, რომელიც „საცნაურ არს მოგონებითა მოსაგონებელთა“, ადვილად თავსდება „გონება ღმერთისა“ და „გონება ანგელოზის“ გვერდით.

„გონება არს სიტყვიერი მხედველობითი საცნაურისა და უცუდავისა სულისა: გონება არს ხედვა უხორცო და დაუშრომელი, მომვლელი ყოვლისა. სამ სახედ ითქმის გონება: გონება ღმერთი, გონება ანგელოზი და გონებაცა ჩვენი, საცნაურ არს მოგონებითა მოსაგონებელითა. თუ ვრცლად ცნობა გენებოს, 20 კავშირში ჰპოო“.**

საინტერესოდ აქვს საბას განმარტებული ორგანიზმის ისეთი რთული ფიზიოლოგიური პროცესები, როგორიცაა ძილი და სიზმარი.

„ძილი არს, აღორთქლება სტომაქისა რა აღვალს ტვნად, შევალს ძარღვთა საგრძნობელთასა და დაქმავს ორღანოთა: თვალთა, ყურთა და ენათასა, ხოლო სხეული თუნიერ ამათსა უქმ იქნების და მღებარე“***

როგორც ჩანს, ძილის წარმოშობის მექანიზმი დაკავშირებული არაა რაიმე „მისტიკურ“ ამბებთან. გარკვევით ნაჩვენებია ცენტრალური ნერვული სისტემის — ტვინისა და გრძნობათა ორგანოების მონაწილეობა ამ ფიზიოლოგიურ პროცესში მათი დროებითი გამოთიშვის (შეკავებითი პროცესების) „დახშობის“ სახით. „აღორთქლება სტომაქისა რა აღვალს ტვნად“ ძალიან გვაგონებს ძილის წარმოშობის ერთ-ერთ დღემდე არსებულ „ტოქსინურ თეორიას“, რომლის მიხედვით ჰუმორალური გზით ტვინამდე მიდის თითქოს ორგანიზმში სიფხიზლისა და სხეულის მოქმედების დროს წარმოშობილი ძილის გამომწვევი ნივთიერება — ტოქსინი.

სიზმარიც ასევე რეალურ ფიზიოლოგიურ პროცესსადაა აღწერილი, რომელიც ძილის დროს ზდება, როგორც „ოთხთა რევმათა მიერ“

* პროფ. შ. ნუცუბიძე. „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ. მე-2, გვ. 264.

** სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა.

*** იქვე.

(ოთხთა რევმათა შესახებ იხ. ქვემოთ) გამოწვეული. სიზმრის წარმოშობაში, სრულიად მართებულად, საბას მოწმობით, მნიშვნელობა ჰქონია ძილის წინ განცდილ ამბებს.

„იქმნების ჩაყოლითა დღისი წადილისა და ნდომისა მიერ... ხოლო საღუთოთა ძილითა ჩვენებასა არა ეწოდების სიზმარი“.

„სიზმარი არს ძალი სულისა მშვნევიერისა და რა ეძინოს სხეულსა, სული მშვნევიერი და სული გონიერი არა მძინარე არს და სული გონიერი ზრახავნ თავსა შორის თვსსა და გონებითა განიცდის რასაცა, იქმნების სიზმარი ოთხთა რევმათა მიერ და იქმნების ჩაყოლითა დღისი წადილისა და ნდომისა მიერ, ხოლო უფროსადრე ეშმაკისა მანქანებითა, ხოლო საღუთოთა ძალითა ჩვენებასა არა ეწოდების სიზმარი“.*

აღსანიშნავია, რომ საბას დროს სიზმრის ფიზიოლოგიური პროცესის ამსახველი სხვადასხვა მეტად მეტყველი სინონიმი ყოფილა გავრცელებული, რომელიც დღევანდელ მეტყველებაში უკვე აღარ გვხვდება. ასეთებია: ძილის — შინა, ძილისშორისნი და მისგან ნაწარმოები სიტყვები: მეძილისშინათა (მესიზმრეთა), ვიძილისშორისე, ვიძილისშინე (სიზმარი ვნახე). იძილისშორისა (სიზმარი ნახა).

გარემოს შეგრძნება, აღქმა გრძნობათა ორგანოების მეშვეობით ხდება, რადგან „გრძნობა ესე არს ძალი სულისა შემატყუებელობითი, ესე იგი არს განმრჩეველობითი ნივთთა“. გრძნობათა ორგანოები კი ნერვების საშუალებით დაკავშირებულია ტვინთან:

„ყოველი ძარღვ მგრძნობელი არს, მგრგული და უჩჩეესი და დასაწყისი ტვინდამ აქუს“. მაშასადამე, გარემოს აღქმისა და შეცნობის ორგანო, ცენტრი არის ტვინის სუბსტანცია. ტვინი გრძნობათა ორგანოების საშუალებით ლებულობს გარემოდან იმპულსებს. საბასათვის ცნობილია გრძნობის 5 ორგანო და საკმაო სიზუსტითაა გარკვეული მათი ფუნქცია.

„საგრძნობელი ასონი, რომლისა მიერ ვიგრძნობთ, არიან ხუთ და გრძნობანიცა ხუთ: პირველი საგრძნობელი თუალი, რომლისა საკუთარ მისა არს ფერი და ადგილი, სადა იყოს სიდიდე და სიმცირე, მოძრაობისა და დგომისა, სიმქისე და სიწყლტუვე, ვაკე და უვაკობა და ესევითარი: მეორე სასმენელიცა მგრძნობელი ბგერათა და კმათა, რამეთუ შეტყუებითა განარჩევს სიმახვლესა და სიგვიანესა და სიდიდესა მათსა: გრძნობა არს ყნოსაცა, რომელ ტვინი ორთქლთა მიერ იგრძნობს სუნელობასა და სიმყრალესა:

* სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა.

გრძნობა არს გ ე მ ო ს ხ ი ჳ ა ც ა, ვითარ სიტყბო, სიმწარე სიმძრე. სიმჟავე სიმლაშე, სიმსუქნე, სიმჰლე და ესევეითარნი: გრძნობა არს შ ე ხ ე ბ ა ც ა: ტფილი, გრილი, ლბილი, მაგარი, მძიმე, სუბუქი, რამეთუ მხოლო შეხებითა ოდენ იცნობებთან ესენი“.*

დაავადების, პათოლოგიის არსი თითქმის ყველა ცივილიზირებულ ქვეყანასა და ეპოქაში ანტიკური დროიდან მე-17—18 საუკუნეებამდე დაფუძნებული იყო. ჰიპოკრატეს ჰუმორალურ-პათოლოგიურ თეორიაზე, რომელიც თავისი დროისათვის მატერიალისტურ მსოფლმხედველობას წარმოადგენდა, საქართველოშიც პროგრესული საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლები, მათ შორის ქართველი ექიმები, იზიარებდნენ და იყენებდნენ ამ თეორიას როგორც ქრისტიანული, ისე სხვა რელიგიური დოგმატიზმის წარმომადგენლებთან იდეოლოგიურ ბრძოლასა და პაექრობაში. ცნობილია, რომ ჭერ კიდევ მე-6 საუკუნეში აბიბოს ნეკრესელმა სპარსელ ცეცხლთაყვანისმცემლებთან პაექრობაში გამოიყენა სამყაროს 4 ელემენტისაგან შედგენილობის თეორია.

ამ თეორიით, სამყარო შედგება მიწის, ცეცხლის, წყლისა და ჰაერისაგან. მათში: მიწა გრილია, წყალი — ნოტიო, ჰაერი — მხურვალე, ცეცხლი — ხმელი. სულხან-საბა ორბელიანიც ყოველგვარი რელიგიური დოგმების დამატებათა გარეშე იზიარებს ამ თეორიას:

„ასო—ელადელთა ხმითა ჰრქვიან კავშირთა. ამისთვის ფილოსოფოსთა მიერ ასონი სახელდებიან: ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქვეყანასა, რამეთუ, ვითარცა ასოთა დასხმითა აღმოიკითხვის სიტყვა და სიტყვათაგან შეიქმნების წიგნი, ეგრეთვე ამა ოთხთა ასოთაგან შეიშზადების სხეული და სხეულისაგან კაცი სრული. ხოლო ამა ოთხთა ასოთა კ ა ვ შ ი რ ა დ სახელსდებენ, ვინათგან მით დაკავშირდებიან ყოველნი ნივთნი“.

თვითეული ამ ასოს. თვისებები მოცემულია სიტყვა „კიდოვნებას“ განმარტებაში:

„კიდოვნება არსებად და ძალად სირათ მთავართა დასაბამი ჰგონე, რომელ არს ქვეყნისა (მიწისა — მ. შ.) სიგრილე, წყლისა სინოტივე, აირის სიმხურვალე, ცეცხლის სიკმელე“.**

ამ ოთხი ელემენტის — „ასოს“ თვისებათა ურთიერთმოქმედება და გავლენა შემდეგნაირად აქვს საბას ჩამოყალიბებული:

* სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა.

** ი ქ ვ ე, გვ. 169.

„სტუქო ესე არს ოთხთა კავშირთა ანაქსენი, აღსვლა, და მობრანი, რამეთუ ქუეყანა გრილი და ხმელი არს; წყალი გრილი და ნოტიო, წყალი სიგრილით ეზიარების ქვეყანასა და ნოტიობით ჰაერსა; ჰაერი ნოტიო და მხურვალი არს, ნოტიობითა ეზიარების წყალსა და სიმხურვალეთა ცეცხლსა; ცეცხლი მხურვალი და ხმელი არს, სიმხურველითა ეზიარების ჰაერსა და სიმხელითა ქუეყანასა“*.

ამ თეორიაზეა დაფუძნებული ადამიანის სიჯანსაღისა და დაავადების არსი, ეტიოპათოგენეზი. სამყაროს მსგავსად ადამიანის ორგანიზმიც 4 ელემენტისაგან შედგება. საბა ორგანიზმის შედგენილობას „რევმაჲს“ უწოდებს და შემდეგი ფორმულირებით აყალიბებს ამ მოსაზრებას:

„რევმაჲ ესე არიან იგი ახონი ცხოველთანი (კაცთანი): მწითური ნალველი, რომელ არს ზაფრა, შავი ნალველი, რომელ არს სევდა, ფელგამი, რომელ არს ბალღამი და სისხლი“.

ამ ოთხ ელემენტთა აღრევა, ჰუმორალურ-პათოლოგიური თეორიის თანახმად, იწვევს ორგანიზმის დაავადებას. მათი წონასწორობა კი — სიჯანსაღეს.

ამგვარად, ორგანიზმის შედგენილობისა და დაავადების არსის საკითხები საკმაოდ დაწვრილებითა და გარკვევითა ჩამოყალიბებული და, რაც მთავარია, იმ დროისათვის მატერიალისტური აზროვნების პოზიციებიდან.

გარდა ზოგადი სამედიცინო ბიოლოგიური საკითხებისა, საბას შემოქმედებაში, განსაკუთრებით მის ლექსიკონში, უხვადაა მოცემული ადამიანის ანატომიის, ფიზიოლოგიის და ნამკურნალო საქმესთან დაკავშირებულ ტერმინთა და ცნებათა განმარტებანი, რომელიც უაღრესად ძვირფას მასალას წარმოადგენს მედიცინის ცალკეულ დარგთა ისტორიისა და ქართული სამედიცინო-საბუნებისმეტყველო აზროვნებისა და ტერმინოლოგიის შესწავლისა და, ხშირად, დადგენის საქმეში.

ზოგადი სამედიცინო-ბიოლოგიური ხასიათის 180-მდე ტერმინი და ცნებაა განმარტებული ლექსიკონში.

ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტერმინები — 50-მდე

დაავადებათა სახელწოდებანი — 160-მდე

დაავადების სიმპტომთა აღმნიშვნელი სიტყვები (მაგალითად, ქოშინი, ხრტიალი, ქუქყუნი, კვნეშა, ბორგა, ბრბუნვა, გარინდება.

* იხ. აგრეთვე განმარტებანი: წყალი (გვ. 442), ცეცხლი (გვ. 416), ჰაერი (გვ. 472), ქუეყანა (გვ. 372).

ფანცქალი, ძვერა, ძმარვა, ძრწოლა; წეწება, ჯლოყინი და მრ. სხვა) — 40-მდე. სამკურნალო მცენარეები — 140-მდე.

წამლეული ფორმებისა და სხვა სამკურნალო-წამლო საშუალებათა (ცხოველური, მინერალური) აღმნიშვნელი ტერმინები — 60-მდე*.

ეს განმარტებანი გარკვეულ წარმოდგენას ჰქმნის მედიცინის ცალკეულ დარგთა და ცალკეულ საკითხთა გარშემო**. ჩვენ არ შევეუდგებით მათ დეტალურ განხილვას, მხოლოდ ვიტყვი: რომ არ გვქონდეს თვით ძველი სამკურნალო ძეგლები, საბას ლექსიკონითაც კი მოხერხდებოდა ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნა მედიცინის განვითარების იმდროინდელ დონეზე. მაგრამ სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში ბევრი ისეთი საკითხია გაშუქებული, რომლებიც საკუთრივ სამედიცინო წყაროებში არ გვხვდება და მხოლოდ საბას ნაწარმოებთა საშუალებით ხერხდება მათი დადგენა. ვისაც შუა საუკუნეების ძველ სამედიცინო ტექსტებზე უმუშავნია, მან იცის თუ რაოდენ ძვირფასია საბას ლექსიკონი, რომ საბას გარეშე რა სირთულესა და ხშირად გამოუვალ მდგომარეობას წააწყდებოდა მკვლევარი ძველ საექიმო ძეგლების ტექსტოლოგიური დამუშავების დროს. საბა, რასაკვირველია, ექიმში არ იყო, არსაიდან ჩანს, რომ მას საექიმო განათლება მიეღოს, მაგრამ უაღრესად ფართო განათლების მქონე საბა, როგორც ირკვევა, გარკვეულ ინტერესს იჩენდა მედიცინისადმი. გარდა ლექსიკონისა ეს დასტურდება საბას სხვა ნაწარმოებებითაც („სიბრძნე სიცრუისა“, „სწავლანი“), სადაც საბას ხშირად მოჰყავს ექიმობასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ამბავი. ევროპაში მისი მოგზაურობის დროსაც შეინიშნება ეს ინტერესი. ხშირად ის უდროობისა და მოუცლელობის მომიზეზებით სტოვებს ზოგიერთი ადგილის ნახვასა და ამბის აღწერას. „სხვებიც მრავალი უცხოები იყო. მაგრამ რადგან ვერ ვნახე,

* საბას „ლექსიკონსა“ და „სიბრძნე სიცრუისაში“ აღწერილ ზოგიერთ საკითხებს შეეხნენ პროფ. მ. სააკაშვილი და ა. გელაშვილი წიგნში „საქართველოს მედიცინის ისტორია“, ტ. III, წიგნი 1, საქმედგამი, 1956.

** საბას განმარტებული აქვს აგრეთვე სიტყვები: სათვალე, ღურბინი, კონო (ფოკუსი), შორსათვალე, დამანი, კიქა, მინა, შუშა, კოგრი, კოგრიონი, თელესკოპი, რაც გარკვეულ წარმოდგენებს იძლევიან ფიზიკური და ფიზიოლოგიური ოპტიკის ზოგიერთ საკითხებზე იმ დროისათვის, რომელთაც ვეხებით შრომაში „ოპტიკისა და მხედველობის კორექციის საკითხები ძველ ქართულ წყაროებაში და ვახტანგ VI-ს „ოპტიკური პარაგრაფები“, და აქ აღარ გავიმეორებთ (იხ. აქვე გვ. 126, 133).

ალარც დაწერე. საქმემ არ მოგვიხდინა ნახვა. არა თუ ჩემი საქმით, სოფლის საქმით“*.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ საავადმყოფოები, ანატომიური მუზეუმები და სხეულთა თავშესაფარები არსად დაუტოვებია უნახავი და აუწერელი. ჩანს, მათი ნახვაც მისი „საქმით“, ე. ი. პირადი დაინტერესებით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ მათი დათვალიერება და აღწერა სრულიად საქმიანი და ოფიციალური იყო, მისი ქვეყნის საქიროებით, „სოფლის საქმით“ გამოწვეული.

იტალიაში საბამ დაათვალიერა ანატომიური და ზოოლოგიური მუზეუმები, სადაც ნახა ფიტულები, ანატომიური მულაჟები და ქანდაკებები:

„ერთი ქვის გათლილი კაცის თავი თავის ხელით აიღო ბალიშზე იდვა... არ ეთქვა ქვა გათლილიაო, ხელითაც მჭეროდა არ დავიჯერებდი, მკვდრის თავისავით იყო სწორე, რაც მკვდრის თავი გინახავს. გარედამ გათლა არ მიკვირს მე. ფერი ძვლისა და შიგნიდან სატვინე, როგორც მკვდრის თავი გინახავს, ისე იყო“**.

ნახა აგრეთვე ადამიანის ემბრიოლოგიური განვითარების ამსახველი სურათები:

„სხვას სახლში ერთის თვის ყმაწვილი მოწყვეტილი, ორის თვისა, სამის თვისა, ოთხის თვისა, ხუთის თვისა და მერმე მართალი ყმაწვილი, სხვა სახლში კაცის მუშია და რაც ფრინველია, ყველას ძვალი: გაშიშვლებული“***.

ერთ-ერთ საავადმყოფოსთან არსებულ აფთიაქს საბა შემდეგნაირად აღწერს:

„მერმე საჭიმოში ეს ვნახე. ოცი ასეთი პორფირის ქვის კურკელი იდგა, თვითო საპალნე მეტი, ზოგში ცოტად ნაკლები ჩავიდოდა, თრიაქფარუხით სავსე იმას ზეით სხვა კურკლის ანგარიში არ მიქნია. მრავალი უცხო წამალი, მაგრამ რათ დამეწერა. ვნახე ვარდის წყლის სახადი, ერთის ცეცხლით შვიდი რიგი სხვადასხვა გამოიხდებოდა, ვნახე სხვა არაყებისა ერთის ცეცხლით ხუთი რიგი გამოიხდებოდა, ვნახე სხვა ძვირფასის არაყებისა, ერთის ცეცხლით სამოცდაექვსი რიგი სხვადასხვა გამოიხდებოდა. ან ხელსაფქვევი, ან ზეთების სახდელი, უცხო რიგები არ ითქმის“****.

ბევრგან დაუთვალიერებია დიდი თუ პატარა საავადმყოფოები.

* სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“, გვ. 115.

** იქვე, გვ. 38.

*** იქვე, გვ. 49.

**** იქვე, გვ. 51.

აღსანიშნავია. რომ 140-საწოლიანი საავადმყოფოს საბა პატარა სა-
ავადმყოფოს უწოდებს:

„და ქსენონი მისთანა ვერსად ვნახე, მომცრო იყო ასორმოცი
კაცისა*“.

ერთ-ერთ სასნეულოში 1200 საწოლი ყოფილა მამაკაცების, ქა-
ლების, ქალწულებისა და ბავშვებისათვის ცალ-ცალკე განყოფილე-
ბებით. ჩანს. იქვე ყოფილა მოწყობილი ფსიქიატრიული განყოფი-
ლებები:

„ორმოცი გიყი და დედმამის უარშიო, მათ ფეხში ბორკილი
ყვარა დაბმულნი იყვნენ... ერთი მღვდელი მათი მასწავლებელი და
მოდღვარი იყო... მათს საყდრის სასმელ საჭმელს მისცემდნენ“.

საბა ხაინტერესო ცნობას იძლევა ფსიქიურად დაავადებულე-
ბთან დამოკიდებულების შესახებ, რომ ისინი „ბორკილ გაყრილები“
იყვნენ დაბმულნი და ექიმის დანიშნულებით მათ ფიზიკური დას-
ჯით „მკურნალობდნენ“:

„კვირაში რამდენიც ექიმს გაერიგებინა, ცემას არ დააკლებდნენ
და ღამით თვითო სენაკში, რკინის ფანჯრებით, შეაგდებდნენ“**.

საბას უნახავს ერთ-ერთი დიდი საავადმყოფო, სადაც ცალკე
იყო თერაპიული (სააქიმო) და ქირურგიული (საჯაროა) განყოფილე-
ბები. ჩანს, ეს საავადმყოფო სასწავლო ბაზაც იყო მომავალი ექიმე-
ბისათვის.

„ათასის სნეულის ლოგინი იყო, მაგრამ ჩვენობას ოთხასსამოც-
დაექვსი სნეული იწვა. ვაჟკაცი ცალკე, ბერი კაცი ცალკე და ყმაწ-
ვილები ცალკე, ქალები ცალკე, ბერები ცალკე. დედაკაცები ცალკე.
აპატიო კაცების ლოგინი სხვაგან იყო. კარგი მორთული ორის მე-
ტი არავინ იყო. მისი სააქიმო და საჯარო გვაჩვენეს. მაგრამ სააქი-
მომ გამაკვირვა. მე ასე მგონია, ასი ქვევრი თვითო საპალნისა სულ
შალამო იყო სხვის გარდა, მე ხომ მეტი მგონია, სხვას წამლებს გარ-
და. თორმეტი კაპუჩინები მსახურებდა. ხუცები არ ვიცი რამდენი.
და ასი მონაზონი ქალწული, რომელიც ავანტყოფთა მომვლელთაგა-
ნი არიან. იმ ქსენონზე მათი მონასტერი ახლო იყო და რიგით გამოვი-
დიან. და მსახურებდიან... და მრავალი მოსწავლე სხვა იყო. ზოგი აქი-
მის შეგირდი, ზოგი ჯარასი, რომ ტანსა და ფეხსაცმელს, საჭმელს მო-
ნასტერი აძლევდა. და სნეულებს ისინი მსახურებენ, და სასწავ-
ლოსაც ასწავლიდენ: წიგნსა ფილასოფოსობასა, აქიმობასა, ჯარაო-
ბასა, სიმდაბლესა, სნეულთ მოვლასა, წამლის კეთებასა, მზარეუ-

* სულხან-საბა ორბელიანი. „მოგზაურობა ევროპაში“, გვ. 54.

** იქვე. გვ. 57.

ლობასა და მის რიგებსა რაც იქ სამსახურია... ორი მკუდარი ესვენა-
იმ დღეს დახოცილიყვნენ“*.

მრავალი სხვა საავადმყოფოც ნახა საბამ: მალთაში 300-საწო-
ლიანი საავადმყოფო, წმინდა მართას მონასტერში დიდი საავადმ-
ყოფო უპატრონოთათვის. ყველა ცალკეულ შემთხვევაში იგი აღ-
წერს იმ ახალსა და განსაკუთრებულს, რასაც ნახულობს ადრე ნა-
ხულ საავადმყოფოთაგან განსხვავებულს. მალთას საავადმყოფოში
საბას ყურადღება მიუქცევია მოწყობილობისა და ინვენტარის მდიდ-
რულობისათვის.

„სამსახურებელი და კურკელი სულ: ქვაბი, სინი, თეფში, ჭამი
სნეულის შარდის გასასვლელი ამდენის კაცისა სრულ ვეცხლი
იყო“**.

ამ სასნეულოში მნიშვნელოვანი ყოფილა აგრეთვე კვების, დიე-
ტის რეგულირება:

„რაც სნეული იწვა, თითო ფიცარი ეკიდა, ნიშანი რომ ეწერა
საქმლის კამაზე. წამოდგა აქიმი, ნუსხა ხელთ ეკირა და უკითხავდა:
ამ სნეულს ეს საქმელი მიართვით, ამას ესო და იმ საქმელს მიართ-
მიდენ“***.

წმინდა მართას მონასტერთან არსებული სასნეულო იმით ჩანს
განსხვავებული დანარჩენთაგან, რომ აქ „მარტოხელა დედების“,
ქორწინების გარეშე დაორსულებულთა ბავშვებს ღებულობდნენ:

„ავი დედაკაცი დაორსულდება, შვილს ვერ წაიხდენს. იქ გზაზე
ერთი ქახრაკია. იმაში თბილად ავია. შიგ ყმაწვილს შეაწვენენ. მოა-
ბრუნებენ, ზარს დაჰკრავენ. ქალები წავლენ... იქ თორმეტი ძიძა იყო
ცამეტ ჩჩვილს ყმაწვილს ზრდიდენ, რომ ყმაწვილი სამის ოთხის კვი-
რისა შეიქნება, გარეთ მისცემენ სხვას ძიძასა. თვეში მარჩილი აქვსთ
და ოთხს წელიწადზე ამათვე მოაბარებს... სამი იმ ღამეს მოეყვა-
ნათ, მე რომ მიველ და რვაასი ქალაქში ებარა“****.

საბა ყველგან ხაზს უსვამს მისთვის საინტერესო მოვლენას.
ერთ მონასტერში მისი ყურადღება იმან მიიქცია, რომ იქ „ეკლესია
და ამისი მონასტერი და სასნეულო სულ მებაღეებმა და მეხილე-
ებმა ააშენეს და გაარიგეს. ვინც იმათი ავად გახდება, იქ დაწვებაო“.
ხალხის მიერ გაშენებული სასნეულობი თავისთავად ფრიად საინ-
ტერესო მოვლენაა.

* სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“. გვ. 110.

** იქვე, გვ. 133.

*** იქვე, გვ. 133.

**** იქვე, გვ. 85, 86.

საბას მოგზაურობიდან ეს მრავალი ამონაწერი ასე ვრცლად იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ხაზი გაგვესვა იმისათვის, რომ ევროპაში და კერძოდ იტალიაში არსებული სამედიცინო სისტემა საბასათვის ღრმა დაინტერესების საგანს წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ მისი ასეთი დაინტერესება, როგორც ზევით ვნახეთ, გამომდინარეობდა მისი ქვეყნის, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე იტალიაში არსებული მაშინდელი სამედიცინო სისტემა, განსაკუთრებით ქართული მედიცინის კარგად მცოდნე ადამიანის თვალით დანახული.

იტალიაში სამედიცინო საკითხებით დაინტერესება უკვე ხანში შესული საბასათვის შემთხვევითი არ იყო. ეს ჩანს არა მარტო მისი ლექსიკონიდან, არამედ ადრინდელი, სიყრმის წლებში შექმნილი ნაწარმოებიდანაც „სიბრძნე სიცრუისა“; სადაც განხილულია აგრეთვე მედიცინასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. მაგრამ საბას შემოქმედებაში გარკვევით შეინიშნება ერთი რამ: ცნობილია, რომ ლექსიკონი და „სიბრძნე სიცრუისა“ საბამ სიყრმეში, „ერისკაცობაში“ დაწერა. „მოგზაურობა“ და „სწავლანი“ კი გვიან — ბერად შედგომის (1698 წელი) შემდეგ. რელიგიის სამსახურში მყოფი (ალბათ პოლიტიკური მოსაზრებებით) საბა ვალდებულია თვლის თავს ბიბლიური ამბებით შეაფერადოს თავისი შემოქმედება, ცალკეული საკითხები სახარებიდან აღებული დოგმებით გახსნას, სწორედ ამიტომაც, რომ „მოგზაურობასა“ და „სწავლანი“ ხშირად სასწაულებრივი განკურნების ამბავია აღწერილი, რომში წმინდა პეტრეს ჯვარცმის ადგილზე აღმართულ ნიშზე, ყოვლად წმინდის ხატს საბას იქ მისვლის დღეს თითქოს „ერთი ათი წლის უსინათლო დედაკაცისათვის თვალი აეხილა და მეორეს დღეს ერთი ეშმაკეული გაკურნა, პირით რკინის კავი წამოეგო და მორჩენილიყო, მრავალს ენახა თვალითა ეს ორივე ზედიზედა“².

„სიბრძნე სიცრუისაში“ და ლექსიკონში კი უფრო რეალური ამბებია აღწერილი, იქ იგრძნობა განათლებული, „საეროდ“ მოაზროვნე „ერისკაცის“ თვალი და აზრი.

„სიბრძნე სიცრუისაში“ საბას აღწერილი აქვს შუა საუკუნეებში მეტად გავრცელებული „მკლავის გახსნით“, „სისხლის გაღებით“ მკურნალობის შემთხვევა.

„ბიძა ჩემი დია ხელოვანი მკურნალი იყო. მალლა დერეფანთა ჯდა. მის სახლის ძირს ფოლორტი იყო. ერთმან ჭაბუკმან ცხენით ქვე გაირბინა. აქიმმან ზე გარდახედა კაცი მისწივა და შეუთვალა —

• სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“, გვ. 27.

მკლავი გაიხსენ. თვარა სისხლი მოგაკედინებსო! — მან ჭაბუკმან მოციქულს აგინა და აქიმი გაკიცხა. რა შინ მივიდა, სისხლი შემოექნა და სიკვდილს ჰმოახლოვდა. რა ბიძა ჩემმან იდროვა, მივიდა ტირილი იყო. შევიდა, მოციქულნი გამოახსნა, ორნივე მკლავნი დაუხსნა და მრავალი სისხლი აღინნა. მორჩა კაცი იგი, და უქებდნენ სიბრძნესა და ცოდნასა მიერთვან**.

ჩანს, „ხელოვანი მკურნალისათვის“ შესაძლებელი ყოფილა ჰიპერტონიული კრიზის ჰაბიტუსით დიაგნოზის დასმა. ამ დროს სცოდნიათ სისხლის გაღების ეფექტიურობა. არა ექიმის მიერ მხატვრულ ნაწარმოებში მოცემული ასეთი აღწერა მიუთითებს მის გავრცელებულობაზე.

„სიბრძნე სიცრუისას“ არაკებში აღწერილია აგრეთვე არა სასწაულებრივი, არამედ რაციონალური მკურნალობის ეფექტურობა მალამოებით, წამლებით. ერთ-ერთ იგავში სამკურნალო წამლად დასახელებულია გველის — „ასპიტის“ შხამი***. მეცნიერი ექიმის დიაგნოსტიკაც ობიექტურ გამოკვლევათა საფუძველზეა დამყარებული: „ერთი კარგი აქიმი იყო. სნეულთან რა მივიდის, სნეულის პატრონი ჭიჭით მის შარდს მიუტანდის, და რა ნახის, სენი ცნის, წამალი მისცის და განიკურნოს“****.

მაგრამ საბამ იცის, რომ მარტო წამლები არაა საკმარისი ავადმყოფისათვის, რწმენა, განწყობილება, სულიერი კმაყოფილება, ფსიქიკური ზემოქმედება მნიშვნელოვან სამკურნალო ფაქტორად ითვლება და ის „ბრძენი მკურნალის“ ერთ-ერთ სამკურნალო საშუალებად გამოიყენება.

„... ამისი ცოდნა მიამა, და მით მოვრჩი. რა სნეულის გულს დიდად იამოს. იგი მორჩეს უსაცილოდ“****.

200—300 წლის წინ ნათქვამი საბას ეს სიტყვები საკვირველად ეხმაურება პავლოვურ მოძღვრებაზე დაყრდნობილ დღევანდელ ფსიქოთერაპიას. საბას იგავების ექიმი პერსონაჟები განსწავლული ექიმები არიან — „ბრძენი“, „მეცნიერი“, „ხელოვანი“, რომლებიც მსჯელობენ დაავადებათა გამოცნობასა და მკურნალობის საკითხებზე, იკრიბებიან ავადმყოფთან, იწვევენ „კონსილიუმს“ და სხვ. საბას იგავებში აღწერილია მთელი რიგი მანიპულაციები და მკურნალობის მეთოდები გაკვირვებას იწვევს. იმდენად დიდია საბას ფანტაზიის დიაპაზონი, რომ ზოგიერთი ოპერაციისა და მეთოდის იდეა მთელი

* სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 85.

** იქვე, გვ. 89 და 120.

*** იქვე, გვ. 129.

**** იქვე, გვ. 86.

საუკუნეებით ადრე აქვს გააზრებული. სანამ მართლა დამკვიდრდებოდა ის მედიცინაში. ასეთ მანიპულაციას ეკუთვნის:

1) თავის ქალის დეფექტის დახურვა (კრანოპლასტიკა) მეტალით. „კაცი ერთი ომში დამწყვდეოდა. თავის ქაში სრულობით დასხვრეული ჰქონდა, იგი ძვალი აღარ მიებმოდა. სრულობით ძვალი გამოვიღე და ძვლის წილ სპილენძი ჩაუდგევე. შედუღდა და მან კაცი მან დიდი ხანი იცოცხლა“*.

აღსანიშნავია, რომ არაორგანული ნივთიერებებით თავის ქალის დეფექტის დახურვის იდეა ნეიროქირურგიაში არც თუ ისე დიდი ხნის წინ დამკვიდრდა და დღესაც მეცნიერული დამუშავებისა და დაზუსტების საკითხს წარმოადგენს.

2) ქსოვილთა ჰეტეროგენური ტრანსპლანტაცია, „მეზობელი ჩემი ხელმარჯვე დოსტაქარი იყო. მეზობელმან ჩემმან წვივი დაიღწა ასე, რომე ძვალი სრულობით დაიფქვა. აღარ შეერთდებოდა. ხორცი გაუქრა. ძვლები გამოუღო და წვივად ვირის წვივი ჩაუვდო. წამლები აყარა. შეადუღა, მოარჩინა და უქვეს ხელოვნება“**.

ქსოვილთა ჰეტეროგენული ტრანსპლანტაციის იდეა დღესაც იდეად და პრობლემადაა დარჩენილი მედიცინაში.

3) კიღურის ამპუტაცია (მოკვეთა), საბას იგავის ერთ-ერთმა პერსონაჟმა მაგისტროსმა „წვივი სრულობით დაიღწა“, რომელსაც „ვერა უწამლეს რა“. როგორც ჩანს, მოიწვიეს დასტაქართა კონსილიუმში. დასტაქარები ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ ცალკე ოთახში გავიდნენ, რათა დაავადების შესახებ მსჯელობა ავადმყოფის გარეშე გაემართათ, მაგრამ „მაგისტროსს ერთი გულითადი მონა ჰყვა... იგი შეუყენა დასტაქართა. — ჩემთვის რას იტყვიანო?“ — მონამ მოისმინა დასტაქართა კონსილიუმის დასკვნა. „დასტაქართ თქვეს: — ხვალ მოვიდეთ, თუ მუხლში მოგვაჭრევინოს, უწამლოთ. და კიდეც მორჩება, თვარა მოკვდება და ხელს ნუ მივყოფთო! — მოვიდა მონა ტირილით და ყველა უამბო. რა მაგისტროს მოისმინა, ასე თქვა. — მე ცალ ფეხს სიცოცხლეს, მოკვდე; დია მიჯობსო! — მრავალი იტირა და მიეძინა“***.

ამ იგავში მეტად საინტერესოა თვით დასტაქართა კონსილიუმის მოწვევის ფაქტი, დაავადების შესახებ მსჯელობა ავადმყოფისგან განცალკევებით. ისიც, რომ გადაწყვეტილებას ოპერაციის (ამპუტაციის) შესახებ მხოლოდ მეორე, ოპერაციის დღეს ეუბნებიან

* სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 85.

** იქვე, გვ. 85.

*** ეს იგავი კიღურის ამპუტაციის შესახებ საბას მოყვანილი აქვს აგრეთვე თავის „სწავლანში“.

ავადმყოფს, რათა წინასწარ ღელვას აარიდონ იგი და. რაც მთავარია თვით გონიერული გადაწყვეტილება ამპუტაციის აუცილებლობაზე. „თუ მუხლში მოგვაქრევენოს უწამლოთ, და კიდევ მორჩება, თვარა მოკვდება და ხელს ნუ მიეყოფთო“ — ე. ი. ამპუტაცია მხოლოდ უკიდურესობის შემთხვევაში კეთდებოდა, როცა კონსერვატულ-გზით მკურნალობის არავითარი იმედები აღარ იყო.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, ერთი მხრივ, საბას დიდ დაკვირვებასა და ცოდნას მედიცინის უაღრესად პრაქტიკულ საკითხებში. მეორე მხრივ მეტყველებს მედიცინის, საექიმო დახმარების კულტურის უაღრესად მაღალ დონეზე, ავადმყოფისადმი ექიმის მიდგომის, ტაქტიკის დახვეწილობასა და სინატიფეზე. თვით კიდურის ამპუტაცია უსათუოდ რეალურად არსებული და გავრცელებული ოპერაციის ანარეკლია საბას შემოქმედებაში. აღსანიშნავია, რომ დღემდე შე-მონახული არც ერთ ქართულ სამედიცინო ძეგლში არაა აღწერილი კიდურის ამპუტაცია.

4) ნარკოზი და მეცლის ღრუს ოპერაცია, რომელიც „სოკოს“ დაავადების ოპერაციულ მკურნალობაში აქვს საბას აღწერილი:

„ჩემმან მასპინძელმან, ქურთისტანის ბატონმან, მე წამიყვანა. დედა მისი თავად ხნიანი დიაცი იყო, და მერმე ასრე თქვეს: — ოცი წელიწადია ასრე არისო და ვერა აქიმმან ვერ უწამლა რაო. — მიველ, ვნახე, უსუსურად იყო, დამკობილ იყო და ღონე არა ჰქონდა: ხორცი დაეყარა, ფერი წასვლოდა, საკმელს ვერ ინელებდა სვლისაგან დავრდომილ იყო, სიტყვა დამძიმებოდა, მაგრამ ცნობა კიდევ კარგი ჰქონდა. გავსინჯე დიდი ზრუნვა შემექმნა. რა მრავალი გულისთქმა შეეკმენ, მის სენის თავი შევიგენ. ღვიძლზედ სოკო დასხმოდა და მას გაეხადა. გაუჭირდა, დავლონდი. ვუთხარ: — ამას ასეთი სენი სჭირს რომ ხნიანიც არ იყოს, ძნელი მოსარჩენია, მაგრამ ჩემს ოსტატობას ვცდი. და მადლი ღმერთსა მეთქი. მათაც ნება დამრთეს. აბანოს გარ სრულობით ნაბადი მოვაკარ და შიგან ფარდაგი დაეკიდე, რომ ნიავი არ შემოსულიყო და ორთქლი დამდგარიყო. შევიყვანე. საძილო წამალი ვასვი. დავაწვირე, მუცელი გავუპე, შიგანი გამოვუშალე. საცა ღვიძლზე ან გვაშზე სოკო ესხა, ამოვთალე, წამლები დავსცხე, ზეთები დავასხი და შიგანი შიგანვე შევუქარი ფე. მის აღგილს დავაწყევე. მუცელი გავუქარი, მაგრად შევუქარ. რა გაეღვიძა. წამლით ხელი შევუწყევე. გავამთელე. მორჩა, გასუქდა. გაკეთდა. დიდად მიქებდნენ ხელოვნებასა და მაქებდნენ ყოველნი. რაც ხანი მუნ დაეყავ, მალხინეს, და კარგის ამბებით შემაქციეს“*.

* სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 90.

მოყვანილი ამონაწერი უაღრესად მრავალფეროვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. საოცარია არა ექიმისაგან მუცლის ღრუს ასეთი რთული ოპერაციის თანმიმდევრული და დეტალური აღწერა. კარგადაა აღწერილი თვით დაავადების ნიშნები. მეტად ბუნებრივადაა ნათქვამი მძიმე და რთული დაავადების ღროს ექიმის პასუხისმგებლობაზე: გავსინჯე, დიდი ზრუნვა შემექნა, რა მრავალი გულისთქმა შეექმენ, მისი სენის თავი შევიგენ, ...გამიჭირდა, დავღონდი... „ათქმევიანებს საბა მძიმე ავადმყოფის წინაშე ჩაფიქრებულსა და რთულ ოპერაციის გადაწყვეტილებამდე მისულ ექიმს.

აქაც მნიშვნელოვანია ექიმის ტაქტიკა ავადმყოფისა და მის ჭირისუფალთა წინაშე: გაფრთხილება დაავადებისა და ოპერაციის სიმძიმეზე, ჭირისუფალთა ნებართვა ოპერაციულ ჩარევაზე გარანტიის გარეშე, ყოველივე ეს ექიმებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების ერთგვარ რეგლამენტაციასა და ტრადიციულობაზე მიუთითებს.

ტექსტიდან ირკვევა მეტად საინტერესო საკითხი სახელდახელო „საოპერაციო ოთახის“ მოწყობის შესახებ:

„აბანოს გარ სრულ ნაბადი მოვაკარ და შიგან ფარდაგი დავკიდე, რომ ნიავი არ შემოსულიყო და ორთქლი დამდგარიყო“. აბანოს საოპერაციოდ გამოყენება მის დახშვითა და ორთქლის დაყენებით პირველად მხოლოდ აქ გვხვდება, არსად ქართულ სამედიცინო ძეგლებსა და წყაროებში არაა აღწერილი. დანამდვილებით შეუძლებელია თქმა, თუ რა მიზანს ისახავდა აბანოს ჰერმეტიულობა და ორთქლი ოპერაციის მსვლელობაში, ეს კი საფიქრელია, რომ აბანოს ცხელი ორთქლი შედარებით სტერილურ ჰაერსა და გარემოს შექმნიდა, რაც, მათი აზრით, უზრუნველყოფდა ინფიცირებისაგან საოპერაციო ოთახისა და მუცლის ღრუს დაცვას. გარდა ამისა, შექმნილი სინესტე და მაღალი ტემპერატურა დაიცავდა ნაწლავებს გაშრობისაგან, მეორე მხრივ ცხელი ორთქლი შექმნიდა სხეულის (ნაწლავების) ბუნებრივი ტემპერატურის შესაფერ სითბოს საოპერაციო ოთახში. დღესაც მუცლის ღრუს ოპერაციის ღროს ჭირურგს ხშირად უხდება ნაწლავებზე სველი და ცხელი საფენების დადება.

საოპერაციო გარემოსა და ოთახის ასეთი დამუშავება, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გონებამახვილობას მოკლებული იმ დროისათვის.

მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მუცლის ღრუს ოპერაციის ჩატარების თვით ფაქტი, და რაც მთავარია, ზოგადი ნარკოზი ძილით. არა ალკოჰოლით, სიმთვრალით გაბრეება, რაც ძველთაგანვე გავრცელებული იყო ქირურგიული მანიპულაციების დროს, არამედ სპეციალური „საძილე წამლით“.

„საძილე წაძალი ვასვიო“ — ამბობს საბას დასტაქარი. ჩანს, ის ძლიერმოქმედი, ღრმა ძილის გამომწვევი საშუალებაა, რადგან მხოლოდ ამ ხანგრძლივი ოპერაციის ჩატარების შემდეგ „გაეღვიძა“ ავადმყოფს. „საძილე წამლები“ სხვაგანაც აქვს საბას ნახსენები: „ერთი ქისა საძილე წამალი“ წაიღო ერთმა კაცმა და ქალებს დააღვივნაო „მოეკიდა საძილე წამალი და ორთავ დაეძინაო“*.

ჩანს, ის იმ დროს რეალურად არსებული და გამოყენებაში მყოფი საშუალებაა. საბას ლექსიკონშიც კი აქვს „დასაძინები“ წამალი ნახსენები და განმარტებული.

ძილის, ნარკოზის ქვეშ ოპერაცია, ვფიქრობთ, იმ დროისათვის უცნობია მედიცინის მსოფლიო ისტორიაში. ვინც მუცლის ღრუს ოპერაციას დასწრებია, უსათუოდ შეამჩნევს საბას აღწერილობის თანმიმდევრობასა და სიზუსტეს;

„შევიყვანე, საძილო წაძალი ვასვი, დავაწვინე. მუცელი გავუპე, შიგანი გამოვუშალე. საცა ღვიძლზე, ან გვამზე სოკო ესხა, ამოვთალე. წამალი დავსცხე, ზეთები დავასხი. შიგანი შიგავ შევუკრიფე, მის-მის ადგილას დავაწყე. მუცელი გავუკერე, მაგრად შევუკარ. რა გაეღვიძა, წამლით ხელი შევუწყე“.

უეჭველია, რომ ასეთი აღწერილობის დამწერს უსათუოდ თვით უნახავს ეს ოპერაცია.

ზემოხსენებული ქირურგიული მანიპულაციები, თავის ქალის დეფექტის დახურვა (კრანიოპლასტიკა). ქსოვილთა ჰეტეროგენული ტრანსპლანტაცია, ლაპაროტომია, მუცლის ღრუში ოპერაციული ჩარევები და ზოგადი ნარკოზი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არც ერთ ქართულ სამედიცინო ძეგლში არაა აღწერილი, რადგან დღემდე შემონახული ძველი სამედიცინო ხელნაწერი წიგნები მხოლოდ „სააქიმონი“ არიან (თერაპიული ცნობარის მაგვარნი). ქირურგია საქართველოში უძველესი დროიდან სრულიად განცალკევებულ დარგს წარმოადგენდა, ძველი „სააქიმო“ წიგნების ავტორები ხშირად მიუთითებდნენ, რომ ესა და ეს მანიპულაცია „სააქიმოსაგან. შორსაა“ და დასტაქრების საქმეაო. თვით საბაც იტალიაში მოგზაურობისას ყოველთვის ცალ-ცალკე ახსენებს „აქიმობასა“ (თერაპიას) და „ჯარაობას“ (ქირურგიას). სამწუხაროდ ქირურგიისა, ანუ „ჯარაობის“ ამსახველი ძველი ქართული სამედიცინო ძეგლები არ შემონახულა

* სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 143.

ანდა დღემდე მიუკვლეველია, და ზემოხსენებულმა ქართული მედიცინის ისტორიისათვის უალრესად საინტერესო ქირურგიულმა მანიპულაციებმა მხოლოდ საბას შემოქმედებაში ჰპოვა ასახვა.

მკურნალობის საკითხებს შეეხება აგრეთვე საბას შემდეგი იგაგები: „ბასრელი მეფე და აქიმი“, „პირდაქცეულ ბმოს მკურნალი“, „ქირმანშაჰის ძე“, „სალათის მკურნალი“, „მტერობით განკურნებულა“. მათში შემონახულია გარკვეული წარმოდგენები ზოგიერთი დაავადებისა და მათი მკურნალობის შესახებ.

საბას შემდგომი, „ბერობაში“ შექმნილი ნაწარმოები „სწავლანიც“* მშვენიერ მასალას იძლევა ჩვენთვის საინტერესოს. „სწავლანი“ უმთავრესად, როგორც თვით სათაური გვიჩვენებს, მხატვრულ-დიდაქტიკური ნაწარმოებია, სადაც თითოეული „სწავლა“ გადმოცემულია საეკლესიო-რელიგიური დოგმების ფონზე, მაგრამ საინტერესოა, რომ ძალიან ხშირად ცალკეული „სწავლის“ საგანი, ცნება (მაგალითად, აღსარების, სიკვდილის, გულისწყრომის, ნდომის, სიძვის, ზვაობის და სხვათა რაობა) განმარტებულია დაავადებებთან და მკურნალობასთან დაკავშირებულ ამბებთან შედარებით. საბა, იხილავს რა რელიგიურ ცნებას, აღსარებას, ქადაგებს მის საკიროებასა და აუცალებლობას: „აღსარება არს განწმედელი სულთა და წარმვლელი ცოდვათა, ვ აკაცისა გვამისა შემწვირიანებულსა განჰბანს აბანო კეთილი, და არღარა დაშთებოს ზ ა მწვირე იგი... ეგრეთვე სულსა შემწიკულებულსა განსწმედს აღსარებისა წარმოქმა“**. ამ სულიერ სწავლათა განმარტებისათვის, დამაჯერებლობისათვის მას მოჰყავს ავადმყოფისა და „სორციელი“ მკურნალის, ექიმის ურთიერთობის შედარება, მიუთითებს, რომ ავადმყოფმა არაფერი არ უნდა დაუფაროს ექიმს დაავადებისა და მისი ცხოვრების პირობებს გარშემო: კაცი „ოდეს დასნეულდეს და ეწყოს ასოთა მისთა ტკივილი, და მოუწოდოს მკურნალსა და ეტყვის ყ სა ნასვამ ნაჭამთა მისთა და ნაქმართა მისთა და ტკივილთა სადა სთრავნ და ვითარ სტკივიან: და არა დაუფარავენ ასოთა მათ სასირცხოთა. და ყ თა საქმეთა მათთა რათამცა მით იკურნა მან. განცხრომილებისა მისისაგან შექმნილი სენი“.

„... უკეთუ კორციელი ასონი ესე დაფარვით აქვთ კაცთა და ბრცხვენიან ხილვისა მისთვის, და ოდეს ტკივილი შეუხდის მკურნალთა უჩუენებს და არღარა სირცხვილეულობს, ამისთვის, რ მის მ რ წამლობითა აქუს სასოება განკურნებისა“***.

* ინახება საქართველოს სსრ სახ. ლიტ. მუზეუმში ხელნაწერის სახით.

** დასახელებული ხელნაწერი, გვ. 12.

*** „სწავლანი“, დასახელებული ხელნაწერი, გვ. 12.

ან კიდევ:

„მკურნალი ოდეს დასნეულდების თვით ვერღარა ჰკურნებს თავსა თვისსა, ა დ სხვასა მკურნალსა მოუწოდს კურნებად“.

ანლა:

„თვით კაცი ვერა იკურნებს ცოდვათა თვისთა, უკეთუ სხვასა არა აღუაროს, ცუდად მაშვრალობს თავით თვისით კურნება“.

ცოდვათა სინანული და გლოვა საბას აზრით გვიან, ფუქია „ცუდ არს სულისათვის“. საჭიროა დროული სინანული საამისოდ წესიერსა და მარჯვე დროს.

„უქამოსა და უდროთა ქამთა ურგებელ და ცუდ არს სულისათვის ცოდუათა სინანული, ა დ ქ ა მარჯვესა და წესიერსა კამს რათა ჰყოს სინანული და გლოვა“*.

სულისთვის „სწავლის“ ეს ცნებაც შედარებული აქვს მკურნალთა და დასტაქართა მიერ დროულად გაწეული საექიმო დახმარებისათვის:

„მკურნალნი და დასტაქარნი წყლულებათა მათ წამალთა და ეპლასტროთა და სალბუნთა მ რ უსწრაფესად და უადვილესად განკურნებს... და ვ ა გვიან რა მოუნახონ მოყუანებად სნეულსა მკურნალი და წყლულსა მას დასტაქარი, და გარდაექცეს სასიკუდინიდ და მოხდეს სიკუდილი, და არღარა ერგოს მის მ რ და უხმარ იქმნეს მოსვლა მკურნალისა და ცუდ წამალნი მისნი მისთვის“**.

საეკლესიო-რელიგიურ თუ ფსიქოლოგიურ ცნებათა განმარტებისათვის პრაქტიკული საექიმო საკითხების გამოყენება კიდევერთხელ მიუთითებს ქართული მედიცინის პოპულარობასა და სულხან-საბა ორბელიანის სამედიცინო საკითხებით დაინტერესებასა და შესაძლებელია, განსწავლულობაზედაც.

ინტერესმოკლებული არაა აგრეთვე ერთი საკითხი, რომელზეც საბა არა ერთხელ ამაზვილებს ყურადღებას: იგი გარკვეულ მნიშვნელობას აძლევს აღზრდასა და ცხოვრებაში ფიზიკურ დატვირთვას, ვარჯიშს, მკაცრ გარემო პირობებთან თანდათანობით შეგუებას, კლიმატური ფაქტორების ზეგავლენას, ორგანიზმის ფიზიკურ გამოწრთობაზე. ადამიანი არ წარმოადგენს ღვთისგან გაჩენილ ერთხელ და სამუდამოდ უცვლელ არსებას, საბასათვის უცხოა ასეთი მეტაფიზიკური დოგმა, ადამიანის ორგანიზმი იზრდება, იცვლება და გარეგანი, ბუნებრივი ფაქტორების გავლენით განიცდის წრთობასა და ცვლილებებს. მსგავსი მოსაზრება „სიბრძნე სიცრუის“ ერთ იგავშიც კი აქვს გატარებული:

* „სწავლანი“, დასახელებული ხელნაწერი, გვ. 36.

** იქვე, გვ. 36.

„დიდი აუზი იყო. ცივის წყლით იდგა და ყინული ეყარა. შიგ
სამისა და ოთხის თვის მეტი და წლისა, ორისა და სამის წლის მარ-
ტვილები ისხდნენ. ზოგი დავიდოდა, ზოგი იწვა... ჩვენი აგებულება
ეარეთ მამა-პაპათ უჩვევიათ და ესრე ვიქმთ. ვინ მოკვდება, მოკვ-
დეს და რომელიც დარჩება მე ძოღან რომ მნახე, მისთანა ჭაბუკი
გამოვაო“*.

საბა გარკვევით აყალიბებს ორგანიზმის გამოწრთობის მიზნით
ხელოვნური გარემო პირობების (სიცივის, ყინულის) შექმნის იდეას.
ცუდ კლიმატურ ფაქტორებსა და ფიზიკურ შრომას მიჩვეულნი, მი-
სი აზრით, იშვიათად ხდებიან ავად, ადვილად იტანენ დაავადებებს:

„იხილე მომკალნი ყანათანი ვ რ მოითმენენ სიცხესა, მზეთასა
და სიგრძესა დღეთასა მუშაკობენ, ცხელთა და ურწყულთა ველთა
შურებიან, ბოროტსა ჰაერსა არა რიდებენ. მაშინ არს დრო სნეულე-
ბისა და ცხრო ხურვებისა, მაშინ არს გესლოვნება ბოროტი გველთა
და მკბენარება ღრიანკალთა... განიცადენით მუშაკნი სიცხეთა და
სიცივეთანი... ვ რ ოფლთა დენითა განაქარვებენ და განდევნიან
უმაშნოთა ჰაერთა და მავნეთა სნეულებათა, და იშვიათ არიან მუ-
შაკნი შრომისა მოთმინენი სნეულ. ა დ რ ლნი უდებენ და მკამელ და
უთმინო არიან, ივინი არიან სნეულნი და მონა მკურნალთა და
მკუნესელ და მევალალე და ვეცალა მოითმენენ სნეულებათა
მათა“**.

საბას „სწავლანში“ ცალკე (23-ე) თავად აქვს მოცემული „სწავ-
ლა... სნეულთა მიხედვისათვის თქმული“, სადაც ქადაგებს ავად-
მყოფთა მოვლისა და ზრუნვის კეთილშობილებაზე;

„განიგულე თუ ვ რ დიდება მოგეცემის ერთისა სნეულისა ხილ-
ვისათვის თუ ვითარი პატიონსება მოგვენიჭების უძლურისა მიხედ-
ვისათვის...“***.

.... და ნუ იტყვით რომ სნება იგი გარდამდებ არს და უკეთუ
შემედა მომკლავს“****.

„სწავლანის“ ამ თავში მრავლადაა მსგავსი ადგილები, სადაც
ავტორი საექიმო ეთიკის გარკვეულ ნორმებსა და რეგლამენტაციას
იძლევა. „სწავლანი“ 41-ე და 45-ე „სწავლა“ განკუთვნილია მთლიან-
ნად ღვინის (ალკოჰოლის) მავნებლობაზე და სიმთვრალეზე („სწავ-
ლა სიმთვრალისათვის“ და „სიმთვრალისათვის თქმული“).

* სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 92.

** სულხან-საბა ორბელიანი, „სწავლანი“, გვ. 21.

*** იქვე, გვ. 70.

**** იქვე, გვ. 72.

სიმთვრალე საბას განმარტებით ხუთგვარია:

„ხუთნი არიან მთვრალობანი, ერთი ღვინისა მიერ და ოთხნი უღვინოდ. უღვინოდ სიმთვრალეში გულისხმობს: სიძვისა გულის-თქმას, ამპარტევენებას, ნდომას, გულისწყრომას. ღვინით სიმთვრალე ანუ „მემთვრალობა“ აღიარებულია როგორც „აღსავსე სიბილწითა, რომლისა მიერ დაეცნენო მრავალნი წმინდანი კაცნი და მის მიერ შთაცვიეს საბრხესა ძნიად განსარინებელსა“*.

აღკოპოლის მავნებლობას საბა ასე აღწერს:

„მემთვრალესა კაცსა... ღვიძლი გაუხურდების, ბუნება დაუ-სუსტდების, სიმთვრალე განეცადების და გვამთა აგებულება სნეუ-ლებით აღევსების, თავის ტკივილი განუმრავლდების, თვალთა სი-წითლე გაუხშირდების... მხედველობა და სინათლე მოაქლდების. ყურნი სმენად დაუმძიმდებიან. გულთა მფლობელობა უსუსურ ექმნებიან, ტვინი დაუთხელდებიან, თავი და კელნი თრთოლასა დაუწყებ“**.

მაგრამ, საბას აზრით, ზომიერად მიღებული ღვინო არაა მავნე-ბელი. პირიქით, მას გარკვეული სარგებლობაც მოაქვს ორგანიზმი-სათვის:

„იტყვიან ვინმე მემთვრალეთაგანნი მაშა რად დაბადა ღვინო ღმერთმან უკეთუ არა ესვათ და არა ვ/ი/ლხინოთ, ჰე ღმერთმან და-ბადა ღვინო კაცთათვის სასმელად და საკურნებლად და კორცთა სა-სიმრთელოდ, არა თუ სამთვრალოდ და გასაშმაგებლად და სასნეუ-ლოდ და სასიკვდილოდ“***.

რასაკვირველია, ღვინის მიღების რეგლამენტაციისა და მისი მავნებლობა-სარგებლიანობის განსაზღვრას ჩვენს შორეულ წარ-სულში, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული მედიცინის, კერ-ძოდ, ჰიგიენის ისტორიისათვის საქართველოში.

კიდევ რამდენიმე ცალკეული ისტორიული ფაქტის დადგენა ხერხდება საბას ნაწარმოებთა საშუალებით. კერძოდ, აღსანიშნავია შემდეგი: რომში მოგზაურობისას საბა ნახულობს მუზეუმს, ექს-პონანტებს შორის მისი ყურადღება მიიქცია თევზის წიბომ:

„თევზის წიბო ვნახე: ოთხი ადლი სიგრძე მეტი იყო. მკლავის უსხო, ბატონის სალაროში ღორის კბილსავით რომ კბილია: ორი მისთანა, მაგრამ იმტოლი ვერ იყო, კაცის თავი გაქვავებული, სოკო გაქვავებული, ეს ქართლშიც მინახავს“.

* „სწავლანი“ გვ. 124.

** იქვე, გვ. 138—139.

*** იქვე.

საბას მიერ ხსენებული „ბატონის სალარი“, სადაც „ღორის კბილსავით კბილი“ ინახებოდა, უსათუოდ რაღაც მუზეუმის მაგვარი ორგანიზაციის არსებობაზე მიუთითებს იმ დროისათვის საქართველოში.

საბას დროს, როგორც მისივე ლექსიკონიდან ირკვევა, „სალარო“ სულ სხვა გაგებით იხმარებოდა. საბა განმარტავს: „სალარო ლართ საუნჯე“. ლარი — ფარჩეულს, ნაქსოვს აღნიშნავს, საუნჯე კი — საქონლის (უსულო საქონლის, ხვასტაგის) შესაკრებელს. ასე რომ, „ბატონის სალაროში“ ძვირფას ხვასტაგთან ერთად ინახებოდა „ღორის კბილსავით კბილი“. საბას „ბატონი“ ვახტანგ მეექვსეა. ვახტანგისათვის, ამ დიდი განათლებისა და ერუდიციის მქონე პიროვნებისათვის სრულიად ბუნებრივი იყო მუზეუმის მსგავსი რამ შეექმნა, ან ყოველ შემთხვევაში სამუზეუმო ექსპონატთა კოლექცია ჰქონოდა თავის „სალაროში“. ვახტანგის მეცნიერული ინტერესების პორიზონტი ძალიან დიდია, სამუზეუმო კოლექციისათვის საქართველოც კარგ ასპარეზს წარმოადგენდა. თვით საბასვე სიტყვით: „კაცის თავი გაქვავებული, სოკო გაქვავებული“ მას ქართლშიაც უნახავს.

სრულიად უცნობია ისტორიული წყაროებით და დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე სამშობიარო სახლების არსებობის საკითხი საქართველოში. საბა თავის ლექსიკონში განმარტავს სიტყვას, რომელიც სამშობიარო სახლის აღმნიშვნელია: „კეიტონი — სამშობიარო სახლი“. ჩვენ არ შევუდგებით სიტყვის „კეიტონის“ ეტიმოლოგიურ ძიებას, შესაძლებელია ის უცხოური წარმოშობისა იყოს. მაგრამ ეს სიტყვა იმდენად „მოშინაურებული“ ყოფილა იმ დროისათვის ქართულში, რომ საბა მას ქართულ სიტყვად მიიჩნევს და საჭიროდ არ ცნობს მიუწეროს, რომ უცხოური სიტყვაა, როგორც აკეთებს ამას, მაგალითად, უცხო წარმოშობის სხვა სიტყვების განმარტებისას. თუ არსებობდა სამშობიარო სახლის აღმნიშვნელი სიტყვები „კეიტონი“, „სამშობიარო სახლი“, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მე-17 საუკუნის საქართველოში არსებობდა თვით სამშობიარო სახლებიც. როგორც ჩანს, დიდებულ ქალთათვის მშობიარობისას სპეციალური სამშობიარო კარებიც კეთდებოდა. სიტყვის „ბადეს“ განმარტებისას საბა ამბობს:

„ბადე... იქმან ბადეთა აბრეშუმთაგან, ბადე — კარავთა ოქრომოპეტალეებულთა დიდებულთა ქალთა სამშობიაროდ“.

სამშობიარო სახლის არსებობა საქართველოში სხვა ისტორიული წყაროებით არსად არ არის დამოწმებული. მხოლოდ იოანე ბაგრატიონის მიერ 1799 წელს გიორგი მეცამეტისადმი წარდგენილ

ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმის პროექტში არის გათვალისწინებული სამშობიარო სახლების გახსნა.

„ეს სახეღვე სამშობიაროები იყოს, რომ თუ ვისმე უქმროს შეემთხვას ორსულობა, იქ მოიმშობიარებოდეს სირცხვილისა გამო-რადგან თავის სახლში ხალხს მოერიდება, და იმა ყმაწვილთ მიუჩენენ ძიდათ“*.

როგორც ჩანს, აქ გათვალისწინებულია სამშობიარო სახლები მხოლოდ ქორწინების გარეშე ორსულთათვის. შესაძლებელია, იოანე ბაგრატიონს სამშობიარო სახლების გახსნის იდეა საქართველოში ადრე, თუნდაც საბას დროს არსებული სამშობიარო სახლებიდან მიეღოს. მაგრამ საბასდროინდელი სამშობიაროები ასეთი სპეციფიკური, მართო ქორწინებისგარეშე ორსულთათვის განკუთვნილი არა ჩანს, ის საყოველთაო, კანონიერ მშობიარეთათვის უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

საბას ლექსიკონით კიდევ ერთი ისეთი მეტად საინტერესო საკითხის დადგენა ხერხდება, რომელიც ერთგვარად გაკვირვებასაც კი იწვევს. საბას თავის ლექსიკონში ცალ-ცალკე, როგორც დამოუკიდებელი დაავადებები შეტანილი და განმარტებული აქვს: ქუნთრუშა, წითელა, ყვავილი, ჩუტყვავილა და ხუნაგი (დიფთერია). ამგვარად:

„ქუნთრუშა, სენია, წითელასა ჰგავს“.

„წითელა, სენია“.

„ყუავილი, სენია“.

„ცუღყუავილა, სენია ყუავილივით“.

„ხუნაგი, სასის გასივება“.

მედიცინის ისტორიაში ცნობილია, რომ ქუნთრუშა და წითელა ერთდარიგვე დაავადებად ითვლებოდა უძველესი დროიდან, მხოლოდ „მე-17 საუკუნის შუა წლებში პირველად ინგლისში მიაქციეს ყურადღება, რომ ქუნთრუშა ცალკე დაავადებაა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს წითელასთან, მე-18 საუკუნეში ქუნთრუშა გამოყოფილ იქნა როგორც დამოუკიდებელი ინფექციური სნეულება“**. წითელა კი, ყვავილთან, ქუნთრუშასთან და პარტახტიან ტიფთან ერთად, ერთ დაავადებად იყო ჩათვლილი, ის არ იყო გამოყოფილი ცალკე ნოზოლოგიურ ერთეულად, მხოლოდ მე-17 საუკუნეში სიდენჰემის მიერ იქნა აღწერილი ის როგორც დამოუკიდებელი ავადმყოფობა.

* იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, 1957 წ. ა. სურგულაძის რედაქციით, გვ. 58.

** პროფ. ნ. ყიფშიძე, „შინაგანი სნეულებანი“, 1942 წ., გვ. 55.

ასევე საუკუნეების მანძილზე ყვავილი და ჩუტყვავილა ერთ და-
ავადებად ითვლებოდა, მხოლოდ მე-19 საუკუნეში ფრანგი კლინი-
ცისტის ტრუსოს მიერ იქნა ჩუტყვავილა გამოყოფილი როგორც
სრულიად დამოუკიდებელი ავადმყოფობა.

დიფთერია კი ბრეტონის მიერ პარიზში, 1821 წელს გამოქვეყ-
ნებული შრომით, ჩამოყალიბდა დაავადების ცალკე ნოზოლოგიურ
სახედ.

მომასადამე, მე-18 საუკუნეში ქუნთრუშა და წითელა, მე-19
საუკუნეში ყვავილი და ჩუტყვავილა, 1821 წელს დიფთერია (ხუ-
ნაგი) ჩამოყალიბდა თანამედროვე მეცნიერულ მედიცინაში რო-
გორც დაავადებათა ცალკეული ნოზოლოგიური სახეები.

საბას ლექსიკონი, როგორც თვით საბა გადმოგვცემს მის ან-
დერძ-ნამავში, დაწერილია მის „ჭაბუქობისა ჟამსა და სიყრმესა“.
საბა დაბადებულა 1658 წელს. მისივე განმარტებით ყრმა ეწოდება
„ათხუთმეტის წლითგან ვიდრე ოცდაათამდე“. თუ მისი ჭაბუქობის
წლებისა და ლექსიკონის შექმნის დროს შევაჯერებთ ერთმანეთს.
ლექსიკონი დაწერილი უნდა იყოს 1688 წლამდე და ზემოხსენებულ
დაავადებათა სახელებიც დიფერენცირებული სახით ამ ხანებშია შე-
ტანილი მასში.

ამგვარად ირკვევა, რომ მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ქარ-
თული მედიცინა უკვე იცნობდა, როგორც ცალკე დაავადებებს,
ცალკე ნოზოლოგიურ სახეებს, დიფერენცირებული სახით: ქუნთ-
რუშას, წითელას, ყვავილს, ჩუტყვავილას და ხუნაგს (დიფთერიას).

უეჭველია, ზემოხსენებული თარიღი გაცილებით უკან გადაი-
წევს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმან, რომ ამ დროისათვის ლექ-
სიკონში ეს დაავადებები წარმოდგენილია წმინდა ქართული ტერმი-
ნოლოგიით. დაავადებათა სახელწოდების შექმნას, ტერმინის დამ-
კვიდრებას, ვფიქრობთ, ძალიან დიდი ხანი (საუკუნეებიც კი) დას-
ჭირდებოდა. ქუნთრუშას თავისი სინონიმიც კი ჰქონდა —
„ვარდკობა“.

ამგვარად, სულხან-საბა ორბელიანის მეტად მნიშვნელოვანი შე-
მოქმედებითი შემკვიდრეობა სცილდება ქართული მხატვრული ლი-
ტერატურის ინტერესების ფარგლებს და მეცნიერების მრავალი
დარგის და, კერძოდ, ერთული სამედიცინო აზროვნების ისტორი-
ისათვის იძლევა მეტად ძვირფასსა და მეტყველ მასალას, რითაც
ხერხდება ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩვენი
კულტურის და, კერძოდ, ქართული მედიცინის ისტორიაში სრულიად
უცნობი ისტორიული ფაქტების დადგენა.

იოანე ბაგრატიონი როგორც მეფე და მისი სამედიცინო შრომები*

იოანე -- ერეკლე II-ის შვილიშვილი, გიორგი XII-ის შვილი, დავით ბაგრატიონის, ტახტის მემკვიდრისა და ცნობილი მეცნიერის უმცროსი ძმა იყო, დაიბადა 1777 წელს, მიიღო კარგი განათლება. სწავლა-განათლებით მეტად დაინტერესებულ ერეკლე მეორის სამეფო ოჯახში. ჯერ კიდევ რუსეთში გადასახლებამდე იგი მთარგმნელობითსა და გამანათლებელ საქმიანობას ეწეოდა. 1791 წელს მას სპარსულიდან უთარგმნია „სელიანიანი“, 1799 წელს შეადგინა და მამას მეფე გიორგი XII-ს წარუდგინა სახელმწიფო რეფორმების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მთელი რიგი დაბალი ტიპის სასწავლებლების გახსნას და თბილისსა, გორსა და თელავში კი — უმაღლესი ტიპის სასწავლებელთა ჩამოყალიბებას, გაზეთის გამოცემას, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გახსნას. ცნობილია აგრეთვე, რომ იოანე თავის ძმასთან დავითთან ერთად მხარდამხარ იბრძოდა სამშობლოს დასაცავად თავისი დიდი ბაბუის ერეკლეს გვერდით და დიდ სტრატეგად ითვლებოდა კიდევ. ი. ბაგრატიონმა იცოდა მრავალი ენა (ქართული, რუსული, სპარსული, გერმანული, ფრანგული, ლათინური). პეტერბურგში გადასახლების შემდეგ (1801) იგი მთლიანად მთარგმნელობითსა და მეცნიერულ მუშაობას მიეცა. თარგმნა რუსულიდან ლოდიკა აბატ კონდილიაკისა (წ. კ. ხელნ. № 1151), შეადგინა „სხვათა და სხვათა სწავლითა შეკრებილებანი“

* შრომა ძირითადად შესრულებულია 1954-1955 წლებში, მაგრამ პუბლიკაცია დღემდე ვერ მოხერხდა. ი. ბაგრატიონის „კალმასობის“ ფრაგმენტების ნაწილი და ზოგიერთი სხვა მასალა შემდეგში მ. სააკაშვილისა და ა. გელაშვილის „საქართველოს მედიცინის ისტორიაში“ (1956, 1960 წწ. ტ. III—IV) არის გამოყენებული, არასრულად, სხვადასხვა საკითხების განხილვისას. ჩვენი ნარკვევით ფრაგმენტების პუბლიკაციასთან ერთად ი. ბაგრატიონის მოღვაწეობისა და მისი სამედიცინო შრომების უფრო სრულყოფილი და თანმიმდევრული შესწავლის ცდას წარმოადგენს.

(ს. ს. ს. პ. № 2196), ენციკლოპედიის მსგავსი დიდი შრომა „სასწავლებლად ყრმათათვის“, საბუნებისმეტყველო მეცნიერების ენციკლოპედია (წ. კ. № 3986), რუსულ-ქართული ლექსიკონი (ს. ს. ს. პ. № 2328), საქართველოს ისტორია, ისტორიული მოთხრობანი (სხვადასხვა ხალხთა შესახებ), მოკლე სამედიცინო ლექსიკონი ქართულ-ფრანკულ-სპარსულ ენებზე, სწავლება ინგლისურ ზნე-ჩვეულებათა შესახებ, ზოგადი ისტორია ორ ტომად, გეომეტრია, არითმეტიკა, სტერეომეტრია, ლონგიმეტრია, ტრიგონომეტრია, უმაღლესი გეომეტრია, ლოგარითმები, ფორტიფიკაცია, არტილერიის ტექნიკა, არქიტექტურა, ბოტანიკა, ნატურალური ფილოსოფია, პოეზია*, დაბოლოს, დიდი ენციკლოპედიური ხასიათის ორიგინალური შრომა „კალმასობა“, რომლის წერა ავტორს 1828 წელს დაუსრულებია. მეტად საინტერესოა ი. ბაგრატიონის შემოხსენებული რეფორმების პროექტი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის სამედიცინო ხასიათის ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებული იყო იოანეს მიერ თავის „სჯულდებაში“ (ასე ეწოდებოდა ამ პროექტს). „სჯულდების“ 27-ე პარაგრაფში ვკითხულობთ:

„იყოს ექიმბაში და ამას ეკითხებოდეს ექიმთა საქმე და ავადმყოფთაც ესე უგდებდეს ყურსა, და ამას ჰყვანდეს მოხელეები, და ჯარებიცა ამის ხელქვეშ იყვნენ“**. მაშასადამე, იოანეს პროექტით, ჯანმრთელობის დარგში გათვალისწინებულია ცალკე უწყება „ექიმბაშის“ (ექიმთა უფროსის) ხელმძღვანელობით, რომელსაც ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის მოხელეები უნდა ჰყოლოდა. „ექიმთა უფროსს“ ევალებოდა როგორც სამოქალაქო „საექიმო საქმე“, ისე სამხედრო-საექიმო საქმიანობა („ჯარებიცა ამის ხელქვეშ იყვნენ“). ცალკე პარაგრაფადაა აგრეთვე გამოყოფილი (პარაგრ. 101) აფთიაქისა და სასნეულოს ჩამოყალიბება:

„სამეფო აფთიაქისათვის და სასნეულოსა. აგრეთვე შეიძლება სამეფო აფთიაქიც ამ სახედ გაკეთდეს და ყოველი წამალი იშოებოდეს გასასყიდლად“***. იოანეს აზრით აფთიაქიც იმ „სახედ“ უნდა „გაკეთდეს“ როგორც წინა პარაგრაფში „სამეფო ღუქნებისათვის“ ჰქონდა დაწესებული. ამის მიხედვით აფთიაქის „ზედამდები უნდა იყოს. სალაროს ნაზირი ზედამდები და ჰყვანდნენ ხელქვეითი მოლარენი“. წამლებს, როგორც სამეფო ღუქანში სავაჭრო სხვა სა-

* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1959 წ. ტ. XXI, პნ 4, გვ. 505, ვ. პარკაძე — „ერთი საკითხი ფიზიკის ისტორიისა საქართველოში“.

** იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, თბილისი, 1957, ივ. სურგულაძის პუბლიკაცია, გვ. 12.

*** იქვე. გვ. 57.

ქონელს, „თავ-თავეთი ფასი უნდა ეწეროს, არც მოაკლდეს და არც მოემატოს და დავთარში, რაც გაიყიდებოდეს, სახელები ანბანზედ იყოს ასსმული და ისე მოსწერდებოდეს ფასი“. როგორც ჩანს, იოანეს საკმაოდ ორგანიზებული „სამეფო“ (სახელმწიფო) აფთიაქის გახსნა ჰქონია გათვალისწინებული. იოანე ითვალისწინებდა აგრეთვე საავადმყოფოს, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა სტრუქტურაში შემავალს:

„აგრეთვე იყოს სასნეულო სახლი გაკეთებული, და შეუძლებელი ვინც იყოს იქ მიიყვანდნენ და მოუვლიდნენ. აგრეთვე უცხო კაცი ვინც იყოს შეუძლებელი“*. ვფიქრობთ, რომ აქ იოანე აყენებს უფასო, სამოქალაქო სტაციონარული დახმარების, საავადმყოფოს გახსნის საკითხს, რადგან ის „შეუძლებელთათვის“ (ღარიბთათვის, არამჭონეთათვის) არის გათვალისწინებული. ამ პროექტში ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც „სამშობიაროების“ გათვალისწინება მიგვაჩინია:

„ეს სახედვე სამშობიარო იყოს, რომ თუ ვისმე უქმროს შეემთხვას ორსულობა, იქ მოიმშობიარებოდეს სირცხვილისა გამო, რადგან თავის სახლში ხალხს მოერიდება და იმა ყმაწვილთ მიუჩენდნენ ძიძათ — ამაზე თავსდეგი უნდა იყოს კარგი კაცი და ღედაკაცი და ჰყვანდეს ყოველი შემეწე“.

იოანე, როგორც ჩანს, ითვალისწინებს სამშობიაროს, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „მარტოხელა დედებისათვის“. ქორწინების გარეშე ორსულთათვის (მშობიარეთათვის) სამშობიარო სახლების გახსნის იდეა იოანე ბაგრატიონს შესაძლებელია საქართველოში ადრე არსებული მსგავსი დაწესებულებებიდან მიეღოს, რადგან, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან ჩანს, ასეთები მართლაც არსებულა წინათ. საბა თავის ლექსიკონში განმარტავს სიტყვას კ ე ი ტ ო ნ ს როგორც „სამშობიარო სახლს“. თუკი არსებობდა სამშობიარო სახლების აღმნიშვნელი სიტყვები „კეიტონი“ (რომელიც იმდენად „მოშინაურებული“ სიტყვაა, რომ საბა მას ჩვეულებისამებრ „უცხოურს“ არ უწერს) და „სამშობიარო სახლი“, მაშასადამე, არსებობდა თვით სამშობიარო სახლებიც. იოანესაგან განსხვავებით, საბას მიერ ნახსენები სამშობიარო სახლები. ქორწინების გარეშე ორსულთათვის კი არაა გათვალისწინებული, არამედ კანონიერ მშობიარეთა სამშობიარო სახლები უნდა იყოს.

* „სჯულდება“, გვ. 58.

როგორც საბასვე ლექსიკონიდან ჩანს, დიდგვაროვან ქალთათვის მშობიარობისას კეთდებოდა სპეციალურად ძვირფასი სამშობიარო კარვები „...იქმან ბადეთა აბრეშუმთაგან, ბადე-კარავთა ოქრო მოპეტალებულთა დიდებულთა ქალთა სამშობიაროდ“, — წერს საბა სიტყვა „ბადეს“ განმარტებისას. ამგვარად, იოანეს მიერ პროექტით ვათვალისწინებული სამედიცინო ხასიათის ღონისძიებები ყველა როდია ქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურისათვის უცხო და ახალი. მნიშვნელოვანია „სჯულდებაში“ აგრეთვე ერთი მეტად ორიგინალური ღონისძიება; იოანეს პროექტით, ქალაქის შუაში უნდა „ეკიდოს მალა ერთი დიდი ზარი“ საგანგებო პირთა „მცველთა“ მეთვალყურეობის ქვეშ და „ოდესცა ავად გაუხდა ვისმეს ვინმე სახლში, ანუ შეუძნელდეს ავადმყოფი... ავადმყოფის პატრონი მივიდეს. რაც ღრო იყოს დარეკოს ის ზარი, მაშინ ექიმიცა... სულ იქ მივიდოდნენ და ის ავადმყოფის პატრონი იქ დახვდება და რომელიც ეჭირება, მას წაიყვანს“, ზარის რეკვა განსხვავებული იქნება სხვადასხვა საჭიროების მიხედვით (ექიმისა, ცეცხლმჭრობისა თუ მღვდლის გამოძახება ან მოსახლეობის თავმოყრა და სხვ.).

მაგრამ მალე საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტი მოხდა და იოანეს პროექტიც მოიხსნა დღის წესრიგიდან, მიუხედავად ამისა, ამ პროექტში ვათვალისწინებული სამედიცინო ხასიათის ღონისძიებანი მაინც უღარესად მნიშვნელოვანია როგორც არა მარტო იოანეს აზროვნების ნაყოფი, არამედ ქართული ყოფისათვის მომწიფებული საკითხები.

იოანეს დიდი ენციკლოპედიური ხასიათის შრომა „კალმასობა“ შეიცავს სამედიცინო ხასიათის ტექსტებს, რაც მისი ავტორის ამ დარგში ინტერესსა და განსწავლულობაზე მიუთითებს და გამოხატავს ზოგიერთ ძირითად სამედიცინო საკითხთა იმდროინდელ გაგებასა და განვითარების დონეს. როგორც ჩანს, იოანე ბაგრატიონისათვის მისი საქმიანობის ეს მხარე არ იყო შემთხვევითი, რადგან, როგორც ერთ-ერთი ხელნაწერიდან ირკვევა, მას ბავშვობიდანვე უსწავლია საექიმო ხელოვნება. პირველი სამედიცინო წიგნის მთარგმნელი ქართულ ენაზე გოდერძი ფირალიშვილი მიმართავს იოანეს თავისი წიგნის* წინასიტყვაობაში:

„უგანათლებულესო მეფის ძეო იოანე, მოწყალეო ხელმწიფე, ვინაჲდგან მარადის მსურს მსახურება უგანათლებულობისა თქვენისა და ვეძიებ მიზეზსა საფუძვლად მსახურებისა, თუმცა ვერა ვპოვე

* კალმასობა, კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1936, ტ. I, გვ. VI—VII.

კმასაყოფელად აღმავსებელი სურვილისა ჩემისა, გარნა ესეცა კნინ მსახურებად შევრაცხე, რომელ არს თარგმნილი ჩემ მიერ აცრა ძროხის ყვავილთა წინადვე დამცველად ბუნებითისა ყვავილისა ვნებისაგან. უწყოდ იესე, რომელ სიყრმი დანვე სათნო გეყოთ სწავლა სააქიმოთა კელოვნებათა და ამად ვიკადნიერე მეცა შრომა აღწერისა ამის მორთმევად თქვენდა. რომელსა შინა ვიხილე მე ფრიად კეთილობითნი სწავლანი ამა ერთისა კელოვნებისათვის, რომელიცა ეამსა ამას ფრიად უსახმარესად შერაცხილ არს ყოველსა ევროპიასა შინა და სასარგებლოდ საზოგადოობისა**.

მაშასადამე, გოდერძის მეშვეობით საშუალება გვეძლევა დავადგინოთ, რომ იოანე ბაგრატიონი სწავლული ექიმი იყო, რომელსაც სიყრმიდანვე ენება, ესურვა „სწავლა სააქიმოთა კელოვნებათა“, აღნიშნული მიმართვა გოდერძი ფირალიშვილისა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ის ზედმიწევნით ახასიათებს თვით გოდერძის და იოანეს პიროვნებებს. გოდერძის, პირდაპირ „სწყურია“ „მსახურება“ იოანეს მიმართ და ეძებს მიზეზს „საფუძვლად მსახურებისა“. მან, როგორც ჩანს, მის სასიამოვნოდ და „გასახარელად“ მონახა სწორედ საქმე „კეთილობითნი სწავლანი“, რომელიც განაწყო „ფრაზების სიმდაბიურით“, თავისი ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ, სწორედ ქართული „საზოგადოებისა“ სასარგებლოდ. გოდერძი გრძნობს, რომ იოანესადმი სასიხარულო „მსახურება“ სწორედ ქართული კულტურისადმი სამსახურია. ეს მაგალითი მშვენიერად ახასიათებს როგორც გოდერძის, ისე თვით იოანეს პიროვნებას. მისი სამედიცინო განათლებისა და საექიმო პრაქტიკული მოღვაწეობის საკითხს თვით იოანე ბაგრატიონიც ენება თავის „სნეულთა ნუგეშში“.

„სნეულთა თვითვე ვკურნებდი. ვინათგან ვისწავლე მკურნალობაც სხვადასხვა სწავლებებისათანა... გლახაკთა დაღრეკილთა და დაკლებულთა თუალთა გინა ხელთა და ფერხთა და გონჯთა ჯუჯათა და უძღურთა და ასაკმცირეთა უძალოთა და სნეულთა მოუვლელთა და პყრობილთა, ძალისა და მონაგებისა და შემოსავლისა ჩემისა ვმსახურებდი“**.

* საქართველოს სსრ სახ. მუზეუმი, ფ. H—2217.

** საქართველოს სსრ სახ. მუზეუმი, ფ. S—254. ტექსტის ხსენებული ფრაგმენტი, ი. ბაგრატიონის მედიცინაში განსწავლულობაზე მტკიცებით. გამოქვეყნებული აქვთ მ. სააკაშვილსა და ა. გელაშვილს. იხ. დასახ. წიგნის (III ტ. 1 წიგნი) გვ. 231.

ამ ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ იოანეს სპეციალური სამედიცინო განათლება ჰქონია მიღებული („ვინათგან ვისწავლე მკურნალობაც სხვადასხვა სწავლებებისათანა“) და ეწეოდა კიდევ საექიმო პრაქტიკულ მოღვაწეობას („სნეულთა თვითვე ვკურნებდი...“).

აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში და ლენინგრადის სალტიკოვ-შინდრინის სახ. ბიბლიოთეკასა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ინახება სამედიცინო ხასიათის საკმარის რაოდენობის ხელნაწერები, რომელთა ავტორები დღემდე დაუდგენელია. მაგრამ ისინი ინიშნებიან, როგორც „იოანე ბაგრატიონის კოლექციიდან“ მიღებული ძეგლები.

აუცილებელია ამ რიგის ხელნაწერთა გულდასმით შესწავლა და მათი ავტორების დადგენა. ვფიქრობთ, ამ ხელნაწერებში არა ერთი იქნება თვით იოანეს ნაშრომი. ამ ხელნაწერთაგან აღსანიშნავია იოანეს სამედიცინო კარაბადინი*, რომელიც, როგორც ჩანს, მას შეუდგენია ადრინდელი, ძველი ქართული სამედიცინო სწავლებისა და ცოდნის საფუძველზე, სადაც უმთავრესად ძველი ქართული კარაბადინების ტერმინები და მკურნალობის მეთოდებია აღწერილი. აქ აღწერილია „თვალში მილის ხმარების“ წესი — იგივე ანტივლახუკომური ოპერაცია, თვალის ლორწოვანი გარსის დაავადება ჯარბა (ტრაქომა), რომელსაც ხმელი შაქრით მოფხეკის საშუალებით მკურნალობდნენ, აღწერილია აგრეთვე დაავადება შაფქორ („ღამით ვერ ხედვიდეს“) — ფუნქციური ავიტამინოზური ჰემერალოპია. ყოველგვრე ამათ ვხვდებით XI—XIII საუკუნეების სამკურნალო ძეგლებში („უსწორო კარაბადინი“, „წიგნი სააქიმოჲ“)**.

აღნიშნული კარაბადინის თვით ტექსტში არ ჩანს იოანე ავტორად, არც მისი ხელწერაა ტექსტის თავსა და ბოლოში. ვეყრდნობით მხოლოდ ალექსი ბაქრაძის ცნობას, რომელსაც ეს კარაბადინი გადაუწერია 1883 წელს. ალ. ბაქრაძე ბოლო მინაწერში ამბობს, რომ მან ეს კარაბადინი გადაწერა „გულსმოდგინედ“ კნეინა ნატალი ერისთავის ბიბლიოთეკიდან, რადგან იცოდა, რომ ის იოანე ბაგრატიონისა იყო, მან შეადარა იოანეს „ხელწერა“ ნესტორ დიმიტრის ძე წერეთლის ოჯახში დაცულ იოანეს „კალმასობის“ ავტოგრაფიულ ვარიანტს და „უცილობლად“ დაადგინა იოანეს ნაწერი. ალ. ბაქრაძის მოსაზრება, ვფიქრობთ, უდავოა და სანდო, იგი დიფერენცირე-

* აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ფ. S—4005.

** იხ. მ. შენგელია, „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“, 1956, საქმედგამი.

ბას უკეთებს ხელნაწერის სხვადასხვა ხელს და კარაბადინის უკანასკნელი ფურცლის გვერდით სქოლიოში უკანასკნელი სათაურის გასწვრივ მიწერილია: „აქ დასრულდა იოანე ბატონიშვილის კარაბადინი, თვით მისივე ნაწერიდამ გადმოვსწერე“. ამ მინაწერის შემდეგ მთელი ტექსტიდან უკანასკნელი თავი გამოყოფილია ხაზით. რომლის ქვემოთ შემომინაწერის ქვეშ იკითხება:

„ეს მუხლი ვიღაცა დედოფლის ან დედოფლის წულის დაწერილი იყო და არა ბატონიშვილის იოანესი“*.

კარაბადინი თავნაკლულია, მოიცავს in folio, წვრილად და მკიდროდ ნაწერ 44 გვერდს. ხელნაწერს ბევრი უნდა აკლდეს. და ის დიდი სამედიცინო კარაბადინის მცირე ფრაგმენტი უნდა იყოს ისოლოდ. ეს ფრაგმენტი ძირითადად თვალის სნეულებებს შეეხება. ვფიქრობთ, წინა ნაწილებში მედიცინის სხვა დარგებშიც იქნებოდა განხილული, რადგან წინა 13 თავში ტრავმული დაზიანებებია აღწერილი, რომელიც დაუსრულებლის შთაბეჭდილებას ტოვებს. შემთხვეული ფრაგმენტი 44 თავისაგან შედგება და შემდეგი შინაარსისაა:

გვერდის ანუ სხვის ასოს გამო-
რუდებისათვის
გველის ნაკბენისათვის
გულის წუთილისათვის
დაქეუისათვის
დათვისაგან დაგლეჯილის
დამწვრისათვის
დაბრუებებისათვის
ეკლის შესობისათვის
ენის ტკივილისათვის
ენის მოჭრისათვის
ვარამისათვის
ვასილისკოსის დაშხამისათვის
თავის გატენისათვის
თვალში მოხვედრებისა
თვალის ქუთუთოს ტკივილისა
თვალის ბინდისა
თვალის თეთრისა

თვალის შავის წყლისა
თვალში მიღის ხმარებისა
თვალის გაფრთხილებისა და
სიფაქრზის
თვალი რომ არა გტვიოდეს, თუ
გინდოდეს
თვალის ტკივილი ოთხი მიზე-
ზისაგან იქნების
საბულა თვალის ტკივილის
სენი
თვალის ტკივილი ჯასულ
ახფოლ
თვალის ტკივილი ჯარაბა
თვალის ტკივილი დამა
თვალის ტკივილი სულაყ
რამა თვალის ტკივილი
ზაფარ თვალის ტკივილი
ღარკა თვალის ტკივილი

* აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მეზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ფ. S—4005.

ცრემლის დენა
ცრემლის დენა ყოვლისფერის
თვალის ტკივილი
თვალის ბეწვის
თვალის ბინდის
თვალში მცირე მუწუკისა
თვალის წინწამოჯდომისა
თვალის დაპატარაებისა
თვალთ სხვადასხვა ფერადის
ხილვისა, ტკივილისა, ტენის

სიმხურვალის, მტვრის ჩაცვივნის
ანუ ქვიშის კილოების წვისა
ლამით ვერ ხედვიდეს
შორს ხედვიდეს და ახლოს
ვერა
თვალის წამწამისა
თვალის მუნისა
თვალის წილის
თუ ფრჩხილი აჩნდეს

როგორც სათაურიდან ჩანს, თვალის სნეულებანი ვრცლად არის წარმოდგენილი. თუ ასეთივე მოცულობით იქნებოდა მედიცინის სხვა დარგებიც განხილული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იოანეს კარაბადინი საკმაოდ სქელტანიანი ყოფილა.

1957 წელს ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ქართული ხელნაწერების აღწერა-შესწავლისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა სქელტანიანმა ხელნაწერმა წიგნმა*, რომელიც როგორც გაირკვა, ერთგვარ „კრებულს“ წარმოადგენს იოანე ბაგრატიონის სამედიცინო ხასიათის შრომებისას. რომელსაც თვით იოანე ბაგრატიონის ავტოგრაფიული წინასიტყვაობა ახლავს თან. კრებულში მოთავსებულია იოანეს როგორც ადრინდელი (საქართველოში ცხოვრების პერიოდის), ისე შემდგომი (პეტროგრადის პერიოდის) დროის შრომები. კრებულის უდიდესი და მნიშვნელოვანი ნაწილი ორიგინალურ შრომას წარმოადგენს, როგორც თვით იოანეს წინასიტყვაობიდან ირკვევა:

„გამოცდილი მკურნალნი ემსგავსების ღმერთსა, ამისათვის ვინაიდგან სნეულსა განამრთელებს და მიზეზ ექმნება მეორედ ცხოვრებისა. ხოლო გამოუცდელი: რაჟცა სნეულობაში სიცოცხლე დარჩომია, მასცა მიუღებს. მაგრამ მე კიდე ეს ვამჯობინე, რადგან საქართველოსა შინა ბევრნი ცუდა ექიმნი იპოებიან, და ანუ ვისაც სურთ ექიმობა, ეს წიგნი იქონიონ, რომლისა გამო თუ სარგებლობას ზარალსა არა ნახვენ. და ამისათვის დაეშვერ ამას ზედა ვინაიდგან მამულისშვილობა, ერდგულობა და სიყვარული მაწვევს მეცა. ა მ ი ს ა თ ვ ი ს შ ე ვ კ რ ი ბ ე ნ ს ნ ე უ ლ ე ბ ა ნ ი ყ ო ვ ე ლ ნ ა ვ ე,

* ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილება ხელნაწერი № 136.

რომელიცა უფრო ჩვენში იპოება და მათთვის შევმზადე წამალიცა. უკეთუ გონიერი კაცი შეხვდეს ვინმე, თვითცა შეიძლებს ამ წიგნის ძალით სნეულობისა ცნობასაც და წამალთა შემზადებასაც. და თუ კიდე ვინმე უმეტეს შესძინებთ ამას ზედა, იგი უმჯობეს იქნება, და რაოდენ შევიძელ წამლებიც, ვითარგმნე რუსულის ენიდან ფრანგული ქართულად და თათრულად და აგრეთვე წონაცა.

მეფის ძე იოანე გიორგისა იგ“.

საინტერესოა იოანეს ხსენებული წინასიტყვაობა იმითაც, რომ ის თვით იოანეს პიროვნებას ახასიათებს, როგორც გამოცდილი ექიმის დიდ შემფასებელსა და თაყვანისმცემელს („გამოცდილი მკურნალი ემსგავსების ღმერთსა“), როგორც თავისი ქვეყნისა და ერისათვის ერთგულსა და მზრუნველს, მგზნებარე პატრიოტს („ამისათვის დაეშვერ ამას ზედა ვინადგან მამულისშვილობა, ერთგულობა და სიყვარული მაწვევს მეცა“).

წიგნი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

„ს ი მ რ თ ე ლ ი ს და ც ვ ი ს ა თ ვ ი ს“. აქ მოცემულია პროფილაქტიკური ღონისძიებანი, ტექსტის ეს ნაწილი 18 გვერდზე წვრილი და მჭიდრო ხელით ნაწერია და 29 პარაგრაფად არის დაყოფილი.

მომდევნო ტექსტი მოთავსებულია 33-დან 202 გვერდამდე, დაყოფილია თავებად, თვით თავები ცალკეულ პარაგრაფებად, პარაგრაფების ნომრები ზაერთთა ტექსტის ამ ნაწილისათვის 180 გვერდამდე. 180-დან 202 გვერდამდე „დედაკაცისა და ყმაწვილის სენათთვის“. პარაგრაფებს ცალკე ნომრები აქვს (31 პარაგრაფი). ამგვარად, სულ ამ ნაწილში 222 პარაგრაფია (191+31). წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იოანეს წიგნის ამ მნიშვნელოვან ნაწილზე, მოვიყვანოთ თვით ავტორისეული სარჩევი:

ცივებისათვის საზოგადოდ.

წამლობისათვის საოფლისა, რომელ არს სახადი.

მუწუქათვის სხვადასხვა სხეულის ადგილთა შინა და იმასთან შეერთებულის ცხელებისათვის.

შინაგანთის მუწუქისა და მისთან შეერთებულის ცივებისათვის.

შინაგანის ცივებისათვის, რომელიცა იქმნება შინა.

ტანისა წყლულისა და ანუ მუწუქისაგან.

დამპალის საოფლისათვის, რომელიცა იქნება

პარტახტითა ანუ უპარტახტით.

ციებისათვის, რომელსა ჰქვიან ცხრო.

სისხლის დენისათვის.

სურავანდისათვის და სხუთა, რომელნიცა გამოჩნდებიან კორც-სა ზედა გარედამ.

თავის ტკივილისათვის.

გულის სნეულობისათვის.

მუცლის ტკივილისათვის.

გარეთის ასოების სნეულებისათვის.

დამატებისათვის ანუ მოკლებისათვის — დედათა წესისა.

წვრილის ყრმათა სნეულებისათვის.

ტექსტის მომდევნო ნაწილის (203—364 გვ.) სათაურია „შინაური აპტეკა“, სადაც განხილულია სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალო რეცეპტები, აქ უხვად არის როგორც ძველ ქართულ მედიცინაში გამოყენებული წამლები, ისე ახალი, ევროპული რეცეპტურიდან აღებული სამკურნალწამლო საშუალებები.

მეტად საინტერესოა და დღესაც მკვლევარები ხალისით იყენებენ იოანეს ს ა მ ე დ ი ც ი ნ ო ლ ე ქ ს ი კ ო ნ ს, რომლის ერთ-ერთი ვარიანტი ამ კრებულშია მოთავსებული (365-დან 468 გვ.-მდე).

„წამალთ სახელნი შეძლებისამებრ ჩვენისა პოვნილნი კარაბადინთაგან, ლათინურისაგან ნათარგმნნი ქართულად, რომელიცა მოიპოვებინა ქართულსა ენასა შინა, წამალთა სახელნი აქა დაიდების. ეგრეთვე სნეულობისაც: ფრანგული, ქართული, თათრული“.

უკანასკნელი თავია ამ კრებულის (გვ. 469—474), იოანეს მიერ პეტერბურგში თარგმნილი, ს ი ც ო ც ხ ლ ი ს გ ა ს ა ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ე ბ ე ლ ი „ე ლ ე ქ ს ი რ ი ს“ თ ვ ი ს ე ბ ა თ ა და მ ო ქ მ ე დ ე ბ ა თ ა შ ე ს ა ხ ე ბ :

„ნუსხა წამლისა ელექსირისა გრძლად მაცოცხლებლისა და თვისებისა მისისა (რომელსა ეწოდების ელექსირა დოლლოი ჟიზნი)“. აქვე იკითხება მინაწერი ვთარგმნე მეფის ძემ იოანემ“.

კრებული სხვადასხვა ხელით არის დაწერილი. პირველი ნაწილის დასაწყისში ვკითხულობთ „ვიწყევ წელსა 1796 აგვისტოს 9-ს გაიოს მოსდოკს“.

216-ე გვერდზე იკითხება:

„დიდება ღმერთს სრულმყოფელსა ყოველთასა, ვჰყავ ბრძანებითა საქართველოს მეფის ძის იოანესითა. ცოდვილმან მონამ სიდამონოვმან იოანემ სრულ იქმნა წელსა 1804 იანვრის 24 ქს უკბ სანქტ-პეტერბურხს“. ამგვარად, ამ კრებულის გადამწერებია გაიოზი და იოანე სიდამონოვი (სიდამონიძე). ტექსტის დიდი ნაწილი კი თვით იოანეს ხელით არის შესრულებული.

ამ მინაწერებიდან ირკვევა კრებულის შედგენის თარიღიც, ის იოანეს პეტერბურგში მოღვაწეობის პირველ ხანებშია შესრულებუ-

ლი, სახელდობრ, 1805—1806 წლებში. აღნიშნული კრებულის ტექსტი შევადარეთ თბილისის ჯანაშიას სახ. მუზეუმში შემონახულ ზემოხსენებულ S—4005 იოანესეულ კარაბადინს* და აღმოჩნდა, რომ მათ შორის საერთო არაფერია. ის იოანეს ცალკე, შედარებით აღრინდელ ნაწარმოებს წარმოადგენს. იოანე ბაგრატიონის აღნიშნული სამკურნალო ხასიათის თხზულებანი საინტერესოა იმიტაც, რომ აქ — ერთი ავტორის თხზულებაში მოქცეულია სამედიცინო აზროვნების გარდამავალი ხანა აღრინდელი — ძველი ქართული ტრადიციული მედიცინიდან ახალ ევროპულ მედიცინისაკენ გადასვლა. იოანე ბაგრატიონს მონაწილეობა მიუღია აგრეთვე ანატომიური წიგნის თარგმნაში ვასილ ჭილაძესა და გოდერძი ფირალიშვილთან ერთად. 1806 წელს მათ უთარგმნიათ გერმანელი ავტორის იოანე-დანიელ პრეისლერის (ნიურნბერგის აკადემიის რექტორის) წიგნი „საფუძვლიანი წარმოდგინება და ნათლად ჩუენება ანატომიისა მხატვართათვის“**. ი. ბაგრატიონი თავის ანდერძ-მინაწერში შემდეგს წერს: „დასრულდა ანატომიის აღწერა სახმარად სამხატროისა, აგვისტოსა ა. წელსა ჩყვ. პეტერბურღსა შინა. დარჩა ეს უთარგმნელად ვასილ მათევიჩს (ჭელიძეს — მ. შ.) და გოდერძი ფირალოვს ვათარგმნინე ეს ანატომია. და ძვლებისა და ხორცის სახელების პოვნაში შევეწიე მეფის ძე იოანე. და ეს ანატომიაც მევე გადავწერე, ქართველთა ერისა და მხატვრობისა მსურველთათვის დავშვერ, რომელ არა თუ მხატვრობას, არამედ ლეომეტრიის ხაზებსაც აცნობებს“***. ანდერძიდან ირკვევა იოანეს როლი და წვლილი ამ საქმიანობაში, თარგმანი მართლაც საინტერესოა, განსაკუთრებით ანატომიური ტერმინოლოგიის თვალსაზრისით.

სამედიცინო-ბიოლოგიურ საკითხებთან ახლოს დგას აგრეთვე იოანეს ორიგინალური ფსიქოლოგიური ტრაქტატი „ძალნი სულისანი“ H—2226). აქ ავტორი განიხილავს „სულიერ ძალებს“, ყურადღებას, „შეთანასწორებას“ (შედარებას), „ჰსჯას“ (მსჯელობას), გონიერებას, მეხსიერებას, სურვილს და სხვ.

* იოანეს № S—4005 და ლენინგრადის 136 ხელნაწერებისა და მისი სამედიცინო ლექსიკონების სხვადასხვა ვარიანტების ასლები თავმოყრილია ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებაში, ამჟამად წარმოებს ვარიანტთა ურთიერთ შეჯერება ტექსტის ამოკითხვა-დადგენა და იოანეს მთელი სამედიცინო-ბიოლოგიური ხასიათის ნაწარმოებთა მომზადება გამოსაცემად.

** მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქ. მედიცინის ისტორია, ტ. III, ნაწ. I, გვ. 102.

*** იქვე. ფრაგმენტი წიგნიდან (ძვლებს აღწერილობა) გამოქვეყნებული აქვთ მ. სააკაშვილსა და ა. გელაშვილს დასახ. წიგნში, იხ. გვ. 102 — 110.

როგორც იოანე ბაგრატიონის ამ შრომის—კალმასობის—ასე სხვა მისი ორიგინალური ხასიათის ნაწერების მიხედვით იოანეს მსოფლმხედველობა, მის უფროს ძმა დავითთან შედარებით, იდეალისტურად გამოიყურება. დავით ბაგრატიონი ცნობილია როგორც ვოლტერის მიმდევარი, მისი იდეების მქადაგებელი და თაყვანისმცემელი საქართველოში, იოანე კი პირიქით, ვოლტერის მგმობელია. მისი აზრით. „ვოლტერის შემდეგნი ღვთისადა წინააღმდეგ არიან და ხელმწიფეთაცა და სჯულისადა“. იგი გმობს როგორც ვოლტერს. ისე „ვოლტერის შემდეგთაც“, ე. ი. ვოლტერის მიმდევრებს, იმის გამო, რომ ისინი „არც ღვთის ყოფასა ასწავლიან და არც სულისა უკვდავებასა“, რის საფუძველზედაც დაასკვნის „ამისთანა სწავლა რა საჭირო არს, რომელიც ასწავლის უწმინდურებასაცა“*.

იოანე თავის „სნეულთ ნუგეშში“** არა ერთგზის იმეორებს შემდეგ სიტყვებს:

„აჲა თქუჴნ ათეისტნო და ნატურალისტნო, და წართჴმა უკუ-მთქმელნო. და მეექუჴნო, და მოკიცხარნო საღმრთო წიგნებისა: ვინ და რომელმან, და რაჲგან აგიძულათ, უღმრთოებად და უსჯულოებად“. როგორც ვხედავთ, ის „ათეისტთა და ნატურალისტთა“ წინააღმდეგ შეგნებულ და პრინციპულ მებრძოლად ჩანს. თვით მკურნალობის საკითხებშიც რაციონალური მკურნალობისა და დაავადებათა ღრმა მეცნიერული (იმ დროისათვის) ანალიზის გვერდით, ის მკურნალობის მაგიურ-რელიგიურ მეთოდებსაც იზიარებს. „სნეულ უკეთუ ქტრისტიანე იყოს წმიდას ადგილს ეკლესიათა შინა და მონასტერთა და ნაწილთ ნაბანით ალოცოს ესენი შეეწევიან მას განკურნებად“***.

„... ამრიგად, ი. ბაგრატიონის მსოფლმხედველობა იდეალისტურია და ფეოდალური არისტოკრატის იდეოლოგიას გამოხატავს. მაგრამ ამავე დროს მას აქვს რიგი პროგრესული შეხედულებებისა: საქართველოს, არსებული სოციალ-პოლიტიკური ვითარების კრიტიკა და მისი რეორგანიზაციის აუცილებლობის აღიარება, განმანათლებელი იდეები, პატრიოტიზმი და სხვ. რაც ი. ბაგრატიონის ნააზრევს დღესაც არ უქარგავს ისტორიულ მნიშვნელობას“****.

იოანე პროგრესულ მოაზროვნედ ჩანს აგრეთვე რიგი სამედიცინო საკითხების განხილვისას. ის მიმართავს რა დიალოგს იოანესა და

* თ. კუკავა, ნარკვევები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, 1956, გვ. 40, 52—53.

** აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერი S—254.

*** ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმი ხელნაწერთა გან-ბა, ხელნაწერი S—4005.

**** თ. კუკავა, დასახ. წიგნი, გვ. 54.

ერეკლეს დროინდელ ექიმ ყარაშვილს შორის, აშკარად მიჯნავს მედიცინასა და ბიოლოგიაში „ძველსა“ და „ახალს“. თუ მისი ადრინდელი ნაწერებით (კარაბადინი S—4005, S—254, H—2226) „ძველთა“ წარმომადგენელია, მისი შემდგომი ნაწერებით (კალმასობა, საბუნებისმეტყველო ენციკლოპედია და სხვ.) ცდილობს გაემიჯნოს ძველსა და ითვისებს „ახალს“, თუმცა მეტად განსაზღვრულად და ადრინდელი მსოფლმხედველობის ფარგლებში. „კალმასობა“ შედგენილია კითხვა-პასუხზე, მედიცინის საკითხებზე კითხვა-პასუხი გამართულია ერთგან იოანე ბერსა და ერეკლე მეფის კარის ექიმ ყარაშვილს შორის. ი. ბაგრატიონს ხსენებული დიალოგი საგანგებოდ აქვს მოთქმებული ძველისა და ახალი მედიცინის წარმომადგენელთა დაპირისპირების მიზნით.

ამ შემთხვევაში იოანე ბერი ახალი რუსულ-ევროპული მედიცინის წარმომადგენელია, ყარაშვილი კი ძველი ქართული მედიცინისა, ი. ბაგრატიონის ტენდენციები იოანე ბერისაკენ არის გადახრილი, მისი მოსაზრებები მიაჩნია ი. ბაგრატიონს პროგრესულად. ის ყარაშვილს კომიკურ მდგომარეობაში აყენებს: ყარაშვილმა ძველი მედიცინის წარმომადგენელმა, „ქარსუარავანდათ“ მიიღო „ეკტის ცემით... დაუეჟილი და დამტკრეული თავი“ და „ფეხებზე წამალს ადებდა“ დაბეჟილი თავის სამკურნალოდ, ამით ი. ბაგრატიონმა იგი „ახალი მედიცინის“ წარმომადგენლის წინაშე სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა. მედიცინის ცალკეული დარგების ჩამოთვლის საპასუხოდ ი. ყარაშვილს ათქმევინებს ავტორი: „ჭერ მე ეგ ამის მეტათ არ გამიგონია და არც მსმენია... მიანბე ეგ, რაც მოთვალე თუ რა არს და ან რასა ნიშნავენ ან მკურნალობა რა არის“. ახალ მედიცინაზე იოანე ბერის საუბრის შემდეგ ი. ყარაშვილმა თვით აღიარა მისი სისუსტე როგორც ექიმისა: „ნეტავი შენ მაინც გბარებოდი და ეგ რაც მიანბე, ყველა გესწავლებინა, მაშინ უფრო კარგი ექიმი ვიქნებოდიო“.

ი. ბაგრატიონმა ამ თვითაღიარებას არ დააჯერა სამეფო კარის ძველი სახელგანთქმული ექიმი და მეტად მწარე. დამცინავი სიტყვები ათქმევინა იოანე ბერის თანამგზავრს ზურაბას: „მამაშენმა და პაპაშენმა რომ ესენი არ იცოდა, რა უჭირდათ, წითელი მიწა, ქინკრის თესლი და ბალბის ფოთლის ხმარება ხომ იცი და რათ გინდა, საექიმო კი აიღე, ვინც გინდა მორჩეს და ვინც გინდა მოკვდეს, ვინ გიკითხავს“.

„ძველისა“ და „ახალის“ ანუ როგორც ი. ბაგრატიონი ამბობს. „აზიურისა“ და „ევროპელთა“ სწავლების აშკარა გამიჯნვა ჩანს აგრეთვე „კალმასობის“ იმ თავში, რომელიც დასათაურებულია „ბუ-

ნგებნის ისტორიისათვის“. აქ მირზასა და იოანე ბერის დიალოგშია მოცემული ეს მოსაზრება. მირზა ეკითხება ბერს: გისწავლიათ თუ არა თქვენ ბუნებითი ისტორიით?

იოანე: დია ვისწავლე.

მირზა: ევროპის გვარზედ თუ აზიის გვარზედ?

იოანე: ჩვენ უფრო ბერძენთა და ევროპელთა გვარი გვაქვს სწავლასა შინა“*.

იოანე ბაგრატიონიც სწორედ თავის „კალმასობაში“ ცდილობს სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხები „ევროპის გვარზედ“ გადმოგვეცეს.

„კალმასობის“ პირველი ნაწილი პირველად 1862 წელს გამოაქვეყნა ისტორიკოსმა დიმ. ბაქრაძემ, შემდეგშიც რამდენიმეჯერ გამოსცეს იგი მკვლევარებმა, მაგრამ სამედიცინო-ბიოლოგიური შინაარსის შემცველი თავები გამოტოვეს. ამგვარად, ტექსტის ეს ნაწილები ჩვენ მიერ ქვეყნდება პირველად აქ, როგორც XIX საუკუნის პირველი ნახევრის, კერძოდ, მისი გარდამავალი პერიოდის (1801—1860 წწ.) სამედიცინო აზროვნებისათვის დამახასიათებელი და ტიპიური.

კ ა ც ი ხ ა თ ვ ი ს

იოანე: კაცი არს გულისხმიერი და მიმომქცეველი დაბადებული, შედგმული მოკვდავისა სხეულისაგან და სულისა უკვდავისა.

ლ — ე: რაჲსთვის დაბადა ღმერთმან კაცი?

იოანე: დამარხვისათვის სჯულისა და სიმართლისა, და სწავლისათვის სოფელსა შინა კეთილის საქმისა, და ღიღებისათვის სახეულისა მისისა.

ლ — ე: რაჲსაგან შედგმულ არს სხეული კაცისა?

იოანე: ცეცხლისა, წყლისა, ჰაერისა და მიწისაგან.

ლ — ე: რა არს სული?

იოანე: სული არს. პსიხი, რომელიცა ჟამიერად კაცთა შორის მწერტელობს ყოველსავე შემეცნებასა, ჰაზრსა, მსაჯულებასა და წინასწარმილებასა, თვინიერ მცირისა მონაწილეობითა სხეულსათა.

ლ — ე: ვითარნი უკვე არიან თვისებანი სულისანი?

იოანე: გულსხმისყოფა, ნება და მეხსიერება.

* კალმასობა, 1948, ტ. 11, გვ. 10.

ლ—ე: რასა შინა ჰმსახურებს კაცსა გულისხმისყოფა?

იოანე: ცნობისათვის ჰეშმარიტებისა.

ლ — ე: რაისათვის ჰმსახურებს კაცსა ნებაჲ?

იოანე: რათა იგი ისწრაფდეს კეთილისადმი და გარეიქცეოდეს ბოროტისაგან.

ლ — ე: რაჲ არს კეთილი და რაჲ არს ბოროტი?

იოანე: კეთილი არს ყოველი იგი, რაჲცა შეგვიქმს ჩვენ კეთილ-შემთხვეულებასა; ხოლო ბოროტი არს იგი, რომელიცა გვეყოფს ჩვენ უბედურად.

ლ — ე: რაჲსადმი შემძლებელი არს მსახურებად მესხიერება?

იოანე: განახლებისათვის ჰაზრთა ნამყოთა ნივთათათვის.

ლ — ე: არა აქვს რა სულსა ჩვენსა კვალად სხვანი ვითარნიმე თვისებანი?

იოანე: უეჭველად მას აქვენ კვალად ხუთნი უკვე გრძნობანი, ესე იგი: ხედვა, ყნოსვა, სმენა, შეხება და გემება.

ლ — ე: რაჲსადმი სახმარ არიან გრძნობანი ესე?

იოანე: საშუალებათა უკვე ამა ხუთთა გრძნობათა სული ჩვენი მიმღებლობს მცნობელობასა არა თუ ოდეს მისთვის, რაჲცა სხეულსა შინა მისსა, არამედ მისთვისაცა, რაჲლაცა გარეშე მისსა იმოქმედებინ.

ლ — ე: ვითარითა უკვე ხატითა მიმღებლობს სული ჩვენი მცნობელობასა მყოფთათვის გარეშე მისსა საგანთა?

იოანე: შეწევითა მხედველობისათა განარჩევს დიდსა მცირისაგან; მყნოსველობითა სცნობს უკვე კეთილ-სუნოვნებასა და საზიზღელთა სუნთა; სმენითა უკვე განარჩევს მაღალთა და დაბალთა ხმიანობათა. შეხებითა გამო სცნობს უთანასწორობასა სხეულისასა, ამოვნებასა და უსიამოვნებასა, ეგრეთვე სითბოსა და სიცივესა; ხოლო გემებისა გამო ჰგრძნობს ტკბილსა და მწარესა, მკავესა და მლაშესა და ესე ვითართა.

ლ — ე: ვითარითა უკვე ხატითა სული ჩვენი მიმღებლობს ესევეითართა შემეცნებათა და ანუ სად არს ადგილი მისი?

იოანე: საშუალობითა ნერვებთათა (ანუ მგრძნობელთა ძარღვებთაგან), რომელნიცა უკვე არიან თანაზიარნი კერძოთადმი გრძნობისა შემადგენელთა, რომელნიცა მიართმევენ მოქმედებათა თვისთა გონებასა, რომელიცა მდგმოებს, ფილოსოფოსთამებრ, უმეტეს ტვინსა შინა, ხოლო ტვინსა მას შინა არს უწყებელი უკვე ადგილი, სადაცა ყოველნი უკვე წევრნი შეერთდებიან და ესე არს ადგილი იგი, სადაცა ხელმწიფებს უკვე სული და

ამა მოქმედებათა ძლით მომპოვნელობს იგი ყოველთა მცნობე-
ლობათა ნივთთათვის, მყოფთა გარეშე მისსა, და მიიღებს უპირ-
ველესსა შემემცნებასა, რომლისა შემსგავსებული ჰყოფს უკვე
გამსჯელობასა, შეცვასა, დამტყიცებასა და ყოველსა მას, რაჟცა-
და მოისწრაფვის სიხარულისადმი მცნობელობისა მისისა*...

დღე შემდგომი

რა ზურაბამ იხილა, უთხრა: ბერო, რა დაგმართებია, სად იყავ
წუხელსაო? მან უთხრა: დამეხსენ, წამალი მიშოვნე რამე, ეს და-
ეეეილი თავი მაწუხებდსო.

ზურაბა: ადრე წავიდეთ იოანე ექიმ ყარაშვილთან, ახლო სდგას
ჩვენზედაო! დიკვანიც გაპყვა, გზაზე უთხრა თავისი ამბავი
ზურაბას და მივიდნენ იოანე ექიმთან. იოანემ იცნო დიაკვანი,
მოიკითხა და უთხრა: ჩვენო ფილოსოფოსო, რა გნებაეს? დი-
აკვანმა აჩვენა თავი დაეეეილი. იოანე ექიმმა უთხრა: ეგ ქარ-
სურავანდია, წითელი ქარი აუღია, და მე ფეხზედ წამალს და-
გაკრავ, რომ ეგ ქვეით ჩაიტანოს ფეხებშიო. მაშინ

ზურაბა: ბატონო აქიმბაშო, ამ დიაკვანს კეტის ცემით აქვს თავი
დაეეეილი და დამტვრეული და თქვენ ფეხებზედ წამალს
ადებთო?

იოანე აქიმი: მართლა ამბობ?

ზურაბა: აჰა, იხილეთ! და მერე (აქიმმა) უთხრა დიაკვანს: და-
ჯე, წამალს რასმე ვიფიქრებ, და მცირე ხანს ვილაპარაკო
რამეო.

დიაკვანი: რაზე გნებავთ უბნობა? და თუ ინებებ აქიმობის
სწავლაზედ ვიუბნოთ.

იოანე: მართლა აქიმობის სწავლისა იცი რამე?

დიაკვანი: ცოტ-ცოტა!

იოანე: აჰა, მითხარ რამე რაც იცოდე!

დიაკვანი: რაჟ არს მკურნალობა ანუ ექიმობა?

აქიმი: სნეულობის წამლობა ვინც იცის, აქიმი არის.

იოანე: არა, მე მაგას არა გკითხავ, მკურნალობა საკუთრად რა
არს და ან მკურნალობისა სწავლისა ხელოვნებანი**.

* ი. ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. I. გვ. 13. 1935.

** ტექსტი „დღე შემოდგომიდან“ ამოღებულია წიგნიდან—ი. ბატონიშვილი
„კალმასობა“, ტ. I, 1935 წ., გვ. 270. ტექსტის დანარჩენი ნაწილი ბოლომდე
იღებულია S ფონდის № 5374 ხელნაწერიდან: გვ. 59r — 66v და „H ფონდის“
№ 2170 ხელნაწერიდან. გვ. 169r — 171; 235v — 236v. „კალმასობის“ გამოცემუ-

აქ იმ მან: სნეულობა უნდა შეიტყოს და წამლების გაკეთება იცოდეს. ეს არის მკურნალის კელოვნება.

იოანე: მე მაგას არ გკითხავ. მე საზღვარს გკითხავ აქიმობისას და ან რაც ჰსწავლები ექირება იმ ექიმს იმასა.

აქ იმ მამ: მითხარ, თუ რასა მკითხავ და ან რა არს ის ჰსწავლები.

იოანე: პირველი—ანატომიის, ანუ აგებულების ცოდნა; მეორე—ფიზიოლოლია; მესამე — პოტოლოლია; მეოთხე — თერაპია; მეხუთე — მატერია მედიკა; მეექვსე — ფარმაკოფია; მეშვიდე — ხირულლია; მერვე — ქიმია, გინა ქიმია; მეცხრე — აკუსერის კელოვნება; მეათე — აპტეკა; მეათერთმეტე — ბოტანიკა; მეათორმეტე — ნატურალი ისტორია; მეცამეტე — ფიზიკა; მეათოთხმეტე — მინეროლოლია.

იოანე ექიმმა: რას ამბობ მაგას, ეგ სულ ბერძნული და ლათინური სიტყვებია, წავალ პატრსა ვკითხავ და რასაც მეტყვის, მოვალ და შენ გეტყვი. ჯერ მე ეგ ამის მეტათ არ გამიგონია და არც მსმენია.

იოანე: უი ჩემთავს, ნუ წახვალთ ახლა პატრთან და ვერც მალე ისწავლით, სხვა დროს ისწავეთ.

აქ იმ მან: მაშ შენ მიანბე ეგ რაც მოთვალე თუ არს და ან რასა ნიშნვენ ან მკურნალობა რა არის.

იოანე: მკურნალობა გინა ექიმობა არს ჰსწავლა განმრთველი განხილვით კაცთა სხეულთასა და გამოწვლილით ცნობა სნეულებათა და გამოკითხუა სნეულისა და ყოვლისა მის ცნობად რადცალა სახმარ იყოფის დაცვისათვის სიმრთელისა და რადცა შესაძლებელ არს ხმევად ღონიერებისა. მოქცევად მისა პირველსავე სიმრთელესა შინა, ოდესცა ვისმე შეხვდების, ვითარმე სნეულება და დაკარგულ ჰყოფს სიმრთელესა თვისსა.

აქ იმ მან: რაოდენ გჯარად განიყოფება ექიმობა?

იოანე: მკურნალობა განიყოფება ორ სახედ: ესე იგი: თეორეტიკებრ და პრაქტიკებრ: გინა აზნაურებითად და მონებითად

ლი ტექსტიდან (ძირითადად) ზოგიერთი ფრაგმენტი არასრულად, როგორც ზემოთ ვთქვით, ციტირებული აქვთ მ. სააკაშვილსა და ა. გელაშვილს. სხვადასხვა საკითხის განხილვისას, წიგნში „საქართველოს მედიცინის ისტორია“ ტ. III, 1956 წ., გვ. 182—185, გვ. 140, გვ. 91—93. მათვე აქვთ ციტირებული ზოგიერთი ხელნაწერის ფრაგმენტები ი. ბაგრატიონის საექიმო განსწავლებისა და მოღვაწეობის შესახებ. გვ. 230—232. მაგრამ რატომღაც ავტორებს ი. ბაგრატიონი XV III საუკუნის მოღვაწედ ჰყავთ მიჩნეული და მთელი მისი სამედიცინო-ბოლოგიური მემკვიდრეობა ამ საუკუნის მედიცინისა და სამეცნიერო აზროვნების ისტორიაში აქვთ განხილული.

ანუ ხედვითად და საქმეთად, ხოლო თეორეტიკებრი განმსჯელობა არს თვისებისათვის სხეულთა კაცისათა და სნეულებათა მისათვის და ეგრეთვე თვისებისათვის და ცნობისა წამალთა, ხოლო პრაქტიკებრი უკუშ პელოვნება არს, გამოცდილება წამალთა შინა და კმევა წამალთა და ცნობაცა მათი სახედობრ და თუ რომელსა შინა სნეულობასა, ვითარნი უკუშ წამალნი იხმარებიან და სარგებლობასა აჩუჭნებს სნეულთა განკურნებისათვის.

აქ იმ მან: მითხარ ანატომია რაჲ არს და ანუ რასა შინა სახმარ?

ანატომიისათვის ანუ აგებულებისათვის კაცისა

იოანე: ანატომია არს სახმარი თვითეულად ცნობისათვის კაცთა სხეულითა, ასოთა და წევრთა გარეგანთა და შინაგანთათვის რა რომელ ანატომია ასწავებს განკუჭთასა და გამოშიგვნასა კაცთა სხეულისასა, კერძო კერძოდ შესაბამიერისა კატითა, იგი განიხილავს ყოველსა უკუშ ნევრსა შემადრგენელსა სხეულისასა, თუ ვითარ აღგებულ არს კაცი და ანუ ვითარ მოქმედებენ ჩასახის სახედ მოძრავნი უკუშ ძარღვნი მაცოცხლებელნი საათის სახედ აღშენებულნი, დამოკიდებულნი ერთიმეორისა ზედა და ამასთან ჰსცნობსა მიზეზთა მათთა, რომელნიცა შემძლებელ არიან დარღუჭვად ანუ გამტკიცებად მისა და უკანასკნელ აჩუჭნებს, თუ ვითართა მოქმედებათა აწარმოებენ მას შინა შესრულნი სხუადასხუა უკუშ სნეულებანი და მტკიცეულებანი.

ფიზიოლოგიისათვის

აქ იმ მან: ფიზიოლოგია რასა ნიშნავს?

იოანე: ფიზიოლოგია, ანუ ფისიოლოგია არს ბერძული უკუშ ლექსი. ერთი უკუშ გუარი ნაწილი მკურნალობისა კელოვნებასა შინა, რომელსა შინა აღწერილ ჰყოფენ თვისებათა ყოველთა, ვითარცა მყართა და მტკიცეთა, ეგრეთვე თხელთა და ლორწოიანთა ნაწილთათვის, შემადრგენელთა კაცობრიობითთა სხეულთა და განსაკუთრებულთა მრთელობათადმი მათისა შედგმულებათა და მაჩუჭნებელი მათი, თუ ვითარ თვითეულნი უკუშ ნაწილნი, ანუ კერძონი, მათ შინა განსაზღვრებულ არიან. ეს სახედვე წესთა და ძალთა (ანუ ჰსჯულთა და ღონიერებათა), რომლითაცა იგინი ერთიცა უკუ

კერძონი და მეორენიცა ნაცუალგებობით ერთი ერთსა თანა მოქმედებენ; და ვითარცა მათ გამო წარმოებს უკუჭ სხეულთა შინა შედგომილებანი, ჭიზიოლოლია ანუ ჰელოვნება ბუნებისათვის კაცთასა შედრგინებულ ჰყოფს შეურყეველსა საფუძველსა, რომლისათვისცა დამტკიცებულჰყოფენ ყოველნი უკუჭ მკურნალობისა მცოდნენი. ხოლო ჭიზიოლოლია სამსა უკუჭ ნივთსა ცხოველობითსა 'კაცთა შორის სხეულისასა და მოქმედებასა მათსა ცხადგვიყოფს შემდგომითარე კატითა, ესე იგი:

1) მტკიცესა ანუ მყარსა გინა მაგარსა ნაწილთა ანუ ჰურჭელთა, რომელსაც უწოდებენ ლათინნი *Solida f. continentia* (სოლიდა კონტინენტია);

2) თხელსა ანუ ლორწოიანსა ანუ წებოიანსა ნივთებობასა, შთამდგარსა მათ შინა *Fluida* (ფლუიდა).

3) ცხოველობითსა ძალსა *Vires Virales* (ჭირეს ჭირალეს), რომლითაცა თითქმის მტკიცენი კერძონი მიღებისა თანა კვეთებიანსა, ლორწოიანთა წარმოებათა გამო, ნაცუალგებობით განიკუჭთებიან და გარე მიმოიქცევიან ანუ თხელთა სხეულთა მათ შორის, ცხოველობითნი მოქმედებანი: ესრეთვე სრულნი უკუჭ სხეულისა მოქმედებანი განღვიძებულ იქმნებიან: და რომელიცა ჰსჩანს ვიდრე თვით მას შინა. ხოლო უუმწვერვალესისა ზომისამებრ ვჰსთქუათ უკუჭ, რომელთათვისმე თხელთა ანუ ლორწოიანთა ნივთებობათა მგებარეთა სხეულთა შინა საზოგადოდ ყოფიან მათი ესრეთ, არს, ვითარცა არსებობა ნაწილთა აღგებულებისა და შემადგენელი სხეულისა (*Coppus organicum* — კორპუს ორღანიკუმ).

პატოლოლიისათვის

აქ იმ მან: რად არს პატოლოლია?

იოიანე პათოლოლია ანუ პატოლოლია არს ბერძული ლექსი რომელიცა არს ესეცა ნაწილი მკურნალობასა ჰელოვნებასა შინა და რომელიცა გვასწავებს თვისებასა ანუ არსებობისა ვითარებასა მტკივნეულებათა და სნეულებათასა და განყოფით მიზეზთა და მოქმედებათა სნეულებათა მათთასა. გარნა ამასაც მოგვითხრობს და გუასწავებს წიგნი ესე პათოლოლია, რომელვანადთგან კაცნი მექონვართ სიცოცხლისა, სიმრთელისა, სნეულებისა, მტკივნეულებისა და სიკუდილისა. ესე ყოველნი არიან საგანნი მკურნალთანი და თანა ამას მკურნალსა, რათამცა ისწავოს ზედმიწევნილებით ცნობა სნეულებათა და მი-

ზეზი მათი. ვინაიდან კაცნი ბუნებისა გამო თვისისა შეეღ-
გომივართ ზემოხსენებულთა საკუთართა ვითარებათა, ყოველ-
ნი უკუშ ამა სიმგრვლისა ქუშ ყანსა ზედა მცხოვრებნი და
ამისთვის თანა ამას მკურნალსა, რათა უწყოდეს, თუ რომე-
ლი სნეულება რომლისა წამლითა განიდევნების: და ესეცა
თუ ერთი სნეული მეორისა სხვის გუარის სნეულსა თანა ვი-
თარ სხვაობას, ანუ ერთი სნეულება მეორეზედ ვითარ სხუაო-
ბას, კუალად არის ეს გუარი უკუშ სნეულება, რომელიც მალე
მორჩების და კიდე გახდების იმითივე ავად. და ვინაიდან
სნეულება არა სხუა რაიმე არს, ვითარცა წინააღმდეგობა სიმრ-
თელისა, მაშასადამე თანა არს, მკურნალსა სწავლად პათოლო-
ლიისა, რათამცა უწყოდეს გამოწვლილვით მტკივნეულებამ
კაცისა და განყოფით ცნობა შორის მრთელისა და სნეულისა
და შორის სნეულისა და მრთელის კაცისა და ამისთვის უნდა
იყოს მკურნალი სავსე ზედ მიწვენილებით.

ა ქ ი მ მ ა ნ: რაჲ არს ტერაპია?

თერაპიისათვის

ი ო ა ნ ე: თერაპია ანუ ტერაპევტიკა გინა ტერაპია არს ბერძული
ლექსი, ესეცა არს ნაწილი მკურნალობისა პელოვნებასა შინა,
რომელიცა მკსჯელობს კანონთათვის მკურნალობისა და კანო-
ნიერად ასწავებს მკურნალობასა და ეგრეთვე ასწავებს ზესთა
ზომისა გარდამატებით წამლობასა სნეულისასა და შემსუბუქე-
ბასა სენისასა, რომელიცა იქმნების განუკურნებელი უკუშ
სნეული.

მატერია მედიკისათვის

ა ქ ი მ მ ა ნ: რაჲ არს მატერია მედიკა?

ი ო ა ნ ე: მატერია მედიკა, ანუ მკურნალობისა ნივთებთა მოთხ-
რობა რომელიცა არს ნაწილი მკურნალობისა პელოვნებასა ში-
ნა, რომლისგამო მსწოდებია სახელიცა ესე: ნივთი მკურნალო-
ბათა, რომელიცა შეიცავს თვის შორის ყოველთა მკურნა-
ლობისა წამალთა მცნობელობასა და რომელნიცა იხმარებიან
წამალნი სამკურნალოთა შინა, სამთა სამეფოთაგან წარმოდ-
გარნი: ესე იგი ცხოველთა, მცენარეთა და მეტალთა. ანუ მად-
ნებთაგან სახმარნი უკუშ წამლობასა შინა ნივთნი მადგანნი
აღსახოცველად სნეულებათა და ზომიერად ხმევაჲ მათი და
რიგზედ უწყება და დაწერა ნუსხისა სნეულებისათვის წამალ-

თა, რომელსაცა მოიღებენ აფთიაქიდან სნეულისათვის სახმართა წამალთა.

ფარმაცოპიისათვის

აქიმმან: რაჲ არს ფარმაცოპეა?

იოანე: ფარმაცოპეია ანუ დისპენსარია არს ბერძული ლექსი. ესეცა ნაწილი მკურნალობისა კელოვნებასა შინა სახმარი, თუ ვითარ ჯერ არს შეზავება წამალთა აბტეკართ გუარზედ და ანუ ექიმისაგან მიწერით შეზავება წამალთა თუ ვითარ ჯერ არს შეაზაონ წამალი სნეულისათვის და ხმევად მათი ესე სახედვე ფარმაცოპია მოუთხრობს რაოდენც სახმარ არიან ბალახნი ანუ სხუანი ნივთნი თვისებასა მათსა და შემზადებასა და ასწავებს აღრჩევასა წამალთასა და განსხუებასა ურთიერთისა შორის.

ხირურლიისათვის

აქიმმან: რაჲ არს ხირურლია?

იოანე: ხირურლია ანუ ჯარობა არს ნაწილი მკურნალობისა კელოვნებასა შინა, რომელიცა გვაძლევს კანონსა, უკუნქცევად ანუ უზომერესად გამრთელებისათვის სხუათა და სხუათა მტკივნეულობათა ანუ დაცემულებათათვის და ეგრეთვე გვცემს ჩუშ გრძობათა განმახვილებასასა ქვეშევრდომთა ტკივნეულებათათვის, ვითარცა დასადებელთა და წასასმელთა წამალთა, ეგრეთვე მტკივნეულთა ასოთა განჭრისა ანუ მოჭრისა და შეხვევათა მათთა და ეგრეთვე გვამცნებს. რათა გამოცდილ ვიყუნეთ ანატომიასა შინა. რათამცა არა შეცთეს განჭრასა შინა წყლულთა ჰორცთასა და არა გაუჭრას მან ძარღვი ანუ სხვანი სავნებელი უკუშ ნევრნი. ხოლო ხირურლიულნი სნეულებანი განიწვალეზიან მრავალთა აღმწერელთაგან ხუთ გუარჯარისხად. ესე იგი, სახელდობრ: დასიებულად, წყლულად და დაჭრილად: მუწუკად სხვადასხვა სახედ: ძვლის მოტეხილად და ამოვარდნილად ანუ ნაღრძობად ძვლისა და ამოზურცებულად, ხოლო რომელნიმე შესძინებენ დაეყილობასა სხეულისასა ძარღვის აყრასა და ესე ვითართა, ხოლო ესეცა თანა არს მკურნალსა, რათა იცოდეს რიგიან: აგრეთვე ჯარამან ექიმობაც იცოდეს: და დაჭრილისა და იარალთა მარჯვედ მმარება. ამასთან უნდა იცოდეს კბილის მოგლეჯა და სისხლის გამოშვებაცა.

აქ ი მ მ ა ნ: რაჲ არს ხიმია ანუ ქიმია?

ი ო ა ნ ე: ხიმია არს ნაწილი ექიმობისა ქელოვნებასა შინა, მკსგავსი თითქმის ძარმაკოპებისა, შესამზადებლად წამალთა დახმარებლად მათთა. ქელოვანი ამისი განერთვის გარდაწყვეტისა ყოფად მარტივთა წამალთა წამლობითა და შესამზადებლად ხიმიურთა წამლებთა სასარგებლოდ, რომელ აწცა ახალნი უკუშ დოხტურნი გამომეძიებლობენ თითქმის ყოველდღივ, სხუადასხუა სახედ შემზადებასა წამალთასა მარტივთა წამლებთა გამო და კუალად მეტალთაგან მეცადინეობენ გამოღებად ზეთისა და სხუტბრ მტვრად გარდაქმნასა და უფრორე ქელოვანი ამისნი მიეწერებიან, ვითარცა თეზაფის მხდელთა და სხუათა და სხუათა ოტკებთა, არაყთა, ზეთებთა და ცეცხლით შესაზავებელთა წამალთა და სპირტებთა და კაპლებთა მხდელთა და დამადნობელთა მეტალთასი. ხიმია აგრეთვე ასწავებს დახსნასა შერევენულთა სხეულთასა და ცნობასა მათსა, რომელთაგანცა იგინი მდგომარეობენ განრჩევასა ცუდთა მათ შორის ნივთთა და გამორჩევასა ანუ გამოღებასა კარგისა ნივთისასა მასვე ნივთთაგან. ხოლო ხიმიური უკუშ ხელოვნება არს, ცნობა ნივთთა თვისებისა საშუალებითა მოქმედებისა მათისა ცეცხლითა და შენიშვნა მათისადმი განკერძოებით ნივთებობისა და ეგრეთვე არს წარმოება ნაკუალგებობით მოქმედება და დაწყობილობათა მათი ნაწილ ნაწილად ურთიერთსა ზედა შესაზავებლად მათდა. ხოლო სხუტბ ხიმია სხუათა მრავალთა აზნაურებითთა ქელოვნებათაცა ეწოდების და არს ბერძული ლექსი.

აკუშერისა ანუ ბებიის ქელოვნებისათვის

აქ ი მ მ ა ნ: რაჲ არს აკუშერის ქელოვნება?

ი ო ა ნ ე: აკუშერ ძრანციციული ლექსია, ნიშნავს ბებიას, ესეცა არს ნაწილი სამკურნალოსა ქელოვნებისა, რათა უწყოდეს მკურნალმან ჟამსა მშობიერობისასა მოხმარება და შეწევნა მშობიერისა და მეტადრე მაშინ, ოდესცა გაუჭირდების შობა, თუ რაჲ ღონე მოიხმაროს და იმ სახით დაიხსნას ყმაწვილი, რომ დაშთეს დედაცა და ყრმაცა ცოცხლად და სხვებცა უწყოდეს ყოველი გუარი ბებიაობისა ჟამსა მუცლის წახდენისასა შეწევნა. ჟამსა ტყუბის შობისასა შეწევნა, ჟამსა მრუდედ მოსვლისა ყმისასა შეწევნა და გასწორება. ჟამსა ველარ შობისასა გამოჭრა

და სხუანი და ეს სახედვე ხმარება იარაღთა მისთა. რომელიცა არს საკუთრად მისთვის ქმნილი და წამლობაჲ .მისი, რაჲცა თვის ესევის მშობიერესა.

აპტეკასათვის

აქ ი მ მ ა ნ: რაჲ არს აპტეკა?

ი ო ა ნ ე: აპტეკა არს სიტყვა ბერძული ესრეთ (აპოთიკა) წარმოებული: ნიშნავს წამალთა საცავსა სახლსა, ხოლო საკუთრად დასაცველსა ანუ დასაწყობელსა, ხოლო ჩუჴნ სახელვსდებთ სახლსა მას წამალთ საცავსა, სადაცა ყოველსა სამკურნალოსა წამალთა შეინახვენ, შეამზადებენ და განყიდიან. ხოლო შემზავებელსა და გამსყიდველსა ამა წამალთასა ეწოდების აპტეკარი, ამის გამო, ვინაჲდგან იგი გამოცდილებით შეამზადებს წამალთა და მიწერილთა მკურნალთაგან სნეულთათვის განრჩევით და ზომიერად შეზავებს და წარუწერსცა თუ რაოდენი და რაოდენ გზის მიიღოს სნეულმან და ამასაც მიეწერების მკურნალობაჲ ესრეთვე აპტიკა ეწოდების ერთსა ყოვლადსა: წიგნსა, რომელსა შინა მოხსენებულ არიან ყოველნი გუარნი სახმარნი წამალნი, სახელდობ, და თვისებაცა მათი აღწერილ და ეგრეთვე შეზავებაცა და წონით მიცემაცა მათი.

ბოტანიკისათვის

აქ ი მ მ ა ნ: რაჲ არს ბოტანიკა?

ი ო ა ნ ე: ბოტანიკა არს ბერძული ლექსი, ნიშნავს ბალახთ მცენარეობასა ანუ მოზრდობასა, ხოლო ბოტანიკა კუალად ნიშნავს ბალახთზესიტყობასა, ანუ საზოგადოდ მცენართ მეტყველები-სა კელოვნებასა, ვითარცა მკურნალთათვის: ეს სახედვე მე-ბოსტნეებთათვისცა და სხუათაცა ყოველთა მოყუარეთა ამა ქელოვნებისათა, ხოლო გამოცდილთა ამა ქელოვნებისათა გამოსცეს განყოფით განსხუაებულნი ნიშანნი, სახელნი და თვისებანი ყოველთა ხეთა, ხილებთა და ბალახებთა და ბუჩქებთა და ყუავილებთაცადა სხუანი და ესრეთვე ხმარება მათი ზომისამებრ სამკურნალოსა ქელოვნებასა შინა ესე გუარითავე ხატითა იწოდებიან ბალისა მუშაკნიცა ბოტანიკოსად ვინაჲდგან უწყიან მათ ბოსტნეულისა და ბალთა ნაყოფთა და ხეხილთა და მწვანი-ლებთა სახელნი და რაოდენიმე თვისებანიცა, ხოლო ახალთა ამაშინა საუკუნეთა ბოტანიკოსთაგან, რაჲცა ნახულ არიან

სხუათა და სხუათა ქუჭყნებთა შორის ძველნი თუ ახალნი პოვენილნი ყოველნი უკუშ გუარნი ხეხილნი, მწვანილნი, ყვავილნი, მდელონი, ბუჩქნი, ხებალახნი და სხუანი მცენარენი, სრულე-ბით არიან პოვენილნი ვიდრე ოცი ათასი სხუა და სხუა უკუშ მცენარი. გარნა თვისება და ხმარება მათი სამკურნალოსა ქელოვნებასა შინა და სხვებ საქმელთა შინა აქუსთ ნაპოვენი ვიდრე ორი ათასამდე სხუადასხუა გუარნი მცენარენი, ხილნი, მწვანილნი თუ სხუა წამლები აღწერილი თვისებით და მოხმარება მათი და ამთ შორისცა არს მოთხრობილ გესლიანთა და მავნებელთა მცენართათვისცა და აგრეთვე განრჩევით, მარგებელთა და სნეულებისა გამდევენელთა მცენარეთა თვისებანიცა და ეგრეთვე გამოხატულნიცა ქალაღსა ზედა თვისთვის სახედ ყოველნი მცენარენი და აღწერილნიცა, რომელი წიგნსა ამას ეწოდების კუალადვე ბოტანიკა.

ნატურალის ისტორიისათვის ანუ ბუნებით ისტორიისათვის

აქ იმამან: რაჲ არს ნატურალი ისტორია?

როანე: ნატურა არს ბერძნული სიტყვა, ნიშნავს ბუნებას, ხოლო ნატურალი ისტორია ნიშნავს ბუნებათ მოთხრობას. თუმცალა ყოველნი ხილულნი ნივთნი ქუჭყანასა ზედა მყოფი და ცათა შინა არიან საკუთრად თვის თვისისა ბუნებისანი: ვითარცა მზე, მთოვარე. ვარსკულავნი, მიწა, წყალი, ცეცხლი და სხუანი: გარნა მე არა ამათთვის მოგითხრობ. არამედ ყოველთა გუართა ცხოველთათვის, ესე იგი, კაცთა, ოთხ ფერხთა, ფრინველთა, თევზთა, კუჭმძრომთა და მწერათათვის, თუ ესენიცა ვითარ იხმარებიან სამკურნალოსა ქელოვნებასა შინა: იხილუ საკუთრად ცხოველთ ბუნების ისტორიასა შინა. ხოლო საექიმოსა მკურნალობასა შინა ამა ცხოველთაგანისანი, რომელთამე იხმარება წამლად: პორცი, რძე, ქონი, სისხლი, ძვალი, ნალველი, ტყავი, შარდი, ჩონჩორიკი, წიპლი, ფაზარნი და ტვინიცა. აგრეთვე თვალი და ფირტვიცა; რქაჲ, ქლიკი, ფრჩხილი, ბალანი, ძუა, კვერცხი და ბუნებული რომელიცა არს მოხსენებულ სამკურნალოთა წერილთა შინაცა. ხოლო ესეცა სათქმელ არს, რომელ ძუშლნი ბუნების მეისტორიენი განწვალებდენ თვრამეტი ათასად სხვა და სხვა საქედ ცხოველთა და ამა რიცხვთა შინაცა კაცთა. თუმცა კაცნი კაცყოფით ერთ ვართ, გარნა სახითა და შესახედავითა, ასაკითა, ტანითა, ფერითა, სახის დაწყობილებითა, დია ვსხუაობთ და რომელსაცა განწვალებენ სამეოცდაერთს გურად. ვჰსთქუათ უკუშ მაგალითი, ვითარცა ინდოელნი, არაბ-

ნი, თეთრნი არაბნი, ყვითელნი არაბნი, ჩინელნი, იაპონელნი. რუსნი, ქართველნი, სპარსნი, ოსმალნი და საფრანგეთისა ქალხნი უკითუ კარგად გავშინჯოთ ყოფაქცევითაც, ხასიათითაც და შესახედავითაც ღია ვსხუბთ და განვერჩევით ერთი მეორეს და სხვანი ეს სახედვე ველურნი უკუშ ხალხნი. აგრეთვე ყოველნი გუარნი ოთხფერხნი დიდნი თუ მცირენი და საშუალნი ირიცხებიან სამი ათასად ქუჭყნიერნი და ზღვასა შინა მყოფნი.

მფრინველნიც სამი ათასად ქუჭყნიერნი და ზღვისა და კიდე აპერსა შინა მყოფნი და მალალთა ხეებთა ზედა მყოფნი, რომელნიც არა ჩამოვლნე ძირსა.

თევზნიცა ყოველნი გუარნი მდინარისა, წყლებთა და ზღვისა და ტბებთა და წყალთა შინა მცხოვრებნი, სხვადასხვაგვარნი ცხოველნი არიან უკუშ სამი ათასნი გუარნი.

ქუჭყარმავალნი ხმელთა და ზღუათა შინა სამი ათასნი გუარნი, უკუშარიან: ბუზნი და მფრინავნი ესე ვითარნი და მწერნი (კალიანი) კუჭყნისა და ზღვისა პეპელნი და სხვანი მკსგავსნი ამათნი არიან სამი ათასნი უკუშ გვარნი: ქიაჭუები მატლნი და ესე ვითარნი არიან უკუშ ქუჭყნისა და ზღვისა და წყალთა სამი ათასნი: ხოლო ყოველნი ესე არიან კაცთათვის სახმარნი და ამისთვის უნდა იცოდე ბუნებით ისტორია, რომ შეუძლო ცნობა, რომელი ცხოელი რას სენში გამოადგება და მარგებელ ექმნება კაცთა და ანუ რომელი არს გესლოვანი და მავნებელი კაცთა.

ქიზიკისათვის

აქიმმან: მითხარ რა არს ქიზიკა?

ივანე: ქიზიკა არს ჰსწავლა, რომელიცა ცხად გვეყოფს ჩუშნ ბუნებითთა გამოცხადებათა და რომელიცა მცნობელობასა და თვისებათა სხეულთასა გუასწავებს და მოგუტემს და მიწევნილ გვეყოფს ჰსჯულთა მათდამი. რა გუარცა უკუშ იგინი მოქმედებენ ურთიერთსაშორის ნაკუალგებობით ანუ ვასხობით. ხოლო სხუბრ განსხვავდების ბუნებითისა ისტორიისაგან. რომელიცა მხოლოდ გუასწავებს ჩუენ მცნობელობასა ბუნებისა წარპობისასა და გუაჩუჭუნებსცა მაგალითთა მათ, რომელთაგანცა იგინი განსხვავდებიან.

აქიმმან: რად არს მინეროლოდია?

იოანე: მინეროლოდია არს რააცა მადანთა შინა მოიპოებინ მეტალნი ანუ მიწანი, ანუ ფაზარნი, ანუ ქვანი და ანუ თვით მე-

ტალნი. ხასიათთა მათთა ცნობა და თუ რომელნი ვითარსა შინა სნეულებათა იხმარებიან ჰსწავლამ მათთვის.

ამჟამად შემოვიდა იოსებ იაკოლიჩი პრუსიელი და გამოცდილი ჰსწავლასა შინა და უთავაზა იოანე ექიმმან და ჰკითხა იოანე ბერის ვინაობა. იოანე ექიმმაც ცხადუყო და აცნობა იოსებას და ამასთანაც რომ ეს მეცნიერი კაცია და მასწავლიდა ჭიჭიკას და კანის ღროს მოხველ. რომ თქუენ უკეთ გამოჰკითხავთ მიზეზთა ჭიჭიკურთა იოსებ იაკოლიჩს დიდად ეამა და უთხრა იოანეს: გნებავთ მცირე რამ გკითხოთ რამე:

იოანე მ: მიბრძანეთ.

იოსებ მან: რადგან ჭიჭიკაზედ უბნობთ, მიბრძანეთ რაოდენ ჰარისხად განიყოფიან საზოგადოდ სხეულნი?

იოანე: ოთხ უკუჭ ჰარისხად, ესე იგი: ელემენტად ანუ ნივთებად: მადანებად, მცენარებად და ცხოველებად და ესე შეადგენს საგანსა ჭიჭიკისასა. ესე სახედვე გჰასწავებს იგი ცნობასა მიზეზისა ყოველთა ჭენომენტთა (გამოჩინებათა) ბუნებისათა, ვითარცა ქუჭყანასა ზედა, ეგრეთცა ცათა შინა.

იოსებ მან: რაოდენთა რაცხვჭნ უპირველესთა სტიხოთა ანუ ნივთთა ქუჭყანათა ზედა.

იოანე: ოთხთა, ესე იგი: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი, რომლისა გამო ურთიერთსა შორის შეზავებითა იწარმოებიან მეტეორნი ანუ ჰაერიშ შინა გამოცხადებანი.

იოსებ მან: რაა არს მეტეორი ანუ ჰაერთა გამოცხადება?

მეტეორთათვის ანუ ჰაერთა გამოცხადება

იოანე: მეტეორი არს, ყოველი იგი, რააცაღა იშობების ჩუჭნისა მთოვარისა ქუჭშე ატმოსფერასა შინა, ესე იგი ჰაერსა გარეშე შემცუჭლსა ჩუჭნსა, ხოლო სიტყვა ესე მეტეორია ნიშნავს ბერძელისა ენითა აღზიდულსა ნივთსა აჰაერსა შინა და მეტეორნი უკუჭ განიწვალებიან ორ სახედ: ცეცხლოვანად და აჰაეროვანად.

იოსებ მან: რაა არს ჰაერი?

აერისათვის

იოანე: აერი არს ნივთი გინა სხეული წვლილი, გრილი, ნოტიო და კმელი არა მექონი სუნისა და არცა ფერის, ცეცხლსა ზედა უმძიმესიც ხოლო ქუეყანისა და წყალთა უმსუბუქესი, აღმოფშვინვისა და კმაყოფისა ჩუჭნისა მიზეზი და ესეოდენ განცმული, რომელ არცაღა თუ იხილვების, არცა შევრდომილ არს გრძნობათა

ქუჭშე ჩუჭნთა და არს მხოლოდ შესახებულ, რომლისა გამო ვსწნთქამთ ღაუცხრომელად, ვიყნოსთ და ვისმენთ და ვხედავთ და რომელ განფენილ არს ყოველგან გარემოს ქუჭყნისა სიმრგვლეთა ზედა შემწყყნარებელი არს სითბოსი და სიგრილისა, სიციხისა და ყინვისა, სიხშოსი და სინოტიოსი, ეს სახედვე შემწყყნარებელია ნათლისა და ბნელისა, ხოლო ჰაერი ბუნებისამებრ თვისისა არს მკურვალი, გარნა განგრილების მეზობელ ქმნითა წყლისა და მიწისათა. ესრეთ რომელ ქუჭყნისა კერძო აჰაერნი არიან გრილ, ხოლო ზენაჲთ კერძონი მკურვალე და სიმსუბუქითა წყალთაზედა არს რვაასორმეოცდაათგზის უმსუბუქესი. ჰაერი ესე განიწვალეების უმაღლეს, ანუ ეძირისა, ესე იგი ეთერისა, საშშალსა ანუ ატმოსფერასა და უქვემოესადცა. ზემორე ჰაერი უფროს არს წმინდა და თხელი, ვიდრემდის საშუალო, ხოლო საშუალო ჰაერი უფროს წმინდა არს და თხელი, ვიდრე ქვემოური ანუ ქვეყანასა ზედა განფენილი.

ი ო ს ე ბ მ ა ნ: რაჲსაგან მდგომარეობენ მეტეორნი?

ი ო ა ნ ე: ორთქლებთაგან ანუ ოხშივართაგან ქუჭყანისა და წყალთა.

ი ო ს ე ბ მ ა ნ: ვითარ?

ი ო ა ნ ე: ორთქლნი უთხელესნი წყლისა ნაწილნი, გამოსრულნი და განფრინულნი სხუათა და სხუათა სხეულთაგან ქუეყანისათა და ზე აღმზეველნი ჰაერსა შინა: ესე იქმნების მიზეზითა გოგირდისაგან, მარილისაგან, კირისაგან თუ გუარჯილისაგან და სხუათა სხეულთაგან თვისებულისა ბუნებისაგან უფროს და უმეტეს თანამდებ მწველობისა და ესრეთვე უფროს და უმცირეს სიმყარეთა, რომელთაგანცა შედრგებიან ცეცხლისა უკუჰ მეტეორნი.

ცეცხლისათვის

ი ო ს ე ბ მ ა ნ: რაჲ არს ცეცხლი?

ი ო ა ნ ე: ცეცხლი არს ერთი ოთხთა ნივთთაგანი სუბუქი და უზეალმავალესი სხუათა ნივთთა ზედა. ბუნებით მწველი და მნათობელი მხურვალე და კმელი, ხოლო საღმრთოთა წერილთამებრ ცეცხლი არ სხვა რაჲმე არს. ვითარცა მხოლოდ მწველი ნათელი, რომელ თქუა ღმერთმან იქმნენ ნათელი და იქმნა ნათელი. იხილე ვრცლად დამასკელსა შინა* უვრცელესად. ხოლო ცეცხლი ბუნებით მიემჰსგავსების ჰაერსა ვინაჲდგან ესეცა მყოფობას და განროხმულ არს თითქმის ყოველთა

* ხელნაწერის აშიაზე მითითებულია ი. დამასკელის წიგნიდან სათანადო აღვილი სიტყვებით, „წიგნი 2, თავი 6“.

ნივთთა შორის, ვითარცა ქუათა შინა, რკინათა შინა, კეთა შინა, აპაერთა შინა, მიწათა შინა და ესრეთ უშორესი, გარნა ცუცხლი ესე ესრეთ უსუბუქეს არს, რომელ ჭერთ აწცა ჭიზიკოსთა ვერა აღუწონიათ სიმძიმე მისი. და ვერცა დაუპყრიათ რომელთამე ჭიზიკურთა იარაღებთა შინა.

წყლისათვის

იოსებმან: რაჲ არს წყალი?

იოანე: წყალიცა არს ერთი ოთხთა ნივთთაგანი, რომელიცა არს ნოტიო, გრილი, მძიმე და ქუჭშე დამზიდველი და ადვილად დასათხეველი, რომელსაც მოიხსენებს საღმრთო წერილიც და ბნელ იყო ზედა უფსკრულსა და ხელი ღმრთისა იქცეოდა ზედა წყლისა, რამეთუ უფსკრული არა სხუა რამეჲ არს თვნიერ ფრიადისა წყლისა, რომლისაცა დასასრული მიუწთომელ იყოს კაცთაგან. იხილე დამასკელსა შინა*. ხოლო თუ რაოდენ გვარად განიყოფებიან წყალნი, მე მოგახსენებ ლეოლრაფიასა შინა. გარნა ათგზის უმსუბუქეს არს წყალი მიწასა ზედა და გრილი ბუნებით კაცთა და ცხოველთა წყურვილისა დამაცხრობელი.

მიწისა ანუ ქუჭყანისათვის

იოსებმან: რაჲ არს მიწა ანუ ქუჭყანა?

იოანე: მიწა ანუ ქუჭყანა არს ერთი ოთხთა ნივთთაგანი. კმელი და გრილი ბუნებით, მძიმე და უძრავი, არა მყოფობისაგან, ყოფად პირველისა დღესა შინა მოყუანებული ღმრთისაგან, ვითარცა იტყვის საღმრთო წერილი. დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუჭყანა, რომლისა სიმტკიცისა და სიმყარისა ვერვინ შეძლებულ არს გამოთქმად: რომელნიმე იტყვიან ქუჭყანასა წყალსა. ზედა დამყარებულად, ვითარცა იტყვის დავით წინასწარმეტყუელი, რომელმან დაამყარე ქუჭყანა წყალთა ზედა. ხოლო რომელნიმე იტყვიან აპაერსა ზედა დაფუძნებულად და სხუანი არარასა ზედან. გარნა ჩუენ უნდა დაუტეოთ ყოველივე ესგუარი გამოძიებლობაჲ და ვერწმუნოთ მოსეს მიერ დაწერილსა. რომელიც იტყვის წყალთაგან დაფარულსა ქუჭყანასა და ოდეს ბძანებითა ღმრთისათა ოდეს შეიქმნენ შესაკრებელნი წყალთანი, მაშინ გამოჩნდა ქუჭყანა მთებითურთ და ესე იქმნა დედა ყოველთა ნივთთა მყოფთა ქუჭყანასა ზედა, ესე იგი მწვანითა, ხეთა, ცხოველთა და სხუათა ნივთთა შემწყნარებელ და

* მითითებულია., „წიგნი 2, თავი 9“.

მაწარმოებელ ბძანებითა ღმრთისათა. ხოლო იხილე უვრცელესად დამასკელსა შინა* და მე სხუშბრ განგიმარტავ კუალად ღეოღრაფიასა შინა ქუჭყანისათვის.

იოსებმან: კუალად რაჟსა ზედა ძალუცს ჭიზიკოსსა უბნობად.

იოანე: ამა ყოელთა ზედა, ესე იგი: ქარზედ, ღრუბელთა და ნისლთა ზედა; წვიმაზედ, ცუარზედ. თოვლზედ, სეტყუაზედ, ქუხილსა და ელვასა და მეხზედ, ირისეზედ ანუ ცისარტყელაზედ: ქუჭ დამცივნელთ ვარსკულავთზედ. მიწის ძვრაზედ, წყლის მომატებაზედ, მეტალთა ზედა და სხუათა ესე ვითართა მცენარეთა, თესლოვნებათა და შთამოსირებათა ზედა და სხუანი.

იოსებმან: ახლა ვცან მაგათაც კარგად განმარტავ, მაგრამ მე ახლა ჟამი არა მაქუს უბნობისა და სხვა დროს იყოს მაგათთვის უბნობა. იოანემაც უთხრა მადლი: აქიმს რაოდენიმე წამლები გამოართო და წავიდა იოსებ სახლად თჳსა. იოანეც გამოეთხოვა მაგრამ აქიმან უთხრა, კიდე გკითხავ რასმე. ისიც მიბძანეთ და მერე წამალიც მიირთვიეთ და წაბძანდით ისე.

იოანემ: მიბძანეთ.

აქიმმან: კაცი რაოდენის ნიეთისაგან არის შემდგარი?

იოანემ: ოთხის ნიეთისაგან. ესე იგი წყლისა. ქუჭყნისა ანუ მიწისა, ჰაერისა და ცეცხლისაგან. აგრეთვე ოთხთა ბალღამთაგან, რომელნიცა ემჰსგავსებიან ოთხთა მათ ნიეთთა: შავი ნალუშლი შეჰმსგავსებულად ქუჭყანისა, რამეთუ გრილი არს და კმელი. მლაშე ბალღამი შემგზავსებულად წყლისა, რამეთუ გრილი არს და ნოტიო. სისხლი შეჰმსგავსებულად ჰაერისა, რამეთუ ნოტიო არს და მკურვალე. ყვითელი ნალველი შემგზავსებულად ცეცხლისა, რამეთუ მკურვალე არს და კმელი: აწ უკუშ ნაყოფნი ნიეთთაგან შემტყიდებიან და ბალღამნი ნაყოფთაგან. ხოლო სხეულნი ცხოელთანი ბალღამთაგან და მათდავე მიმართ დაიხსნებიან, რამეთუ ყოველი შეზავებული მათდავე მიმართ დაიხსნების. რომელთაგანცა შეზავებულ იყოს. ეს სახედვე ესე ოთხნი ნიეთნი და ბალღამნი მიეწერებიან საკუთართა კაცთა შორის მყოფთა ნიეთებთა: ესე იგი შავი ნალველი სევდასა: წყალი ანუ მლაშე ბალღამი: თელგამსა ანუ თეთრსა ხილთებასა: ჰაერი კუალადვე სისხლსა: ცეცხლი ანუ ყვითელი ნალველი ზაფრასა, რომლისა მომატებისა ანუ მოკლებისა გამო კაცი იქმნებიან სნეულ, ხოლო ზემოხსენებულნი ნიეთნი, რომელნი რომელსა დროებში უფრორე მოქმედებენ, არიან ესენი: სევდა, უფრო

* აშიაზე' მითითებულა... - წიგნი 2. თავი 10-.

შემოდგომამზედ. ბაღამი ზამთარში, სისხლი გაზაფხულზედ, ხოლო ზაფრა ზაფხულში, რომელ ამა ოთხთა დროთა შინა ერთი მეორესა ზედან უძლიერეს არს და ესე უნდა უწყოდე, ოდესაც ავადმყოფი იხილო ამა ოთახში, კიდე რომელი ჰსჭარბობდეს სნეულსა იმ გვარის წამლით უწამლო, ესე იგი თუ სევდა ჰსჭარბობს სევდის წამალიც ახმარო იმ სნეულესაში. თუ ბაღამი ჰსჭარბობს, გასახსნელი წამალი უნდა მისცე ტანიდამ: თუ სისხლი ჰსჭარბობს, სისხლი გამოუშო ზომიერ: თუ ზაფრა ჰსჭარბობს პირიდან საღებინებელი წამალი უნდა ახმარო. და ესე ყოველი იხილე გულსმოდგინედ სამკურნალო-წერილთა შინა, რომელ არს კარაბადინი.

აკი მ მ ა ნ: კაცთა სნეულებისა მიზეზი უფრო რისაგან არს.

ი ო ა ნ ე: კაცთა სნეულება ორი გუარია: ერთი შინაგანი, ხოლო მეორე გარეგანი. შინაგანი არს სიცხითა, სიგრილითა, ხველებითა, ძალითა, უძლურებითა, შეხურვებითა შინაგან ტკივილებითა, ცივებითა, საოფლითა და ესე ვითარნი: ხოლო გარეგანნი არიან, რომელნიც იხილვებიან თვალითა, ესე იგი გატეხილობითა და კრილობითა, დაგლეჯილობითა, მუწუყითა, მოტეხილობითა და სხვანი, რომელნიც გარეგან შეემახუჭვიან კაცთა, ხოლო განფრთხილება ამა გარეგანთა სნეულებათათვის არს, მყუდროდ ცხოვრება გონივრულად მოძრაობა, მარჯვედ ქცევა და მორიდება მავნებელთა საქმებთა. შინაგან სნეულების გასაფრთხილებელი არს ცუდსა აკასა შინამყოფობა, ნოტიოსა და ქაობიანსა ადგილსა ცხოვრება. უწმინდურად შენახვა, თავისათვის გაციებულება, ურიგოდ ქცევა არა-წმინდებითა და ნაყროვნებით ცხოვრება, მრავლის სასმლის სმა, ცუდისა და წამხდარისა საქმელთ ქამა. ბევრისა მხურვალისა ანუ გრილისა საკმლისა მიღება, ძლიერად შრომა და დაღალულობა, დაღალულთაგან წყლის შესმა, უბრალოდ მკავიანთა საკმლებთა ქამა. შესაყართა სნეულებათა მოურიდებლობა. აგრეთვე ერთს ადგილს ჯდომა, განსვენებით ყოფნა და არა შექცევა და სიარული. ესე ყოველნი უკუშ მიზეზნი აღბოცილ ჰყოფენ ჰსწორწონობასა ანუ ვჰსთქუათ თანასწორობასა, სიცოცხლისა ჩუჭნისა ნოტიაობათა შორის და წევრებთა შინა, ნაწილთა თხელთა და მტკიცეთა კაცისა სნეულისათა და შემოიყუანს სნეულებასა და უკეთუ ამა ზემოსენებულთა ზედა ვიქმნებით გაფრთხილებულ, მაშინ სწორ წონობასა შინა იქმნების მდგომარეობაჲ ჩუჭნი და გვექმნების სრული სიმრთელე.

აქ იმ მან: მიბძანეთ, თუ რაჲ არიან წინაღვე დამცველნი და უმჯობესნი ღონიერებანი ჟამსა სნეულისასა დასაცველად მისა.

იოანე: პირველად მიზეზი იცნოს, თუ რით არის ავთ და მით შეურჩიოს აქიმმან რიგიანი წამლები და შესაფერნი, მერეთ რიგიანი ფარეზი და მსუბუქთა საქმლებთა და კარგთა სასმელებითა კელის შეწყობა, ამასთან გამზიარულება სნეულისა. განფრთხილება არავინ განარისხოს იგი, კჳალად სიფრთხილე უწყესოს საქმისაგან და არცა აღრევა მდედრთა თანა, ეგრეთვე რიგიანი მოძრაობა და ცხენზედ ჳდომით წყნარწყნარა ტარება, უკეთუ ოფლით მოსარჩენი სნეულება არს განფრთხილება დროსა ოფლის დენისასა, რათა არა გააციონ და ოფლი უკან არღა შეუბრუნონ. უკეთუ ესგუარ ექმნების სიფრთხილე სნეულსა, მაშინ თითქმის ბევრი წამლობაც არღა ექირება და ადვილად განთავისუფლდება სნეულებისაგან.

იოანე აქიმმან: ნეტავი შენ მაინც გბარებოდი და ეგ რაც მიანბეკველა გესწავლებინა, მაშინ უფრო კარგი ექიმი ვიქნებოდი, მაშინ.

ზურაბამ: მამაშენმა და პაპაშენმან რომ ესენი არ იცოდა. რა უქირდათ, წითელი მიწა, ჳინჭრის თესლი და აბალბის ფოთოლის ხმარება ხომ იცი და რათ გინდა, საექიმო კი აილე ვანაც გინდა მორჩეს და ვინც გინდა მოკვდეს, ვინ გიკითხავს.

აქ იმ მამა: ჟა რას ანბობ. მართალი თქვი ეგე:

ამჟამად დარეკეს წირვისა ჳარებაში, იოანე ადგა და გამოეთხოვა აქიმსა. მან მისცა მალამო და წამოვიდა იოანე ხარების ეკლესიაში. საღმრთო წირვა მოისმინა მუნ და ოდეს დასრულდა, იცნა პეტრე ლარაძე — მან დიაკვანი მოიკითხა სიყვარულით და შეიწვია სახლად თვისა. იოანეც მადლობელი წარვიდა მისთანა, რა მცირე იმუხაიბეს, პეტრე ლარაძემ უთხრა დიაკუანს, აქ ჩემთან ისადილეთ და ვინემ სადილის დრო მოიწეოდეს განხსრიკე ჩემ მიერ ქმნილნი შაირი და ლექსები, ვითარ მოგეწონებათ, მოართო იოახეს. დაიწყო კითხვა და დიდად მოეწონა და უთხრა ეს ასე გუარზედ შეგიწყვიათ, რომე უდრის რუსთაველისაგან ქმნილსა წიგნსა ვეფხისტყაოსნად წოდებულსა.

პეტრემ: წარგიკითხავთ იგი?

იოანე: დიად წამიკითხავს იგიცა და ჳილილა მანანაც.

პეტრემ: მაშა გუარებიც გეცოდინებათ ჳართულის ლექსებისა.

იოანე: ვიცი, რაოდენ შეიძლება...

მიკროსკოპისათვის

ხოლო ხუალისა დღე ინება მეფემან და მოუწოდეს ბერსა სა-
დილად. ბერი მოემზადა და წარვიდა მეფესთან, ვიდრე სადილი
მოვიდოდა, ერთმან სტანბოლიდამ მოსრულმან ვაქარმან მეფესა მო-
ართო ძღუჴნი და ამათ შორის მიკროსკოპი, თუმცა გაგონილი აქ-
უნდათ მიკროსკოპისაგან განდიდება საგნისა, გარნა ჯერეთ არა გა-
ნეხილათ მით საგანი და უქვრეტდენ მით, ვითარცა ღურბინსა შინა
და არა უწყოდენ ზომა, თუ ვითარ დაეყენებინათ იგი კარისხსა შინა
და უმზერდენ მით ტყეთა და მინდორთა და უბნობდენ ვინცავინ
პაქურეტდენ მას, რომელ ჩვენ ვერარა გუაჩუჭნა ამ მიკროსკოპმან
და ვინ უბნობდა, საკვირველად დიდად აჩუჭნებს ნივთებსაო. მა-
ინი ქუთათელმან, აჰა ბერი იოანე, ესე განმარტებს მაგისტვის და
ეაე დააყენება საზომსა თვისსა ზედა. ვინაჲდგან უცხოდ განმიმარტა
მეცა მილიონი. მაშინ უბძანა მეფემან ბერსა და სთხოვა გამართვა
მისი. ბერმან მოილო იგი და დააყენა საზომსა ზედან თვისსა და მოი-
ლო მარტული ღომისა და დაუდო პირისპირ მიკროსკოპსა მას და
ოდეს განიხილეს, იხილეს იგი ვიდრე თხილისა ტოლი და თქუჭს,
ბარე ეს ბერი კუდური ყოფილაო, ბარე ასე რავარ გამართაო ეს
საქვრეტელი, რომ ასე დიდად გამოაჩინაო და მაშინ უბძანა ბერს.
უნდა დაწვლილებით მითხრა მე მიკროსკოპთათვის, თუ ვითარ გა-
ნადიდებენ სხეულთა და ანუ რაოდენ ჰარისხად განიყოფებიან და
ანუ რისაგან შეადგენენ.

იოანე: მიკროსკოპნი არიან ბროლისაგან შთამოსხმულნი, ვითარცა
თუალნი ღურბინისანი, გარნა მათხედან უზრქესნი და უფრო
დაღრეცილნი უბრყვილონიცა, ხოლო რომელნიმე არიან მარ-
ტო ერთ თუალიან და უბუდო, ხოლო რომელნიმე ბუდიანი და
თულებ მრავალი. ვითარცა ესე მიკროსკოპი ერთ თუალიან
უკუჭ შემძლებელ არს ერთისა გრისა განდგინებასა ზედან და
ნახევრად საგნისა და რომელიცა განადიდებს გრწყილსა ვიდრე
მომცროსა კალიისა ტოლად, ხოლო სხუანი უმეტეს ამისა, რო-
მელნიმე ოთხ გრეზედ და რომელნიმე ექუს გრეზედ აჩუჭნებენ
ერთი ორად და სამად უდიდეს პირველისა ზედა, ხოლო თვით
უმჯობესი განდგინებითა რვისა გრისათა, აჩუჭნებს მათ ზედა
ერთი ოცადცა მეტად და აქა შეუდგინოთ ნანდვილი ცნობა
მიკროსკოპისათვის, რომელ მიკრასკოპი არა არს დიდისა საგნი-
სათვის განსახილველი, არამედ მცირისა საგნისათვის, რომელსა
ქვემოზე მოვიხსენებ. ოდესცა სხუა და სხუა უკუჭ კაცნი უმ-
ზერენ მიკრასკოპითა საგანსა რაჲ ვერა, მაგალ. ვჰსთქუათ ფერხ-

სა ბუზისასა, მაშინ ყოველნი დამტკიცებულ ჰყოფენ, რომელ მათ ეჩუშნების იგი ფრიად დიდად, გარნა აჰზრი მათი ნანდვილი სიდიდსათვის მისისა იქმნების ფრიად განსხუაებულ მით, რამეთუ თვითეული მათგანი იწყებენ თქმასა ეს გუარი, რომელ ფერხი იგი ბუზისა ეჩუშნების მას თხისა ფერხისა ოდენი, ხოლო მეორე იტყვის, ეჩუშნებისა მას ფერხი ცხენისა ფერხისა ოდენი, ხოლო მესამე იტყვის, რომელ ფერხი იგი ეჩუშნების მას კატისა ფერხისა ოდენი და ამისათვის არც ერთისა მათგანისაგან თქმული ნამდვილ დამტკიცებად შესაძლებელ არს, უკეთუ განხილვასა მის თანა არა შეერთებულ ჰყოფს ამასა, რომელ რაოდენსა განდგინებასა ზედა ეჩუშნების მათ. ფერხი ცხენისა ანუ თხისა, გინა კატისა და ესე გუარი ხედვად არს ორისა მიზეზისა გამო, ესე იგი, პირველი რომელი არა უწყის მათ განდგინება მიკრასკოპთა, ახლოს ანუ შორეთ, ხოლო მეორე თუ ვითარ მთარმევთ მათ სახედველნი თვისნი გრძნობასა, ვინაჲდგან ყოველი კაცთა ჰქვრეტა არა არს ერთგუარ, ვინაჲდგან რომელნიმე არიან შორს მხედველნი და რომელნიმე არიან ახლომხედველნი და რომელნიმე არიან ბეცნი და ესე არს შეწყობილებისა გამო ორღანოხსა მათსა და ამითვის არა არიან მიზეზნი განკვირვებად სხუაობისათვის პაზრისა მათისათა. მით რამეთუ უკეთუ ვისმე ეჩვენების ფერხი ბუზისა ცხენისა ფერხის სახედ დიდი და უქვრეტთ ჩუენცა შორიდგან, მაშინ გვეჩვენებინა ჩვენცა კატისა ფერხისა სიმსხოდ და სხუანი, ხოლო ვინაჲდგან სათანადო არს თქმად, რომელ რაოდენ გზისა განდიდებულ ჰყოფს მიკროსკოპი საგანთა, მაშინ სათანადო არს თქმად ნანდვილისა და საკუთრადცა დანიშულად განდგინებისა შეთანასწორებისადმი დადებულისად.

ზემორე უწყებისამებრ ჩემისა, რომელ რომელნიმე კაცი არიან შორს მხედულნი და რომელნიმე არა და რომელნიმე განარჩევენ შორს თვით მცირესაცა სხეულსა და რომელნიმე ვერა და ამისთვის აქა სათანადო არს თქმად, რომელ მიკრასკოპითა განხილვა არა იქმნების, ესრეთ ვითარცა დურბინითა, არამედ რაჲცა მახლობელ და მცირე არს ჩუშნდა სახილველი ნივთი და ამისთვის კარგისა მხედველისა თვალისათვის, რჲა გრე არს ნანდვილი ზომაჲ განდგინებასა ნივთთა ესრეთ უკეთუ მარცვალსა შლამისასა ანუ თვით უმცირესსა წერტილსა კალმით დასმულსა შეუძლებთ რვასა გრესა ზედა დანახვად მარტივისა თუალითა ჩუშნითა, მაშინ რვასა გრესა ზედა დაყენებული მიკრასკოპი გუაჩუშნებს ჩუშნ ასგზის უდიდეს წერტილსა მას. და ვიმცა ზემოხსენებულისამებრ ვერა განარჩევს რვასა ზედა მარ-

ტივისა თუალითა, წერტილსა ანუ მარცუალსა შლამისასა, გინა იოტასა, მაშინ მისთვის უფრორე ნაკლებ ჭერ არს რვისა გრისაგან დაყენებად მიკრასკოპისა.

გარნა ნანდილ საკუთარი ზომად არს თვით უპირველესისა მიკრასკოპისა, რვასა გრესა ზედა დაყენებად, რომელ კელოვანნიცა ამისნი ასე ამტიციებენ და ესრეთ მიკრასკოპნი კარისხისამებრ თვისისა კარგობისა და ცუდობისა შემზადებისა გამო აჩუჭნებენ საგანსა შემდგომითა სახითა. არს მიკრასკოპი, რომელიცა აჩუჭნებს მცირესა სხეულსა ასგზის უდიდეს: ესე სახედვე უმჯობესი ამისა აჩუჭნებს ხუთას გზის უმეტეს და უდიდეს, რომელმანცა აჩუჭნა ას გზის დიდად მას ნივთსა მას ზედა და ესე სახედვე უუმჯობესი მიკრასკოპი აჩუჭნებს ათას გზის უდიდეს მათ პირველთა ზედა მასვე ნივთსა, ხოლო უუმჯობესი ამას ზედა აჩუჭნებს ორი ათას გზის უდიდეს საგანსა მას და შეწევნითა ეს გუართა მიკრასკოპთათა შესაძლებელ არს ესე გუართა უკუშ ნივთებთა განხილვა, რომელნიცა ჩუჭნდა ვიდრე აქამომდე არა უწყებულ სადამე არს და მარტივისა თულითაცა შეუძლებელ ხილვად.

ხოლო მიზეზი უფრორე დიდად ჩუჭნებისა მიკრასკოპთაგან არა სხუა რამე არს, რომელ რაჲსაცა საგანსა უჭვრეტთ ჩუჭნ, მაშინ განდიდებულ ჰყოფს მიკრასკოპი ეს სახედ სამ გუარად: ესე იგი სიგრძესა, სიგანესა და სიზრქესა მისსა რაოდენობისამებრ მისისა. ესე იგი უკეთუ უფრო გრძელი არს სიგანეზედ ანუ სიგანე უფროს არს სიზრქეზედ იგიცა და ნაკვეთებისამებრ მისისა, მას სახედ განდიდებულ ჰყოფს და აქა ვჰსთქუათ უკუშ მაგალითი, რომელიცა მიკრასკოპი განდიდებს ას გზის სიგანსა, მაშინ სიგრძეცა და სიგანეცა მისი იქმნების ასას გზის, და სიმაღლე გამრავლებული სიგანითა ესე იგი ასი ასითა გამრავლებული იქმნების ათი ათასი და ოდეს მიუმატებთ მას კუბისა გვარად სიზრქესა, მაშინ იქმნების ასითა გამრავლებული მილიონი რიცხვისა უდიდეს სახედ მის შორის და ესე სახედვე, რომელიცა განდიდებს ათას გზის, მაშინ ესე სახედვე ქმნილი სრულიად სივრცე საგანისა იჩუჭნების ათას მილიონ გზის უფროს დიდ და ესრეთ უშორეს, ხოლო ესე დამტიციებულ არს თვით გამხილველთა მიკრასკოპთასა, რომელ ესე გუარმან უკუშ თვით უპირველესმან მიკრასკოპმან გუაჩუჭნაო ფერხი ბუზისა სპილოსა ფერხის სისხოდ და უფროსცაო და ამისთვის შენიშუნა ესე მიუცილებელ არს საჭიროდ მისთვის, რათამცა მექონ იყოს კაცი ცხადისა შემეცნებისა განდიდებისათვის მიკრასკოპთაგან სხეულისა და არღარა რამე ჰყონ პაექრობა, ვინაჲდგან მრავალი ძიზიკოსნი ამტიციებენ ამას.

მ ე ფ ე მ: არიან სხუანიცა მიკრასკოპისა გუარისა ბროლები, რომელ იჩუშნებოდენ ღიდათ საგანთა.

ი ო ა ნ ე: როდესაც არ გვექმნება მიკრასკოპი მცირისა საგნისათვის განსახილველად, იხმარება უკანა თუალი ღურბინისა, რომელიცა განადიდებს შვიდგზის უდიდეს და უფროცა უკეთუ ზრქელი არს თუალი იგი. ესე სახედვე სარკე რომელსა ეწოდებისა*, იგიცა გუაჩუშნებს ღიდად სახესა.

ეგრეთვე: სათუალეცა არს გუარივე მიკრასკოპისა და ესეც არს კარისხთამებრ კარგი და ცუდი. და ლანცეტიცა, რომელიცა არს სახმარ კელში დაქერით ბრტყელი თუალი ბროლისა და ესე უფრო უმსხოს აჩუშნებს წერილსა სათუალესა ზედა და მკატვარნიცა ხმარობენ ამას წმინდა საქმესა შინა ხატვისასა, ხოლო არს სხვაგუარა ლანცეტი ორ თუალიანი კელსაქერი, რომელიც ღურბინას სახედ აჩუშნებს წმინდად და ესე უფრო ბეცთათვის არს შემზადებული კაცთა სახისა გასაშინჯველად და ხმარობენ ევროპიელნი. ესე სახეცავე ხმარობენ ერთ თუალიანსა მიკრასკოპსა მესაათენი გაკეთებისათვის წმინდა იარაღთა და ამათი განდიდებისა მიზეზი უფრო ესე არს, ვინაჲდგან არს ზრქელი თუალი და სხივსა ნათლისასა ეწინააღმდეგების და აბრკოლებს ძალსა მისსა და ესე დამტკიცდება ამით, რომელ ოდესაცა წმინდასა ბროლისა ჭურჭელსა შინა შთასხა წმინდა წყალი, მაშინ იგი იხილვება ბროლისავე სახედ შეზრქელებული და უკეთუ მეორესა გვერდსა ზედა დუქერ რასამე მცირესა ნივთსა, ანუ თითსა კელისასა, გინა სხუასა რასამე მცირესა ნივთსა, ანუ თითსა კელისასა, გინა სხუასა რასამე, მაშინ იხილავ ამა გვერდიდამ. შეხედვით პირისპირ მისა საგნისა მის. რომელ საგანი იგი გამოჩნდების ერთი ხუთად უმეტეს და ესე არს დამტკიცება, ვინაჲდგან სიზრქისა გამო აბრკოლებს სხივსა ნათლისასა და თუალსა ჩუშნსა აძლევს ამით შეწვენასა და ამა უბნობისათვის აქეს ბერი...

...და მერე შემდგომად საღილისა, წარვიდა ბერი სახლად თვისსა...

...და რქუა ბერსა, მე თუმცა ხმაჲ შენი მესმის, გარნა ვჰსწუხვარ, რომელ ვერა მჭურეტ თუალით.

ბ ე რ მ ა ნ: გონებით ჭურეტა უმეტესია; ვიდრე თუალითა.

მ ე თ ო დ ი მ: ეგ ჭეშმარიტია. მაგრამ გონებაც რომ ჰქონდეს და სახედველიცა, ეს უმჯობეს იქმნების.

ი ო ა ნ ე: სოფელსა შინა ყოველი საქმე შემთხუშვითა და ამისთანადროს მოთმინება უნდა აქუნდეს კაცსა.

* ადგილი დატოვებულია ხელნაწერში.

მ ე თ ო დ ი მ: მეტი რა გაეწყობა, დამერწმუნე საქართველოს მეფის ირაკლის და გიორგისაგან და სხვათა მეფის ძეებთაგან შეტკობისა და აღერსობის გამო აღარც კი მახსოვდა ჩემი სიბრძე.

ი ო ა ნ ე: ნახეთ თუ ვითარ ნუგეშსა ჰსცემს ღმერთი მწუხარებასა შინა მყოფსა კაცთა, მაშინ

ა ნ ტ ო ნ ი მ: მიბრძანე, ბერო, თუ რაჲსა მიზეზისათვის ვერღა დაინახავენ თულდამდგარნი კაცნი. ამ ჟამად

ზ უ რ ა ბ ა მ: ბატონო ერისთავო, რა დიდი განმარტება უნდა თუალის კაკლები რომ დაუშრტება კაცსა, რაღას დაინახავს.

ა ნ ტ ო ნ ი მ: შე გიჲო, ეგ კი ვიცი, მაგრამ თუ ვითარისა სახითა ხედავს თუალი ჩუენი და ანუ რაჲსა მიზეზით მოგვაკლდება ზედვაჲ. ისი მსურს ვისწაო. მაშინ

ი ო ა ნ ე: მაგ ხელოვნებას მჰსწაკლემ უნდა ისწაოს ოპტიკა.

ოპტიკისათვის

ა ნ ტ ო ნ ი მ: რაჲ არს ოპტიკა?

ი ო ა ნ ე: ოპტიკა არს ჰსწავლა, რომელიცა გუაჩუჭნებს თუ ვითარითა უკუჭ სახითა თუალი ჩუჭნი შემძლებელ არს ხედვად და განგვიმარტებს ჩუჭნ მიზეზთა სხუა და სხუა გვართა ცვლილებათა ნათლისა შარავანდელთასა, რომელნიცა ღორიზონტულისა სახითა ჰაერსა ზედა შემოსვლით მიართმევენ ნივთსა მას სახედველსა ჩვენსა, რომელსაცა ჩუჭნ უკუჭ ვჰსკვრეტთ, ხოლო ჰსწავლა ესე სახმარ იყოფის განმარტებისათვის უმრავლესთა გამოცხადებათა ბუნებისათა და ესე სათანადო არს, რათა უწყოდეთ, რომელ ოპტიკა არს სიტყუა ბერძნული, რომელიცა საკუთრად ნიშნავს კელოვნებასა სახედველთათვის, ესე არს ნაწილი შენაწევრებული მათემატიკისა განჰსჯისათვის ნათლისა და ჰსჯულთათვის რომელთამე სახედველთასა სრულებით და მიზეზთა დამტვრეულთა შარავანდელთასა თუალთა შინა ჩუჭნთა მიღებულთა ესე იგი საგანთა მათთვის, რომელთაცა ვჰსკვრეტთ ჩუჭნ ნათლად ანუ ბნელად, ანუ უცხადოდ, დიდად ანუ მცირედ, ახლოს ანუ შორედ, ვიდრემდის იგი ვითარმცა მოქმედებით მდებარეობდეს ჩუჭნ შორის, ხოლო ოპტიკასა ნაცუალგებობით კერძოთა შინა შენიშვნისამებრ შეადრგენენ სამ ნაწილად. ესე იგი კატოლტრიკად ანუ კელოვნებად სხივთა მომქცეველთა თხელთა და წმინდათა და უბრყვილოთა განფენილებით სახედველთა შინა ნივთათვის ჩუჭნთა. მეორედ დიოპტრიკად, ესე იგი კელოვნებად სხივთა დამტვრეულთათვის, ანუ სხივთათვის უბრყვილოთა განსახილველად ნივთთათვის სხვათა და

სხვათა სიზრქეებთასა, ხოლო მესამესა პერესპექტივად ანუ სხივ-
 თა მრუდედ მოსრულთა ჩუშნ შორის სახედველთასა, გვერდ-
 ზედ შეხედვისათვის, ხოლო ხედვად თუალსა ჩუშნისა არს მი-
 ზეზი აპაერსა გამო, რომელსა ზედა შევალს სახე ნივთისა მის.
 და მოართმევს თუალსა ჩუშნსა და განვიხილავთ მისა ძლით,
 ხოლო ოდეს მოკლებულ ვიქმნებით სახედველთაგან ოდესაც
 ვერლა მივიღებთ აპაერსა გამო, მაშინ ვერლა დავინახავთ მას,
 ვითარცა ბრმა ანუ უკუნსა ღამესა შინა მოართული მით, რამეთუ
 ვერლა უძლებთ განჭრად აპაერისა და დანახვად საგანთა, ხოლო
 მხედველობისა მიზეზი უკეთ დანახვისათვის არს თუალთა შინა
 ჩუშნთა ძარღვი, რომლითაცა არს დამაგრებული თუალის ბუ-
 დეთა შინა ჩვენთა და უკეთუ იგი მიიღებს წმინდად და მტკიცედ
 ნოტიოთა მათ, რომელიცა წარმოებს ტენისა ძლით, მაშინ
 უკეთ ვიქნებით დამნახველნი და ამასთან რათა არა იყოს დაკ-
 რულ გარეგანი უკუშ ტყავი თუ ბუდე თუალისა ჩვენისა მცირესა
 მას თუალსა სახედველსა ზედა, ხოლო ბეცად და ვერ შორს
 მხედველობისა მიზეზი არს ესე ოდეს ექმნების თუალი ფრიალ
 დიდი და ძარღვნი თვალისანი სუსტ და ვერცა წმინდა ნოტიოობა
 თუალსა შინა და დაკრული ფარდაცა სახედველსა ზედა თუა-
 ლისასა, მაშინ ამისა გამო ვერა იქმნების კარგად დამნახველი
 და ესთავე შარავანდედსა მზისასა, რომელიცა მეტს დაიტევს
 თუალსა შინა თვისსა და ექმნების შავი ბაია დიდი მჰსგავსად
 ბუისა ანუ კატისა იგი ვერ იქმნების კარგად დამნახველი. მით
 რამეთუ იგი უამრავლეს დაიტევს თვს შორის სხვისა მზისასა და
 ამის გამო დღისით ესრეთ ვერ ხედვენ ბუიად და კატა, ვითარ-
 ცა ღამე. ხოლო რომელსა აქუს მცირე ბაია, ვითარცა არწივსა
 იგი იქმნების შორს დამნახველი. ხოლო მხედველობისა მიზეზ-
 ნი უგრცელესად იხილე ძიზიკასა და ელლერასა წიგნსა შინა..
 აღნიშნული ტექსტიდან განვიხილოთ ზოგიერთი თავი. პირ-
 ველ თავში („კაცისათვის“) აშკარად ჩანს იოანეს მსოფლმხედვე-
 ლობა სამედიცინო-ბიოლოგიურ საკითხებში, აქ იონა ხელაშვილის
 პირით ის ამბობს, რომ „კაცი არს... შედგმული მოკვდავისა სხეუ-
 ლისაგან და სულისა. უკვდავისა“. ხშირად იოანეს ნაწერებში წი-
 ნაალმდეგობებს ვაწყდებით. ზოგ სამედიცინო-ბიოლოგიურ საკითხ-
 თა განმარტებაში ხან „ძველ“ ახსნას იძლევა, ხან „ახლებურს“,
 ხშირად რომელიმე საკითხს თუ იდეალისტური გაგებით ხსნის, იშ-
 ვიათად ამავე საკითხის მატერიალისტურ ახსნასაც ვპოულობთ მის
 ნაწერებში. ასეთი წინააღმდეგობები დამახასიათებელია XIX

საუკუნის პირველი ნახევრის მოაზროვნეთა შორის, როგორც „გარდამავალი“ ეპოქისათვის ნიშანდობლივი თვისება.

ადამიანის ორგანიზმის „შედგენილობის“ შესახებ მისი ძმის დავით ბაგრატიონისაგან განსხვავებით (იხ. ქვემოთ), ის ძველსა და პრიმიტიულ განმარტებას იძლევა, რომ ადამიანი „შედგმულ არს... ცეცხლისა, წყლისა. ჰაერისა და მიწისაგან“. ქვემოთ ის იძლევა ამ ოთხი ელემენტის შესატყვის ნივთიერებათა: შავი ნალვლის, ბალღამის, სისხლისა და ყვითელი ნალვლის განმარტებებს. ამათ შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობებისათვის მიუთითებს „სამკურნალოთა წერილთა შინა, რომელ არს კარაბადინი“. აქაც ჩანს, რომ იოანე, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სამედიცინო მეცნიერებათა გაგების თანამედროვე დონეზეა, აშკარად ვერ ემიჯნება ძველს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მას თავის ძმასთან დავითთან შედარებით არასისტემატიზირებული აქვს თავისი აზროვნება. მსოფლმხედველობა, მეცნიერული შრომები. მისი აზრით, სული ანუ „პსიხი“ მიმღებლობს ყოველივე „შემეცნებასა“, თვინიერ სხეულის მცირისა მონაწილეობითა“. სულისავე თვისებად თვლის ადამიანის ხუთ გრძნობას, იხილავს რა ხუთივე გრძნობათა ორგანოს ფუნქციებს, დასკვნის, რომ მათი საშუალებით სული „მიმღებლობს... მცნობელობათა მყოფთათვის გარეშე მისსა საგანთა“, ნერვების (საშუალებით) განაგებენ ორგანიზმის მოქმედებას, ისინი იმპულსებს „შიართმევენ“ გონებას (ცნობიერებას), რომლის ორგანოდ ითვლება ტვინი („რომელიცა მდგმოებს... უმეტეს ტვინსა შინა“). ტვინში არის ადგილი, სადაც თავს იყრიან ყოველგვარი იმპულსები („ყოვლნი უკვე წევრნი“), ე. ი. გარეშე სამყაროს შეგრძნობის ცენტრად მატერიალური სუბსტანტი—ტვინია წარმოდგენილი, მაგრამ სწორედ ეს წარმოადგენს ადგილს, „სადაცა ხელმწიფებს უკვე სული“. სწორედ ეს არის იოანე ბაგრატიონის მსოფლმხედველობითი დუალიზმის აშკარა გამოხატულება.

გარეშე სამყარო, სინამდვილე, ქვეშაირტება მისთვის თითქოს შეცნობადია, მაგრამ ეს სულის ერთ-ერთ თვისებას წარმოადგენს— „გულისხმიყოფაჲს“ სახით (ნებასა და მეხსიერებასთან ერთად).

თავში „მიკროსკოპისათვის“ — იძლევა მის მოკლე აღწერილობას, პრინციპებს, ნაირსახეობებს გადიდების უნარის მიხედვით და სხვ. ის განარჩევს მიკროსკოპს, რომელიც სხეულს 100-ჯერ, 500-ჯერ, 1000-ჯერ, 2000-ჯერ ადიდებს, უბრალო ლუბას, სათვალეს, ლორწეტს (ლანცეტს). მიკროსკოპის განხილვასთან დაკავშირებით იოანე იძლევა მხედველობის ფიზიოლოგიის ზოგიერთი საკითხის განმარტებას. ის არჩევს 3 სახის მხედველობას: „აწლო

მხედველნი“ (ვფიქრობთ თანამედროვე ჰემეტროპიის გაგებით), „შორს მხედველნი“ (პიპერმეტროპია) და ბეცნი“ (მიოპია).

ნამდვილი მეცნიერული სიღრმით არის განმარტებული ოპტიკის საკითხები („ოპტიკისათვის“), ოპტიკა არის შეცნიერება („სწავლა“), რომელიც შეისწავლის თუ როგორ „შემძლებელ არს“ თვალი, რომ დაინახოს საგანი და განმარტავს იმ ცვლილებებს. რომელსაც განიცდის სხივი (გარდატეხის სახით) სხეულიდან არეკვლის შემდეგ ჰაერსა და თვით თვალში; სანამ ის (სხეული) აღიქვებოდეს ჩვენ მიერ. ავტორი დაასკვნის, რომ ოპტიკა ნიშნავს „ქელოვნებასა სახედველთათვის“. ოპტიკას ის ჰყოფს 3 ნაწილად: კატოპტრიკად, დიოპტრიკად და პერესპექტივად. კატოპტრიკა სწავლობს სხეულის, ნივთის, განათებისა და მათგან სხივების უკუქცევის საკითხებს; დიოპტრიკა კი — ამ სხივების „სხვათა და სხვათა სიზრქეებში“* გარდატეხის საკითხებს. პერესპექტივა — სწავლობს თვალში მრუდედ მოსულ სხივებს, გვერდითი (პერიფერიული) მხედველობის საკითხებს — მხედველობის ველს (სივრცითი მხედველობა). მხედველობის აქტისათვის აუცილებელი პირობაა შუქგამტარი არეების გამჭვირვალობა („სიწმინდე“) მხედველობის ნერვით თავის ტვინთან კავშირი და სხვ.

იოანე მკურნალობის ხელოვნებას ჰყოფს თეორიულ და პრაქტიკულ მედიცინად და იძლევა მკურნალობის ანუ ექიმობის ამომწურავ განმარტებას, როგორც „სწავლას“ „განმრთველი განხილვითა კაცთა სხეულთასა და გამოწვლილით ცნობა სხეულებათა“. ის დიდ მნიშვნელობას აძლევს ანამნეზს („გამოკითხუა სხეულისა“). მედიცინაში გულისხმობს აგრეთვე სწავლებას პროფილაქტიკის შესახებ („ცნობა რაჲცალა სახმარ იყოფის დაცვისათვის სიმრთელისა“).

საექიმო ხელოვნებას ის შემდეგ დისციპლინებად ჰყოფს: 1. ანატომია, 2. ფიზიოლოგია, 3. პათოლოგია, 4. თერაპია, 5. მატერიალურ მედიცინა, 6. ფარმაცოლოგია, 7. ქირურგია, 8. ქიმია, 9. მეანობა-გინეკოლოგია, 10. აფთიაქი (რეცეპტური), 11. ბოტანიკა, 12. ბუნებისმეტყველების ისტორია, 13. ფიზიკა, 14. მენერალოგია. ტექსტში იძლევა თვითეული ამ დისციპლინის განმარტებას. აქვე ი. ბაგრატიონი იმეორებს სამყაროს ოთხი ელემენტისაგან შემდგენილობის ძველ თეორიას — იძლევა: მიწის, ჰაერისა და ცეცხლის საკმაოდ დეტალურ დახასიათებას, მსგავსად ამისა კაციც ამდენი „ნივ-

* დავით ბაგრატიონი ამ „სხვათა და სხვათა სიზრქეებთასა“ ქვეშ გარკვევით გულისხმობს „სარკეებს“: ბრტყელს, სწორს, შებნეჟილს. გამოზნეჟილს, ცილიბდრულს, კოხუსისებურს და სხვ.

თისაგან არის შემდგარი: შავი ნალუჭლი, მლაშე ბალღამი, სისხლი და ყვითელი ნალველი“.

სნეულებას ის ჰყოფს ორ ჯგუფად: შინაგანი და გარეგანი სნეულებანი. იძლევა რა მათ განმარტებებს, აღნიშნავს, რომ შინაგანი სნეულებისათვის დამახასიათებელია: სიცხე, სიგრილე, ხველება, უძლურება, შეხურვება, შინაგანი ტკივილები, ცივება, ოფლი და სხვ. გარეგან დაავადებებად ითვლება: მოტეხილობა, ჭრილობა და ყველა ის დაავადება, რომელნიც თვალით იხილებიან. ბოლოს განმარტებულია „წინადავე დამცველნი ღონიერებანი“, რომელშიც ნაულისხმევია პროფილაქტიკური მედიცინა (ჰიგიენა, ეპიდემიოლოგია და სხვ.).

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

განიწვალების — განიყოფება, განაწილდება.

გრე. გრი, გრეა — გოჭი, აღლის მეთექვსმეტედი ნაიწლი, 1 გრეა-4,45 სმ.

გრწული — რწული.

ვასხოზა — ევასხებითი, ნაცუალგებითი, ურთიერთარსი, რაჰსამიმართობითი ВЗАИМОУСНІИ (ნ. ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი) მოქმედება „ურთიერთშორის ნაცუალგებითი ანუ ვასხოზით“ (ი. ბაგრატიონი).

კულდური — კულიანი.

მილიონი — დურბინი.

ხტიზო — „სტიზიო, სტვიკონი, ოთხნი ნივთნი ანუ კავშირნი, СТИХІЯ ЭЛЕМЕНТ ...მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი“ (ნ. ჩუბინიშვილი).

უქვემოესი — ქვედა, მაგ.: „ჰაერი ქვემოური ანუ ქვეყანას ზედა განფენილი“. „ჰაერი ესე განიწვალების უმაღლეს, ანუ ეფირისა, ესე იგი ეთერისა, საშუალოსა ანუ ატმოსფეროსა და უქვემოესადცა“.

ფაზორი — ქუა ნალველთა და ღვილთა შინა ცხოველთასა და უფრორე ნიამორთასა, ანუ კლდეთა შორის პოვებული, იხმარების სამკურნალოდ, წამლად. რომელს გალესენ წყალსა შინა და დაალევიანებენ მას სნეულსა“ (ნ. ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი).

ფენომენტი — გამოჩინება (ი. ბაგრატიონი) ფენომენი.

ქუეუანა — მიწა.

შარავანდედი — სხივი, სხივთა კონა, გვირგვინი.

ქატი — ხატი, სახე.

დავით ბაგრატიონი და გარდამავალი ხანის ქართული მედიცინა

(უცნობი სამედიცინო ხასიათის ნაწარმოების
პუბლიკაციით)

დავით ბაგრატიონი გარდამავალი ხანის (1801—1860) ქართულ სამედიცინო-სამეცნიერო აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პიროვნებაა. ის იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე, ერეკლე II-ის შვილიშვილი. დაიბადა 1766 წელს. ბავშვობაში იზრდებოდა დავით რეჰტორის ხელმძღვანელობით, შემდეგში ახალგაზრდობაშიცე საშუალება ეძლევა რუსეთში გააღრმავოს თავისი ცოდნა, განათლება. რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა 1783 წლიდან უფრო ღრმავდება და ქართული განათლებული არისტოკრატია პირდაპირ მიისწრაფოდა, რათა მოწინავე რუსულ კულტურას დაწაფებოდა. რუსულ კულტურასა და აზროვნებას ნაზიარები იგი ისევ ჩამოდის საქართველოში და თან მოაქვს თავისი ვოლტერიანული იდეები—გონებისა და პიროვნების თავისუფლებათა ქადაგება, ეკლესიისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, რომელიც იმ დროისათვის უაღრესად პროგრესული და მოწინავე იდეებს წარმოადგენდა. საქართველოში მის ირგვლივ შემოკრებილ ქართულ არისტოკრატიულ წრეში მრავალრიცხოვან სამეფო კარის ახალგაზრდა წევრებში ასეთი იდეების თანაზიარის აღვილად იპოვიდა, რადგან ის თავისი იდეების მიმართ უაღრესად პრინციპული და მათი ცხოვრებაში გამტარებელი ჩანს. ერთხელ მისი ვოლტერიანელობით გაგულსებულ მამას, მეფე გიორგის, ხომ მეტად უკმეხი პასუხი აკადრა; პატრი ნიკოლა ეუბნება გიორგი მეფეს, რომ „უკეთურთა მწერალთა ვოლტერმან და სხვათა 25 მილიონი წარმართად აქციეს საფრანგეთში“. ვოლტერის გახსენებაზე გიორგის თავისი მემკვიდრე დავითი მოაგონდება: „ვოლტერი!

მეგობარი ჩემი შვილისა დავითისა, ჩემის მემკვიდრისა, ვაჟ შენ-
(სა) გიორგის! რუსეთში მყოფმან ჩემმან შვილმან შეისწავა მისი
უსჯულო სწავლა; მოიტანა აქა მისი სახე, რომელიცა სამართლად
დავსწვი ცეცხლსა... ღმერთო და მაცხოვარო ჩემო, შენ აპატიე
შვილსა ჩემსა დავითს დანაშაული მისი“*. ამ ნიადაგზე მამა და
შვილს შორის უსიამოვნება სუფევდა და „მეფის ძე დავით მემკ-
ვიდრე არცა ერთგზის ნახავდა მამასა, გარდა დროთა მათ, როდესაც
თვით მეფე დაიბარებდა მას საქმეთათვის“. ბოლოს მეფემ მოცი-
ქულებიც კი გაუგზავნა შვილს და სცადა „ქრისტიანობისაკენ მო-
ექცია „გაურჯულოებული“ შვილი: „შვილო დავით, თურმე ეკლე-
სიას თეატრს ეძახი, ცისკარს სათამაშოს და წირვას წარმოდგენას,
ნუ შვრები ამისთანა ღვთის გარეგან საქმეს. მოიქეც და ღმერთი
იწამეო“. გაჯავრებულმა დავითმა დააბარა მოციქულებს: „წადით,
ასე უთხარით მამაჩემს: რაც იმას სწამდეს, მე გამიწყრეს და რაც
მე მწამს, იმას გაუწყრესო“.

„დაადგა იგი ყოველსა გზასა, არა კეთილსა და ბოროტი მას არ
მოეწყინას“, — თქვა თურმე გიორგი მეფემ**.

მამა-შვილს შორის ასეთი დამოკიდებულება წმინდა იდეოლო-
გიური განხეთქილების შედეგია. ბრძოლა იდეალისტურ და მატე-
რიალისტურ ბანაკს შორის იმდროინდელ საქართველოში, ჩანს,
მწვავედ იდგა, რადგან თვით მამა-შვილიც კი ჩათრეულა ამ ბრძოლა-
ში, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მეფეს განსაკუთრებული
სიყვარულით უყვარდა დავითი თავის მრავალრიცხოვან შვილებს
შორის.

„მეფესა დიდად უყვარდა შვილი თვისი დავით, ყოველთა
შვილთა და ძმათა შორის უუფგონიერესი, ცქვიტი, ფხიზელი და
მარჯვე სიტყვითა და საქმითა“—ამბობს პლატონ იოსელიანი***.

როგორც გიორგი XII-ის სიტყვიდან ჩანს, დავითს რუსეთიდან
ვოლტერის სურათი ჩამოუტანია. მეფის მხრივ ამას ისეთი გულს-
წყრომა გამოუწვევია, რომ ის ცეცხლში დაუწვავს. „სამართლად
დავსწვი ცეცხლსაო“, — ამართლებს კიდევ თავის მოქმედებას
გაგულისებული მეფე.

დავით ბაგრატიონი გიორგი XII-ის პირველი ცოლის, ქიზიყის
მოურავის ასულის ქეთევანის შვილი იყო, თვით ქეთევანი მებრძო-

* პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 69.

** ლევან ასათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, გვ. 165, 1933 წ.

*** პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 69.

ლი ქალი იყო და ერთხელ გზაში მცირე ამალით მიმავალს თავს დაესხა ლეკები, ქეთევანმა თვით უხელმძღვანელა ამ ბრძოლას და სძლია მტერს. მეტისმეტად გაჰხარებია ერეკლეს თავისი რძლის „ესე ვითარი სიმხნე“ და თბილისთან დახვედრია დიდისა დიდებითა და ზარბაზნისა სროლითა“*.

საყოველთაოდ ცნობილია მისი ბაბუას დიდი სტრატეგისა და მეომრის ერეკლეს — ვაჟკაცობა და შემმართველობა, ერეკლეს მოუსვენარმა ცხოვრებამ და განუწყვეტელმა ბრძოლებმა ახალგაზრდა დავითის თვალწინ გაიბრინა. ასეთი ტრადიციების სასახლეში აღზრდილი დავით ბაგრატიონი, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა კაბინეტში კარჩაკეტილი მწიგნობარი აღზრდილიყო. დავითი მეომარი, უშიშარი სარდალაც ყოფილა. იგი 1789 წელს ერეკლე II-ის საპასუხისმგებლო დავალებას ლებულობს. ათასი რჩეული მეომრის თანხლებით სალაშქროდ გაიგზავნა თურქეთის საზღვრებში. დავითმა ბრწყინვალედ შეასრულა დავალება; საკუთარი ხელით მოჰკლა თიქნისელი ხანი (თურქეთში სახელგანთქმული მეომარი), მაგრამ უკან დაბრუნებისას თურქთა დიდი ლაშქარი წამოეწია ქართველებს. წყარო ასე მოგვითხრობს ამ ამბავს: „უკანასკნელ მოვიდა მას ზედა იშიყ ბეგ, გამოჩენილი მხედარი ყოველსა ყარსსა და ქურთსა ზედა, სადაც მეფის ძესა სცა მან შვიდი ხმალი. გარნა დაიცუა იგი ჯაჭვმან, ვინაითგან აქენდა დაფარვით ტანსა ჯაჭვი. უკანასკნელ მოკუდა ესეცა ხელითა მეფის ძისათა. ესე იყო საკვირველი, ყრმა წლისა ოცდასამისა და გამოუცდელი ბრძოლისა, ესრეთ იყო დღესა მას მხნედ, რომელ განაკვირნა ვითარცა ქართველნი და ეგრეთვე თურქნი“... დავით ბაგრატიონი თავის სახელოვან პაპას მოხუც ერეკლეს თან ახლდა 1795 წლის ბრძოლებშიც: დავითი ერეკლეს არტირელიას წინამძღოლობდა კრწანისის ველზე“**. გიორგი XII, დავითის მამა, 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა, რის შემდეგაც მცირე ხანს სამეფოს განმგებლად დავითი ითვლებოდა. 1801 წლის 14 თებერვლის რესკრიპტით ის ლებულობს გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდებას. ტახტის მემკვიდრისა და სხვა ბატონიშვილების საქართველოში ყოფნა მეფის მთავრობამ საშინაოდ ჩათვალა და 1803 წლიდან ის სამუდამოდ სახლდება პეტერბურგში, მთავრობის მიერ მატერიალურად უზრუნველყოფილი, სადაც 1819 წელს 53 წლის ასაკში გარდაიცვალა.

* დავით ბატონიშვილი. „ახალი ისტორია, თ. ლომპურის გამოც. 33. 14-15 (ციტირებულია პარკაძით).

** ვ. პარკაძე, დასახ. წიგნი, გვ. 5.

დავით ბაგრატიონი დიდი ერუდიციის, მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი იყო, ის მრავალ ენას ფლობდა: იცოდა ქართული, რუსული, ლათინური, ბერძნული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, სპარსული. მუშაობდა მეცნიერების მრავალ დარგში, ის ფლობდა აგრეთვე მეცნიერების მრავალ დარგს: ფიზიკას, გეოგრაფიას, მეტეოროლოგიას, ასტრონომიას, მედიცინას, ფარმაცოლოგიას, ზოოლოგიას, ანატომიას, მინერალოგიას, ფიზიკურ გეოგრაფიას, ბოტანიკას, გრამატიკას, პოლიტიკას, ფილოსოფიას, ისტორიას, ესთეტიკას. ღვთის მეტყველებას, ქიმიას, კოსმოგრაფიას, სამართალს და სხვ.

პეტერბურგში მყოფი რუსული კულტურისა და აზროვნების მოტრფიალე დავითი მაინც მწვავედ განიცდიდა სამშობლოს მოშორებას, სწორედ ამან ათქმევინა მას შემდეგი სიტყვები:

„გამიფრინდა სიხარულის ფრინველი,
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა
დაეპოთომილვარ ასე აწ უნუგეშოდ,
უბედობის გამო სხვისა და სხვისა.
რად შესპრიან შხესა წვრილწვრილი ხალი
შეუმოსავს მასვე ლამაზად ალი...“[•]

მაგრამ სამშობლოსა და თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა მან იქ გააგრძელა. ბაგრატიონთა ტახტის უკანასკნელმა მემკვიდრემ ხმალი სამუდამოდ კალმით შესცვალა:

-ესე ხელხება მამენება ხელი ვყოთ კალამს

ვისთვის მოცილილ ვყო გონება, მე მისთვის ხელმან^{••}.

მართლაც, სიკვდილამდის მას კალამი ხელიდან არ გაუგდია. სახელმწიფოსაგან, პენსიით ასე თუ ისე მატერიალურად უზრუნველყოფილი მთელ დროს ანდომებდა რუსული, ფრანგული, ლათინური და სხვა ენებიდან მთარგმნელობით მუშაობას. სხვადასხვა დროს მან თარგმნა მონტესკიეს „გულისხმისყოფისათვის სჯულისა“^{•••} ორ წიგნად, ანსილიონის „ესთეტიკური განსჯანი“^{••••}, შემოკლებული კატელორია, სამგზავრო გეოგრაფია, შეადგინა გრამატიკა, საქართველოს ისტორია, მსოფლიო ისტორიის ნარკვევები და

• აკად. ს. ჭანაშვილის სახ. სახელმ. მუზეუმის ხელნაწერი A—1188.

•• იქვე.

••• ხელნაწერი S—370; S—371; S—188.

•••• ხელნაწერი H—198; H—201.

მრავალი სხვა. ორიგინალურ შრომათაგან აღსანიშნავია მისი „შემოკლებული ფისიკა“, სადაც გარკვევით ჩამოყალიბებულია ავტორის მატერიალისტური მსოფლმხედველობა.

„დავით ბაგრატიონის მიხედვით: ყოველი სხეული მოძრაობს, ბუნების ყოველი მოვლენა განხილული უნდა იქნეს მოძრაობაში: ყოველი სხეული იშლება და ამ დაშლას თითქმის არა აქვს დასასრული; ყოველ ნივთს აქვს საკუთარი ატომი, რომელიც სხვა ნივთის ატომისაგან განსხვავდება ატომს შიგნით არსებული ნივთიერებების რაოდენობით, და რაც უფრო ნაკლებ რაოდენობას შეიცავს ესა თუ ის ატომი თავის შიგნით, მით უფრო ადვილად იშლება იგი; სხვადასხვა ნივთიერებათა შინაგან ნაწილაკთა ურთიერთ მოძრაობის შედეგად წარმოებს პირველთა დაშლა და ახალი ნივთიერებების შექმნა. რომ ბუნების ყოველი მოვლენა მოძრაობაში უნდა იქნეს განხილული — ეს ჩვენი ფილოსოფიის — დიალექტიკური მატერიალიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს. რომ ატომი დაიშალა და მის შიგნით რთული სტრუქტურა აღმოჩნდა — ეს თანამედროვე ფიზიკის ძირითად მიღწევას წარმოადგენს. მსოფლიოს ფიზიკოსთა უმრავლესობა დღეს ატომის შიგნით არსებულ უხილავ სამყაროზე მუშაობს და ის გარემოება, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ატომის გულში სულ ახალი და ახალი ნაწილაკები აღმოჩნდა, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ნივთიერების დაშლას საზღვარი არა აქვს, რომ ერთი სხეულის ატომი მეორე სხეულის ატომისაგან მათ შიგნით მოთავსებული ნივთიერებების რაოდენობით განსხვავდება — ეს ჩვენი ფილოსოფიის დიალექტიკური მატერიალიზმის ერთ-ერთ ძირითად კანონს — რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის კანონს წარმოადგენს*.

აი ასეთი ღრმააზროვანი დასკვნების გაკეთება შეიძლება დავით ბაგრატიონის სამეცნიერო შრომათაგან. „დ. ბაგრატიონი გარკვევით ემიჯნება ძველ თაობებს. და გადაულახავ საზღვარს სდებს ძველსა და ახალ მოაზროვნეთა შორის. ადვილი შესაძლებელია, რომ ძველსა და ახალ სწავლულებში დავითი ანტიკური პერიოდის სწავლულებსა და აღორძინების ხანის მეცნიერებას გულისხმობს. ყოველ შემთხვევაში ფაქტი ის არის, რომ ყველა არასწორ რელიგიურ და მცდარ შეხედულებას ავტორი „ძველებს“ მიაწერს, ხოლო პროგრესულ იდეებს ახლებს მიაკუთვნებს“**.

* ვ. პ ა რ კ ა ძ ე. დავით ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული ფისიკა“ — ტექნიკა და შრომა, 1954, გვ. 182.

** იქვე, გვ. 183.

ასევე ღრმააზროვანია და უაღრესად მნიშვნელოვანი ქართული მედიცინის ისტორიისათვის დავით ბაგრატიონის სამედიცინო ბიოლოგიური შეხედულებანი. სამედიცინო ხასიათის შრომათაგან ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვან შრომას წარმოადგენს მისი „სამკურნალო რეცეპტები“, ის მნიშვნელოვანია უმთავრესად მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით იმ დროისათვის. ის საკმაოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოში, რადგან მისი რამდენიმე ვარიანტი შემონახულა დღემდის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ის გამოყენებაში იყო და ამგვარად ასრულებდა იმ დანიშნულებას (თავისი ხალხისადმი სამსახურს), რისთვისაც ასე რიგად „დაშვრა“ მისი ავტორი. როგორც სხვადასხვა მუზეუმში, ისე აკად. ე. ჭანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება მისი რამდენიმე ვარიანტი:

1. A — 1188 — ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, 20 ფ. დაშლილი, თავფურცელში იკითხება „კარაბადინი გარდმოღებული ლათინურიდან რუსულს ენაზედ, ფრიად საჭირო და სამკურნალო რეცეპტები, აზბანზედ გარდმოღებული მისის უმაღლესობის მეფის გიორგისა პირმშოსა და საქართველოს მემკვიდრისა გენერალ-ლეიტენანტისაგან დავითისა სამეფო ქალაქსა ს. პეტერბურგში. 1811 წელსა თვესა აპრილსა 3-სა დღესა“. როგორც მინაწერებიდან ირკვევა, ის გადაუწერია ვინმე ლეონტი გურგენიძეს, ჩამოტანილია თელავიდან (ს. თაღვა ნადირაძეების ოჯახიდან).

2. S — 238 — ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, 152 გვ. კარგად შემონახულია, უნაკლოა, გადაწ. დავით ეგნატეს ძე თუმანიშვილის მიერ „გარდმოთარგმნილი ლათინურის და რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა ფრად საჭირო და სამკურნალო რეცეპტები, რომელიც ამბანაზე არის გამოკრებული მისის უმაღლესობის საქართველოს მეფისა გიორგის პირმშოს და საქართველოს მემკვიდრის რუსეთის ლენერალ-ლეიტენანტის და კავალერის დავითისაგან. სამეფოსა ქალაქს სანკთ-პეტერბურს, წელსა ქრისტესსა 1811-სა, იანვრის 2-სა, დღესა“.

3. Q — 905 — ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, 152 გვ. (76 ფ.) ხელნაწერი იწყება ზემოხსენებული ტექსტით გარდა მცირეოდენი სტილისტური განსხვავებულობისა. როგორც გადაწერის „ანდერძიდან“ ირკვევა, ის გადაწერა „ქარისაგან გულალმა მდებარემან დიაკვანმა

პავლე პაპიოვმა გრემის ნაქალაქევსა შინა, წელთა 1822“.

4. Собр. царевича Иоанна—№ 176 — ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში, კარგად შენახულია, ყდით უნაკლულა, შეიცავს 88 ფურცელს, დაწერილია პეტერბურგში 1811 წელს.

5. „კარაბადინი“—№ 2487 — ინახება თელავის სახ. მუზეუმში. ხელნაწერი იწყება ტექსტით: „მართლად ჰეშმარიტი გადმოღებული ლათინურსა და რუსულთაგან ქართულსა ენასა ზედა თვითსაკურნებელი მისის უმაღლესობის საქართველოს მეფე გიორგის პირშო შვილის საქართველოს მემკვიდრის ლენერალ-ლეიტენანტის დავითისაგან სამეფო ქალაქსა პეტერბურს, დაიბეჭდა 1812-სა იანვარსა 23-სა“. ხელნაწერი გადაწერილია ვინმე არუთინ დანიბეგაშვილის მიერ სიღნაღში 1835 წელს. აქ საინტერესოა შემდეგი ცნობა: „დაიბეჭდა 1812-სა იანვარსა 23-სა“. თუ გადამწერი მართალია და მართლაც ტექსტი მის მიერ გადაწერილია ნაბეჭდი წიგნიდან, ეს საინტერესო მოვლენაა, რადგან დ. ბაგრატიონის ასეთი სახის ნაბეჭდი წიგნი ჭერჭერობით უცნობია, „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია“ არ იცნობს ასეთ წიგნს. შესაძლოა იყო ასეთი ნაბეჭდი წიგნი, მაგრამ მისი მეტისმეტი პრაქტიკული ხასიათისა და ხალხში ხშირი მოხმარებისა გამო, მთელი ტირაჟი ისე გაცვდა, რომ ჩვენამდე ვერ მოაღწია ვერც ერთმა ეკზემპლარმა და იგი ვერ მოხვდა „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ აღწერილობაში.

დანამდვილებით ვერ ვიტყვით ხსენებული ხელნაწერი დ. ბაგრატიონის ზემოხსენებულ „სამკურნალო რეცეპტურის“ ვარიანტია თუ სხვა სახის ნაწარმოები. „სამკურნალო რეცეპტებში“ დავითი თუ თავის ნაწარმოებს „სამკურნალო რეცეპტებს“ უწოდებს, აქ „თვით საკურნებელი“ სწერია. საჭიროა როგორც მათი ტექსტის შეჯერება და დადგენა, ისე მოსკოვისა და პეტერბურგის მაშინდელი სტამბების მიერ გამოშვებული წიგნების გულდასმით შესწავლა სათანადო საარქივო ფონდებში.

6) H — 2370 — ინახება საქართველოს სსრ მეც. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში. ხვენ ის მიგვაჩნია ძარიითად ტექსტად, რადგან ის ყველაზე სრულყოფილია, ძვირფას ხავერდგადაკრულ ყდაშია ჩასმული და ჩანს ავტორისეული ვარიანტია, რადგან ხშირად ვხვდებით ტექსტში ავტოგრაფიულ ჩანაწერებს, გადაწერილია პეტერბურგში ავტორისავე სიცოცხლეში და ალბათ მისივე მეთვალყურეობის ქვეშ. წიგნი 231 ფურცელზეა (20,5×16),

დაწერილია მხედრულით, სათაურები გამოყოფილია სინგურით*. დ. ბაგრატიონის „სამკურნალო რეცეპტები“ არ წარმოადგენს თარგმანს ერთი რომელიმე წიგნისას, შედგენილია დავითის მიერ სხვადასხვა წიგნებიდან და სახელმძღვანელოებიდან როგორც რუსული, ისე ლათინური წყაროებიდან, რასაც თვით დ. ბაგრატიონი მიუთითებს ტექსტის დასაწყისში:

„გარდმოღებული ლათინურისა და რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა ფრიად საჭირო და გამოცდილი; რეცეპტები, პირველთა დოხტურებთაგან დაწერილი, რომელიც ანბანზედ არის დაწყობილი მისის უმაღლესობის საქართულსოს მემკვდრისა ლენერალ-ლეიტენანტის და ტენატორის დავითის მიერ სამეუფოსა ქალაქსა სანკთ პეტერბურღს, წელთა 1812, იანვარს 25“.

ხსენებულ 231 ფურცლიდან გვერდები: 44, 45, 47, 53, 54, 62, 63, 74, 76, 77, 78, 81, 83, 98, 118, 126, 130, 131, 140, 141, 142, 147, 153, 154, 158, 161, 197, 217, 218, 233, 234, 236, 237, 238, 240, 241, 244, 246, 249, 250, 253, 254, 257, 258, 260, 261, 266, 272, 276, 284, 289, 290, 293, 301, 302, 306, 314, 315, 320, 324, 329, 350. 177 v, 178 ც, 182 r, 189 r, 197 v, 221 r — დაუწერელია. მასალა ასეა განლაგებული: ტექსტი დაყოფილია სათაურებად დაავადებათა მიხედვით, მაგალითად: ანტონის ცეცხლისათვის, სუსუნატისათვის, ბუასილისათვის და ა. შ. თვითეულ დაავადებას მიწერილი აქვს სათანადო რეცეპტები, რომელთა რაოდენობა ხშირად ათეულებს აღწევს. თითქმის ყოველ მომდევნო თავამდის (სათაურამდის) დატოვებულია დაუწერლად რამდენიმე გვერდი, რაც ავტორის წინასწარ მოფიქრებით აქვს გაკეთებული, რათა ახალ-ახალი რეცეპტები და სამკურნალწამლო საშუალებანი ამა თუ იმ დაავადებათა მიმართ, რომლებიც შემუშავდებოდა მომავალში ან მიკვლევულ იქნებოდა სხვადასხვა წყაროებით, თანდათან ჩაეწერა სათანადო ადგილას, სწორედ ამიტომ არის ზემოთ ჩამოთვლილი დაუწერელი გვერდების სიმრავლე ტექსტს შიგნით, ყოველი დაავადების (სათაურის) შემდეგ. ამ მიზეზითვე არის ტექსტის ძირითად ხელისაგან განსხვავებული მეორე (ავტოგრაფიული) ხელის მორიგეობითი ცვლა.

დაავადებები (სათაურები) დაწყობილია ანბანზედ, შემდეგი თანმიმდევრობით:

* დ. ბაგრატიონის „სამკურნალო რეცეპტები“ და მისი ვარიანტები მეცნიერული შესწავლისა და გამოცემის ღირსია, ჩვენ ვაზნადებთ მონოგრაფიას დ. ბაგრატიონის მოღვაწეობაზე და მის „სამკურნალო რეცეპტებს“ გამოსაცემად.

ანტონის ცეცხლისათვის და ყოვლისგულის	ტკივილისათვის
დამპალის კორცისათვის	გული, რომ უფრიალებ-
სუსუნატისათვის	დეს
ბუასილისათვის და გა-	გულქდებისა
ციებულის	გულქდების დაყვანისა
ბუასილისათვის და თაე-	დამლისათვის
ბრუისა	დამწვარისათვის
ბუასილისათვის	დედაკაცს, რომ შვილის
ბუასილის სისხლას და-	შობის უკან სისხლის
ყენებისათვის	დენამ ძალა უყოს
ბნედისა და სუდრუგი-	დედაკაცს, რომ სისხლი
სათვის	არ მოსდიოდეს
ბნედამ, რომ მოუროს	დამზრალისა ფეხისა ანუ
ბალაზინი	ქელისათვის
დაპრილისათვის	დამზრალისათვის
ქარისათვის	დამრჩელისათვის
ძარღვის გასამაგრებელი	დასამებელი და დასა-
კაცს რომ სისხსა სჭირდეს	ლეველი ყოვლის ტკი-
სისხლის შეწყვეტისა	ვილებისათვის
ბჰვლისათვის	დასადებელი დაუევილისა
ბჰვლებისა და ანთები-	და მტკივანს ასოზედ
სათვის	ელექსირი კაცის სიცოც-
ბედნიერისა	ხლისათვის
გაცივებულისა	ელექსირი პროპიტატისა
გაცივებისა და დახუთ-	ელექსირი გამამხიარუ-
ვისა	ლებელი
რევმოთიზმისა	ელექსირი ღალერის
გასამაგრებელი ასოსი და	ელექსირი ანტისპაზმო-
ყუათისათვის	დიკუმ-ელექსირი სუდ-
გასამაგრებელი ყოვლისა	რუგისა
ასოსათვის	ვაქსი
გასამაგრებელი დადუნე-	ზაფრისათვის
ბულისა ასოსი	თვალის ტკივილებისათ-
გასამაგრებელი დადუნე-	ვის დასამებელი
ბულისა და რევმოთი-	თვალზედ დასადებელი
ზმისა	თვალიდამ რომ ცრემლი
გასამაგრებელი და საყუ-	სდიოდეს
ათო	

თვალში ფრჩხილისათვის
ანუ ბრყვილისათვის
თვალში წირპლისათვის
თვალის სიწითლისათვის
თვალის ტკივილისათვის
თვალის სიწითლისა
თვალში, რომ წუნი და
ჩირქი ქუთუთოზე მო-
რეოდეს
თვალის წირპლისა
თირკმლის ანთებისათვის
თავბრუ რომ ეხვეოდეს
ადამიანსა
ისტერიკისა და კუჭის
სისუსტისათვის
კოლინჯისა
კუჭის გასაკეთებელი
კბილის ტკივილისათვის
კუჭისათვის
მაჯუნი გასამთელებელი
მაჯუნი ჯავაირისა
მუნის წამალი
ბუცელში შესაკვრელი
მუცლის ანთებისა
მუცლის ტკივილისა
მალამო
„ ტალიონი
„ ნორინ ბერგისა
„ მოსაქმელი
„ მქამლისა და დამპალის
კორცისათვის
„ მოსამთელებელი
„ შაფხაუზენისა
„ ბაზილის ქონისა
„ მათოთისა
მწვანე მალამო
მალამო ყვითელი
მალამო ქაფურის
მალამო დაჭრილისა

მალამო ვერცხლის
წყლისა
მაზი წასასმელი ბალბისა
ანუ ტუხტისა
მაზი ნერვისა
მაზი წასასმელი მტკივანს
ასოზედა
მაზი ვეშპის ტვინისა
მაზი თავზე მუწუკისა
ნერვის ცხელებისათვის
ნიკრისისა
ნაფაზისა
ოფლის მოდენისათვის
ოყნის მიცემისათვის
ოყნა სიმხურვალით მუ-
ცელში შეკრულის გა-
სახსნელად
ოყნა ხილთებისათვის
ოყნა სიმხურვალით მუ-
ცელში შეკრულისათ-
ვის
პირის ტკივილისა და
ნაკენკისათვის
პირში გამოსავლებელი
და დასარბილებელი
პირში ნაკენკის გამოყრი-
სათვის
პირის სიმპალისათვის
პირზედ ხუწუწუებისათვის
რევმოთიზმისათვის
რწყევის დასაყენებელი
სასუნებელი მტვერი
საქმელი რომ დააწვეს
სიცხისათვის
სიცხის გასანელებელი
წამალი
სიცხისათვის სასაქმებელი
სლოკინი რომ აუვარდეს
კაცსა

სიყვითლე რომ შეუვი-
დეს კაცსა
სიყვითლისათვის
სისხა რომ დაემართოს
კაცსა
სისხლის დაწმენდისათ-
ვისვე
საწამლავისა და დაშხა-
მულისათვის
სისხლი, რომ პირიდან
მოგდიოდეს
ცხვირიდან რომ სისხლი
წასქდეს
სისხლის შეწყვეტისათ-
ვის დედაკაცისა წესისა
სისხლის რწყევისათვისვე
სისხლი, რომ სდიოდეს
ასოლამ ანუ სისხლზე
ფსკედეს
სუსუნატისა
სასაქმებელი
სარწყევინებელი
სიმსივნისა
სურდოსათვის
სუდრუგისათვის
სირსველისათვის
ტყვნის მომატებისათვის
ტყირპისა
ფილტვის ანთებისა
ფერდის ქარისათვის
ფილენჯის ქარისათვის
ქავილისათვის
ქაჩლობისათვის
ღვიძლის ანთებისათვის
ყმაწვილების სნეულები-
სათვის
შარდს რომ ვერ იჭერ-
დეს

შირიმის წამალი
შაბის შრატის გაკეთება
შარბათების გაკეთება
სხვადასხვა რიგებისა
ცივებისათვის
ცივებისა და ნერვის ლი-
ხარატისათვის და დამ-
პალი ცხელებისათვის
ცინგოტისა
ძაძის ძუძუში რძის შო-
მატებისათვის წამალი
ძმრების გაკეთება სხვა-
დასხვა რიგებისა
წითელ ქარისათვის წამ-
ლები
წყალმანკი რომ გაუჩნ-
დეს კაცსა
წყლების გაკეთებისა
სხვისადასხვისა
წელი რომ გამოსდიო-
დეს უკანა კარიდამა
წესი რომ არ მოსდიო-
დეს დედაკაცსა ანუ წე-
სის გახსნისა
ჭიისათვის
ჭლერქისათვის
ჭირისა ანუ დიდი ყამი-
სათვის
ჭრილობისათვის შიგნეუ-
ლებისა
ჭრალობისა
ხველისათვის
ხველებისა და ქნეშისათ-
ვის წამალი
ხველისა და ნათაზისათ-
ვის
ხუთვისათვის

ხუნავისა და ყელის ჩა-
მოსვლისათვის

ჯირკველისათვის წასას-
მელი

ყაფიანისა და სხვა

ჩვენ სათაურები ჩამოვწერეთ მხოლოდ, რადგან ზოგადი წარ-
მოდგენა ვიქონიოთ ამ შრომის შინაარსა და სტრუქტურაზე.

აღსანიშნავია ის, რომ დავითის „სამკურნალო რეცეპტების“
დღემდე მოღწეული ექვსი ვარიანტიდან ხუთი საქართველოშია შე-
მონახული როგორც თბილისში, ისე რაიონებში. ჩანს ავტორის
უზრუნვია მისი გამრავლებისათვის და სამშობლოში ფართოდ გავრ-
ცელება-გამოყენებისათვის.

დ. ბაგრატიონის სამედიცინო-ბიოლოგიურ იდეებზე უფრო
გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მისი ზემოხსენებული ნაშრომი
„შემოკლებული ფისიკა“. აღნიშნული წიგნი დავით ბაგრატიონს
დაუწერია ქ. პეტერბურგში 1817—1818 წლებში, ე. ი. გარდაცვალე-
ბიდან ერთი წლით ადრე დაუსრულებია. წიგნი 324 გვერდისაგან
შედგება, ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის ხელნაწერ-
თა განყოფილებაში (ხელნაწერი H — 2368), წიგნის (ხელნაწერის)
ის ნაწილი, რომელიც ფიზიკას შეეხება გამოცემულ იქნა ვ. პარკაძის
მიერ 1954 წელს*.

ქიმიურა და სამედიცინო-ბიოლოგიური ხასიათის პარაგრაფე-
ბი მას არ შეუტანია თავის გამოცემაში და ამგვარად, დაინტერესებუ-
ლი მკითხველისათვის ეს პარაგრაფები კვლავ ხელმიუწვდომელია
და ამ ეპოქის სამეცნიერო-სამედიცინო აზროვნების ისტორიაში
გაუშუქებელია.

წიგნი შემდეგი სიტყვებით იწყება: — „დავითის მიერ დავი-
თიან სოლომონიან ბაგრატიონის, მეფის გიორგის პარმშოს მისი
ღენერალ-ლეიტენანტის და კავალერისაგან ქმნილი შემოკლებული
ფისიკა ს ა ქ მ ი თ ა ხ ა ლ თ ა მოსწავლეთათვის, შესამეცნებლად ფი-
სიკაჲსა. წელსა 1818 სანკტპეტერბურხს“.

აქაც, ამონაწერში ყურადღებას იმსახურებს სიტყვები „საქ-
მით ახალთა“, რაც, როგორც ზემოთ ვთქვით, მისი მსოფლმხედვე-
ლობის მაუწყებელია:

პირველი სტრიქონებიდანვე ჩანს ავტორის სულისკვეთება, და-
საწყისშივე დებს საზღვარს. „საქმით ახალსა“ და როგორც ჩანს
„ძველს“ შორის, რომლის მიმართ დავითი სიძულვილით იყო გამს-
კვალული***.

* ვ. პარკაძე, „დავით ბაგრატიონი და მისი შემოკლებული ფისიკა“, ტექ-
ნიკა და შრომა, 1954 წ.

** იქვე გვ. 40.

წიგნი, ჩვენთვის საინტერესო სამედიცინო-ბიოლოგიური ხასიათის შემდეგ პარაგრაფებს შეიცავს:

- § 81 — ოპტიკისა
- 82 — კატოპტრიკისა
- 83 — დეოპტრიკისათვის
- 88 — ხედვისათვის
- 89 — მისთვისვე
- 90 — გუგაისათვის
- 91 — გარდატეხისათვის ნათლისა თვალსა შინა
- 92 — მიკროსკოპისათვის
- 142 — შობისათვის კაცთა და ცხოველთასა
- 143 — საზრდელისათვის.
- 144 — სხეულთათვის
- 145 — შიგნეულთათვის ,
- 146 — გრძნობისათვის და საგრძნობელთასა
- 147 — ღვიძლისათვის და ძილისა
- 148 — ფქნარებისათვის (ანუ მთქნარებისა)
- 149 — ცხოველობისათვის და სიკვდილისა

ამათგან პირველი რვა პარაგრაფი (81 — 92) უმთავრესად ფიზიოლოგიური ოპტიკის საკითხებს იხილავს მეტად საინტერესოდ.

დანარჩენ პარაგრაფებში (142 — 149) ანატომია-ფიზიოლოგიის საკითხებია განხილული. ხსენებულ პარაგრაფთა ტექსტები მთლიანად მოგვყავს. როგორც მეტად მნიშვნელოვანი ეპოქის სამეცნიერო-სამედიცინო აზროვნებას ისტორიისათვის და როგორც მიუკრძლებელი წყარო ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევართათვის. იგი დ. ბაგრატიონის ორიგინალური შრომაა, ის გარკვევით ამბობს, რომ შრომა მისგან „ქმნილია“ და არა ნათარგმნი და შეკრებილი. ადრინდელ მის შრომებში ყოველთვის გარკვევით ეხება დ. ბაგრატიონი შრომის ორიგინალობის საკითხს, მის მიერ შედგენილ „სამკურნალო რეცეპტებზე“ ის არ ამბობს „ქმნილს“, წერს, რომ ის „გარდმოღებულია ლათინურსა და რუსულსაგან“ და ა. შ. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ის მეტად ფაქიზად იცავს ავტორულ კეთილსინდისიერებას. ისედაც ტექსტში ბევრია ისეთი ადგილები, რომლებიც თვით ავტორის განსაზღვრა რომ არა გვექონდეს, მაინც შრომის ორიგინალობაზე გვაფიქრებინებს. მაგალითად: ზოგჯერ ის ქართულ წყაროებს. მიუთითებს სიტყვის სწორად გამოთქმის სამაგალითოდ „ფქნარებისათვის (ანუ მთქნარებისათვის). რომელსაც ესრეთ მოიხსენიებს ექვსთა დღეთაში“* (§ 148) „იმერეთსა შინა ვახსა შე-

* იგულისხმება ბასილი დიდის „ექუსთა დღეთას“ ქართული თარგმანი.

ედების სნებაჲ“, „თვით მეცა მიხილავს პეტრებუღსა შინა“, „მსმენიუ ვითარცა... მოგზაურთა ქართველთაგან“ (§ 150) და ა. შ. ეს უეჭველი ავტორისეული წინადადებები ისე ორგანულად არის შთლიან ტექსტთან დაკავშირებული, რომ ნაწარმოების ორიგინალობას სრულიად უეჭველს ხდის, ვიმეორებთ, თვით ავტორისეული გადამწყვეტი სიტყვა და მოსაზრებაც რომ არა გვქონდეს ამ საკითხზე.

(ტ ე მ ს ტ ი)

1 (§ 81)*. (ობტიკისა)

„ყოველსა ხილულსა საგანსა აქვს ურიცხვი წერტილი და თვითეული ამა წერტილისაგანნი უკუნ აქცევს თვისგან შეფენილსა მის ზედა ნათელსა. სწავლა ხედვისა იწოდების ობტიკად. რაოდენ შორად სდგას ჩვენგნით საგანი. ეგოდენ ჰკარგავს ბრწყინვალედ განცხადებასა თვისსა. თვითეული საგანი გამოიხატების თვალთა ჩვენთა ვითარცა სარკესა და რაოდენ შორს დგას საგანი, ეგოდენ უმცირესი იქმნების გამოხატვა მისი, გარნა სხეულნი მანათობელნი შორით უდიდეს იხილვებიან ვიდრეღა მახლობელ, მაგალითად, უკეთუ დასდგა სამთელი აღთნებული ასსა მხარესა, უდიდეს იჩვენების შარავანდელი მისი, ვიდრეღა მაშინ ოდეს სდგას თვალთა წინ ჩვენთა; ხოლო ესე ამად, ვინათგან სამთელი პოებული უშორეს, განანათლებს ჰაერსა და განათლება ჰაერისა აღგვიჩნდების ჰიმთლოსა შარავანდელისა სიდიდედ და ამით დაამტკიცებს უკეთუ შეხედო სამთელსა შორს მდგომსა მცირითა გამოხვრეტილითა რაათამე, მაშინ შარავანდი იგი აღგვიჩნდების მცირედ მით, რომელ, მაშინ ნამეტნავი განფენილება სინათლისა ჰაერსა ზედა ვერღარა შევალს თვალსა ჩვენსა. კვლავად მთოვარე აღმოსრული აღგვიჩნდების მცირედ მით, რომელ, მაშინ ნამეტნავი განფენილება სინათლისა ჰაერსა ზედა ვერღარა შევალს თვალსა ჩვენსა. კვლავად მთოვარე აღმოსრული აღგვიჩნდების დიდი, ვინათგან ჰაერი სხივსა მისსა განავრცობს“.

2 (§ 82). (კატობტრიკისა)

„სხეული განსჯასა შინა ნათლისასა არიან ესე ვითარნი, რომელნიცა განიჭვირვიან და არა განიჭვირვიან, ხოლო სწავლაჲ გარდაცემისა ნათლისა იწოდების კატობტრიკად. ნიეთი ნათლისა შეფენილი რომელსამე ეპიფანიასა ზედა, რომლისამე გათლილისა ნიეთი სასა, უკანვე გარდმოიცემის ეგრეთითავე ნაკვეთითა, ვითართაცა კუთხითა და ვითართაცა ნაკვეთით შევალს მას შინა, ხოლო სხივი კვეთებული ეპიფანიასა ზედა სხეულსასა იწოდების სხივად შეფე-

* ფრჩხილებში ჩასმული ციფრები დედნიეული პარაგრაფების ნუმერაციაა.

ნილად, და უკუნქცეული, უკუნბრუნვილ სხივად (ანუ გარემოქცეულად), ხოლო ოდეს კატოპრია აღწერს გარდამტერევესა სხივისასა ყოველთა გვართა სარკეთა შინა, ე. ი. ბრტყელსა, სწორესა, შეზნეჟილსა, გარმოზნეჟილსა, ცილინდრულსა, კონუსებრსა და სხვათა და მსგავსადვე, დამანთა თავსაცა და ამას შეუდგების დეოპტრია: რომელიც შეგვამცნებს შიგ გახედვასა თვინაურ ჭიქისა თვალთასა და ჭიქისა თვალთაცა მიერ. ღირს განკვირვებისა არს კატოპტრიკასა შინა, რომელ უკეთუ მოილო ორი სარკე შეზნეჟილი და დასდგა პირისპირ ურთიერთსა ერთსა ადგილსა, და შემდგომად წინაშე ერთისა მათ სარკეთაგანისა დაჰყარო წამალი თოფისა სამსა გოჭსა სივრცითა და მეორესა სარკესა დაუდვა წინა აღზნებული ნახშირი, მაშინ სხივი ცეხლისა მოხვდების სარკესა, ხოლო სარკე ესე გარდასცემს უკანა ვითარცა სხივსა; ეგრეთვე ნათელსა და სხივი ესე სიტყფოთ შეადგებოს რა სარკესა მას, რომლისა წინაშე წამალი არს სარკითა ამით გარდამოცემული; ვითარცა სხივი ეგრეთვე სიტყფო მოხვდების წამალსა და აღფრინდების წამალი იგი“.

3 (§ 83). „დეოპტრიკისათვის“

მრავალნი სხეულნი გარდა ჭიქისა არიან გამჭვირვალენი ვითარცა თვალი მარლისა, თვალნი პათიოსანნი, ქარვა, ბროლი, მთისა წყალი და სხვანი რომელნიმე სითხენი. გარნა თვალსა ჭიქისასა შეუქმნენ ეპიფანიასა, რომელსამე ბრტყელად და რომელსამე შედრეცილად და შეაწყობენ პირისპირ ლულასა შინა, და ამით განიხედვენ, რომელიცა წარმოადგენს შორსა საგანსა (ანუ სახილველსა) ახლოდ და ამას ეწოდების უკვე ჰოგრი. არიან კვალად სხვანიცა საჭურველნი მსგავსად ჰოგრისა შექმნილნი განსადიდებლად წვლილთა საგანთათვის (მინა ნივთთა), რომელსაცა ეწოდების მაკროსკოპი. სხივსა ნათლისასა აქვს ესე ვითარი თვისება, ოდეს იგი მივალს ერთისადმი გამჭვირვალისა სხეულსა, მაშინ იგი ვლის სწორსა ხაზსა ზედა. ხოლო ოდეს ჰაერით შევალს წყალსა შინა და ანუ ჭიქასა, მაშინ სწორმავლობა მისი განიხრების და ამის მიერ მიმავალი სხივი ჰაერსა ზედა და შესრული ჭიქასა გამოდრეცილსა შეკრბების ერთსა მცირესა ადგილსა და ადგილი ესე სადაცა შეკრბების სხივი იწოდების ფოკუსად და განმვლელ საშუალ შედრეცილისა, განეფინების თვის თვისად“.

4 (§ 88). „ხედვისათვის“

ნათელი შეგვიქმს ჩვენ საგნთა ხილულად, გარნა ვითარითაცა სახითა სულსა შეერთმევის დატვიფრულება საგანთა და ცნობა ესე აღმოჩენილ არს მეტაფიზიკასა შინა, ხოლო ფისიკა შინა სათანადო არს აღმოჩენა ყოველთა თვისებათაგან-ცხადებათასა თვის

საყოფელთა ხედვისათა, რომელიცა თვის ეყვის ორღანოსა ხედვისასა და არა სულისა“.

5. (§ 89). (მისთვისე)*

ორღანო ხედვისა არს თვალი, რომლისა აღგებულება იჩვენების, რომელ იგი არს მგვრგვალი გუგამ მდებარე ფოსოსა შინა შუბლისასა და წინა ეყვის დაფარული გარსისა მსგავსისა ტყავითა ქუთუთოდ წოდებულთა, რომელსაცა ნაპირსა ზედა მისსა აქვს შემომსხდარ ბეწვნი წამწამად წოდებულნი, ბუნებისაგან მკველად მინიჭებული მით, რომელ რააცა მცირე რაამე ნივთი დაუახლოვდეს თვალსა, მყის დაიხურვის და მით განერების თვალი ვნებასა. ხოლო უკანა თვალისა იპოებიან ექვსნი მუსკულნი, რომლისა ოთხი მათგანი არს სწორე, ხოლო ორი ალმაცერ. გარნა ერთი მათ სწორეთაგანი აქცევს თვალსაზე, რომელსაცა ეწოდების ზე აღსახელი მუსკული; მეორეა აბრუნებს ქვე; მესამე აქცევს თვალსა ცხვირისასა კერძ; და მეოთხე გვერდზე ყურისა კერძ; და ორი იგი მუსკული ალმაცერად წოდებული, ერთი მისგანი მოაქცევს თვალსა საამოხედვისად და მეორე მრისხანებისად“.

6 (§ 90). (გუგაისათვის)

„გუგა თვალისა შედგმულ არს სხვათა და სხვათა სინოტიეთა და გარსთაგან ფიგურა № 11*“ აბღ არს ზემო გარსი, რომელსაცა აქვს თვისება ღრაქისა გინა ნახრტენისა, ხოლო წინა გამობერილი არს ბ. ღ. და ღ. განმკვირველე ნაწილი ამა ღრაქებრისა გარსისა და სხვა შიგნითა გარსი. ღ. ე. რ. რ. ე. ღ. და ღანი იწოდებიან ანატომიასა შინა ყურძნის გარსად: რომელსაც წინა აქვს ხერელი და ხერელი იწოდების სახელდავად, რომელიც არს ესე მცირე რამ საშუალ თვალისა ბრყვილი გინა ხალი ბაიად წოდებული და გარემო ამა ხერელისა პოებულ არს ფეროვანი გარმოვლილი ჩაქსული. ანატომიასა შინა ირისედ სახელდებული, ხოლო უკანა ამისა არს მოთეთრო სიმგვრგვალე ლიგამენტად წოდებული (კოპარად) და დანაშთი ნაწილი, ესე იგი ე. რ. რ. და ე. ხოროიდად. ნაწილი ესე შეერთდების ნაწილად ბროლისა წოდებულსა. პ. პ. ღ. და ღ. დაიპყრობს თვის შორის წმინდასა წყალსა მსგავსსა ბროლისასა, რომელიცა იპყრობების გარსთა შორის განმკვირვალეთა; და მესამე გარსი პ. ს. ს. და პ. არა თვით შინაგნითი, რომელიც იწოდების ბადედ, ხოლო ლათინურად რეტიინად; და ყოველი ესე შედგების ნევრთაგან და ანუ საგრძნო-

* ფრჩხილებში ჩასმული სათაურები ტექსტში არაა, აღებულია ავტორისეული საჩივიდან, რომელიც ხელნაწერ ტექსტს ერთვის.

** ტექსტშია ფიგურა 11. თვალის გარსების სქემატური გამოსახულებით.

ბელთა ძარღვთაგან; ხოლო თვალი განიყოფების ორ კომარად; (კელენად): წინად და უკანად, რომელნიცა არიან აღვსებულ სხვათა და სხვათა წმინდითა ნოტიობითა, პყრობილითა სხვათა და სხვათა ბუდეთა შინა, რომელთა წინათა უკვე აქვსთ ნაკვეთი მსგავსი ბროლისა ერთისა უკვე კერძოთ გამობერილი, ხოლო მეორით შედრეცილი და სხვა სწორე ვითარცა ნაკვეთი თვალისა აჩვენებს, და წინასა, რომელიცა არს ღ. ღ. უწოდებენ ბროლებრად; და საშუალსა მ. მ. წყლიერად. ხოლო უკანა ამისსა პ. პ. კვლავად ბროლებრად და ანუ ბროლად და თვით უკანა თვალისა აღსავსესა მინისა მსგავსისა, სინოტიითა რომელსაცა პ. პ. და ს. ს. უწოდებენ მინისასა გინა ჭიჭისასა. შინა შესვლისა და გარდატეხისა თვალთა შინა ნათლისასა ბილულ იქმნების საგანი რომელთა გამოიხატების უკანა გინა თვალისა ძირსა რეტინასა ზედა, ესე იგი ს. და ს.“

7 (§ 92). „მიკროსკოპისათვის“

რაოდენ იყოსმცა თვალი არა სნეულ, მაშინმცა ძვიელდა ძალუტს უწველილესისა ნივთისა ნათლად განრჩევა და ამისათვის შემოიღეს დამანი რამე მიკროსკოპად სახელდებული. იგი არს შედგმულ ერთისა ორისა და ანუ მრავალთა ბროლთაგან, რომელიცა იხილვების ფიგურასა შინა იგ, რომლისა ძალით თვითეულსა ნივთსა და ცხოველსა განდიდებულითა სახითა განვარჩევთ. და ოდეს საგანი მდებარეობს ჩვენ მიერ განშორებით, რომლისა განრჩევა მარტივისა თვალითა არა ძალიდების. ამისთვის ხმეულ არს ორღანო რამე ჰოგრად და ანუ ღურბინდად სახელდებული. მიკროსკოპი არს ორგვარი: მარტივი და შედგმული. მარტივი არს შეწყობილი ერთისა უკვე ბროლითა, ხოლო შედგმული — მრავალთაგან. ბროლი განმადიდებელი. იხილე ფიგურა 13*. ხოლო მარტივი მიკროსკოპი იჩვენების 14 ფიგურასა** შინა სადაცა ბროლი არს ა. და საგანი წინაშე ბროლისა მდებარე — ბ: ხოლო შარავანდი მომავალი ზემოთ საგნისა განვლის საშუალ ბროლისა და გამოიხატვის კედლისა პუნქტსა დ. და მეორე შარავანდი მომავალი ზემოთ საგნისა განვლისა საშუალ ბროლისა და გამოიხატვის კედლისა პუნქტსა დ. და მეორე შარავანდი ქვემოსაგან ისრით მომავალი ე. ამა ნიშანით განვლის საშუალ ბროლისა და გამოიხატების კედელსა ზედა პ; და კვალად განმლეული საშუალ ბროლისა გამოიხატვის ღ. და ესრეთ ნაკვეთი აჩვენებს რომელ საგანი წვლილი, რომელ ბ. და ე. გამოიხატების თავდაღმა დიდად პ. დ; საგანი ბ. ვ. რაოდენ მახლობელ არს დამანისა, ეგოდენ დიდად

* ტექსტში მოცემულია სათანადო სქემატური ჩანახატი „ფიგურა 13“.

** ტექსტში მოცემულია სათანადო სქემატური ჩანახატი „ფიგურა 14“.

გადრაიხატების კედელსა ზედა და რაოდენ შორს, ეგოდენ მცირედ. ოდეს საგანი გვიდგას შორს, ესე იგი სამსა და ანუ ოთხსა აღლსა მაშინ შარავანდი განმლელი შორის ბაიასა რეტინასა ზედა, საგანსა გამოხატავს უმცირესს; და რაოდენ დაუახლოებთ საგანსა თვალსა, მაშინ აღგვიჩნდების სახესა შინა უდიდესსა, და ბრწყინვალესა, ვინათგან დაახლოება დამატებს გარდატეხილებასა და სხვათა გარეშეთა ნამეტნავთა სხივთა არა შეუშვებს თვალთა შინა. გარნა განდიდებაჲ იხილე ფიგურა 15* ბნელსა კედელსა ჰქმენ სანათური მცირე ა და მრგვალი და გარეგან მისსა პირისპირ დასდგი საგანი კ. ე.

სიმორითა აღლისა ერთისა და მოილე ქალაღდი დ დაიპყარ მახლობელ სანათურისა. მაშინ გარდაიხატების მას ზედა საგანი იგაწვლილად და გარდმობრუნდების. და რაოდენ განაშორებ ქალაღდსა სანათურსა მას, ეგეოდენ განდიდებათ გარდაიხატების საგანი ქალაღდსა მას ზედა. ხოლო ესე ამაღ. ვინათგან შარავანდი კ. მომავალი ზეითგან, წვერით საგანსა განვლის საშუალო სანათურსა და გამოიხატებია ქალაღდსა ზედა დ. წერტისათანა ვ. და შარვანდი ე. გამვლელი ძირით საგნისა განვლის საშუალო სანათურისა და გამოიხატებია ზ. და ოდეს ქალაღდსა დ. განაშორებ რნისა კერძ, მაშინ საგანი ქალაღდსა ზედა გამოიხატების უდიდესად და ოდეს უშორეს გაიტან. ესე იგი ლ-სისა კერამ. მაშინ საგანი უდიდეს გარდმოიხატების, განდიდება ესე ვითარი არს თვინიერ გარდატეხისა შარავანდისა და ოდეს სარკმელსა ამას ა ექმნების მიდგმულ ბროლი გამოდრეცილი, მაშინ მიზეზითა გარდატეხისა შარავანდისათა საგანი განდიდნების და ბრწყინვალედ გამოჩნდების. გარნა მიკროსკოპნი შედგმულნი სიმრავლისა გამო ბროლთასა უმეტეს განადიდებენ საგანსა მით. რომელ უმრავლესად გარდატყდების მას შინა შარავანდი, ვიდრელა მარტივსა და მანსა შორის; ხოლო ოდეს შარავანდნი ზემო და ქვემო საგანისანი, შორად პოებულისა საგნისაგან შევალს თვალთა იწროითა კუთხით, ფიგურა 16**, მაშინ საგანი გამოიხატების თვალთა უმცირესად და ოდეს საგანი იგი იქმნების მახლობელ თვალისა, ფიგურა 17**, მაშინ შარავანდი ზემო და ქვემო საგანისა შევალს თვალთა შინა განიერიითა კუთხითა და ამის გამო გამოხატვა რეტინასა თვალისასა იქმნების გამოხატულ დიდიითა სახითა“.

8 (§ 142). შობისათვის კაცთა და ცხოველთასა***

შობაჲ თესლოვნებითი განიყოფების ოთხად: ა. მიდგომითა, ვითარცა კაცი და სხვანი ცხოველნი. ბ. კვერცხითა, ვითარცა ფრინ-

* ტექსტში მოცემულია „ფიგურა 15-ს სქემატური ჩანახატები.

** ტექსტში მოცემულია სქემატური ჩანახატები „ფიგურა 16“, „ფიგურა 17“.

*** პარაგრაფები I (81)—7 (92) ამოღებულია წიგნიდან „დავით ბაგრატიონი და მისი შემოკლებული ფისიკა“, თბ. 1954 წ., ვ. პარკაძე, გვ. 120—138. დანარ-

ველნი გ. დათესვითა თესლათა და დ. სიცხისაგან და დაყოლო-
ბისა, ვითარცა მატლი ხორცთა შინა. კვალად იქმნების შობაცა
თვინიერ კვერცხისა, ვითარცა კალიისა და სხვათა წელილთა ცხო-
ველთაგანი. თესლი კაცისა არის შედგმულ ოთხმეოცდაათს წილის
წყლისაგან. ექვსის წილის წებოიანის ლაბისა მიერ, ერთისა წილისა
კირისაგან აღრეულისა ფასფორისა სიმჟავესა შინა და სამისა წი-
ლისა წმინდისა კირისა მიერ. თესლი წარმოდგენილ იქნების დრესი-
სა მიერ ასოისა საშოსა ზედა, რომელიცა წარმოდინდებრს ჭერკვალ-
თაგან თესლიერთა, რომელიცა შემზადდების მრავალთა ადგილთა და
უკანასკნელ შეკრებების და შესრულდების წყვილთა საკუთრათ მის-
თვის ჭურჭლად შემზადებულთა და მუნით აღვალ ზე ამად, ვინათგან
ჟამა მიდგომისასა ჭირკვალნი იგი წყვილთანი შეიმჭირშვიან ზე და
აღსრული ზე გამომზაპუნდების მუნ ძარღვით, რომელსაცა ზედა
აბიან წყვილნი და ამა გზით თვისით შეერთდების სხვასა სინოტიესა
მზგავსსა თესლისასა პოებულსა საკუთარსა ჭურჭელსა მახლობელ
დაწყებისა ასოისა. რომელიცა მსგავსადვე გამომზაპუნდების და
თანად თესლისა შეერთებული ესე ასოსა ძლით შეისხმის საშოსა
დედათასა და თესლი დაშთების საშოსა შინა, ხოლო ძალი ელექტრო-
ული პოებული თესლსა შინა წოდებული ლავრა ვიტედ განვლის
საშუალ ქალოპიოსის სოლინარისა და მიიწვევის კვერცხთად და გა-
ნაცხოველებს კვერცხსა მას, რომელიცა არს მომწიფებულ და შემ-
დგომად კვერცხი იგი მოსწყედების ადგილით თვისით და საშუალ
განვლითა ქალოპიოსის სოლინარისათა შთავარდების საშოსა და
ყრპა შთაისახების; სადაცა პირველად კვერცხსა შინა გამოჩნდების
ერთი წითელი, ბრყვილი, გინა ხალი და შემდგომად ზემო მისსა
ორი შავი ხალი და ესენი არიან თვალნი და წითელი იგი ხალი არს
გული. ხოლო ოდეს კვერცხნი ესე აღცხვების წმინდითა სინოტიითა.
მაშინ გარდა ამა ზემოხსენებულთა ხალთასა გამოჩნდების მსგავსი
თეთრისა ძარღვისა. რომლისა წვერი არს ორად განყოფილ და ესე
ერთიანი ძარღვის მსგავსი და ნიშნავს ხერხემალსა და განყოფილი
იგი წვერი მისი ორსა ფერხსა, რომელნიცა თანად დიდდებიან და
უკანასკნელ გამოჩნდების კნინლა მსგავსი სხეულისა კაცისა. გარნა
ჟამსა ამას ჭიბით გამოგრძელებების მსგავსი თეთრისა ძაფისა განვ-
ლის გარსსა გარემომცველსა ყრმისასა და ძაფი ესე მივალს საშვი-
ლოსა, სადაცა წვერი ამისი მიეკვრის მსგავსად კვერისა, რომელსა-
ცა უწოდებენ პლაცენტასა და ესე არს, რომელიცა სწოვს სინოტი-

ესა და აწლევს ყრმასა საზრდელად და ამის მიერ განიზრდებიან თანად პლაცენტაცა და გარსიცა, რომელსაცა შინა პოებულ არს ყრმაჲ, ხოლო ფალლოპიოსის სოლინარი ეწოდების სოლინართა მათ (ა და ბ). რომელიცა საშოით მისწვთების - ვიდრე კვერცხამმდე*. ვითარცა (sic) ცხად არს ფიგურასა 22 და ესე მდებარეს ერთი მარცხნივ და ერთი მარჯვნივ, ყრმაჲ ძევს მუცელსა შინა დედისასა, თვესა მთოვარისასა ათსა და თვესა მზისასა ცხრასა, ვინათგან თვესა მთოვარისასა აქვთ დღეჲ ოცდარვაჲ, ხოლო მზისასა, რომელსამე ოცდაათი და რომელსამე ოცდათერთმეტი.

9 (§ 143). საზრდელისათვის

საქმელი პირსა შინა შთადებული წინათა კბილთა მიერ ლუკმებად განიყოფის და უკანა კბილთაგან დაიცხონების და მუნ აღერევის ნერწყვისათანა, ძლიერად დაცოხნაჲ ესე ოდენ საჭირო არს, რომელ უძლურთა მკურნალნი ურჩევენ ძლიერათ დაცოხნასა, რათა უმეტესითა აღრევითა ნერწყვისათა მალიად მოინელოს კუჭმან: წინათა უცვე კბილთა ფისიკსნი მიამსგავსებენ მაკრატელსა, ვინათგან ჰკვეცენ იგინი: ხოლო უკანათა ქვასა წისქვილისასა ვინათგან ჰფქვჭენ და კბილთაცა წოდებულთა კბილად—თვალისა საჭრეთელსა, ვინათგან მაგარნი ნივთნი მათ მიერ ჩაიხვრიტებიან და შემდგომად დაიცოხნებიან გარნა ენაჲ აბრუნებს საქმელსა ჟამსა მას ოდესცა ვსცოხნით. ხოლო საკლიტავი ჩაყლაპვასა დაეფარების საყლაპავსა მზგავსად ხაფანგისა, რათა არა გამოცვივდეს. საქმელი პირისაგან და შთასრული სტომაქსა აღერევის სინოტესათანა მუცლისასა და მოიხარშების მოძრაობითა კუჭისათა და შემდგომად მოხარშვისა განეყოფის საზრდელსა უმჯობესი წვენი, გინა სინოტიეჲ (სოკი), რომელიცა შეკრბების საკუთარსა ჰურჰელსა მახლობელ კუჭისა პოებულსა და მუნ აღერევის ნავღველი, რომელიცა გარდააქცევს სოკსა მას მსგავსად რძისა და შევალს ძარღვთა მათ, რომელთაცა ეწოდების ძარღვნი რძიერნი და მუნით გარდაიხსმის სისხლიერსა ძარღვსა ვენად წოდებულსა და მუნით სისხლითურთ გარდაეხსმის ყოველსა სხეულსა განოყიერებისათვის ყოველთა ნევრთასა და აღრეული ესე სისხლსა შინა თეთრი სოკო მიიღებს მყისთანად ფერსა წითელსა. გარნა ნეშტი ხენეში შთავალს ძირს საკუთარსა თვისსა წილსა და მუნით განითხევის გარ.

10 (§ 144). სხეულთათვის

სხეულსა შორის პოებულ არიან: ძვალი, ძარღვი, ხორცი, სისხლი, ქონი, ტვინი, ფრჩხილი, თმა და კანატელი. ძვალნი მსახურებენ

* ტექსტშია სქემატური ჩანახატი „ფიგურა 22“.

სხეულსა რეცა დასაყრდნობელ ორღანოდ და ესე არს ყოველისა მან-
ქანაჲსა შედგმულ, მიწისაგან კირიანისა, რაოდენისამე ქონისა: ფას-
ფორიანის, მიწიანის მარილისა და წებობისა მიერ: მსგავსადვე
ნივთნი ესე იპოებიან ფრჩხილთა, რქათა, ფრთეთა და თმათაცა შო-
რის სისხლსა აქვს სითხე, ფერი, წყლიანობა და სოკი: ყოველთა
მუსკულისა ნივთიებასა შორის პ(ო)ებულ არიან ნაწილნი მტკიცენ-
თა სხეულთანი. მაგალ. მიწისა, კირისა, რკინისა და სხათა. მზგავსად-
ვე პოებულ არს მრავლად პერიცა: სისხლი უკეთუ არა იყოს იძუ-
ლებულ მოძრაობისად გულისაგან. მაშინ შესქელდამცა იგი. სისხლისა
შინა კვალად იპყრობის სიჩხიტე აღსაგზებელი და ნიშადური, ხოლო
სიწითლისათვის იტყვიან რეცა რკინიერობისა მიერ წითლდებოდეს
იგი. სისხლი იქცევის ორთა გვართა ძლით ძარღვთათა: ერთი უკვე
გვარი ძარღვთანი წოდებულ არიან ვენად და ესე უკუნაქცევს
სისხლსა და მას შეპკრებს დაფანტულსა ყოველთა სხეულთა შინა
და მოაგროვებს გულისა ნესტვსა და ოდეს ნესტვსა შეეკრებვის სისხ-
ლი მუნ შეიწორდების და გარდაისხმის ნესტვსა მეორესა, ვინათგან
გულსა აქვენ ნესტვნი ორნი და შესრული მუნ მუნცა შეიწორდების
ძლიერად და გარდისხმის ძარღვსა მას არტერიად წოდებულსა ანუ
მცემელ ძარღვად, რომელიცა სცემს მაჯასა და ამის მიერ განიფანტე-
ბის ყოველთა წევრთა და ნაწევართა, გარნა ძვრამ გულისა სხვა არა
რამე არს, გარდა შემპირშვისა და განშლისა გულისა ნესტვთაჲსა.
ნესტვთა გულისათა და ვენათა აქვსთ კლაპი (ხაფანგი გინა დასათა-
რები), რომელნიცა უკან გარდასხმასა დაეფარებიან, რათა არა უკუნ
იქცეს სისხლი ოდეს შევებებით მაჯასა. მაშინ ვერძნობთ ძვრასა არ-
ტერიისასა და არა ვენისასა ვინათგან ვენ(ა)სა არა აქვს ძვრამ,
გარნა ყოველთა ნაწილთა და წევრთა პოებულთა სხეულსა შინა
აქვსთ წვერნი წვრილნი და ანუ კიდენი. ხოლო არტერიამ, ვენი და
ძარღვნი შეეარბმევენ გამოზრდასა ყოველთა ნაწილთა და წევრთა
მათ პოებულთა სხეულსა შინა, ვინათგან ამათ მიერ მიეძღვნის სისხ-
ლი ყოველთა ასოთა სხეულთასა: გარდა ამისსა კვალადცა სხეულსა
შინა პოებულ არიან ძარღვნი ნაზნი და თეთრნი, რომელნიცა გამო-
ვალნნ ტვინით და ხერხემალით და ამათ ეწოდების ნერვნი საგრძო-
ბელნი და სადაცა განწყდების ქრილობისა მიერ, ერთი ამათგანი მუნ
წვერი იგი მოაკლდების გრძნობასა, გარნა ძარღვნი ესე მოქმედები-
თა ტვინისათა მოქმედებენ ყოველთა ზედა სხეულთა და ყოველნი
სხეულებანი დამლაისანი წარმოებენ წახდომისაგან ამა ნევრთასა,
ხოლო ხორცი სხვისა არა რამემსათვის არს, გარდა ძვრისათვის ნა-
წილთა სხეულისათა, ესრეთ რომელ ძარღვნი ხმელნი შეზრდილნი
ხორცსა შინა და ძვალსა მოჭერისა ძლით და გაშლისა მათისა მო-

იყვანენ ყოველთა ასოთა მოძრაობასა. გარნა თვით ხორცი არს შედგმული ძაფისა მსგავსათა წვლილ წელითაგან ძარღვთა სოლინარებრთა და ქიმიურითა გამოცდილებითა პოვნილ არს რომელ იგი არს შედგმულ წებოიანობისა მიერ მოწითანოისა და მოთეთრომსა მზგავსისა ხაშისა: სოკიანობისა მიერ (სინოტიისა გინა წვენთაგან ქონისაგან და მარილიანობისა, ხოლო ტყავი კაქნატელი, ხმელნი ძარღვნი ცხრილებრი გარსი და ნევრნი საგრძნობელნი ქიმიისა გამოცდილებითა არიან ერთისა თვისებისა ნივთიერებათა შინა თვისთასა: ვინათჳან მოხარშულნი გამოუშვებენ წებოისა და შეყინვასა შეიქმნებიან წებოი წმინდა, რომელთაცა შინა პოებულ არს ალკალი ვოლატილე კალატაშისა და ანუ ნაცრისა მარილი, ზე აღსაქრობელი) და კვალად აღსაგზნებიცა ზეთი, ხოლო გამონახარშისა დარჩების მარლი და კირი აღრეული ფოსფორსა შინა გარნა წელებისათვისცა იგულხმე, ესრეთვე გული სხვაჲ არა რაჲმე არს, გარდა ხორციანისა მუსკულისა ბუდისა მსგავსისა, რომელიცა მდებარებს მარცხნივ მკერდისა და რომლითა ყოველთა სისხლიერთა ძარღვთა აქვსთ ურთიერთისათანა შეზიარება: გარნა შეხრუშტვა გინა შემჭირშვა და გაშლა არს მიზეზი ქცევისა სხეულისა შინა სისხლისა მოძრაობისა. ხოლო სისხლი განმლეღი გულით ერთსა საათსა მოთხრობისამებრ ფისიკოსათსა გარდატრიალდების ოცდასამ გზის სხეულსა შინა. პოებულსა: სხეულსა შინა (sic) სინოტიესა სრულისა კაცისასა შერაცხვენ ფისიკოსნი ორმოცდაათსა ფუნტსა, რომლისაგან ოცდაათს ფუნტსა იტყვიან სისხლისა. გარნა ბუნებითსა სითფოსა, მრთელისა კაცისასა შერაცხვენ ოცდარვა გრადუსსა რეუმერას თერმომეტრისასა, ხოლო ფრინველთასა იტყვიან უმეტესსა.

11 (§ 145). შიგნეულთათვის

სუნთქვაჲ მოქმედებს ფილტვისა ძლით, ხოლო ესე ფილტვი მიემსგავსების პარკსა, ამას ზედა არს მობმულ გრძელი რაჲმე მსგავსი ლულისა მოწვენილი ყელადმდე, რომელსაცა ვუწოდთ ყარყანტოდ და ამის მიერ 3(ა)ერი დაუცხრომელად შევალს ფილტვსა და გამოვალს: ფილტვსა არა აქვს ეგე ვითარი ძალი, ვითარიცა გულსა, რომელა მოქერა და გაშვება, არამედ ამასა აქვს ძალი: გაშლისა და შეხრუშტვისა, ხოლო მოქმედება ესე წარმოებს გვერდთაგან: ოდეს გვერდნი შეიხრუშტვიან, მაშინ 3(ა)ერი გამოვალს ფილტვით და განიტევების ყარყანტით და ოდეს გვერდნი განიშლებიან, მაშინ შევალს 3(ა)ერი ფილტვსა. სუნთქვა ესე ოდენ არს საჭირო ცხოველთათვის, რომელ თვინიერ მისსა არა ეგების სიცოცხლეჲ: ოდეს შევალს 3(ა)ერი ფილტვსა, მაშინ შეაზიარებს იგი თავის შორის პოებულსა ლიდროვენსა და თანადვე ატმოსფერასა შინა აღრეულსა;

აზოტსა, ფლოდისტონსა, და კარბონატსა. გარნა მყის ფილტვი უკან-ვე განავლებს. შინაგან ფილტვსა აქვს წვრილნი ნესტენი და ამის მიერ წარმოებს განყოფა. სისხლსა შინა კ(ა)ერიოთ და სისხლით კ(ა)ერსა მით, რამეთუ რაჲცა არა სახმარ არს ზემოთქმულთაგან მისცემს კ(ა)ერსა და კ(ა)ერიოთ მიიღებს ოქსიგენსა ხოლო ღვიძლსა იშობების ნალველი და მის მიერ შეგროვდების საკუთარსა ბურთსა და მუნით აღერევის ნოყიერთა წვენთა შეკრებილთა საკმლისა მიერ და სასმლისა და ღვიძლისა მიერ აღასრულებს სისხლი მორბედობასა თვისსა და ამის მიერ განკეთილდების იგი; გარნა თირკმელი იმსახურების განყოფასა შარდისასა და შარდიცა არს შედგმულ მსუქანისა შარილიანის წყლიერისა და მიწიერისა ნაწილთაგან, რომელნიცა ყოველნი ესე ნივთნი (sic) შემდგმელნი შარდისანი განეყოფიან სისხლსა თირკმელთა ძლით და ამას შინა ოდესმე გაჩნდებობა შირიმი და ტყირპიცა, აღასრულებს მოქმებასა ამას რომელ განმლელსა თვის შორის სისხლსა რაოდენმე განათხელებს და შეეწევიან შობასა ნალვლისასა, ხოლო ტვინი არს სავანე გონებისა, გარნა კაცისა არს უაღმატებულეს სხვათა ცხოველთასა: ესე არს ნივთი ლბილი და მის შორისცა იპოების სიმსუქნე, ნოტიობა და მიწიერობა გარეგანითა არს სიმსხოჲ თითისა ნაცრისა ფერისა მქონებელი. გარნა შინაგან თეთრი, ტვინი არს ორი: ერთი შდებარებს წინა და მეორე უკანა და ესე არს უმცირეს წინისა; ამა უკანასა ტვინსა შინა ყოველი ძალი მოძრაობისა სხეულისა შეერთებულ არს და ამის მიერ წარმოებს ყოველთა წვერთა მოძრაობაჲ და წინასა შინა ტვინსა. რომელიცა არს უდიდეს დგ(ა)ს გონება: ანატომიკოსთაგან (მეცნიერთა აგებულებისათა) არს პოვნილ უკეთუ დიდმან ტვინმან ივნოს ეამრაოდენმე არა მოიშლების არცა სუნთქვა და არცა გულისძგერა და უკეთუ ივნოს მცირემან ტვინმან. ესე იგი უკანამან მყისთანად დასცხრების სუნთქვა და გულის ძგერაცა და ამის მიერ კგონებენ. რომელ სუნთქვაჲ და ძგერაჲ გულის არეცა დამოკიდებულ იყოს უმეტეს მცირესა ზედა ტვინსა, ვიდრედა დიდსა.

12 (§ 146). გრძნობისათვის და საგრძნობელთასა

გრძნობა არს ძალი სულისა, რომლითაცა განვარჩევთ ნივთთა. ხოლო საგრძნობელნი არიან იგინი, რომელთაცა მიერ ვგრძნობთ და არიან ხუთ: ა. თვალი — ესე არს ორღანო ხედვისა, რომელსაცა ტვინისათანა აქვს შეზიარება ძარღვთა გამო ნევრთა საგრძნობელთასა და ამის მიერ ხედავს, ესე განარჩევს ფერთა, შეატყვეებს მათ ურთიერთისა თანა, განარჩევს სიდიდესა და სიმცირესა, დაინახავს შორს. იხილავს მოძრაობასა და ნაკვეთსა და ყოველსა მას რაჲცა მსახურებს

ხედვასა. ბ. სასმენელი, ამით ვსცნობთ ხმასა, ბგერასა და ყოველსა მას, რააცა ქვეშე შეგვრდომ არს სმენისა, რომელსაცა შეართმევს ტვინსა ლბილნი საგრძნობელნი ძარღვნი, გინა წევრნი ტვინით გამოსრულნი. რომელთა აქვსთ შეზიარება სასმენელთა თანა, რომელთაცა შეეწევის შემზღებულებაცა ყურისა. გ. არს ცხვირი, რომლის მიერ ვიყნოსთ და განვარჩევთ სუნთა საამოსა და საზიზღსა, რომელსაცა შესაწევენელად ამისა აქვს ორღანოდ შინაგანი გარსი ცხვირსა შინა პოებული და განრთხმული შინაგანთა ცხრილობათა. ხოლო გარსი ესე ორთქლისა გამო იყნოსს საშუალებითა საგრძნობელთა ნევრთა ძლით პოებულთა მას შინა და შეართმევს ყნოსასა ტვინსა გარნა რომელთამე ცხოველთა აქვსთ ჩვენ ზედა უმეტესი ძალი ყნოსისა, ვითარცა ძაღლსა, ვინათგან გარსი ცხვირისა მისისა არს უგანიერეს ჩვენსა ცხვირისა გარსთა ზედა და ასე შეართმევს უმეტესსა ძალსა ყნოსისასა და ძერჟორსა, რომელიცა იყნოსს რაოდენსამე მილსა. დ. არს გემოჲ ესე განირჩევის ენისა მიერ და უმეტეს მწვერვალთა ენისათა სასისა თანა შემწეობითა, რომელისაცა ამას სხვანი ურანიკოსად (ცად) სახელსდებენ, გარნა ენასა ასხიან ხორკლისა მზგავსნი კორძნი და მათ შორის პოებულ არიან ნევრნი საგრძნობელთა ძარღვთანი და ამა ძლით განირჩევის სიტკბო. სიმწარე. სიმჟავე, სიმყვირტე და ყოველი იგი, რააცა მიეწერების გემოსა. რომელთა განრჩევისა გრძნობასა შეართმევენ ტვინსა ნევრნი ზემო ხუნებულნი. ე. არს შეხება ამას იგრძნობს სხეული საგრძნობელთა ძლით ნერვთათა, რომელნიცა არიან ყოველთა შორის ტყავთა საზოგადოდ ყოველთა ცხოველთა ცხოველთასა. გარნა შეხებასა უმეტეს გრძნობს კაცი წვერთა შინა თითთასა. შეხებითა განირჩევის სიმძიმე, სისუბუქე, ცივი, ტფილი, მაგარი, ლბილი და ყოველი იგი რააცა მიეწერების შეხებასა. რომელსაცა გრძნობასა ამათსა ნევრნი საგრძნობელნი შეართმევენ ტვინსა და უკეთუ განიკვეთოს და ანუ განწყდეს რომელსამე ნაწევარსა ძარღვთა ამათგანი ნევრი იგი მოაკლდების გრძნობასა და დაშთების უქმად, რომელსაცა ჩვენ დაშავებად ვუწოდთ. ხოლო ხმა სხვა არა რაამე არს, გარდა ჰ(ა)-ერისა შეხშულისა ფილტვსა შინა, რომელიცა გამოვალს რა მუნით. მოიწევის ყარყანტოდ და შემჭირშვითა ყარყანტოსათა იწარმოების ძვრად ხმისა და მუნით მოწევილი ცხვირად უძლიერესსა გამოსცემს ხმასა, ვითარცა სტვირი. ხმაჲ განსხვაებულ არს ურთიერთისაგან დადებულებისა გამო ყელისა და ყარყანტოთა ღრაქთასა და ვითარცა განხმაჲ ექმნების ყელსა ეგე ვითარი იწარმოებს ხმაჲ სხვათა და სხვათა ცხოველთა შორის და ყარყანტოჲ შეაზიარებს ჰ(ა)ერსა განსხვაებულთა ბგერითა და ბგერაჲ განსხვაებულა

შექმს ძერასა ჰ(ა)ერსა განსხვავებულითა მოძრაობითა და ამას შინა წარმატებულება სხვათა ზედა აქვსთ კაცთა, რომელ ყარყანტოისა მუსკულნი ძალუცთ ურიცხვად, შეხშვად, განშლად, განვრცობად, შემჭირვად, შეიწროებად და განგანიერებად ჯერჩინებით და ამის მიერ ძალუცს კაცსა გამოცვლა ხმისა უზნობასა სიმღერასა და ვალობასა, ხოლო უზნობასა შეეწევის პირი, ენა და სასა და ვინათგან განკარგულება ამათი არა აქვსთ, ეგრეთ მარჯვედ სხვათა ცხოველთა, ვითარცა კაცთა, ამად იგინი არიან მოკლებულ ამისგან.

13 (§ 147). ღვიძილისათვის და ძილისა

ბუნებამან დააწესა განსვენებისათვის ძილი, რომლისა კიდე არცა ერთსა ცხოველთაგანსა ძალუცს გება. ხოლო ღვიძილი არს მოქმედება მოძრაობისა ყოველთა ცხოველთა, ჟამსა ღვიძილისასა სიცოცხლისა სინოტიენი მოქმედებენ და განაღვიძებენ გულისა ორდანოთა, საგრძნობელთასა და მუსკულთა აღძვრენ და მარადის განაახლებენ ყოველთა მოძრაობათა წევრთასა, რაფათა განმტკიცების სხეული და განახლება ნევრთა მოძრაობისა იქმნების ნოყიერთა ნივთთა მიერ სპირტიერთა და სუნნელთაგან და მზგავსადვე სიტფონისაგანცა. გარნა ძილი არს უღონობა გრძნობად რაფსამე და დაყენება ჯერჩინებითისა მოძრაობისა, რომელიცა შერთულ არს საზოგადოემასა განსვენებისა თანა ყოვლისა სხეულისა: მიზეზი ძილისა არს სახმარება განსვენებისა და განხვევა სიცოცხლისა სინოტიეთა რომელიცა ჟამსა ღვიძილისასა იქმნენ განხვებულ თვითეულისა ძარღვთა და ნევრთაგან და რომელიცა ახლად მოითხოვენ მოგებასა ნაცვლად წარწყმენდილისასა. ესე დამტკიცების ამით, რომელ შემდგომად დიდისა შრომისა სხეული ითხოვს განსვენებასა, ხოლო ოდეს ჟამსა ღვიძილისასა ყოველი შინაგანი მოძრაობა მოქმედებს, ესე იგი მოძრაობა სისხლისა, სუნთქვა და მოძრაობა ყოველთა სინოტიეთა და განილევიან რა ესენი ღვიძილისა და მაშინ ჟამსა ძილისასა კვალად მოიპოებენ ამათ თვითეულნი ძარღვნი და ნევრნი. და ესე არს ჭეშმარიტი მიზეზი ძილისა, ვინათგან ჟამთა ძილითა განსვენებისასა თვინიერ ყოვლისა უმჯობეს მოიპოებს სხეული გამოზრდასა. ამით ვიდრეღა ჟამსა ღვიძილისასა, ხოლო ოდეს ძილი არს ძლიერ და გამოზრდად უმეტეს, მაშინ სული იპოების განსვენებასა და ოდეს ამით სხეული არა გამოზრდების ამით საკმაოდ, მაშინ სული ვითარცა მოქმედი, მიიღებს უპირატესობასა და მოქმედებს ოცნებითა, ხოლო ოდეს ოცნებად ესე არა იქმნების ძლიერ, მაშინ შემდგომად განღვიძებისა მოიგონებს, რომელ იხილა მან სიზმარი, რომელიცა არს მოქმედება სულისა: გარნა ჟამსაცა ძლიერისა ძილისასა თუმცალა მოქ-

მედებს სული. გარნა ძლიერსა დატვიფრულებასა ვერა შეაზიარებს სხეულსა, რომლისა გამო არა რამმესა სიზმრისა ძალუცს ხსოვად ხოლო ოდეს გამოხატვა იქმნების უძლიერესსა აღსავალსა და დაფუძნებული მოუძღურებასა რომელსამე საგრძნობელთა ნევრთასა, მაშინ ესეოდენ იქმნების ძლიერ სიზმარი, რომელ კაცი ქვეშეშემგრდომი ამისი წარმოდგების ქვეშაგებელით, შთაიცვამს ტანსა, გამოკვალს კარსა და მოქმედებს და რომელნიმე ქვეყანასა ჩვენსა შეისხმენ იარაღსა, შეკაზმენ ცხენსა და დაიძახებენ მღვეარსა: კაცი ამა სნეულებისა მქონებელი ჟამსა ამას ოდეს გრძნობს დაახლოებასა გამოფხიზლებისასა, მაშინ გულისხმაჰყოფს დამძიმებასა თვისსა. მოვალს სადგომად, განიხდის ტანთა და დაწვების საგებელსა. იტყვიან უკეთუ ვინ გამოალვიძოსო უეცრათ ძალიდებისო შეშლაჲ ჰკუით სნეულებასა ამას ეწოდების საიმთვარიო. ვინათგან აღვსებასა მთოვარისასა უმეტეს გამოჩნდების ესე კაცსა ვნებულსა ამის მიერ.

14 (§ 148). **ფქნარებისათვის (ანუ მთქნარებისა), რომელსაცა ესრეთ მოიხსენიებს ექვსთა დღეთაში**

ოდეს იძულებისა რაჲსაგანმე დაყენებულ იქმნების ძილი, ძარღვის სახენი იგი ნესტვნი აღივსებიან და უმეტეს ზომისა ბუნებით განფიცხნებიან და განერთხმიან. და რათა განრთხმისა მისგან განზრქელებული იგი კერძოჲ ორთქლთა მათგან აღსუბუქნეს, ამისთვის მოიპოვა წესი ფქნარებისა ბუნებამან. რათა ვითარცა იგი იქმან რა. რომელნი იძულებით გრეხითა და ჰირებითა გამოსწურვიდიან წყალსა სამოსელთაგან. ეგ სახედვე ვინადგან შემრგუალდების კერძოჲ იგი კორჩისაჲ და განმრავლდებიან ძარღვნი მის არისანი, რაჟამს იგი განვიდის მიერ განზრქელებულ იგი ორთქლი ვინადგან შეუძლებელ არს მართლ განსვლაჲ მონაქცევთა და შემრგუალდებულთა კერძოთაგან უკეთუ არა მოქცევითადვე განართხანს და ამისთვის ფქნარებისა იგი სული დაშთომილი სიღრმეთა შინა გუჲამისათა, განზრქელებისა მისგან პოხიერისა განსვლითა მით ორთქლისათა განიცდების კერძოთაგან გვამისათა და განვალს და მრავალგზის შემდგომად ძილისაცა იქმნების ესე, რაჟამს ორთქლთა მათ ზრქელთაგან დაშთის ადგილთა რათამე შინა და უნდობელად და განუფშვინველად.

15 (§ 149). **ცხოველობისათვის და სიკვდილისა**

დედაკაცი იტვირთვს ყრმასა მუტეულსა თვესა ცხრასა მზისაჲა და ანუ ათსა თვესა მთვარისასა, რომელიცა უკანასკნელი ესე შედგება ოცდარვისა დღისაგან თვეჲ ერთი: ნანდვლად შობს იგი შემდგომად ოცდა ათცხრამეტისა კვირისა, ყრმაჲ ოდესმე განიზრდების მუ-

ცელსა ვიდრე ერთ ლიტრამდე, გინა რვა ფუნტი: შობასა პირველად შევალს ჰაერი ფილტვსა ყრმისასა და მგრძნობელი არა საამო ვსებისა შეხებისა გამო და შეიწროებისა ბებიისაგან იწყებს ყვირილსა: ყოველნი ძვალნი მისნი არიან ლბილ და რომელნიმე კაცნატელნი. ჯერეთლა არა განმაგრებულ თხემსა, პირველად არა ექმნების ძვალი, გარნა ეამითი ეამად განუმტკიცების და იფარების სიფუყეა იგი ძვალითა: თვესა მეშვიდესა იწყებენ კბილნი აღმოსვლასა და იზრდების ვიდრე ოცდაერთ წლამდე, გარემო ათხუთმეტისა წლისასა ეცვალების ხმაჲ სიყრმისა და შეექმნების მამა კაცებრი პირთა გამოუვალნ გინგლი. იწყებს თესლი განყოფასა სხეულთაგან და შეკრებაჲა აღგილთა თვსთა და შემდგომად იწყებს აღმოჩენასა გულის თქმაჲ: გონება და ცნობა განემახვის და სიმკრთალეა ყრმებრივი შეეცვალეების გამბედაობად, ხოლო ქალთა ეამსა ამას აუკოკრდების ძუძუნი და წესი დედათაჲ იწყებს გამოჩენას და ოდეს მიიწვეის სრულსა პასაკსა, მაშინ განუმტკიცების ძვალი კაცნატელი, ღრანჭი, ხმელნი ძარღვნი, კოპარნი, კურკელნი. გარსნი და საზოგადოდ ყოველნი ნაწევარნი სხეულისანი და ესე წარმოებს ამის მიერ ვინათგან ეამსა ამას აღერევის ნამეტნავად სისხლსა შინა ნოყიერობაჲ და ნოყიერობა ესე შევალს ყოველთა ნაწევართა სხეულისათა და თანა შერტანს შიწიერობასა და ამის მიერ განმტკიცებიან ყოველნი ზემო თქმულნი. გარნა ოდეს მიიწვეის სიბერისად; მაშინ სინოტიენი იწყებენ შეზრქელებასა და კურკელნი იგი განსაზღვრულნი სხეულსა. შინა განპოხიერებისათვის სხეულისა შეიწრდებიან და მოაკლდების რა სხეულსა განპოხიერება და მოქმედი ძალი ამის მიერ შემოიხმის უძალიობეჲა. ოცდაათით ვიდრე ორმოცდა ათ წლამდე იპოების კაცი სავსეა მამაკაცებასა და ძალსა. და ეამსა ამას კაცი სუქნების, ხოლო უკანასკნელი სინოტიენი შეიქმნებიან ცხარ და სხეული დამძიმებული მიწიერთა ნივთიერობათაგან იწყებს გაძვალებასა ყოველთა ნაწევართა შორის და მის მიერ დლითი დღე ძალი, აღძვრა, და მგრძნობელობა შემცირების, მუსკულნი მოუძლურდებიან. გრძნობა და უღონოვდების, თმა გაუთეთრდების, საგრძნობელნი დაბლანგვდებიან, ცნობა დასუსტდების, გულისთქმისა განღვიძება განქარდების და მოიწვეის დამჩაჩებაჲ და უკანასკნელ სიბერესა ძლიერსა სხეული მოიხრების. ტყავი მოიღმიკების, ლაწვი დაჰკარგავს ფერსა, მუსკულნი გამაგრდებიან, ძვალნი ხმებიან და შეიქმნებიან ფშხვიერ, ხმელნი ძარღვნი, ღრანჭნი და კაცნატელნი გაძვალდებიან. ყბა ჩამოვარდების. კბილები შთამოცვივნებიან, გული წარწყმენდს აღძვრასა, ტვინსა შინა საგრძნობელნი ძარღვნი ანუ ნევრნი შეიქმონენ განხმებასა: თვალისა სინათლე იწყებს მოკლებასა: წყვილნი და მუსკულნი მისნი

განხმებიან და უკანასკნელ სისუსტისა გამო საზოგადოდ მინიჭებულსა ყოველთა წევრთასა მოეგების სხეულსა წარწყმენდა სიტფონისა. ნაწევარნი იწყებენ კანკალსა: ფერხნი და მუხლნი ვერღარა ემსახურებიან სხეულსა დასაყრდნობელად და უკანასკნელ მოკვდების კაცი. ხოლო ოდეს ზემოხსენებულნი ორღანონი სხეულისანი არიან მრთელ და აღმასრულებელ კეთილათ სრბოლისა კარგითა ბუნებითათა, მაშინ არს ცოცხალ ცხოველი.

16 (§ 150). ცხოველობისათვის ტელმათასა

ხენი და მცენარენი ფისიკოსთა მიერ შერაცხილ არიან ცხოველთა შორის, მით რომ აქვსთ მათ აღმოცენება მზგავსთა თვისთაგანვე ვითარცა სხვათა ცხოველთა, განზრდა-სრულება, სიბერე და სიკვდილი და გარდა ამისსა აქვსთ რომელთამე ტელმათა მსგავსი ძილისა და სნეულებაცა. მით რომე იმერეთსა შინა ვაზსა შეედების სნებად და უკეთუ არა აღმოიღესმცა იგი სხვასაცა ვაზსა გარდასდებს სნებასა თვისსა და თვით მეცა მიხილავს პეტრებუხსა შინა. რომელ მებალენი ფრანგთანი გამოუშვებენ მანკიერსა წყალსა ხისაგან მსგავსად სისხლისა და იტყვიან უკეთუ არა ესრეთი განხმებისო ხეა სნეულიო, მსმენიეს ვითარცა ეგეპტურთა მიერ კაცთა აგრეთვე ჩვენთა მიერცა მოგზაურთა ქართველთაგან რეცა ფინიკსა (ხუზა ხურმასა) აქვნდეს მიდგომაჲ რეცა იყოს იგი მამალ და დედალ და უკანა მიდგომისასა გარდაიხრებოდეს ვითარცა მამალი, ეგრეთვე დედალი და მამალი კენწერსა შთაუღებდეს კენწერსა თვისსა დედალსა კენწერსა მისსა და თესლსა შთაასხემდეს და თვინიერ ამისსა არა გამოსცემდენ ორნივე ნაყოფსა და ესენივე იტყოდიან რეცა თვით აღმოვლოთ თესლი იგი ხის მისგან, რომელიცა მსგავსებდეს მანანასა ფერითა თეთრი და იყოს ძლიერად ტკბილი, ხოლო რომელიმე მცენარეჲ წოდებული სანზივიტად ესოდენ არს მგრძნობელ, რომელ არა მისცემს ნებასა წვლილთა ცხოველთა დაჯდომად თვის ზედა და ოდეს დააჯდების მას, მყის შეიხრუშტვიან და გაიშლების ვითარმედ ბუნემდის, ვიდრემდის ვაქყლიტოს ცხოველი იგი კვალად, თვით მეცა მიხილავს ბოტანიკასა შინა მდებლოჲ ესე ვითარი, რომელიცა შეხებასა თითისასა შეიხრუშტვის და აღებასა გაიშლების. ამას რუსნი უწოდებენ ნე ტრონ მენია (ნუ შემომხეხები) ყოველნი ტელმანი განპოხიერდებიან სინოტიისაგან, რომელთა ძირნი გამოსწოვენ მიწისაგან, გარნა კერძონიცა მათნი არიან: ძირი, გული, კუკური, ყლორტი, რტოი, ფურცელი, ყვავილი, ნაყოფი და თესლი. ყოველნი ესე თვითეულნი აღასრულებენ განსაზღვრილსა თვისსა მოქმედებასა: გული, კუკური, ძირი და ქერქი შედგმულ არს აღბერილთაგან ნივთიერებათა მცირედთა ბურთთა მსგავსათა, ხოლო რტოჲ ღეროჲ და

ყლორტი მცენარეთა და ტელმათანი არიან შედგმულ სოლინართა-
გან და ესენი შორის მათსა სხენან ძირითად ვიდრე კენწერამდე,
გარნა ხენი იგი, რომელნიცა არიან მაგარ და მძიმე, მათ აქვსთ სო-
ლინარნი წვლილ მკირშედ შეერთებულნი, ვითარცა ბზასა, სხალსა.
ნოგოზსა, მუზასა და სხვათა, ხოლო ხეთა სუბუქთა აქვსთ გავრცო-
ბილ და არაშემკირშულ, ვითარცა ლელვსა, ვაზსა, ფიჭვსა და სხვათა
და სოლინარნი ესე მსგავსად კაცთა ძარღვთასა მსახურებენ განზოხი-
ერებისათვის და გამოზრდისა, რომელთა ძლით ნოტიობანი მოქმე-
დებენ ხეთა ყოველთა წელთა შემოეკერის ცილაჲ, გინა გარსი ახა-
ლი დამწყობრებით, ვითარცა შიპი გინა კეცი და ამა კეცილთა მიერ
იცნობების წლიერობა ხისა თუ რაოდენისა არს წლისა და ესე ცხად
იხილვების ფიჭვსა შინა და ნაძვსა, ვითარცა ხეთა ნაყოფისა მომცემ-
თა. ეგრეთვე მცენარეთაცა ექმნების ყვავილი მამალი და დედალი,
უკეთუ წელსა რომელსამე მამალი ყვავილი იქმნების უმცირეს ნა-
ყოფი იქმნების მცირე და ოდეს. დედალი კვალად მცირესა გამოს-
ცემს ნაყოფსა, ხოლო ოდეს ორისავე გვართაგანისა იქმნების თანას-
წორ ამად ნაყოფი გამოიღების უხვად: გარნა სიმწვანეჲ წარმოებს
შეწყნარებისა ძლით აღკალობისა. ჰაერისაგან, მით რამეთუ მცე-
ნარენი დაცულნი სახლსა შინა ანუ ჭურჭელთა ქვეშე, არა იქნებიან
მწვანე, არამედ მოთეთრო და ანუ მოყვითანო: გარნა აღზრდისათვის.
ეწევის არათუ ჰაერი ოდენ, არამედ ნათელიცა. მყნითა განკეთილდე-
ბის ხეჲ კვალად ესეცა: უკეთუ დარგო თავდაღმა, მაშინ რტონი გარ-
დაიქმნებიან ძირად და ძირი რტოდ და არა წარწყმდების ხე. ფურ-
ცელნი მსახურებენ ხეთა და მცენარეთა, ვითარცა კაცსა ფირტივი,
ვინათგან უჭრილებენ მათ. ხოლო ოდეს ააღლსა გამოავლასა ფუოც-
ლისასა განაცალო ხესა ფურცელი, ხე იგი განხმების და უკეთუ გან-
ქერქო წარწყმენდითა ქერქისათა განხმებისვე იგი: და ამის მიერ
საცნაურ არს რომელ ტყავთა შორის და ფურცელთა უმეტეს იპყრო-
ბების ცხოველობა ხეთა და მცენარეთა: ვიდრეღა რტოთა, კუკურთა
და ყვავილთა და ცილათა შორის. ხეთაგანნი რომელნიმე აღიზრდე-
ბიან გვიან, ვითარცა კანდარი, ნიგოზი და ესევეითარნი, ხოლო რომ-
ელნიმე მალიად, ვითარცა ვაზი, ლელვი, ბალი, ტირიფი და სხვანი:
გარნა რომელიმე ართუ მხოლოდ დარგვითა და დათესვითა აღმოს-
ცენდებიან, არამედ ყლორტითა დარკობითაცა იხარებენ. ვითარცა
მოცხარი და სხვანი, ხოლო მეცნიერებასა ხეთა და მდელითასა ლა-
თინნი უწოდებენ ბოტანიკად.

დასრულდა იანვრის ლ, ჩყი და ჩვენსა ქორინოკონსა ფვ.

ავტორი ამ ხელნაწერში დიდი გონებაამახვილობით იხილავს
ოპტიკის მეტად რთულ საკითხებს: „სწავლა ხედვისა იწოდების

ოპტიკად“. ამბობს ის. მისი აზრით, ყოველს ხილულს საგანს აქვს უამრავი წერტილები და ამ წერტილებიდან უკუფენილი სხივები (რომელნიც სინათლის წყაროდან გამოდიან) ქმნიან მხედველობისათვის პირობებს, რამდენადაც შორს დგას თვალისაგან საგანი, იმდენად პატარად ჩანს ის და იმდენად გაურკვეველად აისახება ის ჩვენს თვალში. მაგრამ შორსმყოფი მნათი საგანი პირიქით უფრო დიდი ჩანს ვიდრე ახლომყოფი, რადგან შორსმყოფი საგანი „განანათლებს“ რა გარშემო ჰაერს „განათლება ჰაერისა ალგვიჩნდების სამთლისა შარავანდელისა სიდიდედ“. თუ შორს მყოფ მნათ სხეულს გავხედავთ პატარა ხერელიდან, მაშინ ეს სხეული პატარად გამოჩნდება. რადგან განფენილობა ჰაერში სინათლისა „ვერღარა შევალს თვალსა ჩვენსა“. XI საუკუნის არაბი მეცნიერის ალგაზენის მიხედვით ჩვენი თვალებიდან კონუსისებურად გამოსული სხივები ეცემიან სხეულებს და მხოლოდ აქედან უკან დაბრუნების შემდეგ იწვევენ მხედველობითს აღქმას, ამასვე იზიარებდა ნაწილობრივ დიდი მეცნიერი რენე დეკარტიც, საგანთა ხილვის უამრავ თეორიებს შორის დავით ბაგრატიონი სწორ თეორიას იძლევა თავის შრომაში* (პარაგრაფი 81). ავტორი აღნიშნავს ბრტყელის, სწორის. შეზნეჟილის, გამოზნეჟილის. ცილინდრულისა და კონუსისებური მინების არსებობასა და მათში სხივების გარდატეხის თავისებურებებს, იგი მიუთითებს, რომ ამ ლინზების თვალისადმი „შეგუების“ (შედგომის) საკითხებს სწავლობს დეოპტრიკა (პარაგრაფი 82), ეხება აგრეთვე ჰოგორისა და მიკროსკოპის არსს.

სხივების თვისება არის სწორხაზობრივი სვლა, მაგრამ, როცა ის შევა „წყალსა ან ჭიქასა“, მაშინ მისი სწორმავლობა „განხრების“. სხივი შესული „გამოდრეცილსა“ ლინზაში გადატყდება და „შეკრბების ერთსა მცირესა ადგილსა“, რომელსაც ეწოდება ფოკუსი, სხივები გასული „შედრეცილსა“ ლინზაში განეფინების (პარაგრაფი 83).

მხედველობის საკითხების განხილვისას დავითი აშკარად ამჟღავნებს თავის მსოფლმხედველობას. ის ემიჯნება, არ იზიარებს „ხედვის“ საკითხების „მეტაფიზიკასა შინა“ განხილვას. ხედვის ფუნქცია, დავითის აზრით, მიეწერება „ორღანოს ხედვისასა და არა სულსა“ (პარაგრაფი 88). მხედველობის არსის ასეთი მატერიალისტური განსაზღვრა მას, როგორც ვხედავთ, მოცემული აქვს მოკლედ ცალკე პარაგრაფში, სადაც სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ მის მატერია-

* ვ. პარკაძე. დავ. ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული თისიკა“, 1954, 83-121.

ლარტურ მოსაზრებებს — ავტორს ხაზგასმული აქვს. რაც იმას მიუ-
თითებს, რომ ის მეტად პრინციპული მატერიალისტი იყო და დიდ
მნიშვნელობას ანიჭებდა მატერიალისტურისა და იდეალისტურის.
დიალექტიკურისა და მეტაფიზიკურის გამიჯვნას ურთიერთისაგან.

მომდევნო (89) პარაგრაფში ავტორი აღწერს მხედველობის ორ-
განოს — თვალის ანატომიასა და მის ცალკეულ ორგანოების მოკლე
ფუნქციას, ასახელებს ქუთუთოებს, წამწამებს, თვალის მამოძრავებელ
6 კუნთს, რომელთაგან „ოთხნი მათგანი არს სწორე, ხოლო ორ-
აღმაცერ“. თვითეულ ამ კუნთთა ფუნქციები ავტორს სწორადა აქვს
განმარტებული, მხოლოდ „აღმაცერად წოდებულ“ კუნთებს „სა-
ამოხედვისა“ და „მრისხანეხედვისა“ ფუნქციას ანიჭებს.

თვით თვალის კაკლის აღნაგობა (პარაგრაფი 90) საკმაო სიზუს-
ტით არის აღწერილი.

„გუგა* თვალისა შედგმულ არს სხვათა და სხვათა სინოტრე-
თაგან და გარსთაგან“. გარსებს შორის ის ასახელებს: ზემო გარსი —
რომელსაც „ღრპისა და ნახრტენის“ თვისება აქვს (სკლერა) რქო-
ვანას თვლის ამ გარსის „გამობერილ“ გამჭვირვალე ნაწილად. „შიგ-
ნითი გარსი“ ანატომიაში ყურძნის გარსად იწოდების (სისხლძარ-
ღვოვანი გარსი), რომელსაც აქვს ხვრელი ბაიად (გუგა) წოდებულ.
გარშემო ამ ხვრელისა არის „ფეროვანი“—ანატომიაში ირისად სა-
ხელდებული გარსი (ფერადი გარსი). ამის უკან „მოთეთრო სიმრგვა-
ლედ ლიგამენტად წოდებული (კოპარი), ჩანს სხივისებურ სხეულზე-
ლაპარაკი. დანარჩენი ნაწილი „ხოროიდად“ არის წოდებული.

გამჭვირვალე გარსთა შორის მოთავსებულია წმინდა წყლი
მსგავსი ბროლი. მესამე ანუ „შინაგნითი“ გარსი „იწოდების ბადედ“.
ლათინურად „რეტინად“ (ბადურა გარსი). ყველა ეს ნაწილი შედ-
გება „ნერვთაგან ანუ საგრძნობელთა ძარღვთაგან“.

თვალი განიყოფების ორ ღრუდ. ნაწილად (კოპარი, კელენი)
წინა და უკანა, რომელნიც ავსებულნი არიან „წმინდითა ნოტიობი-
თა“. წინა ნაწილში ბროლს გულისხმობს თვისი წინა და უკანა კაფ-
სულითა და შიგთავსით; ბროლის მასით (და უკანა ნაწილი კი ამოვ-
სებულია „მინისა მსგავსისა სინოტიითა“) მინისებური სხეული“.
თვალში სხივების შესვლისა და გარდატეხის შემდეგ სულის აღქმა
ხდება („გამოიხატების“) „თვალისა ძირსა რეტინასა ზედა“.

მაშასადამე, დავით ბაგრატიონი საკმაო სიზუსტით აღწერს თვა-
ლის ანატომიას და რაც გასაკვირია. ტერმინოლოგია, რომელსაც და-

* დავ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, გუგას არასწორად თვალის კაკლის აღმნიშვნე-
ლად ხმარობს და გუგას კი — ბაიას უწოდებს.

ვითი ხმარობს (ბროლი, ბაია, ფეროვანი გარსი. ბადე გარსი, მინის-მსგავსი სინოტივე და სხვ.)^{*} და რომელიც პირველად მის მიერ არის ნახმარი. ესიტყვება დღეს მიღებულსა და დადგენილ ტერმინოლოგიას (ბროლი, ბაია, ფერადი გარსი, ბადისებური გარსი, მინისებური სხეული) მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტერმინოლოგიის დამდგენელთ არა გვგონია ხელთ ჰქონოდათ დავითის ხელნაწერი.

თანამედროვე ტერმინებისა და დავითის მიერ მიღებული ტერმინების ასეთი დამოუკიდებელი თანშეხვედრა მისი მაღალი კულტურისა და გემოვნების მაჩვენებელია.

91-ე პარაგრაფში განხილულია ორმხრივი ამოზნექილი მინა (დამანი), როგორც ოპტიკური იარაღი. ავტორი სრული სიზუსტით ხსნის საგნიდან არეკლილი სხივის გავლასა და გარდატეხას თვალის ოპტიკურ სისტემაში, თუ არა „გვერდეს თვალთა წინა რაოდენნიმე სინოტიენი გარდატეხილნი შარავანდისანი“, მაშინ თვალის ფსკერამდის სხივები მივლენ გაფანტულად და საგანსაც ვეღარ დავინახავთ. თვალის „გარდამტეხელნი სინოტიენი“ კი იწვევენ სხივების გარდატეხასა და შეკრებას „ერთსა პუნქტსა“ (ყვითელ ხალზე—მ. შ.). ავტორისათვის ცნობილია, რომ საგნიდან წამოსული სხივები „იყირაზედ“ აისახებიან ბადურაზე „ზემოა ქვედალმა და ქვემოა შედმა“, მარჯვენა — მარცხნივ და მარცხენა — მარჯვნივ (ხელნაწერში მოცემულია ნახაზი „ფიგურა 12“—სხივების გარდატეხის სქემატური ამსახველი). თვითეული თვალი ცალ-ცალკე აღიქვამს საგანს, მაგრამ ცნობიერებაში ერთი საგანი „დაეტვიფრების“ და არა ორი, ტვინისაკენ მიმავალი „საგარძნობელი ნერეთა“ და თვით ტვინის მეოხებით.

გუგა „ბნელსა ადგილსა განგანიერდების და ნათელსა შეიმკირშვის“.

ასაკობრივ პრესბიოპიას ასე ხსნის ავტორი: სიყრმისას ბროლი „გამობერილია“ და „ჟამსა მცხოვანებისასა უწყებენ განბრტყელებასა“. სწორედ ამისათვის ხმარობენ მოხუცებულები „სათვალესა მცირედ გამოდრეცილსა“. ბოლოს მოყვანილია სიბეცის მიზეზთა ფიზიკური ახსნა: „ოდეს ბროლებრი თვალთა სინოტივია იქმნების უმეტეს გამობერილი, ესე არს მიზეზი ბეცობისა“, რომლის დროსაც ხმარობენო „სათვალესა შედრეცილსა“.

მომდევნო პარაგრაფებში დავითი იხილავს მიკროსკოპს, ის არჩევს მარტივ მიკროსკოპსა და რთულ მიკროსკოპს. 5 სქემატური ნახაზით არკვევს მათში სხივების გავლასა და გარდატეხის გზებს. სა-

^{*} აღინიღელ წყაროებში ეს ტერმინები არ გვხვდებიან.

კირია მოვიგონოთ, რომ „ბურჟუაზიული მკვლევარნი ავითარებენ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, რუსეთში მიკროსკოპი მხოლოდ XIX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან შემოვიდა. ამ აზრის საწინააღმდეგოდ გაილაშქრა ს. ლ. სობოლმა და წამოაყენა ახალი ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც მიკროსკოპის ტექნიკა რუსეთში უკვე XVIII საუკუნეში იყო ცნობილი. დ. ბაგრატიონის ზემოთ მოყვანილი პარაგრაფი მიკროსკოპის შესახებ ადასტურებს, რომ ყოველ შემთხვევაში XIX საუკუნის პირველ 15 წელში მიკროსკოპი რუსეთში საკმაოდ შესწავლული და გავრცელებული ყოფილა. ვსარგებლობთ რა შემთხვევით, აღვნიშნავთ, აგრეთვე, რომ მიკროსკოპული ტექნიკა საქართველოში უფრო ადრე იყო განვითარებული, ვიდრე რუსეთსა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. საბედობრ: ვახტანგ VI თავისი მეფობის პერიოდში (1703—1724) თვითონ უკვირდებოდა ბუნების ზოგიერთ მოვლენას მიკროსკოპით.

ამგვარად, ბურჟუაზიულ მკვლევართა ეს დებულება, ისევე როგორც სხვა მრავალი ჰიპოთეზა, ტენდენციურია და არავითარ ნივთიერ საბუთს არ ემყარება*.

მეტად ორიგინალური მოსაზრებაა წამოყენებული პარაგრაფში (§ 142), რომელიც დასათაურებელია „შობისათვის კაცთა და ცხოველთა“, სადაც ძირითადი ემბრიოლოგიური საკითხებია განხილული. ავტორის მოსაზრებით „შობაჲ თესლოვნებითი“ (განაყოფიერება) ოთხგვარია: 1) მიდგომითა (სქესობრივი კავშირი), 2) კვერცხით „ვითარცა მფრინველი“, 3) დათესვითა თესლათაჲ, 4) სიცხისგან და დაყროლებისა ვითარცა მატლი ხორცთა შინა. ადამიანის თესლია შემადგენლობაში ის არჩევს: 90% — წყალს, 6% — წებოვან ლაქას, 1% ფოსფორის მქავეს, 3% — წმინდა კირს. ნაყოფის ჩასახვის პროცესს ასე წარმოგვიდგენს ავტორი: როცა თესლი „შეისხმის“ და „დაშთების“ დედაკაცის საშოში — „ძალი ელექტროული პოებული თესლსა შინა“ თესლს თან წაიღებს ფალოპიუსის მილისაკენ და „მიიწევს“ რა ელექტრული ძალით კვერცხისაკენ „განაცხოველებს კვერცხსა მას“ (ე. ი. განაყოფიერებს), რომელიც მომწიფებულია სპერმის მისაღებად. განაყოფიერებული კვერცხი მოსწყდება რა „ადგილით თვისით“, გაივლის ფალოპიუსის მილს „შთავარდების საშოსა და ყრმაჲ შთაისახების“. პირველად განაყოფიერებულ კვერცხში გამოჩნდება ერთი წითელი ხალი, შემდეგ მის ზემოთ ორი შავი ხალი, წითელი ხალი გულია, ორი შავი ხალი კი — თვალები. შემდეგ გამოჩნდება „თეთრი ძარღვის მსგავსი წარმონაქმნი“, რომლის წვერა

* ვ. პ ა რ კ ა ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 138.

ორად არის განყოფილი — ეს „თეთრი ძარღვი“ ერთიანი ხერხემალია და ორად განყოფილი წვერისაგან კი ჩამოყალიბდებაო ადამიანის ტანი.

ამ მომენტში „ჭიბით გამოგრძელების“ თეთრი ძაფის მსგავსი წარმონაქმნი, რომელიც გაივლის ჩანასახის გარემომცველ გარსს და მიეკვრება საშვილოსნოს კედელს „მსგავსად კვერისა“. ის არჩევს პლაცენტასა და „გარემომცველ გარსს“.

ჩანასახი იზოფება საშვილოსნოში „თვესა მთვარისასა. ათსა“ და „თვესა მზისასა ცხრასა“.

გარდა იმისა, რომ აქ სწორად გადმოცემულია ემბრიოლოგიის ძირითადი საკითხები, ყურადღებას იმსახურებს ჩასახვა-განაყოფიერებაში ელექტრული „ძალის“ მონაწილეობა. ჩასახვის ელექტრული თეორია ემბრიოლოგიაში არაა ცნობილი.

„ჩასახვის თეორიაში“ დღემდე არაფერია ცნობილი... ელექტრული ძალების არსებობისა და მათი მონაწილეობის შესახებ. ასეთ ჰიპოთეზას, როგორც ირკვევა, პირველად დ. ბაგრატიონის სახელმძღვანელოში ვხვდებით, დღეისათვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ სპერმა და კვერცხი ერთმანეთის საწინააღმდეგო რეაქციებს იძლევიან. საზოგადოდ ელექტრონული თეორია ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობა მხოლოდ ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში გახდა შესაძლებელი — ატომის შემადგენელ ნაწილებად დაშლის შემდეგ. დავით ბაგრატიონმა კი ზემოხსენებული ჰიპოთეზა ერთი საუკუნით ადრე წამოაყენა*.

143-ე პარაგრაფში — სათაურით „საზრდელისათვის“ — საქმლის მონელების ფიზიოლოგიას იხილავს. გადმოგვცემს რა საქმლის დაღეკვა-მონელებაში კბილების, ენის, ნერწყვის, კუჭის წვენის და კუჭის მოტორული ფუნქციის მნიშვნელობას. აღნიშნავს, რომ „შემდგომად მოხარშვისა, განეყოფის საზრდელსა უმჯობესი წვენი“, მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ამ „უმჯობესი წვენის“ ორგანიზმსა და სისხლში მოხვედრის გზები არა სწორად აქვს გადმოცემული.

§ 144 სხეულთათვის — გადმოცემულია ადამიანის ანატომიის ძირითადი საკითხები. ორგანიზმის შემადგენელ ნაწილთაგან არჩევს: ძვალს, ძარღვს, ხორცს, სისხლს, ქონს, ტვინს, ფრჩხილს, თმას, კაკნატელს. ძვალი აღიარებულია სხეულის „დასაყრდნობელ ორღანოდ“. ძვლის შემადგენელ ნივთიერებად თვლის: კირს, ქონს, ფოსფორს, მარილს, წებოს.

ეს ნივთიერებები მოიპოვება აგრეთვე ფრჩხილში, რქაში, თმა-

* ვ. პ ა რ კ ა ძ ე. დასახ. წიგნი გვ. 174.

ში და კუნთებშიც. სისხლს აქვს „სითხე, ფერი, წყლიანობა და სოკი“. სისხლის წითელი ფერი დამოკიდებულია „რკინიერობისა მიერ“ (ე. ი. რკინის შემცველობაზე). არჩევს ვენასა და არტერიას. ვენის ფუნქციაა დაფანტული სისხლი მოაგროვოს ორგანოებიდან, ქსოვილებიდან და მიიტანოს გულის ღრუმდე — გულის ღრუ რომ გაივსება, შევიწროვდება და სისხლი „გადაისხმის ნესტვსა მეორესა“. მეორე ღრუს შევიწროების შედეგად კი სისხლი „გარდაისხმის ძარღვსა მას არტერიად წოდებულსა“ — (ანუ „მცემელ“ ძარღვად, რომელიც ცემს მაჭასა). აქედან კი, ე. ი. არტერიების საშუალებით, სისხლი „განიფანტების ყოველთა ნევრთა და ნაწევართა“.

გულის ღრუების „შემკვირვებისა და განშლის“ შედეგია გულის „ძვრად“ — გულსა და ვენებს აქვთ „კლაპი (ხაფანგი გინა დასაფარებო)“, ე. ი. კლაპანები „რათა არა უკუნ იქცეს სისხლი“, არტერიებს კი ასეთი არა აქვთ. ვენასა და არტერიებს გარდა, ავტორი აღნიშნავს კაპილარების არსებობას ქსოვილებში. ორგანიზმში სისხლძარღვებს გარდა, „პოვებულ არიან ძარღვნი ნაზნი და თეთრნი, რომელნიც გამოვალნ ტვინით და ხერხემლით“. ამათ ეწოდებათ „ნევრნი“, ამ ნევრთა განწყვეტა იწვევს საინერვაციო არის უგრძობლობას („მოაკლდების გრძობასა“). ნერვები მოქმედებენ „მოქმედებისა ტვინისათა“ და ყოველი სნეულებანი „დამლაისანი“ წარმოიშვება ამ ნევრთა დაზიანებით. ორგანიზმის ყოველი ორგანო მოძრაობაში მოჰყავს ამ ნერვებს. მათი ფუნქცია უმთავრესად ეს არის.

გული, სხვა არაფერია, თუ არა და „ხორციანისა მუსკულისა ბუდისა მსგავსი“, რომელიც მდებარეობს მარცხნივ, მკერდქვეშ, მას ყველა სისხლძარღვთან აქვს ურთიერთობა, სისხლის მოძრაობის მიმოქცევის მიზეზი არის გულის „შეხრუშტვა“ გინა შემკვირვება და გაშლა. ავტორი ამბობს, რომ ფიზიკოსთა გამოთვლით ერთ საათში სისხლი გულში გაივლის ოცდასამჯერ.

§ 145. შიგნეულთათვის — სუნთქვა წარმოებს ფილტვის საშუალებით, მას „მობმული“ აქვს ზევით, ყელამდის ლულისმაგვარი წარმონაქმნი „ყარყანტო“, რის საშუალებითაც შედის ჰაერი ფილტვებში. გულისაგან განსხვავებით (მოჭერა და გაშვება), ფილტვი აქვს გაშლისა და შეხრუშტვის უნარი. გაშლისას ხდება შესუნთქვა, შეკუმშვისას („შეხრუშტვა“) — ამოსუნთქვა.

სუნთქვა ისეთი პროცესია, რომლის გარეშე „არა ეგების სიცოცხლე“, როდესაც შეისუნთქავს ფილტვი ჰაერს, ის „შეაზიარებს“ მასში მყოფს „ლიდროვენს“, ატმოსფერულ „აზოტსა ფლოლისტონსა და კარბონატსა“, სამაგიეროდ ფილტვი გამოჰყოფს რაც „არასახმარ არს“, ჰაერიდან კი მიიღებს ჟანგბადს.

ღვიძლის ფუნქციად მიჩნეულია ნაღვლის წარმოშობა, რომელიც გროვდება „საკუთარსა ბურთსა“ (ნაღვლის ბუშტი). აქ ხდება თითქოს საკვებისაგან მიღებული ნოყიერი ნივთიერებათა მიმორევა-ათვისება, აქ სისხლი „განკეთილდება“ და ღვიძლის საშუალებით ასრულებს იგი შუამავლის (ე. ი. გადამტანის) როლს ორგანიზმში.

თირკმლის ფუნქციაა შარდის გამოყოფა. შარდი შედგება მარილებისა და „მიწიერისა ნაწილთაგან“, შარდის ეს შემადგენელი ნაწილები სისხლისაგან გამოიყოფიან თირკმლის „ძალით“.

ტვინი — არის „საეანე გონებისა“, ადამიანის ტვინი არის „უღმატებულეს“ სხვა ცხოველების ტვინთან შედარებით. ის ორი შრისაგან შედგება, გარეთა „ნაცრისფერი“ ანუ რუხი ნივთიერება (ტვინის ქერქი) და შინაგანი ანუ „თეთრი“ ნივთიერება. ტვინს ავტორი ჰყოფს ორ ნაწილად — წინა და უკანა. უკანა „უმცირესია“ და მასზედ არის დამოკიდებული მთელი ორგანიზმისა და ცალკეულ ორგანოთა მოძრაობა. წინა ტვინი კი „რომელიცა არს უდიდესს“ არის გონების, ცნობიერების ცენტრი. თუ დაზიანდება დიდი ტვინი ამით არ მოიწლება არც სუნთქვა და არც გულის მუშაობა, როდესაც მცირე „უკანა“ ტვინი დაზიანდება „მყისთანად დასცხრების სუნთქვაჲ და გულის ძგერაცა“. ამ მაგალითით გამოჰყავს ავტორს დასკვნა, რომ „სუნთქვაჲ და ძგერაჲ“ უმეტესად დამოკიდებულია მცირე ტვინზე, ვიდრე დიდ ტვინზე. მაგრამ ავტორი არ რიცხავს დიდი ტვინის მონაწილეობასაც სუნთქვასა და გულის მუშაობაში, ჩანს ავტორს დიდი ტვინი წარმოდგენილი აქვს, როგორც ერთ მთლიან ურთიერთ დაკავშირებულ ორგანოდ, როგორც არა იზოლირებული არა ლოკალური ცენტროებისაგან შემდგარი, მაგრამ მაინც ფუნქციონალურად განსაზღვრული უბნების მქონე.

§ 146. გრძნობისათვის და საგრძნობელისა — გრძნობა ავტორის აზრით არის ძალი სულისა, რომლითაც განვარჩევთ ნივთთა. ხოლო საგრძნობელნი, რომლითაც ვგრძნობთ, საგრძნობელნი ანუ გრძნობათა ორგანოები არის 5: თვალი, სასმენი, ცხვირი, გემოჲ, შეხება. ხუთივე გრძნობის ორგანოები შეზიარებულია ტვინთან ნერვებით. ტვინთან დამაკავშირებელი ნერვების დაზიანება, გაწყვეტა იწვევს ამა თუ იმ საგრძნობელი ორგანოს ფუნქციის გამოვარდნას; თვალი გაარჩევს ფერს და სიდიდესა და სიმცირეს მანძილიდან, იხილავს მოძრაობასა და ნაკვეთს, სასმენელით — ვსცნობთ ხმასა და ბგერასა; ცხვირით — ყნოსევს, სუნს („საამოსა და საზიზღარსა“), ყნოსვისათვის ცხვირი ამოფენილია ლორწოვანი გარსით, ამ გარსის საგრძნობელ ნერვთა საშუალებით ცხვირი „შეართმევს ყნოსასა ტვინსა“, ადამიანზე უფრო ყნოსვა განვითარებული აქვს ზოგიერთ

ცხოველს, მაგალითად: ძალღნი, რომელნიც შორი მანძილიდან იყნოსენ ხოლმე.

გემოა—განირჩევის ენისა მიერ, უმთავრესად ენის წვერის საშუალებით ხდება გემოჲს „შეგრძნება“. ენაზე არიან ხორკლისა მზგავსანი კორძნი“, სადაც ნახულია საგრძნობელი ნერვები. ეს ნერვები „შეართმევენ... განირჩევის გრძნობასა ტვინსა“, რითაც განირჩევა: სიტბო, სიმწარე, სიმჟავე, სიმყვირტე და სხვ. შეხება — შეიგრძნობა მგრძნობიარე ნერვების საშუალებით, რომელნიც ცხოველისა და ადამიანის კანზე ყველგან არის, შეხებით განირჩევა: სიმძიმე, სიმსუბუქე, ცივი, ტკბილი, მაგარი, ლბილი და სხვ. შემდეგ ავტორი განიხილავს ამავე პარაგრაფში ხორხის აგებულებასა და ბგერის. ხმის გამოცემის მექანიზმს, რომელიც დამოკიდებულია ხორხის კუნთებისა და „ღრაჰთა“ „შეხშვად, განშლად, განვრცობად, შემპირშვად, შეიწროებად და განგანიერებლად“.

§ 147. ღვიძილისათვის და ძილისა — მეტად საინტერესოდ აქვს განმარტებული დავით ბაგრატიონს ძილი, რომელიც ძლიერ უახლოვდება ძილის, ე. წ. ჰუმორალურ თეორიას, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა ძილის მექანიზმის ახსნაში. დავითის განმარტებით: ღვიძილის დროს, მუშაობისა და მოძრაობის დროს სისხლძარღვები და ნერვები გამოჰყოფენ „სიცოცხლის სინოტიეს“, რომელიც ჩანს წარმოიშვება მოძრაობისა და სასიცოცხლო პროცესისათვის, ძილის დროს კი ამ გახარჯული თუ „წარწყმენდილის“ ნაცვლად, საჭიროა ახალი „სასიცოცხლო სინოტიეს“ მოგება, მიღება; აღდგენა. თვით ძილის წარმოშობის მექანიზმიც ახსნილია ამ სასიცოცხლო პროცესების დროს წარმოშობილი პროდუქტებით, რადგან „მიზეზი ძილისა არს... განხვევა სიცოცხლისა სინოტიეთა“. მხოლოდ სიზმრის ახსნაში დავ. ბაგრატიონი უკვე ბოლომდე ვერ იცავს თავის მატერიალისტურ პრინციპებს, და იშველიებს სულს: „იხილა რა მან სიზმარი, რომელიცა არს მოქმედება, სულისა“ — ამბობს ავტორი.

§ 148. ფქნარებისათვის ანუ მთქნარებისათვის — მოცემულია მთქნარების ფიზიოლოგიური მექანიზმი, ავტორის მოსაზრებით მთქნარება მაშინ ხდება, როდესაც ადამიანი უძილოა და როცა სისხლძარღვები და „ნესტვნი“ აღოვებიან ალბათ ზემოხსენებული „წარწყმენილი“ სინოტივით, მაშინ საჭიროა მათი გამოდგენა „იძულებით გრეხითა და ჰირებითა“, რათა „გამოსწურვიდიან“ წყალსა სამოსელთაგან“, ე. ი. მთქნარება ისეთი ფიზიოლოგიური პროცესია, როცა ძილის მომგვრელი „სინოტივის“ გამოწურვა ხდება ქსოვილებიდან.

§ 149. ცხოველობისათვის და სიკვდილისა — ამ პარაგრაფში აღწერილია ადამიანის ჩასახვიდან სიკვდილამდის ასაკობრივი ცვლილებებისა და ასაკობრივი თავისებურებათა ძირითადი, ზოგადი ცნობები, რაც საკმაო სიზუსტითაა აქვს ავტორს გადმოცემული.

§ 150. ცხოველებისათვის ტელმათასა — პარაგრაფში მოცემულია მოსაზრებები ხეთა და მცენარეთა სასიცოცხლო პროცესების შესახებ, იგი საინტერესოა, როგორც საერთო ბიოლოგიური საკითხების განხილვა. მცენარეები ავტორის მიერ განიხილება, როგორც ცხოველი, ცოცხალი ორგანიზმი, რომელნიც აღმოცენდებიან, იზრდებიან, სრულდებიან, ბერდებიან და კვდებიან. ისე როგორც ცხოველთ, მათ შეუძლიათ ძილი, ისინი ავადდებიან გარკვეული დაავადებებით, ემორჩილებიან მკურნალობას და ა. შ. მცენარეთა შორისაც არისო სქესთა სხვაობა დედალი და მამალი, ხდება განაყოფიერება (დამტვერვა). ისინი მგრძნობელნი არიან: გრძნობენ შეხებას და შეხებაზე ზოგი მათგანი გარკვეულ რეაქციას იძლევიან. ისინი იკვებებიან მიწის სინოტივით. მცენარეთა ძირითადი ნაწილებია: ძირი, გული, კუკური, ყლორტი, რტოი, ფურცელი, ყვავილი, ნაყოფი და თესლი. თვითეულ მათგანს თავისი ფუნქცია აკისრია. ზოგიერთ მცენარეს აქვს აგრეთვე ადამიანის სისხლძარღვთა მსგავსად „სოლინარნი“ (მილები), რომელთა გზით ხდება კვების „სინოტივის“ შესრუტვა და ა. შ.

მაშასადამე, როგორც ჩანს, დავით ბაგრატიონს, უაღრესად პრაქტიკული დარგის რეცეპტურის შედგენის გარდა მედიცინის ზოგად-თეორიული საკითხებისათვისაც მოუმართავს თავისი კალამი და იმ დროისათვის მეცნიერულ და ხშირად უაღრესად ორიგინალურ განმარტებებს იძლევა, რაც მის ღრმა განსწავლულობაზე მიუთითებს სამედიცინო-ბიოლოგიურ საკითხებში. დ. ბაგრატიონი ქართული მედიცინის ისტორიის გარდამავალი ხანის მეტად მნიშვნელოვანი მოღვაწეა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიული მედიცინის განვითარებასა და გავრცელებაში.

ლექსიკონი

აღკალი ვოლატილე კალატაში — „ნაცრისა მარილი“ (დ. ბაგრატიონი) კალატაში — ნაცარი, აღკალი — კალა, მარილი.

ბადე — რეტინა, ბადურა გარსი

ბაია — გუგა

ბრყვილი — ხალი, ლაქა

განხეება — გაღება, გაცემა, დახარჯვა

დამანი — გამადიდებელი ლინზა
დეოპტრია — ნაწილი ოპტიკისა, რომელიც სწავლობს სხივების „სხვათა და სხვათა სიზრქეებში“ გარდატეხის საკითხებს (დ. ბაგრატიონი)
დრესი, დრესა — ხახუნი
ემიფანია — ზელაპირი (დ. ბაგრატიონის მიხედვით) სიფრიფანა სხეული (საბა)
ირისე — ფერადი გარსი
კაკნატელი — მყესი
კატოპტრია — სწავლება სინათლის გადაცემის შესახებ, „სწავლამ გადაცემისა ნათლისა“ (დ. ბაგრატიონი)
კლაპი — კლაპანი, სარქველი
კოპარი, კელენი — 1. ნაწილი 2. ხერელი, ღრუ
კოპარი — იხ. ლიგამენტი „ლიგამენტი კოპარად იწოდების“ (დ. ბაგრატიონი)
ლავრა ვიტე — „ძალი ელექტრონული პოებული თესლსა შინა წოდებული ლავრა ვიტედ“ (დ. ბაგრატიონი)
ლიგამენტი — Ligamentum pectinatum.
მინისა მსგავსი სინოტივე — მინისებური სხეული, Corpus Vitreum
ნახტენი — ხრტილი
ნესტვი — ღრუ
ნოტიო — აქ. სითხე, თვალის წინა და უკანა კამერის შიგთავსი (ნამი)
ოქსიგენი — ეანგბადი
საგრძნობელი ძარღვი — ნერვი
სანწივითი — მგრძნობიარე მცენარე, რომელიც შეხებისას შეიკუმშება (დ. ბაგრატიონი)
სოლინარი — მილი, ლულა
ტელმა — ხე
ურანიკოსი — სასა, ცა (დ. ბაგრატიონი)
ქალლოპიოსის სოლინარი — ფალოპიუსის ლულა
უურძნის გარსი — სისხლძარღვოვანი გარსი, tractus Vascularis s. Uvealis.
ქერუორი — „ძალი ყნოსისა“ (დ. ბაგრატიონი)
ხორიოიდა — ხორიოიდეა, საკუთრივ სისხლძარღვოვანი გარსი, chorioidea
ხუზა ხურმა — ფინიკი
ქორონიკონი ფვ — 1818 წ. (1312+506)
ლიდროვენი — ნახშირორჟანგი
ღრანტი — ღრტილი
ღრაქებერი გარსი — სკლერა
შარავენდელი — სხივი, სხივთა კონა; გვირგვინი
შემჭირშვა — შეკუმშვა
შირიში — ნალელის ან შარდის ქვა, კენჭი, უროლითი
ჩეიშ — 1818 წ.

პირველი ქართველი ექიმი (რუსული სამედიცინო ბანათლებით) პეტრე კლაპიტონიშვილი და მისი მოღვაწეობა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის მიწურულამდე მთელი საუკუნის მანძილზე სამედიცინო მოღვაწეთა შორის საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო პეტრე კლაპიტონიშვილი, და საოცარია, რომ თითქმის სრულ დავიწყებას მიეცა მისი სახელი. მკვლევარები, რომლებიც შეხებიან მედიცინის ისტორიას XIX საუკუნის საქართველოში, ან სრულიად გვერდს უვლიან მას (ე. ი. სრულიად უცნობია იგი მათთვის) ანდა, ვინც შეეხოს, მათაც არასრულყოფილად წარმოგვიდგინეს მისი მოღვაწეობა. ექ. ლ. კოტეტიშვილი. ეხება რა XIX საუკუნეში მედიცინის განვითარებისა და ისტორიის საკითხებს, წერს: „XIX საუკუნე მკვდარი პერიოდია ქართული მედიცინის ისტორიაში, არც ერთი ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი საექიმო თხზულება ამ პერიოდში ჩვენ არ მოგვეპოვება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შტაბ-ლეკარი პეტრე კლაპიტონოვის მიერ 1830—1832 წლებში რუსულიდან ნათარგმნი და გადმოკეთებული „მოკლე კარაბადინი“ [იხ. № 5 Q სახ. მუზეუმი] დეკანოზ დავით ღამბაშიძის „კარაბადინის“ (იხ. „სახალხო საექიმო წიგნი — კარაბადინი“ შედგენილი დეკანოზი დავით ღამბაშიძის მიერ, ქუთაისი 1893 წ.) და ვინმე ილია სულაქველიძის „სიმრთელის კიდობანის“ (იხ. „სიმრთელის კიდობანი — ოჯახში საკითხი სახმარებელი წიგნი — 1891 წ.) გარდა არაფერი არა ჩანს მთელი საუკუნის მანძილზე [„იადიგარ დაუდი“, გვ. VI]. არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მკვლევარს მთელ რიგ მოსაზრებებში, რომელიც ამ მოკლე ციტატაშია განვითარებული:

XIX საუკუნე, თუნდაც მისი პირველი ნახევარი, სრულიადაც არ წარმოადგენს „მკვდარ პერიოდს“ ქართული მედიცინის ისტორიაში. იმდროინდელი მოწინავე ქართველი არისტოკრატია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ნებით თუ უნებლიედ მოსკოვსა და პე-

ტერბურგში ცხოვრობდა, უქმად არ ფლანგავდა დროს და დღე-ნიადაგ იმისათვის იღვწოდა, რომ ქართული სამედიცინო აზროვნება ეპოქის შესაფერ დონეზე მდგარიყო, ითარგმნებოდა რუსულიდან, ლათინურიდან და სხვა ევროპულ ენათაგან სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამედიცინო ლიტერატურა, იწერებოდა ორიგინალური შრომებიც კი ქართულ ენაზე. განა შესამჩნევი არ უნდა იყოს მკვლევარისათვის სტამბურად ნაბეჭდი და გამოცემული უაღრესად პრაქტიკული, თარგმნილი და ორიგინალური წიგნები XIX საუკუნის პირველი ნახევრისა? თუმცა „ქართული ნაბეჭდი წიგნი თითქმის მთელ მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე არ გამოხატავს საეკლესიო ქართული აზროვნების განვითარებას“*, რადგან წიგნის გამოცემის საქმე შორს ჩამორჩებოდა სამეცნიერო აზროვნების დონეს. ამის ნათელ მაგალითს იძლევა ის უამრავი სამეცნიერო და, კერძოდ, სამედიცინო ხასიათის ხელნაწერები [საექიმო თხზულებები]. რომლებიც XIX საუკუნის და უმთავრესად მისი I ნახევრის მოღვაწეთაგანაა შესრულებული.

რაც შეეხება ლ. კოტეტიშვილის მოსაზრებას პეტრე კლაპიტონიშვილზე, უნდა ითქვას შემდეგი: ჩანს, იგი არ იცნობდა კლაპიტონიშვილის იმ 5 წიგნს, რომლებიც მან სტამბურად გამოსცა ქართულ ენაზე, ის იცნობს მხოლოდ რომელიღაც ხელნაწერს, გადაწერილს ალბათ 1830—1882 წლებში სტამბურად გამოცემული რომელიმე მისი წიგნიდან და არ იცნობს თვით წიგნს. იგი მიუთითებს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა Q ფონდს და არა თვით წიგნს, რომელიც სხვათაშორის 1826—1828 წლებში იქნა გამოცემული და არა 1830—1832 წლებში, როგორც მკვლევარი მიუთითებს.

მთელი რიგი ავტორები, რომელთაც ქართული მედიცინის ისტორიის ცალკეული (დარგობრივი) საკითხები დაამუშავეს, სრულებით არ ეხებიან და, ჩანს, არ იცნობენ პეტრე კლაპიტონიშვილის შრომებს. ცხადია, „XIX საუკუნის... შინაგანი სნეულების გავება-მკურნალობის ისტორია“ და „სანიტარია-ჰიგიენისა და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა ისტორია“ არასრულყოფილი იქნება პეტრე კლაპიტონიშვილის შრომების გაუთვალისწინებლად. განა შეიძლება თერაპიის ისტორია მისი წიგნის „ადვილად წამლობისათვის მრავალთა გვართა შინაგანთა და გარეგანთა სნეულებათას“ გათვალისწინების გარეშე? ეს წიგნი უსათუოდ გამოხატავს ეპოქის თერაპიული აზროვნების დონეს მთელ რიგ საკითხებში. XIX საუკუნის თერაპიული აზროვნების ისტორიისათვის იგი აუცილებელ და ძირითად ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. ან შეიძლება სანიტარია-ჰიგიენისა და ეპიდსაწინააღმ-

* ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია — შესავალი, გვ. VI.

დევო ღონისძიებათა ისტორია პეტრე კლაპიტონიშვილის ისეთი ნაშრომის ისტორიულ წყაროდ გამოყენების გარეშე, როგორცაა წიგნი „მოკლე დარიგება ერისა ვითარ იგი ჯერ არს დაცვა და განრინება თავისა თვისისა შესაყართა სნეულებათაგან და უმეტეს ჰირისა“ (1826)?. სადაც პოპულარული ენით დაწვრილებითაა აღწერილი ეპიდემიურ სნეულებათა (ქოლერა, შავი ჰირი და სხვ.) იმდროინდელ გაგება-მკურნალობა, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა მაშინდელი ღონე და სხვ.

პეტრე კლაპიტონიშვილის წიგნის: „მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება ადვილად წამლობისათვის მრავალთა გვართა შინაგანთა და გარეგანთა სნეულებათა“ ერთი ეგზემპლარი საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგშიც კია აღნიშნული საერთო სარგებლობისათვის. დანარჩენი 4 წიგნიდან სამი, კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელუხლებელ ფონდში იყო დაცული (მხოლოდ თითო ეგზემპლარი), სამივე ერთ სპეციალურ საერთო ყდაში აკინძული და ავტოგრაფიული წარწერით იმერეთის დედოფლის მარიამისადმი მიძღვნილი. ისინი სხვაგან არსად, არც ბიბლიოთეკებში და არც მუზეუმებში არაა დაცული და წარმოადგენს ერთადერთ უნიკალურ ეგზემპლარს.

მეხუთე წიგნი კი („მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება მისთვის, თუ ვითარი ღონისძიება და შეძლეობა მოიხმარონ კაცთათვის ჟამსა უეცრად ჩავარდნილის სიკვდილისა მდგომარეობასა შინა“) 1836 წელს გამოუცია მას იმ დროისათვის ძალიან დიდი (1200 ცალი) ტირაჟით*

აკად. ალ. წულუკიძე თავის ნაშრომში „Врачи Грузии XIX столетия“ (გვ. 14) ასახელებს პეტრე კლაპიტონიშვილს: «Штаб-лекарь П. Клапитонов видимо был Грузин к сожалению мы не смогли обнаружить документов, непосредственно доказывающих». თუმცა მისი ქართველობის დასამტკიცებლად მას საკმაოდ მოტივები მოჰყავს, მაგრამ, ჩანს, მაინც საექვროდ ჩათვალა ეს საკითხი, რადგან შემდეგში XIX საუკუნის I ნახევრის ქართველ ექიმთა შორის აღარ იხსენიებს.

* აღნიშნული წიგნის შესახებ „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფის“ შემდგენელი მიუთითებს, რომ ის დაცულია [1 ეგზემპლარი] მხოლოდ თბ. სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მაგრამ მიუხედავად გულდასმით ძებნისა ის არ აღმოჩნდა იქ. მივმართეთ თხოვნით მოსკოვის „უძველესი აქტების ისტორიულ არქივს“, სადაც მოსკოვის სინოდალური სტამბის (რომელმაც 1836 წელს გამოსცა ეს წიგნი) არქივი გვეგულუბოდა, იქ მართლაც აღმოჩნდა 1 ეგზემპლარი ამ წიგნისა, რომლის მიკროფილმი გადმოგზავნილ იქნა ჩვენს სახელზე. ამჟამად წიგნის ფოტო პირი დაცულია ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებაში.

ვფიქრობთ, არავითარი მოტივი არ არსებობს იმისათვის, რომ ამ საკითხზე მსჯელობა გაიმართოს და კლაპიტონიშვილის ქართველობა ეპკვის ქვეშ დავაყენოთ, მაგრამ რადგან ითქვა და საექვოდ დაისვა ეს საკითხი, საჭიროდ ვთვლით ქვემოთ შევეხოთ მას.

ბიოგრაფიული ცნობების დადგენა პეტრე კლაპიტონიშვილზე ხერხდება მისი წიგნებიდან, ცენტრალურ არქივში შემონახული „ფორმულარული სიიდან“*. ჯანაშიას სახ. მუზეუმის ზოგიერთი ხელნაწერიდან და ლენინგრადისა და ბაქოს ისტორიული არქივებიდან მიღებული დოკუმენტების საშუალებით.

იგი დაბადებულა 1792 წელს (რადგან 1837 წელს შედგენილ ფორმულარულ სიაში 45 წლისადაა ნაჩვენები), ყოფილა შვილი ერეკლე მეორის კარის ექიმის ალექსანდრე კლაპიტონიშვილისა, რომელიც კონსტანტინეპოლიდან მოუწვევია ერეკლეს.

1809 წლიდან 1817 წლის 13 მაისამდე უმუშავენია საველე აფთიაქის მოწაფედ.

უმალლესი სამედიცინო განათლების მისაღებად ახალგაზრდების შერჩევა ძალიან ჭირდა იმ ხანებში. ამ მიზნით კადრებს უძთავრესად აფთიაქის მოწაფეთაგან ან ექიმის მოწაფეებიდან („лекарский ученик“) არჩევდნენ. 1817 წელს პ. კლაპიტონიშვილიც გაუგზავნიათ უმალლესი სამედიცინო განათლების მისაღებად — ჩაურიცხავთ ვოლონტერად მოსკოვის მედიკო-ქირურგიულ აკადემიაში 1819 წლის 19/VIII, როგორც ეს ფორმულარული სიიდან ჩანს. მაგრამ მოსკოვის ოლქის სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული ერთი დოკუმენტით ის გაცილებით ადრე ჩასულა მოსკოვში და თხოვნით მიუმართავეს მედიკო-ქირურგიული აკადემიის მოსკოვის განყოფილების კონფერენციისადმი აკადემიაში** ჩარიცხვაზე.

* საქ. სსრ ცენტ. არქივი, ფ. 16, საქ. 9931, ფურ. 37 და საქ. 10058, გვ. 42, 1837 წ.

ძირითადად ამ ფონდის საფუძველზე პ. კლაპიტონიშვილის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები გადმოცემული აქვთ გ. სააკაშვილსა და ა. გელაშვილს წიგნში „საქართველოს მედიცინის ისტორია“, ტ. IV, ნაწ. I, გვ. გვ. 39—42; 116—117. აგრეთვე ლ. ა. შნაიდერს თავის საკანდიდატო დისერტაციაში.

** მოსკოვის ოლქის სახელმწიფო ისტორიულ არქივში ინახება (ფ. 433, აღწ. 40, საქ. 153, ფურც. 2) მისი ავტოგრაფიული განცხადება:

«Императорской Медико-хирургической Академии Московского отделения в конференцию

Аптекарского ученика Петра Александра Сына Клапिटонова
Прошение

Вслужбу вступил я в Грузинскую Полевую аптеку аптекарским учеником 1809 Года, августа 1-го числа. Из оной по прошению моему уволен

აკადემიას ამთავრებს მესამე „განყოფილების“ ლეკარის წოდებით 1822 წ. 8 აგვისტოს. იმავე წლის 15 აგვისტოდან მუშაობს ექიმად იქამად რუსეთში მყოფ საქართველოს დედოფალთან მარიამთან (1827 წლის 10 ოქტომბრამდე).

ამ ხანებში პ. კლაპიტონიშვილმა გადმოაკეთა კამენეცკის ცნობილი სამედიცინო სახელმძღვანელო („Лечебник“) დაბეჭდა სტამბურად და 1600 ეგზემპლარი საქართველოში გამოგზავნა მოსახლეობაში უფასოდ დასარიგებლად, რის გამოც ჯილდოს სახით შტაბ-ლეკარის წოდებაზე იქნა გადაყვანილი.

1827 წლის 21 დეკემბრიდან იგი განწესებულ იქნა ელიზავეტპოლის მაზრის ექიმად, სადაც 1828 — 1830 წლებში მძვინვარე შავი ქირისა და ქოლერის ეპიდემიის წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა.

მაზრის ექიმის მოვალეობის შესრულებასთან ერთად განაგებდა ელიზავეტპოლის სამხედრო ჰოსპიტალს 1829—1830 წლებში. აქვე ასრულებდა კარანტინის ექიმის მოვალეობასა და განაგებდა აგრეთვე სასახლვრო კარანტინების მედიკამენტებით მომარაგებისათვის გახსნილ აფთიაქს. ელიზავეტპოლში მუშაობისას, 1829 წელს, მის მიერ ჩადენილი იქნა კეთილშობილური, გმირული საქციელი, რის გამოც გვიან (1836 წელს) მას ორდენით აჯილდოებენ: ქოხში, რომელიც იწვოდა, იმყოფებოდა 3 ბავშვი, იმ მომენტში, როდესაც სახურავი უნდა ჩავარდნილიყო და სამივე ბავშვს უეჭველი დაღუპვა მოელოდა. პ. კლაპიტონიშვილმა, მიუხედავად დიდი საშიშროებისა, თავისი სიცოცხლის განწირვით, გამოიყვანა სამივე ბავშვი ცეცხლიდან და აშკარა დაღუპვისაგან იხსნა ისინი.

მაშასადამე, პირველი ქართველი ექიმი რუსეთში მიღებული უმაღლესი სამედიცინო განათლებით არის პეტრე კლაპიტონიშვილი და არა სოლომონ აქიმოვი*, როგორც ეს აზრი გავრცელებულია ქართული მედიცინის ისტორიაში.

1831 წლის 14 ივნისს ელიზავეტპოლიდან (განჯა — ამჟამად

для определения к изучению медицинской науке в императорскую медико-хирургическую академию 1917 г. мая 13-го ныне же имею желание продолжать курс учения оной, при Московском отделении по медицинской части на Собственном Иждивении. Почему и прошу почтеннейшую конференцию меня определить. Данные же мне аттестаты у них и фармулярный список при сем честь имею представить.

Аптекарский ученик Петр
Александров Сын Клапिटонова.

Сентября 1-го дня 1817 г.».

* იხილეთ ამ საკითხზე წინამდებარე წიგნში „აქიმოვების ეინაობისათვის“, გვ. 290.

კიროვბადი) იგი წერს რაპორტს* საქართველოს საექიმო მმართველობას, რათა გაანთავისუფლონ «По необходимым домашним обстоятельствам во все от службы», მაგრამ სამოქალაქო გუბერნატორი (თავ. ფალავანდიშვილი) ატყობინებს საექიმო მმართველობას (რომელმაც რაპორტი განსახილველად გუბერნატორს გადასცა), რომ შემცვლელის უყოლობის გამო განთავისუფლება მისი ვერ ხერხდება.

1832 წელს პ. კლაპიტონიშვილმა, ჩანს, მიაღწია მიზანს. იმავე წლის 2/IX-ს მას ნიშნავენ გორის სამაზრო ექიმად, მაგრამ რატომღაც სამოქალაქო გენერალ შტაბ-ლეკარის ბრძანებით მალევე კვლავ გადაჰყავთ ბაქოს პროვინციის ექიმად, ბაქოში მომუშავე პ. კლაპიტონიშვილი 1836 წელს ქართულ ენაზე სცემს თავის მეხუთე წიგნს „მოკლე კარაბადინი ანუ, დარიგება მისთვის თუ ვითარი ღონისძიება და შეძლება მოიხმარონ კაცთათვის ეამსა უეცრად ჩავარდნისა სიკვდილისა მდგომარეობისა შინა“.

ქართულ და რუსულ ენაზე გამოცემული მისი სამედიცინო წიგნებისათვის და უფასოდ მათი დარიგებისათვის იგი ორჯერ იქნა დაჯილდოებული ბრილიანტის ბეჭდებით.

თბილისის აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში ინახება მეტად საინტერესო ერთი ხელნაწერი [ფონდი A—1278]. ხელნაწერის ავტორია სწორედ პეტრე კლაპიტონიშვილი. ხელნაწერის ბოლოში მიწერილია: შევადგინე წელსა 1830 სა—ქალაქსა შინა გორისა. „ქართლსა“ „პეტრე კლაპიტონიშვილმან“. ხელნაწერი, როგორც ჩანს, დავით ბაგრატიის ძის (გიორგი XII-ის შვილიშვილის) მიერ არის შეკრებილი „საისტორიო მასალებიდან“, რომელიც 3 წიგნად ჰქონია მას შედგენილი, გადმოუწერია სხვა მასალებთან ერთად ვასილ გიორგის ძე კარბელაშვილს 1883 წელს — ქ. მოსკოვში. იგი ირწმუნება, რომ „ნამდვილად და უნაკლოდ გადმოვწერე იმ აქტებიდან და გრამოტებიდამო“. გადამწერისათვის, ჩანს, ცნობილი იყო პეტრე კლაპიტონიშვილი. ის ასეთ მინაწერს აკეთებს ხელწერის ბოლოს:

„ესე (პ. კლაპიტონიშვილი—მ. შ.) იყო შვილი ალექსანდრესი, რომელიც იყო ექიმი მეფის ირაკლის II-ისა, ქართველი კათოლიკე; პეტრემ მიიღო განათლება მოსკოვის მედიკურს აკადემიაში: კურსის შესრულების შემდეგ იყო ექიმი მთელს კავკასიაში. დასწერა კარაბადინი სახალხო, ამისთვის მიიღო წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი“.

* ცენტრ. არქივი, ფ. 504, საქ. 53.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ პირველად ამ ხელნაწერში გვხვდება გვარი „კლაპიტონიშვილი“ არარუსული ტრანსკრიფციით. თვით პ. კლაპიტონიშვილი წერს თავის თავზე „კლაპიტონიშვილი-მაო“ .

ხსენებული დოკუმენტით მინაწერის ავტორი (ვ. კარბელაშვილი) გვაცნობებს, რომ წმ. ვლადიმირის IV ხარისხის ორდენი პ. კლაპიტონიშვილს თითქოს მიეღოს მის მიერ გამოცემულ სახალხო სამედიცინო წიგნებისათვის, რაც არაა სწორი, ჩვენ მივიღეთ ერთი დოკუმენტი ლენინგრადიდან, სადაც პ., კლაპიტონიშვილის ორდენით დაჯილდოება მოტივირებულია ელიზავეტპოლში მის მიერ ჩადენილი ზემოხსენებულ გმირობით.

პ. კლაპიტონიშვილის მომდევნო ხანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ სხვა მასალებს საქართველოს არქივებსა და მუზეუმებში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ. აზერბაიჯანის ცენტრალურ ისტორიულ არქივში აღმოჩნდა* რამდენიმე დოკუმენტი 5 რაპორტისა (მიმართული კასპიის საოლქო ექიმისადმი) და 2 უწყისის (ყვავილის აცრის შესახებ) სახით პეტრე კლაპიტონიშვილის ხელმოწერით, ამ დოკუმენტებიდან მხოლოდ ის ირკვევა, რომ ის 1841—42—43—49 წლებშიც ბაქოში ცხოვრობდა და მუშაობდა ბაქოს მაზრის ექიმის თანამდებობაზე.

რაც შეეხება პ. კლაპიტონიშვილის ეროვნების საკითხს, ვფიქრობთ, სადავო არაფერია. მაგრამ რადგან მისი გვარი რუსული ტრანსკრიპციითაა უმთავრესად ცნობილი, ზოგიერთ მკვლევარის მხრივ ექვი შეინიშნება ამ საკითხში და რაც მნიშვნელოვანია, ეს გვარი დღეს აღარ გვხვდება საქართველოში. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება შევეხოთ ამ საკითხსაც, რათა საბოლოოდ დადგინდეს მისი ეროვნება. უპირველეს ყოვლისა ის ფაქტი, რომ მან რუსეთში უმაღლესი სპეციალური განათლება მიღებულმა ქართულ ენაზე დასწერა თავისი შრომები და ისიც ძალიან კარგი ქართულით, მნიშვნელოვანია ამ საკითხის გადასაწყვეტად. თვით მის შრომებში მრავალგზის გვხვდება მისი ეროვნების მანიშნებელი ადგილები:

„მშობელსა ჩემსა საქართუჭლოსა, აქუს მახლობელი სამზღუარნი ოსმანთა და სპარსთა თანა“:

¹ ЦГИА Азерб. ССР ф. 323, оп. I, д. г. л. 11—29—50—37.

ф. 323, оп. I, д. 4, л. 53—67.

ф. 231, оп. I, д. 3, л. II.

დოკუმენტთა ასლები იწახება ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებაში.

...„ესე ვითარისა უზრუნველობისა გამო მესამზღურეთა ჩუენთასა ხშირად ვნებულებს მამულიცა ჩუენი“ (იქვე)

იგი ხშირად მიმართავს ქართველთ:

„საყვარელნო მემამულენო ჩემნო (გვ. 10—45)

„პატიოსანო მემამულენო ჩემნო (გვ. 58—75)*.

ან კიდევ:

„ვიცილი რა, რომელ მემამულენი ჩემნი არა მექონი არიან ესე გვარისა წიგნისა“

თავის წიგნში („მოკლე კარაბადინი... შინაგანთა და გარეგანთა სნეულებათა“) წერს:

„ვცდილობდი, რათა რაოდენ შესაძლო იყოს შევასწორო ყოველი რჩევა და წამლობა ჰავასა და ჩუშულებასა მამულისა ჩუენისა მცხოვრებთასა...“

„იგი რომელიცა გამოცდილებით სასარგებლო არს მცხოვრებთათვის მამულისა ჩუშენისათა“ (გვ. 74).

ზემოხსენებული ამონაწერები ნათელს ჰყოფს, რომ ამ წიგნების ავტორის სამშობლო, მისი „მამული“ საქართველოა და „პატიოსანნი“, „პატივცემულნი“ და „საყუარელნი მემამულენი“—ქართველები.

გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ზემოხსენებულ ხელნაწერზე თვით პ. კლაპიტონიშვილის ქართული ტრანსკრიფციით ხელმოწერას და ვას. კარბელაშვილის მოწმობას, რომ „ესე იყო შვილი ალექსანდრესი, რომელიც იყო ექიმი მეფის ირაკლის II-ისა ქართველი კათოლიკე“.

გადამწყვეტია აგრეთვე ის, რომ მის ფორმულარულ სიაში ერთერთი პარაგრაფის კითხვაზე: «Из какого звания происходить?» პასუხობს — „из Грузин“**.

ალსანიშნავია, რომ მეფე თეიმურაზისა და ერეკლეს კარზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ კათოლიკე მისიონერები, რომელნიც უმთავრესად თავიანთი საექიმო მოღვაწეობით იყვნენ ცნობილნი, ხშირად ქართველები იტალიაში ღებულობდნენ საექიმო განათლებას, საქართველოშიც მისიონერ კათოლიკე-ექიმებთან უხდებოდათ შემდგომი მუშაობა და ისინი ადვილად ექცეოდნენ მათი გავლენის ქვეშ სარწმუნოებრივადაც.

ქართველ ექიმთა „გაკათოლიკება“ იმ დროისათვის შესაძლებელია ერთგვარი პრაქტიკული მოსაზრებითაც ყოფილიყო გაპირობე-

* მოკლე დარიგება ერისა ვითარ იგი ჭერ არს დაცვა და განრიდება თავისსა შესაყართა სნეულებათაგან. და უმეტეს ჰირისა“, გვ. 6.

** საქ. სსრ ცენტრალური არქივი, ფონ. 16, საქმე 9931, ფურც. 37.

ბული, რადგან კათოლიკეთა „საექიმო მოღვაწეობა“ მოდაში იყო და „კათოლიკი“ ქართველი ექიმი მეტი პოპულარობით ისარგებლებდა მოსახლეობაში. მით უმეტეს ცნობილია, რომ ცალკეულ ქართველთა „კათოლიკეთმოქცევაში“ თავგამოდებით იბრძოდნენ რომაელი მისიონერები და ალბათ თავიანთ ქართველ კოლეგებთან, რომელთაც რომში — კათოლიკური სარწმუნოების ცენტრში ჰქონდათ განათლება მიღებული, ადვილად აღწევდნენ მიზანს. ჩანს, ასეთ ქართველთა ჯგუფს ეკუთვნის პეტრეს მამა ალექსანდრე, იოსებ, ანტონ, ივანე, ანდრია ყარაშვილებთან და სტეფანე შარიმანაშვილთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სარწმუნოებას იცვლიდნენ და კათოლიკეები ხდებოდნენ, ბოლომდე რჩებოდნენ მაინც თავიანთი ერის მოსიყვარულეებად და პატრიოტებად, ზნე-ჩვეულებათა და ადათ-წესთა პატივისმცემლებად და სრულებით არ იცვლებოდა მათი ეროვნული გრძნობები. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ყარაშვილების ერთგული სამსახური ქართველ მეფეთა კარზე და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც მთელი 30 წლის განმავლობაში ქართველ თავად-აზნაურთა მიერ ყარაშვილების საექიმო რეპუტაციის თავგამოდებული დაცვა.

კახეთის მოსახლეობასა და თავადაზნაურობას არა ერთხელ მოუმართავს მარშლის თავ. იოანე ორბელიანის სახელით საქართველოს მმართველისადმი თხოვნით, ყარაშვილებისადმი საექიმო პრაქტიკის ნებართვის თაობაზე, წერდნენ მათ დამსახურებაზე, ერთგულებაზე ერის წინაშე და სხვ.

პეტრე კლაპიტონიშვილი განსაკუთრებულ სიყვარულს, ერთგულებასა და თავდადებას ამჟღავნებს თავისი ქვეყნისა და ერის წინაშე, ამ მხრივ იშვიათად თუ შეედრება მას რომელიმე ქართველი ინტელიგენტი მთელი XIX საუკუნის პირველ ნახევარში. გარდა იმისა, რომ მან თავს იღო იმ დროისათვის უაღრესად საჭირო და მძიმე საქმე პოპულარულ-მეცნიერული სამედიცინო ლიტერატურის შექმნისა, მან ისინი სტამბურად დააბეჭდვინა მოსკოვს და თითოეული წიგნის 400—400 ცალი და უკანასკნელი (1836) წლის წიგნის კი 1200 ცალი უფასოდ დაურთო ქართველ მოსახლეობას. ავტორი აშკარად ამბობს, რომ ამ საქმეზე „დავსდე დიდი შრომა და წარსაგებელი“. 400 თუ 1200 ცალი ძალიან დიდი ტირაჟია იმ დროისათვის, მაგალითად, „ქართულ გაზეთისა“ და „თბილისის უწყებანის“ ტირაჟი მხოლოდ რამდენიმე ათეულს ძლივს აღწევდა. მას არა ერთგზის აქვს ნახსენები, რომ თავის „მემამულეთ“ მიუძღვნა

თავისი შრომა „საყვარელო მემამულენო ჩემო... გულს-მოღ-
გინებით და კეთილ მწადნელობით მოგიძღვნი ამას
მოკლესა კარაბადინსა, ვითარცა საყოველთაოსა სასარგებლოსა და
საპიროსა, და უმეტესისა სარგებლობისათვის დაე-
ნიშნე 400 წიგნი უსასყიდლოდ დასარიგებლად. მე ვრაცხ თავსა
ბედნიერად და სასყიდლოვნად ყოვლისა ამისა
შრომისათვის და წარსაგებულისა მაშინ, ოდესცა
ძალვიდებ მოცემად თქუშნდა მაინც ოდენ მცირესა სარგებ-
ლობისა, ესოდენ ჩემ მიერ გულსამოღგინედ მოსა-
ლოდებელისა და სასურველისა“ (გვ. 7).

ავტორი ბედნიერად ჩათვლის თავს და გამოსყიდული ექნება
ყოველი შრომა და მატერიალური ზარალი, თუ კი მცირეოდენ სარ-
გებლობას მოუტანს მაინც თავისი მემამულეთ, რაც ასე გულმოდ-
გინედ სწადია მას.

პეტრე კლაპიტონიშვილი, როგორც ზემოხსენებული ხელნაწე-
რიდან (A — 1278) ირკვევა, უაღრესად პრინციპულ ქართველ პატ-
რიოტად გვევლინება. ხელნაწერი წარმოადგენს საქართველოს მთა-
ვარმმართველის გენერალ ა. პ. ერმოლოვის მიმართ დაწერილ
მწვავე, გაბედულ პამფლეტს მისი დიდმპყრობელური სულის წინა-
აღმდეგ და, კერძოდ, იმ მოქმედების საპასუხოდ, რომელიც მან ჩაიდი-
ნა ქუთათელი მღვდელმთავრების, კახელი თავადაზნაურებისა და
უსამართლობისათვის აჯანყებულ გლეხთა მიმართ. საკითხს იგი, ჩანს,
ღრმა ობიექტურობით უდგება, რადგან ქირდავს იმ პირთ, „ვინცა
ამისთვის (ერმოლოვზე — მ. შ.) ქებას ამბობს ანუ დასწერს, იგი
დიდად სცდების და ატყუებს წამკითხველდა
თვისის ენამკვერ მოთხრობითა“, იგი პასუხისმგებლო-
ბით ეკიდება ისტორიული მოთხრობის, ამბის დაწერას, რადგან „მარ-
თალია, ჩვენ მომაკვდავნი ვართ, მაგრამ მისთვის დაწერილის მოთხ-
რობისა, სამარადისოდ დაპშთების შვილითი შვი-
ლამდე საუწყებლად“. ამდენად ეს ხელნაწერი ღრმა
ობიექტურობისა და პასუხისმგებლობის გრძნობითა აქვს ავტორს.
როგორც ჩანს, დაწერილი. ხელნაწერის პირველი ორი გვერდი ეხება
ა. პ. ერმოლოვის მისვლას სპარსეთში (როგორც რუსეთის ელჩისა),
აღწერილია სპარსეთის ყუენის მიერ მისი მიღების სურათები და სხვ.
იქ ისეთი დეტალებია აღწერილი, რომ შესაძლებელია პეტრე კლაპი-
ტონიშვილი თვით იყო ერმოლოვის ამაღლის წევრი, როგორც ეჭმი.
შემდეგ ავტორი იძლევა ერმოლოვის დახასიათებას, როგორც დიპ-
ლომატისას. იგი იგონებს ცნობილ დიპლომატებსა და პოლიტიკო-
სებს: მეტერნიხს, პოლმერსტონს, ნესელროდს და გრაფ მიხეილ

სიმ. ვორონცოვს. მისი აზრით, „ვითარ დიპლომატი დ. ა. პ. ერმოლოვი თვისი აღზრდილობისა და განათლებისამებრ ვერ შემძლებელ იყო განსხვავებითისა უაღმატებულესის თანამდებობის პერობად“, მას „სხვათა დიდგვართა მათებრ ბედნიერი ნიჭი არა ჰქონდა“... რამეთუ იგი იყო დიდ ფრიად განურჩევლად ფიცხი, მრისხანე, ქისტი, გულღვარძლიანი, თავისა თვისისა მიმდობელი და ძლიერ ცუდად გზრდილი, ხოლო შესახედავისა პირისახისა მისისამებრ საჩინოება მსგავს შესახედავი პირუტყვებრ ჰქონდის შთანერგული, და ამგვარის სარდლის კაცისა, რაღა შესაძლებელი იყო მოლოდებად გულკეთილ-მოქმედებისა მის მიერ და საზოგადოდ მიღებათ ერთადმი ბედნიერებისა“. მთელი ეს არაადამიანური თვისებების ჩამოწერა და ასეთი მწვავე დახასიათება ერმოლოვისა მან დაუკავშირა იმ უსამართლო საქმეებს, რომელიც მას ჩაუდენია საქართველოში მთავარმართებულად ყოფნის დროს. კერძოდ ის ამბობს:

„მე მოწამე ვარ ამ შემთხვეულობისა მის მმართველობისა ეამსა, რაღცა ჰყო უსამართლოება უფრორე სამღუდღელოებათა ზედა იმერეთსა შინა, წმინდანი ეპისკოპოზნი და ღირსნი ძმანი გენათელი და ქუთათელი მათზედა ჰყო ექსორია ტანჯვითი და უსამართლოდ, ურიგოდ მოქცევად მათზედა, რომელნიცა მიიცვალნენ მწუხარებითა“.

ავტორი აღწოთებულა აგრეთვე მისი მოქმედებით კახეთში გლებთა აჯანყების პასუხად მომხდარი ამბების გამო, და ამბობს, რომ მან ერმოლოვმა: „კახეთსა შინა იხმარა უკანონოდ და მოქცევა თავად-აზნაურთა, და გლებთა მიიღეს დიდი შეჭირვება და შთაკვივდნენ დიდსა ვაებასა ნაკულღევანებასა შინა“.

ავტორი ამ შემთხვევასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ახასიათებს მას როგორც „მტერსა“ და „პირუტყვებრ მღრინავის გულის“ პატრონს.

საქართველოს მთავარმართებლის პოსტიდან მის გადაყენებას გულისხმობს ავტორი, როცა ამბობს, რომ:

„განათავისუფლა ერნი თვისნი საზოგადოდ და საბედნიეროდ. სამსახურებლად ღმერთისა მადლისა, და ს ა ყ ვ ა რ ლ ი ს ა ს ა მ შ ო ბ ლ ო ს თ ვ ი ს ა მ ა მ უ ლ ი ს ა“.

ამ ამბებიდან აშკარად ჩანს, თუ რამდენად პატრიოტია „იგი“ საყვარლისა სამშობლოს, თვისისა მამულისა“, რამდენად აღუწოთებია დიდმპყრობელური პოლიტიკის უხეშ გამოვლენებს. ამგვარად, პეტრე კლაპიტონიშვილი მეტად მაღალი პატრიოტული გრძობებით აღჭურვილი ქართველია, რომელსაც ძალიან ფაქიზად უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ხალხი, რისთვისაც არ იშურებს

შრომასა და „წარსაგებელსა“ და მწვავე პამფლეტით იბრძვის მეფის ჩინოვნიკური უსამართლობის წინააღმდეგ.

პ. კლაპიტონიშვილის ასეთი პროტესტანტული იდეები არ უნდა იყოს შემთხვევითი ან უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული უბრალო რეაქცია. შესაძლოა პ. კლაპიტონიშვილის ასეთი განწყობილება დეკაბრისტული მოძრაობიდან ლებულობდეს დასაბამს. 1825 წელს დეკაბრისტების აჯანყებისა და მათი დასჯის მომენტში იგი ხომ მოსკოვის სამხედრო-ქირურგიული აკადემიის ახალ კურსდამთავრებული ექიმი იყო. შეუძლებელია, ერმოლოვის შესახებ ნათქვამი ზემოხსენებული სიტყვების ავტორი და ცარიზმისადმი ასეთი განწყობილების პირი დეკაბრისტული იდეებით ნაზიარები არ ყოფილიყოს*.

საინტერესოდ ამთავრებს ხელნაწერს ავტორი:

„ესე მცირესა მოთხრობასა, ვჰკადნიერებთ მოხსენებად ყოველთა მის—მეგობარ მცნობელთა და ყოველთადმი ჩვენ მემამულეთა სრულიად კავკასიელთა, და საქართველოასა ერთა; უკეთუ ვინმე ვრცლად უწყოდეთ მისის მოთხრობისა საისტორიოდ დიდათ დაგვაძადლებთ, რათა მათნიცა მცირენიცა ვინც ყოფილან დაწვლილებით გვაუწყონ“.

ბოლო სიტყვებით იგი ქართული საისტორიო მასალის შეგროვების მზრუნველად გვევლინება და ისტორიას აკისრებს ერის მტერისა და მოყვარის მაუწყებლის მოვალეობას.

მიუხედავად მეფის ჩინოვნიკური მთავრობის მიმართ ასეთი განწყობილებისა, იგი იმ დროისათვის უღარესად სწორი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პიროვნებაა საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის საკითხში. ამ მხრივაც პ. კლაპიტონიშვილი მეტად საინტერესო წარმომადგენელია იმ დროისათვის პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენციისა. იგი ებრძვის მეფის მთავრობის უსამართლობას, მაგრამ ამავე დროს საღი გონებით ხედავს ახალ სიოს, თავისი ქვეყნის წინსვლას, რაც გამოიწვია საქართველოს რუსეთთან შეერთებამ. რუსეთი იმ დროს შედარებით კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა იყო და საქართველო ევროპულ კულტურას სწორედ რუსეთის საშუალებით ეზიარა. ამას კარგად ხედავს ავტორი და სწორედ ამან ათქმევინა:

„საყვარელნო მემამულენო ჩემნო, ვხედავთ დღითაგან შესვლისა ჩუშნისა მფარველობასა ქუშუე რუსეთის მპყრობელობისა. მრავალთა სასარგებლოთა და წყალობებითა ვითარცა განმაშვენებელთა სულისა თვისებისათა, ეგრეთვე აღმუყანებელთა კაცისა სიმაღ-

* პამფლეტი დაწერილია 1830 წელს.

ლესა ზედა ხარისხითა (სქოლიოშია:—ესე იგი სასწავლებელნი, სემინარია და სკოლა კეთილშობილთა, როგორც თბილისსა შინა, ეგრეთვე სხვათა ქალაქთა შინა) და განმასუქნებელთა საგრძნობელთა უძლურებათა სკეულისათა (სქოლიოშია: — არის ეგრეთვე, შეუძლებელთათვის სასწავლო სახლი და აფთიაქი, რომლითაც სარგებლობენ უსასყიდლო და მრავალთა ადგილთა კარანტინნი ჭირისაგან დაცვსა-თვის), ყოველნი ესე, და სხუანიცა მრავალნი მსგავსნი ამათნი, განკარგულებანი აწინდელისა მმართველობისანი, გვაძლევენ მოუთხრობელსა სარგებლობასა“ (გვ. 10).

რატომდაც პ. კლაპიტონიშვილს, რომელსაც ასე უყვარდა თავისი სამშობლო, მის გარეთ მოუხდა სწორედ სამსახური, ელიზავეტპოლსა, ნუხასა და ბაქოში გაატარა მან უმთავრესად, როგორც ჩანს, თავისი საექიმო საქმიანობა, ელიზავეტპოლში მისი მუშაობისდროინდელი დოკუმენტებია შემონახული საქართველოს ცენტრარქივში, სადაც ვეცნობით პ. კლაპიტონიშვილის ხელთნაწერ რაპორტებს; 1831 წელს ქოლერის ეპიდემიის გავრცელებისა და ამასთან დაკავშირებულ მოთხოვნას ერთი ექიმისა და ორი ფერშლის საჭიროების შესახებ*. ქოლერით გარდაცვალებულის გვამის პათანატომიური აღწერილობა**, ნებართვის მოთხოვნა ქოლერით მიცვალებულთა 24 საათში დასაფლავების შესახებ*** და სხვ.****. ცენტრარქივის მასალებს შორის მეტად საინტერესოა ინსპექტორის 1830 წლის შემოვლის ურნალი. ასეთ ურნალებში ყოველწლიურად იწერებოდა სამაზრო ექიმების შემოწმების შედეგები. ამ ურნალში (340—20/2 1831 წ.) შემდეგს ვკითხულობთ:

«Елизаветпольский уездный штаб — лекарь Коллежский ассесор Клопитонов при хорошем образовании и токовым же поведением имеет в публике отличную доверенность, во время свирепствовавшей в прошло 1830 году чумной заразы и холеры, показал неусыпную бдительность как погороду, так равно и по уезду в подачи помощи заболевающим, без исключений всякого класса людей. Казенный инструментальный ящик находится у его опрятности, сверх сего имеет собственные инструменты для разных операций» *****.

* საქ. ცენტრ. არქივი 16, საქმე 4405, ფურ. 18—19—20.

** საქ. ცენტრ. არქივი, ფონ. 504, საქმე 30. ფურ. 2, 8.

***. „ „ ფონ. 504, საქ. 30, ფურ. 2.

****. „ „ ფონ. 16, საქ. 4408, ფ. 25—30.

***** საქ. ცენტრარქივი, ფონ. 505, საქ. 25, ფურც. 4, 5, 15.

ეს ჩანაწერი მშვენივრად ახასიათებს პ. კლაპიტონიშვილს, როგორც სამაგალითო ექიმსა და მოქალაქეს.

პ. კლაპიტონიშვილზე, ზოგიერთი მოკლე, ლაკონიური ცნობები შეუტანია აგრეთვე ლ. ფ. ზმეევს თავის შრომაში „Русские врачи писатели“*-ში ზმეევის ცნობებით: პ. ა. კლაპიტონიშვილი არის ქართველი, სწავლობდა მოსკოვის სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში 1818 წლიდან. 1822 წლიდან — „Лекар III — отдела“, 1827 წელს ქართულ ენაზე სამედიცინო თხზულების გამოცემის გამო მიენიჭა შტაბლუკარის წოდება. დანიშნული იქნა 1827 წლიდან ელიზავეტპოლის მაზრის ექიმად. 1832 წლიდან — გორში. 1836 წლიდან — ბაქოს მაზრის ექიმად. 1843 წლიდან — ნუხაში ექიმად. განთავისუფლებულ იქნა 1844 წლიდან. ზმეევის ცნობებში საინტერესოა ის, რომ მას პარიზშიც უსწავლია დედოფალ მარიამის ხარჯით, რაც სხვა წყაროებში არსად შეგვხვედრია**.

როგორც ზემოთ ვახსენეთ პ. კლაპიტონიშვილმა მნიშვნელოვანი შრომები დატოვა, რაც XIX საუკუნის I ნახევრის ქართულ სამედიცინო აზროვნების ისტორიის შესასწავლად მეტად საინტერესო წყაროებს წარმოადგენენ. ისინი ამჟამად უნიკალური არიან და მკითხველთა და მკვლევართათვის ხშირად ხელმოუწვდომელი, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მათი, თუნდაც მოკლე შინაარსის გადმოცემა.

პეტრე კლაპიტონიშვილის შრომათაგან თითქმის ყველაზე მნიშვნელოვნად თავისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით შეიძლება ჩავთვალოთ მისი „მოკლე დარიგება ერისა ვითარ იგი ჯერ არს დაცვა და განრიდება თავისა თვისა შესაყართა სნეულებათაგან და უმეტეს ჭირისა“. ავტორს ის დაუბეჭდია 1826 წელს მოსკოვის სინოდის სტამბაში და როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნავს, „ვითარცა საყოველთაოსა და სასარგებლოსა და საჭიროსა, და უმეტესისა სარგებლობისათვის დაენიშნე 400 წი განი უსასყიდლოდ დასარიგებლად“ წიგნი განკუთვნილია ფართო მოსახლეობისათვის, როგორც პოპულარულ-მეცნიერული შრომა „ესე

* Л. Ф. Змеев, «Русские врачи писатели», вып. I, до 1863 г. с. Петербург. 1886 г. стр. 144—145

** ზმეევს მოხსენებულ წიგნში (გვ. 144) შემდეგი ჩანაწერი აქვს აგრეთვე: «Клапитонов Георгий—степень д. м. (доктора медицины — д. М.) получил в М. М. X. А. (в Московском медико-хирургической академии—д. М.) 1826 г. зин არის ეს გიორგი კლაპიტონოვი ჯერჯერობით უცნობია ქართულ წყაროებში.

მოკლემ დარიგება ვერ შემძლებელ არს მსახურებად მათდა, რომელთაც იციან მკურნალობაჲ, მხოლოდ ეძლევის მათ, რომელთაც არა აქვსთ ცოდნაჲ მკურნალობისა“. როგორც შემდეგ აღნიშნავს ავტორი, მან შეგნებულად არ აღწერა სნეულებათა ნიშანნი, მიმდინარეობა, ამ მკურნალობის სხვადასხვა მეთოდები, რადგან მათი აღწერა არა სასარგებლოდ (ე. ი. ზედმეტად. მ. შ.) მიაჩნია მათთვის, რომელთათვისაც (ე. ი. ფართო მოსახლეობისათვის) თავს იღო ავტორმა „მცირე ესე შრომაჲ“.

შრომაში მეტად საინტერესო და უაღრესად პრაქტიკული საკითხებია განხილული, შეიძლება ითქვას, რომ განუზომელია ამ წიგნის მნიშვნელობა მაშინდელი ქართველი მოსახლეობისათვის, რადგან, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქირი, ქოლერა და სხვ. ეპიდემიური დაავადებები თითქმის განუწყვეტლივ მძვინვარებდა იმ დროს, და ეს წიგნი კი ერთადერთი საშუალება იყო, რომელიც გასაგები ენით მოუთხრობდა მოსახლეობის დაბალ ფენას ამ დაავადებათაგან „დაცვისა“ და „განრიდების“ საშუალებებზე. თვით სარჩევი, ანუ როგორც ავტორი უწოდებს, „ზანღუკი ანუ საძიებელი“ ნათელ წარმოდგენას იძლევა წიგნის შინაარსსა და მნიშვნელობაზე. წინასიტყვაობისა და შესავლის შემდეგ, რომელიც აგრეთვე მეტად ორიგინალურ მოსაზრებებსა და ცნობებს შეიცავს, განიხილება უშუალოდ ცალკეული პრაქტიკული საკითხები.

წიგნი დაყოფილია თავებად; თითოეულ თავში განხილულია ცალკე საკითხი.

თავი მეორე — განიხილავს საკითხებს სიმხნისა და უშიშროების შესახებ ეპიდემიების დროს.

თავი მესამე — შეხების (კონტაქტის) მნიშვნელობისათვის ეპიდემიის დროს.

თავი მეოთხე — მკვნე ჩვეულებათა შესახებ.

თავი მეხუთე — ვაჭრობასა და აღებ-მიცემობაში ნივთების

გაცვლა-გამოცვლის მნიშვნელობა ეპიდემიების გავრცელებაში.

თავი მეექვსე — ბინის სივიწროვის მნიშვნელობა.

თავი მეშვიდე — ბინისა და გარემოს უსუფთაობისა და პირადი ჰიგიენის მნიშვნელობის შესახებ.

თავი მერვე — ჰაერი და მისი სარგებლობა

თავი მეცხრე — ჰაერის გაწმენდა.

თავი მეათე — ჰაერის გაწმენდა შენობათა შინა.

თავი მეერთმეტე — ეპიდემიის დროს განიზნულთათვის კარგი ადგილის შერჩევა.

- თავი მეთორმეტე — სანოვაგის (კვების) ჰიგიენა ეპიდემიების დროს.
- თავი მეცამეტე — მაგარი სასმელების ზომიერად ხმარებისათვის.
- თავი მეთოთხმეტე — მოდულებული სასმელების ყავის, ჩაის და „შოქოლადის“ ხმარების შესახებ.
- თავი მეთხუთმეტე — წყალი და მისი სარგებლობა.
- თავი მეთექვსმეტე — ყოველთა ბუნებითა საჭიროთა უგიობელთა (ოფლი, ნერწყვი, შარდი, განავალი) ვნებათათჳს.
- თავი მეჩვიდმეტე — ძილი და მღვიძარება.
- თავი მეთვრამეტე — მოძრაობა და უმოქმედობა.
- თავი მეცხრამეტე — მწუხარება და სინარული.
- თავი მეოცე — ეპიდემიების დროს მოსახლეობის მხრივ სიგნალების შესახებ.
- თავი მეოცდაერთე — სნეულთა მოვლა და მომვლელთა ჰიგიენა.
- თავი მეოცდაორე — წამალთა უეჭიმოდ ხმარების შესახებ.
- თავი მეოცდასამე — ექიმბაშთა და „უსწავლელთა ექიმთა“ შესახებ.
- თავი მეოცდაოთხე — ნივთები და საგნები რომელნიც „იფარვიან“ ჭირს „ხანგრძლივ“ და „მოკლე ჟამს“.
- თავი მეოცდახუთე — ნივთებისა და საგნების ჭირისაგან გაუვნებლობის მეთოდები.
- თავი მეოცდაექვსე — განხილულია რეცეპტები: „მყრხოლებელთა წამალთა“ რომელნიც იხმარებიან ბინებისა და ნივთთა — „მავნებელი სუნისაგან“ გასაწმენდათ.
- თავი მეოცდაშვიდე — სამკურნალ-წამლო ნივთიერებანი რომელნიც გასწმენდენ „საიჭუელთა ეგრეთვე ჭირიანთა სხეულთა და ნივთთა“.
- თავი მეოცდარვე — სამკურნალ-წამლო ნივთიერებანი გარედან წასასმელნი „ჟამსა ჭირისასა და სხეულთა შესაყართა სნეულებათჳს“.
- თავი მეოცდაცხრე — წამალნი ყაბზობისა ოფლისა და სიცხისა.
- თავი მეოცდაათე — მცენარის ძირთა და თესლთაგან ყავის გაკეთების შესახებ.
- თავი მეოცდათერთმეტე — ცუდი წყლის გაწმენდისათვის.
- თავი ოცდამეთორმეტე — „სია და სახელი წამალთა ქართულ და რუსულად“ ყველა ამ მნიშვნელოვან პრაქტიკულ საკით-

ხზე პოპულარული ენით იძლევა მოკლე, მაგრამ იმ დროისათვის ამომწურავსა და სრულყოფილ პასუხებს.

შესავალში იგი აღნიშნავს, რომ ქართულ ენაზე ასეთი „საყოველთაო სასარგებლო წიგნი“ არაა. ის ავტორის ორგინალური ნაწარმოებია, მაგრამ წყაროებად, როგორც თვითონვე წერს, გამოყენებული აქვს სხვადასხვა ავტორთა წიგნები („სხუა და სხუათა სახელოვანთა მკურნალთა წერილთაგან“), და, როგორც ჩანს, განსაკუთრებით რუსი ავტორების ვიენისა და ლევიტცის წიგნი. საინტერესოა ავტორის მოსაზრება ფატალიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ის „ხენეშა“ და „უმეცარი ცნობაჲს“ ეძახის, რომლის დროსაც თითქოს ვისთვისაც „არა განწესებულ არს სიკუდილი, მას არც შეეყრების და არცაღა მოკუდების“. იგი ხაზს უსვამს ასეთი გაგების მავნებლობას, რადგან ასეთ პირებს „არა სწადიან მორიდებად“ ჭირიანთა და გადამდები სნეულებით დაავადებულთა მიმართ. როგორც ზევით ვნახეთ, საქართველოში შავი ჭირის, ქოლერისა და სხვა ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელების წყარო ყოველთვის სპარსეთი და ოსმალეთი იყო, ავტორიც ხაზს უსვამს ამ მდგომარეობას „მშობელსა ჩემსა საქართუჭელოსა, აქუს მახლობელნი სამზღუარნი ოსმანთა და სპარსთა თანა, სადაც თითქმის მოუწყუშდელად მძვნეარებს სნეულებჲ ესე“. — მიზეზად ამისა ასახელებს იქაურ მცხოვრებთა განუვითარებლობასა და არაჰიგიენურ პირობებს — „მცხოვრებნი მათ კერძოთანი არცა თვთ ეძიებენ ღონეთა წინააღმდეგ ამის ბოროტისა, და არც ჰბაძეჴნ გონიერთა განკარგულებათა ევროპის კელმწიფეთსა გარნა კუალადცა უცუდეს არს ესე, რომელ არა იქცევიან თვთ უსაჭიროესსა კაცთათჴს სიწმინდესა და ფაქიზად ცხოვრებასა შინა და ამით აძლევენ მიზეზთა ჭირის შობისასა, ანუ სხუათა არა უმცირეს მავნებელთა შესაყართა სნეულებათა ესე ვითარისა უზრუნველობისა გამო მესამზღურეთა ჩუჭნთასა ხშირად ვნებულებს მამულიცა ჩუჭნი“.

პირველ თავში მოცემულია ზოგადი ცნობები შავი ჭირის შესახებ, რომ ის არის უმძვინვარესი წყარო უბედურებისა და ერთერთი შემაფერხებელი მიზეზი კაცობრიობის გამრავლებისა, არც ერთ ომს არ შეუძლია იმდენი მსხვერპლი გამოიწვიოს, როგორც შავ ჭირს — ამბობს ავტორი. ეს დაავადება უძველესია და მიეწერება უძველეს საუკუნეებს. ავტორის თქმით, შავი ჭირის „შხამი“ (შავი ჭირის ბაცილა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი) იმდენად ძლიერია, რომ არა მარტო ადამიანიდან ადამიანს გადაეღება პირდაპირი კონტაქტით, არამედ „სხუათა და სხუათა ნივთთაცა შინა ძალუჴს რაოდენ ეამზე დაფარვად“. საინტერესოა ავტორის მო-

საზრება, საერთოდ, ინფექციური სნეულებისადმი და, კერძოდ, შავი ჭირის შეყრისადმი მიდრეკილების შესახებ. იგი ამბობს, რომ არსებობს „ბუნებითი ძალი შინაგანის მიდრეკილებისა სნეულებისადმი“. საინტერესოა, რომ ავტორი პროფილაქტიკურ ღონისძიებას უპირატესობას აძლევს მკურნალობასთან შედარებით.

„ორგვარი არს წამლობა, ერთი არს უპირველესი და უმჯობესი გაფრთხილება და ძალის მიცემა სნეულების არა მიღებისათვის და მეორე წამლობა თვთ ავადმყოფობისა, რომელიც არს უმეტეს ძნელ“. ამ მოსაზრების განმარტებისათვის მოჰყავს მშვენიერი მაგალითი შენიშვნის სახით.

„ვინ არ იცის ესე, რომ უაღვილეს არს დაცვა სახლისა ცეცხლის მოკიდებისაგან, ვინამც მოკიდებულის გაქრობა“.

ამგვარად, თუ თანამედროვე მედიცინის დასაყრდენს პროფილაქტიკა წარმოადგენს, პეტრე კლაპიტონიშვილის მოსაზრებითაც [ეს ნათქვამია ჯერ კიდევ 1826 წ.]. პროფილაქტიკა არის „უპირველესი და უმჯობესი“, მეთოდოლოგიურად, ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში და საერთოდ მედიცინაში. ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი მოსაზრებით, საერთო სახელმწიფოებრივი საქმეა. ასეთ აუცილებელ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებად მას მიაჩნია კარანტინების გამართვა, ეპიდემიისათვის საექვო ადგილთაგან შემოსული საქონლის ყადაღა, მკაცრი სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმი და სხვ. ადამიანი არ უნდა მიეცეს სულმოკლე მწუხარებას ეპიდემიების დროს. უშიშროება და გონიერი სიმხნევე, როდესაც ზუსტად დაიცავენ „ქუემორე აღწერილთა სიფრთხილეთა“, ე. ი. პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, არის ერთ-ერთი წინაპირობა შესაყარ სნეულებისაგან თავდაცვისა და შედარებით ადვილად განკურნებისა. ყველაზე საშიშია ეპიდემიების დროს საექვო ნივთებთან და ადამიანებთან კონტაქტი — შეხება, სხვადასხვა ზნე-ჩვეულებებთან დაკავშირებული ქმედებანი: კოცნა, მიცვალებულთან გამომშვიდობება, აბანოში, სალხინო სახლებში, მოედნებზე თავშეყრილობა და სხვ. შემდგომ თავებში განხილულია ნაყიდი ნივთებისადმი დამოკიდებულება; თუკი აუცილებელია ეპიდემიის დროს ნივთების ყიდვა, საექვო შემთხვევებში ისინი უნდა დამუშავდეს სათანადოდ. ნივთები დაყოფილია 4 ჯგუფად, რომელთა მიმართ დადგენილია გაუენებლობის სხვადასხვა მეთოდი. (იხ. თავი 21—25). დიდხანს უნდა იყოს ნაყიდი ნივთი „გამზებელი და ჰაერში გაკიდებული და ნაყრჩოლები რამდენჯერამე ნივთის შესაფერის საყრჩოლებითა“ ურომლისოდაც არ უნდა იყოს ნივთი შეტანილი სახლში.

„საყრჩოლებლად“—სხვადასხვა ნივთების, ატმოსფეროს, სა-

დგომის გაუვნებლობისათვის გამოყენებულია მრავალი სხვადასხვა ნივთიერება (იხ. თავი 26—27—28), რომელთა შემადგენლობანი მოცემულია რეცეპტების სახით.

საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ბინისა, ჭურჭლის (სპილენძის ჭურჭლის მოკალვა) ტანსაცმლისა და პირადი ჰიგიენის საკითხებს, განსაკუთრებით ეპიდემიების დროს (თავი 6—7). ეპიდემიების დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორი ჰაერს და მის სიწმინდეს, განიხილავს რა ჰაერის მნიშვნელობას ადამიანისათვის, იძლევა კლიმატური ფაქტორების პოპულარულ განსაზღვრას: „წმინდა ჰაერი არს მას სოფელსა შინა სადაც არ არს მავნებელი ორთქლი მრავალთა ცხოველთა, არცა მადანი და ტბები, და არცა აბნელებს ნისლი ბრწყინვალებას მზისასა, რომელიც უსაჭიროეს არს როგორც მცენარეთათვის, აგრეთვე ცხოველთა თვის, მაღალი გრილი და მშრალი ადგილი არს თვით უმჯობესი საცხოვრებელი“.

ჭირიანობის დროს იმ დროისათვის მიღებული იყო „ყრჩოლება“ არა მარტო ნივთთა, არამედ ატმოსფერული ჰაერისაც ცეცხლის დანთებით, რადგან ყოველი „დამპალი შესაყარი სნეულება და ჭირი დაჰკარგავს შხამსა თვისსა ძალითა ცეცხლისათა“. ავტორს მოჰყავს ისტორიული ცნობა, რომ „ღირსმან ხსოვნისამან ჩინებულმან მკურნალმან“ ჰიპოკრატმა თითქოს თავისი სამშობლო ქალაქი გადაარჩინა ჭირისაგან „დაწვითა მრავალთა ადგილთა სხვათა ხეთა და ბალახთათა“. საცხოვრებელთა ჰაერი კი უნდა იყოს „მსუბუქი, კარგი, გრილი და ხშირად განახლებული“. ზაფხულობით უნდა „აყრჩოლებდნენ სახლსა შინა გვარჯილასა, ანუ მარილალრეველის ძმრითა გაცხელებულს აგურზედ დასხმულსა და ამითივე ასხურებდნენ და რწყვიდნენ სრულს სახლსა“. სნეულებით საექვო სახლთა გასაწმენდათ საჭიროა „დახურონ ყოველი ფანჯარა და კარი და განაღონ ყოველი ყუთი, ზანდუკი, და გახსნან ყოველი ნივთი, რათა გამოვლის მათ შორის თავისუფლად კომლმან სახრჩობელათა ნივთთამან და განიტანოს მით სიცუდე ჰაერისა“—საყრჩოლებლად, ე. ი. „დეზინფექციისათვის“ — აღწერილია მთელი რიგი წამლებისა რეცეპტების სახით.

ავტორი საჭიროდ თვლის ჭირიანობის დროს მოსახლეობის გასვლას განშორებას, მხოლოდ ურჩევს გონივრულად შერჩეულ იქნას დროებითი სამოსახლო ადგილი, სასურველია მაღალი და მთიანი ადგილი (თავი 8—9—10—11). კვების ჰიგიენის ზოგიერთი საკითხისა და ზოგიერთი საკვები-ნივთიერების განხილვის შემდეგ, განიხილავს წყლის ხმარებისა და „სარგებლობა მოქმედების“ საკითხებს (თავი 15). „უმჯობესი წყალი არის მაღალმთათაგან გამომდინარეთა

წყაროთაგან შემდგარი. (რომელსაც არა აქუნდეს ნივთაგან მიღებულ გემოვნება ესე იგი მარილისა, გოგირდისა, გვარჯილისა და სხუათა) ამას შეუდგების მდინარე წყალი, რომელიც ჩქარად მომდინარეობს ქუთათა და წმინდათა ქვიშათა ზედა. კარგი წყალი უნდა იყოს წმინდა, არაფრის სხვს გემოს და ფერის მქონებელი, მსუბუქი“. წვიმის, თოვლის, კის, ტბის და სხვა წყლების ხმარება „დიდად მავნებელი“ არისო. მაგრამ, როცა აუცილებელია მათი ხმარება, საჭიროა „გაწმენდა მათი“, გასაწმენდ საშუალებათა შორის დიდ უპირატესობას აძლევს ნახშირით გაწმენდას „დროსა საჭიროებისასა, როდესაც კარგი წყალი არ იყოს მაშინ უნდა განეწმინდოს ცუდი“. ამისათვის საჭიროა. კარგად დამწვარი და დანაყილი ნახშირი კოკაში ჩაიყაროს ხშირად ვანჯღრიოთ, მეორე დღეა ბამბით გაიწუროს კარგად, „ნახშირის ძალით წაერთვა სიღამპლე და ცუდი სუნი“. წყალი აგრეთვე „განიწმინდების მოდულებითა მაგრამ ნახშირით გაწმენდა უპირველესი არისო“, დასძენს ავტორი. (თავი 31). ავტორი შეგნებულად გვერდს უვლის საკითხების უფრო ვრცელსა და ღრმა განხილვას წიგნის სპეციალური მასობრივი დანიშნულებისა გამო, იგი ამბობს: „კარგს წყალს რაოდენი სარგებლობა, და ცუდს წყალს რაოდენი მავნებლობა აქუს დავიდუმე სიმოკლისა თვს წიგნისა ამის“.

შემდეგ თავებში აღწერილია ძილისა და მოძრაობის ჰიგიენა.

საინტერესოა მწუხარებისა და სიხარულის მნიშვნელობა ადამიანისათვის: „დროსა სნეულებათსა, სათანადო არს არა მიცემა თავისა თვისისა მწუხარებათა, და სასოწარკვეთილებათა, არამედ უფროსდა მეცადინეობა, რათა აქუნდესთ სიმხნე და სიხარული სულისა“. ავტორი იძლევა რჩევას, რომ ამ მიზნით გამოყენებულ იქნეს მუსიკა: „საკრავი არს წყარო განმალავიძებელი მხიარულებისა, რომელიცა საამოებითა თვსთა ხშირად არჩენს კაცთა სხუათა და სხუთა სნეულებათაგან, ამისთვის. დროსა ჳირისასა უნდა მით ვმხიარულებდეთ“. ამ მხრივ ის მშვენივრად ეხმაურება თანამედროვე პავლოვურ მოსაზრებებს ავადმყოფის გარემოსთან განწყობის შესახებ. ავტორი განიხილავს ავადმყოფთა მოვლას, მომვლელთა სიფრთხილეს, წამალთა უაქიმოდ ხმარებისა და ექიმბაშის მკურნალობის მავნებლობასა და სხვა. ეხება აგრეთვე ეპიდემიების დროს კარდაკარ შემოვლისა და საექვო ავადმყოფთა შესახებ დროული სიგნალიზაციის საკითხებს.

მისი მოსაზრებით, „დროსა შესაყართა სნეულებათა, გამოცხადება მთავრობისადმი, როგორც ავადმყოფისა, ეგრეთვე მიცუალე-

ბულისაცა ამისთვის, რომ მართველობა მაშინვე გაგზავნის აქიმსა და მით ვსცნობთ ჩუჭნ, თუ ავადმყოფი შესაყარი სნეულებით არ არის ავადა, უშიშრად მოუვლით სნეულს, და თუ შესაყარი სნეულებით არის ავადა, მაშინ მსწრაფლ ვეცდებით მორიდებასა... მოვარიდებთ ნივთთაცა ეს არის უპირველესი და უკეთესი ღონე სნეულებისაგან განრიდებისა“.

საჭიროა, რომ ეპიდემიების დროს „დადიოდნენ ყოველს სახლში პოლიციის მოხელენი და აცნობებდნენ ყოველდღე მშვიდობასა მათსა“.

უკანასკნელ თავებში მოცემულია რეცეპტები იმ წამალთა, რომელთა ხმარება ხელმისაწვდომი და დასაშვები იყო მასიური გამოყენებისათვის, უმთავრესად ისეთი ნივთიერებებისაგან შემდგარი წამლეულობა, რომელთა გამოყენება ექიმის გარეშე იქნებოდა შესაძლებელი. ბოლოს ერთვის სამკურნალწამლო ნივთიერებების ქართულ-რუსული დასახელებანი, რაც უსათუოდ პრაქტიკული მოსაზრებით გაუკეთებია ავტორს, ფართო მოსახლეობის მხრივ მათი შეძენისა და გამოყენების გაადვილების მიზნით. როგორც ჩანს, პეტრე კლაპიტონიშვილის აღნიშნული შრომა ეხება მეტად პრაქტიკულ, იმ დროისათვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს.

მისი შემდგომი პოპულარულ-მეცნიერული ნაშრომია „მოკლე დარიგება ერისა, მისთვის თუ ვითარი ღონისძიება იხმარონ უამსა და უხამვისა და კბენისასა ყოველთა რიგთა უხამიანთა და ცოფიანთა ცხოველთაგან“. აღნიშნული შრომაც დაბეჭდილია მოსკოვის სინოდის სტამბაში 1826 წ. „წარსაგებელი მისთა, რომელმან 400 წიგნი გარდასდვა უფასოდ დასარიგებლად“. ტექსტი შეიცავს რთავს წინასიტყვაობის, ანუ როგორც ავტორი ამბობს, „წინასწარი ცნობის მიცემის“ გარდა.

მთელ შრომაში ავტორი ორ ძირითად საკითხს განიხილავს; პირველ ორ თავში — უხამიანი ცხოველების (გველი, მორიელი, ფუტკარი, აბლაბუდა, კოლო და სხვ.) ნაკბენთა კლინიკისა და მკურნალობის საკითხებს, დანარჩენი ოთხი თავი კი განკუთვნილია ცოფის პროფილაქტიკის, კლინიკისა და მკურნალობის აღწერისადმი. წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ უხამიანი ცხოველნი უმთავრესად ცხელ ქვეყნებშია და რაც უფრო ცხელ კონტინენტზე ვხვდებით მათ, მით უფრო ძლიერია უხამის მოქმედებაო.

მიზეზი „ცოფისა ვიდრე აქამდე არ ვიცით ჩუჭნ“ ამბობს ავტორი და მართლაც, მხოლოდ 1903 წ. აღწერა ნეგრიმ ნერვულ

სისტემაში განსაკუთრებული სხეულაქები, რომლებიც იმყოფებიან ცოფიანთა ორგანიზმში, თვით გამომწვევი ვირუსი კი მხოლოდ უკანასკნელ წლებში იქნა ცნობილი.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ იმ დროისათვის ცნობილი არ იყო ცოფის ეტიოპათოგენეზის საკითხში, მაინც სწორადაა განსაზღვრული, რომ „ცოფი უმეტეს გარდაედების კბენითა... ცოფიანთა ცხოველთა“. ცნობილია რომ ცოფის შხამი სწორედ ცოფიანი ცხოველის ნერწყვში იმყოფება, რადგან, როგორც ავტორი აღნიშნავს, გადადება „სხუჭბრ მოხდების მოცხებითაცა ქაფთათა“ და სქოლიოში მოჰყავს, მაგალითი, რომ „ერთს დედაკაცს მგზავრის კაცის ტანისამოსი დაუკერებია, რომელიც ცოფიანის ძაღლისაგან ყოფილა დაგლეჯილი, და შემდგომ გაცოფებულა ის დედაკაცი. ამით ჩანს, რომ შეხებითაც შეეყრების ცოფი კაცსა“. ცხადია, ამ მაგალითში შეხების ქვეშ ნერწყვის „ქაფის“ მოცხებაა ნავარაუდევო. ცოფიანი ძაღლის მიერ დაგლეჯილი ტანსაცმელისაგან.

შხამიან ცხოველთა და ქვეწარმავალთა მიერ დაკბენილი ორგანიზმის მკურნალობის დღევანდელ პრინციპებს ეხმაურება აგრეთვე ავტორის მოსაზრება, რომ:

„შხამი, რომლისაც ცხოველისა იყოს, შესული კაცის სკეულშია, არ უნდა მიუშვას უმეტესის მოქმედებისადმი და მავნებლობისად და რომელთაც წამალთ აქუნდეს მსწრაფლის შემწეობის ძალა. და შხამის გამოტანა და გაქრობა დაუყოვნებლად უნდა იხმარონ“.

წინასიტყვაობის შემდეგ ტექსტი შემდეგ თავებადაა დაყოფილი:

თ ა ვ ი ა — წამლობისათვის გუელისაგან დაშხამულთა.

თ ა ვ ი ბ — წამლობისათვის დაშხამულთა მორიელთაგან და სხუათა მავნებელ ბუზთა.

თ ა ვ ი გ — აღწერთათვის დასაბამთა ნიშნებთა, რომელთაც მიერ შეიძლების ცნობა ცოფისა და თვთ გაცოფიანებაცა ძალლთა.

თ ა ვ ი დ — აღწერთათვის დასაბამთა ნიშნებთა, რომელთაცა მიერ შეიძლების ცნობა ცოფისა და თვით გაცოფიანებაცა კაცთა.

თ ა ვ ი ე — წამლობათათვის ცოფიანთაგან ნაკბენთ კაცთა

თ ა ვ ი ვ — გაფრთხილებისათვის.

როგორც ჩანს, ტექსტის არქიტექტონიკა ძალიან გონივრულად არის შედგენილი. ცალკე თავშია აღწერილი ცოფის ადრეული ნიშნები, აგრეთვე თვით ცოფიანი ცხოველის ავადმყოფობის კლინიკური სურათი.

მომდევნო თავში კი მოცემულია: ცოფის ადრეული ნიშნები და უკვე ჩამოყალიბებული კლინიკური სურათი ცოფით დაავადებულ ადამიანში. შემდეგ თავებში — ცოფის მკურნალობისა და პრაქტი-

კის საკითხები. ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ გავეცნოთ ცალკეული თავების შინაარსს.

თ ა ვ ი ა — წამლობისათვის გუშლისგან დაშხამულთა

საინტერესოადაა აღწერილი კლინიკური სურათი „ნაკებნი-საგან გუშელისა მსწრაფლ გაუჩნდების კაცსა ნაკებნს ადგილას მჩხულეტელი ტივილი. პირველად აუწითლდების, და შემდეგ გალურჯდების. სივდების, და სიმსივნე გავრცელდების. გრძნობს უძლურებასა, სიცივესა, მოსდის ცივი ოფლი, გულის წუხილი, გულის თრთოლა, და გულის რევა, და თვნიერ მსწრაფლისა შეწევნისა ჰკუდების“.

მკურნალობათაგან აღსანიშნავია პირველადი დახმარების სახით (თუ შესაძლო ადგილს არის) ნაკებნი „დაუყოვნებლად ამოქრამისი, ანუ დაწვა გახურებულის რკინითა ანუ მოჰკიდონ კოტონში, გინა წურბელაები“. გარდა მრავალი ადგილობრივი საშუალებისა შიგნით მისაღებად ნიშნავს: ოფლის დამდენ საშუალებებს (დიდგულის ანუ გვირილის ყვავილს ჩაის მსგავსად), ჭაფურს, ძილის მომგვრელ საშუალებებს (ხაშხაშის ჩაი) უძილობისას და სხვ.

თ ა ვ ი ბ — წამლობისათვის დაშხამულთა მორიელისგან და სხუათა მავნებელთა ბუზთა

მორიელის ნაკებნის კლინიკური სურათი თითქმის ისევეა აღწერილი, როგორც გველისა, მხოლოდ აქ სიმპტომები უფრო სუსტად არის გამოხატული („მცირე სიწითლე და სიმსივნე“). გარდა ამისა, ნაკებნი ადგილი „საშუალ გაშავდების“. მისი პირველი დამუშავება უნდა მოხდეს „ისე როგორც გველისათვის სწერია“. მკურნალობის მრავალ მეთოდთა შორის აღწერილია ხალხში მეტად გავრცელებული, ე. წ. „მორიელის ზეთით“ მკურნალობა, რომელიც ავტორის მოწმობით ძლიერ გავრცელებული ყოფილა აგრეთვე „საბერძნეთსა და სიცილიაში“.

თ ა ვ ი გ — აღწერისათვის დასაბამთა ნიშნებთა, რომელთაც მიერ შეიძლების ცნობა ცოფისა და თვთ გაცოფიანებაცა ძალდთა.

ავტორი ხაზს უსვამს „დასაბამთა ნიშანთა“ გამოცნობის მნიშვნელობას, ე. ი. ადრეული ნიშნების გამოვლინების მნიშვნელობას — მშვენიერადაა აღწერილი ძაღლებში ცოფის კლინიკური მიმდინარეობა და ნიშნები:

„ძაღლი უეცრად მოწყენილი და მწუხარე შეიქმნება, და განშორებით დაიწყებს წოლასა, არა ჰყეფს, და მხოლოდ ღრინავს მწოლარე გამვლელ-გამომვლელთა ზედა, არა ჰკამს და არცა სვამს,

გამოიცივლის ხმასა და შფოთავს, სიარული არა აქუს სწორეთ, და დადის მთვრალსავით, ეს ნიშნები ცოფიანისა არის“ უფრო მოგვიანებით კი ნიშნები მატულობს და „თუალები შეეკმნება ამღვრეული, უმოძრაო, საშიშარი და ბეწვი აუღვების, თავი მოეშვების, ენა ნახევრამდინ გარეთ გამოუვარდების, და ქაფი გამოდის, კული ეკმნება ქუტშ ამოდებული, ველარ იცნობს თავის პატრონსა, ექცევა თავის სახლსა, მოეტევა ხან იქით და ხან აქეთ, და ვინც მოხვდება ჰკებენს და ჰგლეჯს, და შემდგომ იწყებს შიშსა წყლისასა“.

კლინიკური სურათის უკეთეს აღწერას იშვიათად შევხვდებით თანამედროვე სამედიცინო ლიტერატურაშიც კი; ამიტომაც მოვიყვანეთ ასე ვრცლად ციტატები ამ თავიდან.

თ ა ვ ი დ — აღწერათათვის დასაბამთა ნიშნებთა, რომელთაც მიერ შეიძლების ცნობა ცოფისა, და თვით გაცოფიანებაცა კაცისა

ინკუბაციურ პერიოდად განსაზღვრავს 40 დღიდან 1 წლამდე. აღსანიშნავია, რომ ინკუბაციური ხანის ხანგრძლიობას უკავშირებს ნაკებნი ადგილის ლოკალიზაციას და აგრეთვე ცხოველის მსწრაფლ გაცოფიანებას, ე. ი. „ფიცხელ გაცოფიანებული“ ცხოველი იწყებს ადამიანის სწრაფ დაავადებას, ინკუბაციური ხანის შემცირებას. დაავადების კლინიკური სურათი კი ასე აქვს ავტორს აღწერილი:

ავადმყოფი „იგრძნობს სრულის სკეულის სიმძიმესა, უტვირთველს მწუხარებასა, განუწყვეტელს აიცივებსა, სიძნელესა სუნთქვისასა, ძილისა შფოთიანსა, და საშიშთა სიზმრებთა ოდესმე გრძნობს ტკივილსა ყელისასა და შინაგანთასა, მოსდის ცივი ოფლი, ყოველი ესე ნიშნები გუჯაცნობებენ რომ სნეულსა აქვს მიდრეკილება ცოფიანობისადმი. და ოდესცა ამათთანა შეერთდების მოუთმენელი წყურვილი და სიხმე პირისა, მსწრაფლ დაიწყებს ზიზღებასა წყლისასა, და ყოველთა სასმელთასა, და შემდგომ იქნების იგი მისთვის დიდად საშიშარ, ესრეთ რომელ ხილვა და ხსენებაც წყლისა მოიყუანებს მას დიდსა ბრძოლასა და მწუხარებასა შინა, ხმა გამოეცივლების და ოდესმე სრულიად მოელების, მიეცემის ნდომა სირბილისა, მიეცემის უგონებობასა შეერთებულსა ცოფიანობისთანა, მაშინ გარემო აფურთხებს, და მახლობელ მდგომარეთ კებენს მეტადინეობს, სახე და თუალი აქვს გაწითლებული და შესახედაფიცა საშინელი“.

თ ა ვ ი ე ე — წამლობათათვის ცოფიანთაგან ცხოველთა ნაკებნი კაცთა დაავადებას, როგორც ჩანს, ორ სახედ ჰყოფენ: პირველი იოლ ფორმად „არა საშიშრად საგონებელი და მოსათმენი“ და მე-

ორე — „საშინელი და ძნელად მოსათმენი ტანჯვა, რომელიც გამო-
ჩნდების შემდგომ რაოდენთავე უამთა გაცოფებითა“. ამის მიხედ-
ვით მკურნალობაც ორნაირია:

პირველ შემთხვევაში ცდილობენ დაავადების ჩამოყალიბებასა
და გავრცელებას ხელი შეუშალონ.

მეორე შემთხვევაში კი უკვე ჩამოყალიბებული დაავა-
დების მკურნალობაა მოცემული, რომელიც „არა ეგოდენ საიმე-
დოა“. ტექსტის ამ ნაწილში მკურნალობისა და სხვადასხვა ღონის-
ძიებათა თექვსმეტნაირი სახეა თანმიმდევრულად ჩამოყალიბე-
ბული.

იმ დროისათვის, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შემოდებული
პასტერის მეთოდი, საექვოა, რომელიმე ადრინდელ მეთოდს მკურ-
ნალობისას მნიშვნელოვანი ეფექტი მოეცა, მაგრამ, როგორც ჩანს,
მაინც შედგენილია მკურნალობის მტკიცე და კატეგორიული რეცი-
მი. ადგილობრივი მეთოდებიდან: ნაკბენის გამოწურვა, დანით და-
სერვა, კოტოშის ან წურბელის მოკიდება. ან ნაკბენი ადგილის მო-
ჭრა; თუ მოჭრის საშუალებას ადგილმდებარეობა არ იძლევა, მაშინ
ადუღებული ზეთი უნდა დაესხას ან „ცხარი კირი მშრალად და
უწყლოდ“, საპონში არეული უნდა დაადვან ნაკბენზე. შემდეგში
წყულზე სხვადასხვა სახის მალამოებს ურჩევს, წყულულების დიდ-
ხანს შეუხორცებლად შენარჩუნებით. მკურნალობის მეთოდები-
დან აღსანიშნავია შიგნით მისაღებად — ოფლმდენი საშუ-
ალებანი, ოყნა, ქაფური. ხაზს უსვამს ავტორი, რომელიდაც ახალ
საშუალებას ბალახს „ჩისტუხას“, რომელსაც „დიდად აქებენ ამ
სნეულებისათვის“. ყურადღება გამოხვილებული აგრეთვე დიეტის
მიმართ — „ყოველსა მაგარსა, ცხარსა და მხურვალეს სჰსმელ-საჰმელს
დიდად უნდა ერიდებოდეს. მსუბუქსა და ადვილად მოსანელებელს
საჰმელს მიიღებდეს“.

ავტორი ბოლოს აღნიშნავს, რომ „მეორე წამლობა, რომელიც
არს სრულად გაცოფებულსა“, არ აღწერა აქ, რადგან ასეთი ავა-
დმყოფის მორჩენის იმედი აღარ არის და თან ისეთი „მაგართა და სა-
შიშართა წამალთა“ ხმარებაა საჭირო, რომელთა გამოყენება ექიმის
გარეშე შეუძლებელია.

თავი ვ — გაფრთხილებისათვის — სახლი და ის ნივთები, რო-
მელთაც ადამიანი თუ ცხოველი შეხებია უნდა გაწმენდილ ან გარე-
ცხილ იქნას კირაწყლით, მარილწყლით ანუ ძმრით. ავადმყოფის
მომვლენი იბანენ ძმრით ხელებს საჭიროებისამებრ. ცოფიანი მო-
კლული ცხოველი ღრმად უნდა დაიმარხოს მიწაში.

მოკლე დარიგება ერისა მისთვის რაგვარის ღონისძიებითაც
უნდა ეცადნენ და მოაბრუნონ წყლიდამ გამოღებული კაცი

აღნიშნული შრომაც 1826 წელს არის გამოცემული (400 ცალი,
აგრეთვე უფასოდ დასარიგებლად). შედგება წინასიტყვაობისა და
5 თავისაგან:

თ ა ვ ი ა. — დარიგება თუ როგორ მოვეუაროთ და მოვაბრუნოთ
წყლიდამ გამოტანილი კაცი.

თ ა ვ ი ბ. — გაფრთხილებისათვის შენიშვნა.

თ ა ვ ი გ. — ნიშანნი მკუდრად საგონებელთანი.

თ ა ვ ი დ. — ნიშანნი სარწმუნოდ მკედრისანი.

თ ა ვ ი ე. — სია წამალთა და ნიეთთა, რომელიც საჭირო არიან.

მზად ქონებად მობრუნებისათვის წყლიდამ გამოღებულთა კაცთა.

პირველი (ა) შედგება 12 მუხლისაგან. მეორე (ბ) 8 მუხლისაგან.
ცალცალკე მუხლებში აღწერილია თანმიმდევრულად „მომშ-
თვალის“ ან „მომშთვალსაგონებლის“ წყლიდან გამოტანის წესიდან
მოყოლებული ყოველგვარი წვრილმანი იმ ღონისძიებათა. აღწერი-
ლი და გათვალისწინებული, რომელიც კი შეიძლება საჭირო გახ-
დეს — დამხვრჩვალის მოსულიერებადის. ავადმყოფის მოთავსება
მოხერხებულ შენობაში სათანადო ტემპერატურას დაცვით, ლო-
გინის გაწყობა, დაწოლის პოზიცია, ტანის დაზელვა სხვადასხვა მე-
დიკამენტებით, (მუხლი მეოთხე) ორგანიზმის გათბობის მიზნით ადა-
მიანის ან ცხოველის მოწვენა — ან სხვადასხვა სახის სათბურები
(გრელკები), თბილი ქატო, მარილი, ქვიშა პარკებში ან თბილი წყა-
ლი ძროხის ბუწტებში, (მუხლი მეხუთე) შეასაუნთქი გამაღიზიანებე-
ლი საშუალებანი, პირის ღრუს ტუალეტი და გამოსავლები წამლები
(მუხლი მეექვსე) პირში ჩაბერვა ჰაერისა და კვამლის — საბერვე-
ლით, მექანიკური გამაღიზიანებელი საშუალებანი; ჯაგრისით, ჰინ-
ქარით, ცეცხლით. (მუხლი მეშვიდე) სისხლის გამოშვების განსაკუ-
თრებული ფრთხილი, ჩვენებანი და უკუჩვენებანი, (მუხლი მერვე)
მობრუნების, მოსულიერების ნიშნები, შიგნით მისაცემი საშუალე-
ბანი, ოყნები (მუხლი მეცხრე) შიგნით მისაღები საშუალებანი, დიე-
ტა, პირსაქმება (მუხლი მეათე) კვება. აღსანიშნავია ამ მუხლში ავ-
ტორის სიტყვები: „თუ იყოს მარხვა ჟამსა სნეულებისასა აქუსთ ყრ-
ველთა ნება სასხნილოს ჭამისა“ — ე. ი. ავადმყოფის სასარგებლოდ
ერთგვარი კორექტივა შეაქვს ქრისტიანულ-საეკლესიო წესებში (მუ-
ხლი მეთერთმეტე).

უკანასკნელ ღონისძიებად ყველა ზემოჩამოთვლილ საშუალე-
ბათა შემდეგ აღწერილია თბილ ნაცარში ჩაფლვა (მუხლი მეთორ-
მეტე).

მეორე თავში — მეტად მოხერხებულად აქვს ავტორს აღწერილი „გაფრთხილებებისა და შენიშვნების“ სახით ყველა ის წესი და მანიპულაცია, რომელიც ასეთ შემთხვევაში შეიძლება ზოგიერთთა მიერ იქნას გაკეთებული და რომელიც ავტორს პირიქით მავნებლად მიაჩნია; ასეთია თავდაღმა ჩამოკიდება, ნჯღრევა, ზურგზე ჯოხათ ცემა. ურმით გადაყვანა ავადმყოფის და სხვ. (მუხლი პირველი) „მომშთვალი“ ამავე დროს თუ გაყინულია ცეცხლთან ახლოს და ძლიერ ანთბოში არ უნდა ამყოფონ (მუხლი მეორე) მექანიკურ გამაღიზიანებელ საშუალებათა ჯაგრისის, ჭინჭრის, ცეცხლისა და სხვათა ხმარება უნდა ხდებოდეს ზომიერად (მუხლი მეოთხე), ავადმყოფის მომვლელნი დრო და დრო უნდა იცვლებოდეს, რომ არ მოიღალნონ და ამით არ დააკლონ ავადმყოფს რიგიანი მოვლა და „შემწეობა“ (მუხლი მეხუთე), ექიმის მოსვლას არ უნდა დაელოდონ მომვლელნი. ექიმის მოსვლის შემდეგ ზუსტად უნდა უამბონ მას ყველა ჩატარებული წამლობის შესახებ (მუხლი მეექვსე).

უკანასკნელ (მერვე) მუხლში ავტორი გაფრთხილებას იძლევა საერთოდ რომ მიცვალებული არ უნდა იქნეს დამარხული სანამ არ გამოჩნდება სიკვდილის სრული ნიშნები — შემდეგ თავებში იძლევა სწორედ მოკლესა და სრულყოფილ აღწერას სიკვდილის საექვო და უტყუარი ნიშნებისას. საექვო ნიშნებად თვლის: უძრავად მყოფი თვალები მაგრამ არა ჩაცვივლილნი და წმინდა. მთელი სხეულის სიმკრთალე „თეთრი ფერი“, მაგრამ მცირედ სიწითლე, „ღაწვთა და ბაგეთა“ შეუგრძნობელი სუნთქვა, რომელიც შეიძლება მხოლოდ შეცნობილ იქნას პირთან სარკის მიტანითა და შეორთქლებით. მცირეოდენი სითბო, რომელიც შეიძლება შემორჩენილ იქნას: პირში, იღლიის ქვეშ და მარცხნივ გულის არეში და სხეულის „მოუწყვეტელი“ სირბილე. უეჭველი სარწმუნო ნიშნებია: გამხმარი და მოშვებული შუბლი, გრძლად ჩამოწვეტებული ცხვირი, უძრავი და მღვრიე თვალები, „გამომჯდარი“ საფეთქლის ძვლები, ჩამოშვებული ტუჩები, სრულიად გამდგარი მაჯა, გულის ცემა და სუნთქვა, სხეულის სრული გამაგრება, მკვდრის ფერი; უფრო მოგვიანო და აშკარა ნიშნებია: მუცლის გაბერვა, სახსრების მოწყვეტა, ლურჯი ხალების გამოჩენა, მკვდრის სუნი და სხვ. უკანასკნელ (მეხუთე) თავში აღწერილია ის წამლები და საჭირო საგნები, რომელიც აუცილებელია „წყალში მომშთვალთა“ მოსაბრუნებლად — აქ იმდენი მედიკამენტები და მოწყობილობაა ჩამოთვლილი, რომ ჩანს, ეს ჩვეულებრივ ოჯახისათვის კი არ უნდა იყოს განკუთვნილი, არამედ ავტორს მხედველობაში უნდა ქონდეს წყალში მხრჩობიარის დახმარების ერთგვარი „პუნქტები“.

მოკლე კარაბადინი, ანუ დარიგება ადვილად წამლობისათვის
მრავალთა გვართა შინაგანთა და გარეგანთა სნეულებათა

დაბეჭდილია 1828 წელს, მოსკოვის სინოდის სტამბაში. ძირითად ლიტერატურულ წყაროდ, როგორც თვით ავტორი აცხადებს, მიჩნეულია 1823 წელს გამოცემული ოსიპ კამენეცკის: «Краткое наставление о лечении болезней простыми средствами часть первая, Санктпетербург, 1823; და იაკობ საპალოვიჩის: «Краткое наставление о лечении болезней простыми средствами» часть вторая, Санктпетербург, 1823.

1823 წ. პ. კლაპიტონიშვილს ის გადმოუკეთებია ამ წიგნებიდან, ჯერ შეუცვლია თვით შრომის კომპოზიცია, მას მთელი შრომა დაუკვია, ნაცულად ორისა — 5 ნაწილად.

პირველ ნაწილში (ა) მოათავსა ზოგადი ცნობები, ზოგიერთ დაავადებათა „მიზეზნი და ნიშანნი“ ნაადრევი გამოცნობისა და მკურნალობის შესახებ და სხვ.

მეორე ნაწილში (ბ) შინაგანი სნეულებანი, ქალთა და ბავშვთა დაავადებანი და მათი მკურნალობა.

მესამე ნაწილში (გ) გარეგანი დაავადებანი „კაცისა და დედაკაცისა“ და მათი მკურნალობა.

მეოთხე ნაწილში (დ) — რეცეპტურა.

მეხუთე ნაწილში კი — მოთავსებულია წამლების სია ქართულად და რუსულად.

ჩვენ შევადარეთ პ. კლაპიტონიშვილის წინამდებარე შრომა კამენეცკისა და საპალოვიჩის ზემოხსენებულ წიგნებს და აღმოჩნდა. რომ ნაწილი ტექსტისა თარგმნილია თავისუფალი თარგმანის სახით ან გადმოკეთებულია, როგორც თვით ავტორი ამბობს, შეასწორა „უოველი რჩევად და წამლობა ჰავასა და ჩუჭლებასა მამულისა ჩვენისა მცხოვრებთასა“.

I ნაწილი თითქმის ორიგინალურია მთლიანად (გვ. 79—98), რომელიც მეტად საინტერესო საკითხებს შეეხება. მეორე ნაწილის მეთოთხმეტე თავი „ათაშანგის სნეულებისათვის და წამლობისა მისისა“ (გვ. 144—152) სრულიად ახალი თავია ჩამატებული. კამენეცკისაპალოვიჩის წიგნის ორივე ნაწილს დართული აქვს 71 რეცეპტი, პ. კლაპიტონიშვილისას კი — 102. დიდი უმრავლესობა რეცეპტებისა აგრეთვე ორიგინალურია. ამ წიგნის თითო ეკზემპლარი იმყოფება მოსკოვის ლენინის სახ. ბიბლიოთეკაში, ლენინგრადის სალტიკოვ-შიჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში, თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ფოთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში, თბილისის მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში. როგორც ჩანს,

წიგნი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ამ წიგნის ტირაჟი იმ დროისათვის, 1826 წ. დიდი რაოდენობისა იყო. ის თითქმის წერა-კითხვის მცოდნეთა დიდ ნაწილს გაწვდებოდა. ამრიგად, მას ძალიან დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო მოსახლეობაში სანიტარული-სამედიცინო ცოდნისა და ჩვევების დანერგვაში, პირველადი, ექიმადელი, სამკურნალო დახმარების გაწვევის საქმეში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თითოეულ მაზრაში მხოლოდ ერთი ექიმი იყო და ექიმის დახმარება (რომლებიც უმთავრესად არასამკურნალო საქმეებით იყვნენ დატვირთულნი) იშვიათად თუ ეღირსებოდა რომელიმე ავადმყოფს.

წიგნის ძირითადი ნაწილებია მეორე (ბ) და მესამე (გ), რომელნიც თავის მხრივ ცალკეულ თავებად იყოფიან. მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პირველ ნაწილში განხილული ზოგადი საკითხები და მათ შორის ის კითხვები, რომელსაც ავტორი იძლევა (გვ. 97—98) იმ ავადმყოფთა მიმართ, რომელიც ექიმისაგან შორს არის და წერილობით უნდა მისწეროს ექიმს მისი ავადმყოფობის გარშემო, აქ ამომწურავი სიზუსტით არის დაავადების ანამნეზისათვის საჭირო ყველა კითხვა ჩამოყალიბებული, ასაკის, სქესის, პროფესიის და მრავალი სხვა დიაგნოსტიკისათვის საჭირო მონაცემების გათვალისწინებით, რითაც ადვილი წარმოსადგენია იმდროინდელი ექიმის აზროვნება, ჰორიზონტი, დაავადების ეტიო-პათოგენეზის გარკვევაში.

მეორე ნაწილში — მოცემულია უკვე ცალკეულ დაავადებათა განხილვა, ნიშნები და მკურნალობანი:

ციება (მალარია) განხილულია 21 პარაგრაფად (გვ. 99—104).

საოფლე ანუ ცხელება (გვ. 104—111) 17 პარაგრაფად.

გაციებისაგან მოსული ციება და ხუჭლება (გვ. 111—115) 8 პარაგრაფი [გრიპი, ზედასასუნთქი ორგანოებისა და ფილტ. გრიპოზულ ანთება].

ყელისტივილი ანუ ხუნაგი (გვ. 115—118) 8 პარაგრაფად.

სისხლის ანთების ანუ განხურებისაგან მკერდში მოსულის პქელისათვის [გვ. 118—123 ფილტვების კრუპოზული ანთება] 11 პარაგრაფად.

ბალღამისაგან მოსულის მკერდის ჰვალისათვის [გვ. 123—126] ფილტვების კატარალური ანთება 7 პარაგრაფად.

ყვავილი (გვ. 127—131) 12 პარაგრაფად.

წითელა (გვ. 131—133) 7 პარაგრაფად.

პირიდან საქმობა (გვ. 133—134) 4 პარაგრაფად.

პირიდან და ტანიდან საქმობისათვის (გვ. 134—138. კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებანი) 6 პარაგრაფად.

მსუბუქის ყვანისათვის (გვ. 136—138). ფალარათი. გასტრონ-
ტერიტი, 4 პარაგრაფად.

სისხისა ანუ მძიმედ სისხლზე ყვანისათვის (გვ. 138—141, დიზენ-
ტერია) 10 პარაგრაფად.

სკორბუტისათვის ესე იგი სურავანდისა — (გვ. 142—144) 7
პარაგრაფად.

ათამანგის სნეულებისათვის (გვ. 144—152) 14 პარაგრაფად.

ჭიით სნეულებისათვის (გვ. 153—154) 7 პარაგრაფად.

შემდგომ 5 თავში განხილულია ქალთა სნეულებანი:

დედათ სნეულებათათვის (გვ. 155—161) 15 პარაგრაფად.

ორსულობისათვის (გვ. 161—164) 9 პარაგრაფად.

მშობიარობისათვის (გვ. 164—168) 12 პარაგრაფად.

შობის შემდგომ შემთხვეულთა სნეულებათავს (გვ. 168—171)

9 პარაგრაფად.

სნეულებათავს შემთხვეულთა ჟამსა მაწოვრობისასა და წამლო-
ბისა მათისა (გვ. 172—175) 11 პარაგრაფად.

მომდევნო თავებში აღწერილია ბავშვთა დაავადებანი:

ჩხვილ ყრმათ სნეულებათათვის (გვ. 175—176) 2 პარაგრაფად.

ყმაწვილის სქელის ფისის მსგავსის განავლისათვის (გვ. 176—
177) 1 პარაგრაფად.

გულის სიძმარისა ანუ სიმყავისაგან მოსულის ყრმათ სნეულე-
ბისათვის (გვ. 178) 2 პარაგრაფად.

რძისაგან მოსულთა სნეულებათათვის (გვ. 178—179) 4 პარაგრა-
ფი (რძიანა).

კბილების ამოსვლისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 179—
180) 4 პარაგრაფად.

ყრმათ ძუძუს გაშვებისათვის (გვ. 180).

ბაღმისა და კიისაგან სნეულებათათვის და წამლობისა მათი-
სა (გვ. 181—182) 5 პარაგრაფად.

დახუთვისა და დაბუყებისათვის ყრმისა და წამლობისა მისისა
ხუთვით მოსულის ხეჭლებისათვის ყრმათასა და წამლობისა მისისა
(გვ. 183—184) 5 პარაგრაფად. (ყივანახველა).

უკანასკნელ მეოცდაათე თავში განხილულია ხის ნახშირის გა-
მოყენების შესახებ:

ხმარებისათვის ნახშირისა, და სარგებლობისათვის მისისა, რო-
გორც სახლში, ეგრეთუჲ წამლად ჟამსა სხვადასხვა გვარის ავადყო-
ფობისა (გვ. 184—188).

მესამე ნაწილი — მოკლე კარაბადინი გარეგანთა სწეულებათათვის:

განიხილება უმთავრესად ზოგიერთი კანის, ქირურგიული, თვალისა და კბილის დაავადებანი.

თავი პირველი — ახალის იარისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 189—192) 11 პარაგრაფი.

თავი მეორე — დამპალი და დაძველებული იარისათვისა და წამლობისა მისისა (გვ. 192—193) 6 პარაგრაფი.

თავი მესამე — ნაცემისა ანუ დაქეცილობისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 193—194) 3 პარაგრაფი.

თავი მეოთხე — მუწუკებისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 195) 4 პარაგრაფი.

თავი მეხუთე — ღუდკოსათვის და წამლობისა მისისა (გვ. 196—197) პანარიციუმში, ფრჩხილისმჭამელი (НОГТОЕД) 5 პარაგრაფი.

თავი მეექვსე — ძირძიდის მუწუკისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 197—198) 2 პარაგრაფი — ფურუნკული, კარბუნკული.

თავი მეშვიდე — დამწვრისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 198—199) 3 პარაგრაფი.

თავი მერვე — გაყინვისა ანუ სიცივისაგან სკეულის დაძვრისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 199—201) 5 პარაგრაფი.

თავი მეცხრე — წყალში დამშთელისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 201—205) 8 პარაგრაფი.

თავი მეათე — ბუზთაგან ნაკბენისა და ანუ დაშხამვისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 205) 2 პარაგრაფი.

თავი მეთერთმეტე — გველისაგან ნაკბენთათვის და წამლობისა მისისა (გვ. 206) 4 პარაგრაფი.

თავი მეთორმეტე — ცოფიან ცხოველთაგან ნაკბენთათვის და წამლობისა მათისა (გვ. 207—208) 5 პარაგრაფი.

თავი მეათცამეტე — ნახშირის სუნისაგან თავის დაჭერისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 208—210) 4 პარაგრაფი (ნახშირორქანგის გაზით მოწამვლა).

თავი მეათთოთხმეტე — მუნისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 210—211) 5 პარაგრაფი.

თავი მეათთხუთმეტე — ცხვირიდან სისხლის დენისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 211) 3 პარაგრაფი.

თავი მეათთექვსმეტე — კბილების ტკივილისათვის და წამლობისა მისისა (გვ. 212—214) 5 პარაგრაფი.

თავი მეათევი დეტე — თვალის ტკივილისათვის დაწამლობისა მისისსა (გვ. 214—216) 7 პარაგრაფი.

მეოთხე ნაწილში — როგორც ზემოთ აღნიშნეთ მოცემულია რეცეპტურა სულ 102 რეცეპტის სახით. რეცეპტები დაახლოებით შემდეგი სახით შეიძლება დავაჯგუფოთ მათი მოქმედებისა და გამოყენების მიხედვით.

პირიდან სასაქმებელი — ა, პ, გ, ვ, ვა, ბ.

ტანიდან სასაქმებელი — დ, ე, ზ, მ, ვ.

ანტიმალარული — თ.

ოფლის მომგვრელი — ი, იმ, კე.

ყუათის ანუ ძალის მომგვრელი — ია, იბ, იგ, იდ, იე, ივ, ლვ, ლე, მბ.

თვალის წამლები — ემ, ეთ.

პირში და ყელში გამოსავლები — ვზ, ვმ, კთ, მე.

საოფლის (ცხელების) საწინააღმდეგონი — იზ, იმ, ით,

ოყნით მისაცემი (სასაქმებელი) ვ. კა, კ. ვა.

მალამოები — ვდ, ნვ, პთ, პგ, პბ.

დასამწიფებელი წამლები — ლდ, პმ.

წითელი ქარის საწინააღმდეგო (ადგილობრივი სახმარი) კბ.

შესაორთქლებელი — კვ, ვზ.

სიცხის გამოსანელებელი — ლა.

პირღებინების საწინააღმდეგო — ლე.

ბავშვთათვის — ლმ.

მკერდის დასარბილებელი — ლბ, ლგ.

ახალი იარის — პგ (წებოიანი მალამო).

პაქსიმატის წამალი — ლზ.

ძველი იარის — პე, პე, პდ, ნზ.

კბილის წამლები — ევ, ეზ.

კუჭის გასაწმენდი — მა, მბ, მგ.

ათაშანგის საწინააღმდეგო — მე, მმ. მთ, ნ, ნა, ნბ, ნდ, ნე, ნზ, ნმ.

აბაზანისათვის — მდ.

ორსულობისას — იმ, ით, ი, ლდ.

ჭიის დამდენნი

წვრ. და მრგვ. ჭიის — ნთ, ია, იბ, ე, ზ.

ბრტყელი ჭიის — ი, ია, იბ, ე, ზ.

სხვადასხვა დანიშნულების — კბ, ვბ, ლ, ლმ, ლთ, მ, ოდ, ოვ,

ოვ, ქ.

პ. კლაპიტონიშვილის დღემდე ცნობილი შრომათაგან უკანასკნელია 1836 წელს გამოცემული:

„მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება მისთვის თუ ვითარი ღონისძიება და შემწეობა მოიხმარონ კაცთათვის უამსა უეცრად ჩავარდნისა სასიკუდილოსა მდგომარეობასა შინა“.

ის დაბეჭდილია, როგორც სხვა მისი ადრინდელი წიგნები, მოსკოვის სინოდალურ სტამბაში, ფილანტროპიული საზოგადოების გამოცემით, წიგნი გადმოღებულია „ქართულსა ენასა ზედა“ და შესწორებულია „პრჩევად და წამლობად ჩუჭულებასა საქართუშლოს მცხოვრებთასა“. როგორც ზემოთ აღინიშნა, „კეთილმოსურნეობითა და სიყვარულითა მემამულეთა“ მისთა, ავტორს 1200 ეკზემპლარამ წიგნისა წარუდგენია „უფასოდ დასარიგებლად საქართუშლოში“.

წიგნში „წინასწარ ცნობის მიცემის“ შემდეგ იწყება უშუალოდ ტექსტი, რომელიც 14 თავისაგან შედგება. განხილულია საკითხები თუ, „როგორ უშუშლოთ“, წყალში დამხრჩვალთ, სიცივისაგან გაყინულთ, ნახშირორქანგით „გულშემოყრილთ“, ჩამოხრჩობილთ, დაეჟერლთ, მეხდაცემულთ, მოწამლულთ, (საკვებით, საწამლავი ნივთიერებით) დამწვართ (თერმული სიღამწვრე), ცოფიანი ძაღლისაგან ანუ მგლისაგან დაკბენილთ, გველისაგან დაშხამულთ, მორიელისაგან დაშხამულთ. უკანასკნელი 3 — თავი მიძღვნილია სიკვდილის საეჭვო და ნამღვილი ნიშნების გარჩევისადმი.

წიგნში განხილულია ამ დაავადებათა თუ დაზიანებათა პირველი დახმარების მარტივი (ექიმამდელი) მეთოდები, რომელიც ხელმისაწვდომია ფართო (მდაბიო) მოსახლეობისათვის, ზოგი მათგანი გონებამახვილური და რაციონალურია, ზოგი კი მეტად პრიმიტიული და დღეისათვის მიუღებელია (მაგ. ძროხის განავლის გამოყენება სიღამწვრეების მკურნალობაში და სხვ.), მაგრამ ცალკეულ საკითხთა ისტორიისათვის მაინც მნიშვნელოვანნი (თუნდაც მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით). ჩვენ არ განვიხილავთ წიგნის ცალკეულ თავებს, ის იმდენად მარტივად და გასაგები ენით არის დაწერილი, რომ ინტერპრეტაციებსა და კომენტარებს არ საჭიროებენ. წიგნი უნიკალურია, მიუხედავად იმისა, რომ ავტორს ძალიან დიდი (1200) ტირაჟი გამოუგზავნია საქართველოში, მოსახლეობაზე უფასოდ დასარიგებლად. მაგრამ დღემდე არც ერთი ცალი არ შემორჩენილა, მუზეუმებში და ბიბლიოთეკებში, მივაკვლიეთ მოსკოვის სინოდალური სტამბის არქივში მის ერთადერთ ეკზემპლარს, რომელიც

ხელმიუწვდენელია მკითხველთა და მკვლევართათვის. ამიტომ განვიზრახეთ მთელი ტექსტის პუბლიკაცია აქვე*.

პ. კლაპიტონიშვილმა არა მარტო ქართულ მედიცინას გაუწია დიდი სამსახური თავისი საექიმო-პრაქტიკული და სამედიცინო ლიტერატურული მოღვაწეობით, ან რუსული მედიცინის პოპულარიზაციითა და დამკვიდრებით საქართველოში, არამედ მას გარკვეული დამსახურება მიუძღვის და თავისი წვლილი აქვს შეტანილი რუსული სამედიცინო ლიტერატურის შექმნასა და გამდიდრების საქმეში. 1827 წელს ის რუსულ ენაზე წერს და მოსკოვის სინოდალურ სტამბაში ბეჭდავს 3 წიგნს.

1. Краткое наставление народу о средствах, как, предохранять себе от прилипчивых болезней, наиболее от чумы.

2. Краткое наставление народу о том, какие средства и способы должно употреблять от уязвления и укушения всякого рода ядовитых и бешеных животных.

3. Краткое наставление народу о том, какия средства должны употреблять для оживления утопших.

აღსანიშნავია, რომ წიგნები გამოცემულია ავტორის მიერ საკუთარ ხარჯზე. ის წარმოადგენს სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის მშვენიერ ნიმუშს, დაწერილია ხალხისათვის გასაგები ენით, მარტივად, გათვალისწინებულია ყოველგვარი წვრილმანი მისი პრაქტიკული და ეფექტური გამოყენებისათვის. აღსანიშნავია, რომ თითოეული წიგნი ხელნაწერში წაუკითხავს პროფესორ ეფრემ მუხინს და ჩანს, დაბეჭდილია მისივე რეკომენდაციით, რაც აღნიშნულია თვითეული წიგნის სატიტულო ფურცლებზე. აღნიშნულ წიგნები თავისი შინაარსით თითქმის იდენტურნი არიან შესაბამის ქართული ვარიანტებისა.

მაგრამ სამწუხაროდ, რუსული სამედიცინო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაში, რატომღაც პ. კლაპიტონიშვილის ეს წიგნები არ აღინიშნებიან.

ისეთ ფუნდამენტალურ სამედიცინო ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში როგორც პროფ. როსიისკის წიგნია**, პ. კლაპიტონიშვილა და მისი ხსენებული წიგნები სრულებით არ არის ნახსენები.

პეტრე კლაპიტონიშვილის წიგნები ასლებისა და ფოტოპირების სახით ინახება ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებაში. ეს წიგნები, როგორც ეპოქის სამედიცინო აზროვნების ისტორიის ამ-

* ტექნიკური მიზეზებით ტექსტის პუბლიკაცია ვერ მოხერხდა (ავტორი).

** Проф. Росийский, История отечественной медицины и здравоохранения, библиография, Медгиз, Москва, 1956.

სახველნი უაღრესად საინტერესონი არიან, ვფიქრობთ საჭიროა მათი პუბლიკაცია საისტორიო მასალების სახით, ისინი გამზადებულნი არიან ჩვენს მიერ და ელოდებიან პუბლიკაციის შესაძლებლობასა და მომენტს.

პ. კლაპიტონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მისი სამედიცინო ლიტერატურული პროდუქცია რუსულ-ქართული სამედიცინო ურთიერთობის ერთი მეტად შინაარსიანი ფურცელია ქართული მედიცინის ისტორიაში.

პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე და ახალციხის 1838—1843 წწ. ეპიდემია

XIX საუკუნის საქართველოში ძალზე ხშირი იყო შავი ჭირის ეპიდემიები, რომელიც მუქარს ავლებდა მცხოვრებლებს. განსაკუთრებით მოსახლეობის დაბალ ფენებს. შავი ჭირისა და ქოლერის ეპიდემიების მუდმივი კერა იყო სპარსეთი და თურქეთი, საიდანაც ადვილად ვრცელდებოდა ეს სნეულებანი საქართველოში. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ XIX საუკუნის I-ნახევარში შემდეგი ეპიდემიები იყო: შავი ჭირისა — 1803-1807 წწ. 1811-1812 წწ. და 1838-1843 წწ.; ქოლერისა — 1828-1830 წწ. და 1847 წ. ძალიან იყო აგრეთვე გავრცელებული ყვავილის ეპიდემიები, რაც სიკვდილობის საკმაოდ დიდ პროცენტს იძლეოდა.

ჩვენ ამჯერად შევეხებით მხოლოდ 1838-1843 წწ. გავრცელებულ შავი ჭირის ეპიდემიას, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგ გარემოებათა გამო: 1. ამ ეპიდემიასთან დაკავშირებულ მასალებში შემონახულია გარკვეული შეხედულებები იმ დროისათვის შავი ჭირის კლინიკისა და მიმდინარეობათა შესახებ; 2. შემონახულია ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა იმდროინდელი ხერხები და მეთოდები; 3 ირკვევა საინტერესო ცნობა ხალხში შემონახულ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ; 4. ახალციხის 1838-1843 წწ. შავი ჭირის ეპიდემიასთან დაკავშირებით, რომელიც შემდეგში მთელ კავკასიასაც მოედო, შექმნილ იქნა „ამიერკავკასიის მხარის შავი ჭირის ეპიდემიისაგან დაცვის კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედ დანიშნული იქნა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ახალციხეში პირველად 16 ივნისს აღინიშნა შავი ჭირით დაავადებული. ამ საკითხზე საქართველოს საექიმო მმართველობა 1838 წელს „საინსპექტორო შემოვლის“ ეურნალში წერს:

„ახალციხის ფაშალიკატში 16 ივნისიდან გაჩნდა შავი ჭირი (Pestis). საიდან და კერძოდ როგორ შემოვიდა ის რუსეთის ფარგლებში, ეს ჯერ კიდევ არაა ცნობილი, ავადმყოფობა პირველად გა-

მოხნდა ქალაქის ახლო-მახლო სოფლებში, შემდეგ კი გავრცელდა თვით ქალაქშიც. გარნიზონის მცირე რაოდენობის მიხედვით თუ ვიშაყელებთ, ადგილობრივ მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით დაავადება უმთავრესად გავრცელდა ჯარის ნაწილებში, განსაკუთრებით პირველი ქართული სახაზო ბატალიონის დაბალი ჩინის პირებში. მცხოვრებლებიდან უმთავრესად დაზარალებულნი მოზარდები და ბავშვები 4 წლამდე. მოხუცები იშვიათად ავადდებიან. დაავადების ხასიათი უმთავრესად ნაღვლისმიერი ფორმისაა, ხანდახან წმინდა ნერვული; ძალიან იშვიათად კი — ლობითი. დაავადების აღმოჩენა ხდებოდა შეტევითი ხასიათის ცხელებით, ზოგჯერ დროგამოშვებით ციებ-ცხელების სახით გამოჩნდებოდა, და რამდენიმე პარაქსიზმის შემდეგ, ცხელების სიძლიერის მიხედვით რამდენიმე დღის (2-დან 6 დღემდე), შემდეგ გამოჩნდებოდა ძირმაგარები (Carbunculi) ან შესივება (bubones) საზარდულში ან ილიის ქვეშა, ყურსუკანა, ან ყბისქვეშა ჯირკვლებში. არაიშვიათად ცხელების წინ აღინიშნებოდა შესივებული ჯირკვლები, რომლებიც საკმაოდ ადრე მწიფდებოდა. და თუ მოხერხდებოდა მათი ადრე დაჩირქება, ავადმყოფები ჯანსაღდებოდნენ. შესივებული ჯირკვლის დაშლა ხშირად დაავადების არასასურველი გამოსავლის მაჩვენებელი იყო. ძირმაგარები განსაკუთრებული სისწრაფით გახიციდნენ ნეკროსს, რაც ვრცელდებოდა უმნიშვნელო ფართობზე. დაწესიერი მკურნალობას შედეგად რჩებოდა ავთვისებიანი წყლულები. ავადმყოფების მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდებოდა, ხშირად დაავადება რთულდებოდა მეტად დამაუძლურებელი ფაღარათითა და წყალმანკით (Hydrax anasarca), რისგანაც კვდებოდნენ. სამკურნალო საშუალებები უნიშნებოდათ ცხელების თვისების შესაბამისად. ლიკვიდაციის ღონისძიებები გამოყენებული იყო საკარანტინო წესდების თანახმად. ფრად მნიშვნელოვანია ის, რომ ახალციხის ძირითადი მცხოვრებლები, ასე ვთქვათ კირთან თანშეზრდილები, ძალიან ადვილად იკურნებოდნენ, განსაკუთრებით სრულწლოვანები. კიდევ ერთი გარემოება იმსახურებს ყურადღებას: როდესაც ჩამოიდგქვებოდა ძირმაგარის ნეკროზული ნაწილები, ავადმყოფის მომვლელები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩირქგროვიდან აეღოთ პირველი ჩირქი საშრობ ქალაღზე და ძირმაგარის ნეკროზული ნაწილები შეენახათ შემდეგი დროისათვის. ხმარობენ რა მის ფხვნილს წყალთან შერეულს, ფიქრობენ, რომ ეს არის ნამდვილი უტყუარი დამცველი შავი კირისაგან. ასეთია დამღუპველი ცრურწმენა აღმოსავლეთის მცხოვრებლებისა. ეს ხომ არ არის დაუშრობელი წყარო გამუდმებული შავი კირისა აღმოსავლეთის ხალხში?

შავი ჭირით დაავადებული იყო 349, აქედან გაჯანმრთელდა 134“*.

ამონაწერიდან ნათლად ჩანს შავი ჭირის კლინიკისა და მიმდინარეობის იმდროინდელი გაგება. უსათუოდ საყურადღებოა ავტორთა მიერ ნახსენები ის „დამლუპველი ცრურწმენა აღმოსავლეთის ხალხთა“, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ საქართველოში გავრცელებული ყოფილა შავი ჭირით დაავადებულთა ძირმაგარადან ნეკროზული ქსოვილისა და ჩირქის აღება, მისი შენახვა მომავალ წლისათვის და ფხვნილად ქცევის შემდეგ მასი მიღება წყალშეგახსნილის სახით. ვფიქრობთ, ამაში „დამლუპველი ცრუმორწმუნეობა“ კი არ არის, არამედ გენიოსური ხალხური გააზრება, რომელმაც შემდეგში საფუძველი ჩაუყარა იმუნოლოგიას. სწორედ ამიტომ იყო ალბათ, რომ „ახალციხის მკვადრა მცხოვრებნი, ასე ვთქვათ, ჭირთან ერთად დაბადებულნი, ძალაან აღვილად ჯანსაღდებოდნენ, განსაკუთრებით ხანშესულეები“.

ცნობილია, რომ ხავკინის მიერ მოწოდებული შავი ჭირის საწინააღმდეგო წინასწარი აცრა არ წარმოადგენს უქნიშვნელო ღონისძიებას შავი ჭირის ეპიდემიასთან ბრძოლაში. ეს საკითხი ჯერ კიდევ შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას მოელის. როგორც ჩანს, ხავკინის მიერ მოწოდებულ აცრის იდეას ადრე ქართველ-ხალხურ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შორის ვხვდებით.

მაშასადამე, როგორც ზემოხსენებული ამონაწერიდან ჩანს ეპიდემია დაიწყო ახალციხეში 1838 წ. 16 ივნისს. იმავე წლის 23 ივლისს კავკასიის მაშინდელი მთავარმმართველი გოლოვანი ატყობინებს ბლუდოვს***, რომ ახალციხეში გაჩნდა შავი ჭირი და მისი არყოფნისას, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის, შავი ჭირის ეპიდემიისაგან დაცვის ამიერკავკასიის კომიტეტის, კარანტინისა[†] პექტორისა და ახალციხის პროვინციის აღმინისტრაციის მიერ მიღებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. დაწესებულია დროებითი კარანტინი ახალციხის პროვინციისა და გურიის დამაკავშირებელ გზაზე აბასთუმნის სანჯაყში;
2. აღდგენილია ბაღდადის დროებითი კარანტინი;
3. დაწესებულია საკორდონო საკარანტინო ხაზი ახალციხესა და ალექსანდროპოლს შორის, რათა ყველამ საქართველოდან მომავალმა გაიაროს ალექსანდროპოლის კარანტინი;

* საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი, ფ. 16, საქმე 5710.

** აქტები, ტ. IX, 72.

4. მოწყობილია დროებითი კარანტინი სურამსა და ბორჯომის ხეობას შორის;

5. მივლინებულია საექიმო მმართველობის ორი წევრი და სამხედრო ექიმი, 2 ფერშალი, 2 ბებიაქალი სამედიცინო ღონისძიებათა გასატარებლად და ახალი კარანტინების ორგანიზებისა და მეთვალყურეობისათვის;

6. ახლად ჩამოყალიბებულ კარანტინებში გაგზავნილია 12 კარავი, დანიშნულია თითო ოფიცერი კომისრის თანამდებობაზე და 20 რიგითი ჯარისკაცი, ერთი უნტეროფიცრით «для содержания караулов».

7. კარანტინის ინსპექტორის დასახმარებლად, რომელზედაც დაკისრებულია მთელი საკარანტინო ხაზების მეთვალყურეობა, დანიშნულია ერთი უნტეროფიცერი სამხედრო უწყებიდან;

8. მთლიანად ახალციხის პროვინციის ირგვლავ დაწესებულია საკარანტინო საკორდონო ზონა ფეხოსანი ჯარისა და კაზაკებისაგან;

9. გარდა სამხედრო ნაწილებისა, შეიარაღებულია აგრეთვე მცხოვრებლები, საკარანტინო ზონის უკეთ დაცვის მიზნით წალკაში — 100 კაცი, ბორჯომის ხეობაში — 60 კაცი და ა. შ;

10. დაწესებულია სრული საკარანტინო ტერმინი როგორც ახალციხეში მომსვლელ უცხოელთათვის, ისე ახალციხის მცხოვრებთა სხვა ადგილებთან ურთიერთობის მხრივ;

11. ახალციხის პროვინციაში შემავალი ყველა სასაზღვრო კარანტინი, აგრეთვე დროებითი კარანტინები მომარაგებულია საჭირო რაოდენობის გამასუფთავებელი მასალებით;

12. დადგენილია, რომ ყველა კორესპონდენცია მიღებულ თბილისში და გასაგზავნი თბილისიდან, გადიოდეს ფოსტასთან არსებულ კარანტინში საკარანტინო დამუშავებისათვის.

ჩანს, კარგად ყოფილა ორგანიზებული ეპიდემიასთან ბრძოლა. როგორც 26 ივლისის მომართვიდან ჩანს, მიღებულ იქნა აგრეთვე; დამატებითი ღონისძიებანი*:

1. სანამ იქნება ეპიდემია, ეპიდემიის ადგილებიდან არავინ არ იქნება გამოშვებული საკარანტინო „გაწმენდიდან“ 28 დღის გავლის გარეშე;

2. საქონელი, განსაკუთრებით ინფექციის მიმღები (შალი, აბრეშუმი, ბამბის ქსოვილი და სხვ.) არავითარ შემთხვევაში არ იქნას გატარებული ეპიდემიის ადგილიდან ეპიდემიის სრულ ლიკვიდაციამდე და შემდეგ კი გატარებულ იქნას მხოლოდ გულდასმითი

* აქტები, IX, 72.

„შებოლებისა“ (окуривание) და დამუშავების შემდეგ საკარანტინო წესდების სრული დაცვით;

3. ჭირიანი ავადმყოფების პირადი სარგებლობის საგნები და ყველაფერა, რასთანაც ურთიერთობა ჰქონდა ავადმყოფს, დაიწვას ცეცხლში, სახლები კი გულდასმით „შებოლებულ იქნას“, გარეცხილი და განიავებული არანაკლებ 8 დღე-ღამისა, სახლები რომელნიც არ გაიწმინდებიან საკარანტინო წესდების თანახმად, აგრეთვე დაბალფასიანი სახლები უნდა მიეცეს ცეცხლს;

4. მიღებულია ზომები მცხოვრებთა დარწმუნებისათვის, რომ საგნები, რომელნიც გაივლიან „გაწმენდას“, დაუბრუნდებათ მათ უკლებლივ და დაუზიანებლად, თუ ვინმე გადამაღავს „დაჭირიანებულ“ საგნებს, დასჯილნი იქნებიან საკარანტინო კანონების მთელი სისასტიკით;

5. დეპეშები და ყოველგვარი წერილობითი კორესპონდენციები „შებოლებულ იქნას“ ქლორით მათთვის მოწყობილ სპეციალურ ყუთში, პაკეტები არა მარტო დაჩხვლეტილი, არამედ კუთხეები დახსნილი უნდა იქნას, რათა ქლორი შეიჭრას თვით პაკეტის ნაოქებშიც;

6. მიუთითონ მცხოვრებლებს, რომ საექვო საგნები, რომლებიც ავადმყოფთან ურთიერთობაში იყო, ჩადებულ იქნას რამდენიმე საათით „გამდინარე წყალში“. ეს რამდენადაც უბრალო საშუალებაა. იმდენად სასარგებლოა. თვით ქალაქი ახალციხე დაყოფილია ნაწილებად. თვითეულ ნაწილს ჰყავს თავისი კომისარი და მოადგილეება მოხელეებთაგან და საპატიო მოქალაქეთაგან, დაწესებულია შიგნითა კარანტინები, კარანტინები და საკარანტინო განყოფილებები. საერთო სარგებლობის ადგილები: ეკლესია, აბანო დახურულია, პროვინციის უფროსი ყოველ 3 დღეში იძლევა ცნობებს ეპიდემიის მიმდინარეობის შესახებ. ირკვევა, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეპიდემიის წყაროს ძიებას. გოლოვინი წერს, რომ ვერ მოხერხდა სნეულების გაჩენის მიზეზების დადგენა, რადგან ამას სპეციალურა მუშაობა უნდოდა და თავისუფალი გამოცდილი პიროვნება. რომელსაც შეეძლო ამ მხრივ სპეციალურად ემუშავნა, არ იყო, რის გამოც ამის გარკვევა დაევალა კარანტინის ინსპექტორს პაულის. აღსანიშნავია, რომ ეპიდემიასთან ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა ჩვენს სასიქადულო ქართველ პოეტს ალექსანდრე ჭავჭავაძეს. 1838 წლის 5 აგვისტოს გოლოვინი წერს ბლუდოვს, რომ გენერალ-მაიორი თავადი ალ. ჭავჭავაძე დანიშნულია «главным начальником всеми существующими и имеющими

быт учрежденными кордонными линиями от Ахалцихской провинции во все стороны»*.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ჩანს. ენერგიულად და მთელის პასუხისმგებლობით მოჰკიდა საქმეს ხელი, რათა თავისი სამშობლო ეხსნა მომსვრელი ეპიდემიისაგან. შემდეგში ასეთ დახასიათებას აძლევს ალ. ჭავჭავაძის საქმიანობას გოლოვინი. «Сделанная кн. Чавчавадзе по кордонам распоряжения весьма хороши и ручаются за точность исполнения каждым своей обязанности к преграждению заразе распространиться за линию»**.

1840 წლის 4/XII გოლოვინის სტროგანოვისადმი მიმართულ ცნობაში*** ალექსანდრე ჭავჭავაძე კვლავ იხსენიება „ამიერკავკასიის მხარის შავი ჭირის ეპიდემიისაგან დაცვის კომიტეტის“ თავმჯდომარედ. როგორც ჩანს, ის დიდხანს ეწეოდა ამ საქმიანობას.

1838 წ. 1 სექტემბრის ცნობებით, ეპიდემია შეჩერებულია ერთ დონეზე, მაგრამ ლიკვიდირებული არაა, ეპიდემია ძალზე ავთვისებიანია, სიკვდილობის დად პროცენტს იძლევა, ყოველდღიურად ტარდება კომიტეტის სხდომები ახალციხეში და ყოველგვარ ღონისძიებათა და განკარგულებათა ასლები ოქმებითურთ იგზავნება თბილისში. მოწყობილია შავი ჭირის ლაზარეთი საექვო ავადმყოფთა განყოფილებით სამოქალაქო და სამხედრო პირთათვის, განურჩევლად. დაარსებულია საიდუმლო პოლიცია საპატიო მოქალაქეთა მონაწილეობით, ქალაქის თვითეული ნაწილიდან დაქირავებულია მოქალაქე, რომელიც საიდუმლოდ აცნობებს კომიტეტს გადამალულ ავადმყოფებსა და ოჯახებზე. ახალციხე გარშემორტყმულია ალყით, პიკეტებით 4 კაცის შემადგენლობით, ისე რომ თვითეული პიკეტი ხედავდეს მეორეს****. 1838 წლის 19 ოქტომბრისათვის, ახალციხეში შავი ჭირისაგან დაავადებულთა, გარდაცვლილთა და გაჯანსაღებულთა უწყისი შემდეგ სურათს იძლევა:

ავად გამხდარა მამაკაცი — 226, ქალი — 67, სულ — 293;

გარდაცვლილა — მამაკაცი — 159, — ქალი 48, სულ — 208;

გაჯანსაღებულია — მამაკაცი — 61, ქალი — 17, სულ — 78;

ავადაა 19 ოქტომბრისათვის მამაკაცი—6, ქალი—1, სულ 7*****.

მაგრამ წლის ბოლომდე, როგორც „საინსპექტორო შემოვლის ეურნალიდან“ ირკვევა, დაავადებულთა რიცხვი 349-მდე და გარდაცვ-

* აქტები, ტ. IX, 73.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 85.

**** აქტები, ტ. IX, გვ. 75.

***** იქვე, გვ. 80.

ლილთა რიცხვი 215-მდე გაზრდილა. ეპიდემია. ჩანს ძლიერ ზეთვისებია, სიკვდილობა 68% აღწევს.

1839 წლის 4 იანვრის ცნობით, ახალციხეში ეპიდემია მოისპო და ალყა მოხსნილია 1838 წლის 22 დეკემბრიდან. მაგრამ 1839 წლის გაზაფხულს კვლავ მოჰყვა ეპიდემია — 7 მაისიდან 2 ოქტომბრამდე ახალციხეში და მის ახლო-მახლო სოფლებში შავი ქირით ავად გამხდარა — 128 კაცი — აქედან გარდაცვლილა 73, გაჯანსაღდა — 52 სიკვდილობა 57% აღწევს. მომდევნო წლებშიც არ წყდება ეპიდემია. 1841 წ. მაისში, 10 შტატგარეშე ექიმს აგზავნიან ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1842 წლამდე მძვინვარებდა ეს ეპიდემია კავკასიის სხვადასხვა მხარეში (ერევანი, ალექსანდროპოლი და სხვ.).

ცნობილია, რომ ამ ხანებში მეფის რუსეთის ამ „განაპირა გუბერნიაში“ საექიმო საქმიანობის ფინანსურ დახმარებათა, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და საექიმო კადრების მკვეთრი უკმარისობა იყო. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს. ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებები იმდენად გონებამახვილურად. მეტად ეფექტური ხერხებითა და მეთოდებით ყოფილა შემუშავებული. რომ მას გარკვეული შედეგები უნდა მიეცა ეპიდემიის ლიკვიდაციის საქმეში.

მედიცინის ისტორიასა და ქართულ ხალხურ მედიცინაში ზემოხსენებულ წყაროებამდე უცნობი იყო შავი ქირის „აქრის“, იმუნიტეტის გამომუშავების ხალხური მეთოდის არსებობა. რომელიც გენიალური ხალხური გააზრებაა, რამაც შემდეგში საფუძველი ჩაუყარა იმუნოლოგიის განვითარებას საერთოდ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა ისეთი გავლენიანი პიროვნება, როგორც იყო პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე. რომელსაც დიდი მონდომებითა და სერიოზულობით უმუშავნია ამ პოსტზე წლების განმავლობაში. სახელოვანი ქართველი რომანტიკოსის ეს საქმიანობა დღემდე უცნობი იყო ქართული მედიცინის ისტორიაში.

აქიმოვების ვინაობისათვის

XIX საუკუნის პირველ ნახევარში სხვა ქართველ ექიმებს შორის ცნობილი იყვნენ ექიმები თათული და სოლომონ აქიმოვები. პირველი მათგანი ძველი, ერეკლე II-ის დროინდელი ქართული სამედიცინო სკოლის წარმომადგენელია. მისი შვილი სოლომონი კი ერთ-ერთი პირველი თბილისელი მოქალაქეა, რომელმაც რუსული სამედიცინო განათლება მიიღო. თათული აქიმოვი ანუ თათულა ექიმი, როგორც ეძახდნენ, თურმე (ხშირად ოფიციალურ დოკუმენტებშიც ასეა მოხსენებული). დიდი პატივით სარგებლობდა ერეკლეს კარზე. მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მას აუკრძალეს საექიმო მოღვაწეობა, მიუხედავად იმისა, რომ იმ ხანად განსაკუთრებით იგრძნობოდა სამედიცინო კადრების ძლიერი სიმცირე, აღსანიშნავია, რომ ამას მოსახლეობისა და ქართველ თავდაზნაურთა ერთგვარი უკმაყოფილება გამოუწვევია.

თათული აქიმოვს უმაღლესი სამედიცინო განათლება იტალიაში ჰქონდა მიღებული. მიუხედავად ამისა, 1804 წ. 16 იანვარს საექიმო მმართველობა სწერს ლიტვინოვს მიმართვას:

„შეუძლებელია ნება მიეცეთ საექიმო პრაქტიკისა იმ პირთა, ვინც ამის კანონიერი უფლება არა აქვს“. მოტივად მოჰყავთ 1784 წ. 14 მარტის დადგენილება, ორიოდე დღის შემდეგ კი (18 იანვარს) ბრძანებას აძლევენ აფთიაქს: „თათულას რეცეპტების მიხედვით აფთიაქიდან წამლების გაცემა ალიკვეცოსო.“ ამით უკმაყოფილო თავდაზნაურობამ თავის წინამძღოლს თავად იოანე ორბელიანს დაავალა მიეღო სათანადო ზომები. 1807 წ. 2 თებერვალს მას მართლაც მიუმართავს საქართველოს მაშინდელი მმართველის პეტრე მაქსიმეს ძე ლიტვინოვისათვის. მარშალი ორბელიანი წერს:

„მთხოვეს მე კეთილშობილთ შეკრებილებამან საზოგადოდ სუთთავე მარშალთა მიერ ხელმოწერილითა წერილითა წარმოდგინებითა. რათა წარვადგინო წინარე წარჩინებულებისა თქვენისა, რომ არიან ესენი დიდსა მწუხარებასა შინა უშოვნელობითა წამალთა,

რომ თითქმის მრავალნი სწეულნი მიეცევიან განსაცდელსა და ამისათვის გთხოვთ, რომ კეთილშობილი აქიმოვი თათულა და ტიტულარნი სოვეტნიკი იოანე ყარაევი არიან გამოცდილნი მკურნალობისა ხელოვნებასა შინა“. შემდეგ ორბელიანი წერს, რომ ნება დართონ მათ საექიმო პრაქტიკისა და გაცემულ იქნას ბრძანება, რათა აფთიაქებმა მათი რეცეპტით გასცენ წამლები, რადგან

„ვსასოებთ ამათ მიერ ჩვენ ზედა კეთალწარმართებით მზრუნველობასა და ერთგულებით მოვლასა სწეულთასა, რომელთაცა იციან მრავლის გამოცდილებით ცნობა ანატომიისა ჩვენისა“.

შემდეგში ივანე და იოანე ყარაშვილებსა და თათულა აქიმოვს ხანგრძლივი მიწერ-მოწერის შემდეგ დროგამოშვებით აძლევდნენ ხოლმე საექიმო პრაქტიკის ნებართვას, უფლებათა განსაზღვრული შეკვეცით.

1807 წ. 6 ივლისს გუბერნიის მარშლის, იმავე იოანე ორბელიანის პ. მ. ლიტვინოვისადმი მიმართული რაპორტიდან* ირკვევა, რომ თათული აქიმოვისათვის „მეტად დახელოვნებულ ექიმისათვის“ 1802-1803 წლებში უთხოვიათ, რომ მისი უფროსი შვილი სოლომონი რუსეთში გაეგზავნა საექიმო ხელოვნების შესასწავლად. თათული დათანხმებულა და მართლაც გაუგზავნია პეტერბურგში თავისი ვაჟიშვილი სოლომონი. რადგან 1807 წლისათვის, იოანეს თქმით, იგი 5 წლის წასული იყო, მას უკვე დასრულებული ექნებოდა სანკტ-პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემია. იოანე მთელი თავადაზნაურობის სახელით მოითხოვს, რომ ის გამოგზავნილ იქნეს თბილისში საექიმო მმართველობის ოპერატორის ვაკანტურ ადგილზე ანდა ქალაქის ექიმად. აღნიშნული მოთხოვნა შესრულებულ იქნა და სოლომონ თათულის-მე აქიმოვი 1809 წ. 9 ივნისიდან აკადემიის დასრულებასა და ერთი წლით სამხედრო პოსპიტალში პრაქტიკის მიღების შემდეგ მართლაც დაინიშნა თბილისის ქალაქის ექიმის თანამდებობაზე.

როგორც ჩანს, თბილისის მცხოვრებთათვის თათული და სოლომონ აქიმოვები უაღრესად პოპულარულ პიროვნებებს წარმოადგენდნენ. ამიტომ მათი ვინაობის დადგენა ერთგვარ ინტერესს წარმოადგენს ქართული მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით.

ქართული მედიცინის ისტორიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ თათული და სოლომონ აქიმოვები ქართველები — ყარაშვილები იყვნენ (ანტონ, იოსებ, ივანე, ანდრია ყარაშვილების ოჯახების წევრები) და აქიმოვი კი მათი ფსევდონიმი (რომელიც თან პროფე-

* ცენტრ. არქივი, ფ. 16, საქმე 531.

სიასაც აღნიშნავდა), ქართული სიტყვიდან „ექიმიდან“ ნაწარმოები, რუსული გვარის აღმნიშვნელი დაბოლოებით.

აკად. აღ. წულუკიძე თავის შრომაში „მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ექიმები“ წერს:

„რაკი ჩვენ ვიცით, რომ XVIII საუკუნეში საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერების დახმარებით ბევრმა ახალგაზრდა ქართველმა მიიღო სამედიცინო განათლება იტალიაში, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზემოხსენებული თათული აქიმოვი იგივე თათული ყარაშვილია, ყარაშვილთა გვარეულობიდან ერეკლე II-სა და გიორგი XII-ის კარზე რამდენიმე ექიმი მოღვაწეობდა. ზოგი მათგანი, სახელდობრ, თათული და ივანე ყარაშვილები, საქართველოს რუსეთთან შეერთების დროსაც ცოცხლები იყვნენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ „თათული-ექიმი“ რუსული ტრანსკრიპციით თათულ „აკიმოვი“ გახდა, რადგან მაშინ ფრიად გავრცელებული იყო ქართული გვარებისათვის რუსული „ოვ“-ის მიმატება“*. რასაკვირველია, თუ დავუშვებთ, -რომ თათული აქიმოვი ყარაშვილია, ქართველია, მაშინ მისი შვილი სოლომონ „აკიმოვიც“, როგორც აკად. ა. წულუკიძე წერს „პირველი ქართველი ექიმი „იქნებოდა“, რომელმაც უმაღლესი სამედიცინო განათლება რუსეთში მიიღო“**. თათული ანუ არუთენ აქიმოვის „ყარაშვილობა“ პროფ. ი. ნიკობაძემ და სხვ. გაიზიარეს. ამ მოსაზრებას ჩვენც ვემახრობოდით ჩვენს შრომაში „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“ (1956 წ. გვ. 113). პროფ. მ. სააკაშვილი და ა. გელაშვილი თავიანთ „საქართველოს მედიცინის ისტორიაში“ (ტ. IV — 1960, გვ. 110) წერენ: „1808 წელს სამედიცინო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა XIX საუკუნის პირველი ქართველი ექიმი სოლომონ აქიმოვი. იგი იყო შვილი თათულა აქიმოვისა“ და ა. შ. მაშასადამე ეს დებულება, საკმაოდ გავრცელებული და განმტკიცებული ჩანს ქართული მედიცინის ისტორიაში. მაგრამ ირკვევა, ეს მოსაზრება სწორი არ ყოფილა. თათული აქიმოვი და, ე. ი. მისი შვილი სოლომონიც არ არიან ყარაშვილების გვარის წარმომადგენლები. ისინი თბილისის მოქალაქეები არიან, ეროვნებით სომხები. ჩვენს ხელთ არის დოკუმენტი, რითაც შესაძლებელი ხდება თათული აქიმოვის შესახებ ზოგიერთი ცნობის დადგენა. ერეკლე მეორის, დარეჯან დედოფლისა და მათი შვილებისა და შვილიშვილების ხელმოწერით. 1797 წელს გაცემული წყალობის სიგელში თა-

* აკად. ა. წულუკიძე, „მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ექიმები“, თბილისი, 1961 წ., გვ. 18.

** იქვე, გვ. 19.

თული აქიმი ანუ აქიმოვი ნახსენებია სახელით „არუთენი“ სოლომონის მამად („შვილთა შენთა სოლომონს...“ და სხვ.) ამ დოკუმენტში*, სადაც სამეფო კარს მისთვის უწყალობებია თბილისში „თათრის მოედნის პირზედ... ღუქნები“, შემდეგია ნათქვამი:

წყალობის სიგელი გიბოძეთ ჩვენ ერთგულობითა ნამსახურს ოსეფა აქიმის ძეს კეთილშობილს აქიმს (უნდა იყოს „ჰაქიმს“ — მ. შ.) არუთენს და შვილთა სოლომონს, იოანეს, იოსებს და გაბრაელს... ვინაჲდან სიჭაბუკისა ჟამსა წახველ ევროპასა და კეთილად განისწავლე მკურნალობის კელოვნებითა და კელოვნებითა ამით სამეფოსა პალატსა შინა ჩვენსა ყოვლის ერთგულობით კეთილად იმსახურებდი... ერთგულობის შრომითა მკურნალობდი საზოგადოებასა შინა. იწამებოდა ყოველთაგან კეთილ გამოცდილება მკურნალობის კელოვნებისა შენისა სენთა ოტება და სიმრთელედ მარგებლობისა არა ხოლო ესე, არამედ გარემო მეზობელთა ჩვენთა იმერიის სამეფოსა და აღრიბეჟანისა ხანებთა თანა გულსმოდგინედ სავედრებელის თხოვისამებრ მათისა, წარგავლინებდიო სამკურნალოს კელოვნების სამსახურზედა“.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც, მიუხედავად მისი საექიმო საქმიანობის რეპრესიებისა თათული იგივე არუთენ (ამ დოკუმენტებში უკვე აქიმოვი) დიდი სიყვარულითა და გულუხვი წყალობით სარგებლობს ქართველი თავადაზნაურებისაგან, რასაც, გარდა ზემოხსენებული მიმართვისა (ლიტვინოვისადმი), ადასტურებს თვით იოანე ორბელიანის მიერ გაცემული წყალობის წიგნი, სადაც შემდეგს ვკითხულობთ:

„შენ, სიყრმიტგანვე მეგობრულის სიყვარულით ჩვენთანა შეკარულს კეთილშობილს ექიმბაშს არუთინ ექიმოვს და ყოველთავე შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ესრეთ, რომელ ოდესცა შენ გამოიზარდე და მკურნალობის კელოვნებით გამოიციადე. მუნიდან ვიდრე აქამომდე მტკიცისა და სიყვარულიანის ერთგულებით ჩვენცა და სრულაად სახლეულთაცა ჩვენთა მკურნალობის კელოვნებით გვმსახურებდი და მრავალჯერ სახლისა ჩვენისა შვილნი სასიკუდინეს სნეულებისაგან განგითავისუფლებია და გარდა ამისა სიყვარული და ერთგულება სახლისა ჩვენისა და უცადებლად გქონია და ჩვენც ნაცვლად სიყვარულისა, ერთგულებისა და ღვაწლმრავლობისა შენისათვის ჩვენზედა დადებულისა და ნიშნად შვილისშვილთაგან შენთა ჰქსოვნისათვის ჩვენისა მოგეცით ვერის ხევზედ... მამული სოფელი ღვევი თავისის ძველის ნასყიდო-

* საქართველოს სსრ ცენტრ. არქივი, ფონდი 1449, საქმე. № 1340.

ბის სიგლით თავისის მითითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, სათიბითა, უთიბითა, სახნავითა, უხნავითა, სავენახითა, ტყითა შესავლითა, გასავლითა და ყოვლის თავის სამართლიანის სამძღვრითა“*.

როგორც ჩანს, იოანე ორბელიანს უკვე რეპრესირებულსა და ალბათ შედარებით ხელმოკლე ექიმისათვის ძველი ერთგული ნამსახურობისათვის საკმაო გულუხვობით მიუცია წყალობა.

აღსანიშნავია, რომ ერეკლესა და მისი ოჯახის წევრებისა და იოანე ორბელიანის მიერ გაცემული წყალობის სიგელი ოფიციალური დოკუმენტია და სწორედ ამ ოფიციალურ დოკუმენტებში ის ნახსენებია მისი ნამდვილი სახელითა და გვარით, არა თათულა აქიმად, არამედ არუთენ ექიმოვად. მართლაც, ასეთი დიდძალი ქონებისა და მემკვიდრეობის დამამტკიცებელ დოკუმენტში, სიგელში, შეუძლებელია „ზედმეტი სახელით“ იხსენიებოდეს პიროვნება.

საკითხს საბოლოოდ წყვეტს თვით რუსეთის იმპერატორი ალექსანდრეს 1803 წლის 12 დეკემბრის რესკრიპტი, რომელიც პ. ციციანოვის სახელზეა გამოგზავნილი, სამედიცინო კადრებით საქართველოს უზრუნველყოფის მოთხოვნის პასუხად.

რესკრიპტში ვკითხულობთ:

«Сына же армянского врача Татулы (ლაპარაკია სოლომონზე — მ. შ.) приказал я нынеже поместить на казенное содержание“. თათულის ვინაობის გამორკვევა სხვა წყაროებითაც ხერხდება. პლატონ იოსელიანი, ახსენებს რა გიორგი XII-ს დროინდელ ექიმებს, არამართლმადიდებელი სარწმუნოების მქონედ, თავის წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ წერს: „ესენი იყვნენ ოსეთა ყარაევი ფრანგი, თათულა ექიმი სომეხთა სარწმუნოებისა და პატრი ნიკოლა და შემდეგ მისი ფილიპე“.

გარდა ამისა: XIX საუკუნის პირველ ნახევარში თათულას გარდა ოფიციალურ დოკუმენტებში ცნობილი არიან აგრეთვე სხვა პირებიც აქიმოვების გვარით. თვით სოლომონი თათულის შვილი, აგათონ დავითის ძე აქიმოვი, ექიმი იოანე აქიმოვი, რაც რასაკვირველია, იმისი მაჩვენებელია, რომ „აქიმოვი“ ნამდვილი გვარია და არა „ექიმისაგან“ ნაწარმოები გვარი — „მეტსახელი“. მაშასადამე, თათულის ნამდვილი, ოფიციალური სახელია არუთენ, არუთინი, გვარი — ექიმოვი, ანუ აქიმოვი.

აქიმოვი, ანუ ექიმოვი სომხური გვარის „ჰაქიმიანის“ რუსულ ტრანსკრიპციას წარმოადგენს, რაც პროფ. ილ. აბულაძისა და

* საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის ფონდი 1449, საქმე № 1340.

პროფ. ლ. მელიქსეთბეგის მოწმობით, ძველი დროიდან, საკმაოდ გავრცელებულ გვარს წარმოადგენს სომხურ ონომასტიკონში. მასადაამე იმპერატორ ალექსანდრეს ხსენებული რესკრიპტით, პლატონ იოსელიანის მოწმობითა და ზემოხსენებული დოკუმენტების საფუძველზე საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ერეკლე მეფისა და გიორგი XII-ს კარზე მყოფი თათულა ექიმისა და მისი შვილის სოლომონის ნამდვილი გვარია აქიმიანი ანუ რუსული ტრანსკრიპციით აქიმოვი, ექიმოვი და ამგვარად ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს სახელგანთქმული ქართველი ექიმების ყარაშვილების გვარის წარმომადგენლებად. ამ დასკვნიდან გამომდინარე, რასაკვირველია, არც სოლომონ აქიმოვი შეიძლება ჩავთვალოთ პირველ ქართველ ექიმად, რომელსაც რუსული სამედიცინო განათლება ჰქონია მიღებული.

წინამდებარე წიგნის ავტორი, ს. ვირსალაძის სახ. სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ შენგელია ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა ჩვენი კულტურის ისტორიის ამ მნიშვნელოვანი დარგის შესწავლის საქმეში.

წიგნში მოთავსებული ცალკეული შრომები, ეტიუდები ავტორის მიერ ძირითადად შესრულებულია ბოლო რვა-ათი წლის განმავლობაში და მოხსენებულია სამედიცინო პარაზიტოლოგთა და მედიცინის ისტორიკოსთა სამეცნიერო საზოგადოებების სხდომებზე, ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციებზე და სესიებზე.

ზოგიერთი მათგანი შემოკლებული სახით, არასრულად ადრე გამოქვეყნებული იყო პრესაში, მაგრამ ეტიუდების უმრავლესობა პირველად ქვეყნდება და მკითხველთა და მკვლევართათვის სრულიად უცნობსა და ჩვენი აზრით საინტერესო მასალებს მოიცავს.

ავტორი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც სერიოზულად მოჰკიდა ხელი ქართული ხალხური მედიცინის შესწავლას და წინამდებარე წიგნში ამ საკითხებისადმი მიძღვნილი 3 ეტიუდით დაამტკიცა, თუ რამდენად მდიდარი, შინაარსიანი და მრავლისმთქმელია ქართული ხალხური მედიცინა. როგორც ავტორი სამართლიანად ამბობს, სამედიცინო ფოლკლორისა და ხალხური მედიცინის შესწავლა სცილდება საკუთრივ მედიცინის ისტორიის ფარგლებს და შეუძლია გარკვეული უქი შეიტანოს აღმოსავლეთმცოდნეობისა და კერძოდ ქართველოლოგიის ზოგ გაურკვეველ საკითხში. ქართული სამედიცინო ფოლკლორის მთელი რიგი ცნობებისა და ლექსიკური მასალის საწყისებისა და პარალელების სუმერულ ხეთა-სუბარულ სამყაროში ძიება, „ხოგაის მინდიას“ გამოყენება ძველი ქართული მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით ავტორის ადრეულ შრომებში წამოყენებული საკითხების შემდგომ კვლევისა და განვითარებას წარმოადგენს და გარკვევით ადასტურებს მის მიერ ადრე წამოყენებულ მთელ რიგ საინტერესო პრობლემებს.

ავტორის ადრინდელი გამოკვლევებით, სამედიცინო-კულტურულ კერებსა და სავადმყოფოებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თავისი ინტენსიური საექიმო საქმიანობით ათონის ივერთა მონასტერი, მაგრამ „ეტიუდებში“ მოყვანილი ახალი მასალებით დასტურდება ათონის ივერთა მონასტრის სამედიცინო საქმიანობის

კიდევ ერთი ახალი მხარე: დადგენილია მდიდარი ბიბლიოთეკა და მასში ძველი კლასიკური სამედიცინო ლიტერატურის არსებობა, ათონის სამედიცინო კულტურული კერის ურთიერთობა რუსეთის მედიცინასთან და სხვა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „იოანე პეტრიწონელი“ და „პრაქტიკის“ ავტორობის პრობლემა“, 13 წელიწადია ავტორი შეუწევია მუშაობს ამ საკითხზე. ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებიდან (პარიზი, ლონდონი, ლაიპციგი) მიღებული მასალებისა და ქართულ წყაროებში შემონახული ცნობების შეჯერებით თანდათან დამაჭერებელი გახდა, რომ იოანე პეტრიწი ნამდვილად არის ავტორი კლასიკური სამედიცინო ძეგლისა „პრაქტიკა“, რომელიც სამედიცინო აზროვნების რენესანსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლად ითვლება ევროპაში.

ინტერესით იკითხება ავტორის გამოკვლევები ვეტერინარიის ისტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაზე, თბილისზე, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, თათული და სოლომონ აქიმოვებზე. თვითელი ეს გამოკვლევა ჩვენი კულტურის ისტორიის სრულიად უცნობსა და ამავე დროს მეტად საინტერესო საკითხებს ჰყენებს შუქს.

ავტორმა ახალი მოღვაწეები გამოავლინა და ამდენად, თუ შეიძლება ითქვას, შესძინა ქართული მედიცინის ისტორიას. კითხულობთ გამოკვლევებს, ვახტანგ VI-ის, დავით ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონის, პეტრე კლაპიტონიშვილის შესახებ და გიკვირთ, რომ დღემდე გამოუვლინებელი და შეუსწავლელი იყო მათი ესოდენ დიდი ღვაწლი, უცნობი იყო მათი მთელი რიგი სამედიცინო ხასიათის შრომები, რომელთაც თურმე დიდი როლი შეუსრულებიათ სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების ისტორიაში თავის დროისათვის. ხსენებულ ავტორთა შრომების ფრაგმენტებისა და სპეციალური პარაგრაფების პუბლიკაცია ხელს შეუწყობს ამ ავტორთა მეცნიერული მემკვიდრეობის სრულყოფილად შესწავლასა და ჩვენი ძველი კულტურისა და კერძოდ ჩვენი სამედიცინო კულტურისა და აზროვნების სწორი და ნამდვილი სურათის ასახვას.

სასურველი იქნებოდა, ჩვენი აზრით, თუ ავტორი შემდეგისათვის მოგვაწოდებდა ზემოხსენებულ მოღვაწეთა სამედიცინო შრომების სრული სახით პუბლიკაციას.

პროფ. გ. შარუაშვილი

**სსრ კავშირის მედიცინის მეცნ. აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი**

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქართული სამედიცინო ფოლკლორი და სუმერულ-ხეთა-სუბარული სამყარო	3
ხალხური მედიცინის ისტორიიდან	16
თქმულება „ხოგაის მინდია“ ძველი ქართული მედიცინის ისტორიის თვალ- საზრისით და ვაჟა-ფშაველას „გველის მკამელი“	25
კადეე ერთხელ ათონის ივერთა მონასტრის საქმიანობის შესახებ	36
იოანე პეტრაწონელი და „პრაქტიკის“ ავტორობის პრობლემა	41
ვეტერინარიისა და მეცხოველეობის განვითარების ისტორიისათვის ძველ საქართველოში	63
თბილისი — სამედიცინო-საბუნებისმეტყველო აზროვნების ცენტრი ფეოდა- ლურ საქართველოში	90
ვახტანგ VI-ს წვლილი ძველ ქართულ მედიცინაში და მისი „სამედიცინო პარაგრაფები“	104
ოპტიკისა და მხედველობის კორექტორის საკითხები ძველ ქართულ წყარო- ებში და ვახტანგ VI-ს „ოპტიკური პარაგრაფები“	126
სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხები სულხან-საბა ორბელიანის შემოქმე- დებაში	144
იოანე ბაგრატიონი როგორც ექიმი და მისი სამედიცინო შრომები	169
დავით ბაგრატიონი და გარდამავალი ხანის ქართული მედიცინა	209
პირველი ქართველი ექიმი (რუსული სამედიცინო განათლებით) პეტრე კლა- პიტონიშვილი და მისი მოღვაწეობა	248
პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე და ახალციხის 1838 — 1843 წწ. ეპიდემია	283
აქიმოვნების ვინაობისათვის	290
რედაქტორისაგან	296

